იუ ნესბო

თოვლის კაცი

იუ ნესბო

თოჯიის ჯაცი

მთარგმნელი
ალექსი სიუკაევი

ეძღვნება

კირსტენ ჰამერვოლ

ნესბოს

ნაწილი

პირველი

თავი I

1980 წლის 5 ნოემბერი. თოვლის კაცი

იმ დღეს თოვლი მოვიდა. დილის თერთმეტ საათზე უფერული ციდან მოულოდნელად უამრავი დიდი ფანტელი გამოჩნდა და რომერიკის მინდვრები, ბაღები და გაზონები დაფარა. ორ საათზე ლილესტრიომზე უკვე მუშაობდა თოვლის საწმენდი მანქანების რაზმი, ხოლო სამის ნახევარზე, როდესაც სარა კვინესლანი თავის „ტოიოტა კოროლა SR 5-ს" ნელა და ფრთხილად მართავდა კოლოვეიენის ქუჩაზე, კერძო სახლებს შორის, გარეუბნებს ბუმბულის საბანივით ეფარა ნოემბრის თოვლი.

დღის შუქზე სახლები განსხვავებულად გამოიყურებაო, გაიფიქრა. იმდენად განსხვავებულად გამოიყურებოდა, რომ კინაღამ იმ სახლის ეზოს გასცდა, საითაც ეჭირა გეზი. სარამ დაამუხრუჭა და მანქანა გასრიალდა. უკანა სავარძლიდან კვნესა მოესმა. უკანა ხედის სარკეში თავისი ვაჟის უკმაყოფილო სახე დაინახა.

— მალე დავბრუნდები, ჩემო სიყვარულო, — თქვა სარამ.

გარაჟის წინ, თეთრ თოვლზე, ასფალტის შავი ოთხკუთხედი ნაგლეჯი მოჩანდა. მიხვდა, რომ აქ მეზობელს ჰყავდა გაჩერებული მანქანა. პირკატა ეცა. ნეტავ არ დაეგვიანა!

— აქ ვინ ცხოვრობს? — იკითხა ბიჭმა.

— ჩემი ერთი ნაცნობი, — უპასუხა სარამ, სარკეს ახედა და თმა მექანიკურად შეისწორა, — ათი წუთით დაგტოვებ, ჩემო

სიყვარულო. გასაღებს დავტოვებ. თუ გინდა, რადიოს მოუსმინე.

პასუხს არც დალოდებია, ისე გადმოვიდა მანქანიდან და მცურავი ფეხსაცმლით ფრთხილად გაემართა კარისკენ, რომლის ზღურბლიც მრავალჯერ გადაუკვეთია, მაგრამ ასე, დღისით-მზისით, ფანჯრებთან მდგარი ცნობისმოყვარე მეზობლების თვალწინ პირველად უნდა გადაელახა.

ზარი დარეკა და სახლში ისეთი ბზუილის ხმა გაისმა, როგორსაც ჯემის ქილაში გამომწყვდეული კელა გამოსცემს. ქალის სასოწარკვეთილება სულ უფრო იზრდებოდა. შეშფოთებით უყურებდა მეზობელი სახლების ფანჯრებს, რომლებზეც ვაშლის შავი, შიშველი ხეები, ნაცრისფერი ცა და რძისფერი მიდამო ირეკლებოდა. როგორც იქნა, კარს იქით ნაბიჯის ხმა მოისმა და სარამ შვებით ამოისუნთქა. რამდენიმე წამის შემდეგ უკვე სახლში იყო და მას ეხვეოდა.

— არ წახვიდე, საყვარელო, — მუდარით თქვა ქალმა. ქვითინს ძლივს იკავებდა.

— უნდა წავიდე, — უპასუხა მან მონოტონური ხმით, რომელიც დამღლელი, დიდი ხნის წინ მობეზრებული მისამღერივით ჟღერდა. ხელები ჩვეული მიმართულებით გააცურა. ეს კი არასდროს ჰბეზრდებოდა.

— არა, არა ხარ ვალდებული, — ჩასჩურჩულა ქალმა, — მაგრამ წასვლა გინდა. მოგბეზრდა უკვე ეს ყველაფერი.

— სამაგიეროდ შენ არ მბეზრდები...

მის ხმაში გაღიზიანება შენიშნა, მიუხედავად იმისა, რომ მისი რბილი და ძლიერი ხელები ქალის კანზე სრიალებდა, სარას წელზე ეტმასნებოდა და ქვედაკაბისქვეშ, კოლჰოტში უძვრებოდა. ის და სარა გამოცდილი მოცეკვავეების წყვილს ჰგავდნენ, რომლებიც ერთმანეთის სუნთქვას, რიტმსა და მცი-

რე მოძრაობასაც კი გრძნობდნენ. თავიდან შესრულდა სიყვა-
რულის თეთრი აქტი, რომელიც სასიამოვნო იყო, შემდეგ კი
შავი — ტკივილთან დაკავშირებული.

სარას პალტოს ეფერებოდა. ცდილობდა, სქელი ქსოვილის
მიღმა მისი ძუძუსთავები მოესინჯა. გიჟდებოდა სარას ძუძუს-
თავებზე. ალბათ, იმიტომ, რომ თავად საერთოდ არ ჰქონდა.

— ავტოფარეხის წინ გააჩერე მანქანა? — იკითხა მან და მთე-
ლი ძალით უჩქმიტა.

სარამ თავი დაუქნია და იგრძნო ტკივილი, რომელიც სი-
ამოვნების ისარივით გაერჭო თავში. ქალის გახსნილი საშო
უკვე მის თითებს ელოდა.

— მანქანაში ჩემი ვაჟი მელოდება. მამაკაცს ხელი გაუშეშ-
და.

— არაფერი იცის, — კვნესით აღმოხდა სარას. იგრძნო, რომ
კაცის ხელებს სისწრაფე და თანამიმდევრულობა მოაკლდა.

— და შენი ქმარი? სადაა შენი მეუღლე?

— სად უნდა იყოს? სამსახურში, რა თქმა უნდა.

ახლა სარას ხმას დაეტყო გაღიზიანება; იმიტომ, რომ მან
მისი ქმარი ახსენა, ქალი კი ყოველთვის ღიზიანდებოდა, რო-
დესაც მეუღლეზე ლაპარაკობდა. კიდევ იმიტომ გაღიზიანდა,
რომ მის სხეულს ეს მამაკაცი სურდა. ახლავე. სარა კვინეს-
ლანმა მისი შარვლის შესაკრავი გახსნა.

— არ ღირს, — თქვა მან და ქალს მაჯაზე წაავლო ხელი. სა-
რამ მეორე ხელი გაარტყა. მამაკაცი გაოგნებული უყურებდა.
ლოყაზე წითელი ლაქა დაეტყო. სარამ გაიღიმა, კაცის გრუზა
შავ თმას ხელი ჩასჭიდა და მისი სახე თავისთან ახლოს მოს-
წია.

— შეგიძლია, წახვიდე, — წაისისინა ქალმა, — მაგრამ, სანამ
წახვალ, ჩემი გაჟიმვა მოგიწევს. გასაგებია?

მისი სუნთქვა იგრძნო. კაცი მძიმედ ქშინავდა. სარამ კიდევ ერთხელ გაარტყა თავისუფალი ხელი, მის მეორე ხელში კი თა ნამოსაუბრის პენისი იზრდებოდა. ჯერ კიდევ მკვეთრად და ძლიერად მოძრაობდა, მაგრამ სარას უკვე გაეთავებინა. ქალი გაირინდა. ჯადოქრობა სადღაც გაქრა. დაძაბულობა შემცირდა და მას მხოლოდ სასოწარკვეთილება დაეუფლა. ამ კაცს კარგავდა. ახლა, როდესაც მის გვერდით იწვა, დაკარგული ჰყავდა. მთელი იმ დროის მანძილზე რაც მოთქმა-გოდებაში გაატარა. მთელი იმ დროის მანძილზე ამ მამაკაცმა უამრავი ირაციონალური რამ ჩაადენინა, თავად სარას კი მისგან არაფერი მიუღია. ერთი რამის გარდა.

კაცი საწოლის კიდესთან იდგა და დაწყებულ საქმეს აგრძელებდა. სარამ მის მკერდს მიაპყრო მზერა. დიდხანს ვერ ეგუებოდა, მაგრამ მოგვიანებით შეეგუა ამ აბსოლუტურად გლუვ, თეთრ კანს, რომელიც მკერდის კუნთებს ეკვროდა.

მოსწონდა კიდეც. ძველ ქანდაკებებს აგონებდა, რომლებსაც საყოველთაო მორცხვობის ეპოქაში ძუძუსთავები არ ჰქონდათ.

მამაკაცი სულ უფრო ხმამაღლა კვნესოდა. სარამ იცოდა, რომ მისი პარტნიორი ცოტა ხანში გავეშებული ღმუილით გაათავებდა. ქალს მოსწონდა მისი ღმუილი. და ეს ყოველთვის გაოცებული, ექსტაზის გამომხატველი, თითქმის ავადმყოფურად დაღრეჯილი სახე — თითქოს ორგაზმი ყოველ ჯერზე მის ყველაზე თამამ მოლოდინსაც კი აჭარბებდა. ახლა სარა მხოლოდ მის ფინალურ ღმუილს ელოდა — გამოსამშვიდობებელ ღმუილს მის ცივ საძინებელში, სადაც არც ნახატები იყო, არც ფარდები და არც ხალიჩები. ამის შემდეგ ის ტანსაცმელს ჩაიცვამდა და ქვეყნის მეორე მხარეში გაემგზავრებოდა — იქ, სადაც ისეთ სამსახურს სთავაზობდნენ, რომელზეც უარს ვერ იტ-

ყოდა, მაგრამ შეეძლო უარიც ეთქვა. და მაინც, ის სიამოვნებით დაიღმუვლებდა.

ქალმა თვალები დახუჭა. თუმცა ღმუილი არ ისმოდა. მისი პარტნიორი გაჩერდა.

— რა მოხდა? — იკითხა სარამ და თვალები გაახილა. მამაკაცს სახე დაღრეჯოდა, მაგრამ არა სიამოვნებისგან.

— სახე, — დაიჩურჩულა კაცმა. სარა შეკრთა.

— სად?

— ფანჯრის მიღმა.

ფანჯარა საწოლის მეორე მხარეს, პირდაპირ ქალის თავზევით მდებარეობდა. სარა წამოიწია და იგრძნო, როგორ გამოსრიალდა მისი წიაღიდან დავარდნილი პენისი. ფანჯარა ძალიან მაღლა იყო გაჭრილი იმ ადგილიდან, სადაც თავი ედო და ამიტომ გარეთ გახედვა არ შეეძლო. გარეთ მდგარი ნებისმიერი ადამიანისთვისაც იმდენად მაღლა მდებარეობდა, რომ გარედან შეუძლებელი იყო იმის დანახვა, რაც ოთახში ხდებოდა. დღის შუქი ილეოდა და ამიტომ სარამ ფანჯარაში მხოლოდ ჭაღის ანარეკლი დაინახა.

— შენი თავი დაინახე, ალბათ, — თითქმის ვედრებით თქვა ქალმა.

— თავიდან მეც ასე მეგონა, — უპასუხა მამაკაცმა, რომელიც თვალს არ აშორებდა ფანჯარას. სარა მუხლებზე დადგა, წამოდგა და ბაღს გახედა. სწორედ ბაღში დაინახა ის სახე, რომელიც კაცმა ახსენა.

ქალმა ხმამაღლა და შვებით ამოისუნთქა. თეთრი სახე ჰქონდა, თვალებისა და პირის ადგილზე კი კენჭები უელავდა, რომლებიც, სავარაუდოდ, ეზოში აეკრიფათ. ხელების ნაცვლად ვაშლის ხეების შტოები ჰქონდა დამაგრებული.

— ღმერთო დიდებულო! — წამოიძახა სუნთქვაშეკრულმა ქა-

ლმა, — უბრალო თოვლის კაცია.

სარას სიცილი ცრემლებმა შეცვალა. მანამდე ქვითინებდა, სანამ მისი მკლავების სითბო არ იგრძნო.

— უნდა წავიდე, — ქვითინით თქვა ქალმა.

— ცოტა ხნით კიდევ დარჩი. სარა ცოტა ხნით კიდევ დარჩა.

როდესაც სარა ავტოფარეხს მიუახლოვდა, აღმოაჩინა, რომ ამასობაში ორმოცი წუთი გასულიყო.

მისი კაცი დაჰპირდა, დაგირეკავ ხოლმეო. ყოველთვის კარგი მატყუარა იყო, მაგრამ ამჯერად მისმა ნათქვამმა სარას სიხარული მოჰგვარა. მანქანაში ჩაჯდომამდე შეამჩნია თავისი ვაჟის ფერმკრთალი სახე. ბიჭი მანქანის უკანა სავარძელზე იჯდა და დაჟინებით აკვირდებოდა დედას. სარამ მანქანის კარის გაღება სცადა, რომელიც, მისდა გასაოცრად, ჩაკეტილი აღმოჩნდა. ქალი დაორთქლილ ფანჯრებს დააცქერდა. მისმა ვაჟმა მხოლოდ მას შემდეგ გააღო კარი, რაც სარამ დაუკაკუნა.

ქალი მძღოლის სავარძელზე დაჯდა. რადიო გამორთული იყო. მანქანაში ძალიან ციოდა. გასაღები მგზავრის სავარძელზე იდო. სარა მის ასაღებად შებრუნდა. მისი ვაჟი სულ მთლად გაფითრებულიყო. ბიჭს ქვედა ტუჩი უთრთოდა.

— რამე მოხდა? — იკითხა ქალმა.

— კი, — უპასუხა ბიჭმა, — ის დავინახე.

სარამ შენიშნა, რომ მის ვაჟს ხმაში შიში შეჰპაროდა. ბოლოს ბიჭს ასეთი ხმა მაშინ ჰქონდა, როდესაც ძალიან პატარა იყო — სარასა და მის მეუღლეს შორის იჯდა დივანზე, ტელევიზორის წინ და პატარა ხელები თვალებზე ჰქონდა აფარებული. ახლა კი ხმა უბოხდებოდა, ძილის წინ აღარ ეხუტებოდა და მანქანები და გოგონები აინტერესებდა. ოდესმე ერთ-ერთ მათგანთან ერთად მანქანაში ჩაჯდება და სარას დატოვებს.

— ვინ? — იკითხა სარამ, ამნთების ნაპრალში გასაღები მოათავსა და გადაატრიალა.

— თოვლის კაცი.

ძრავის ხმა არ ისმოდა. სარას ელდა ეცა. არც იცოდა, რისი ეშინოდა. საქარე მინას მიაპყრო მზერა და გასაღები კიდევ ერთხელ გადაატრიალა. ნუთუ აკუმულატორი დაჯდა?!

— როგორ გამოიყურებოდა ეგ შენი თოვლის კაცი? — იკითხა ქალმა, აქსელერაციის პედალს დააჭირა ფეხი და სასოწარკვეთილად გადაატრიალა გასაღები — იმდენად ძლიერად, რომ კინაღამ დაამტვრია. ბიჭმა უპასუხა, მაგრამ მისი ხმა ძრავის ღმუილმა ჩაახშო.

სარამ სიჩქარე გადართო და გადაბმის პედალს მკვეთრად აუშვა ფეხი.ცდილობდა, რაც შეიძლება მალე გასცლოდა ამ არემარეს. მანქანის ბორბლებმა ახალ, რბილ თოვლში ერთ ადგილზე დაიწყო ბრუნვა. ქალმა აქსელერაციის პედალს კიდევ უფრო ძლიერად დაადგა ფეხი. მანქანა მხოლოდ უკანა ბორბლებით ოდნავ გვერდზე მოცურდა. საბურავებმა ასფალტს მიაღწია, მანქანა მთელი ძალით გაექანა წინ და გზაზე გავიდა.

— მამა გველოდება, — თქვა სარამ, — სწრაფად უნდა ვიაროთ.

რადიო ჩართო და ბოლო ხმაზე აუწია. სარას არ მოსწონდა, რომ მანქანაში მხოლოდ მისი ხმა ისმოდა; ამიტომ გადაწყვიტა, ასე მაინც აეხმაურებინა სალონი. ახალი ამბების გამოშვების წამყვანმა განაცხადა, რომ დღეს ღამით საპრეზიდენტო რბოლაში რონალდ რეიგანმა ჯიმი კარტერს გადაუსწრო.

ბიჭმა კიდევ თქვა რაღაც და ქალმა სარკეს ახედა.

— რამე მითხარი? — გასძახა ქალმა.

ბიჭმა გაიმეორა, მაგრამ ქალმა ვერც ამჯერად გაიგონა. რა-

დიოს ჩაუწია და მანქანამ მთავარი გზისა და მდინარისკენ აიღო გეზი, რომლებიც ამ არემარეს ორი სამგლოვიარო ლენტის მსგავსად კვეთდა. სარა მოულოდნელობისგან შეხტა, როდესაც შენიშნა, თუ როგორ გადმოიხარა მისი ვაჟი წინა ორ სავარძელს შორის. ქალს ბიჭის ხმა მშრალ ჩურჩულად ჩაესმა. თითქოს დედას იმდენად მნიშვნელოვან რამეს ეუბნებოდა, რომ არ სურდა, ვინმეს გაეგო.

— მალე დავიხოცებით.

თავი II

2004 წლის 2 ნოემბერი. კენჭების თვალები

ჰარი ჰოლე შეხტა და თვალები გაახილა. ციოდა, სიბნელიდან კი ის ხმა ისმოდა, რომელმაც გააღვიძა. ვიღაც ამბობდა, დღეს ამერიკელი ხალხი გადაწყვეტს, იქნება თუ არა ჯორჯ უოლკერ ბუში ამერიკის მოქმედი პრეზიდენტი კიდევ ოთხი წლის მანძილზეო. ნოემბერი. სიბნელე გველისო, ფიქრობდა ჰარი. ბუმბულის საბანი გადაიხადა და ფეხები იატაკზე დადგა. ლინოლეუმი იმდენად ცივი იყო, რომ ფეხები დაესუსხა. რადიო-მაღვიძარა არც გამოურთავს, ისე შევიდა სააბაზანოში. სარკეში ჩაიხედა. აქაც ნოემბერი დახვდა — დაჭმუჭნილი, მონაცრისფრო-ფერმკრთალი და ღრუბლიანი. თვალები, როგორც ყოველთვის,ჩასისხლიანებული ჰქონდა, ცხვირის კანის ფორები კი უზარმაზარ შავ კრატერებს მიუგავდა. ალკოჰოლით ნარეცხი ღია ცისფერი თვალების ქვეშ დაკიდებულ პარკუჭებს ცხელი წყალი, პირსახოცი და საუზმე გააქრობდა. ყოველ შემთხვევაში, ჰარი ასე ფიქრობდა. ზუსტად არ იცოდა, როგორი სახე ექნებოდა დღეს, როდესაც ორმოცი წლის გახდა. გაუქრება თუ არა ნაოჭები და დაეუფლება თუ არა მშვიდი გამომეტყველება მის დაქანცულ სახეს, რომლითაც ყოველ დილით, საზარელი სიზმრებით სავსე ღამის შემდეგ, იღვიძებდა ხოლმე. ძალიან ხშირად ესიზმრებოდა კოშმარები. ჰარი გაურბოდა სარკეებს მას შემდეგ, რაც სოფიესგატეში მდებარე პატარა ასკეტურ ბინას ტოვებდა, რათა ოსლოს პოლიციის მთ-

ავარ სამმართველოში მისულიყო და კრიმინალისტიკის რაზ-
მის ინსპექტორად ემუშავა. ამის შემდეგ სხვების სახეებზე
ეძებდა ტკივილს. ცდილობდა, ადამიანების სუსტი წერტილე-
ბი, კოშმარები, მოტივები და საკუთარი თავის მოტყუების მი-
ზეზები ეპოვა. მათ მომქანცველ ტყუილებს ისმენდა და ცდი-
ლობდა, მიმხვდარიყო, თუ რატომ აკეთებდა ამ ყველაფერს —
აპატიმრებდა ადამიანებს, რომლებიც შინაგანად ისედაც პა-
ტიმრები იყვნენ. სიძულვილისა და საკუთარი თავის ზიზღის
საპატიმროებს ძალიან კარგად იცნობდა. ჰარიმ ხელი გადაის-
ვა მოკლედ შეჭრილ, ჯაგრისებრ თმაზე, რომელიც მისი ფეხ-
საცმლის ძირებიდან დაახლოებით 192 სანტიმეტრ სიმაღლე-
ზე იზრდებოდა. ლავიწის ძვალი ტანსაცმლის საკიდივით მო-
უჩანდა. ბოლო საქმის დასრულების შემდეგ ბევრს ვარჯიშობ-
და. ზოგიერთის აზრით, მეტისმეტად ბევრს. გარდა იმისა, რომ
ველოსიპედით დასეირნობდა, პოლიციის სამმართველოს ნუ-
ლოვან სართულზე მდებარე სავარჯიშო დარბაზსაც სტუმრობ-
და ხოლმე. სიამოვნებდა კუნთების ტკივილი, რომელიც ფიქ-
რებს დევნიდა. მაგრამ ნაცვლად იმისა, წონა მომატებოდა, უბ-
რალოდ, გახდა. ქონი გაქრა და ადგილი ძვლებსა და კანს შო-
რის კუნთოვანი მასის ფენამ დაიკავა. ძველებურად მხარბე-
ჭიანი იყო. მის აღნაგობას რაკელმა „ბუნებრივად ათლეტური"
უწოდა. ჰარი იმ გატყავებულ პოლარულ დათვს ემსგავსებო-
და, რომლის ფოტოც ამას წინათ ნახა — იმ ფოტოსურათზე და-
კუნთული, მაგრამ გამაოგნებლად მჭლე ცხოველი იყო გამო-
სახული. ნადირი. ჰარი უბრალოდ დნებოდა. მაგრამ ეს არ იყო
ყველაზე დიდი პრობლემა.

ჰარიმ ამოიოხრა. ნოემბერი. უახლოეს მომავალში კიდევ
მეტად დაბნელდებოდა.

სამზარეულოში შევიდა, თავის ტკივილის შესამსუბუქებლ-

ად ერთი ჭიქა წყალი დალია და გაოცებული მიაჩერდა ფანჯარას. ღამით პირველი თოვლი მოსულიყო. სოფიესგატეს მეორე მხარეს სახლის სახურავი გადათეთრებულიყო და ბრწყინავდა. ჰარის წერილი გაახსენდა. მსგავსი წერილები მანამდეც მიუღია, მაგრამ ეს განსაკუთრებული იყო. მასში „ტუვუმბა" იყო ნახსენები.

რადიოში დაიწყო გადაცემა ბუნების შესახებ. ვიღაც გატაცებითა და მთელი გრძნობით საუბრობდა სელაპებზე:

— ყოველ ზაფხულს ბერინგის ზღვის სანაპიროზე იკრიბებიან და წყვილდებიან. გამომდინარე იქიდან, რომ მამრების რაოდენობა მდედრებისას აღემატება,მამლებს შორის ყოველთვის მძაფრი კონკურენციაა ხოლმე. ამიტომ მამრი, რომელიც მდედრს მოიპოვებს, შეწყვილების მომდევნო პერიოდამდე მასთან რჩება. მამრი თავის პარტნიორზე მანამდე ზრუნავს, ვიდრე მათი შვილები დამოუკიდებლად ცხოვრებას შეძლებენ. თუმცა მამრი არა მდედრს, არამედ საკუთარ გენებსა და მემკვიდრეობით მასალას უფრთხილდება. დარვინისტული თეორიის მიხედვით, ეს ნიშნავს, რომ მონოგამიისკენ სელაპს ბუნებრივი გადარჩევა უბიძგებს, და არა მორალი.

„საოცარია პირდაპირ", — გაიფიქრა ჰარიმ.

მღელვარე ხმა, რომელიც რადიომიმღებიდან ისმოდა, თითქმის ფალცეტში გადავიდა.

— მაგრამ ვიდრე სელაპები ბერინგის სრუტეს დატოვებენ და საკვების საძებნელად ღია ზღვას მიაშურებენ, მამრი ხშირად ცდილობს მდედრის მოკვლას. რატომ? იმიტომ, რომ მდედრი სელაპი ერთსა და იმავე მამრთან არასდროს შეწყვილდება მეორედ. დედალი სელაპი რისკების სწორად გადანაწილების პრინციპის გამო იქცევა ასე. ზუსტად ისე, როგორც საფონდო ბირჟაზე ხდება ხოლმე. ბიოლოგიურად მისთვის გა-

მართლებულია პრომისკუიტეტი[1] და მამრმა ეს იცის. მდედრის მოკვლით მამალს იმედი აქვს, რომ სხვა სელაპების შთამომავლებს მისი შვილებისთვის კონკურენციის გაწევაში შეუშლის ხელს საკვების მოპოვებისას.

— დარვინისეული თეორიის სფეროში შევიჭერით და ჩნდება კითხვა, თუ რატომ არ იქცევიან ადამიანები სელაპებივით, — გაისმა კიდევ ერთი ხმა.

— როგორ არ იქცევიან! ჩვენი საზოგადოება არ არის ისეთი მონოგამიური, როგორიც ერთი შეხედვით ჩანს. და არასდროს ყოფილა ასეთი. შვედების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ბავშვების 15-20% სინამდვილეში არ არის ჩასახული იმ მამაკაცების მიერ, რომლებსაც ეს ბავშვები საკუთარ მამებად მიიჩნევენ და რომლებიც ამ ბავშვებს თავიანთ ბიოლოგიურ შვილებად აღიქვამენ. ოცი პროცენტი! ანუ ყოველი მეხუთე ბავშვი! ყოველი მეხუთე სიცრუეშია შობილი. და ასეთი შთამომავლობა ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას უზრუნველყოფს.

ჰარიმ რადიოს სიხშირის მაძიებელი დაატრიალა — იმ იმედით, რომ ნორმალურ მუსიკას იპოვიდა. არჩევანი ჯონი კეშის „დესპერადოზე" შეაჩერა.

კარზე მძლავრად დააკაკუნეს.

ჰარი საძინებელში შევიდა, ჯინსი ჩაიცვა, შემოსასვლელში გავიდა და კარი გააღო.

— ჰარი ჰოლე ბრძანდებით? — იკითხა კართან მდგარმა მამაკაცმა, რომელსაც მუშის კომბინეზონი ეცვა და სქელლინზებიანი სათვალე ეკეთა. ბავშვივით უმანკო თვალები ჰქონდა.

ჰარიმ თავი დაუქნია.

— სოკო გაქვთ? — მიახალა ჰარის უცნობმა სტუმარმა. თმის

---

[1] *უწესრიგო, შემთხვევითი სექსუალური კავშირი*

გრძელი ბღუჯა მის მთელ შუბლს კვეთდა და ეკვროდა. იღლიის ქვეშ პლასტმასის პლანშეტი ჰქონდა ამოჩრილი, რომელზეც კომპაქტურად შედგენილი ცხრილი იყო მიმაგრებული.

ჰარი ელოდა, რომ სტუმარი თავის შეკითხვას განმარტავდა, მაგრამ უცნობი ხმას აღარ იღებდა. უბრალოდ, სუფთა, გულღია გამოხედვით აკვირდებოდა ჰარის.

— ეს, მოკლედ რომ ვთქვათ, დელიკატური საკითხია, — თქვა ჰარიმ.

სტუმარმა გაჭირვებით გაიღიმა. აშკარად ჩანდა, რომ ეს ხუმრობა ძალიან ბევრჯერ ჰქონდა მოსმენილი და მოჰბეზრებოდა.

— ბინის სოკოს ვგულისხმობ. კედლის ობს.

— არა მაქვს მიზეზი ვიფიქრო, რომ მაქვს, — უპასუხა ჰარიმ.

— ასეთი თვისება აქვს ობს. იშვიათად აძლევს ადამიანს მიზეზს, იფიქროს, რომ არსებობს.

სტუმარმა პირი გააწკლაპუნა და ქუსლებზე დატრიალდა.

— მაგრამ? — ნელა თქვა ჰარიმ.

— მაგრამ არსებობს.

— რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?

— თქვენს მეზობელს აქვს.

— აჰა! და თქვენ გგონიათ, რომ შეიძლება გავრცელებულიყო?

— კედლის ობი კი არა, მშრალი სიდამპლე ვრცელდება.

— და მერე?

— ამ კორპუსში არსებულ სავენტილაციო სისტემას საწარმოო დეფექტი აქვს, რის გამოც მშრალი სიდამპლე ვრცელდება. შეიძლება, თქვენს სამზარეულოში შევიხედო?

ჰარიმ გზა დაუთმო. სტუმარი სამზარეულოში შევიდა და კედელს მაშინვე მიადო სტაფილოსფერი ფენის მსგავსი აპარა-

ტი, რომელმაც ორჯერ დაიწივლა.

— ნესტის დეტექტორია, — თქვა სტუმარმა და დააკვირდა იმ-ას, რაც წესით,ინდიკატორი უნდა ყოფილიყო, — ასეც ვიფიქ-რე. დარწმუნებული ხართ, რომ რაიმე უცნაური არ შეგინიშ-ნავთ? უჩვეულო სუნი ხომ არ გიგრძნიათ?

ჰარი კარგად ვერ მიხვდა, რა ხდებოდა.

— ისეთი ლაქები ხომ არ შეგინიშნავთ, როგორიც ძველ პურს აქვს ხოლმე? — არ ცხრებოდა მომხდური, — ან სიდამ-პლის სუნი ხომ არ გიგრძნიათ?

ჰარიმ თავი გააქნია.

— თვალები ხომ არ გტკივათ? — იკითხა სტუმარმა, — ხში-რად იღლებით? თავი გტკივათ ხოლმე?

ჰარიმ მხრები აიჩეჩა.

— რა თქმა უნდა, რაც თავი მახსოვს.

— ანუ მას შემდეგ, რაც აქ ცხოვრობთ?

— შესაძლოა. მისმინეთ...

მაგრამ სტუმარი არ უსმენდა. უცნობმა ქამრიდან დანა ამოიღო. ჰარიმ უკან დაიხია და თან თვალს ადევნებდა სტუ-მარს, რომელმაც შპალერით დაფარული მუყაოს კედლებს ძლიერად დაარტყა დანა. კვნესის მსგავსი ხმა გაისმა. უცნობ-მა კედლიდან დანა გამოაძრო, შემდეგ კიდევ ერთხელ დაარ-ტყა კედელს და მუყაოს ფხვიერი ნაჭერი ამოგლიჯა. კედელზე დიდი ნახვრეტი დარჩა. ამის შემდეგ პატარა ფარანი ამოიღო და კედლის ამოტეხილ ნაწილს მიანათა, შუბლი შეიჭმუხნა, ნახვრეტში ღრმად შეყო ცხვირი და ჰაერი შეისუნთქა.

— ზუსტად! — თქვა მან, — გამარჯობა, ბიჭებო.

— ვის ესალმებით? — იკითხა ჰარიმ და უცნობს მიუახლოვ-და.

— ასპერგილიუსს, — თქვა სტუმარმა, — ობის ნაირსახეობას.

სულ სამასი თუ ოთხასი სახეობის ობი არსებობს და მისი კონ-კრეტული სახეობის დადგენა ძალიან ძნელია, იმიტომ, რომ ამ მყარ ზედაპირს იმდენად თხელ ფენად ეკრობა, რომ უჩინარია, მაგრამ სუნი არასდროს მოგატყუებთ.

— ანუ პრობლემები მაქვს, ხომ? — იკითხა ჰარიმ და შეეცა-და, გაეხსენებინა, რამდენი ჰქონდა დარჩენილი ანგარიშზე მას შემდეგ, რაც მამამისთან ერთად სისის, თავისი უმცროსი დის ესპანური ვოიაჟი დააფინანსა. მის პატარა დაიკოს განსა-კუთრებული თავისებურება ახასიათებდა, რასაც თავად სისი „დაუნის სინდრომის ნაკვალევს" უწოდებდა.

— ნამდვილ მშრალ სიდამპლეს არ ჰგავს. სახლი არ ჩამო-ინგრევა, — თქვა უცნობმა, — მაგრამ თქვენ, სავარაუდოდ, პრობლემები შეგექმნებათ.

— მე?

— თუკი სინესტე თქვენზე ზემოქმედებს. კედლის ობით გაჯე-რებული ჰაერის სუნთქვით შეიძლება დაავადდეთ კიდეც. შე-იძლება, წლობით არ მიაქციოთ ყურადღება თქვენს საერთო სისუსტეს და გარშემო მყოფები ჩათვლიან, რომ უბრალო იპო-ქონდრია გჭირთ; იმიტომ, რომ ობის პოვნა ძალზე ძნელია დასახლის სხვა ბინადრები ჯანმრთელობას არ უჩივიან. საბო-ლოო ჯამში, მუყაოსა და შპალერს მავნებელი შეჭამს.

— ჰმ... რას მთავაზობთ?

— რა თქმა უნდა, ინფექციის ამოძირკვას.

— და მასთან ერთად, ალბათ, ჩემი საფულის შიგთავსის ამოძირკვასაც, არა?

— ამ პროცედურის ხარჯებს შენობის დაზღვევა დაფარავს. ამდენად, ერთი კრონიც კი არ დაგიჯდებათ. მხოლოდ ერთ რა-მეს ვითხოვ — მომდევნო რამდენიმე დღის მანძილზე ბინაში შესვლის შესაძლებლობა უნდა მქონდეს.

ჰარიმ სამზარეულოს კარადაში სათადარიგო გასაღებების ნაკრები იპოვა და სტუმარს გაუწოდა.

— მხოლოდ მე გამოვიყენებ, — თქვა უცნობმა, — ვალდებული ვიყავი, გამეფრთხილებინეთ, იმიტომ, რომ ათასი უცნაურობა ხდება ხოლმე.

— მართლა? — ღიმილით იკითხა ჰარიმ და ფანჯარას მიაჩერდა.

— რა თქვით?

— არაფერი, — თქვა ჰარიმ, — მაინც არაფერია აქ მოსაპარი. უნდა წავიდე.

* * *

დილის დაბალი მზე ოსლოს პოლიციის ცენტრალური ოფისის ყველა ფანჯრის მინას აბდღვრიალებდა. ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე ამ უწყების მთავარი შტაბბინა გრიონლანდსლეირეტის ქუჩის რაიონში მდებარე ქედის მწვერვალზე მდებარეობდა. აქედან პოლიციის ოფისი აღმოსავლეთ ოსლოს კრიმინალურ რაიონებთანაც ახლოს იყო (რაც თავიდანვე გათვალისწინებული არ ყოფილა);

ძველი ლუდსახარშის ტერიტორიაზე მდებარე საპატიმრო კი უშუალოდ პოლიციის მეზობლად იდგა. პოლიციის განყოფილების შენობა ყავისფერი დამჭკნარი გაზონითა და ცაცხვის თუ ნეკერჩხლის ხეებით იყო გარშემორტყმული, რომელიც ღამით მონაცრისფრო-თეთრი თოვლით დაფარულიყო, რის გამოც ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ პარკი ხარახურით იყო სავსე.

ჰარი ასფალტის შავი ბილიკითა და შენობის მთავარი შესასვლელით ცენტრალურ დარბაზში მოხვდა, სადაც კარი კრისტენსენის[2] ფაიფურის ბარელიეფს შადრევნის წყალი ეჭორავებოდა. კარისკაცს თავი დაუკრა და მეშვიდე სართულზე ავიდა, მკვლელობათა განყოფილებაში. თითქმის ექვსი თვის წინ დააწინაურეს და წითელ ზონაში გაამწესეს, მაგრამ ჰარი მაინც იმ დახურულ, უფანჯრო ოთახში შედიოდა, რომელსაც ადრე ოფიცერ ჯეკ ჰალვორსენთან იყოფდა. ახლა იქ მაგნუს სკარე იჯდა, ჯეკ ჰალვორსენი კი ვესტე-აკერის სასაფლაოს ცივ მიწაში იწვა. თავიდან მის მშობლებს სურდათ, ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში, მის მშობლიურ ქალაქში დაესაფლავებინათ (იმიტომ, რომ ჯეკი და კრიმინალისტიკის დეპარტამენტის შეფი, ბეატე ლიონი, არ იყვნენ დაქორწინებულნი. ერთადაც კი არ ცხოვრობდნენ), მაგრამ მოგვიანებით გაიგეს, რომ ბეატე ორსულად იყო და ზაფხულში ჯეკის შვილი უნდა დაბადებულიყო. აქედან გამომდინარე, გადაწყვიტეს, ჯეკი ოსლოში დაეკრძალათ.

ჰარი ახალ კაბინეტში შევიდა, რომელიც მისთვის ყოველთვის ახალი იქნებოდა. დარწმუნებული იყო ამაში. დაახლოებით ისეთივე სიტუაცია იყო, როგორიც საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას" საშინაო სტადიონის შემთხვევაში, რომელსაც უკვე ორმოცდაათი წელია, რაც „კამპ ნოუ", ანუ „ახალი სტადიონი" ჰქვია. ჰარი სავარძელში ჩაჯდა, რადიო ჩართო და თაროზე განთავსებულ ფოტოებს თავი დაუკრა. ოდესმე, როდესაც არ დაავიწყდება სურათების დასამაგრებელი ქინძისთავების ყიდვა, ეს ფოტოსურათები კედლებზე დაიკიდება. ელენ იელტენის, ჯეკ ჰალვორსენისა და ბიარნე მიოლერის ფოტოე-

---

[2] *კანადელი მხატვარი*

ბი. ქრონოლოგიური მიმდევრობით განათავსებს. „მკვდარი პოლიციელების საზოგადოება".

რადიოში ნორვეგიელი პოლიტიკოსები და სოციოლოგები ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებს აფასებდნენ. ჰარიმ არვე სტიოპის ხმა იცნო. სტიოპის ჟურნალი „ლიბერალი" პოპულარობით სარგებლობდა, თავად არვე კი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი, კადნიერი და საინტერესო ოფინიონმეიქერი[3] იყო. ჰარიმ რადიომიმღებს აუწია და ახალი მერხიდან „პირლესის" მარკის ხელბორკილები აიღო. ხელბორკილების სწრაფად გაკეთებაში ვარჯიშობდა და ამისთვის მაგიდის ფეხს იყენებდა, რომელიც ასეთი მოპყრობისგან სულ მთლად გაისხიპა.

ხელბორკილების ოსტატურად დადება ჩიკაგოში, ფედერალური საგამოძიებო ბიუროს კურსებზე შეისწავლა და ეს უნარი სრულყოფილებამდე აიყვანა კაბრინი-გრინის უბნის ბინძურ საერთო საცხოვრებელში, სადაც კონფლიქტური და მყვირალა მეზობლების გარემოცვაში მხოლოდ „ჯიმ ბიმი" უწევდა ხოლმე კომპანიონობას. დაპატიმრებულისთვის სწრაფად უნდა დაედო გახსნილი ხელბორკილი მაჯაზე და საკეტი ელვისებურად ჩაეკეტა. ძალისა და სიზუსტის სწორი გადანაწილების შემთხვევაში შესაძლებელია, ხელის ერთი მარტივი მოძრაობით წამში დაბორკოთ პატიმარი — ისე, რომ ვერც კი მოასწროს გონს მოსვლა. ჰარის არასდროს გამოუყენებია ეს ილეთი და მხოლოდ ერთხელ ნახა, სერიული მკვლელის დაკავებისას.

ხელბორკილი მაგიდის ფეხს შემოესალტა, რადიომიმღებიდან კი ასეთი საუბარი გაისმა:

---

[3] *პირი, რომელიც აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს*

— არვე სტიოპ, თქვენი აზრით, რითი აიხსნება ნორვეგიელების სკეპტიკური დამოკიდებულება ჯორჯ ბუშის მიმართ?

— იმით, რომ ჩვენ ძალიან გაზულუქებული ქვეყანა ვართ, რომელიც არასდროს ყოფილა ჩართული რომელიმე საომარ მოქმედებაში. ყოველთვის გვერჩივნა, ჩვენ ნაცვლად ინგლისს, საბჭოთა კავშირსა და ამერიკას ეომათ. დიახ, ნაპოლეონის ომების შემდეგ ჩვენი უფროსი ძმების ზურგს უკან ვიმალებით. ნორვეგიამ საკუთარი უსაფრთხოება იმაზე დააფუძნა, რომ როდესაც პრობლემები ჩნდება, საკითხის მოგვარების პასუხისმგებლობას ვინმე სხვა იღებს. და ეს იმდენად დიდხანს გრძელდება, რომ რეალობის შეგრძნება დავკარგეთ, და გულუბრყვილოდ გვჯერა, რომ ამქვეყნად მხოლოდ ისინი ცხოვრობენ, ვისაც ჩვენთვის, მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ქვეყნისთვის, მხოლოდ სიკეთე უნდა. ნორვეგია ყბედ, უტვინო ქერა ქალს ჰგავს, რომელიც ბრონქსის კვარტალებში დაიკარგა და აღშფოთებულია იმით, რომ მისი პირადი მცველი სასტიკად ეპყრობა ვიღაც სალახანებს.

ჰარიმ რაკელის ნომერი აკრიფა. სისის ტელეფონს თუ არ ჩავთვლით, ეს იყო ერთადერთი ნომერი, რომელიც ზეპირად ახსოვდა. როდესაც ახალგაზრდა და გამოუცდელი იყო, ეგონა, ცუდი მეხსიერება დეტექტივისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენდა, მოგვიანებით კი დარწმუნდა, რომ არ ცდებოდა.

— „პირად მცველში", ალბათ, ბუშსა და შეერთებულ შტატებს გულისხმობთ, — თქვა წამყვანმა.

— დიახ. ლინდონ ბ. ჯონსონმა ერთხელ განაცხადა, შეერთებულ შტატებს ეს როლი არ აურჩევიაო, მაგრამ მიხვდა, რომ ამ საქმეს სხვა არავინ ითავებდა და მართალიც გამოდგა. ჩვენი პირადი მცველი ხელმეორედ დაბადებული ქრისტიანია,

მელსაც ოიდიპოსის კომპლექსი[4], ალკოჰოლიზმი, ინტელექტუალური შეზღუდულობა და უუნარობა საშუალებას არ აძლევს, ღირსეულად მოიხადოს სამხედრო ვალდებულება. მოკლედ რომ ვთქვათ, დღეს კიდევ ერთხელ აირჩევენ პრეზიდენტად იმ ბიჭს, რომელიც ჩვენ უნდა მოგვწონდეს.

— თქვენს განცხადებაში ირონია იგრძნობა.

— სულაც არა. ასეთი სუსტი პრეზიდენტი თავის მრჩევლებს მოუსმენს, თეთრ სახლს კი, მერწმუნეთ, ნამდვილად საუკეთესო მრჩევლები ჰყავს. ოვალური კაბინეტის შესახებ გადაღებული იმ სასაცილო სერიალის ნახვის შემდეგ ვინმეს შეიძლება გაუჩნდეს მოსაზრება, რომ მხოლოდ დემოკრატებს შორის მოიძებნებიან ჭკვიანი ფუნქციონერები, მაგრამ, რაც უნდა საოცარი იყოს, სწორედ რესპუბლიკელთა ულტრამემარჯვენე ფრთაში იპოვით ყველაზე ჭკვიან ადამიანებს. ნორვეგიის უსაფრთხოება ძალიან საიმედო ხელშია.

***

— ჩემი დაქალის დაქალს შენთან სექსი ჰქონდა.

— მართლა? — იკითხა ჰარიმ.

— შენ არა, — თქვა რაკელმა, — სხვას ველაპარაკები. სტიოპს.

— უკაცრავად, — თქვა ჰარიმ და რადიომიმღებს ჩაუწია.

---

[4] ტერმინი, რომელიც ფსიქოანალიზში ზიგმუნდ ფროიდმა დაამკვიდრა, ნიშნავს ბისექსუალურ მდგომარეობას, ბავშვის გაუთვითცნობიერებელი ეროტიკული ლტოლვას საპირისპირო სქესის მშობლისადმი

— ტრონჰეიმში გამართული ლექციის შემდეგ თავის ოთახში მიიწვია. ქალი დაინტერესდა, მაგრამ უთხრა, მასტექტომია მაქვს გაკეთებულიო. სტიოპმა თქვა, დავფიქრდებიო და ბარს მიაშურა. შემდეგ დაბრუნდა და თან წაიყვანა.

— ჰმ... იმედია, მოლოდინი გაუმართლა.

— მოლოდინი არასდროს მართლდება.

— მართლაც, — უპასუხა ჰარიმ. ვერ ხვდებოდა, რაზე საუბრობდნენ.

— ამ საღამოს რას აკეთებ? — იკითხა რაკელმა, — რვა საათზე „პალას გრილში" არ იქნებოდა ცუდი... თუმცა... რა ცუ

დია, მაგიდის დაჯავშნის საშუალება რომ არაა.

— ალბათ, ეს წესი დაწესებულებას პრესტიჟულობას სძენს.

გადაწყვიტეს, ერთმანეთს შორიახლო მდებარე ბარში შეხვედროდნენ. ჰარიმ ყურმილი დაკიდა და ჩაფიქრდა. ქალს ან ესიამოვნა მისი ზარი, ან უბრალოდ, კარგად იყო. კარგად და მხიარულად. ჰარი შეეცადა, განესაზღვრა, უხაროდა თუ არა, რომ ქალმა, რომელიც ასე უყვარდა, ბედნიერება სხვა მამაკაცთან პოვა. თავის დროზე, მასაც ჰქონდა შანსი. და ხელიდან გაუშვა. მაშ, რატომ არ უნდა გახარებოდა, რომ რაკელს ცხოვრება აეწყო? რატომ არ უნდა მოეშორებინა თავიდან აზრი, რომ შესაძლებელი იყო, მათი ურთიერთობა სხვაგვარად განვითარებულიყო? რატომ არ უნდა დაეწყო საკუთარი ცხოვრებით ცხოვრება?! ჰარიმ საკუთარ თავს პირობა მისცა, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად უფრო მეტს იმუშავებდა.

დილის თათბირი მალე დასრულდა. მკვლელობათა განყოფილების უფროსმა, კომისარმა გუნარ ჰაგენმა მიმდინარე საქმეებზე ილაპარაკა და, გამომდინარე იქიდან, რომ ახალი საქმეები არ ჰქონდათ, ვერც თანამშრომლები დააინტერესა, და ვერც ის ჟურნალისტები, რომლებიც ამ კრებას ესწრებოდნ-

ენ. თუმცა უგზოუკვლოდ დაკარგულთა სამძებრო განყოფილების თანამშრომელმა თომას ჰელემ წარმოადგინა იმ ქალის საქმესთან დაკავშირებული ანგარიში, რომელიც შარშან საკუთარ სახლში გაუჩინარდა. დიასახლისი იყო. ბოლოს საბავშვო ბაღში ნახეს, სადაც ვაჟი და ქალიშვილი მიიყვანა. ქმარსაც და ყველა ნაცნობსაც უდანაშაულობის დამადასტურებელი საბუთები ჰქონდათ. თითოეული მათგანის ალიბი დიდი ხნის წინ გადამოწმდა. ჰელეს ურჩიეს, ამ საქმეზე მკვლელობათა განყოფილებაში მისულიყო კონსულტაციაზე.

მაგნუს სკარემ გამოაცხადა, სტოლე ეუნემ (საშტატო ფსიქოლოგმა, რომელიც გუშინ ულევოლის საავადმყოფოში მოინახულა) ყველანი მოგიკითხათო. ჰარიმ სინდისის ქენჯნა იგრძნო. სტოლე ეუნე არა მხოლოდ ჰარის თანამშრომელი, არამედ მისი უახლოესი და ერთგული მეგობარიც იყო და ალკოჰოლთან ბრძოლის საქმეში ჰარის პირადი სეკუნდანტის როლს ასრულებდა. ერთ კვირაზე მეტი დრო იყო გასული მას შემდეგ, რაც ეუნე გაურკვეველი დიაგნოზით მოათავსეს საავადმყოფოში, ჰარის კი ჯერ კიდევ ვერ დაემარცხებინა ის ზიზღი, რომელსაც საავადმყოფოების მიმართ გრძნობდა.

„ოთხშაბათს აუცილებლად ვნახავ, — გაიფიქრა ჰარიმ, — ან ხუთშაბათს".

— გაიცანით ჩვენი ახალი თანამშრომელი, — განაცხადა გუნარ ჰაგენმა, — კატრინ ბრატი.

პირველ რიგში მჯდომი ახალგაზრდა ქალი მექანიკურად წამოდგა, მაგრამ არ გაუღიმია. ძალიან მიმზიდველი იყო.

„მიმზიდველია, მაგრამ არ ცდილობს, იყოს", — გაიფიქრა ჰარიმ. ძალიან თხელი თმა უსიცოცხლოდ ეკიდა სახის ორივე მხარეს. დახვეწილი ნაკვთები და სერიოზული, თითქმის დაღლილი ადამიანის გამომეტყველება ჰქონდა. ჰარის ადრეც

შეხვედრიან ასეთი იერის ქალები — ენით აუწერელი ლამაზმანები, რომლებიც იმდენად მიეჩვივნენ, რომ ყველა მათ უყურებს, აღარც უხარიათ ეს ყურადღება და არც სწყინთ. კატერინა ბრატს ლურჯი კაბა ეცვა, რაც მის ქალურობას უსვამდა ხაზს, მაგრამ სქელი შავი კოლგოტი და საზამთრო ჩექმები ამტკიცებდა, რომ ტანსაცმელს თუ ფეხსაცმელს საკეკლუცოდ არ არჩევდა. ქალმა თათბირზე შეკრებილებს თვალი გადაავლო. თითქოს იმიტომ ადგა, რომ თავად დაეთვალიერებინა ეს ადამიანები და არა იმიტომ, თვითონ წარმდგარიყო მათ წინაშე. ჰარი ხვდებოდა, რომ კატრინმა უმცირეს დეტალებამდე გათვალა თავისი კოსტიუმიცა და მთელი ეს პატარა სპექტაკლიც — თავისი პირველი სამუშაო დღე.

— კატრინმა ოთხი წელი იმუშავა ბერგენის პოლიციის მთავარ სამმართველოში. ძირითადად, ზნეობრივი ნორმების დარღვევის შემთხვევების აღსაკვეთად მუშაობდა, მაგრამ კრიმინალისტური პოლიციის რაზმშიც აქვს ნამუშევარი, — განაგრძო ჰაგენმა და თან რაღაც ფურცელს უყურებდა. ჰარიმ ივარაუდა, რომ განყოფილების უფროსი კატრინის CV-ს კითხულობდა, — 1999 წელს დაამთავრა ბერგენის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი, შემდეგ პოლიციის კოლეჯი და ახლა ჩვენი განყოფილების ოფიცერია. ამჟამად შვილები არა ჰყავს, მაგრამ გათხოვილია.

კატრინ ბრატმა ცალი წვრილი წარბი შეუმჩნევლად ასწია. ჰაგენმა ან დაინახა ქალის ჟესტი, ან უბრალოდ მიხვდა, რომ მიქარა და დაამატა:

— ინფორმაცია დაინტერესებულ პირთათვის.

განყოფილების უფროსის ნათქვამს დაძაბული და მრავალმნიშვნელოვანი პაუზა მოჰყვა. სავარაუდოდ, ჰაგენმა ჩათვალა, რომ კიდევ უფრო არასწორად მოიქცა, ორჯერ ხელოვნუ-

რად ჩაახველა და აღნიშნა, რომ მათ, ვინც საშობაო დღესასწაულისთვის არ ჩაეწერნენ, ამის გაკეთება ოთხშაბათამდე შეეძლოთ.

სკამების ჭრიალის ხმა გაისმა. ჰარი უკვე კორიდორში იყო, როდესაც უკნიდან ხმა შემოესმა:

— ნაწილობრივ თქვენ გეკუთვნით.

ჰარი მოტრიალდა და კატრინ ბრატის სახე დაინახა.

„ნეტავ რამდენად მიმზიდველი იქნება, თუკი შეეცდება, იყოსო“, გაიფიქრა კაცმა.

— ან თქვენ მეკუთვნით მე, — თქვა და ჩაწიკწიკებული კბილები გამოაჩინა, თუმცა მის თვალებს ღიმილი არ გაჰკარებია, — გააჩნია, რა კუთხით შეხედავთ.

ლიტერატურულ ნორვეგიულ ენაზე ლაპარაკობდა, მაგრამ ბერგენული აქცენტი ჰქონდა. ბგერა „რ”-ს ზომიერად აგრძელებდა, რის გამოც ჰარიმ ივარაუდა, რომ წარმოშობით ფანიდან, კალფარეტიდან ან სოლიდური საშუალო კლასის რომელიმე სხვა უბნიდან იყო.

ჰარიმ გზა განაგრძო და კატრინი შეეცადა, დასწეოდა.

— როგორც ჩანს, სუპერინტენდანტს თქვენი ინფორმირება დაავიწყდა.

კატრინმა გუნარ ჰაგენის წოდების აღმნიშვნელი ტერმინის ყველა მარცვალი მსუბუქი მახვილით გამოკვეთა.

— მაგრამ სწორედ თქვენ უნდა გამარკვიოთ აქაურ წესებში და მომდევნო რამდენიმე დღის მანძილზე ჩემზე უნდა იზრუნოთ. ვიდრე ფეხს ავუწყობ აქაურობას. როგორ გგონიათ, გაართმევთ თავს ამ მოვალეობას?

ჰარის გაეღიმა. ჯერჯერობით, მოსწონდა კატრინი, მაგრამ შეეძლო აზრიც შეეცვალა. ჰარი ყოველთვის მზად იყო, მის პირად შავ სიაში მოსახვედრად კიდევ ერთი შანსი მიეცა ადამი-

ანებისთვის.

— არ ვიცი, — ჰარი ყავის ავტომატთან გაჩერდა, — მოდი, ამით დავიწყოთ.

— მე არ ვსვამ ყავას.

— მაგას მნიშვნელობა არა აქვს. ეს თავისთავად იგულისხმება. ისევე როგორც ყველაფერი, რაც აქ არის. რას ფიქრობთ დაკარგულ ქალზე?

ჰარიმ იმ ღილაკს დააჭირა, რომელსაც „ამერიკანო" ეწერა, თუმცა ამ ავტომატისთვის ეს ბრძანება უბრალოდ ხსნად ნორვეგიულ ყავას ნიშნავდა.

— რას გულისხმობთ? — ჰკითხა ბრატმა.

— როგორ გგონიათ, ცოცხალია? — ჰარი შეეცადა, ეს კითხვა ძალიან ჩვეულებრივი კილოთი დაესვა, — რათა კატრინი ვერ მიმხვდარიყო, რომ გამოცდას უწყობდნენ.

— სულელი გგონივართ? — შეკითხვას შეკითხვითვე უპასუხა და დაუფარავი ზიზღით დააკვირდა ხრინწიანი ხმით მომუშავე ავტომატს, რომელიც თეთრი პლასტმასის ჭიქას შავი სითხით ავსებდა, — ნუთუ ვერ გაიგონეთ სუპერინტენდანტის ნათქვამი, რომ ოთხი წლის მანძილზე სექსუალურ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების გამოძიების რაზმში ვმუშაობდი?

— ჰმ... მაშ, მკვდარია? — იკითხა ჰარიმ.

— რა თქმა უნდა! — თქვა ქალმა.

ჰარიმ თეთრი ჭიქა ასწია. არ არის გამორიცხული, რომ დღეს აღმოვაჩინე კოლეგა, რომელიც ჩემს პატივისცემას დაიმსახურებსო, გაიფიქრა მან.

საღამოს, როდესაც ჰარი შინ ბრუნდებოდა, ქუჩებში და ქვაფენილებზე თოვლი აღარ იდო, პატარა ფანტელებს კი სველი ასფალტი შეხებისთანავე ნთქავდა. აკერს-გატეში თავის საყვარელ მუსიკალურ მაღაზიაში შევიდა და ნილ იანგის უახლე-

სი ჩანაწერი იყიდა. ვარაუდობდა, რომ არაფრად ივარგებდა, მაგრამ მაინც იყიდა.

როგორც კი გააღო ბინის კარი, მაშინვე შენიშნა, რომ რაღაც შეცვლილიყო. უჩვეულო ხმა მოესმა. ან უცნაური სუნი იგრძნო.

სამზარეულოს კართან მისული გაშეშდა. იქ, სადაც ჯერ კიდევ დილით ყვავილებით მოხატული ღია ფერის შპალერი მუყაოს კედელს ფარავდა, ჟანგისფერი აგურები, ნაცრისფერი ბეტონი და ლურსმნების ნახვრეტებით დაფარული მოყვითალო-ტალახისფერი კარკასი იყო აღმართული. იატაკზე ობის სპეციალისტის ინსტრუმენტებით სავსე ყუთი იდო, სამზარეულოს მაგიდაზე კი — ბარათი. წერილში ეწერა, რომ ოსტატი ხვალ დილით დაბრუნდებოდა.

ჰარი სასტუმრო ოთახში გავიდა, ნილ იანგის დისკი ჩართო და თხუთმეტ წუთში დარწმუნდა, რომ ძალიან არ მოსწონდა. გადაწყვიტა, რაიან ადამსისთვის მოესმინა. მოულოდნელად დალევის სურვილი გაუჩნდა. თვალები დახუჭა და მოცეკვავე სისხლიან, შავ სიცარიელეს მიაჩერდა.

რაიან ადამსის „Shakedown on 9th Street” ტელეფონის ზარმა ჩაახშო.

ქალმა უთხრა, რომ უდა ერქვა, ტელეშოუ bosse-დან რეკავდა და მისთვის სასიამოვნო იყო ჰარისთან კიდევ ერთხელ საუბარი. ჰარი ვერ იხსენებდა ამ ქალს, მაგრამ ის სატელევიზიო შოუ გაახსენდა. სთხოვდნენ, სერიულ მკვლელებზე ესაუბრა, იმიტომ, რომ ის ერთადერთი ნორვეგიელი პოლიციელი იყო, რომელსაც ფედერალური საგამოძიებო ბიუროს კურსები ჰქონდა დამთავრებული. მეტიც, მას ნამდვილი სერიული მკვლელი ჰყავდა დაჭერილი. იმდენად სულელი აღმოჩნდა, რომ დათანხმდა. საკუთარ თავს არწმუნებდა, გადაცემაში მო-

ნაწილეობაზე იმიტომ დავთანხმდი, რომ რაღაც მნიშვნელოვანი მეთქვა, და არა იმიტომ, ქვეყნის ყველაზე პოპულარულ ტოქშოუში გამოვჩენილიყავიო. რა თქმა უნდა, მოგვიანებით ამაში უკვე აღარ იყო დარწმუნებული. მაგრამ ეს ყველაზე ცუდი არაა, რაც შეემთხვა. ყველაზე ცუდი ის არის, რომ გადაღებამდე ჰარიმ გადაწყვიტა, ცოტა დაელია. ზუსტად ახსოვდა, რომ ერთი ჭიქა დალია, მაგრამ ეკრანზე ისე ჩანდა, თითქოს ხუთი ჭიქა ჰქონოდა გადახუხული. გამართულად მეტყველებდა. საერთოდაც, ენა არასდროს დაჰბმია, მაგრამ დაბინდული მზერა ჰქონდა, ბანალურად მსჯელობდა და ძირითადი აზრი ვერ ჩამოაყალიბა; ამიტომ წამყვანი იძულებული გახდა, მაყურებლისთვის სხვა სტუმარი წარედგინა, რომელიც ევროპის ახალი ჩემპიონი აღმოჩნდა თაიგულების შედგენაში. ჰარის არაფერი უთქვამს, მაგრამ მისი სხეულის ენა აშკარად გამოხატავდა მის დამოკიდებულებას ყვავილების შესახებ გამართული დებატებისადმი, ხოლო, როდესაც წამყვანმა ფარული ღიმილით იკითხა, რა დამოკიდებულება აქვს მკვლელობების გამომძიებელს ყვავილების თაიგულის შეკვრისადმიო, ჰარიმ განაცხადა, რომ ნორვეგიულ საფლავებზე დაწყობილი თაიგულები ყოველთვის უმაღლეს ევროპულ სტანდარტებს შეესაბამება. როგორც ჩანს, სწორედ ჰარის ასეთმა დაუდევარმა, დაბნეულმა მანერებმა გაამხიარულა სტუდიაში შეკრებილი საზოგადოება და გადამღები ჯგუფის წევრებიც იმავე მიზეზით უტყაპუნებდნენ ბეჭებზე ხელებს. კარგი პერფორმანსი გქონდაო, ასე უთხრეს. გადაცემის შემდეგ ჰარი ტელევიზიის თანამშრომლებს შეუერთდა „ხელოვანთა სახლში" და მათთან ერთად იმდენი სვა, რომ მეორე დღეს, როდესაც გაიღვიძა, მისი ყველა უჯრედი სასმლის დამატებას ითხოვდა. პარასკევი იყო და ამიტომ უქმეებზე ჭიქა არ გაუგდია ხელიდან. ბოლოს ბარ

„შრიოდერში” იჯდა და ყვირილით ითხოვდა ლუდს, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების მენეჯერები თანდათან აქრობდნენ ნათურებს — იმ იმედით, რომ ამ გზით კლიენტებს წასვლისკენ უბიძგებდნენ. მიმტანმა რიტამ ჰარის უთხრა, თუ კი ახლავე არ წახვალ ბარიდან (სასურველია, საკუთარ საძინებელში), აქ აღარასოდეს შემოგიშვებთო.

ორშაბათს ჰარი ზუსტად რვა საათზე სამუშაოდ მზად იყო. დეპარტამენტისთვის სასარგებლო არაფერი გაუკეთებია — დილის თათბირის შემდეგ პირსაბანში არწყია, ოფისის სკამზე ჩამოჯდა, ყავა დალია, მოსწია და კიდევ ერთხელ არწყია. ამჯერად უნიტაზში. და ეს ბოლო შემთხვევა იყო. მას შემდეგ ალკოჰოლის ერთი წვეთიც კი აღარ დაულევია.

და ახლა ისევ უხმობდნენ ეკრანზე.

მისმა თანამოსაუბრემ აღნიშნა, რომ გადაცემა არაბულ ქვეყნებში არსებულ ტერორიზმს ეხებოდა და იმას, თუ რა აქცევს საშუალო კლასის განათლებულ ადამიანებს მკვლელობის მანქანებად. ჰარიმ ქალს სათქმელის დასრულებაც არ აცალა:

— არა.

— ძალიან გვინდა, გვესტუმროთ. თქვენ ხომ... თქვენ... ნამდვილი როკვარსკვლავი ხართ!

ქალმა გულიანად გაიცინა. ჰარი არ იყო დარწმუნებული ამ სიცილის გულწრფელობაში, მაგრამ ახლა კი ეცნო თანამოსაუბრის ხმა. იმ დღეს „ხელოვანთა სახლში” ეს ქალიც მისი თანამეინახე იყო. მოსაწყენად ლამაზი, ახალგაზრდული გარეგნობა ჰქონდა, მოსაწყენად, ახალგაზრდულად ლაპარაკობდა და ჰარის მშიერი თვალებით ჭამდა, როგორც ეგზოტიკურ კერძს. ნეტავ ძალიან ეგზოტიკური ვარ თუ არაო, გაიფიქრა ჰარიმ.

— ვინმე სხვა მიიწვიეთ, — თქვა და ყურმილი დაკიდა. და მოესმა, როგორ იკითხა რაიან ადამსმა: „Oh, baby, why do I miss you like I do”[5]

* * *

ბიჭმა მის გვერდით, სამზარეულოს მაგიდასთან მდგარ კაცს ახედა. თოვლით დაფარული ბაღიდან შემოსული სინათლე მამამისის მასიური თავის უთმო კანზე ირეკლებოდა. დედიკოს თქმით, მამა ჭკუის კოლოფი იყო და ამიტომ ჰქონდა ამხელა თავი. და როცა ბიჭუნამ დედას ჰკითხა, რატომ თქვი, რომ მამა წარსულში ჭკუის კოლოფი იყო, და არა ჭკვიანიო, დედამ გაიცინა, შვილს შუბლზე წკიპურტი ჰკრა და უთხრა, ფიზიკის ყველა პროფესორი ასეთიაო. ამწუთას ჭკუის კოლოფი კარტოფილს რეცხავდა და პირდაპირ ქვაბში ყრიდა.

— მამ, კარტოფილს არ გაფცქვნი? დედა ყოველთვის...

— დედაშენი აქ არ არის, იუნას. ასე რომ, ჩემებურად გავაკეთებ.

ხმისთვის არ აუწევია, მაგრამ მის ნათქვამში გაღიზიანება იგრძნობოდა, რამაც იუნასი აიძულა, გაჩუმებულიყო. ზუსტად არასდროს იცოდა, რა აბრაზებდა ასე ძალიან მამამისს. ხშირად ვერც კი ხვდებოდა, რომ მამამისი უკვე გაბრაზებული იყო. მხოლოდ მაშინ ხვდებოდა, როდესაც დედა შეწუხებული იერით მუწავდა პირს, რაც მამას კიდევ უფრო მეტად აღიზიანებდა. იუნასი მოუთმენლად ელოდებოდა დედას.

— მა, ჩვენ აიმ თეფშებს არ ვიყენებთ ხოლმე!

მამამ კარადის კარი ძლიერად მოიჯახუნა და იუნასმა ტუჩი მოიკვნიტა.

---

[5] *ძვირფსო, რატომ მენატრები ასე ძალიან (ინგლ)*

მამამისის სახე მიუახლოვდა. სათვალის ოთხკუთხა, ქაღალდივით თხელი მინები აბდღვრიალდა.

— რამდენჯერ გითხარი — სწორი ფორმაა „აი, იმ თეფშებს” და არა „აიმ თეფშებს”.

— დედა კი...

— დედა არასწორად მეტყველებს. გესმის? დედიკო ისეთი ადგილიდან და ოჯახიდანაა, სადაც მართლმეტყველება არავის აღელვებს.

მამას მლაშე, დამპალი წყალმცენარეების სუნი ამოსდიოდა პირიდან. ვიღაცამ კარი მოიჯახუნა.

— გამარჯობა! — მოისმა შემოსასვლელიდან დედის ხმა.

იუნასს სურდა, დედას შეჰგებებოდა, მაგრამ მამამ მხარში სტაცა ხელი და მაგიდაზე ანიშნა, რომელიც ჯერ არ იყო გაწყობილი.

— რა ყოჩაღები ხართ!

იუნასმა სამზარეულოს კარში მდგარი დედის სუნთქვაშეკრულ ხმაში ღიმილი იგრძნო და ცდილობდა, რაც შეიძლება სწრაფად დაეწყო მაგიდაზე ჭიქები და დანა-ჩანგალი.

— და რამხელა თოვლის კაცი გაგიკეთებიათ!

გაოცებული იუნასი დედისკენ შებრუნდა. ქალი პალტოს ღილებს იხსნიდა. ძალიან მიმზიდველი იყო. მუქი კანი და მუქი თმა ჰქონდა — ისევე, როგორც იუნასს. და ეს ნაზი, ნაზი თვალები! თითქმის ყოველთვის ასეთი თვალები ჰქონდა. ისეთი გამხდარი აღარ იყო, როგორც იმ ფოტოებზე, რომლებიც დედამ და მამამ ქორწინების დღეს გადაიღეს, მაგრამ იუნასი ამჩნევდა, როგორ აყოლებდნენ კაცები მზერას მაშინ, როდესაც ის და დედა ქალაქში დასეირნობდნენ.

— ჩვენ არ გაგვიკეთებია თოვლის კაცი, — თქვა იუნასმა.

— არა?—დედამ შუბლი შეიჭმუხნა და დიდი ვარდისფერი შა-

რფი მოიხსნა, რომელიც მან საშობაოდ აჩუქა.

მამა ფანჯარას მიუახლოვდა.

— ალბათ, მეზობლის ბავშვებმა გააკეთეს.

იუნასი სკამზე შედგა და გარეთ გაიხედა. მართლაც, გაზონის შუაში, პირდაპირ მათი სახლის წინ, დიდი თოვლის კაცი იდგა. თვალებისა და პირის ადგილზე კენჭები მოუჩანდა, ცხვირი კი სტაფილოსგან გაეკეთებინათ. შლაპა და შარფი არ ჰქონდა. მხოლოდ ერთი ხელი ება. იუნასი მიხვდა, რომ თოვლის კაცის ხელი ღობეს მოაგლიჯეს. უცნაური იყო ისიც, რომ თოვლის კაცი არასწორად იდგა.

იუნასი ვერ ახსნიდა, რა იყო შეუსაბამოდ, მაგრამ გრძნობდა, რომ თოვლის კაცი პირით გზისკენ, ღია სივრცისკენ უნდა დაედგათ.

— და რატომ... — წამოიწყო ბიჭმა, მაგრამ მამამ შეაწყვეტინა:

— მე დაველაპარაკები.

— რისთვის? — იკითხა შემოსასვლელში მყოფმა დედამ. ისეთი ხმა ისმოდა, რომ, სავარაუდოდ, ტყავის მაღალი შავი ჩექმების ელვაშესაკრავებს იხსნიდა, — მათთან საუბარი არაფერს მოგვცემს.

— არ მინდა, ჩემს მიწაზე ვიღაც დაეხეტებოდეს. დავბრუნდები და დაველაპარაკები.

შემოსასვლელში დედამ ამოიოხრა.

— როდის დაბრუნდები, ძვირფასო?

— ხვალ.

— რომელ საათზე?

— რა მოხდა? პაემანი გაქვს დანიშნული? — ისეთი ხელოვნური სიმშვიდით იკითხა მამამ, რომ იუნასი გაისუსა.

— მინდა, შენს მოსვლამდე სადილი მზად მქონდეს, — თქვა

დედამ. ქალი სამზარეულოში შევიდა, ქვაბში ჩაიხედა და ცეცხლს აუწია.

— უბრალოდ მოამზადე, — თქვა მამამ და სამზარეულო მაგიდაზე დახვავებულ გაზეთებს მიუბრუნდა, — და როცა შევძლებ, მაშინ მოვალ.

—კარგი, — თქვა დედიკომ, მამიკოს უკნიდან მიუახლოვდა და ჩაეხუტა, — მაგრამ აუცილებლად ამაღამ უნდა წახვიდე ბერგენში?

— ხვალ რვა საათზე მაქვს ლექცია. თვითმფრინავის აეროპორტში დაშვების შემდეგ ერთი საათი მჭირდება იმისთვის, რომ უნივერსიტეტამდე მივაღწიო, ასე რომ, კარგი იქნება, თუ კი ხვალ პირველივე რეისს ავირჩევ.

იუნასი მამამისის კისრის კუნთებს აკვირდებოდა და ხვდებოდა, რომ კაცი ისვენებდა. დედიკომ ამჯერადაც შეძლო სათანადო სიტყვების გამონახვა.

— რატომ უყურებს თოვლის კაცი ჩვენს სახლს? — იკითხა ბიჭმა.

— წადი, ხელები დაიბანე, — თქვა დედამ.

ჭამის დროს ხმას არ იღებდნენ. სიჩუმეს მხოლოდ დედიკოს მოკლე კითხვები არღვევდა იმის შესახებ, თუ როგორ ჩაიარა დღემ სკოლაში, რასაც იუნასი ლაკონიური, ბუნდოვანი ფრაზებით პასუხობდა. იუნასმა იცოდა, რომ დაწვრილებითი პასუხები მამიკოს არასასიამოვნო შეკითხვებს გამოიწვევდა იმასთან დაკავშირებით, თუ რას სწავლობდნენ (ან არ სწავლობდნენ) იმ „ეგრეთ წოდებულ სკოლაში". სხვა შემთხვევაში, მამა დაკითხვას მოუწყობდა იმ ბავშვების შესახებ, რომლებსაც იუნასი ახსენებდა. ასეთ დროს ბიჭს ბლიცგამოკითხვას უტარებდნენ. შეკითხვები ამ ბავშვების მშობლებსა და მათ წარმოშობას ეხებოდა ხოლმე და იუნასი ვერასდროს ახერხებდა ისეთი

პასუხების გაცემას, რომლებიც მამამისს დააკმაყოფილებდა.

იუნასი საწოლში ჩაწვა და გაიგონა, როგორ დაემშვიდობა მამა დედას, შემდეგ კარის მოხურვისა და მანქანის ძრავის ხმა მოესმა. ისევ მარტონი დარჩნენ. დედამ ტელევიზორი ჩართო. ბიჭს გაახსენდა, დედამ რომ ჰკითხა, შენს მეგობრებს რატომ აღარ ეპატიჟები სახლშიო. იუნასმა არ იცოდა, რა ეპასუხა; ბიჭს არ უნდოდა, დედამისი დამწუხრებულიყო. მაგრამ ახლა თავად იუნასს მოეძალა კაეშანი. ლოყის შიდა მხარე გაიღეჭა და მწვავე, მაგრამ სასიამოვნო ტკივილმა ყურს მიაღწია. ჭერში დაკიდებულ ლითონის პატარა მილებისგან შედგენილ საქარე საჩხარუნოს მიაჩერდა. საწოლიდან წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა.

თოვლი, რომელიც ბაღში იდო, საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ თოვლის კაცი დაენახა. თოვლის ქანდაკება ეულად იდგა. ვინმეს კეპი და შარფი უნდა გაემეტებინა მისთვის და, ალბათ, ცოცხიც უნდა დაეჭერინებინა. უცებ ღრუბლიდან მთვარე გამოცურდა და კბილების შავი რიგი გამოჩნდა. და თვალები. იუნასს სუნთქვა შეეკრა და ორი ნაბიჯით უკან დაიხია. კენჭების თვალები ელავდა და სახლს არ მისჩერებოდა. ზემოთ იხედებოდა. იუნასს უყურებდა. იუნასმა ფარდები გადააფარა და ლოგინს დაუბრუნდა.

თავი ▮▮▮

პირველი დღე. კოშენილი

ჰარი „პალას-გრილის” დახლთან იჯდა და კედელზე მიწერილ მოწოდებებს კითხულობდა. წარწერების ავტორი კლიენტებს სთხოვდა, ნისიად დალევა არ ეთხოვათ და არ ესროლათ პიანისტისთვის. აქვე იყო წარწერაც „Be good or be gone“[6].

ადრიანი საღამო იყო და ამიტომ ბარში არც ისე ბევრი კლიენტი იყო. მაგიდასთან მჯდარი ორი გოგონა ტელეფონებს ჩაჰკირკიტებდა, ორი ჭაბუკი კი დარტსს თამაშობდა. ძალიან კარგი დგომა ჰქონდათ, ეფექტიანად ისროდნენ, მაგრამ შედეგებით ნამდვილად ვერ დაიკვეხნიდნენ. ვიღაც ქანთრის მოყვარულმა დოლი პარტონის დისკი ჩართო, რომელიც ჩვეული, მკვეთრი სამხრეთული აქცენტით მღეროდა. ჰარიმ საათს დახედა და საკუთარ თავს დაენაძლევა, რომ რაკელ ფიოუკე ზუსტად ცხრის შვიდ წუთზე გამოჩნდებოდა. დაიძაბა. ყოველთვის იძაბებოდა, როდესაც რაკელს ხედავდა. საკუთარ თავს გამოუტყდა, რომ ეს ერთგვარი პირობითი რეფლექსი იყო — ისეთი, როგორიც პავლოვის ძაღლს ჰქონდა, რომელსაც ნერწყვი სდიოდა, როდესაც საჭმლის გამოჩენის მომასწავებელი ზარი ესმოდა — მაშინაც კი, როდესაც საკუთრივ საჭმელი არსად ჩანდა. ამ საღამოს საჭმელი არ ექნებოდათ.

არა... საჭმელი კი ექნებოდათ, მაგრამ მხოლოდ საჭმელი.

---

[6] *ან კარგად მოიქეცი, ან წადი (ინგლ)*

და სასიამოვნო საუბარი იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობენ ახლა. უფრო ზუსტად კი ისაუბრებდნენ იმაზე, თუ როგორ ცხოვრობდა რაკელი. ოლეგსაც ახსენებდნენ — რაკელის ვაჟს, რომელიც მას ყოფილი მეუღლისგან ჰყავდა — რუსი კაცისგან, რომელსაც მოსკოვში, ნორვეგიის საელჩოში მუშაობისას დაუახლოვდა. რაკელის ვაჟი გულჩათხრობილი და ფრთხილი ბუნების ბავშვი იყო. ჰარიმ მოახერხა მასთან საერთო ენის გამონახვა და ახლა ბიჭს და ჰარის იმაზე მეტი ჰქონდათ საერთო, ვიდრე მას — საკუთარ მამასთან. როდესაც რაკელს დაშორდა, დანამდვილებით არც კი იცოდა, რომელი დანაკარგი უფრო მძიმე იყო მისთვის. ახლა კი კარგად ხვდებოდა, რომელი დანაკლისი იყო უფრო რთულად გადასატანი. იმიტომ, რომ ზუსტად ცხრის შვიდ წუთზე ქალი კარის ზღურბლთან იდგა — წელში გამართული სილუეტი, ჩაზნექილი ზურგი, რომელსაც ხშირად ეფერებოდა და სიცოცხლით სავსე კანით დაფარული მაღალი ყვრიმალები, რომელსაც საკუთარ სახესთან ახლოს გრძნობდა ხოლმე. იმედი ჰქონდა, რომ ამჯერად ასე ლამაზი არ იქნებოდა. „რა ბედნიერი ვარ!"

ქალი მიუახლოვდა ჰარის და მათი ლოყები ერთმანეთს შეეხო. ჰარი რაკელის ლოყას მოსცილდა.

— რას უყურებ? — იკითხა ქალმა და პალტოს ღილები შეიხსნა.

— იცი... — თქვა ჰარიმ და მიხვდა, რომ სანამ ხმას ამოიღებდა, ჯობდა, ყელი ჩაეწმინდა.

ქალმა გადაიკისკისა და ამ კისკისმა ჰარიზე ისევე იმოქმედა, როგორც „ჯიმ ბიმი" მოქმედებდა ხოლმე. ჰარიმ სითბო იგრძნო და მოდუნდა.

— არ ღირს, — თქვა ქალმა.

ჰარიმ იცოდა, რასაც ნიშნავდა ეს „არ ღირს". არ დაიწყო,

ნუ მოიქცევი ბავშვივით. არაფერი გამოგვივაო, ეუბნებოდა ამ ფრაზით. ქალმა ეს სიტყვები ჩუმად, ძლივს გასაგონად თქვა, მაგრამ ჰარის ეს „არ ღირს" გულზე ეკლად ესობოდა.

— გამხდარხარ, — თქვა ქალმა.

— ჰო, სხვებმაც მითხრეს.

— მაგიდა...

— ოფიციანტი მოვა და გაგვიძღვება.

ქალი მის წინ მდგარ სკამზე ჩამოჯდა და აპერიტივი შეუკვეთა. უსიტყვოდ დალია „კამპარი". ჰარი კოშენილს ეძახდა, იმ ნატურალური პიგმენტის მიხედვით, რომელიც ამ სურნელოვან, გემრიელ სასმელს განსაკუთრებულ ფერს აძლევს. მისი ტანსაცმელიც მეტწილად წითელი ტონებისა იყო, თავად რაკელი კი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ეს შემაშინებელი შეფერილობაა, ისეთი, როგორიც მხეცებს აქვთ. ცხოველები ამ გზით მოუწოდებენ ადამიანს, მათგან შორს დაიჭიროს თავი.

ჰარიმ კიდევ ერთი „კოლა" შეუკვეთა.

— რატომ გახდი? — დაინტერესდა რაკელი.

— სოკოს გამო.

— რა?

— შეიძლება ითქვას, ცოცხლად მჭამს. ტვინს, თვალებს, ფილტვებსა და კონცენტრაციას მაკარგვინებს. ფერებსა და მოგონებებს მართმევს. სოკო იზრდება, მე კი ვქრები. სოკო ჩემს იერს იღებს, მე კი სოკო ვხდები.

— რა სისულელეებს ამბობ! — წამოიძახა ქალმა ისეთი იერით, რომელიც ზიზღს უნდა გამოხატავდეს, მაგრამ ჰარიმ მის თვალებში ღიმილი შენიშნა. რაკელს სიამოვნებდა მისი საუბრის მოსმენა, მაშინაც კი, როდესაც ჰარი სისულელეებს როშავდა. მან უამბო იმ სოკოს შესახებ, რომელიც მის ბინაში აღმოაჩინეს.

— შენ როგორ ხარ? — იკითხა ჰარიმ.

— კარგად. მშვენივრად. ოლეგიც კარგად არის. მაგრად ენაენატრები.

— თვითონ გითხრა?

— თავადაც კარგად იცი, რომ ენატრები. უფრო ხშირად უნდა ნახულობდე.

— მე მეუბნები ამას? — იკითხა გაოგნებულმა ჰარიმ და ქალს მიაჩერდა, — მასთან ურთიერთობაზე ჩემი ნებით არ მითქვამს უარი.

— მერე რა? — თქვა ქალმა და ბარმენს სასმელი გამოართვა, — ის, რომ შენ და მე ერთად აღარ ვართ, არ ნიშნავს იმას, რომ შენი და მისი ურთიერთობა მნიშვნელოვანი არაა. თითოეული თქვენგანისთვის. ორივეს გიჭირთ ადამიანებთან ურთიერთობა და ამიტომ უნდა გაუფრთხილდეთ იმ ურთიერთობებს, რომლებიც გაქვთ.

ჰარიმ „კოლა" მოწრუპა.

— შენს ექიმს როგორ ეწყობა?

— მას მათიასი ჰქვია, — თქვა რაკელმა და ამოიოხრა, — ცდილობენ, ერთმანეთს გაუგონ. ისინი ...ისე განსხვავებულნი არიან. მათიასი ცდას არ აკლებს, მაგრამ ოლეგი მაინცდამაინც ვერ უწყობს ფეხს.

ჰარის კმაყოფილების ტკბილმა გრძნობამ შეუღიტინა.

— გარდა ამისა, მათიასს გრძელი სამუშაო დღე აქვს.

— მეგონა, არ მოგწონდა, როდესაც შენი კაცები მუშაობდნენ, — თქვა ჰარიმ და იმ მომენტში ინანა, ეს რომ თქვა. მაგრამ ნაცვლად იმისა, გაბრაზებულიყო, რაკელმა სევდიანად ამოიოხრა.

— გრძელი სამუშაო დღე არ იყო მიზეზი, ჰარი. შეპყრობილი იყავი. შენ შენი სამსახური ხარ და არც სიყვარული გამოძრავ-

ებს, და არც პასუხისმგებლობა. პირადი ამბიციაც კი არ ყოფილა შენი სტიმული. მხოლოდ სიბრაზე. კიდევ, შურისძიების წყურვილი. და ეს არ არის სწორი, ჰარი. ასე არ უნდა ხდებოდეს. კარგად მოგეხსენება, რაც მოხდა.

„დიახ, — გაიფიქრა ჰარიმ, — და მე ეს დაავადება შენს სახლშიც შემოვუშვი". კაცმა ხმა ჩაიწმინდა:

— შენს ექიმს... მართებული სტიმული აქვს?

— მათიასი დღემდე A&E-ს ღამის ცვლაში მუშაობს. მოხალისედ. იმავდროულად, ანატომიის ფაკულტეტზე სრული განაკვეთის შესაბამისი რაოდენობის ლექციებს კითხულობს.

— ალბათ, სისხლის დონორიცაა და „ემნესტი ინტერნეიშენალის" წევრიც.

ქალმა ამოიოხრა.

—მეორე უარყოფითი იშვიათი ჯგუფის სისხლია, ჰარი, და ზუსტად ვიცი, რომ „ემნესტის" შენც უჭერ მხარს.

ქალმა თავის სასმელს ცხენის გამოსახულებით დამშვენებული სტაფილოსფერი პლასტმასის ჩხირით მოურია. წითელი ნარევი ყინულის კუბების გარშემო დატრიალდა. კოშენილი.

— ჰარი, — თქვა ქალმა. ჰარი დაიძაბა.

— მე და მათიასი ერთად ვაპირებთ ცხოვრებას. შობის შემდეგ.

— ასე მალე? — ჰარი ენით გამომშრალ სასას მისწვდა. სისველეს ეძებდა, — შარშან არ გაიცანი?

— წელიწად-ნახევარია, ვიცნობ. ზაფხულში დაქორწინებას ვაპირებთ.

***

მაგნუს სკარე ყურადღებით უცქერდა თბილ წყალს, რომელიც ონკანიდან პირდაპირ მის ხელზე ეცემოდა და სადინარში იკარგებოდა. არა. არაფერი იკარგება; უბრალოდ ადგილს ინაცვლებს. როგორც ის ხალხი, რომლებზეც იგი ბოლო რამდენიმე კვირაა, ინფორმაციას აგროვებს. ჰარიმ სთხოვა. ჰარიმ თქვა, მაგ გზით შეიძლება კვალის მიგნებაო. ისიც თქვა, რომ მაგნუსის მოხსენება დღესასწაულებამდე სჭირდება. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მაგნუსს ზეგანაკვეთურად მუშაობა მოუწევდა. კარგად იცოდა, რომ ჰარიმ ეს საქმე იმისთვის ჩააბარა, რომ უქმეების წინ არ მოდუნებულიყო. უგზო-უკვლოდ დაკარგულთა განყოფილების ბიჭებმა უარი თქვეს ძველ საქმეებში ქექვაზე — ახლებიც თავზე საყრელად ჰქონდათ.

უკაცრიელი კორიდორი გაიარა და შეამჩნია, რომ მისი კაბინეტის კარი ღია იყო. არადა, კარგად ახსოვდა, რომ გამოსვლისას მოხურა. ამასთან, უკვე ათი იყო დაწყებული და დამლაგებლებმაც კარგა ხანია დაამთავრეს მუშაობა. გაახსენდა, ორი წლის წინ რომ გაქურდეს ოფისი. მაგნუს სკარე გაშმაგებით შევარდა ღია კარში.

ოთახის შუაში კატრინ ბრატი იდგა და შუბლშეჭმუხნილი შეჰყურებდა სკარეს, თითქოს თავად მაგნუსი შევიდა დაუკითხავად ქალის კაბინეტში. კატრინმა სკარეს ზურგი შეაქცია.

— უბრალოდ მინდოდა, მენახა, — თქვა მან და კედლები შეათვალიერა.

— რა? — იკითხა სკარემ და გარშემო მიმოიხედა. ჩვეულებ-

რივი კაბინეტი იყო, უბრალოდ ფანჯრები არ ჰქონდა.

— ეს ხომ მისი კაბინეტი იყო! ასე არ არის?

— ვის გულისხმობთ? — მოიღუშა სკარე.

— ჰოლეს. სწორედ ეს იყო მისი სამუშაო ოთახი. მათ შორის მაშინაც, როდესაც ავსტრალიაში სერიული მკვლელობების საქმეზე მუშაობდა. ასე არ არის?

— კი, ასე გამოდის, — თქვა სკარემ და მხრები აიჩეჩა, — მერე რა?

კატრინ ბრატმა მაგიდას ხელი გადაუსვა.

— რატომ გადავიდა?

მაგნუსმა მაგიდას გვერდი აუარა და სავარძელში მოკალათდა.

— აქ ფანჯრები არ არის. გარდა ამისა, დააწინაურეს კიდეც.

— კაბინეტს ჯერ ელენ იელტენთან, შემდეგ კი ჯეკ ჰალვორსენთან იყოფდა, — თქვა კატრინ ბრატმა, — და ორივე მოკლეს.

მაგნუს სკარემ ხელები თავზე შემოილაგა. „ეს ახალი თანამშრომელი ცუდი პოლიციელი არ უნდა იყოს. ერთი ან ორი თავით მჯობს. შემიძლია დავიფიცო, რომ მისი ქმარი სადმე ხელმძღვანელის თანამდებობაზეა და ბევრი ფული აქვს. ძვირად ღირებული კოსტიუმი აცვია". თუმცა, როდესაც უფრო გულდასმით დააკვირდა, რაღაც უცნაური ნაკლი შენიშნა, რომლის განსაზღვრასაც ვერაფრით ახერხებდა.

— თქვენი აზრით, მათი ხმები ჩაესმოდა? ამიტომ შეიცვალა კაბინეტი? — იკითხა ბრატმა და ყურადღებით დააცქერდა ნორვეგიის რუკას, რომელიც კედელზე იყო გაკრული. რუკაზე სკარეს აღმოსავლეთ ნორვეგიაში 1980 წლის შემდეგ დაკარგული ადამიანების მშობლიური ქალაქები ჰქონდა მონიშნული.

სკარემ გაიცინა, მაგრამ არ უპასუხია. ქალს წვრილი წელი

და ტირიფისებური ზურგი ჰქონდა. მაგნუსმა იცოდა — კატრინი ხვდებოდა, რომ მაგნუსი თვალებით ჭამდა.

— როგორია სინამდვილეში? — იკითხა ქალმა.

— რატომ მეკითხებით?

— ალბათ, ნებისმიერი ადამიანი დაინტერესდება, როგორია მისი ახალი უფროსი. ასე არ არის?

კატრინი მართალი იყო. უბრალოდ მაგნუსს არასდროს უფიქრია ჰარი ჰოლეზე, როგორც ბოსზე. რა თქმა უნდა, იგი მათ დავალებებს აძლევდა, გამოძიებებს ხელმძღვანელობდა და მხოლოდ იმას ითხოვდა, გზაზე არ გადაღობებოდნენ და პრობლემები არ შეექმნათ.

— ალბათ, იცით, რომ არც ისე კარგი რეპუტაცია აქვს, — თქვა სკარემ. ქალმა მხრები აიჩეჩა.

— დიახ, მსმენია, რომ ლოთია. ისიც ვიცი, რომ კოლეგები დააბეზღა. ვიცი, რომ ყველას მისი გასაღება სურს, მაგრამ წინა უფროსი მფარველობდა.

— მას ბიარნე მიოლერი ერქვა, — თქვა სკარემ და ბერგენის გარშემო მოხაზულ წრეწირს დააკვირდა. სწორედ მანდ ნახეს ბოლოს მიოლერი, სანამ გაუჩინარდებოდა.

— როგორც ამბობენ, მთავარი სამმართველოს ხალხს არ მოსწონს, რომ მედიამ იგი პოპვარსკვლავის მსგავს კერპად აქცია.

სკარემ ქვედა ტუჩი მოიკვნიტა.

— ძალიან მაგარი დეტექტივია და პირადად ჩემთვის ეს სრულიად საკმარისია.

— მოგწონთ? — ჰკითხა ბრატმა.

სკარემ გაიღიმა. შემოტრიალდა და პირდაპირ თვალებში ჩახედა.

— „მოწონება”, „არმოწონება”, — თქვა მან, — ალბათ, მასზე

საუბრისას ამ სიტყვებისგან რომელიმეს შერჩევა გამიჭირდება.

სკარემ უკან გასწია სკამი და ფეხები მერხზე შეალაგა, გაიზმორა და მთქნარების მსგავსი ხმა ამოუშვა.

— ასე გვიან რაზე მუშაობთ?

ეცადა, ამ გზით მოეპოვებინა უპირატესობა. ბოლოს და ბოლოს, ბრატი დაბალი რანგის დეტექტივი იყო, თანაც ახალი.

მაგრამ კატრინ ბრატმა მხოლოდ გაიღიმა — თითქოს მაგნუსს რაიმე სასაცილო ეთქვას. ქალმა კარის ზღურბლს გადააბიჯა და წავიდა.

გაუჩინარდა. თვალსა და ხელს შუა. სკარემ შეიგინა. სკამზე წამოჯდა და კომპიუტერს მიუბრუნდა.

***

ჰარიმ გაიღვიძა და ერთხანს ზურგზე იწვა. ჭერს უყურებდა. „დიდხანს მეძინა?" — ტუმბოსკენ შეტრიალდა და მაღვიძარას დახედა. ოთხს 15 წუთი აკლდა. ვახშამმა დატანჯა. იგი რაკელის პირს შეჰყურებდა, ქალი კი ღვინოს სვამდა, ხორცს ჭამდა და ჰარის გონებას უწამლავდა იმაზე ლაპარაკით, რომ მას და მათიასს გადაწყვეტილი ჰქონდათ, ერთი ან ორ წელი გაეტარებინათ ბოტსვანაში, სადაც ხელისუფლებამ ბრძოლა გამოუცხადა შიდსს, სამუშაოდ ყოველგვარი პირობა შექმნა, მაგრამ ექიმები არ ჰყოფნიდა. ვინმე ხომ არ შეგხვედრიაო, ჰკითხა რაკელმა. ჰარის ბავშვობის მეგობრები უნახავს — ოისტაინი და ტრესკო. ერთი ალკოჰოლიკი იყო, ტაქსის მძღოლად მუშა-

ობდა და ძალიან უყვარდა კომპიუტერები, მეორე კი ასევე ალკოჰოლიკი და მოთამაშე, რომელიც, ალბათ, მსოფლიო ჩემპიონი გახდებოდა პოკერში, საკუთარი გამომეტყველების გაკონტროლებაც ისევე კარგად რომ შესძლებოდა, როგორც მოწინააღმდეგეების სახეებზე ემოციების ამოკითხვა. და ჰარი მოჰყვა, თუ როგორ წააგო ერთხელ ტრესკომ უზარმაზარი თანხა ლას-ვეგასში, მაგრამ უცებ გაახსენდა, რომ უკვე მოყოლილი ჰქონდა ეგ ამბავი. და თან ეს ყველაფერი ტყუილი იყო. ჰარი არავის შეხვედრია.

მეზობელ მაგიდაზე ოფიციანტი ბოკალებში რომელიღაც სასმელს ასხამდა და ჰარის უცებ გიჟურმა სურვილმა მოუარა, ოფიციანტისთვის ხელიდან გამოეგლიჯა ბოთლი და მოეყუდებინა. ამის ნაცვლად კი დათანხმდა, გაჰყოლოდა კონცერტზე ოლეგს, რომელიც დედამისს ემუდარებოდა, წამიყვანეო. Slipknot[7] .

ჰარიმ გადაწყვიტა, არაფერი ეთქვა რაკელისთვის იმ ჯგუფის შესახებ, რომლის კონცერტზეც უშვებდა შვილს. თავადაც უნდოდა Slipknot-ის კონცერტზე წასვლა. ჰარის ართობდა ის ჯგუფები, რომელთა ყველა სიმღერას აგონიაში ჩავარდნილი მომაკვდავის ხავილი ახლდა, სატანისტური სიმბოლიკა ჰქონდა და ბასგიტარის სწრაფი რიტმით გამოირჩეოდა. Slipknot-ი მართლაც საინტერესო ჯგუფი იყო.

ჰარიმ საბანი გადაიხადა, სამზარეულოში შევიდა, ონკანთან მივიდა, მოუშვა, წყალი გააცივა, შემდეგ ონკანიდან გადმოსულ ჭავლს პეშვი დაახვედრა და დაეწაფა. ყოველთვის მიაჩნდა, რომ წყალი გაცილებით გემრიელია, როდესაც საკუთარი ხელებით, საკუთარი კანიდან სვამ. მოულოდნელად წყალი ისევ სადინარში გაუშვა და შავ კედელს მიაჩერდა. მოეჩვენა,

---

[7] *მეტალისტთა ჯგუფი, რომელიც 1992 წელს შეიქმნა აშშ -ში*

თითქოს რაღაც მოძრაობდა. არა, საკუთრივ მოძრაობა დაინახა. აუჩქარებელი და მდორე, როგორც უჩინარი ტალღა მოძრაობს წყალმცენარეებს შორის. მკვდარ ძაფებზე, თხელ, უხილავ თითებზე, სპორებზე, რომლებიც ჰაერის უმცირესი მოძრაობისასაც კი იზრდებიან, ახალ სივრცეებს იპყრობენ და ჭამასა და წოვას იწყებენ. ჰარი სასტუმრო ოთახში გავიდა და რადიო ჩართო. გადაწყდა. ჯორჯ უ. ბუში კიდევ ერთი ვადით რჩებოდა თეთრ სახლში.

ჰარი საწოლს დაუბრუნდა და საბანი თავზე გადაიფარა.

***

იუნასი რაღაცის ხმამ გააღვიძა. სახიდან საბანი მოიშორა. ყოველ შემთხვევაში, ეგონა, რომ ხმა მოესმა. ასეთი ხმა ისმის ხოლმე სახლებს შორის კვირადღის დილით, როდესაც სიჩუმეა გარშემო და ფეხქვეშ თოვლი ხრაშუნობს. იქნებ მოეჩვენა? თვალები დახუჭა, მაგრამ აღარ ეძინებოდა. სიზმრის ფრაგმენტი გაახსენდა. სიზმარში მამა ჩუმად და უმოძრაოდ იდგა მის წინ. სათვალის მინები ისე უბრწყინავდა, რომ იუნასი მის თვალებს ვერ ხედავდა.

ბიჭს შეეშინდა. ეს ნამდვილი კოშმარი იყო. კიდევ ერთხელ გაახილა თვალი და შენიშნა, რომ ჭერზე დაკიდებული „ქარის მუსიკის" მეტალის მილები მოძრაობდა. ბიჭი საწოლიდან გადმოხტა, კარი გამოაღო და კორიდორში გავარდა. ცდილობდა, არ ჩაეხედა ქვემოთ — პირველ სართულზე ჩამავალი კიბის ბნელი საფეხურებისკენ. მხოლოდ მშობლების საძინებ-

ლის კართან გაჩერდა და ძალიან ფრთხილად ჩაეჭიდა სახელურს. უცებ გაახსენდა, რომ მამა წავიდა, დედას გაღვიძება კი შეეძლო. საძინებელში შევიდა. იატაკზე ოთხკუთხედად მოჩანდა მთვარის შუქი, რომელიც გულდასმით გასწორებულ განიერ საწოლამდე იწელებოდა. კედლის საათი პირველ საათსა და თერთმეტ წუთს აჩვენებდა.

იუნასი ჯერ გაოცებული შედგა, შემდეგ კი სწრაფად დაუბრუნდა ბნელ კიბეს, რომელიც უფსკრულივით გადაშლილიყო მის წინაშე. სრული სიჩუმე სუფევდა.

— დეე!

საკუთარი ხმის მოკლე ყრუ ექოში შიში ამოიკითხა და ინანა, რომ იყვირა. ახლა იმანაც იცოდა. სიჩუმემ.

არავინ უპასუხა.

იუნასმა ნერწყვი გადაყლაპა და ნელა დაეშვა კიბეზე.

მესამე საფეხურზე რაღაც იგრძნო ფეხქვეშ. მეექვსეზეც. შემდეგ მერვეზე. თითქოს ვიღაცამ სველი ფეხსაცმლით იარა. ან სველი ფეხებით.

სასტუმრო ოთახში შუქი ენთო, მაგრამ დედიკო არ ჩანდა. ფანჯარასთან მივიდა და ბენდიქსენების სახლს გახედა. იქნებ დედა ებას სანახავად წავიდაო, გაიფიქრა ბიჭმა, მაგრამ ბენდიქსენების სახლის ყველა ფანჯარა ჩაბნელებული იყო.

სამზარეულოში შევიდა და ტელეფონს დასწვდა. ცდილობდა, სიბნელეზე არ ეფიქრა — აქ არ შემოეშვა წყვდიადი. დედამისის მობილური ტელეფონის ნომერი აკრიფა. ძალიან გაუხარდა, როდესაც დედის სასიამოვნო ხმა მოესმა, მაგრამ ეს უბრალოდ ავტომოპასუხის ხმა იყო — დედამისი მასთან საუბრის მსურველებს ხმოვანი შეტყობინების დატოვებას ურჩევდა და კარგ დღეს გისურვებთო, ამბობდა.

დღე კი არა, ღამე იყო.

შემოსასვლელში გავიდა, მამამისის დიდ ფეხსაცმელებში გაყო ფეხები, პიჟამაზე ბუმბულის ქურთუკი მოიცვა და გარეთ გავიდა. დედამ თქვა, თოვლი ხვალ დადნებაო, მაგრამ მაინც ციოდა. ნიავი ჭიშკართან მდგარ მუხის ფუღუროში ჩურჩულებდა და ბუტბუტებდა.

ბენდიქსენების სახლამდე ასი მეტრიც არ იყო და, საბედნიეროდ, გზაზე ორი ლამპიონი იდგა. დედა იქ უნდა ყოფილიყო. ბიჭმა ჯერ მარცხნივ გაიხედა, და მერე — მარჯვნივ. დარწმუნდა, რომ არავინ გააჩერებდა. და უცებ თოვლის კაცი შენიშნა, რომელიც ისევ ისე იდგა — პირით სახლისკენ. თოვლის ქანდაკება მთვარის ცივ შუქში ცურავდა. და მაინც, ერთგვარად გამორჩეული იერი ჰქონდა. თითქმის ადამიანური და ნაცნობი. იუნასმა ბენდიქსენების სახლს გახედა. გადაწყვიტა, გაქცეულიყო. მაგრამ არ გაიქცა. იდგა და გრძნობდა, როგორ იჭრებოდა მის სხეულში ყინულივით ცივი ქარი. ნელა შებრუნდა თოვლის კაცისკენ. ახლა კი მიხვდა, რატომ „ეცნობოდა" ასე ძალიან თოვლის კაცი.

ქანდაკებას შარფი ჰქონდა მოხვეული. ვარდისფერი შარფი. შარფი, რომელიც იუნასმა შობის დღესასწაულზე აჩუქა დედას.

თავი IV

მეორე დღე. გაუჩინარება

შუადღისას ოსლოს ცენტრში თოვლი დადნა, მაგრამ როდესაც ჰარი ჰოლემ და კატრინ ბრატმა ჰოფში შეუხვიეს, გზის ორივე მხარეს, გაზონებზე, აქა-იქ ჯერ კიდევ იდო თოვლის კუნძულები. რადიოში მაიკლ სტაიპი მღეროდა წინათგრძნობაზე, იმაზე, რომ ყველაფერი დასრულდა და ბიჭზე, რომელიც ჭაშია. კიდევ უფრო წყნარ ქუჩაზე შეუხვიეს. აქ გზის გაყოლებაზე კოტეჯების მორიგი ჯგუფი იყო ჩამწკრივებული. ჰარიმ კატრინს ჯებირის წინ გაჩერებულ „ტოიოტა კოროლაზე" მიუთითა და თქვა:

— აი, სკარეს მანქანა. მოსი, მის უკან გავჩერდეთ.

მათ წინაშე დიდი ყვითელი სახლი აღიმართა. „ცოტა დიდიც კია ოჯახისთვის, რომელიც სამი ადამიანისგან შედგება", — გაიფიქრა ჰარიმ, როდესაც ქვებით გაწყობილ ბილიკზე დადგა ფეხი. მათ გარშემო ყველაფერს წყალი სდიოდა და ყველაფრიდან წვეთავდა. ეზოში ოდნავ გვერდზე გადაქცეული, არც ისე სახარბიელო პერსპექტივის მქონე თოვლის კაცი იდგა.

კარი თავად სკარემ გააღო. ჰარი დაიხარა და საკეტი საგულდაგულოდ შეამოწმა.

— ბინის გატეხის კვალი არ ჩანს, — თქვა სკარემ და კოლეგები სასტუმრო ოთახში შეიყვანა, სადაც იატაკზე, მათგან ზურგშექცევით იჯდა ბიჭი და ტელევიზორში მულტფილმებს უყურებდა.

დივანზე ქალი იჯდა, რომელიც წამოდგა, ჰარის ხელი გაუ-

წოდა და წარუდგა:

— ება ბენდიქსენი, მეზობელი. ასეთი რამ აქამდე არასდროს დამართვია ბირტეს. ყოველ შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც გავიცანი.

— დიდი ხანია, იცნობთ? — იკითხა ჰარიმ და მიმოიხედა.

ტელევიზორის წინ ტყავის მასიური ავეჯი და მინის რვაკუთხა მაგიდა იდგა. ღია ფერის სასადილო მაგიდის გარშემო ფოლადის მსუბუქი და ელეგანტური სკამები შემოეწყოთ. სწორედ ასეთები მოსწონდა რაკელს. კედელზე ვიღაც მამაკაცების ორი პორტრეტი ეკიდა. გარეგნულად ბანკის დირექტორებს წააგავდნენ, ზემოდან ქვემოთ იხედებოდნენ და მრავალმნიშვნელოვნად დუმდნენ. ამ პორტრეტების გვერდით აბსტრაქტული მოდერნისტული ტილო ეკიდა. ასეთი ტილოები ჯერ არამოდური, შემდეგ კი ძალიან მოდური გახდა.

— ათი წელია, — თქვა ება ბენდიქსენმა, — ჩვენი სახლი გზის მეორე მხარეს არის. ჩვენი აქ გადმოსვლის დღეს დაიბადა იუნასი.

ქალმა თავი დაუკრა ბიჭს, რომელიც უმოძრაოდ იჯდა და მორბენალ ფრინველებსა და ფეთქებად მგლებს უყურებდა.

— გასულ ღამეს თქვენ დარეკეთ პოლიციაში?

— დიახ, ასეა.

— ბიჭმა დაახლოებით ორის თხუთმეტ წუთზე დარეკა ზარი, — თქვა სკარემ და თან საკუთარ ჩანაწერებს თვალს არ აშორებდა, — პოლიციას ორის ნახევარზე დაურეკეს.

— მე და ჩემი ქმარი ჯონასთან ერთად დავბრუნდით და პირველ რიგში სახლი შევამოწმეთ, — განმარტა ება ბენდიქსენმა.

— სად ეძებეთ? — იკითხა ჰარიმ.

— სარდაფში, სააბაზანოებში, ავტოფარეხში... ყველგან. ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეიძლება, ადამიანი ასე გაი-

ქცეს.

— გაიქცეს?

— გაუჩინარდეს. დაიკარგოს. პოლიციელმა, რომელსაც ტელეფონით ველაპარაკე, მთხოვა, იუნასისთვის მიმეხედა და ბირტეს ყველა ნაცნობისთვის დამერეკა — ყველგან, სადაც კი შეიძლება იყოს... და დავლოდებოდი გათენებას, რათა გამერკვია, გამოცხადდა თუ არა სამსახურში. პოლიციელმა, ათიდან რვა შემთხვევაში დაკარგული ადამიანი თავადვე ბრუნდება რამდენიმე საათშიო. შევეცადეთ, ფილიპს დავკავშირებოდით.

— ქმარზეა ლაპარაკი, — კიდევ ერთხელ ჩაერია სკარე, — ბერგენში იყო. ლექციას კითხულობდა. რაღაცის პროფესორია...

— ფიზიკის, — გაეღიმა ება ბენდიქსენს, — თუმცა ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ფილიპს ტელეფონი ჰქონდა გათიშული. არ ვიცოდით, რომელ სასტუმროში გაჩერდა.

— მას დილაადრიან დაუკავშირდნენ, — თქვა სკარემ, — ახლა ბერგენშია, მაგრამ მალე აქ იქნება.

— მადლობა ღმერთს! — შვებით ამოისუნთქა ებამ, — ჰოდა, ჩვენ დილით ბირტეს სამსახურში დავრეკეთ. აღმოჩნდა, რომ იგი ჩვეულ დროს სამუშაო ადგილზე არ გამოცხადებულა. ამის შემდეგ დაუყოვნებლივ დაგირეკეთ კიდევ ერთხელ — პოლიციაში.

სკარემ დასტურის ნიშნად თავი დაუკრა. ჰარიმ ჟესტით მიანიშნა, რომ ება ბენდიქსენის დაკითხვა გაეგრძელებინა, თავად კი ტელევიზორს მიუახლოვდა და ბიჭის გვერდით დაჯდა. ეკრანზე მგელი დინამიტის პატრუქს ცეცხლს უკიდებდა.

— გამარჯობა, იუნას, მე ჰარი მქვია. სხვა პოლიციელებმა უკვე გითხრეს, რომ ასეთი შემთხვევები თითქმის ყოველთვის

კარგად მთავრდება? იცი, რომ ის, ვისაც ეძებენ, ბოლოს თავ-ად გამოჩნდება?

ბიჭუნამ უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

— ნამდვილად ასეა, — თქვა ჰარიმ, — შენი აზრით, სად არის ახლა დედაშენი?

— არ ვიცი, — მხრები აიჩეჩა ბიჭუნამ.

— გასაგებია, რომ არ იცი, იუნას. ამ მომენტში არავინ იცის, მაგრამ თუკი არც სახლშია და არც სამსახურში, სად შეიძლება იყოს? რა ადგილი გახსენდება, როდესაც იგებ, რომ არც სახ-ლშია და არც სამსახურში? არ იფიქრო იმაზე, თუ რამდენად შესაძლებელია, იქ იყოს.

ბიჭმა პასუხი არ გასცა. თვალს არ აცილებდა მგელს, რო-მელიც ამჯერად ცდილობდა, დინამიტის ცილინდრი მოეშორე-ბინა, მაგრამ ასაფეთქებელი საშუალება ნადირს თათზე მისწე-ბებოდა.

— ხომ არა გაქვთ სადმე პატარა კოტეჯი ან რაიმე მსგავსი — ადგილი, სადაც ისვენებთ ხოლმე?

ბიჭმა ამჯერადაც თავი გააქნია.

— იქნებ არის ადგილი, სადაც დედა მიდის ხოლმე მაშინ, როდესაც მარტო უნდა ყოფნა?

— მას არ უნდა მარტო ყოფნა, — თქვა იუნასმა, — ჩემთან ერ-თად უნდა ყოფნა.

— მხოლოდ შენთან ერთად?

ბიჭი მობრუნდა და ჰარის შეხედა. იუნასს ყავისფერი თვა-ლები ჰქონდა — ზუსტად ისეთი, როგორიც ოლეგს. და ამ ყა-ვისფერ თვალებში ჰარიმ დაინახა შიში, რაც სავსებით გასაგე-ბი იყო... და სიბრაზე, რომელიც ნამდვილად არ იყო მოსა-ლოდნელი.

— და რატომ უჩინარდებიან? — იკითხა ბიჭმა, — ისინი, ვინც

შემდეგ ბრუნდებიან?

„მსგავსი თვალები და მსგავსი კითხვები, — გაიფიქრა ჰარიმ, — ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვები:.

— სხვადასხვა მიზეზის გამო, — უპასუხა მან, — ზოგიერთი იღლება. ყოველთვის გამოჩნდება რაიმე, რაც გღლის. ასე არაა? ზოგიერთი კი უბრალოდ იმალება ხოლმე, რათა სიჩუმესა და სიწყნარეში იყოს.

დერეფანში ფეხის ხმა გაისმა და ჰარიმ შენიშნა, როგორ შეკრთა ბიჭუნა.

მგელს ხელში აუფეთქდა დინამიტი და იმავე წამს მათ უკან სასტუმროს კარი გაიღო.

— გამარჯობა, — გაისმა ვიღაცის მკვეთრი და, იმავდროულად მოზომილი ხმა, — არის რაიმე სიახლე?

ჰარი შებრუნდა და დაინახა კოსტიუმში გამოწყობილი ორმოცდაათიოდე წლის მამაკაცი, რომელიც ჟურნალის მაგიდას მიუახლოვდა და პულტი აიღო.

ტელევიზორის მიმღებმა პროტესტის ნიშნად დაიკვნესა და გამოსახულება თეთრ წერტილად იქცა.

— კარგად მოგეხსენება, რასაც ვფიქრობ დღის განმავლობაში ტელევიზორის ყურებაზე, იუნას, — თქვა ისეთი სამგლოვიარო კილოთი, თითქოს ყველას ეუბნებოდა, რომ დღეს ბავშვის აღზრდა სრულიად უიმედო საქმეა.

ჰარი წამოდგა, ახალმოსულს გაეცნო და მაგნუს სკარე და კატრინ ბრატიც წარუდგინა.

— მე ფილიპ ბეკერი ვარ, — თქვა ახალმოსულმა და სათვალე ცხვირის ზედა ნაწილზე აიწია, მიუხედავად იმისა, რომ ისედაც მაღლა ჰქონდა აწეული.

ჰარი შეეცადა, მისი მზერა დაეჭირა, რათა პირველადი შთაბეჭდილება შეჰქმნოდა, მაგრამ მოკაშკაშე სათვალის მიღმა

მისი მზერის დანახვა შეუძლებელი იყო.

— ყველას დავურეკე, ვისაც კი შეიძლებოდა დაკავშირებოდა, მაგრამ არავინ იცის, სად არის, — განაცხადა ფილიპ ბეკერმა, — თქვენ ხომ არ იცით რაიმე?

— არა, მაგრამ ძალიან დაგვეხმარებით, თუკი გვეტყვით, არის თუ არა ყველა ჩემოდანი და ზურგჩანთა ადგილზე, — ჰარი ყურადღებით დააკვირდა ბეკერს და განაგრძო, — ამ შემთხვევაში ჩვენ გავარკვევთ, სპონტანური იყო ეს გაუჩინარება თუ დაგეგმილი.

ბეკერმა ჰარის შემფასებელ მზერას გაუძლო, თავი დაუკრა და მეორე სართულზე ავიდა.

ჰარი იუნასის წინ დაიხარა. ბიჭი ჯერ კიდევ ტელევიზორის ჩამქრალ ეკრანს უყურებდა.

— მაშ, შენ გუგულისკენ ხარ, არა? — იკითხა ჰარიმ. ბიჭმა მდუმარედ გააქნია თავი.

— რატომ არა?

იუნასმა ძლივს გასაგონად ჩაიჩურჩულა:

— „ცბიერი კოიოტი" მეცოდება.

ხუთ წუთში გამოჩნდა ბეკერი, რომელმაც თქვა, რომ არაფერი დაკარგულა — არც საგზაო ჩანთები, არც ტანსაცმელი — იმ სამოსის გარდა, რომელიც მის ცოლს ეცვა. პლუს პალტო, ჩექმები და შარფი, რა თქმა უნდა.

— ჰმ, — ჰარიმ გაუპარსავ ნიკაპზე ხელი მოისვა და ალმაცერად გადახედა ება ბენდიქსენს — მოდი, სამზარეულოში გავიდეთ, ბეკერ.

ბეკერი სამზარეულოსკენ წავიდა. ჰარიმ კატრინს ანიშნა, გამომყევიო.

პროფესორმა ყავის მადუღარაში ყავა ჩაყარა და წყალი ჩაასხა. კატრინი კართან გაჩერდა, ჰარი კი ფანჯარას მიუახლოვ-

და და გარეთ გაიხედა. თოვლის კაცს თავი მხრებში ჩარგოდა.

— რომელ საათზე წახვედით გუშინ და რომელი რეისით გაფრინდით ბერგენში? — იკითხა ჰარიმ.

— დაახლოებით ცხრის ნახევარზე გავედი, — დაუყოვნებლივ უპასუხა ბეკერმა, — რეისი თორმეტის ხუთ წუთზე იყო დანიშნული.

— ესაუბრეთ თუ არა ბირტეს მას შემდეგ, რაც სახლიდან გახვედით?

— არა.

— თქვენი აზრით, რა მოხდა?

— წარმოდგენა არა მაქვს, ინსპექტორო. მართლა არაფერი ვიცი.

— ჰმ... — ჰარიმ ისევ გაიხედა გარეთ. მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც აქ არის, გზაზე ერთ მანქანასაც არ გაუვლია. ძალზე მშვიდი ადგილი იყო. ამასთან, ამ რაიონის სიჩუმე, სულ ცოტა, ორი მილიონი კრონი დაჯდა, — როგორი დამოკიდებულება გქონდათ მეუღლესთან? — იკითხა მან.

ფილიპი დიდ გასაჭირში ჩავარდა. ენა დაება.

— იძულებული ვარ, ვიკითხო, იმიტომ, რომ ოჯახებიდან მეუღლეების გაქცევა ძალიან ხშირია.

ფილიპ ბეკერმა ჩაახველა:

— გარწმუნებთ, ინსპექტორო, მე და ჩემს მეუღლეს მშვენიერი ურთიერთობა გვქონდა.

— არის თუ არა შესაძლებელი, რომ თქვენს მეუღლეს ჰყავდეს ნაცნობი, რომლის არსებობის შესახებაც თქვენ არაფერი იცით?

— გამორიცხულია.

— „გამორიცხულია" ხმამაღალი ნათქვამია, ბეკერ. ქორწინებისგარეშე ურთიერთობა საკმაოდ ჩვეულებრივი მოვლენ-

აა. ბეკერს სახეზე სუსტი ღიმილი აღებეჭდა.

— გულუბრყვილო არ გეგონოთ, ინსპექტორო. ბირტე მიმ-ზიდველი ქალია და, იმავდროულად, ჩემზე ბევრად ახალგაზ-რდა. საკმაოდ ლიბერალური შეხედულებების მქონე ოჯახიდა-ნაა, მაგრამ ნამდვილად არ არის მასეთი ქალი... და მე სრული წარმოდგენა მაქვს მისი ცხოვრების შესახებ.

ჰარიმ კიდევ ერთი შეკითხვის დასმა გადაწყვიტა, მაგრამ მოულოდნელად ყავის მადუღარამ დაიწივლა. გამომძიებელ-მა გადაიფიქრა და საუბრის თემა შეცვალა.

— ბოლო დროს ხასიათის ხშირი ცვალებადობა ხომ არ შე-გინიშნავთ?

— ბირტე არ არის მიდრეკილი დეპრესიისკენ, ინსპექტორო. არც ტყეშია წასული თავის ჩამოსახრჩობად და არც ზღვაში გა-დავარდნილა. სადღაც დაიკარგა, მაგრამ ცოცხალია. წაკით-ხული მაქვს, რომ ადამიანები ზოგჯერ იკარგებიან, მაგრამ შემდეგ ბრუნდებიან. ამასთან, ამ ყველაფერს ბუნებრივი და საკმაოდ ბანალური ახსნა აქვს ხოლმე. ასე არ არის?

ჰარიმ ნელა დაუქნია თავი.

— წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, სახლი გავჩხრიკოთ?

— რისთვის?

შეკითხვა მკვახედ, თითქმის აგრესიულად დაისვა, რამაც ჰარი დაარწმუნა, რომ მის წინ იდგა კაცი, რომელიც მბრძანებ-ლობასა და ახლობლების საყოველთაო გაკონტროლებას იყო შეჩვეული. როგორ გაუჩინარდა მისი ცოლი სახლიდან ისე, რომ არ უთქვამს, სად მიდიოდა? და ისედაც... რომელი ჭკუ-ათამყოფელი დედა დატოვებს შუაღამისას ათი წლის ბიჭს? რაღაც აშკარად არ იყო კარგად.

— ზოგჯერ თავადაც არ ვიცით, რას ვეძებთ, სანამ არ ვიპო-ვით, — უპასუხა ჰარიმ, — ამის გამოცდილება გვაქვს.

და ამ მომენტში მან, ბოლოს და ბოლოს, შეძლო მინების უკან დამალული ბეკერის მზერის დაჭერა. ვაჟისგან განსხვავებით, მას ღია ცისფერი თვალები ჰქონდა და მათში აშკარა სინათლე ელავდა.

— რა თქმა უნდა, — თქვა ბეკერმა, — შეგიძლიათ, დაიწყოთ.

საძინებელი გრილი, უსუნო და სუფთა იყო. ორმაგ საწოლზე უჯრედებიანი საბანი გადაეფარებინათ. საძინებლის ერთ ტუმბოზე ასაკოვანი ქალის ფოტო იდო. აშკარა მსგავსებამ ჰარი აიძულა, ევარაუდა, რომ ეს მხარე ფილიპ ბეკერისა იყო. საწოლის მეორე მხარეს მდგარ ტუმბოზე იუნასის ფოტო მოჩანდა. ქალის გარდერობში სუნამოს სუსტი სურნელი იდგა. ჰარიმ შენიშნა, რომ საკიდები ერთმანეთისგან თანაბარი მანძილით იყო დაშორებული, თითქოს თითოეულ მათგანს სურდა, მას არ შეხებოდნენ. აქ ეკიდა შავი კაბები ცალ მხარეს ჭრილებით და მოკლე ჯემპრები ვარდისფერი ნაქარგებითა და ბრჭყვიალა კილიტებით. გარდერობის ქვეშ უჯრები იყო. ჰარიმ პირველი გამოაღო. საცვლები. შავი და წითელი. მომდევნო უჯრა. ქამრები და წინდები. მესამე უჯრა. სამკაულები, რომლებიც მუქი წითელი ფეტრის ჭრილებიან საჭერში იდო. ჰარის ყურადღება დიდრონმა, ხასხასა ქვებით მოოჭვილმა ბეჭედმა მიიპყრო. ყველაფერს ლას-ვეგასის იერი დაჰკრავდა. ერთი ჭრილიც კი არ იყო ცარიელი.

საძინებლის კარი მცირე ხნის წინ გარემონტებულ სააბაზანოში გადიოდა, რომელშიც ორთქლის შხაპი და ფოლადის ორი ნიჟარა აღმოჩნდა.

იუნასის ოთახში ჰარი პატარა მერხთან მიდგმულ პატარა სკამზე დაჯდა. მერხზე რთული მათემატიკური ფუნქციების გამოსათვლელი კალკულატორი იდო.

იმდენად ახალი იყო, რომ სრულიად უხმარს ჰგავდა. მერ-

ხის თავზე ეკიდა პლაკატი — ტალღებში მოცურავე შვიდი დელფინი და წლის კალენდარი. ზოგიერთი თარიღი შემოეხაზათ და პატარა მინაწერიც ჰქონდა. ზოგიერთ თარიღზე შენიშვნები მიეწერათ დედისა და ბაბუის დაბადების დღეების, დანიაში მოგზაურობისა და კბილის ექიმთან ვიზიტის შესახებ, რომელიც დილის ათი საათისთვის ყოფილა დაგეგმილი. ივლისის ორი დღე აღნიშნული იყო სიტყვით „ექიმი". კალენდარზე საერთოდ არ იყო სამახსოვრო მინაწერები საფეხბურთო მატჩების, ფილმების პრემიერებისა და მეგობრების დაბადების დღეების შესახებ.

გვერდითი მხედველობით შენიშნა ვარდისფერი შარფი, რომელიც საწოლზე იდო. ეს ის ფერი არ იყო, რომლითაც ათი წლის ბიჭი შეიძლება იკაზმებოდეს. ჰარიმ შარფი აიღო. სველი იყო. თმის, კანისა და სუნამოს მსუბუქი სურნელი შეიგრძნო. ზუსტად ისეთი, როგორიც საძინებლის კარადაში ტრიალებდა.

პირველ სართულზე ჩამოვიდა. სამზარეულოს წინ გაჩერდა. სკარე აგრძელებდა იმ სტანდარტული კითხვების დასმას, რომლებიც ყოველთვის თან სდევს ხოლმე ადამიანის გაუჩინარებას. ყავის ფინჯნების წკრიალი ისმოდა. სასტუმრო ოთახის დივანი უზარმაზარი ჩანდა — ალბათ, იმ პატარა არსების გამო, რომელიც მასზე იჯდა და წიგნს კითხულობდა. ჰარი მიუახლოვდა და სრულ აღკაზმულობაში გამოწყობილი ჩარლი ჩაპლინის ფოტო დაინახა. გამომძიებელი იუნასს გვერდით მიუჯდა.

— იცოდი, რომ ჩაპლინი რაინდი იყო? — ჰკითხა ჰარიმ, — სერ ჩარლი ჩაპლინი. იუნასმა თავი დაუქნია.

— და, ამის მიუხედავად, მაინც გამოაგდეს შეერთებული შტატებიდან. იუნასმა წიგნი გადაშალა.

— ამ ზაფხულს ავად ხომ არ ყოფილხარ, იუნას?

— არა.

— მაშ, ექიმთან რატომ იყავი? თანაც ორჯერ?

— უბრალოდ დედას უნდოდა, ექიმს გავესინჯე. დედა... — ბიჭს უცებ ხმა აუკანკალდა.

— მალე ისევ ნახავ დედას, — ანუგეშა ჰარიმ ბიჭუნა და გამ-ხდარ მხარზე დაადო ხელი, — მას ხომ ვარდისფერი შარფი არ წაუღია. აი, ის, რომელიც შენს ოთახში დევს.

— ეგ შარფი ვიღაცამ თოვლის კაცს მოახვია, — თქვა ბიჭმა, — მე კი უკანვე წამოვიღე.

— ალბათ, დედას არ უნდოდა, რომ თოვლის კაცი გაყინუ-ლიყო.

— თავის საყვარელ შარფს თოვლის კაცს არ მისცემდა.

— მაშ, იქნებ მამამ მოახვია თოვლის კაცს?

— არა. ვიღაც სხვამ მოახვია. მან, ვინც დედა მოიტაცა. ჰა-რიმ ნელა დაუქნია თავი.

— ვინ გააკეთა ეს თოვლის კაცი, იუნას?

— არ ვიცი.

ჰარიმ ფანჯარაში გაიხედა. აი, ამიტომ მოვიდა აქ. ისეთი შეგრძნება დაეუფლა, რომ ოთახში ყინულივით ცივი ქარი დაქროდა.

***

ჰარიმ და კატრინმა ჰიორკედალსვეიენიდან ჩამოუხვიეს და მაიორსტუნს მიაშურეს.

— უპირველესად რა შენიშნეთ, როდესაც მივედით? — იკით-ხა ჰარიმ.

— ის, რომ იმ სახლში მცხოვრებ წყვილს განსაკუთრებული ემოციური სიახლოვე არ აკავშირებს ერთმანეთთან, — მიუგო

კატრინმა, რომელმაც ფასიან გზაზე შესასვლელი პუნქტი გაუჩერებლად გადაკვეთა, — სავარაუდოდ, არც ისე ბედნიერი ოჯახი აქვთ... და, ამასთან, ყველაფერს ქმარი აკონტროლებს.

— ჰმ, რატომ თვლით ასე?

— ეს ხომ თავისთავად ცხადია, — ღიმილით თქვა კატრინმა და მანქანის სარკეს დახედა, — მათ განსხვავებული გემოვნება აქვთ.

— განმარტეთ, გეთაყვა.

— შეამჩნიეთ ის უსახური დივანი და მაგიდა, რომელიც სასტუმრო ოთახში უდგათ? ეს არის 90-იანების სტილის ავეჯი, რომელიც იმ კაცმა 90-იან წლებში იყიდა, მაგრამ აშკარად ქალის ნაყიდია ლაქწასმული თეთრი მუხის სასადილო მაგიდა, რომელსაც ალუმინის ფეხები აქვს. ეს „ვიტრაა".

— რას ნიშნავს „ვიტრა"?

— შვეიცარიული ფირმაა, ძვირად ღირებული საქონელი აქვს. იმდენად ძვირი, რომ ორიგინალის ნაცვლად ნორმალური ასლი რომ ეყიდა, მთელი იმ წყეული სასტუმრო ოთახის მოწყობისთვისაც დარჩებოდა ფული.

ჰარიმ შეამჩნია, რომ კატრინის ნათქვამი „წყეული" განსაკუთრებულად ჟღერდა და ჩვეულებრივი სალანძღავი სიტყვა არ იყო. ლინგვისტურ კონტრაპუნქტს უფრო წარმოადგენდა, რომელიც ქალის კლასობრივ კუთვნილებაზე მიუთითებდა.

— მერე რა?

— გასაგებია, რომ ასეთ მაგარ სახლში და თანაც ოსლოს ამ რაიონში ფული დიდ პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ მას დივნისა და მაგიდის შეცვლის უფლება არ მისცეს, მაგრამ როდესაც უგემოვნო ადამიანი, რომელიც მნიშვნელობას ანიჭებს ინტერიერის დიზაინს, დაჟინებით იცავს საკუთარ პოზიციას, აშკარა ხდება, ვინ აკონტროლებს სიტუაციას.

ჰარიმ თავი დაუქნია. პირველ რიგში საკუთარ აზრებს. პირველი შთაბეჭდილება მართებული გამოდგა. კატრინ ბრატი კარგი თანამშრომელი იყო.

— ახლა თქვენი მოსაზრებებიც გამაცანით, — სთხოვა ქალმა, — წესით, მე უნდა ვსწავლობდე თქვენგან.

ჰარიმ მზერა შეავლო „ლეპსვიკს" — ძველ, მდიდარი ტრადიციების მქონე, მაგრამ ამჟამად სრულიად არარესპექტაბელურ სასადილოს.

— ჩემი აზრით, ბირტე ბეკერს სახლი საკუთარი ნებით არ დაუტოვებია.

— მაგრამ ძალადობის კვალი არ ჩანს!

— იმიტომ, რომ ყველაფერი კარგად იყო დაგეგმილი.

— მაშ, ვინ არის დამნაშავე? ქმარი? ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, სწორედ ქმარია ხოლმე დამნაშავე. ასე არ არის?

— რა თქმა უნდა, — უპასუხა ჰარიმ და იგრძნო, როგორ გაეფანტა აზრები, — ყოველთვის ქმარია დამნაშავე.

— მაგრამ ეს კონკრეტული ქმარი ბერგენში იმყოფებოდა.

— დიახ, ასე გამოდის.

— ამასთან, ბოლო რეისით გაფრინდა, ასე რომ, ჯერ სახლში დაბრუნებას და შემდეგ დილის ლექციაზე მისვლას ვერ მოასწრებდა, — კატრინმა აქსელერაციის პედალს მძლავრად დააჭირა ფეხი და მაიორსტუნის გზაჯვარედინი ყვითელ შუქზე გადაკვეთა, — ფილიპ ბეკერი დამნაშავე რომ იყოს, აუცილებლად გადაყლაპავდა იმ სატყუარას, რომელიც თქვენ გადაუგდეთ.

— სატყუარას?

— თქვენ მას განწყობის ცვალებადობაზე ჩამოუგდეთ სიტყვა. ბეკერს აგრძნობინეთ, რომ თვითმკვლელობის ვერსიაზე

მუშაობთ.

— მერე რა?

ქალს გაეცინა.

— ეჰ, ჰარი! ყველამ — მათ შორის ფილიპ ბეკერმაც — კარგად იცის, რომ როდესაც საქმე თვითმკვლელობას ეხება, გამოძიებაში პოლიციის ძალიან ცოტა თანამშრომელი მონაწილეობს. თქვენ მას საშუალება მიეცით, განემტკიცებინა ვერსია, რომელიც, ის რომ დამნაშავე ყოფილიყო, ძალიან ხელსაყრელი იქნებოდა მისთვის და მის მრავალ პრობლემას გადაწყვეტდა. მაგრამ ბეკერმა აღნიშნა, რომ მისი მეუღლე სიცოცხლითა და ოპტიმიზმით სავსე ადამიანია.

— ჰმ, ანუ ფიქრობთ, რომ ჩემი შეკითხვა ერთგვარი გამოცდა იყო?

— თქვენ ხომ გამუდმებით ამოწმებთ ადამიანებს, ჰარი. მათ შორის, მეც.

ვიდრე ბუგსტადვეიენის ქუჩამდე არ მივიდნენ, ჰარის არაფერი უპასუხია, შემდეგ კი თქვა:

— ადამიანი ზოგჯერ იმაზე ჭკვიანია, ვიდრე გგონია.

და დადუმდა. როდესაც მანქანა პოლიციის სამმართველოსთან გაჩერდა, ჰარიმ კატრინს უთხრა:

— დღის ბოლომდე მარტო ვიმუშავებ.

ეს იმიტომ თქვა, რომ ვარდისფერი შარფი თავიდან ვერ ამოიგდო და საბოლოოდ გადაწყვიტა, სკარესგან გამოეთხოვა ადამიანების გაუჩინარების საქმეების მასალები, რათა საკუთარი მტანჯველი ეჭვები დაედასტურებინა. თუკი გამართლდებოდა, ჰარი კომისარ გუნარ ჰაგენს წაუღებდა წერილს. იმ წყეულ წერილს.

თავი V

1992 წლის 4 ნოემბერი. ტოტემის სვეტი

1946 წლის 19 აგვისტოს, როდესაც არკანზასის პატარა ქალაქ ჰოუპში, იმედის ქალაქში, ქვეყანას უილიამ ჯეფერსონ ბლაით III მოევლინა, სამი თვე იყო გასული მას შემდეგ, რაც მამამისი ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ოთხი წლის შემდეგ უილიამის დედა მეორედ გათხოვდა და ბიჭმა მამინაცვლის გვარი მიიღო.

ორმოცდაექვსი წლის შემდეგ, 1992 წელს, ნოემბრის ერთ ღამეს ჰოუპის ციდან თოვლის თეთრი კონფეტი[8] ჩამოიყარა იმის აღსანიშნავად, რომ ქალაქ ჰოუპში დაბადებული უილიამ (ან, უბრალოდ, ბილ) კლინტონი ამერიკის შეერთებული შტატების ორმოცდამეორე პრეზიდენტად აირჩიეს.

იმავე ღამით ბერგენშიც მოვიდა თოვლი, რომელიც ქუჩებამდე ვერ აღწევდა — როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ჰაერშივე დადნა და წვიმად იქცა. სექტემბრის შუა რიცხვების შემდეგ ასე ხდებოდა. თუმცა დილით იმ შვიდი მთის მწვერვალებს, რომლებიც ამ მშვენიერ ქალაქს აკრავს, შაქრის პუდრის მსგავსად ეყარა თოვლი. და ყველაზე მაღალ მთა ულრიკენზე უკვე იდგა პოლიციის ინსპექტორი გერტ რაფტო. იგი კანკალით სუნთქავდა მთის ჰაერს და ცდილობდა, უზარმაზარი თავი მხრებში ჩაერგო. სახეზე ძალიან ბევრი ნაოჭი გასჩენოდა, თითქოს ვიღაცამ ქაღალდის უსარგებლო ფურცელივით დაჭმუჭნა.

---

[8] *იგულისხმება ფერადი ქაღალდისგან გამოჭრილი მრგვალი საგნები, რომელსაც თავზე აყრიან ბალის ან მასკარადის მონაწილეებს*

საბაგიროს ყვითელი ვაგონი, რომელმაც რაფტო და ბერგენის კრიმინალური პოლიციის კიდევ სამი თანამშრომელი ქალაქიდან 642 მეტრ სიმაღლეზე აიყვანა, ფოლადის მტკიცე გვარლებზე ეკიდა და მგზავრების მოლოდინში ოდნავ ირხეოდა. იმ დილით ტურისტების ჯგუფმა, რომელიც ამ პოპულარული მთის წვერზე ავიდა, განგაშის ზარს შემოჰკრა, რის შემდეგაც ფუნიკულიორი დროებით დახურეს.

— ერიჰა! — შესძახა ერთ-ერთმა კრიმინალისტმა.

ეს სიტყვა ქალაქის ტურისტული სლოგანი გახდა და ბერგენული ნორვეგიულის ერთგვარ კომიკურ სიმბოლოდ იქცა. ამიტომ ბერგენელები ამ შეძახილს თითქმის აღარ იყენებდნენ, მაგრამ როდესაც შიში გძლევს, ქვეცნობიერში დალექილ ლექსიკონს ვერ გაექცევი.

— მართლაც... ერიჰა! — სარკასტულად გაიმეორა რაფტომ და დანაოჭებულ ქუთუთოებს შორის მობდღვრიალე თვალები გაუნათდა.

ისინი უყურებდნენ ადამიანის გვამს, რომელიც ისე იყო დაგლეჯილი, რომ სქესის დადგენა მხოლოდ შერჩენილი ცალი ძუძუს საშუალებით შეიძლებოდა, სხვა ყველაფერი ერთგვაროვან მასად ქცეულიყო. რაფტოს ამ შემაძრწუნებელმა სურათმა გაახსენა ავტოავარია, რომელიც გასულ წელს მოხდა ეიდსვოგნესში — მაშინ დიდი სისწრაფით მიმავალ სატვირთოს, რომელსაც ალუმინის ფირფიტები მიჰქონდა, ტვირთი გადმოეყარა და შემხვედრი მანქანა პირდაპირ შუაზე გადაჭრა.

— დამნაშავემ აქ მოკლა ქალი და აქვე დაანაწევრა ცხედარი, — შენიშნა სხვა კრიმინალისტმა.

რაფტომ დახედა თოვლს, რომელზეც მკვდარი ქალი ეგდო და განმარტებები აღარ დასჭირვებია. გადათეთრებული მიწა

სისხლით იყო მოსვრილი. შხეფების გრძელი კვალი იმის მანიშნებელი იყო, რომ მსხვერპლს, სულ ცოტა, ერთი არტერია მაინც გადაუჭრეს, როდესაც გული ჯერ კიდევ უმუშავებდა. ზუსტად უნდა დაედგინათ, რომელ საათზე შეწყდა თოვა. ბოლო ვაგონი აქ საღამოს ხუთ საათზე ამოვიდა, თუმცა მკვლელი და მსხვერპლი, შესაძლოა, ფუნიკულიორის ქვემოთ არსებული დაკლაკნილი ბილიკითაც ამოსულიყვნენ. არც ის იყო გამორიცხული, რომ მეზობლად მდებარე მთა ფლოიენამდე მატარებლით მიეღწიათ და იქიდან გადმოსულიყვნენ. მაგრამ ამ შემთხვევაში მეტისმეტად ხანგრძლივი გასეირნება გამოუვიდოდათ და თან რაფტო გუმანით ხვდებოდა, რომ ამ ადგილამდე სწორედ საბაგირო გზით ამოვიდნენ.

თოვლზე ორი ადამიანის კვალი ჩანდა. პატარა ანაბეჭდები აშკარად ქალს ეკუთვნოდა, მაგრამ მისი ფეხსაცმელი არსად ჩანდა. უფრო დიდი ნაკვალევი, რომელიც აშკარად მკვლელისა იყო, ბილიკისკენ მიემართებოდა.

— დიდი ფეხსაცმელია, — შენიშნა ახალგაზრდა სპეციალისტმა, ლოყებჩაცვენილმა კაცმა კუნძულ სოტრიდან, — ფეხის ზომა 48-ზე ნაკლები არ ექნება. კაი ჯანიანი კაცი ჩანს. — დაბეჯითებით ვერაფერს იტყვი, — შენიშნა რაფტომ და ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი, — არათანაბარი ნაკვალევია, რაც აქ, სწორ ადგილზე, კარგად ჩანს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფეხსაცმელი დიდი აქვს. შესაძლოა, ჩვენი მოტყუება უნდოდა.

რაფტომ იგრძნო, რომ ყველა მას მიაჩერდა. იცოდა, რასაც ფიქრობდნენ — ერთ დროს მედიავარსკვლავი ისევ ცდილობს გაიბრწყინოს: მოხეული პირი, მკაცრი სიფათი და ულევი ენერგია. მოკლედ, კაცი, რომელიც ახალი ამბების ჰედლაინებისთვისაა დაბადებული. ის მათთვის ძალიან დიდი გახდა. ყველასთვის, როგორც პრესისთვის, ისე კოლეგებისთვის.

ამიტომაც ხშირად გადაუკრავდნენ სიტყვას, რომ მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს, ყურადღების ცენტრში უყვარს ყოფნა, საკუთარი ეგოიზმის გამო ბევრს გაუმწარა სიცოცხლე და ბევრიც გამოიყენა, მაგრამ რაფტო ამ ბრალდებებს ყურადღებას არ აქცევდა.

სამხილები არავის ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, საკმარისი. ზოგჯერ დანაშაულის ადგილიდან უცნაურად იკარგებოდა ნივთმტკიცებები — დაღუპულის სამკაულები ან საათი, მაგრამ ასეთ ნივთებს, ალბათ, იშვიათად თუ ვინმე მოიკითხავდა. ერთხელ რაფტოს ერთმა კოლეგამ, რომელიც კალამს ეძებდა, მისი მაგიდის უჯრა გამოაღო. ყოველ შემთხვევაში, ის კაცი ამტკიცებდა, გამოვაღეო, და სამი ბეჭედი უპოვია. რაფტო პოლიციის სამეთვალყურეო საბჭომ იხმო და ახსნა-განმარტება მოსთხოვა, თან ურჩია, ხმა არ ამოეღო და ბეჭდებისგან შორს დაეჭირა თავი. სულ ეს იყო. მაგრამ ჭორები გავრცელდა. ეს თემა მედიასაშუალებებმაც კი აიტაცეს. ასე რომ, არც იყო გასაოცარი, რომ როდესაც პოლიციას უფლებამოსილების გადამეტებაში დასდეს ბრალი და განყოფილებას პასუხი მოსთხოვეს, კონკრეტული სამხილები მხოლოდ ერთ პირზე იპოვეს — კაცზე, რომელიც ახალი ამბების ჰედლაინებისთვის იყო დაბადებული.

არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ გერტ რაფტო დამნაშავე იყო, მაგრამ ყველამ ისიც იცოდა, რომ ინსპექტორი განტევების ვაცად იქცა იმ მეთოდებისთვის, რომელთაც მრავალი წლის მანძილზე იყენებდნენ ბერგენის პოლიციაში. მის პატაკებში — ძირითადად, იმ მოხსენებებში, რომლებიც ბავშვებზე მოძალადეებსა და ნარკომოვაჭრეებს შეეხებოდა — ხშირად იყო ნათქვამი, რომ ესა თუ ის დამნაშავე საკანში დაბრუნებისას რკინის ძველი კიბიდან გადავარდა და სხვადასხვა ტიპის დაზიანე-

ბა მიიღო. გაზეთებმა შეუბრალებლობა გამოიჩინეს. მეტსახელი, რომელიც მას ოდესღაც შეარქვეს (რკინის რაფტო), რა თქმა უნდა, დიდად ორიგინალური არ ყოფილა, მაგრამ ზედმიწევნით შესაფერისი კი იყო, და ახლა ამ ფსევდონიმმა ახალი მნიშვნელობა შეიძინა. ჟურნალისტები კანონის ორივე მხარეს მყოფ მის ძველ მტრებს გაესაუბრნენ და ცხადია, რესპონდენტებმა კიდევ უფრო გაამუქეს მისთვის წაყენებული ბრალდება. ასე რომ, როდესაც რაფტოს ქალიშვილი ატირებული დაბრუნდა სკოლიდან და დაიჩივლა, თანაკლასელები დამცინიან და „რკინის კიბეს" მეძახიანო, ინსპექტორის მეუღლემ ქმარს განუცხადა, არ ვაპირებ გულზე ხელები დავიკრიფო და ვუყურო, როგორ შეურაცხყოფენ ოჯახს შენ გამოო. ამის თქმა იყო და, რაფტოს ნერვებმა უმტყუნა (რაც, ხშირად ხდებოდა ხოლმე), რის შემდეგაც ცოლ-შვილმა მიატოვა გერტი და აღარასდროს დაბრუნებულა მასთან.

მაგრამ ასეთ მძიმე წუთებშიც კი არ ავიწყდებოდა გერტს, რომ „რკინის რაფტო" იყო. კარანტინის დასრულებისთანავე ბეჯითად შეუდგა საქმეს, რათა დაკარგული პოზიციები აღედგინა. მიუხედავად იმისა, რომ წარმატებას მიაღწია, მაინც ვერ აიძულა ყველა, — კოლეგები და ჟურნალისტები — დაევიწყებინათ ის, რის დამტკიცებასაც ასე დაჟინებით ცდილობდნენ — ხელბორკილებით დაბმული და სასტიკად ნაცემი ადამიანების ფოტოებს ავრცელებდნენ. მაგრამ რაფტო ყველას უჩვენებდა სეირს, დაუმტკიცებდა, რომ ასე ადვილად არ დანებდებოდა. ყველას დაარწმუნებდა, რომ ეს ქალაქი მისი იყო, და არა ამ ქალაჩუნების, რომლებსაც სოციალური პრობლემების სპეციალისტებს უწოდებენ, კაბინეტებში რომ სხედან და ენას არ აჩერებენ, თანაც იმდენად გრძელი ენები აქვთ, რომ ადგილობრივი დეპუტატებისა და მემარცხენე ლიბერალი ჟურნალ-

ისტების უკანალებსაც კი სწვდებიან.

— ფოტოები გადაიღეთ და ამოცნობის საქმეს შეუდექით, — უბრძანა რაფტომ კრიმინალისტს, რომელსაც ფოტოაპარატი ეჭირა.

— ასეთ რაღაცას ვინ ამოიცნობს! — თქვა ახალგაზრდა კაცმა და გვამზე მიუთითა. რაფტოს მისი კილო არ მოეწონა.

— ალბათ, ვინმემ უკვე განაცხადა ან ცოტა ხანში განაცხადებს, რომ ქალი დაიკარგა. უბრალოდ, ფაქტები დაალაგე სწორად, გესმის, ყმაწვილო?

რაფტო მწვერვალზე ავიდა, საიდანაც იმ ადგილის ხედი იშლებოდა, რომელსაც იქაურები პლატოს ეძახდნენ. მიდამოს თვალი მოავლო და მზერა ახლომდებარე გორაკზე შეაჩერა. გორაკზე უმოძრაოდ იდგა ადამიანის ფიგურის მსგავსი რამ.

„იქნებ ქვის პირამიდაა?" — რაფტომ თვალები მოწკურა. ბევრჯერ ყოფილა ამ ადგილებში — ცოლსა და ქალიშვილთან ერთად სეირნობდა ხოლმე, მაგრამ აქ პირამიდა არასდროს უნახავს. საბაგიროს მიაშურა, ვაგონის ოპერატორთან მივიდა, ბინოკლი ითხოვა და თხუთმეტ წამში დაადგინა, რომ ის, რაც პირამიდა ეგონა, სინამდვილეში ერთმანეთზე შედებული თოვლის სამი დიდი ბურთი იყო.

რაფტოს არ მოსწონდა ფიელსიდენის კვარტალი. ვერ ხვდებოდა, რა იზიდავდა ადამიანებს უმზეო, ბნელ ხეობაში მდებარე ქოხებში, რომლებსაც არ ჰქონდათ თბოიზოლაციის სისტემა, მაგრამ სამაგიეროდ ჰქონდათ კიბეები და სარდაფები. მდიდარი მშობლების გაზულუქებული შვილები ხშირად მილიონებს ხარჯავდნენ, რომ ნამდვილი ბერგენული სახლების მფლობელები გამხდარიყვნენ. თუმცა ამ შენობებს ისეთ რეკონსტრუქციას უტარებდნენ, რომ საბოლოოდ ავთენტურობის ნასახიც აღარ რჩებოდა. დიდი ხნის წინ აქაურმა ფასებმა ახა-

ლგაზრდა ოჯახები აიძულა, საცხოვრებლად მთების მასივის მეორე მხარეს მდებარე გარეუბანში გადასახლებულიყვნენ. ამიტომ აქ ისეთი სიჩუმე იდგა, როგორიც უკაცრიელ სავაჭრო ცენტრებშია ხოლმე. ამის მიუხედავად, რაფტოს არ ასვენებდა შეგრძნება, რომ ვიღაც უთვალთვალებდა.

ქვის კიბეზე ავიდა და ზარი დარეკა. კარი თითქმის მაშინვე გაიღო და ფერმკრთალი, შეშინებული ქალი გამოჩნდა.

— ონი ჰეტლანი ბრძანდებით? — იკითხა რაფტომ და ქალს პოლიციელის მოწმობა აჩვენა, — თქვენი მეგობრის, ლაილა ოსენის თაობაზე გაწუხებთ.

ძალიან პატარა და უცნაურად დაგეგმილი ბინა აღმოჩნდა. სააბაზანო სამზარეულოს პირდაპირ იყო, თანაც — სასტუმრო ოთახსა და საძინებელს შორის. სასტუმრო ოთახში წითელი ღვინისფერი ორნამენტებიანი შპალერი იყო გაკრული, ამის მიუხედავად, ონი ჰეტლანმა მომწვანო-ფორთოხლისფერი დივანი და სავარძელი დადგა, მორჩენილი თავისუფალი ადგილი კი ჟურნალების შტაბელებითა და წიგნებისა თუ კომპაქტდისკების გროვებით აავსო. რაფტომ კატასა და გადაბრუნებულ ჯამს გადააბიჯა და დივანთან მივიდა. ონი ჰეტლანი სავარძელში ჩაჯდა და ხელში ძეწკვი აათამაშა, რომელზეც ბზარებით დაფარული მწვანე ქვა იყო გამობმული. ალბათ, ყალბი. არც ის იყო გამორიცხული, ასე ჰქონოდა ჩაფიქრებული.

ონი ჰეტლანმა მეგობრის დაღუპვის ამბავი გუშინ დილით, ლაილას ქმრისგან, ბასტიანისგან შეიტყო, მაგრამ სახეზე ჯერ კიდევ ტრაგიკული იერი აღბეჭდოდა. რაფტომ ამ გარემოებას ყურადღება არ მიაქცია და დაუნდობლად, დეტალურად აღწერა ამ საშინელი ისტორიის ყველა დეტალი.

— რა სისასტიკეა! — ჩაიჩურჩულა ონი ჰეტლანმა, — ბასტიანს არაფერი უთქვამს ამის შესახებ.

— დიახ, ჯერჯერობით არ ვაპირებთ ამ გარემოების გასაჯაროებას, — განმარტა რაფტომ, — როგორც ბასტიანმა თქვა, თქვენ ლაილას უახლოესი მეგობარი ყოფილხართ.

ონიმ თავი დაუქნია.

— ხომ არ იცით, რას აკეთებდა ლაილა ულრიკენის მწვერვალზე? მისმა მეუღლემ არაფერი იცის. იგი გუშინ ბავშვებთან ერთად ფლოეიოში იმყოფებოდა, დედამისთან.

ონიმ უარყოფის ნიშნად თავი გააქნია. ეს ჟესტი, ერთი შეხედვით, ეჭვს არ ტოვებდა, მაგრამ საქმე ის არის, რომ სანამ თავს გააქნევდა, ერთხანს, წამის მეასედით, შეყოვნდა. მაგრამ ეს დრო გერტ რაფტოსთვის საკმარისი აღმოჩნდა.

— ფრეკენ ჰეტლან, ლაპარაკია მკვლელობაზე. იმედია, ხვდებით, რამდენად სერიოზული საკითხია და რამხელა საფრთხეში იგდებთ თავს იმით, რომ არ მეუბნებით ყველაფერს, რაც იცით.

ქალმა პოლიციელს დაბნეული ბულდოგის მზერა ესროლა. გამომძიებელმა კილო შეიცვალა.

— ძალიან ცდებით, თუკი გგონიათ, რომ მისი ოჯახის ინტერესებს იცავთ. ასეთი დეტალები, ადრე თუ გვიან, მაინც გამჟღავნდება.

ონიმ ნერწყვი გადაყლაპა. აშკარად ეშინოდა. ეტყობოდა, კარის გაღებამდეც გვარიანად დამფრთხალი იყო. ამიტომაც რაფტომ გადაწყვიტა, ბოლომდე „დაემუშავებინა" ქალი და ფუჭ მუქარას მიმართა. ეს ხერხი საოცრად ეფექტიანი იყო როგორც დამნაშავეებთან, ისე უდანაშაულოებთან საუბრისას.

— შეგიძლიათ, ყველაფერი აქ და ახლა მიამბოთ, ან პოლიციის განყოფილებაში გამომყვეთ დაკითხვაზე.

ონის თვალები ცრემლებით აევსო. ქალმა ძლივს გასაგონად თქვა: — ვიღაცას უნდა შეხვედროდა.

— ვის?

ონიმ კანკალით ამოისუნთქა.

— ლაილამ მხოლოდ მისი სახელი და პროფესია მითხრა და ისიც, რომ ეს შეხვედრა საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო. არავის უნდა სცოდნოდა. განსაკუთრებით, ბასტიანს.

აღფრთოვანების დასაფარად რაფტომ ბლოკნოტში ჩაიხედა.

— მითხარით მისი სახელი და პროფესია.

გამომძიებელმა ჩაინიშნა ონის ნათქვამი და მერე ყურადღებით შეისწავლა ჩანაწერი. ონის სიტყვებზე დაყრდნობით შეიძლებოდა იმის თქმა, რომ უცნობს ფართოდ გავრცელებული სახელი ჰქონდა და არც ამ პროფესიის ადამიანები იყო იშვიათობა; მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ ბერგენი პატარა ქალაქი იყო, რაფტომ საკმარისად ჩათვალა ის ინფორმაცია, რომელიც ჰქონდა. მთელი არსებით გრძნობდა, რომ სწორ კვალს დაადგა. „მთელ არსებაში" გერტ რაფტო გულისხმობდა პოლიციაში მუშაობის ოცდაათწლიან სტაჟსა და ადამიანის ბუნების შესანიშნავად ცოდნას, რომელიც მისთვის დამახასიათებელ მიზანთროპიაზე იყო დაფუძნებული.

— პირობა უნდა მომცეთ, რომ არავის ეტყვით იმას, რაც ახლა გამანდეთ, — უთხრა გამომძიებელმა გარდაცვლილის მეგობარს, — არც ოჯახის წევრებს, არც ჟურნალისტებს. არც სხვა პოლიციელებს, რომლებთანაც მოგიწევთ საუბარი. გასაგებია?

— ანუ... პოლიციელებსაც არ ვუთხრა?

— დიახ, სწორად მიმიხვდით. გამოძიებას მე ვაწარმოებ და ამ ინფორმაციაზე სრული კონტროლი უნდა მქონდეს. სანამ სხვა თხოვნით არ მოგმართავთ, ისე მოიქეცით, თითქოს არაფერი იცით.

***

„როგორც იქნა!" — გაიფიქრა რაფტომ, როდესაც კარის ზღურბლიდან ქვის კიბეზე დაეშვა. ვიღაცამ ნახევარსარდაფის ფანჯარა გამოაღო. სინათლე გაკრთა. რაფტოს ისევ აეკვიატა შეგრძნება, რომ უთვალთვალებდნენ. მერე რა! რევანში მისი იქნება. მხოლოდ მისი. გერტ რაფტომ პალტო შეიკრა და სრიალა ქუჩაში მდუმარე ტრიუმფით განაგრძო სვლა ქალაქის ცენტრისკენ. გამომძიებელი ვერც კი ამჩნევდა, რომ კოკისპირულად წვიმდა.

საღამოს ხუთ საათზე წვიმა უფრო გაძლიერდა. გერტ რაფტოს მაგიდაზე უკვე ედო იმ სახელების სია, რომელიც შრომის დეპარტამენტისგან გამოითხოვა.

შესაფერისი სახელის მქონე თანამშრომლების ძებნა დაიწყო. სულ სამი კაცი აღმოჩნდა. ონი ჰეტლანისგან ორი საათის წინ დაბრუნდა და ახლა ფიქრობდა, რომ სულ მალე გაარკვევდა, ვინ მოკლა ლაილა ოსენი. საქმის გასახსნელად თორმეტ საათზე ნაკლები დრო დასჭირდა. მხოლოდ მან გახსნა. სხვამ არავინ. შემდეგ პირადად გაესაუბრება მასმედიის წარმომადგენლებს. ოსლოელმა ჟურნალისტებმა უკვე მთები და ველები გადმოიფრინეს და პოლიციის განყოფილება ალყაში მოაქციეს. კრიმინალური პოლიციის უფროსმა განაცხადა, რომ მკვლელობის დეტალების შესახებ ოფიციალური ინფორმაცია არ გავრცელდება, მაგრამ სვავებს სისხლის სუნი ეცათ და გაშმაგდნენ.

— როგორც ჩანს, ინფორმაციამ გაჟონა, — ჩაიბურტყუნა უფროსმა და რაფტოს მიაჩერდა, რომელსაც არაფერი უთქვამს, მეტიც, არც სახე უბრწყინავდა იმდენად, რომ გაზეთებში მოსახვედრად საკმარისი ყოფილიყო. ჟურნალისტები კი ელოდ-

ებოდნენ მასალას და მზად იყვნენ, ნებისმიერ მომენტში დაეწ-ყოთ სტატიების წერა... დიახ, მალე, ძალიან მალე გერტ რაფ-ტო ისევ ბერგენის პოლიციის სამმართველოს მეფე გახდება.

რადიომიმღებს ჩაუწია. უიტნი ჰიუსტონი თავგამოდებით არწმუნებდა ვიღაცას, ყოველთვის მეყვარებიო. სანამ ყურ-მილს აიღებდა, ტელეფონის ზარის ხმა გაისმა.

— რაფტო! — ჩაიბურტყუნა გაღიზიანებულმა და მოთმინება-დაკარგულმა გამომძიებელმა.

— მე ის ვარ, ვისაც ეძებ.

დისკრედიტირებული ინსპექტორი მაშინვე მიხვდა, რომ ეს არც ბლეფი იყო და არც შეცდომა. ხმით მიხვდა — მისი თანა-მოსაუბრე ძალიან მშვიდად ლაპარაკობდა, მკაფიო, საქმიანი მეტყველება კი გამორიცხავდა იმას, რომ რაფტოს ვიღაც შეშ-ლილი ან ლოთი ესაუბრებოდა. ამას გარდა, დეტექტივის თა-ნამოსაუბრის ხმაში კიდევ იყო რაღაც — რა, რაფტო, ჯერჯერო-ბით, ვერ ხვდებოდა.

დროის მოსაგებად დეტექტივმა რამდენჯერმე ჩაახველა. ჯანდაბა! ჯანდაბა! ჯანდაბა! მკვლელს სურდა, თავად ჩაჰბარე-ბოდა პოლიციას. მოვლენების ასე განვითარება ნამდვილად არ მოიტანდა იმ შედეგს, რომელიც რაფტოსთვის იქნებოდა მისაღები. სასურველი ეფექტის მოსახდენად რაფტოს თავად უნდა დაეკავებინა მკვლელი.

— რატომ გგონია, რომ შენ გეძებ? — კბილებს შორის გამოც-რა პოლიციელმა.

— უბრალოდ ვიცი, — თქვა მისმა თანამოსაუბრემ, — და თუ-კი ყველაფერი ისე განვითარდება, როგორც მე მინდა, შენ იმას მიიღებ, რისკენაც მიილტვი.

— და რისკენ მივილტვი?

— ჩემი დაპატიმრებისკენ. და შენ ამის შესაძლებლობა მო-

გეცემა. მარტოს. მისმენ, რაფტო?

ოფიცერმა თავი დააქნია, მხოლოდ ამის შემდეგ მოიკრიბა ძალა და ამოღერღა.

— ტოტემების სვეტთან შემხვდი, ნორდნეს-პარკში, — გაისმა ტელეფონის ყურმილში, — ზუსტად ათ წუთში.

რაფტო შეეცადა, ემსჯელა. ნორდნეს-პარკი აკვარიუმთან მდებარეობდა. ათ წუთზე ნაკლები დასჭირდებოდა იქ მისასვლელად. „მაგრამ რატომ უნდა, რომ მაინცდამაინც იქ, ნორდნეს-პარკის უკიდურეს წერტილში, ზღვაზე გამავალ კონცხთან შევხვდე?“

— რათა დარწმუნებული ვიყო, რომ მარტო მოხვალ, — ასეთი პასუხი გასცა უცნობმა გამომძიებლის ფიქრებს, — თუკი სხვა პოლიციელებსაც დავინახავ, ან თუკი დააგვიანებ, გავქრები. სამუდამოდ.

რაფტოს ტვინი გამალებით მუშაობდა — ითვლიდა, მსჯელობდა, დასკვნები გამოჰქონდა. დაკავების ჯგუფის მობილიზებას ვერ მოასწრებდა. ამასთან, პატაკის წერისას სწორედ ამ გარემოების გამოყენება შეეძლება იმის მიზეზად, თუ რატომ დააკავა დამნაშავე სხვების დაუხმარებლად. იდეალური სცენარი გამოდიოდა.

— კეთილი, — თქვა რაფტომ, — და რა მოხდება, როდესაც მოვალ?

— ყველაფერს მოგიყვები და ჩემი დანებების პირობებს გაგაცნობ.

— რა პირობებს?

— სასამართლოში ხელბორკილები არ უნდა მეკეთოს. პროცესი პრესისთვის დახურული უნდა იყოს, საპატიმროში კი სხვა მსჯავრდადებულებისგან იზოლირებული უნდა ვიყო. რაფტო გაოგნდა.

— კარგი, — თქვა და მაჯის საათს დახედა.

— მოიცადე. კიდევ ერთი პირობა. ჩემს საკანში ტელევიზორი უნდა იყოს და ყველა წიგნი უნდა მივიღო, რომელსაც მოვისურვებ.

— დარდი ნუ გაქვს, მაგ საკითხს მოვაგვარებთ, — თქვა რაფტომ.

— როდესაც ჩემს პირობებს ხელს მოაწერ, გამოგყვები.

— და რას იტყვი...

რაფტომ სათქმელის დასრულება ვერ მოასწრო. ყურმილში ასწრაფებული, მონოტონური ზუმერის ხმა გაისმა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ თანამოსაუბრემ სატელეფონო საუბარი გაწყვიტა.

რაფტომ მანქანა ბერგენის გემსაშენთან გააჩერა. ყველაზე მოკლე გზა ნამდვილად არ აურჩევია, მაგრამ აქედან უკეთესად ჩანდა მიდამო. დიდი,შემოღობილი პარკის ტერიტორიაზე ბილიკები იყო გაკვალული, აქა-იქ გორაკები მოჩანდა, რომლებიც ყვითელი ხმელი ბალახით იყო დაფარული. ხეებს გაფარჩხული შავი თითები აეწვდინათ პირქუში ცისკენ, რომელიც კუნძულ ასკიოიდან მოექანებოდა. ვიღაც კაცი სწრაფად მიჰყვებოდა ნერვულ როტვეილერს, რომელიც საბელს ექაჩებოდა. ნორდნესის საზღვაო აუზთან გავლისას რაფტომ პალტოს ჯიბეში „სმიტ-ვესონის" რევოლვერი მოსინჯა. ზღვის პირზე მიყუჟული თეთრი, ცარიელი აუზი უზარმაზარ აბაზანას ჰგავდა.

მოსახვევში, დაახლოებით ათ მეტრში, რაფტომ დაინახა მაღალი ტოტემის სვეტი, რომელიც თავის დროზე ბერგენს სიეტლმა აჩუქა — ქალაქის ცხრაასი წლის იუბილეზე. გამომძიებელს საკუთარი სუნთქვისა და ფეხქვეშ სველი ფოთლების

ჭყაპუნის ხმა ესმოდა. წვიმა წამოვიდა. პირდაპირ სახეზე ეცემოდა პატარა წვეთები.

ტოტემის სვეტთან ერთადერთი ადამიანი იდგა და მზერა სწორედ რაფტოსკენ ჰქონდა მიმართული. თითქოს ზუსტად იცოდა, რომ გამომძიებელი სწორედ ამ მხრიდან გამოჩნდებოდა.

რაფტომ ჯიბეში ჩადებულ რევოლვერს ხელი ჩასჭიდა და ბოლო რამდენიმე ნაბიჯიც გადადგა. მასსა და უცნობს ერთმანეთისგან სულ ორი ნაბიჯი აშორებდათ, როდესაც სვეტთან მდგარმა მამაკაცმა ჟესტით ანიშნა გამომძიებელს, შეჩერებულიყო. რაფტოს წვიმის წვეთები პირდაპირ თვალებში სცემდა. თვალები მოწკურა და თავი გააქნია. „შეუძლებელია!"

— გაგიკვირდა? — ჰკითხა მამაკაცმა. მხოლოდ ახლა იცნო მისი ხმა. რაფტომ არაფერი უპასუხა. ტვინი გამალებით უმუშავებდა.

— გეგონა, მიცნობდი, — აგრძელებდა მისი თანამოსაუბრე, — სინამდვილეში კი მე გიცნობ. ამიტომაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ ყველაფრის დამოუკიდებლად დასრულებას მოისურვებდი.

რაფტო თვალს არ აშორებდა თანამოსაუბრეს.

— ეს თამაშია, — თქვა მამაკაცმა.

— თამაში? — ხრინწიანი ხმით იკითხა რაფტომ.

— დიახ. შენ ხომ გიყვარს თამაშები!

რაფტო პალტოს ჯიბეში აფათურებდა ხელს, რათა დარწმუნებული ყოფილიყო, რომ როდესაც რევოლვერის ამოღება დასჭირდებოდა, იარაღი სარჩულს არ გამოედებოდა.

— რატომ მაინცდამაინც მე? — იკითხა გამომძიებელმა.

— იმიტომ, რომ შენ საუკეთესო ხარ, მე კი მხოლოდ საუკეთესო მეტოქეებს ვეთამაშები.

— შეშლილი ხარ, — ჩაიჩურჩულა რაფტომ და მაშინვე ინანა.

— ვერ შეგედავები, — ღიმილით უპასუხა მამაკაცმა, — მაგრამ შენც შეშლილი ხარ, ჩემო კარგო. ჩვენ, ყველა, შეშლილი ვართ. დაუოკებელი სულები, რომლებიც ვერაფრით ვპოულობთ საკუთარ სავანეს. და ყოველთვის ასე იყო. იცი, რატომ დგამდნენ ინდიელები ამ რაღაცებს?

რაფტოს წინ მდგარმა მამაკაცმა ხელთათმნიანი საჩვენებელი თითით დააკაკუნა ხეზე. სვეტზე ფიგურები იყო გამოკვეთილი — ერთმანეთზე იდგნენ და დიდი, შავი, ბრმა თვალებით გაჰყურებდნენ ფიორდის მიღმა სივრცეს.

— სულების სადარაჯოდ, — თქვა მამაკაცმა, — რათა არ დაიკარგონ. მაგრამ ტოტემის სვეტი ლპება. და უნდა დალპეს კიდეც. ასეთია ჩანაფიქრი. და როდესაც სვეტი კვდება, სულმა ახალი სავანე უნდა იპოვოს. ან ნიღაბში. ან სარკეში. ან ახალშობილ ბავშვში.

აკვარიუმიდან, პინგვინების ვოლიერიდან, ხრინწიანი ხმა გაისმა.

— მეტყვი, რატომ მოკალი ის ქალი? — ჰკითხა რაფტომ პინგვინივით ხრინწიანი ხმით.

— თამაში დასრულებულია, რაფტო. კარგად გავერთე.

— როგორ მიხვდი, რომ შენს კვალს დავადექი?

მამაკაცმა ხელი აღმართა. რაფტომ ავტომატურად დაიხია უკან. რაფტოს თანამოსაუბრეს ხელზე რაღაც ეკიდა. ძეწკვი, რომელზეც ცრემლის ფორმის დიდი, ბზარებით დასერილი მწვანე ქვა იყო გამობმული. რაფტოს გული აუჩქარდა.

— ონი ჰეტლანს ხმა არ უნდა ამოეღო... შეიძლება ითქვას, მან თავს უფლება მისცა... ელაპარაკა.

— ცრუობ, — თქვა რაფტომ. სული ეხუთებოდა და თვითონაც არ სჯეროდა იმის, რასაც ამბობდა.

— მითხრა, რომ გიბრძანებია, ჩემს კოლეგებს არაფერი უთხრაო. მაშინ მივხვდი, რომ ჩემს წინადადებას დასთანხმდებოდი და აქ მარტო მოხვიდოდი. გეგონა, აქ შენი სულის ახალი სავანე და შენი აღდგომის ადგილი დაგხვდებოდა, ასეა არა?

რაფტოს ცივი, წვრილი წვიმა ოფლის წვეთებივით დაეწუწა სახეზე. თითი რევოლვერის სასხლეტზე ედო და ცდილობდა, ნელა, თავშეკავებულად ელაპარაკა:

— ცუდი ადგილი აარჩიე. ზღვისკენ ზურგშექცევით დგახარ და გარშემო ყველა გზაზე პოლიციის მანქანები დგას. აქედან ვერავინ გაიქცევა.

მამაკაცმა ჯიქურ შეხედა და ღრმად ჩაისუნთქა.

— გრძნობ სუნს, გერტ?

— რის სუნს?

— შიშის სუნს. ადრენალინს ძალზე მკვეთრი სუნი აქვს. რა თქმა უნდა, ეს იცი. ალბათ, გახსოვს — ასეთივე სუნი ასდიოდათ იმ პატიმრებს, რომლებსაც შენ სცემდი. ლაილასაც ასეთი სუნი ასდიოდა, რომელიც განსაკუთრებით გამძაფრდა მაშინ, როდესაც დაინახა, რა ინსტრუმენტების გამოყენებასაც ვაპირებდი. ონის კიდევ უფრო მძაფრი სუნი ასდიოდა. ალბათ, იმიტომ, რომ შენ მოუყევი, როგორ მოკვდა ლაილა და როგორც კი დამინახა, მიხვდა, რაც ელოდა. ძალიან აღმგზნები სუნია, ნუთუ ვერ გრძნობ? რომელიღაც წიგნში ამოვიკითხე, რომ სწორედ ამ სუნით პოულობენ მტაცებლები მსხვერპლს. უბრალოდ წარმოიდგინე: მოკანკალე მსხვერპლი ცდილობს, დაიმალოს, მაგრამ ხვდება, რომ საკუთარი შიშის სუნი დაღუპავს.

რაფტო მამაკაცის მშვიდად ჩამოშვებულ ხელებს აკვირდებოდა. ხელში იარაღი არ ეჭირა. ჯერ კიდევ არ ბნელოდა. ქალაქის ცენტრის ახლოს იყვნენ. ნორვეგიის ერთ-ერთი ყველა-

ზე დიდი ქალაქის ცენტრის ახლოს. ბოლო წლებში ინსპექტორი აღარ სვამდა და მხნედ იყო. სწრაფი რეაქცია ჰქონდა და ხელჩართული ბრძოლის ტექნიკასაც ფლობდა. რევოლვერის ამოღება წამის საქმე იყო. მაგრამ რატომ ეშინოდა ასე ძალიან?

თავი VI

მეორე დღე. მობილური ტელეფონი

ინსპექტორი მაგნუს სკარე თავის გორგოლაჭებიან ცალფეხა სავარძელში გადაწვა და თვალები დახუჭა. მის გონებაში უმალ გაჩნდა კოსტიუმში ჩაცმული ადამიანის ფიგურა, რომელიც ზურგშექცევით იდგა. თვალები გაახილა და საათს დახედა. ექვსი საათი შესრულებულიყო. გადაწყვიტა, რომ ახლა, როდესაც მთელი დღე დაკარგულის შესახებ ინფორმაციის შეგროვებაში გაატარა, ხანმოკლე შესვენებას იმსახურებდა. ყველა საავადმყოფოში დარეკა. ბირტე ბეკერი ხომ არ მიგიღიათო, კითხულობდა. ტაქსის საერთო-ნორვეგიულ და საქალაქო სერვისცენტრებში შეამოწმა იმღამინდელი მარშრუტები ჰოფში. დარეკა იმ ბანკშიც, რომლის კლიენტიც იყო დაკარგული და გაარკვია, რომ გაუჩინარების დღეს ქალს მსხვილი თანხა არ მოუხსნია ანგარიშიდან. არც მომდევნო დღეს. გარდემოენის აეროპორტში მომუშავე პოლიციელებმა წინა საღამოს რეგისტრირებული მგზავრების სიები შეამოწმეს, მაგრამ მგზავრებს შორის ბეკერი მხოლოდ ფილიპი იყო — დაკარგულის მეუღლე, რომელიც იმ საღამოს ბერგენში გაფრინდა. სკარე დანიისა და ინგლისისკენ მცურავი ბორნების მფლობელი ფირმების ხელმძღვანელებსაც დაუკავშირდა, მაგრამ თითქმის გამორიცხული იყო, ქალი ინგლისში წასულიყო, იმიტომ, რომ მისი პასპორტი ქმარმა სახლში იპოვა და პოლიციასაც აჩვენა. ამბიციურმა ოფიცერმა სტანდარტული უსაფრთხოების ფაქსი გაუგზავნა ოსლოსა და აკერსჰუსის ყველა სასტუმროს და ბოლოს ყველა ოპერატიულ ერთეულს — მათ შორის საპატრულო მანქანებსაც — მოუწოდა, ყურადღება არ

მოედუნებინათ.

მხოლოდ მობილური ტელეფონის საკითხი რჩებოდა ღიად. მაგნუსმა ჰარის დაურეკა და ანგარიში ჩააბარა. ინსპექტორი მძიმედ სუნთქავდა და ჩიტების ჭიკჭიკი ესმოდა. სანამ გათიშავდა, ჰარიმ რამდენიმე კითხვა დაუსვა მობილური ტელეფონის შესახებ. ამის შემდეგ სკარე ადგა და კორიდორში გავიდა. კატრინ ბრატის კაბინეტი ღია დახვდა. შუქი ენთო, თუმცა ოთახში არავინ იყო. კიბეს აუყვა და ზედა სართულზე მდებარე კაფეტერიაში აღმოჩნდა.

სამზარეულო აღარ მუშაობდა, მაგრამ კართან მდგარ მაგიდაზე ყავის თერმოსი, ორცხობილები და ჯემი იდო. კაფეტერიაში სულ ოთხი კაცი იჯდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ერთ-ერთი მათგანი კატრინ ბრატი აღმოჩნდა — კედელთან მდგარ მაგიდასთან მოკალათებულიყო და საბუთებით სავსე საქაღალდეს ჩაჰკირკიტებდა, წინ წყლით სავსე ჭიქა ედო, ოდნავ მოშორებით კი — ბუტერბროდების ღია პაკეტი. სათვალით კითხულობდა, რომელსაც თხელი ლინზები და ასეთივე ჩარჩო ჰქონდა — თითქმის არ ჩანდა სახეზე.

სკარემ ყავა დაისხა და იმ მაგიდას მიუახლოვდა, რომელთანაც კატრინი იჯდა.

— ზეგანაკვეთურად მუშაობთ? — ჰკითხა მაგნუსმა და ქალს გვერდით მიუჯდა.

მაგნუსს ისეთი შეგრძნება დაეუფლა, რომ ოხვრა მოესმა. კატრინმა მზერა მასზე გადაიტანა.

— იცით, როგორ მივხვდი? — თქვა მაგნუსმა, გაიღიმა და თავით საჭმლის პაკეტზე მიანიშნა, — შინ არის დამზადებული. ანუ იცოდით, რომ სამზარეულო ხუთ საათზე დაიკეტებოდა, თქვენ კი აქ გაცილებით მეტი დროის გატარება მოგიწევდათ. მაპატიეთ, მაგრამ გამომძიებელი ვარ. ყველა გამომძიებელი ასეთია.

— ნუთუ! — გულგრილად თქვა ქალმა და თავის დოკუმენტებს დაუბრუნდა.

— დიახ, — დაუდასტურა სკარემ, ყავა მოსვა და გადაწყვიტა, დრო უქმად არ დაეკარგა და კარგად შეეთვალიერებინა ქალი.

მაგიდასთან მჯდარი კატრინი ოდნავ წინ გადმოხრილიყო და ბიუსტჰალტერის ბრეტელი მოუჩანდა.

— თუნდაც დღევანდელი საქმე ავიღოთ, უგზო-უკვლოდ გაუჩინარებული ქალის საქმეს ვგულისხმობ. მხოლოდ ის ვიცი, რაც ყველამ, მაგრამ მგონია, რომ დაკარგული ჰოფს არ გასცდენია და სადმე თოვლის ან ხმელი ფოთლების ქვეშაა. შეიძლება რომელიმე ტბაშიც იყოს, ან ნაკადულში — იქ ბევრი ტბა და ნაკადულია.

კატრინ ბრატი ხმას არ იღებდა.

— იცით, რატომ ვთვლი ასე?

— არა, — უპასუხა ქალმა უემოციოდ, ისე, რომ საქაღალდისთვის თვალი არ მოუცილებია.

სკარე მაგიდის თავზე გადაიხარა და ქალს წინ მობილური დაუდო. გაოცებულმა კატრინმა ინსპექტორს შეხედა.

— ეს მობილური ტელეფონია, — თქვა მან, — ალბათ, გგონიათ, რომ ეს ნივთი არც ისე დიდი ხნის წინ გამოიგონეს, მაგრამ სინამდვილეში მობილური ტელეფონების მამამ, მარტინ კუპერმა, ეს მოწყობილობა პირველად ჯერ კიდევ 1973 წელს გამოიყენა. მაშინ თავის მეუღლეს დაურეკა, მაგრამ ვერც კი ხვდებოდა, რომ მისი გამოგონება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებად იქცეოდა, რომლის დახმარებითაც პოლიციელებს დაკარგული ადამიანების მოძებნა შეუძლიათ. ბრატ, თუკი გსურთ, კარგ გამომძიებლად იქცეთ, უფრო გამოცდილ კოლეგებს უნდა მოუსმინოთ და მათი ცოდნა შეითვისოთ.

კატრინმა სათვალე მოიხსნა და სკარეს ღიმილით შეხედა:

— ყურადღებით გისმენთ, ინსპექტორო.

— ძალიან კარგი, — თქვა სკარემ, — ეს მნიშვნელოვანია. ბირტე ბეკერს მობილური ტელეფონი ჰქონდა, მობილური ტელეფონი კი გზავნის სიგნალს, რომელსაც იმ რაიონის საბაზო სადგური იღებს, სადაც ეს ტელეფონი მდებარეობს. და არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ტელეფონით ვრეკავთ, არამედ მაშინაც, როდესაც აპარატი უბრალოდ ჩართულია. აი, რატომ უწოდებდნენ ამერიკელები ამ გამოგონებას cellular phone-ს — ფიჭურ ტელეფონს. სიგნალი გარკვეულ ტერიტორიაზე, ანუ ფიჭის უჯრედის მსგავს სივრცეზე ვრცელდება. ტელეფონის მდებარეობის განსასაზღვრად "ტელენორს" მივმართე. აღმოჩნდა, რომ მთავარი სადგური, რომელიც ჰოფსაც ფარავს, ჯერ კიდევ იღებს ბირტეს ტელეფონის სიგნალს. არადა, ჩვენ მთელი სახლი გავჩხრიკეთ და ტელეფონი ვერ ვიპოვეთ. სახლის სიახლოვეს არ დაკარგავდა მობილურს. ასეთი დამთხვევები არ ხდება ხოლმე. Ergo[9] [Ergo .. — სკარემ ხელები ისე ასწია, როგორც ილუზიონისტმა მორიგი ნომრის დასრულებისას, — ყავის სმას რომ მოვრჩები, ოპერატიულ ჯგუფს დავუკავშირდები, რათა სამძებრო მობილური ჯგუფი გაგზავნონ.

— წარმატებას გისურვებთ, — თქვა კატრინმა, მაგნუსს ტელეფონი მიაწოდა და ისევ საქაღალდეს დაუბრუნდა.

— ჰოლეს ერთ-ერთი ძველი საქმეა, არა? — ჰკითხა სკარემ.

— დიახ.

— ეგონა, სერიული მკვლელი მოქმედებდა.

— ვიცი.

— მაშ, ალბათ, ისიც იცით, რომ შეცდა. და, სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არ არის. ჩვენს ჰოლეს მანიაკები ჰყავს აკვიატებული. ჰგონია, ამერიკაში ცხოვრობს, სამშობლოში კი

---

[9] *მაშასადამე (ლათ)*

თავისი სერიული მკვლელი ჯერ ვერ უპოვია.

— შვედეთში რამდენიმე სერიული მკვლელი დაიჭირეს — თომას ქუიკი, ჯონ ასონიუსი, ტორე ჰედინი...

მაგნუს სკარეს გაეცინა.

— საშინაო დავალება შეგისრულებიათ, მაგრამ თუკი გსურთ, ნამდვილი კრიმინალური დეტექტივის მუშაობის ზოგიერთ თავისებურებას გაეცნოთ, შეგიძლიათ, ლუდზე დამეწვიოთ.

— გმადლობთ, მე არ...

— შეგვიძლია ვივახშმოთ კიდეც. ძალიან პატარა საუზმის ყუთი წამოგიღიათ. სკარემ, როგორც იქნა, დაიჭირა მისი მზერა და თვალი აღარ მოაცილა. ქალის მზერაში რაღაც უცნაური კრთებოდა, თითქოს მისი თვალების სიღრმეში ცეცხლი გიზგიზებდა. მაგნუსი ასეთ ცეცხლს პირველად ხედავდა. სკარემ გაიფიქრა, რომ სწორედ ის იყო პასუხისმგებელი ამ ელვარებაზე — ამ საუბრით მან ცეცხლზე ნავთი დაასხა და ქალის დონემდე აიწია.

— შეგიძლიათ, ჩათვალოთ, რომ... — წამოიწყო სკარემ და ისეთი სახე მიიღო, თითქოს შესაფერის სიტყვას ეძებსო, — ტრენინგზე გიწვევთ.

ქალს გაეღიმა. ფართოდ გაიღიმა.

სკარემ იგრძნო, როგორ აუჩქარდა პულსი. წარმოიდგინა, რომ უკვე გრძნობდა ქალის სხეულის შეხებას, წინდიან მუხლს ხელის თითებზე, ტკაცუნს, რომელიც გაისმება, როდესაც მაგნუსი ხელს ზემოთ აასრიალებს... წარმოიდგინა და ოფლმა დაასხა.

— მაინც რა გინდათ, სკარე? რაზმის ახალი ქვედაკაბა უნდა შეამოწმოთ? — ქალმა კიდევ უფრო ფართოდ გაიღიმა და მისი თვალების ცეცხლი უფრო მწველი გახდა, — გინდათ, რაც შეი-

ძლება მალე იხმაროთ, ისე, როგორც ბიჭი, რომელიც დაბადების დღის ტორტის ყველაზე დიდ ნაჭრებს აფურთხებს, რათა კონკურენტები თავიდან აიცილოს და ამ ნადავლით მშვიდად ჩაიტკბარუნოს პირი?

მაგნუს სკარეს თითქოს ყბა ჩამოუვარდა.

— ნება მომეცით, რამდენიმე მეგობრული რჩევა მოგცეთ, სკარე. თავი შორს დაიჭირეთ თანამშრომელი ქალებისგან. ნუ დაკარგავთ დროს კაფეტერიაში ყავის სმაზე, თუკი გგონიათ, რომ ცხელ კვალს დაადექით. და ნუ მეუბნებით, რომ შეგიძლიათ, ოპერატიულ შტაბს დაუკავშირდეთ. თქვენ ინსპექტორ ჰოლეს დაურეკავთ და მხოლოდ ის გადაწყვეტს, დაიწყოს თუ არა ძებნა. შემდეგ ის სასწრაფო რეაგირების ცენტრში დარეკავს, სადაც ის ადამიანები მუშაობენ, რომლებიც მზად იქნებიან ამ საქმის შესასრულებლად. ამ საქმისთვის მხოლოდ ამ განყოფილების გუნდი არ იქნება საკმარისი.

კატრინმა სენდვიჩის ქაღალდი დაჭმუჭნა და სკარეს ზურგს უკან ურნისკენ ისროლა. მაგნუსი არც შებრუნებულა, ისე მიხვდა, რომ ქალმა ზუსტად მოახვედრა მიზანს. კატრინმა საქაღალდე დახურა და წამოდგა, მაგრამ იმ დროისთვის სკარეც მზად იყო წასასვლელად.

— ვერც კი ვხვდები, რა წარმოიდგინეთ, ბრატ. დაოჯახებული ბრძანდებით, მაგრამ, როგორც ჩანს, ვერ გაკმაყოფილებენ სათანადოდ, თუკი გადაწყვიტეთ, რომ ისეთი კაცი, როგორიც მე ვარ, თქვენ... მე თქვენ... — მაგნუსი სათანადო სიტყვებს ვერ პოულობდა. ჯანდაბა! სიტყვებს ვერ პოულობდა! — უბრალოდ მინდოდა, მასტერკლასი ჩამეტარებინა, შე ბოზო!

ქალს სახე უცნაურად შეეცვალა — თითქოს ფარდა გადაიწია და მაგნუსი მოგიზგიზე ცეცხლის პირისპირ აღმოჩნდა. ერთხანს სკარეს ეგონა, დამარტყამსო, მაგრამ არაფერი მომ-

ხდარა. და როდესაც კატრინმა ლაპარაკი წამოიწყო, მაგნუსი მიხვდა, რომ ქალმა საკუთარ მზერაში მოახდინა მრისხანების კონცენტრირება.

არც ხელი აღუმართავს და ხმაც მშვიდი ჰქონდა.

— მომიტევეთ, თუკი არასწორად გაგიგეთ, — თქვა მან, თუმცა სახეზე ეტყობოდა, რომ ყველაფერი სწორად გაიგო, — სხვათა შორის, მარტინ კუპერმა თავის ცოლს კი არა, თავის კონკურენტს, ჯოელ ინჯელს დაურეკა, რომელიც „ბელ ლებორეთორისში" მუშაობდა. თქვენი აზრით, გამოცდილების გასაზიარებლად მოიქცა ასე? იქნებ უბრალოდ სატრაბახოდ დაურეკა?

სკარემ თვალი გააყოლა კატრინს, რომელიც კაფეტერიის კარისკენ გაეშურა. კოსტიუმი მჭიდროდ მოტმასნოდა სხეულის უკანა ნაწილზე. ჯანდაბა! ეს ქალი აბუჩად იგდებდა! უნდოდა, წამომდგარიყო და მისთვის რაღაც ესროლა, მაგრამ იცოდა, რომ ააცილებდა. და, გარდა ამისა, ადგილიდან დაძვრა არ უნდოდა. არ იყო დარწმუნებული, რომ მის ერექციას ვერავინ შენიშნავდა.

***

ჰარი გრძნობდა, რომ მისი ფილტვები ნეკნებს ეხებოდა, მაგრამ სუნთქვა თანდათანობით დაუმშვიდდა, გული კი არა. ჯერ კიდევ კურდღელივით უცემდა მკერდში. რესტორან „ეკებერგის" წინ, ტყის პირას იდგა. სპორტული კოსტიუმი ოფლისგან დაუმძიმდა. ეს რესტორანი, რომელიც ომებშორისი პერიოდიდან შემორჩა, ერთ დროს დედაქალაქის სიამაყეს წარ-

მოადგენდა, ამაყად იდგა აღმოსავლეთის ციცაბო ფერდობზე. მაგრამ ქალაქის ცენტრიდან ტყემდე საკმაოდ დიდი მანძილი იყო გასავლელი და ხალხს თანდათან მოჰბეზრდა. რესტორანი არარენტაბელური გახდა, დაკნინდა და ახლა აქ მხოლოდ ცეკვის მოყვარული მოხუცები, შუახნის ლოთები და ის მარტოხელა ადამიანები იკრიბებოდნენ, რომლებიც მათსავით მარტოსულ ხალხს ეძებდნენ. ბოლოს რესტორანი საერთოდ დახურეს. ჰარი სიხარულით ამოდიოდა ხოლმე აქ; ტყეში ადიოდა, ყვითელ გამონაბოლქვში გახვეულ ქალაქს გადახედავდა, შემდეგ რომელიმე ბილიკით სწორ მოედნამდე მირბოდა და გრძნობდა, როგორ იწვოდა მის კუნთებში რძემჟავა. ამ ნახევრად დანგრეულ რესტორანთან გაჩერება უყვარდა. ამ შენობას კატასტროფის ნამსხვრევების განსაკუთრებული მომხიბვლელობა შერჩენოდა. სარეველამოდებულ ცვრიან ტერასაზე ჯდებოდა და უყურებდა ქალაქს, რომელიც ოდესღაც მისი იყო, ახლა კი ემოციურად გაკოტრებულიყო. ამ ქალაქის ყველა აქტივი ახლა სხვას ეკუთვნოდა... ყოფილი შეყვარებული, რომლის გრძნობა სხვას გადაეცა...

ქალაქი ქვაბულში მდებარეობდა. თითქმის ყველა მხრიდან მთაგრეხილი ერტყა გარს და მხოლოდ ფიორდის მხარეს ჩანდა გასასვლელი. როგორც გეოლოგები ამბობდნენ, ოსლო ჩამქრალი ვულკანის კრატერში იყო გაშენებული. ყოველ ასეთ საღამოს ჰარი გადაჰყურებდა ქალაქს და წარმოიდგენდა, რომ მისი სინათლე მასში დაბუდებული ვულკანური ლავა იყო. ჰოლმენკოლენის სათხილამურო ტრამპლინიდან, რომელიც ქალაქის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობდა და პატარა თეთრ, განათებულ წერტილს ჰგავდა, ჰარი ცდილობდა, განესაზღვრა, სად იყო რაკელის სახლი.

წერილზე ფიქრობდა. და სკარეს სატელეფონო ზარზე. რო-

გორც მაგნუსმა უთხრა, ბირტეს დაკარგული ტელეფონი სიგნალს გადასცემდა. გულისცემა შეუნელდა. გული სისხლს ტუმბავდა და ტვინს გადასცემდა მშვიდ, სტანდარტულ სიგნალს, რომ ცხოვრება გრძელდებოდა. როგორც მობილური ტელეფონი — მთავარ სადგურს. „გული. სიგნალი. წერილი". ჰარის ავადმყოფური ფიქრები მოეძალა. რატომ აქამდე არ მოიშორა? რატომ ითვლიდა იმ დროს, რაც მანქანამდე მისარბენად, ჰოფამდე მისასვლელად და იმის გასარკვევად დასჭირდებოდა, რომელი უფრო ავადმყოფური იყო?

***

რაკელი სამზარეულოში იდგა და ფანჯრიდან ეზოს გადაჰყურებდა — წიწვოვან ხეებს, რომელთა წყალობითაც მეზობლის ფანჯრებს ვეღარ ხედავდა.

მობინადრეთა შეკრებაზე მეტი დღის სინათლის მიღების მიზნით ამ ხეების მოჭრის ინიციატივით გამოვიდა, მაგრამ მის წინადადებას დუმილით შეხვდნენ, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ამ აზრს არ იზიარებდნენ. მობინადრეებმა იმდენად მკაფიოდ გამოხატეს საკუთარი დამოკიდებულება, რომ რაკელს მას შემდეგ სიტყვა აღარ დაუძრავს ამ საკითხზე.

ნაძვის ტოტები ყველასა და ყველაფერს ფარავდა და სწორედ ამას აფასებდა ჰოლმენკოლენის მოსახლეობა. თოვლი კი ეცემოდა მიწაზე, სადაც BMW-სა და Volvo-ს მარკის ავტომობილები მოსახვევებში მიიკვლევდნენ გზას საკუთარი ავტოფარეხების ელექტრონული ჭიშკრებისა და სადილისკენ, რომლებსაც მათი ტანადი დიასახლისები ამზადებდნენ კარიერუ-

ლი ტაიმ-აუტის დროს, როდესაც მხოლოდ ძიძების მცირე დახმარება ჰყოფნიდათ.

ამ ხის სახლს, რომელიც რაკელს მამისგან ერგო მემკვიდრეობად, მასიური იატაკები ჰქონდა, მაგრამ ქალს მაინც ესმოდა მუსიკის ხმა, რომელიც პირველ სართულიდან, ოლეგის ოთახიდან იღვრებოდა. მისი ვაჟი Led Zeppelin-სა და The Who-ს უსმენდა. თერთმეტი წლის ასაკში რაკელი ნამდვილად არ მოუსმენდა მშობლების თაობის მუსიკას, მაგრამ ეს კომპაქტდისკები ოლეგს ჰარიმ მისცა და ბიჭი ამ ფირფიტებს გულწრფელი აღტაცებით უსმენდა ხოლმე.

რაკელს გაახსენდა, როგორ გახდა და როგორ ჩამოხმა ჰარი. ისევე, როგორც მოგონებები მასზე. ქალს საოცარი შიში ეუფლებოდა, როდესაც ფიქრობდა, რომ ის, ვისთანაც ერთ დროს ასე ახლოს იყო, თვალსა და ხელს შუა დნებოდა და ქრებოდა. ალბათ, იმიტომ ხდება ასე, რომ როდესაც ურთიერთობა სრულდება, მისი ყველა პერიპეტია სიზმარს ემსგავსება. სიზმარი კი... სიზმარი უბრალოდ ჩვენი ფანტაზიის გაგრძელებაა, რომელსაც თითქმის მყისიერად ვივიწყებთ.

ალბათ, ამიტომ იმოქმედა ასე ძალიან რაკელზე ჰარისთან შეხვედრამ. ჩახუტებამ, მისი სუნის ჩასუნთქვამ, მისი ხმის გაგონებამ — არა ტელეფონიდან, არამედ უშუალოდ მისი ბაგეებიდან, რომლებიც, მისი კუშტი, ახალი ნაოჭებით დასერილი სახის მიუხედავად, ასეთი რბილია... მისმა ცისფერმა თვალებმა, რომლებიც საუბრისას ბრწყინავდა, მაგრამ დროდადრო ელვარებას კარგავდა ხოლმე... არაფერი შეცვლილა.

მაგრამ, იმავდროულად, უხაროდა, რომ ცხოვრების ეს ეტაპი უკვე დაასრულა და მისი მომავალი ამ მამაკაცს არ უკავშირდებოდა. უხაროდა, რომ ჰარი და მასთან დაკავშირებული საშინელი რეალობა ვეღარასდროს შეიჭრებოდა მის ცხოვრე-

ბაში. ახლა მის ცხოვრებაში ყველაფერი კარგადაა. გაცილებით უკეთესად, ვიდრე ადრე იყო. საათს დახედა. იცოდა, რომ დროზე მოვიდოდა. ჰარისგან განსხვავებით, ის არასდროს აგვიანებდა.

მათიასი მოულოდნელად გამოჩნდა მის ცხოვრებაში. ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელობის შეკრებაზე მოვიდა. ამ უბანში არ ცხოვრობდა — მეგობარმა მოიწვია. ის და რაკელი ერთმანეთის გვერდით ისხდნენ და მთელი საღამო სასიამოვნო მუსაიფში გაატარეს. უნდა ითქვას, რომ მეტწილად რაკელზე საუბრობდნენ. მათიასი ყურადღებით, როგორც რაკელს მოეჩვენა, ექიმისთვის დამახასიათებელი პროფესიული ინტერესით უსმენდა. რამდენიმე დღის შემდეგ კი დაურეკა და ჰკითხა, ხომ არ წავიდოდა მასთან ერთად ჰიოვიკოდენში, ჰენი-უნსტადის ცენტრში მოწყობილ გამოფენაზე. ოლეგიც წამოვიდეს, იმიტომ, რომ საბავშვო პროგრამაც აქვთო. იმ დღეს ცუდი ამინდი იდგა, განსაკუთრებული ღირებულებით არც გამოფენაზე წარმოდგენილი ფერწერული ნამუშევრები გამოირჩეოდა, ოლეგი კი უბრალოდ საშინლად იქცეოდა, მაგრამ მათიასი ხუმრობებითა და მხატვრებსა თუ მათ შესაძლებლობებზე მოსწრებული შენიშვნებით მაინც ახერხებდა საერთო განწყობის გაუმჯობესებას. შემდეგ დედა-შვილი სახლში მიიყვანა, მოუბოდიშა და ღიმილით დადო პირობა, რომ რაკელსა და ოლეგს საკუთარი ინიციატივით აღარასდროს წაიყვანდა სადმე. ამის შემდეგ მათიასი ორი კვირით გაემგზავრა ბოტსვანაში და რაკელს დაბრუნებისთანავე დაურეკა. სთხოვა, შემხვდიო.

რაკელმა მანქანის ხმა გაიგონა. აშკარა იყო, რომ სახლისკენ მომავალ აღმართზე ამოსასვლელად მძღოლი აქსელერაციის პედალს აჭერდა ფეხს. მათიასს ძველი „ჰონდა აკორდი”

ჰყავდა და რაკელს ეს რატომღაც ძალიან მოსწონდა. ყოველთვის ავტოფარეხის წინ აჩერებდა მანქანას და არასდროს შედიოდა შიგ. ქალს ესეც მოსწონდა. მოსწონდა, რომ ტომარაში, რომელსაც თან დაატარებდა, ყოველთვის ედო სუფთა თეთრეული და ტუალეტის ჩანთა. მოსწონდა, როდესაც მათიასი კითხულობდა, როდის შეიძლებოდა მისი ნახვა და თავი მოკრძალებულად ეჭირა. რაკელმა იცოდა, რომ ეს ყველაფერი, ალბათ, შეიცვლებოდა, მაგრამ ცვლილებებისთვის მზად იყო.

მათიასი მანქანიდან გადმოვიდა. მაღალი იყო — თითქმის ჰარის სიმაღლის.

როდესაც სტუმრად მოდიოდა, ყოველთვის უღიმოდა ხოლმე. ბავშვურ, ღია სახეს სამზარეულოსკენ მიმართავდა და უღიმოდა — მაშინაც კი, როდესაც არაადამიანურად ხანგრძლივი მორიგეობის შემდეგ სიქა ჰქონდა გაცლილი. დიახ, ქალი მზად იყო. იმიტომ, რომ ეს მამაკაცი მას უხდებოდა. მათიასს უყვარდა ის და მათ პატარა ტრიოს ყველასა და ყველაფერზე მაღლა აყენებდა. რაკელმა გაიგონა, როგორ გადატრიალდა გასაღები კარში. გასაღები, რომელიც მან მათიასს გასულ კვირას მისცა. მათიასი, რომელსაც გასაღები მისცეს, თავიდან ერთ დიდ კითხვის ნიშანს ჰგავდა. გაოცებული იყო იმ ბავშვივით, რომელსაც შოკოლადის ფაბრიკაში შესასვლელი ბილეთი მისცეს.

კარი გაიღო. მათიასი შემოვიდა. რაკელი მის მკლავებში მოექცა. მისი შალის პალტოს სუნიც კი მოსწონდა. რბილი ქსოვილისგან იყო შეკერილი და რაკელი ლოყაზე შემოდგომის სუსხს გრძნობდა, მაგრამ რაკელი იმ სითბოსაც გრძნობდა, რომელიც ამ პალტოს შიგნიდან მოდიოდა.

— რა ხდება? — სიცილით იკითხა მათიასმა, რომელსაც რაკელის თმაში ჩაერგო თავი.

— დიდი ხანია ამას ველოდებოდი, — ჩურჩულით თქვა ქალმა. რაკელმა თვალები დახუჭა. ერთხანს გაუნძრევლად იდგნენ.

შემდეგ ქალმა ხელი გაუშვა და მის მოღიმარ სახეს ახედა. სიმპათიური კაცი იყო. ჰარიზე უკეთ გამოიყურებოდა.

მათიასმა თავი გაითავისუფლა, პალტო შეიხსნა, ჩამოკიდა და ხელების დასაბანად გაეშურა. ყოველთვის ასე იქცეოდა, როდესაც ანატომიის ფაკულტეტის ლექციებიდან ბრუნდებოდა. სწავლებისას ნამდვილ გვამებს იყენებდა. ჰარიც ასე იქცეოდა, როდესაც პირდაპირ მკვლელობის ადგილიდან პირდაპირ რაკელის სახლში მოდიოდა. მათიასმა ქვედა კარადა გამოაღო, პარკიდან ნიჟარაში ჩაყარა კარტოფილი და ონკანი მოუშვა.

— როგორი დღე გქონდა, ძვირფასო?

მამაკაცების უმრავლესობა წინაღამის შესახებ დასვამდა კითხვას. მათიასმა იცოდა, რომ რაკელი ჰარის შეხვდა. ქალს ესეც მოსწონდა მასში. რაკელი ლაპარაკობდა და თან თვალს არ აცილებდა ფანჯარას — წიწვოვანი ხეების იქით, მათ ქვეშ გადაშლილ მოციმციმე ქალაქს გაჰყურებდა, სადაც ღამის განათება ჩაერთოთ. ის კაცი ახლა სადღაც ქვემოთ იყო. რაღაც ისეთს ეძებდა, რაც არასდროს უპოვია, და რასაც ვერასდროს იპოვიდა. ქალმა მის მიმართ სიბრალული იგრძნო. მხოლოდ თანაგრძნობა დარჩენოდა. სინამდვილეში, გასულ საღამოს, როდესაც ერთმანეთს შეხვდნენ, ერთხანს ორივე დუმდა. დუმდნენ და ერთმანეთს თვალს ვერ აცილებდნენ. მაშინ რაკელს ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ვიღაცამ ელექტროშოკერი მიადო, მაგრამ ამ შეგრძნებამ მხოლოდ რამდენიმე წამს გასტანა. დასრულდა. საბოლოოდ დასრულდა. ჯადოსნური ატმოსფერო გაქრა.

ქალმა არჩევანი გააკეთა. მათიასის უკან იდგა, ეხუტებოდა და თავი მის განიერ ბეჭებზე ედო.

მამაკაცის პერანგის ქვეშ რაკელი მისი კუნთებისა და მყესების მუშაობას გრძნობდა. მათიასი კარტოფილს თლიდა და ქვებში ყრიდა.

— კიდევ ორიოდე კარტოფილიც დაეტევა, — თქვა კაცმა.

რაკელმა იგრძნო, რომ სამზარეულოში ვიღაც სხვაც იყო და მოტრიალდა. მის წინ ოლეგი იდგა, რომელიც მათ უყურებდა.

— შეგიძლია, სარდაფიდან რამდენიმე კარტოფილი ამოიტანო? — ჰკითხა ქალმა და შენიშნა, როგორ გაუმუქდა ოლეგს ისედაც მუქი თვალები.

მათიასი მოტრიალდა. ოლეგი არ იძვროდა.

— მე ჩავალ, — თქვა მათიასმა და სამზარეულოს ნიჟარის ქვეშ მდგარი ცარიელი სათლი აიღო.

— არა, — თქვა ოლეგმა და ორი ნაბიჯი გადადგა წინ, — მე ჩავალ. მათიასს სათლი გამოართვა, გატრიალდა და კარისკენ გაეშურა.

— რატომ მოიქცა ასე? — იკითხა მათიასმა.

— უბრალოდ სიბნელის ეშინია, — თქვა რაკელმა და ამოიოხრა.

— მეც ეგ ვიფიქრე, მაგრამ მაინც ჩავიდა. რატომ?

— იმიტომ, რომ ჰარიმ უთხრა, ასე უნდა მოიქცეო.

— როგორ ასე?

რაკელმა თავი გააქნია.

— ის უნდა გააკეთო, რისიც გეშინია, მაგრამ გინდა, რომ არ გეშინოდესო. როდესაც ჰარი აქ იყო, სარდაფში ყოველთვის ოლეგს გზავნიდა.

მათიასმა შუბლი შეიჭმუხნა. რაკელმა სევდიანად გაიღიმა.

— ჰარი ბავშვის ფსიქოლოგი არ არის. თუკი ჰარის ნათქვამი ჩემსას ეწინააღმდეგება, ოლეგი არ დამიჯერებს... ამასთან, სარდაფში ურჩხულები არ ბუდობენ.

მათიასმა გაზქურა ჩართო და ჩაილაპარაკა:

— საკამათო საკითხია.

— მათიას! — შესძახა რაკელმა და გაიცინა, — შენც გეშინოდა სიბნელის?

— ვინ ამბობს, რომ ადრე მეშინოდა? — თქვა მათიასმა და ონავრულად გაიღიმა.

დიახ, მას მოსწონს ეს კაცი. ჰარის სჯობს. მასთან ცხოვრებაც უკეთესია. მოსწონს. დიახ, მოსწონს.

***

ჰარიმ მანქანა ბეკერების სახლის წინ გააჩერა. ერთხანს მანქანაში იჯდა და უყურებდა შუქს, რომელიც ფანჯრებიდან ეზოში იღვრებოდა. თოვლის კაცი ჯუჯას დაემსგავსა, მაგრამ მისი ჩრდილი მაინც მოჩანდა ხეებს შორის და ღობემდე იწელებოდა.

ჰარი გადმოვიდა. მანქანის კარმა დაიჭრიალა და გამომძიებელს სახე დაემანჭა. ხვდებოდა, რომ უკვე გვიანი იყო და მოსვლამდე უნდა დაერეკა. იცოდა, რომ ეზოც ისეთივე კერძო საკუთრებაა, როგორიც სახლი... მაგრამ პროფესორ ბეკერთან საუბრის სურვილი და ასეთი საუბრისთვის საჭირო მოთმინება სწორედ ახლა გაუჩნდა.

მიწა სველი და დრეკადი იყო. ჰარი დაიკუზა. თოვლის კაცი სინათლეს ირეკლავდა — ისე, როგორც დაბურული მინა.

დღის მანძილზე ჩამოდნა, თოვლისგან მცირე კრისტალები შეიქმნა და ახლა, როდესაც ტემპერატურა დაეცა, ნალექების კონდენსაცია მოხდა და კრისტალები გაიზარდა. შედეგად სუფთა, თეთრი თოვლი, რომლითაც გუშინ თოვლის კაცი გაა-კეთეს, დღეს დამძიმდა, გამსხვილდა და მონაცრისფრო-მოთეთრო შეფერილობისა გახდა.

ჰარიმ მარჯვენა ხელი ასწია, ხელის მტევანი მუშტად შეკრა და დაარტყა. თოვლის კაცს თავი მოსძვრა და ყავისფერ ბალახზე გაგორდა.

ჰარიმ კიდევ ერთხელ დაარტყა, ამჯერად ზემოდან ქვემოთ, კისრის მიდამოში. თითები მხეცის ბრჭყალებივით მოხარა, თოვლი დაფშვნა და დასწვდა იმას, რასაც ეძებდა.

ხელი ამოიღო თოვლის კაცის ნარჩენებიდან და დაშლილ ქანდაკებას ტრიუმფული ჟესტით გაუწოდა ის, რაც ამოაცალა — ზუსტად ასე ეჭირა ხოლმე ბრიუს ლის გმირს დამარცხებული მტრის გული.

ეს იყო მოვერცხლისფრო-მოწითალო „ნოკია", რომელიც ჯერ კიდევ ჩართული იყო. მაგრამ ჰარი აღარ ზეიმობდა გამარჯვებას. იგი ხვდებოდა, რომ ეს არ იყო გარღვევა გამოძიებაში. უბრალო ანტრაქტი იყო თოჯინების თეატრის სპექტაკლში, სადაც მოქმედ პერსონაჟებს უჩინარი ძაფებით ამოძრავებდნენ. ძალიან მარტივად გამოვიდა. უბრალოდ უფლება მისცეს, ტელეფონი ეპოვა.

ჰარი სახლის კართან მივიდა და ზარი დარეკა. კარი ფილიპ ბეკერმა გაუღო. თმა გასჩეჩოდა. ჰალსტუხი ალმაცერად ეკიდა კისერზე. თვალებს ისე ახამხამებდა, თითქოს ახლახან გაეღვიძა.

— დიახ, — უპასუხა მან ჰარის კითხვას, — ასეთი ტელეფონი ჰქონდა ბირტეს.

— შეგიძლიათ, მის ნომერზე დარეკოთ?

ფილიპ ბეკერი შინ შევიდა. უცებ შესასვლელში იუნასის სახე გამოჩნდა. ჰარიმ გადაწყვიტა, მისალმებოდა, მაგრამ ამ დროს ტელეფონიდან საბავშვო მელოდია „Blemann, blemann, bukken min”[10] მოისმა. ჰარის ამ ტექსტის მეორე ტაეპი გაახსენდა. თავის დროზე ეს სიმღერა სკოლაში ასწავლეს. ტექსტი სიმღერების სახელმძღვანელოში ეწერა. Tenk pe vesle gutten din[11]. ჰარიმ დაინახა, როგორ გაუნათდა იუნასს სახე. ბიჭის გონებამ გაუცნობიერებელი რეაქცია გამოავლინა დედამისის ტელეფონის რინგტონზე, მაგრამ მის სახეზე გამოხატული სიხარული მაშინვე შეიცვალა დაუფარავი შიშით. ჰარი კარგად იცნობდა ამ შიშს.

საკუთარ ბინაში შესვლისას ჰარის თაბაშირისა და ნახერხის სუნი ეცა. მუყაოს პანელები, რომლებიც შემოსასვლელის კედელს ფარავდა, მოეხსნათ და იატაკზე ერთმანეთზე დაელაგებინათ. ღია კედელზე თეთრი ლაქები მოჩანდა. ჰარიმ თეთრ ნალექს თითი გადაუსვა. ნალექი დაიფშვნა და იატაკზე ჩამოიყარა. თითის წვერს ენა აუსვა. მარილის გემო იგრძნო. ასეთი გემო აქვს კედლის სოკოს? ან იქნებ კედლის მარილი იყო — შენობის ოფლი? ჰარიმ სანთებელა აანთო და კედლისკენ დაიხარა. სანახავი და შესაყნოსი ვერაფერი აღმოაჩინა.

როდესაც ლოგინში ჩაწვა და ოთახის ჰერმეტულ სიბნელეს მიაჩერდა, იუნასზე ფიქრობდა... და საკუთარი დედა გაახსენდა. მისი ავადმყოფობის სუნი და სახე, რომელიც თანდათან ბალიშის სითეთრეს ერწყმოდა. დღეებისა და კვირების მანძილზე ჰარი და სისი თამაშობდნენ, მამა კი დუმდა. ყველა

---

[10] *ჩემო საყვრელო თიკანო (ნორვეგ)*

[11] *შენს ჰატარ მწყემს ბიჭზე იფიქრე (ნორვეგ)*

ცდილობდა, ისე დაეჭირა თავი, თითქოს არაფერი ხდებოდა. ჰარის მოეჩვენა, რომ შემოსასვლელიდან რაღაცის ხმა შემოესმა. ეს უხილავი ძაფები იზრდებოდა, იჭიმებოდა, სიბნელეს ეხვეოდა და ჭამდა მას. საბოლოოდ კი სუსტი, ალმაცერ სხივებად განფენილი მოცახცახე შუქი რჩებოდა.

თავი VII

მესამე დღე- ფარული სტატისტიკა

დილის სუსტმა შუქმა კაბინეტის ჟალუზებს შორის გააღწია და პოლიციის კომისრის კაბინეტში მყოფი ორი მამაკაცის სახეებს ნაცრისფერ ჩრდილებად მოეფინა. კომისარი ჰაგენი ჰარი ჰოლეს უსმენდა და სქელი, შავი, ხშირი, ერთ ხაზად შეზრდილი წარბების ზემოთ მდებარე შუბლს იჭმუხნიდა. მის დიდ სამუშაო მაგიდაზე, პატარა სადგამზე ნეკის ძვალი იდო. სუვენირზე დატანილი წარწერა იუწყებოდა, რომ ეს თეთრი ძვალი იაპონური ბატალიონის მეთაურს, იოსიტო იასუდას ეკუთვნოდა. ჰაგენის თქმით, იასუდამ ეს თითი 1944 წელს მოიჭრა, როდესაც ბირმაში ყოფნისას უკან დახევამ მოუწია. ერთი წლით ადრე, სანამ თავის ძველ სამსახურს, პოლიციას დაუბრუნდებოდა და კრიმინალური პოლიციის რაზმს ჩაუდგებოდა სათავეში, ჰაგენი ამ რელიკვიის მფლობელი გახდა. და გამომდინარე იქიდან, რომ იმ პერიოდიდან საკმაოდ დიდი დრო გავიდა, იგი მშვიდად უსმენდა თავის ვეტერან ინსპექტორს, რომელიც დაკარგული ადამიანების საქმეებზე მიმდინარე გამოძიების შესახებ აბარებდა ანგარიშს.

— მხოლოდ ოსლოში ყოველწლიურად ექვსასი კაცი იკარგება, თუმცა გაუჩინარების შესახებ დაწერილი განცხადების მიღებიდან რამდენიმე საათში უმრავლესობას პოულობენ. ეს ცნობილი ფაქტია, ისევე როგორც ის, რომ თუკი ადამიანის ძებნა ორ დღეზე მეტხანს გრძელდება, მას, დიდი ალბათობით, ვეღარც იპოვიან.

ჰაგენი ჩაფიქრდა და გაერთიანებული წარბების შუაგულს თითი გადაუსვა.

ბიუჯეტის შესახებ მოხსენება უნდა მოემზადებინა იმ თათბირისთვის, რომელიც პოლიციის სამმართველოს უფროსის კაბინეტში უნდა გამართულიყო. პრეზენტაციის თემა იყო პოლიციის ბიუჯეტის შემცირების შესახებ ხელისუფლების გადაწყვეტილება.

— დაკარგულთა უმრავლესობა ფსიქიატრიული საავადმყოფოებიდან გამოქცეული პაციენტები და დემენციით[12] დაავადებული მოხუცები არიან, — აგრძელებდა ჰარი, — თუმცა შედარებით ჯანსაღი გონებრივი მდგომარეობის მქონე ადამიანებიც, რომლებიც კოპენჰაგენში გარბიან ან თვითმკვლელობით ამთავრებენ ცხოვრებას. ასეთ ადამიანებს ან მგზავრთა სიებში პოულობენ, ან მათ ადგილსამყოფელს ბანკების ამონაწერების მიხედვით ადგენენ, როდესაც დაკარგულებს ფული გამოაქვთ ბანკომატებიდან. ზოგჯერ მათი გვამები ზღვის ნაპირზე გამოირიყება ხოლმე.

— რისი თქმა გსურთ? — გააწყვეტინა გუნარ ჰაგენმა და საათს დახედა.

— აი, ამის.

ჰარიმ ჰაგენის მაგიდაზე ხმაურით დააგდო ყვითელი საქაღალდე.

ჰაგენი წინ გადმოიხარა და საქაღალდეში ჩაკერებულ საბუთებს ჩახედა.

— ღმერთო ჩემო, ჰარი! არ შეგიძლია, ნორმალურად ჩამოყალიბებული პატაკი ჩამაბარო?

— ეს სკარეს ნამუშევარია, — მოკლედ მოუჭრა ჰარიმ, — მაგრამ დასკვნა ჩემია და ახლავე გაგაცნობთ ზეპირი ფორმით.

— მოკლედ მომახსენეთ, გეთაყვა.

---

[12] *დაავდება,რომელიც იწვევს მეხსიერების და შესაძლებლობის ნაწილობრივ დაკარგვას*

ჰარიმ ხელები მუხლებზე დაილაგა და დახედა. გრძელი ფეხები გაშალა და ღრმად ჩაისუნთქა. იცოდა, როდესაც სათქმელს ხმამაღლა იტყოდა, უკან დასახევი გზა აღარ ექნებოდა.

— ძალიან ბევრი ადამიანი გაუჩინარდა, — თქვა გამომძიებელმა. ჰაგენმა წარბის მარჯვენა ნაწილი მაღლა ასწია.

— განმარტეთ, რას გულისხმობთ.

— ჩემი ნათქვამის დამადასტურებელ მასალებს მეექვსე გვერდზე ნახავთ, სადაც წარმოდგენილია ოცდახუთიდან ორმოცდაათ წლამდე ასაკის იმ ქალების სია, რომლებიც 1994 წლიდან დღემდე სხვადასხვა დროს დაიკარგნენ და მათი

ადგილსამყოფელი ვერ დადგინდა. დაკარგული ადამიანების განყოფილების თანამშრომლებს ველაპარაკე. დამიდასტურეს, რომ ეს რაოდენობა მართლაც დიდია.

— რასთან შედარებითაა დიდი?

— მანამდე არსებულ მონაცემებთან შედარებით, დანიასა და შვედეთში არსებულ ანალოგიურ მაჩვენებლებსა და სხვა დემოგრაფიულ ჯგუფებთან შედარებით. დაკარგული ადამიანების უმრავლესობა დაქორწინებული ან სამოქალაქო ქორწინებაში მყოფი ქალები არიან.

— ამ ბოლო დროს ქალები ძალიან ემანსიპირებული გახდნენ, — თქვა ჰაგენმა, — ოჯახებს ანგრევენ და, ალბათ, საყვარელ მამაკაცებთან ერთად ტოვებენ ქვეყანას. ეს ყველაფერი სტატისტიკაზე აისახება. სულ ესაა.

— შვედი და დანიელი ქალებიც უფრო დამოუკიდებლები გახდნენ, მაგრამ იქ ყველა დაკარგულს ადრე თუ გვიან პოულობენ.

ჰაგენმა ამოიოხრა:

— თუკი ეს მონაცემები ასე ძალიან განსხვავდება ნორმისგან, აქამდე რატომ არავინ მიაქცია ყურადღება?

— იმიტომ, რომ სკარემ მთელი ქვეყნის მონაცემები შეაგროვა, პოლიცია კი, როგორც წესი, მხოლოდ საკუთარი ოლქის მაჩვენებლებს სჯერდება ხოლმე. თქვენ, რა თქმა უნდა, გაქვთ ნორვეგიის პოლიციის მთავარი სამმართველოს მონაცემები, რომელშიც უგზო-უკვლოდ დაკარგული ათას რვაასი კაცის სახელია შესული, მაგრამ ეს ბოლო ორმოცდაათი წლის მონაცემებია. ამასთან, იმავე სიაში შეიყვანეს გემების დაღუპვისა და ნავთობის პლატფორმა "ალექსანდერ კიელანდზე" მომხდარი კატასტროფის მსგავსი შემთხვევების დროს დაკარგული ადამიანებიც. საქმე ის არის, რომ არავის უცდია აქ ერთგვარი კანონზომიერება შეენიშნა, რომელიც მთელ ნორვეგიაზე ვრცელდება. დღემდე არავის უცდია.

— იქნებ სწორიცაა. ჩვენ ხომ მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე არ ვაგებთ პასუხს! ჰარი, არ დაგავიწყდეს, რომ ქალაქ ოსლოს პოლიციის სამმართველოში ხარ, — თქვა ჰაგენმა და იმის ნიშნად, რომ აუდიენცია დასრულდა, ხელისგულები მაგიდაზე დააწყო.

— პრობლემაც სწორედ ის არის, რომ ამან ოსლოშიც ჩამოაღწია, — თქვა ჰარიმ და ნიკაპზე ხელი მოისვა.

— რას გულისხმობთ?

— გუშინ თოვლის კაცში ვიპოვე დაკარგული ბირტე ბეკერის მობილური. თავადაც არ ვიცი, რასთან გვაქვს საქმე, უფროსო, მაგრამ მგონია, რომ ეს საკითხი კარგად უნდა გავარკვიოთ და გაუგებრობას ნათელი უნდა მოვფინოთ, თანაც რაც შეიძლება მალე.

— საინტერესო სტატისტიკაა, — თქვა ჰაგენმა, გაუცნობიერებლად აიღო ბატალიონის მეთაურ იასუდას ნეკი და ცერა თითი გადაუსვა, — და იმასაც ვაცნობიერებ, რომ ეს ბოლო გაუჩინარება შეშფოთების საბაბს გვაძლევს. მაგრამ ეს საკმარი-

სი არ არის. მითხარით, რამ გაიძულათ, სკარესთვის ამ მოხსენების დაწერა გეთხოვათ?

ჰარიმ ჰაგენს შეხედა, შემდეგ შიდა ჯიბიდან დაჭმუჭნილი და გაცვეთილი კონვერტი ამოიღო და კომისარს გაუწოდა.

— ეს ჩემს საფოსტო ყუთში ვიპოვე მას შემდეგ, რაც სექტემბრის დასაწყისში ტელეშოუში მივიღე მონაწილეობა. დღემდე მეგონა, გიჟის დაწერილი იყო.

ჰაგენმა წერილი გამოართვა და ექვსი წინადადების წაკითხვის შემდეგ ჰარისკენ გააქნია თავი.

— თოვლის კაცი? და ვინ ან რა არის მური?

— სწორედ ესაა გასარკვევი, — თქვა ჰარიმ, — ვფიქრობ, სწორედ ამას უნდა ვებრძოლოთ.

დეპარტამენტის უფროსმა ჰარის დაბნეული მზერა შეაგება:

— იმედია, ვცდები, — თქვა ჰარიმ, — მაგრამ, სავარაუდოდ, ჯოჯოხეთური დღეები გველის წინ.

ჰაგენმა ამოიოხრა.

— რას ითხოვთ, ჰოლე?

— საგამოძიებო ჯგუფს.

ჰაგენი კარგად იცნობდა ჰარის. პოლიციის სამმართველოს თითქმის ყველა ოფიცრის მსგავსად, ჰაგენიც თვლიდა, რომ ჰარი თავნება, კადნიერი, კონფლიქტური და ლოთი იყო. მიუხედავად ამისა, კომისარს უხაროდა, რომ ის და ჰოლე მტრები არ იყვნენ და ეს კაცი არასდროს დაუხლართავდა ინტრიგებს.

— რამდენი? — იკითხა მან ბოლოს, — და რა ვადით?

— ათი დეტექტივი. ორი თვით.

— ორი კვირა? — შესძახა მაგნუს სკარემ, — ოთხი? და ეს უნდა ეყოს მკვლელობის გამოძიებას?

მან უკმაყოფილოდ გადახედა ჰარის ოფისში შეყუჟულ და

ნარჩენ სამ თანამშრომელს — კატრინ ბრატს, ჰარი ჰოლესა და ექსპერტ-კრიმინალისტ ბიორნ ჰოლმს.

— სულ ესაა, რაც ჰაგენმა გაიმეტა, — თქვა ჰარიმ და თავის სკამზე გადაწვა, — და ეს მკვლელობის გამოძიება არაა. ამ მომენტისთვის.

— მაშ, რა არის ამ მომენტისთვის? — იკითხა კატრინ ბრატმა.

— ადამიანის დაკარგვის შემთხვევა, — უპასუხა ჰარიმ, — რომელიც ერთგვარად ჰგავს სხვა მიმდინარე საქმეებს.

— იმ დიასახლისების, რომლებიც გვიანი შემოდგომის ერთ დღეს მოულოდნელად სადღაც მიდიან? — იკითხა ბიორნმა კილოთი, რომელიც სოფელ ტოტენიდან, უფრო ზუსტად კი, სოფელ სკრეიიდან ჩამოიტანა ელვისის, Sex Pistols-ისა და Jason & The Scorchers-ის ვინილის ფირფიტებთან, ნეშვილელი მკერავის შეკერილ სამ კოსტიუმთან, ამერიკულ ბიბლიასთან, ჰილიბილი მუსიკასთან[13], მოკლე გასაშლელ დივანსა და სასადილო ოთახის ავეჯთან ერთად, რომელმაც ბიორნების ოჯახის სამ თაობას გაუძლო. ეს ყველაფერი ძველი „ამაზონით" ჩამოზიდა — Volvo-ს მარკის ავტომობილით. ამ მოდელის მანქანების წარმოება 1970 წელს შეწყდა. ავტომანქანის შესაძენად ბიორნმა 1 200 კრონი დახარჯა, მაგრამ ძნელი იყო ამ „ამაზონის" გარბენის დადგენა, რადგან სპიდომეტრის მაჩვენებელი უკვე აჭარბებდა ასი ათასს.

მიუხედავად ამისა, ეს ავტომობილი თავად ბიორნ ჰოლმის პიროვნებისა და მისი მრწამსის გამოხატულება იყო. ამასთან, ბიორნის „ამაზონს" ყველა მანქანაზე უკეთესი სუნი ასდიოდა — მის სალონში ერთმანეთში არეულიყო დერმატინის, ლითო-

---

[13] ***ჰ ი ლ ი ბ ი ლ ი*** *- სოფლად აშშ-ის მთიანი რაიონების მცხოვრებლების დამცინავი სახელი, იგივეს ეძახდენენ ქანთრის მუსიკას 1925-50 წლებში*

ნის, ძრავის ზეთის, მზით გახუნებული უკანა თაროს, Volvo-ს ქარხნისა და მძღოლის სავარძელში ჩაღვრილი ოფლის სუნი. ბიორნ ჰოლმისთვის ეს უბრალო ოფლი კი არა, ერთგვარი კატალოგი იყო, რომელშიც ამ მანქანის თითოეული ყოფილი მფლობელის სული, კარმა, ჭამის კულტურა და ცხოვრების წესი იყო ჩაქსოვილი. პლუშის რბილი კამათლები, რომლებიც მანქანის საქარე მინაზე ეკიდა, Fuzzy Dice-ის ფირმის ორიგინალური ნაწარმი იყო და ზუსტად ასახავდა იმ გულწრფელ სიყვარულსა და ირონიულ გამიჯნულობას, რომელსაც ამერიკული კულტურისა და ესთეტიკის მიმართ განიცდიდა ნორვეგიელი ფერმერის ბიჭი, რომელიც ჯიმ რივზსაც უსმენდა, Ramones-საც, და ორივე ძალიან მოსწონდა.

ახლა ბიორნ ჰოლმი ჰარის კაბინეტში იჯდა, რასტაფარელთა[14] [რასტაფარი ქუდი ეხურა, რის გამოც ნარკოდილერს უფრო ჰგავდა, ვიდრე ექსპერტ-კრიმინალისტს.

ქუდიდან კატლეტის ფორმის უზარმაზარი, წითური ქილვაშები მოუჩანდა, რომლებიც ქუდის წიაღიდან მოციაგე მის გათქვირულ მრგვალ სახეს თითქოს ჩარჩოში აქცევდა. ბიორნ ჰოლმს ოდნავ გადმოკარკლული თვალები ჰქონდა, რის გამოც მუდმივად გაოცებული თევზის იერი დაჰკრავდა. იგი ერთადერთი თანამშრომელი იყო, რომლის ჩართვა ჰარიმ დაჟინებით მოითხოვა თავის საგამოძიებო ჯგუფში.

— და აი, კიდევ რა, — თქვა ჰარიმ და ხელი დააჭირა პროექტორს, რომელიც მის მაგიდაზე დახვავებული დოკუმენტების ზვინებს შორის იდგა.

მაგნუს სკარემ შეიგინა და თვალებზე ხელი აიფარა — მკვეთრი შუქი, რომელშიც ბუნდოვნად მოჩანდა რაღაც წარწ-

---

[14] 1930 -იან წლებში იამაიკაში წარმოშობილი და დღეისათვის გავრცელებული რელიგია

ერა, პირდაპირ მის სახეს ანათებდა. სკარემ ადგილი შეიცვალა, ჰარიმ კი განაგრძო:

— ეს წერილი ჩემს საფოსტო ყუთში დაახლოებით ორი თვის წინ გაჩნდა. გამომგზავნის მისამართი და სახელი მითითებული არ არის, საფოსტო ბეჭედი ოსლოშია დარტყმული. დაბეჭდილია სტანდარტული პრინტერით.

კატრინი ჰარის თხოვნას არ დალოდებია, ისე მისწვდა კართან მდებარე გამომრთველს და ოთახი ჩააბნელა. კედელზე მკაფიოდ გამოისახა პროექტორის შუქის ოთხკუთხა ანარეკლი.

ჩუმად კითხულობდნენ:

„მალე პირველი თოვლი მოვა. და მაშინ ის კვლავ გამოჩნდება. როდესაც თოვლი დადნება, ის ისევ წაიყვანს ვინმეს. აი, რა უნდა ჰკითხო შენს თავს — ვინ გააკეთა თოვლის კაცი? ვინ აკეთებს თოვლის კაცს? ვინ გააჩინა მური? რამეთუ თავად თოვლის კაცმა არრა უწყის“.

— რა პოეტურია, — ჩაიბურდღუნა ბიორნ ჰოლმმა.

— ვინ არის მური? — იკითხა სკარემ.

პასუხად მხოლოდ პროექტორის მონოტონური წრიპინი ისმოდა.

— უფრო საინტერესო ისაა, ვინ არის „თოვლის კაცი”, — შენიშნა კატრინ ბრატმა.

— ნამდვილად ისაა, ვისაც ფსიქიატრის კონსულტაცია არ აწყენდა, — თქვა ჰოლმმა.

მხოლოდ სკარემ გაიცინა, მაგრამ მალევე გაჩუმდა, რადგან სიბნელიდან ჰარის ხმა მოისმა:

— „მური” ერთი კაცის მეტსახელია, რომელიც ამჟამად მკვდარია. საერთოდ, „მური” კვინსლენდის შტატში მცხოვრები ავსტრალიელი აბორიგენების ტომს ჰქვია. ის „მური” კი,

ვიდრე ცოცხალი იყო, მთელ ავსტრალიაში მოგზაურობდა და ქალებს ხოცავდა. დაზუსტებით არავინ იცის, რამდენი ქალი ჰყავს მოკლული. მისი ნამდვილი სახელი იყო რობინ ტუვუმბა.

ოთახში ჩურჩული გაისმა.

— მანიაკი, — თქვა ბიორნ ჰოლმმა, — შენ რომ მოკალი, ის კაცი. ჰარიმ თავი დაუქნია.

— ანუ ფიქრობ, რომ მასეთ ტიპთან გვაქვს საქმე?

— არ არის გამორიცხული... თუკი ამ წერილს გავითვალისწინებთ.

— მოიცა, ერთი წამით, — თქვა სკარემ და ხელები ასწია, — რამდენჯერ დაიყვირე, მგლები, მგლებიო, მას შემდეგ, რაც ამ ავსტრალიური საქმის გახსნით გაითქვი სახელი?

— სამჯერ, — თქვა ჰარიმ, — სულ ცოტა, სამჯერ.

— ნორვეგიაში კი სერიული მკვლელი ჯერ არ დაფიქსირებულა, — სკარემ სწრაფად გადახედა ბრატს, რათა დარწმუნებულიყო, რომ იგი ყურადღებით უსმენდა, — იქნებ ყველაფერი „მანიაკოლოგიის" კურსების ბრალია, რომლებიც გამოძიების ფედერალურ ბიუროში გაიარე? იქნებ მაგიტომაა, რომ ყველგან სერიული მკვლელები გელანდება?

— შესაძლებელია.

— ასეთ შემთხვევაში, უფლება მომეცი, შეგახსენო, რომ ნორვეგიაში სერიული მკვლელები არასდროს ყოფილან, თუ არ ჩავთვლით იმ ტიპს, შპრიცით რომ დასდევდა მოხუცებს, რომლებიც ისედაც მალე დაიხოცებოდნენ. მანიაკები მხოლოდ შეერთებულ შტატებში ცხოვრობენ და ისიც, ძირითადად, ფილმებში.

— ცდებით, — წამოიძახა კატრინ ბრატმა.

ყველა მისკენ მიტრიალდა. კატრინმა მთქნარება შეიკავა.

— მანიაკები ყველგან არიან — შვედეთში, ბელგიაში, გერმა-

ნიაში, ინგლისში, დანიაში, რუსეთსა და ფინეთში, თანაც ჩვენ მხოლოდ გახსნილ საქმეებზე ვლაპარაკობთ. ფარულ სტატისტიკას არავინ ახსენებს.

სიბნელეში ჰარიმ ვერ შეამჩნია, როგორ გაწითლდა სკარე, მაგრამ შენიშნა მაგნუსის ნიკაპი, რომელიც აგრესიულად მიემართა კატრინ ბრატისკენ.

— გვამიც კი არა გვაქვს. შემიძლია ასეთი წერილებით სავსე მთელი უჯრა გაჩვენოთ. ისეთი ადამიანებისგან, რომლებსაც გაცილებით არანორმალური ქცევები აქვთ, ვიდრე ამ... ამ... თოვლის ტიპს.

— საქმე ის არის, რომ ჩვენმა ფსიქოპათმა მაგრად იმუშავა. იმ პერიოდში სიტყვა „მური" არც უხსენებიათ გაზეთებში. ეს იყო რობინ ტუვუმბას მეტსახელი მაშინ, როდესაც იგი მოხეტიალე ცირკის მოკრივე იყო.

ღრუბლებს შორის დღის შუქის უკანასკნელი სხივი გამოჩნდა. ჰარიმ საათს დახედა. ოლეგმა სთხოვა, შედარებით ადრე გავიდეთ, რომ Slayer-საც მივუსწროთო.

— მაშ, რითი დავიწყოთ? — იკითხა ბიორნ ჰოლმმა.

— რაო? — კითხვა შეუბრუნა სკარემ.

— რითი დავიწყოთ? — უფრო მკაფიოდ გაიმეორა ჰოლმმა. ჰარი მაგიდას მიუახლოვდა.

— ჰოლმი კიდევ ერთხელ დაათვალიერებს ბეკერების სახლსა და ეზოს — ისე, თითქოს მკვლელობის ადგილი იყოს. განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შემოწმდეს მობილური და შარფი. სკარე, შეადგინე იმ პირთა სია, რომლებსაც მკვლელობის, ძალადობისა და...

— მსგავსი დანაშაულების ჩადენა ედებათ ბრალად და ამ სიაში შევიყვანო ის არამზადებიც, რომლებიც ამჟამად ციხეში არ არიან, — დაასრულა მისი ნათქვამი სკარემ.

— ბრატ, გადახედეთ დაკარგული ქალების შესახებ არსებულ მასალებს და საერთო მახასიათებელი მოძებნეთ.

ჰარი ვარაუდობდა, რომ ქალი დააზუსტებინებდა, სახელდობრ რა „საერთო მახასიათებლის" პოვნას ითხოვდნენ მისგან, მაგრამ კატრინმა მხოლოდ თავი დაუქნია.

— კეთილი, — დაასრულა ჰარიმ, — საქმეს მიხედეთ.

— და თქვენ? — იკითხა ბრატმა.

— მე კონცერტზე წავალ, — უპასუხა ჰარიმ.

როდესაც ყველა გავიდა, ჰარიმ ბლოკნოტში ჩაიხედა და დააკვირდა ერთადერთ შენიშვნას, რომელიც ამ თათბირის დროს გააკეთა — „ფარული სტატისტიკა".

***

სილვია გარბოდა — რამდენადაც შეეძლო სწრაფად. გარბოდა იქით, სადაც ყველაზე ბევრი ხე იდგა. იმ ადგილისკენ, რომელიც დაისის ფონზე უფრო და უფრო ბნელდებოდა. გარბოდა იმისთვის, რათა გადარჩენილიყო.

თასმები არ ჰქონდა შეკრული და ამიტომ ფეხსაცმელი თოვლით ჰქონდა სავსე. ხელში პატარა ნაჯახი ეჭირა, რომლის პირიც სისხლისგან გაწითლებულიყო.

გუშინდელი თოვლი, ალბათ, სულ დადნა. მაგრამ მხოლოდ ქალაქში.

მიუხედავად იმისა, რომ აქ, სოლიჰიოგდაში მანქანით სულ რაღაც ნახევარ საათში შეიძლებოდა ჩამოსვლა, აქაური თოვლი გაზაფხულამდეც კი შეიძლებოდა, არ გამდნარიყო. და ახ-

ლა იგი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ ჯობდა არასოდეს ჩამოსულიყვნენ ამ ღვთისგან მივიწყებულ ადგილზე — ქალაქის ახლოს ტყე-ღრეში. აქ რომ არ გადმოსახლებულიყვნენ, ახლა ირბენდა ასფალტზე, რომელსაც ნაკვალევი არ ეტყობა. ქალაქში, რომლის ხმაურიც დევნილის ფეხის ხმას ახშობს. ქალაქში შეიძლება ხალხს შეერიო და ბრბოში ჩაიკარგო, აქ კი სრულიად მარტოა.

თუმცა არა.

სრულიად მარტო არ არის.

თავი VIII

მესამე დღე. გედის კისერი

სილვია ტყეში იყო და გარბოდა. ბნელდებოდა. ვერ იტანდა ნოემბრის ბინდს, მაგრამ ამჯერად ეჩვენებოდა, რომ ძალიან ნელა ბნელდებოდა. სიბნელე ნაკვალევს დამალავდა და დაიფარავდა. ეს არემარე ხუთი თითივით იცოდა და შეეძლო, ისე ევლო, რომ სახლში არ დაბრუნებულიყო და პირდაპირ იმ... არსებას არ ჩავარდნოდა კლანჭებში. მაგრამ თოვლმა ერთ ღამეში ყველაფერი შეცვალა. დაფარა ის ქვები, რომლებსაც სილვია კარგად იცნობდა და ყველაფერი ერთგვაროვანი გახადა. გარდა ამისა, საღამოს სიბნელის გამო ამ ლანდშაფტის ნაცნობი დეტალებიც აღარ ჩანდა. არ იცოდა, სად იყო. ცდილობდა, ჩაეხშო პანიკის შეტევა, რომელიც თანდათან ეუფლებოდა.

შეჩერდა, რათა ის ხმები გაეგონა, რაც იმწუთას ისმოდა. სიჩუმეში მხოლოდ თავისი მძიმე ქშენა მოესმა — თითქოს ის ქაღალდი იხეოდა, რომლითაც იგი თავისი გოგონების ლანჩს ახვევდა ხოლმე. როგორც იქნა, სული მოითქვა, ყურებში სისხლი უშხუოდა. ნაკადულის წყნარი ჩუხჩუხის ხმა მოესმა. ნაკადული! როდესაც კენკრას აგროვებდნენ, მახეებს აგებდნენ ან დაკარგულ ქათმებს ეძებდნენ, ყოველთვის ნაკადულის გასწვრივ დადიოდნენ ხოლმე.

წყარო ქვევით, სოფლის შარაზე გადიოდა, რომელზეც, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გაივლიდა რომელიმე მანქანა.

სილვიას ნაბიჯების ხმა აღარ ესმოდა, არც ტოტების ლეწვ-

ის და არც ფეხქვეშ დატკეპნილი თოვლის. ნუთუ მართლა დაუსხლტა მდევარს?! წელში მოხრილი გაეშურა იქით, საიდანაც წყლის ჩხრიალი შემოესმა.

ნაკადული თითქოს თეთრ ზეწარზე მიედინებოდა, რომელიც ტყის ღრეზე გადაფენილიყო.

სილვია პირდაპირ ნაკადულში ჩახტა. წყალმა, რომელიც კოჭებამდე სწვდებოდა, მის ფეხსაცმელში შეაღწია. იმდენად ცივი იყო, ფეხის კუნთები მოეყინა. ქალი წყლის დინებას თავქვე დაუყვა სირბილით. დიდი მანძილი რომ დაეფარა, ფეხს მაღლა სწევდა, ფართო-ფართო ნაბიჯებს დგამდა და ნაკადულის წყალს აქეთ-იქით ხმაურით აშხეფებდა. „ჩემ უკან ნაკვალევი არ რჩება", — გაიფიქრა სიხარულით და მიუხედავად იმისა, რომ გარბოდა, პულსი შეუნელდა.

გასულ წელს ფიტნესცენტრში არაერთი საათი გაატარა სარბენ ბილიკზე და, როგორც ჩანს, ვარჯიშმა ნაყოფი გამოიღო. ექვსი კილოგრამი დაიკლო და ახლა ბევრად მხნედ იყო, ვიდრე ოცდათხუთმეტი წლის ქალების უმეტესობა. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობდა ინგვე, რომელიც გასულ წელს ინსპირაციისტრენინგზე გაიცნო. სწორედ იმ სემინარებზე მიიღო სილვიამ საკუთარი თავის სრულყოფილებისთვის საჭირო შემართება და შინაგანი ენერგია. ნეტავ შესძლებოდა, დრო რვა წლით უკან გადაეწია. ყველაფერს სხვაგვარად გააკეთებდა. როლფს არ გაჰყვებოდა ცოლად... და აბორტს გაიკეთებდა. რა თქმა უნდა, ახლა, როდესაც ტყუპი უკვე დაიბადა, ამაზე ფიქრიც კი აღარ ღირს. მაგრამ ვიდრე ემასა და ოლგას გააჩენდა, ყველაფერი შესაძლებელი იყო და მაშინ კი არ აღმოჩნდებოდა ამ საპატიმროში, რომელიც თავადვე აიშენა.

სილვიას წინ ნაკადულის თავზე დაკიდებული ტოტი აღიმართა და ნახევრად დახუჭული თვალებით შენიშნა, როგორ

მივარდა ნაკადულთან რაღაც პატარა არსება და მაშინვე ტყის სიბნელეში დურთა თავი.

სირბილის დროს ფრთხილად უნდა ვიყო, თორემ ამ ნაჯახით ფეხებს დავიზიანებო, გაიფიქრა ქალმა... სულ რამდენიმე წუთის წინ ფარდულში იდგა და ქათმებს ხოცავდა, მაგრამ ისეთი შეგრძნება დაეუფლა, რომ იმ მომენტიდან ძალიან დიდი დრო გავიდა. ორ ქათამს წააცალა თავი და კიდევ ერთის დაკვლას აპირებდა, როდესაც გაიგონა, როგორ დაიჭრიალა მის უკან ფარდულის კარმა. რა თქმა უნდა, შეშინდა. სახლში მარტო იყო და არც მანქანის ძრავის ხმა გაუგონია, არც ვინმეს ნაბიჯების. მისი ყურადღება, პირველ რიგში, უცნაურმა ინსტრუმენტმა მიიპყრო — მეტალის წვრილმა მარყუჟმა, რომელიც სახელურზე იყო გამობმული. დაახლოებით ასეთ მახეებს იყენებდნენ მელიების დასაჭერად. და როდესაც მან, ვისაც ეს ინსტრუმენტი ეჭირა, ლაპარაკი წამოიწყო, სილვია მიხვდა, რომ მასზე ნადირობდნენ და სწორედ ის უნდა მომკვდარიყო. აუხსნეს კიდეც, რატომ.

ქალმა მოისმინა ეს არანორმალური, მაგრამ გასაგებად ჩამოყალიბებული ლოგიკური მსჯელობა და ძარღვებში სისხლის მიმოქცევა შეუნელდა — თითქოს უკვე უდედდებოდა. შემდეგ უთხრეს, როგორ მოკვდებოდა. დეტალურად აღუწერეს, მარყუჟი კი თანდათან ხურდებოდა. ჯერ წითელი იყო, შემდეგ კი გათეთრდა. და მაშინ თავზარდაცემულმა სილვიამ ხელი გაიშვირა, პატარა ნაჯახის სახელურს ჩაეჭიდა და იმ არანორმალურს პირდაპირ აღმართული ხელის ქვეშ ჩაარტყა. დაინახა, როგორ გაიხა პიჯაკი და ჯინსი, თითქოს ელვაშესაკრავი გახსნა, გაშიშვლებულ კანზე კი წითელი ზოლი გამოჩნდა. თავდამსხმელი დაბარბაცდა და ქათმის სისხლით მოსვრილ იატაკზე რამდენიმე ნაბიჯით დაიხია უკან. სილვია

მაშინვე ფარდულის უკანა კარს ეცა. აქედან გზა პირდაპირ ტყისკენ, სიბნელისკენ მიემართებოდა.

მუხლები ეკვეთებოდა, ტანსაცმელი კი მთლიანად დაუსველდა, მაგრამ სილვიამ იცოდა, რომ სოფლის გზა ძალიან ახლოს იყო, იქიდან მეზობლის სახლამდე მისაღწევად კი ოცი წუთი დასჭირდებოდა, თუკი ირბენდა. ერთგან ნაკადული მკვეთრად უხვევდა. მარცხენა ფეხი რაღაცას გამოსდო წყალქვეშ. დარტყმის ხმა გაისმა და იგრძნო, რომ ვიღაცა მის ფეხს მოეჭიდა. სილვია ოტერსენი პირქვე ჩაემხო ნაკადულში. პირში წყალი ჩაეღვარა. მიწისა და დამპალი ფოთლების გემო იგრძნო. ოთხივე კიდურს დაეყრდნო. დარწმუნდა, რომ გარშემო არავინ იყო და შვებით ამოისუნთქა. თურმე ფეხი მოჰყოლია მახეში. თავიდან ეგონა, ფეხზე ხის ფესვი გამოედო, დაბრკოლების მოსაშორებლად ხელი წყალში ჩაყო და მისდა გასაოცრად, თითები რაღაც გლუვსა და მტკიცეს შეახო. ლითონს. ლითონის რგოლს. სილვიამ დაათვალიერა ის, რასაც ფეხი გამოსდო. და თოვლით დაფარულ ნაპირზე შენიშნა ის, რამაც დააბრკოლა. თვალები, ბუმბული და ღია წითელი ბიბილო. სილვია კვლავ შიშმა აიტანა. ქათმის მოწყვეტილ თავს უყურებდა, მაგრამ ეს ქათამი მან კი არა, როლფმა დაკლა და თავი სატყუარად გამოიყენა. მას შემდეგ, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის უწყებაში განცხადება შეიტანეს იმის თაობაზე, რომ გასულ წელს მელიამ თექვსმეტი ქათამი შეიწირა, საბჭომ ფერმის გარშემო სპეციალური ხაფანგების დაგების უფლება გასცა. ამ მახეებს იმ მხარეში „გედების კისრებს" ეძახდნენ და მელიებისთვის იყო გამიზნული. ნაკადული საუკეთესო ადგილია მახეების დასაგებად, თუმცა ისე უნდა დაიგოს, რომ წყლის ზედაპირზე მხოლოდ სატყუარა ჩანდეს. როგორც კი წაეტანება მელა ქათმის თავს, ხაფანგი ამუშავდე-

ბა,ნადირის კისერზე დაიკეტება და იქვე მოკლავს. თეორიულად, ყველაფერი ასე უნდა მოხდეს.

ქალმა კიდევ ერთხელ მოსინჯა ხელით მახე, რომელიც მან და მისმა მეუღლემ დრამენში, მონადირეების მაღაზიაში იყიდეს. იმდენად ძლიერი მარწუხები აქვს, რომ შეუძლია, მოზრდილ ადამიანს მოატეხოს ფეხიო, ასე უთხრეს. მაგრამ სილვიას გაყინული ფეხი საერთოდ არ სტკიოდა. წყალში ლითონის წვრილი მავთული იპოვა, რომელიც „გედის კისერზე" იყო მიბმული. შეუძლებელი იყო ხაფანგის გახსნა იმ ბერკეტის გარეშე, რომელიც მათ ფერმაში, იარაღის ფარდულში იდო. და, გარდა ამისა, მახეს, როგორც წესი, ფოლადის მავთულით აბამდნენ ხეზე, რათა ცოცხალ-მკვდარ მელას ან რომელიმე სხვა მხეცს ეს ძვირად ღირებული აღჭურვილობა არ გაეტაცა. სილვია ხელით ნაპირამდე მიჰყვა მავთულს და ლითონის დაფას გადააწყდა, რომელზეც მისი ოჯახის გვარი ეწერა — ასეთი წესი იყო იმ მხარეში.

შორიახლოს რაღაცის მტვრევის ხმა მოისმა. გული ისევ აუჩქარდა. ცდილობდა, ჩამოწოლილ სიბნელეში რაიმე გაერჩია. გახევებული თითებით ეჭიდებოდა მავთულს, რომელმაც ნაკადულის ნაპირზე დადებული თოვლი გაჭრა. მავთული ახალგაზრდა, ჯანსაღი არყის ხეზე იყო მიბმული. თოვლში ჩაყო ხელი და ყულფი იპოვა, რომელიც ყინვამ ლითონის მტკიცე, უდრეკ კვანძად აქცია. ეს კვანძი უნდა გაეხსნა და გზა უნდა გაეგრძელებინა.

კიდევ ერთხელ გაისმა გამხმარი ტოტის მსხვრევის ხმა. ამჯერად უფრო ახლოს.

სილვია ჩამოჯდა და არყის ხის ვარჯის უკან დაიმალა. შეეცადა, თავი დაერწმუნებინა, რომ პანიკის საფუძველი არ არსებობდა, რომ მავთულის ბოლოს როგორც კი გამოსწევდა,

ყულფი გაიხსნებოდა, რომ ფეხი არ მოსტეხია და ტყეში უბრალოდ რომელიღაც ნადირი ხმაურობს. შეეცადა, მავთულის ბოლო დაეჭირა და ვერც კი იგრძნო ტკივილი, როდესაც ფრჩხილის თითქმის ნახევარი მოსტყდა. არაფერი გამოსდიოდა. დაიხარა და შეეცადა, მავთული გაეკვნიტა, მაგრამ ეს ცდა კბილების ღრჭიალით დასრულდა. ჯანდაბა! ამჯერად მკაფიოდ მოესმა, როგორ დადიოდა ვიღაც ნელი ნაბიჯით თოვლზე. სილვიას სუნთქვა შეეკრა. ფეხის ხმა მისი არყის ხის შორიახლო მიწყდა. შესაძლოა, ეჩვენება, რომ მისი სუნთქვა ესმის და სუნს გრძნობს. სილვია იჯდა და არ ირხეოდა. მდევარმა გზა გააგრძელა. ხმა მინელდა. შორდებოდა.

ქალმა შვებით ამოისუნთქა. ახლა თავი უნდა გაეთავისუფლებინა. ტანსაცმელი მთლიანად დაუსველდა და თუკი ვინმე დროულად ვერ იპოვიდა, უთუოდ გაიყინებოდა. და უცებ გონება გაუნათდა. ნაჯახი! სულ დავიწყებოდა ნაჯახი.

წვრილი მავთული იყო, ქვაზე უნდა დაედო, რამდენჯერმე ძლიერად დაერტყა და გათავისუფლდებოდა. შეტრიალდა და ნაკადულის ფსკერი ხელით მოსინჯა. ვერაფერი იპოვა.

სასოწარკვეთილი ქალი მუხლებზე დადგა, ყურადღებით დაათვალიერა თოვლი და ბოლოს წყალში, მისგან ორიოდე მეტრზე შენიშნა ნაჯახის მბრწყინავი პირი. იგრძნო, როგორ დაიჭიმა მავთული. პირდაპირ ნაკადულში ჩაწვა და შეეცადა, ნაჯახს მისწვდენოდა. მახეში გაბმული მხეცივით იბრძოდა, მაგრამ ამაოდ.

ძალიან შორს იყო მისგან. ტირილი მოუნდა, მაგრამ თავი შეიკავა. კიდევ მოვასწრებ ტირილსო, გაიფიქრა.

— ეს გინდა?

პირდაპირ მის წინ, შუა ნაკადულში იდგა წელში მოხრილი და მას უყურებდა. სილვიამ ხოხვით დაიხია უკან, მაგრამ მის

წინ აღმართული არსებაც მას მიჰყვა და ქალს ნაჯახი გაუწოდა.

— გამომართვი.

სილვია ჯერ ოთხივე კიდურს დაეყრდნო და შემდეგ ნაჯახი გამოართვა.

— რის გაკეთებას აპირებ მაგ ნაჯახით?

ქალმა საშინელი სიბრაზის მოზღვავება იგრძნო, რომელიც ხშირად ეუფლება ადამიანს, რომელმაც ძალიან ძლიერი შიშით მოგვრილი შოკი გადაიტანა.

ამჯერად მრისხანების ტალღამ მთელი მისი არსება მოიცვა. სილვიამ მაღლა შემართა ნაჯახი, წინ გადმოიხარა და გაჭიმული ხელი დაბლა დაუშვა, მაგრამ მავთულმა დააბრკოლა, ნაჯახმა უბრალოდ სიბნელე გაჭრა და ქალი ისევ წყალში აღმოჩნდა.

ხითხითი გაისმა.

სილვია გვერდულად დაეცა.

— წაეთრიე აქედან, — დაიღრიალა მან და კენჭები გადმოაფურთხა.

— მინდა, თოვლი ჭამო, — თქვა უცნობმა. წამოიმართა და ერთხანს ხელით ეჭირა ის ადგილი, სადაც პიჯაკი გაიხა.

— რაო? — უნებლიეთ წამოიძახა სილვიამ.

— მინდა, თოვლი ჭამო მანამ, სანამ არ ჩაიფსამ.

ძალიან ახლოს იდგა მავთულის რადიუსთან. თავი დაეხარა და სილვიას დაჰყურებდა.

— სანამ კუჭი ისე არ გაგეყინება, რომ მასზე დადებული თოვლი დნობას არ დაიწყებს. სანამ სხეული ყინულით არ აგევსება. სანამ იმად არ იქცევი, რაც ხარ. ნამდვილ, უგრძნობ არსებად.

სილვიას ყველა სიტყვა ესმოდა, მაგრამ ნათქვამის აზრს

ვერ ხვდებოდა.

— არასდროს! — შესძახა მან.

მდევრის ხმა ნაკადულის ჩუხჩუხს უერთდებოდა.

— დროა, იყვირო, ძვირფასო სილვია, იმიტომ, რომ შენს ხმას ვეღარავინ გაიგონებს. ვეღარასდროს.

სილვიამ მის ხელში ისევ ის უცნაური ინსტრუმენტი დაინახა. გაფიცხებული მარყუჟი სიბნელეში წითელ წვეთად ციმციმებდა. როდესაც წყალს შეეხო, აშიშხინდა და ჰაერში ორთქლი აიჭრა.

— მერწმუნე, ადრე თუ გვიან, შენი ნებით დაიწყებ თოვლის ჭამას.

თავზარდაცემული სილვია თანდათან ხვდებოდა, რომ მალე მოკვდებოდა. აღარაფერი რჩებოდა, გარდა ერთისა. სულ უფრო მეტად ბნელდებოდა, მაგრამ ნაჯახით შეიარაღებული სილვია ცდილობდა, თავისი მტარვალი დაენახა, რომელიც ხეებს შორის იდგა. წამოდგა. ხელები სტკიოდა. ზედა კიდურებში სისხლის მიმოქცევა აღუდგა — თითქოს ხელებიც მიხვდნენ, რომ ეს სილვიას ბოლო შანსი იყო. ის და ტყუპი ხშირად ვარჯიშობდნენ ნაჯახის სროლაში. საბძელში შევიდოდნენ და სილვია ნაჯახს ესროდა ხოლმე ერთ ადგილას საღებავწასმულ კედელს. ეს ლაქა მელიას განასახიერებდა. ამის შემდეგ მისი რომელიმე შვილი მივარდებოდა ხოლმე კედელთან, მოხსნიდა ნაჯახს და მოჰქონდა. მერე ბავშვები ყვიროდნენ: „მხეცი მოკალი, დედი, მხეცი!”

სილვიამ ფრთხილად გადადგა წინ ნაბიჯი. ერთი სწრაფი ნაბიჯი საკმარისი უნდა ყოფილიყო იმისთვის, რომ ზუსტად და სათანადო ძალით ესროლა.

— შეშლილი ხარ, — ჩაიჩურჩულა ქალმა.

— აი, ამ საკითხში კი ნამდვილად ვერ შეგედავები, — თქვა

მისმა მტარვალმა. სილვიას მოეჩვენა, რომ იღიმებოდა.

ნაჯახმა ყრუდ დაიწივლა და სქელი, თითქმის ხელშესახები სიბნელე გაკვეთა.

სილვია მყარად იდგა ფეხზე. მარჯვენა მკლავი წინ ჰქონდა გაშვერილი და იარაღს აკვირდებოდა. დაინახა, როგორ ჩაიქროლა ხეებს შორის და გაიგონა, როგორ მოკვეთა მისმა ნაჯახმა ერთ-ერთი ხის პატარა ტოტი, დაინახა, როგორ ჩაიკარგა მისი იარაღი სიბნელეში და ყრუდ დაეცა — თითქოს სადღაც ტყის სიღრმეში, თოვლში დაიმარხა თავი.

ხის ვარჯს მიეყრდნო და ნელა დაეშვა მიწაზე. იგრძნო, როგორ ერეოდა ცრემლი და ამჯერად აღარც უცდია ტირილის შეკავება. იცოდა, ეს დასასრული იყო.

— დავიწყოთ? — მხიარულად თქვა მისმა მტარვალმა.

თავი IX

მესამე დღე. ხვრელი

— გაასწორა, არა?

აღტაცებული ოლეგის ხმა ზეთის შიშხინის ხმას ახშობდა საქაბაბეში, სადაც ძალიან ბევრი ხალხი ირეოდა. „სპექტრუმში" გამართული კონცერტის შემდეგ მაყურებელთა ნაწილი აქ მოვიდა. ჰარიმ თავი დაუქნია კაპიუშონიან ქურთუკში გამოწყობილს ბიჭს, რომელსაც ჯერ კიდევ არ შეშრობოდა ოფლი, აღტაცებული დახტოდა და ენას არ აჩერებდა. გაუჩერებლად ლაპარაკობდა. ახსენებდა Slipknot- ის წევრების ნამდვილ სახელებს, რომლებიც ჰარის პირველად ესმოდა.

კონცერტებზე ყოველთვის ნიღბებით გამოდიოდნენ, ალბომების გარეკანებზე მათ შესახებ არაფერი ეწერა და ამ ჯგუფის შესახებ არც MOJO-სა და Uncut-ის მსგავსი ჟურნალები წერდნენ. ჰარიმ ჰამბურგერი შეუკვეთა და საათს დახედა. რაკელი დაჰპირდა, რომ ზუსტად ათ საათზე აქ იქნებოდა. ოლეგი გაუთავებლად ლაპარაკობდა. როდის მოხდა? როდის გადაწყვიტა თერთმეტი წლის ბიჭმა, რომ მოსწონდა მუსიკა სიკვდილის სხვადასხვა ეტაპის, გაუცხოების, სიცივისა და საყოველთაო განწირულობის შესახებ? ალბათ, ჰარის ყურადღება უნდა მიექცია ამისთვის, მაგრამ ეს არ გააკეთა. ბიჭი საწყის ეტაპზე იყო მხოლოდ.

ფაქტობრივად, ახალ ტანსაცმელს იცვამდა, რათა მიმხვდარიყო, უხდებოდა თუ არა. ჰარიმ იცოდა, რომ ოდესმე ცნობისმოყვარეობა დაუცხრებოდა და მის ცხოვრებაში სხვა გატაცებ-

ები გაჩნდებოდა. უკეთესი გატაცებები. და უარესიც.

— შენც მოგეწონა, არა?

ჰარიმ თავი დაუქნია. ვერ გაბედა, ეთქვა, რომ კონცერტი არ მოეწონა. როგორც კი „სპექტრუმში" შეკრებილ ხალხს შეერია, ჰარის პარანოიამ შეუტია, რომელიც რეგულარულად ემართებათ ადამიანებს, რომლებიც ბევრს სვამენ. დეტექტივს კი ბოლო დროს სიფხიზლეშიც აღარ ტოვებდა. ნაცვლად იმისა, ხასიათი გამოჰკეთებოდა, გარშემო მყოფებს ათვალიერებდა და აშკარად გრძნობდა, რომ უთვალთვალებდნენ.

— Slipknot-ი მაგარი ჯგუფია! — არ ცხრებოდა ოლეგი, — განსაკუთრებით ნიღბები ასწორებს. ყველაზე მეტად ის მომეწონა, გრძელი, წვრილი ცხვირი რომ აქვს. იმას ჰგავს,... რა ჰქვია...

ჰარი ცალი ყურით უსმენდა და იმედი ჰქონდა, რომ რაკელი მალე გამოჩნდებოდა. საქაბაბეში ჰაერი შენივთდა და დამძიმდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ადამიანს კანსა და ტუჩებზე ცხიმის თხელი ფენა ეკრობოდა. ჰარი შეეცადა, უკუეგდო წამოშლილი ფიქრები, მაგრამ ვეღარ შეაკავა. დალევაზე ფიქრობდა.

— ეგ ინდიელების სიკვდილის ნიღაბია, — მათ უკან ქალის ხმა გაისმა, — ისე კი, Slayer-ი სჯობდა Slipknot-ს.

ჰარი შებრუნდა და გაოცებული მიაჩერდა ქალს, რომელიც მათ საუბარში ჩაერია.

— Slipknot-ის ბიჭები ზედმეტად იბრიქებიან. ასე არაა? — განაგრძო ქალმა, — მოძველებული იდეები და უაზრო ჟესტები აქვთ.

ქალს უზადოდ შეკერილი, ყელამდე შეკრული და ტანზე მომდგარი გრძელი შავი პალტო ეცვა, მხოლოდ შავი ფეხსაცმელი და ფერმკრთალი სახე უჩანდა.

— ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ასეთი მუსიკა მოგწონთ, — თქვა ჰარიმ. კატრინ ბრატს გაეღიმა.

— მე კი ვერ ვიტყოდი, რომ რაიმე უცნაურობაა ამაში.

მისი ახსნა-განმარტებები ამით დასრულდა. ქალმა მინერალური წყალი „ფარისი" შეუკვეთა.

— Slayer-ი ბანძია, — ჩაიბუზღუნა ოლეგმა. კატრინი ბიჭს მიუბრუნდა.

— შენ, ალბათ, ოლეგი ხარ, არა?

— დიახ, — უპასუხა გაბრაზებულმა ბიჭმა და სამხედრო შარვალი გაისწორა. უფროსი ქალის ყურადღება მასში არაერთგვაროვან ემოციებს იწვევდა, — როგორ მიხვთით?

— „მიხვთით?" — ღიმილით იკითხა კატრინმა, — შენ ხომ ჰოლმენკოლენიდან ხარ. ალბათ, „მიხვდით" უნდა გეთქვა. ასეთ სიტყვებს ჰარი გასწავლის?

ოლეგს ლოყები შეეფაკლა.

კატრინმა ჩაიცინა და ოლეგს მხარზე დაადო ხელი.

— მაპატიე, უბრალოდ ცნობისმოყვარე ვარ.

ბიჭს ისე გაუწითლდა სახე, რომ თვალების თეთრონი აუკაშკაშდა.

— მეც ცნობისმოყვარე ვარ, — თქვა ჰარიმ და ოლეგს ბურგერი გაუწოდა, — გამომდინარე იქიდან, რომ კონცერტზე მოხვედით, ვვარაუდობ, რომ იპოვეთ ის საერთო მახასიათებელი, რომელიც გთხოვეთ.

ჰარიმ ისეთი იერით შეხედა კატრინს, რომ ქალი მიხვდა — ბიჭი არ უნდა გაეჯავრებინა.

— დიახ, ვიპოვე რაღაც, — თქვა კატრინმა და „ფარისის" ბოთლს პლასტმასის თავსახური მოხსნა, — მაგრამ ახლა დაკავებული ხართ და შეგვიძლია, ხვალისთვის გადავდოთ.

— იმდენად დაკავებულიც არა ვარ, რომ ვერ მოგისმინოთ,

— თქვა ჰარიმ. უკვე აღარც ახსოვდა ცხიმის ფენა და მძიმე ჰაერი.

— კონფიდენციალური ინფორმაციაა და თან აქ ბევრი ხალხია, — თქვა კატრინმა, — მაგრამ შემიძლია რამდენიმე სიტყვა ჩაგჩურჩულოთ ყურში.

ქალი დაიხარა და საქაბაბეში გამეფებული ცხელი ცხიმის სუნის მიუხედავად, ჰარიმ თითქმის მამაკაცური სუნამოს სუნი და კატრინის ცხელი სუნთქვა იგრძნო:

— კართან შავი „ფოლკსვაგენ პასატი" დგას. საჭესთან ზის ქალი, რომელიც დიდი ხანია, შენი ყურადღების მიპყრობას ცდილობს. თუ არ ვცდები, ოლეგის დედაა...

ჰარი მაშინვე გაიმართა წელში და ფანჯარაში გაიხედა. რაკელმა საჭე მოატრიალა და მზერა გამომძიებელს მიაპყრო.

— არაფერი დასვარო, — უთხრა რაკელმა ოლეგს, როდესაც ბიჭი, ბურგერით ხელში, მანქანის უკანა სავარძელზე ჯდებოდა.

ჰარი ღია ფანჯარასთან იდგა.

ქალს უბრალო ცისფერი ჯინსი ეცვა. ჰარი კარგად იცნობდა ამ შარვალს. იცოდა მისი სუნი და როგორ სრიალებდა მასთან შეხებისას ხელი ან ლოყა.

— მოგეწონა კონცერტი? — ჰკითხა რაკელმა ჰარის.

— ოლეგს ჰკითხე.

— და რა ტიპის ჯგუფია ეგ საერთოდ? — იკითხა ქალმა და მანქანის საქარე მინაზე დამაგრებულ სარკეში ჩაიხედა, — რაღაც უცნაურად აცვია მაგ ხალხს.

— ლამაზ სიმღერებს მღერიან სიყვარულზე, — უპასუხა ოლეგმა და, როგორც კი დედამისმა თვალი მოაშორა სარკეს, ჰარის თვალი ჩაუკრა.

— გმადლობ, ჰარი, — თქვა რაკელმა.

— არაფრის. ფრთხილად იარე.

— ის ქალი ვინაა?

— ჩემი კოლეგაა. ახალი თანამშრომელი.

— მართლა? არადა, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ დიდი ხანია იცნობთ ერთმანეთს.

— რატომ?

— თითქოს...

ქალი უცებ დადუმდა. შემდეგ ნელა გააქნია თავი და გაიცინა. ხმადაბალი, მკერდისმიერი სიცილი ჰქონდა. თითქოს პირდაპირ გულიდან ამოსდიოდა.

ერთდროულად სანდოც იყო და ქარაფშუტაც. სიცილი, რომელმაც ოდესღაც ეს ქალი შეაყვარა.

— მაპატიე, ჰარი, ღამე მშვიდობის.

მანქანის ფანჯრის მინა ზევით აიწია. შავი მანქანა ტროტუარს მოსწყდა და იქაურობას გაშორდა.

ჰარი აუჩქარებლად გაეშურა ბრუგატისკენ. აქ ყოველ ნაბიჯზე სასადილოები, კაფეები თუ ბარები იყო და ამ დაწესებულებების ღია კარებიდან მუსიკის ხმა გამოდიოდა. გადაწყვიტა, „ტედის სოფთბარში" ყავა დაელია, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და გზა განაგრძო.

— ყავა? — უნდობლად იკითხა დახლის იქით მდგარმა მამაკაცმა.

მუსიკალური ავტომატიდან ჯონი კეშის ხმა ისმოდა. ჰარიმ ტუჩებთან მიიტანა თითი.

— რა, უკეთესი ვარიანტიც არსებობს? — მოესმა ჰარის საკუთარი ხმა, რომელიც ოდნავ ეუცხოვა კიდეც.

— რა თქმა უნდა! — უპასუხა ბარმენმა და ჭუჭყიან თმაზე ხელი გადაისვა, — ყავა ახალი მოდუღებული არაა. რას იტყვით ახალჩამოსხმულ ლუდზე?

ჯონი კეში ღმერთზე, ნათლობასა და ახალ იმედზე მღეროდა.

— კარგი, — თქვა ჰარიმ. ბარმენი გაიკრიჭა.

ამ დროს ჰარიმ იგრძნო, რომ მის ჯიბეში ტელეფონი ვიბრირებდა. სწრაფად, ხარბად დასტაცა ხელი, — თითქოს ამ ზარს ელოდებოდა.

სკარე აღმოჩნდა.

— ახლა მივიღეთ განცხადება ადამიანის დაკარგვის შესახებ, რომელიც სხვა შემთხვევებს ჰგავს — გათხოვილი ქალი. ორი შვილის დედა. მისი მეუღლე და შვილები რამდენიმე საათის წინ დაბრუნდნენ შინ და ქალი არ დახვდათ. ტყეში ცხოვრობენ, სოლიჰიოგდაში. მეზობლებს არავინ შეუნიშნავს. მანქანით ვერ წავიდოდა, რადგან მის მეუღლეს ჰყავდა წაყვანილი. ამასთან, გზაზე კვალიც არ ჩანს.

— არც ქვეითის კვალი?

— არა. იქ ჯერ კიდევ თოვლი დევს.

ჰარის წინ, მაგიდაზე, ხმაურით დადგეს კათხა. მისთვის კარგად ნაცნობი იყო ეს ხმა.

— ჰარი, მისმენ?

— კი, კი! უბრალოდ, ვფიქრობ.

— რაზე ფიქრობ?

— იქ თოვლის კაცი თუ დგას?

— რა?

— თოვლის კაცი!

— მე რა ვიცი!

— მაშინ უნდა მივიდეთ და გავარკვიოთ. მანქანაში ჩაჯექი. სტრუგატთან დაგხვდები და გამიჩერე.

— ხვალამდე ვერ მოიცდის, ჰარი? ამ საღამოსთვის გეგმები მაქვს. ის ქალი კი მხოლოდ დღეს დაიკარგა, ასე რომ, მოიცდ-

ის.

ჰარიმ ლუდის ქაფს შეხედა, რომელიც კათხის კედელზე გველივით დაიკლაკნა.

— ისე... სიმართლე თუ გინდა, ვერ მოიცდის, — ჩაიბურტყუნა ჰარიმ.

ბარმენმა გაოცებით შეხედა ლუდის ხელუხლებელ ნახევარლიტრიან კათხასა და ორმოცდაათკრონიან კუპიურას, რომელიც მის წინ იდო. და განიერ მხარ-ბეჭს, რომელიც უკვე გაუჩინარებულიყო იმ დარბაზიდან, საიდანაც ჯონი კეშის ხმა ისმოდა.

***

— სილვია ასე გაუფრთხილებლად არსად წავიდოდა, — განაცხადა როლფმა.

როლფ ოტერსენი ძალიან გამხდარი, უფრო ზუსტად კი გაძვალტყავებული კაცი იყო. ფლანელის პერანგი კისრამდე ჰქონდა შეკრული. წვრილი კისერი ჰქონდა. ყანჩას ჰგავსო, გაიფიქრა ჰარიმ. პერანგის სახელოებიდან წვრილი ხელები და მუდმივად მოძრავი გრძელი თითები მოუჩანდა. მარჯვენა ხელის თითებზე გრძელი და მხეცის ბრჭყალებივით ბასრი ფრჩხილები ჰქონდა. ფოლადის მრგვალი ჩარჩოებით გაწყობილი სქელმინიანი სათვალის მიღმა თვალები არაბუნებრივად დიდი უჩანდა. ასეთი სათვალე სამოცდაათიანებში რადიკალებს შორის იყო პოპულარული. მდოგვისფერ კედელზე გა-

კრულ პოსტერზე გამოსახული იყვნენ ინდიელები, რომლებსაც ანაკონდა მიჰქონდათ. ჰარიმ ჰიპების პერიოდის ცნობილი მომღერლის, ჯონი მიჩელის ძალიან დიდი ხნის წინ გამოცემული ალბომის გარეკანი იცნო. ამ პლაკატის გვერდით ფრიდა კალოს ცნობილი ავტოპორტრეტის რეპროდუქცია გაეკრათ. „ქალი, რომელიც იტანჯებოდა", — გაიფიქრა ჰარიმ. აშკარა იყო, ეს სურათი ქალმა აარჩია. ოთახში დაგებულ ფიჭვის მოუხვეწავ იატაკს პარაფინისა და ყავისფერი თიხის ლამპები ანათებდა. სანათები, სავარაუდოდ, ამ სახლის ბინადრების ნახელავი იქნებოდა. კუთხეში ნეილონისსიმებიანი გიტარა მიეყუდებინათ. „აი, თურმე რატომ აქვს რალფ ოტერსენს ასეთი ფრჩხილები".

— დარწმუნებული ხართ, რომ სადმე წასვლას არ აპირებდა? — კიდევ ერთხელ იკითხა ჰარიმ.

მათ წინ, სასტუმრო ოთახის მაგიდაზე, როლფის ცოლის ფოტო იდო, რომელზეც მასთან ერთად მისი შვილები, ათი წლის ტყუპი, ემა და ოლგა იყვნენ გამოსახულნი. სილვია ოტერსენი სამყაროს დიდი, დაბინდული თვალებით უყურებდა. ასეთი მზერა აქვთ იმ ადამიანებს, რომლებიც დიდხანს სათვალეს ატარებდნენ, შემდეგ კი ლინზებზე გადავიდნენ, ან მხედველობის კორექცია ჩაიტარეს. გოგონებსაც ზუსტად ასეთი გამოხედვა ჰქონდათ.

— დიახ. აუცილებლად გაგვაფრთხილებდა, — უპასუხა როლფმა, — ბარათს დატოვებდა. უთუოდ რაღაც შეემთხვა.

სასოწარკვეთილების მიუხედავად, როლფ ოტერსენი მშვიდად და ხმადაბლა ლაპარაკობდა. შარვლის ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და სახესთან მიიტანა.

მისი ცხვირი განსაკუთრებულად დიდად მოჩანდა ფერმკრთალ, გამხდარ სახეზე. როლფმა ხმაურიანად მოიხოცა ცხ-

ვირი.კარი გაიღო და სკარეს თავი გამოჩნდა.

— კინოლოგები მოვიდნენ. გვამების მაძებარი ძაღლი მოიყვანეს.

— საქმეს შეუდექით, — თქვა ჰარიმ, — ყველა მეზობელს ელაპარაკეთ?

— კი. ახალი ვერაფერი შევიტყვეთ.

სკარემ კარი მიიხურა და ჰარიმ შენიშნა, რომ როლფს კიდევ უფრო გაეზარდა თვალები სათვალის მიღმა.

— გვამების? — ჩაიჩურჩულა მასპინძელმა.

— უბრალოდ ტერმინია ასეთი, — უპასუხა ჰარიმ და გაიფიქრა, რომ სკარესთვის უნდა ესაყვედურა, უნდა ეთქვა ხელქვეითისთვის, რომ მომავალში უფრო ზუსტი განსაზღვრებები გამოეყენებინა.

— ანუ ამ ძაღლს ცოცხალი ადამიანების საძებნელად იყენებთ? — თითქმის ვედრებით იკითხა როლფმა.

— რა თქმა უნდა, — დაუდასტურა ჰარიმ. მას არ უთქვამს, რომ გვამის მაძებრებს ცხედრების საძებნელად წვრთნიდნენ და ნარკოტიკების, დაკარგული ნივთებისა და ცოცხალი ადამიანების საძებნელად არ იყენებდნენ. ამ ძაღლებს მხოლოდ გარდაცვლილების პოვნა შეუძლიათ. მორჩა.

— ესე იგი, ბოლოს თქვენი მეუღლე გუშინ ოთხ საათზე ნახეთ. ასეა? — იკითხა ჰარიმ და თან თავისი ჩანაწერებისთვის თვალი არ მოუცილებია, — შემდეგ კი გოგონებთან ერთად ქალაქში წახვედით. იქ რას აკეთებდით?

— მე მაღაზიაში ვმუშაობდი, გოგონებს კი ვიოლინოს გაკვეთილი ჰქონდათ.

— მაღაზიაში?

— მაიორსტუნში პატარა მაღაზია გვაქვს. ხელნაკეთ ნივთებს ვყიდით — აფრიკულ სუვენირებს, ხელოვნების ნიმუშებს,

ავეჯს, ტანსაცმელს. მოკლედ, ასეთ ნივთებს. ჩვეულებრივ, მაღაზიაში სილვია რჩება ხოლმე, მაგრამ ხუთშაბათობით გვიანობამდე ვმუშაობთ, ამიტომ მანქანით ბრუნდება შინ და მე ვმორიგეობ, თან გოგონები მიმყავს ქალაქში, სადაც ხუთიდან შვიდ საათამდე ვიოლინოს უკრავენ. ამის შემდეგ გოგონებთან მივდივარ და შინ ვბრუნდებით. როგორც წესი, რვის ნახევარზე, ან ოდნავ გვიან.

— კიდევ ვინ მუშაობს მაღაზიაში?

— არავინ.

— გამოდის, ხუთშაბათობით დაახლოებით ერთი საათით კეტავთ მაღაზიას. ასე არ არის?

როლფ ოტერსენმა ირონიულად გაიღიმა:

— ძალიან პატარა მაღაზიაა. ბევრი კლიენტი არა გვყავს. სიმართლე გითხრათ, საშობაო ფასდაკლებამდე თითქმის არა გვყავს მყიდველები.

— როგორ?

— ჩვენ და ჩვენს მომმარაგებლებს განვითარების ხელშეწყობის სააგენტო გვაფინანსებს. ამ შემთხვევაში მთავარია პრინციპი, და არა ფული. არ მეთანხმებით?

ჰარიმ თავი დაუქნია, მაგრამ ახლა ის არა აფრიკის სავაჭრო სივრცის გაჯანსაღებასა და განვითარებაზე, არამედ დროსა და იმ პერიოდზე ფიქრობდა, რომელიც მათ ოსლოში დასაბრუნებლად დასჭირდებოდათ. სამზარეულოდან, სადაც ტყუპი ვახშმობდა, რადიოს ხმა ისმოდა. გამომძიებელმა სახლში ტელევიზორს ვერსად მოჰკრა თვალი.

— გმადლობთ. ყველაფერს ვიღონებთ, რისი საშუალებაც გვაქვს, — თქვა ჰარიმ და გარეთ გავიდა.

ეზოში სამი მანქანა იდგა. მათ შორის „ამაზონიც". ბიორნ ჰოლმმა თავისი ავტომობილი შავად გადაღება და ავტომრბო-

ლელთა მანქანებისთვის დამახასიათებელი ზოლებით შეამკო საბარგულსა და სახურავზე.

ჰარიმვარსკვლავებით მოჩითულ კრიალა ცას ახედა და ღრმად ჩაისუნთქა. ჰაერში ნაძვებისა და ღუმლის კვამლის სუნი ტრიალებდა. ტყიდან ძაღლისა და პოლიციელების ხმა ისმოდა. ჰარიმ ფარდულს შემოუარა — ისე, როგორც შეთანხმდნენ. არ იყო გამორიცხული, ფარდულთან ნაკვალევი აღმოეჩინათ. ღია კარიდან ხმები ისმოდა. ჰარი დაიხარა და კარის ღრიჭოდან გამოსული ლამპის შუქზე თოვლზე დატოვებული ნაფეხურების შესწავლას შეუდგა. შემდეგ წამოდგა, წირთხლს მიეყრდნო და ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო.

— მკვლელობის ადგილს ჰგავს, — თქვა მან, — სისხლი, მკვდრები და აყირავებული ავეჯი.

ბიორნ ჰოლმი და მაგნუსი გაჩუმდნენ, მოტრიალდნენ და იმ ადგილს მიაჩერდნენ, რომელსაც ჰარი უყურებდა. საკმაოდ დიდი სივრცე სქელ ბოძზე დამაგრებული ორი ხელნაკეთი ლამპით იყო განათებული. ფარდულის ერთ კუთხეში სახარატე დაზგა იდგა, მის ზემოთ კი დაფა მოჩანდა, რომელზეც სხვადასხვა ინსტრუმენტი — უროები, ხერხები, ბრტყელტუჩები და ბურღები გაემწკრივებინათ.

ელექტრომოწყობილობები არსად ჩანდა. ფარდულის მეორე მხარეს მავთულის ღობე იყო გაბმული და მის იქით, კედლებსა და ნამჯით დაფარულ იატაკზე, ქათმები ისხდნენ. ფრინველების კრიახი ისმოდა. ფარდულის შუაგულში, სისხლით მოსვრილ ნაცრისფერ იატაკზე, სამი თავწაცლილი ქათამი ეგდო, სპეციალურ საკლავ დაფაზე კი სამი ქათმის თავები ეყარა. ჰარიმ სიგარეტი ჩაიდო პირში, მაგრამ არ მოუკიდა. სისხლის გუბეს გვერდი აუარა, საკლავ დაფასთან ჩაიმუხლა, თვალები

მოწკურა და ქათმების თავებს დააკვირდა. დახოცილი ფრინველების გაშავებული თვალები მისი ჯიბის ფარნის შუქს ირეკლავდა.

შავზოლიან თეთრ ბუმბულს დასწვდა. დამწვარს ჰგავდა. შემდეგ გულდასმით შეამოწმა ქათმების კისრების თანაბარი გადანაჭრები. სისხლი უკვე შედედებულიყო და შავი ფერი მიეღო.

— იპოვე რაიმე საინტერესო? — დაინტერესდა ბიორნ ჰოლმი.

— პროფესიული საქმიანობისას ტვინი დამიზიანდა, ჰოლმ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ქათმის ლეშს ვიკვლევ.

სკარემ გაიცინა და სახელდახელო საგაზეთო ჰედლაინი გამოაცხო:

—„განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი სერიული მკვლელობა. შემთხვევას სამი ქათამი ემსხვერპლა. ვარაუდობენ, რომ დანაშაული ვუდუს მიმდევრებმა ჩაიდინეს. გამოძიებას ჰარი ჰოლე აწარმოებს”.

— მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, რასაც ვერ ვხედავ, — თქვა ჰარიმ. ბიორნ ჰოლმმა წარბი ასწია, მიმოიხედა და ნელა დაუქნია თავი. სკარემ კი სკეპტიკურად იკითხა:

— რას?

— მკვლელობის იარაღს, — უპასუხა ჰარიმ.

— ნაჯახი, — თქვა ჰოლმმა, — ერთადერთი გონივრული გზა ქათმების დასაკლავად.

სკარემ დაიფრუტუნა.

— მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ ქათმები ქალმა დაკლა, სავარაუდოდ, ნაჯახი თავის ადგილას დადო. ფერმერები წესრიგის მოყვარული ადამიანები არიან.

— შენი ნათქვამის ბოლო ფრაზას ვეთანხმები, — თქვა ჰარიმ

და ქათმის კრიახს მიაპყრო სმენა. ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ეს ხმა ყველა მხრიდან ისმოდა, — ამიტომ ძალიან საინტერესოა, რატომაა საკლავი დაფა აყირავებული და რატომ გდია იატაკზე ნაკლავი. ამასთან, ნაჯახიც არ არის ადგილზე.

— ადგილზე არ არის? — სკარემ ჰოლმს გადახედა და სწრაფად მიმოიხედა.

— თუ შეიძლება, კარგად მიმოიხედე, სკარე, — უთხრა ჰარიმ ისე, რომ თავი არ აუწევია.

სკარე ისევ ჰოლმს უყურებდა, რომელმაც მალულად სახარატო დაზგისა და ინსტრუმენტების დაფისკენ მიანიშნა.

— ჯანდაბა! — აღმოხდა სკარეს.

უროსა და ჟანგიან ხერხს შორის მოჩანდა ცარიელი ადგილი, რომელზეც აშკარად იკვეთებოდა ნაჯახის კონტური.

ჰარიმ ნიკაპზე დაისვა ხელი.

— კარგი... ფარდული შევამოწმეთ და, ჯერჯერობით, სურათი ასე გამოიყურება: სილვია ოტერსენმა აქაურობა ისე დატოვა, დაწყებული საქმე არ დაუმთავრებია. ამასთან, სამუშაო იარაღი თან წაიღო. ჰოლმ, შეგიძლია, ნაკლავის ტემპერატურის მიხედვით დაადგინო ზუსტი დრო, როდესაც ეს ინციდენტი მოხდა?

— კი.

— რას გულისხმობთ? — იკითხა სკარემ.

— უნდა ვიცოდე ზუსტი დრო, როდესაც აქაურობა დატოვა, — განმარტა ჰარიმ, — ჰოლმ, სახლისა და ფარდულის გარშემო დატოვებული ნაკვალევიდან რაიმე ხელმოსაჭიდი ხომ არა გვაქვს?

— ყველაფერი გადათელეს, — თავი გააქნია კრიმინალისტმა, — თანაც ბნელა. როლფ ოტერსენის ბევრი ნაფეხური ვიპ-

ოვე. ვიღაცის ორი-სამი ნაკვალევიც გავარჩიე. ეს ნაფეხურები ფარდულისკენ მიემართება, მაგრამ აქედან გასული ადამიანების ნაფეხურები არ ჩანს. იქნებ ის ქალი უბრალოდ გაიტანეს აქედან?

— მაშინ იმ ადამიანს, რომელსაც ქალი ხელში ჰყავდა აყვანილი, უფრო ღრმა კვალი უნდა დაეტოვებინა. სამწუხაროა, რომ სისხლის გუბეში არავინ ჩადგა ფეხი.

ჰარიმ თვალები მოწკურა და ლამპით განათებული ფარდულის მუქ კედლებს დააკვირდა. ეზოდან ძაღლის ყეფა და პოლიციელის გინება ისმოდა.

— სკარე, გადი და გაარკვიე, რა ხდება, — თქვა ჰარიმ.

სკარე გაუჩინარდა, ჰარიმ კი ისევ ჩართო ფარანი და კედელს მიუახლოვდა. გამომძიებელმა შეუღებავ ფიცრებს ხელი გადაუსვა.

— ეს რა... — წამოიწყო ჰოლმმა, მაგრამ როდესაც ჰარიმ ფეხი დაარტყა კედელს და ფარდულში ყრუ ხმა გაისმა, ბიორნი გაჩუმდა.

უცებ ვარსკვლავებით მოჭედილი ცა დაინახეს.

— უკანა კარი, — უპასუხა ჰარიმ ბიორნის დაუსრულებელ შეკითხვას და დაბურულ ტყეს გახედა. ქალაქის ტალახისფერი ყვითელი შუქის ფონზე ნაძვების სილუეტები მოჩანდა.

ფარანი თოვლით დაფარულ მიწას მიანათა და მაშინვე დაინახა ნაფეხურები:

— ორი ადამიანის კვალია, — თქვა ჰარიმ.

— წყეული ქოფაკი, — თქვა ფარდულში შემოსულმა სკარემ, — მუშაობა არ უნდა.

— არ უნდა? — ჰარიმ ნაბიჯების ჯაჭვს ფარნის შუქი მიაყოლა, მაგრამ კვალი იკარგებოდა იქ, სადაც ღამის წყვდიადს ტყის ხეები დარაჯობდნენ.

— კინოლოგიც ვერ ხვდება, რა სჭირს. ძაღლს თითქოს რაღაცის ეშინიაო. ტყეში არ შედის.

— იქნებ მელიის ეშინია, — თქვა ჰოლმმა, — აქაური ტყეები მელიებითაა სავსე.

— მელიების? — დაიფრუტუნა სკარემ, — ნანახი გყავს ეს ძაღლი? ამხელა მხეცს მელიის არ შეეშინდება.

— იქნებ არც უნახავს მელია და უბრალოდ უცნობი ცხოველის სუნი იგრძნო, — თქვა ჰარიმ, — უცნობის მიმართ შიში სავსებით ბუნებრივი გრძნობაა. ვისაც არ ეშინია, შედარებით ადრე კვდება.

ჰარიმ იგრძნო, რომ გული აუჩქარდა, და კარგად იცოდა, რატომაც. ტყე. სიბნელე. ტიპური, ირაციონალური შიში. და ეს შიში უნდა დაეძლია.

— ვიდრე რაიმე სიახლე არ გვექნება, აქაურობა დანაშაულის ადგილად უნდა მივიჩნიოთ. საქმეს შეუდექით, მე კი კვალს გავყვები.

— კაი.

ჰარიმ ნერწყვი გადაყლაპა და უკანა კარით გავიდა გარეთ. ოცდაათ წელზე მეტი იყო გასული. ის კი მაინც კანკალებდა.

საშემოდგომო არდადეგების დროს ბაბუასთან რჩებოდა ხოლმე იონდალსნესში. ფერმა მთაში მდებარეობდა და ზემოდან რომსდალის ქედი გადმოჰყურებდა.

მაშინ ჰარი ათი წლის იყო, როდესაც იმ ძროხის საძებნელად გაემართა, რომელიც ბაბუამისმა დაკარგა. უნდოდა, ბაბუაზე ადრე, ყველაზე ადრე ეპოვა. ამიტომ ჩქარობდა. მოცვის ბუჩქებითა და დაგრეხილი, სასაცილო არყის ხეებით მოფენილ გორაკზე გიჟივით დარბოდა. ბილიკები ჩნდებოდა და ქრებოდა. და ჰარი მათ შორის დარბოდა. ეჩვენებოდა, რომ ძროხის კისერზე შებმული ზანზალაკის წკრიალი ესმოდა და ამ

ხმას მისდევდა. აი, კიდევ მოესმა, მარჯვნივ. ჰარი ნაკადულს გადაახტა, ხის ქვეშ შეძვრა და მისი რეზინის ფეხსაცმელი ჭაობში გაიჭედა. თქორი წამოვიდა. ჰარის ძალიან მოსწონდა იმის ყურება, როგორ ეცემოდა წვიმა გორაკის ციცაბო ზედაპირზე. ისე ხარობდა ამ ყველაფრით, რომ ვერც კი შენიშნა, როგორ ჩამოწვა სიბნელე — როგორ წამოიზარდა ჭაობის წყლიდან, ხეებს შორის გაძვრა და მუქ კლდეებს შორის შავ ოხშივრად აიჭრა ცაში. მაგრამ ჰარის ბინდისთვის არ ეცალა — ცაში იყურებოდა, სადაც დიდი ფრინველი დაფრინავდა. იმდენად მაღლა იყო აჭრილი, რომ მისი მზერა უკან მოტოვებულ მწვერვალებს სწვდებოდა. უცებ ფეხი დაუცდა, ფეხსაცმელი გასძვრა, თავი ვერ შეიმაგრა და პირქვე დაემხო. უცებ ჩამობნელდა და ჰარიმ ჭაობის, სიკვდილის, სიდამპლისა და სიბნელის გემო იგრძნო. რამდენიმე წამის მანძილზე იწვა და თითქოს სიბნელეს გემოს უსინჯავდა, ხოლო როდესაც წამოდგა, აღმოაჩინა, რომ დღის სინათლის ნასახიც აღარ დარჩენილიყო. მთებს უკან გაუჩინარდა. იმ მთებს შორის, რომლებიც ახლა მძიმედ აზიდულიყვნენ მის გარშემო და თითქოს ჩურჩულებდნენ: „სად ხარ, ჰარი? წარმოდგენაც არა გაქვს, სად იმყოფები". ვერც კი იგრძნო, რომ ფეხსაცმელი დაკარგა. წამოხტა და გაიქცა. მალე მისთვის ნაცნობი ადგილებიც გამოჩნდებოდა. უნდა გამოჩენილიყო, მაგრამ თითქოს ყველაფერი მოჯადოებულიყო მის გარშემო. მთები მიწიდან ამოზრდილი გოლიათების თავებად იქცნენ, ბუჩქები — თითებად, რომლებიც ჰარის ფეხებს ფხაჭნიდნენ, ჯუჯა არყის ხეები კი კუდიანი ჯადოქრები იყვნენ, რომლებიც სიცილით იგრიხებოდნენ, როდესაც ბიჭს გზას აჩვენებდნენ. აქ ან იქ. გზას სახლისკენ ან გზას დასაკარგავში. გზას ბებიამისის სახლისკენ ან გზას ორმოსკენ. უფროსებმა უთხრეს, რომ არსებობდა უძირო ჭაობი,

რომელშიც საქონელი, ადამიანები და ურმები იკარგებოდნენ. და არასდროს ბრუნდებოდნენ.

ფაქტობრივად, უკვე ღამე იყო, როდესაც ჰარი სამზარეულოში შებარბაცდა. ბებიამ გულში ჩაიკრა და უთხრა, მამაშენი, ბაბუაშენი და სამეზობლოს ყველა ზრდასრული მამაკაცი შენ გეძებენო.

— სად იყავი?

— ტყეში.

— კი მაგრამ მათი ხმები არ გესმოდა? გეძახდნენ.

თვითონ არ ახსოვდა, მაგრამ დიდი ხნის შემდეგ უთხრეს, რომ იგი, სიცივისგან აკანკალებული, იქვე, ღუმელთან ხის ყუთზე ჩამოჯდა, რაღაცას მიაჩერდა უაზროდ და თქვა:

— მეგონა, ჩვენები არ მეძახდნენ.

— არა? მაშ, ვინ?

— სხვები. ბებო, იცი, რომ სიბნელეს თავისებური გემო აქვს?

ჰარიმ სულ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ტყეში, როდესაც მის გარშემო სრული, თითქმის არაბუნებრივი სიჩუმე გამეფდა. ფარანი ქვემოთ, იმ ფერდობისკენ დაუშვა, რომელსაც მიუყვებოდა, იმიტომ, რომ როდესაც ხეებს ანათებდა, შუქი უცნაურ ჩრდილებს ქმნიდა, აქეთ-იქით მოძრავ, მშიშარა არსებებს ჰგავდნენ. თუმცა უსაფრთხოდ ვერ გრძნობდა თავს, იმიტომ, რომ წყვდიადში მხოლოდ მისი ფარანი ასხივებდა სინათლეს. მაღაზიის ვიტრინაში გამოდგმულ მანეკენად გრძნობდა თავს. ტყეში არავინ იყო ისეთი, ვინც მასავით ყველას დასანახად იქნებოდა გამოფენილი. ამის გამო სრულიად დაუცველი და შიშველი იყო.

ტოტები სახეს უკაწრავდა, თითქოს ხეები ბრმები იყვნენ და

სურდათ, ხელების შეხებით გასცნობოდნენ უცხო მგზავრს.

ნაკვალევმა ნაკადულამდე მიიყვანა. წყლის ჩუხჩუხი ჰარის მძიმე სუნთქვას ახშობდა. აქ ერთი ადამიანის ნაკვალევი გაწყდა, მეორე კი ნაკადულს ქვევით მიჰყვებოდა.

ჰარიმ გზა განაგრძო. ნაკადული მკვეთრად უხვევდა, მაგრამ ჰარის გზის დაკარგვის არ ეშინოდა. თუკი ვეღარ გააგნებდა გზას, ნაკვალევს გამოჰყვებოდა უკან.

სადღაც შორიახლოს ბუს გამაფრთხილებელი კივილი გაისმა. ჰარის მაჯის საათი მწვანედ განათდა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ გამომძიებელი უკვე თხუთმეტი წუთის მანძილზე მიჰყვებოდა კვალს. ის დრო იყო, უკან გაბრუნებულიყო და გუნდი გამოეგზავნა სათანადო ფეხსაცმლით, აღჭურვილობითა და ძაღლით, რომელსაც მელიების არ ეშინოდა.

ჰარის ელდა ეცა.

თვალწინ რაღაცამ გაუელვა. იმდენად უხმაუროდ და სწრაფად, რომ დეტექტივმა ვერაფერი გაარჩია, მაგრამ ამ მოძრაობამ ჰაერი გააპო და ტალღა ჰარის სახეზე მოხვდა. მოშორებით, თოვლში რომელიღაც წვრილი მღრღნელის წრუწუნი გაისმა.

ჰარიმ ნელა ამოისუნთქა. უკანასკნელად მიანათა ტყეს ფარანი და მობრუნდა.

„უკან დაბრუნების დროა". ნაბიჯი გადადგა და გაჩერდა. მეორე და მესამე ნაბიჯის გადადგმას აპირებდა... მაგრამ გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა — ფარანი ისევ ტყეს მიანათა. და აი, ისევ. ანარეკლი, რომელიც სრულიად მოულოდნელად გაკრთა. ჰარი მიუახლოვდა. უკან მოიხედა. შეეცადა, ზუსტად განესაზღვრა, სად მდებარეობდა ის ნივთი, რომელიც სინათლეს ირეკლავდა. დაახლოებით თხუთმეტი მეტრით იყო დაშორებული ნაკადულისგან. ჰარი დაიხარა. მხოლოდ ფოლადი

მოჩანდა, მაგრამ გამომძიებელს თოვლის გადაწმენდა არ დასჭირვებია იმისთვის, რომ მომხვდარიყო, თუ რა ბრწყინავდა. ნაჯახი. სისხლის კვალი არ ეტყობოდა და მის გარშემო ნაკვალევიც არ ჩანდა.

ჰარიმ მიდამოს ფარანი მიანათა და რამდენიმე მეტრში მოჭრილი ტოტი დაინახა.

როგორც ჩანს, ვიღაცამ ძალიან დიდი ძალით ისროლა ნაჯახი, რის შემდეგაც ეს იარაღი აქ დაეცა.

ჰარის კიდევ ერთხელ დაეუფლა ის შეგრძნება, რომელიც საკონცერტო დარბაზ „სპექტრუმში" ეწვია. თითქოს ვიღაც აკვირდებოდა. ინსტინქტურად დახუჭა თვალები და სიბნელე საბანივით გადაეფარა. სუნთქვა შეიკრა და სმენად გადაიქცა. „არა, — გაიფიქრა მან, — ეს არ უნდა მოხდეს. ბოროტება ფიზიკური საგანი არ არის. ვერ დაგეუფლება. პირიქით — ბოროტება სიცარიელე და სიკეთის არარსებობაა. ამ შემთხვევაში მხოლოდ საკუთარი თავის უნდა გეშინოდეს".

ჰარიმ ფარანი აანთო და ახო გაანათა.

დაინახა. ქალი ხეებს შორის წელში გამართული იდგა და დაბინდული მზერით უცქერდა. ზუსტად ისე, როგორც ფოტოზე. თავიდან ჰარის მოეჩვენა, რომ თეთრი საქორწილო კაბა ეცვა და ტყეში ისე იდგა, როგორც საკურთხეველთან.

აცახცახებულმა ჰარიმ ამოისუნთქა და პალტოს ჯიბიდან მობილური ტელეფონი ამოიღო. ბიორნ ჰოლმმა უპასუხა.

— მოხსენით კორდონი, — ძლივს ამოილუღლუღა ჰარიმ. პირი უშრებოდა და აზიდებდა, — სასწრაფოდ მჭირდება თქვენი დახმარება.

— რა მოხდა?

— აქ თოვლის კაცი დგას.

— მერე რა?

ჰარიმ განუმარტა.

— ვერ გავიგე, ბოლოს რა თქვი, — იყვირა ჰოლმმა, — აქ ცუდად იჭერს ტელეფონი.

— თავი, — გაიმეორა ჰარიმ, — თოვლის კაცს სილვია ოტერსენის თავი ადგას.

ბიორნ ჰოლმმა ვერაფერი უპასუხა. ჰარიმ ჰოლმს უბრძანა, მის ნაკვალევს გამოჰყოლოდა.

თავად კი ჩაიმუხლა, ზურგით ხეს მიეყრდნო, პალტო ბოლომდე შეიკრა და ფარანი გამორთო. ელოდებოდა თანამშრომლებს და ფიქრობდა იმაზე, რომ თითქმის დავიწყებოდა სიბნელის გემო.

ნაწილი

მეორე

თავი X

მეოთხე დღე. ცარცი

დილის ოთხის ნახევარი იყო, როდესაც დაღლილ-დაქანცული ჰარი შინ დაბრუნდა. ტანსაცმელი გაიხადა და მაშინვე საშხაპეს მიაშურა. ქაფქაფა წყალი კანს უწვავდა, დაჭიმულ კუნთებს უზელდა და გაყინულ სხეულს უთბობდა. როლფ ოტერსენს უკვე გაესაუბრნენ, მაგრამ ფორმალური დაკითხვა დილამდე გადაიდო. კარდაკარ მოიარეს სოლიჰიოგდა და არც ისე მრავალრიცხოვანი სამეზობლო დაჰკითხეს, მაგრამ კრიმინალისტიკის ექსპერტები და ძაღლები ჯერ კიდევ მუშაობდნენ და მთელი ღამე იქ დარჩებოდნენ, რათა საქმის დასრულება მანამდე მოესწროთ, სანამ თოვლი დადნებოდა ან ახალი თოვლით დაიფარებოდა. შხაპი გამორთო. ისეთი ბუღი იდგა, როდესაც სარკე გადაწმინდა, მინის ზედაპირი მყისვე დაიფარა ორთქლით. თავისი სახის ანარეკლს ვეღარ არჩევდა. შიშველი სხეულის კონტურებიც ბუნდოვანი გახდა.

ჰარი კბილებს იხეხავდა, როდესაც მობილური ტელეფონის ხმა გაისმა.

— ჰოლე...

— სტურმანი გაწუხებთ, სოკოს სპეციალისტი.

— ცუდ დროს მირეკავთ, — თქვა ჰარიმ.

— მეგონა, სამსახურში იყავით.

— მართლა?

— ახალი ამბების საღამოს გამოშვებაში ახსენეს. სოლიჰიოგდელი ქალი. თქვენზეც თქვეს ორიოდე სიტყვა. ანალიზის შედეგები მივიღე.

— რა შედეგები?

— სოკო გაქვთ... და შპალერის მჭამელი მავნებლებიც გყავთ. Aspergillus versicolor.

— ეგ რას ნიშნავს?

— იმას, რომ, შესაძლოა, სხვადასხვა ფერისა იყოს. თუკი ჩანს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კიდევ მეტი კედელი უნდა მოგინგრიოთ.

— ჰმ...

ჰარი ბუნდოვნად გრძნობდა, რომ უფრო მეტი ინტერესი და ყურადღება უნდა გამოეჩინა. სხვა თუ არაფერი, მეტი კითხვა მაინც უნდა დაესვა, მაგრამ ვერ შეწუხდა. ახლა ამის თავი არ ჰქონდა.

— კი, ბატონო.

დეტექტივმა ტელეფონი გათიშა და თვალები დახუჭა. მოჩვენებებს ელოდებოდა. ლანდებს, რომლებიც აუცილებლად ჩნდებოდნენ მაშინ, როდესაც ჰარი მოჩვენებების საწინააღმდეგო იმ ერთადერთ წამალს არ იღებდა, რომელსაც კარგად იცნობდა. ამჯერად, ალბათ, ახალი ლანდები მოევლინებოდა.

ელოდებოდა, როდის გამოვიდოდა ტყიდან — უფეხო, თეთრი, მასიური სხეულით გამოგორდებოდა, როგორც ბოულინგის უფორმო ბურთი თვალების ფოსოებით, რომლებიდანაც ყვავებს უკვე ამოეჭამათ ყველაფერი; დაკრეჭილი კბილები, რომლებიც გამოუჩნდა მას შემდეგ, რაც მელიამ ტუჩები მოაჭამა. საშინელება, რომელიც აუცილებლად იქონიებდა გავლენას ცნობიერზეც და ქვეცნობიერზეც. ჰარიმ დაიძინა. დაესიზმრა, რომ აბაზანაში იწვა — მთლიანად წყლით იყო დაფა-

რული და წყლის ბუშტუკებისა თუ ქალის სიცილის ხმა ესმოდა. აბაზანის თეთრ ზედაპირზე კი წყალმცენარეები იზრდებოდა, რომლებიც თეთრი ხელის მწვანე თითებს ჰგავდა, და ეს თითები მისკენ იყო მიმართული.

დილის შუქი სამკუთხედად დაეცა გაზეთებზე, რომელიც პოლიციის კომისრის, გუნარ ჰაგენის მაგიდაზე ეწყო და სილვია ოტერსენის ღიმილიანი სახე და სტატიების სათაურები გაანათა — „მოკლული და უთავო", „თავმოკვეთილი ტყეში" და ყველაზე მოკლე და ეფექტური — „უთავო". ჰარის კი დილიდანვე სტკიოდა თავი, რომელზეც ფრთხილად შემოიწყო ხელები და გაიფიქრა, გუშინ რომ დამელია, ამაზე უარესად არ ვიქნებოდიო. თვალების დახუჭვა უნდოდა, მაგრამ ჰაგენი თვალს არ აცილებდა. შეამჩნია, რომ მისი უფროსი ტუჩებს ამოძრავებდა. ჰაგენი რაღაცას ამბობდა, მაგრამ ჰარის მისი ნათქვამის ფრაგმენტები ესმოდა მხოლოდ.

— მთლიანობაში,... — თქვა ჰაგენმა და ჰარი მიხვდა, რომ თავი უნდა შეეკავებინა, — ეს საქმე ახლა ჩვენთვის ყველაზე პრიორიტეტულია და ამიტომ თქვენს საგამოძიებო ჯგუფს გავზრდით და..

— არ გეთანხმებით, — თქვა ჰარიმ. ამ მოკლე ფრაზის წარმოთქმისას ისეთი შეგრძნება დაეუფლა, რომ თავის ქალა გაუსკდა, — შეგვიძლია იმ შემთხვევაში დავიმატოთ თანამშრომლები, თუკი დაგვჭირდება, მაგრამ ამჟამად ვისურვებდი, საგამოძიებო საკითხებზე გამართულ თათბირებს მხოლოდ ოთხი თანამშრომელი ვესწრებოდეთ.

გუნარ ჰაგენმა გაოცებით შეხედა ჰარის. როგორც წესი, მკვლელობის გამოძიებაში, სულ ცოტა, ათი-თორმეტი კაცი მაინც იყო ხოლმე ჩართული — ყველაზე მარტივ საქმეებშიც კი.

— თავისუფალი აზროვნება გვჭირდება, ეს კი მცირე ჯგუფში

უფრო ადვილად მიიღწევა, — დასძინა ჰარიმ.

— აზროვნება? — გააწყვეტინა ჰაგენმა, — და რას იტყვით პოლიციის რუტინულ საქმიანობაზე? ინფორმაციის მოგროვება, კრიმინალისტური ექსპერტიზა, დაკითხვები, ვერსიების გადამოწმება? ინფორმაციის გაცვლაზე რას იტყვით? ერთიანი ჯგუფი...

ჰარიმ ხელი გაიშვირა და შეეცადა, უფროსის ტირადა შეეჩერებინა:

— დიახ, დიახ, ზუსტად ამას ვგულისხმობ. არ მინდა, მაგ ყველაფერში ჩავიძირო.

— ჩაიძიროთ? — ეჭვით იკითხა ჰაგენმა და ჰარის მიაჩერდა, — ასეთ შემთხვევაში, ალბათ, უმჯობესი იქნებოდა, ეს საქმე იმისთვის მიმეცა, ვინც ცურვა იცის.

ჰარიმ საფეთქლები დაიზილა. ჰაგენმა კარგად იცოდა, რომ ჰარი ჰოლე ერთადერთი გამომძიებელი იყო სისხლის სამართლის განყოფილებაში, რომელსაც ამ საქმის გამოძიების უნარი შესწევდა. და ჰარიმ ეს იცოდა. ისიც იცოდა, რომ ამ საქმის პოლიციის მთავარი სამმართველოსთვის გადაცემა ახალდანიშნულ კომისარს რეპუტაციას შეულახავდა. ჰაგენი საკუთარი ჭარბთმიან მარჯვენა ხელს უფრო ადვილად შეელეოდა, ვიდრე ამ საქმეს.

— ჩვეულებრივი საგამოძიებო ჯგუფი ცდილობს, ინფორმაციის ნაკადს მიჰყვეს. ასე ხდება სტანდარტულ შემთხვევებში, მაგრამ იმ შემთხვევებში, როდესაც საქმეში თავმოკვეთილი მსხვერპლი ფიგურირებს... — ჰარიმ თავი გააქნია, — ხალხი გაგიჟებულია. მხოლოდ საღამოს ახალი ამბების შემდეგ ათობით ზარი შემოვიდა. ძირითადად, ყბედი ლოთები და კარგად ნაცნობი ფსიქოპათები რეკავდნენ. რამდენიმე უცნობმაც დარეკა. გვეუბნებოდნენ, რომ მსგავსი მკვლელობა იოანეს „გა-

მოცხადებაშია” აღწერილი. ჯერჯერობით, ორასი ზარია შემოსული. უბრალოდ დაელოდეთ იმ მომენტს, როდესაც გაცხადდება, რომ შესაძლოა, ერთზე მეტ გვამთან გვქონდეს საქმე. წარმოიდგინეთ, რომ ზარების მისაღებად ოცი კაცი გამოვყავით. მათ უნდა შეამოწმონ მიღებული ინფორმაცია და პატაკები დაწერონ. ჯგუფის ლიდერმა ყოველდღიურად ორი საათი უნდა დაუთმოს შემოსული მონაცემების ანალიზს, ორი საათი მის დალაგებას უნდა მოანდომოს, კიდევ ორი საათი კი ჯგუფის შეკრებას, როტაციასა და გუნდში გაჩენილ შეკითხვებზე პასუხების გაცემას უნდა დაუთმოს. ნახევარი საათი იმ ინფორმაციის რედაქტირებას დასჭირდება, რომელიც პრესკონფერენციაზე უნდა იქნეს გასაჯაროებული. საკუთრივ პრესკონფერენცია კი ორმოცდახუთ წუთს უნდა გრძელდებოდეს. ყველაზე ცუდი ისაა, რომ... — ჰარის ყბის კუნთები სტკიოდა. სახის ქვედა ნაწილზე ხელი მოისვა და დაიმანჭა, — ჩვეულებრივი საქმის გამოძიებისას ტრადიციული რესურსები გვაქვს ხოლმე. ყოველთვის გვყავს მოწმე. ასეთ შემთხვევებში ვიღებთ მოზაიკის ნაწილებს, ვადებთ ამ ფრაგმენტებს ერთმანეთს და ასეთი ჯადოსნური ხერხით ვხსნით საქმეებს.

— ზუსტად, — შეაწყვეტინა ჰაგენმა, — ამიტომ...

— საქმე ისაა, — განაგრძო ჰარიმ, — რომ ეს საქმე საერთოდ ჰგავს ტიპურ შემთხვევებს. ეს არასტანდარტული მკვლელობაა. მკვლელს არავისთვის უთქვამს, რა ჩაიდინა და არც დანაშაულის ადგილზე დაბრუნებულა. არ არსებობს ადამიანი, რომელიც ამ საქმესთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობს. ამიტომ სატელეფონო ზარები ვერ დაგვეხმარება. უბრალოდ დაგვაბრკოლებს და გამორიცხულია, რომ ტელეფონის ზარებმა რაიმე სახის სამხილი მოგვცეს. მოკლედ, ეს სულ სხვა თამაშია.

ჰაგენი სავარძელში გადაწვა. თითები ერთმანეთს მიადო და ჩაფიქრებული მზერა მიაპყრო ჰარის. მზისგულზე გამთბარი ხვლიკის მზერა ჰქონდა.

— მაშ, მიგაჩნიათ, რომ ეს თამაშია?

ჰაგენმა ნელა დაუქნია თავი. ცდილობდა, გამოეცნო, რას გულისხმობდა ჰაგენი.

— რა თამაშია? ჭადრაკი?

— შესაძლოა, — თქვა ჰარიმ, — ალბათ, ბრმა სეანსი.

ჰაგენმა თავი დაუქნია. — მაშ, თქვენ ფიქრობთ, რომ საქმე გვაქვს კლასიკურ სერიულ მკვლელთან, ცივსისხლიან დამნაშავესთან, რომელიც გართობის, თამაშებისა და გამოწვევებისკენაა მიდრეკილი.

ჰარი თანდათან ხვდებოდა, რას გულისხმობდა ჰაგენი. — ადამიანი, რომელიც მაგ თქვენი ფედერალური გამოძიების ბიუროს კურსებზე განხილული სერიული მკვლელების მოდელებს შეესაბამება? ისეთი დამნაშავე, როგორსაც ავსტრალიაში გადაეყარეთ?

— კაცი, რომელიც... — კომისარმა ტუჩები გაილოკა. თითქოს გემოს უსინჯავდა ყველა სიტყვას, — თქვენი გამოცდილების ფარდია და ღირსეულ წინააღმდეგობას გაგიწევთ.

ჰარიმ ამოიოხრა. — მე ასე არ ვთვლი, ბოს.

— არა? გახსოვდეთ, ჰარი, რომ სამხედრო აკადემიაში ვასწავლი. თქვენი აზრით, რაზე ოცნებობენ მომავალი გენერლები, როდესაც მათ ვეუბნები, რომ პირადად სამხედრო სტრატეგებმა შეცვალეს მსოფლიო ისტორია? ნუთუ გგონიათ, რომ წყნარად სხედან და იმედი აქვთ, მშვიდობა იქნება და შვილებს მოუყვებიან, თუ როგორ იცხოვრეს ისე, რომ ვერაფრით გამოცადეს საკუთარი შესაძლებლობები? შეიძლება ზოგიერთმა მათგანმა თქვას, რომ მშვიდობა სურს, მაგრამ გულის სიღრმე-

ში ყველა ოცნებობს, ჰარი, ოცნებობს შესაფერის მომენტზე. ადამიანს ძალიან უნდა, საჭირო იყოს. პენტაგონის გენერლებიც სწორედ ამიტომ ხატავენ ყველაფერს შავ ფერებში —ყოველთვის, როდესაც სადმე ფეიერვერკს უშვებენ. ჩემი აზრით, თქვენ გსურთ, ეს საქმე განსაკუთრებული იყოს. ისე ძალიან გსურთ, რომ თავადაც დაიჯერეთ ამ ყველაფრის.

— თოვლის კაცი, ბოს? გახსოვთ, წერილი რომ გაჩვენეთ?

ჰაგენმა ამოიოხრა. — მე ფსიქოპათის წერილი მახსოვს, ჰარი.

ჰარი მიხვდა, რომ უნდა დანებებულიყო. მზად იყო, გარკვეული პირობებით დაეთმო პოზიციები, მაგრამ მან ჯიქურ განაცხადა:

— მინდა, რომ ჩემი ჯგუფის შემადგენლობა არ შეიცვალოს. ჰაგენმა მკაცრი იერი მიიღო.

— ამის უფლებას ვერ მოგცემთ, ჰარი.

— ვერ?

ჰაგენმა ჰარის მზერას გაუძლო, მაგრამ უცებ რაღაც მოხდა, რაღაცამ გადაირბინა. ჰაგენმა თვალები დაახამხამა. სულ რაღაც წამის მეასედით, მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა.

— ობიექტური მიზეზები არსებობს... — თქვა ჰაგენმა.

ჰარი შეეცადა, უმანკო გამომეტყველება ჰქონოდა, როდესაც ჰაგენის მორღვეულ დაცვას შეუტევდა.

— რა ტიპის მიზეზები, ბოს?

ჰაგენმა ხელებზე დაიხედა. — თქვენი აზრით? უფროსი ოფიცრები. პრესა. პოლიტიკოსები. როგორ გგონიათ, ვინ აგებს პასუხს, თუკი მკვლელს სამ თვეში ვერ დავიჭერთ? ვის მოუწევს იმის განმარტება, რატომ გამოვყავით მხოლოდ ოთხი კაცი ამ საქმისათვის. ვის მოუწევს იმის თქმა, რომ პატარა ჯგუფები უკეთესია... — როგორც დამპალ კრევეტებს, ისე ისროდა

სიტყვებს, — თავისუფლად აზროვნებისა და ჭადრაკის თამაშისთვის? გიფიქრიათ ამაზე, ჰარი?

— არა, — მიუგო გულხელდაკრეფილმა ჰარიმ, — იმაზე ვფიქრობდი, თუ როგორ უნდა დავიჭირო დამნაშავე და არა იმაზე, როგორ ავხსნა, რატომ ვერ დავიჭირეთ დღემდე.

ჰარიმ იცოდა, რომ ეს იაფფასიანი ფანდი იყო, მაგრამ ეს სიტყვები თითქმის მექანიკურად თქვა. ჰარიმ რამდენჯერმე დაახამხამა თვალები. პირი გააღო და მოკუმა. და ჰარის შერცხვა. რატომ თამაშობს ყოველთვის ამ თამაშს, სახელად „დააყენე უფროსობა თავის ადგილზე“?! ეს თამაში წვრილმანი კმაყოფილების გარდა არაფერს იძლევა.

— ნორვეგიის პოლიციის მთავარ სამმართველოში ერთი კაცია, სახელად ესპენ ლეპსვიკი. განსაკუთრებით რთულ საქმეებზე მუშაობს. შემიძლია მას დავუკავშირდე. დაე, ინფორმაციის შეგროვების ჯგუფს ჩაუდგეს სათავეში. პარალელურად და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ვიმუშავებთ, თქვენ კი მთავარი სამმართველოს უფროსთან ერთად ჩვენ დაგვაკისრებთ პრესკონფერენციების ჩატარებას. როგორ მოგწონთ ასეთი ვარიანტი?

ჰაგენის თვალებში მადლიერება გაკრთა. ჰარის აღარ სჭირდებოდა მისი პასუხის მოსმენა. აშკარა იყო, ჰარიმ ამჯერადაც გაიმარჯვა.

როდესაც ჰარი თავის კაბინეტში დაბრუნდა, პირველ რიგში ბიორნ ჰოლმს დაურეკა:

— ჰაგენი დათანხმდა ჩემს წინადადებას. ნახევარ საათში ჩემს კაბინეტში შევიკრიბოთ. ბრატს და სკარეს დაურეკავ?

ტელეფონი დადო. გაახსენდა ის, რაც ჰაგენმა თქვა ომის წყურვილით ანთებული ქორების შესახებ და „დისრილის” პოვნის ამაო იმედით ანთებულმა უჯრა გამოაღო.

— ფეხის ანაბეჭდებს თუ არ ჩავთვლით, დანაშაულის კვალი ვერ აღმოვაჩინეთ იმ ადგილზე, რომელსაც ამჟამად მკვლელობის ადგილად მივიჩნევთ, — თქვა მაგნუს სკარემ, — ყველაზე უცნაური ისაა, რომ გარდაცვლილის ტანი ვერ ვიპოვეთ. მკვლელმა ქალს თავი მოჰკვეთა. ამის შემდეგ კი, წესით, ბევრი სამხილი უნდა დარჩენილიყო, მაგრამ ვერაფერი აღმოვაჩინეთ. ძაღლებმაც კი ვერაფერი იყნოსეს. საოცრებაა პირდაპირ!

— დამნაშავემ ქალი ნაკადულში მოკლა და იქვე მოჰკვეთა თავი, — თქვა კატრინმა, — მსხვერპლის კვალი ნაკადულში იკარგება. თოვლზე რომ არ დაეტოვებინა კვალი, ქალი წყალში ჩადგა და ისე გარბოდა. თუმცა მდევარმა მაინც იპოვა.

— რითი მოჰკვეთა თავი? — იკითხა ჰარიმ.

— ნაჯახით ან ხერხით. სხვა რითი უნდა მოეჭრა?!

— და რას იტყვით კისერზე, გადანაჭერზე არსებულ დამწვრობაზე? კატრინმა სკარეს გადახედა და მხრები აიჩეჩა.

— კარგი. ამას ჰოლმი გადაამოწმებს, — თქვა ჰარიმ, — განვაგრძოთ.

— ამის შემდეგ მან, ალბათ, ნაკადულს გააყოლა ტანი. შარაგზამდე, — თქვა სკარემ. სულ ორი საათი ეძინა. სვიტერი უკუღმა ეცვა, მაგრამ ვერავინ გაბედა, მისთვის ეს ეცნობებინა, — ალბათ, ამიტომაც ვერაფერი ვიპოვეთ. არადა, უნდა გვეპოვა. სისხლის შხეფები ხის ვარჯზე, ხორცის ნაგლეჯი ტოტებზე, ან ტანსაცმლის ნაფლეთი. იქ, სადაც ნაკადული შარაგზის ქვემოთ გაედინება, მისი ნაკვალევი ვნახეთ, გზის შორიახლოს თოვლში რაღაც მძიმე ეგდო, ალბათ, ტანი, მაგრამ ძაღლებმა რატომღაც ვერაფერი იყნოსეს. არადა, თითქოს გვამის მძებნელი ძაღლები გვყავს! ნამდვილი...

— გამოცანაა, — დაასრულა ჰარიმ და ნიკაპი დაიზილა, —

თუმცა ძალიან მოუხერხებელია წყალში დგომა და თან თავის მოკვეთა, თანაც იმ მონაკვეთში მაგ ნაკადულს საკმაოდ ვიწრო კალაპოტი აქვს. რატომ გაჩერდა სწორედ იმ ადგილზე?

— ეს ხომ თავისთავად ცხადია, — თქვა სკარემ, — წყალი ყველაფერს გადარეცხავს.

— არ არის ცხადი, — შეეპასუხა ჰარი, — მკვლელი არც კი ფიქრობდა იმაზე, რომ კვალს ტოვებდა, როდესაც ქალის თავს თოვლის კაცზე ამაგრებდა, მაგრამ ტანის გადატანისას სისხლის ერთი წვეთიც კი არ დაღვრილა.

— ბოდიბეგი! — წამოიძახა კატრინმა, — ზუსტად ახლა ვფიქრობდი იმაზე, თუ როგორ შეძლო სხეულის ასეთ მანძილზე გადატანა. ასეთ ბრეტელებიან ტომრებს ერაყში ჯარისკაცები გარდაცვლილების გვამების გადასატანად იყენებენ. ზურგჩანთებივით იკიდებენ.

— ჰმ... — თქვა ჰარიმ, — შეიძლება სწორედ ამით აიხსნას ის, თუ რატომ ვერ იყნოსეს ძაღლებმა გვამი.

— და ის, რომ მკვლელმა მშვიდად დააგდო სხეული გზაზე, — თქვა კატრინმა.

— დააგდო? — იკითხა სკარემ.

— გზის პირზე, თოვლში დაგდებულ საგანს ვგულისხმობ. თავისთავად ცხადია, რომ იქ დააგდო, თავად კი მანქანისკენ გაეშურა, რომელიც, სავარაუდოდ, ოტერსენების ფერმის შორიახლოს გააჩერა. ალბათ, ამ ყველაფერს ნახევარ საათს მოანდომებდა. ასე არაა?

— ალბათ, — უნდილად ჩაილაპარაკა სკარემ.

— ბოდიბეგები შავი ფერისაა. ვინმეს რომც ჩაევლო გვერდით, უბრალოდ ნაგვის პარკი ეგონებოდა.

— არავის ჩაუვლია, — უკმაყოფილო კილოთი თქვა სკარემ და მთქნარება შეიკავა, — ყველა დავკითხეთ, ვინც ამ წყეულ

ტყეში ცხოვრობს.

ჰარიმ თავი დაუქნია:

— და რას ფიქრობთ როლფ ოტერსენის ნათქვამზე, რომ ხუთიდან შვიდ საათამდე მაღაზიაში მუშაობდა?

— მისი ალიბი არაფრით მტკიცდება, იმიტომ, რომ იმ პერიოდში ერთი მყიდველიც არ ჰყოლია, — შენიშნა სკარემ.

— სანამ ტყუპს ვიოლინოს გაკვეთილი ჰქონდა, როლფს შეეძლო, ფერმაში დაბრუნებულიყო და შემდეგ ისევ ჩასულიყო ქალაქში.

— არა მგონია. არ ჰგავს მასეთ ადამიანს, — ამოიოხრა სკარემ, სავარძელში გადაწვა და საკუთარ ნათქვამს თავი დაუქნია...

ჰარის უნდოდა, ეთქვა, რომ ნამდვილმა პოლიციელმა არ უნდა შეიზღუდოს თავი და ყველაფერზე უნდა ჰქონდეს ეჭვის მიტანის საშუალება, მაგრამ აღარ გააწყვეტინა თანამშრომლებს. მხოლოდ ახლა იწყებდნენ საკუთარი ნააზრევის გადმოცემას და ამიტომ ხელი არ უნდა შეეშალა. გამოცდილება კარნახობდა, რომ საუკეთესო გადაწყვეტილებებს სწორედ ბრეინსტორმინგის, დაუსაბუთებელი ვარაუდებისა და აშკარად არასწორი დასკვნების გამოტანის შედეგად იღებდა.

კარი გაიღო.

— სალამი ყველას! — თქვა ბიორნ ჰოლმმა, — ძალიან დამაგვიანდა, სამაგიეროდ, ვიცი, რით მოკლეს მსხვერპლი.

ბიორნმა წყალგაუმტარი პალტო გაიხადა და დაკიდა ჰარის პალტოს საკიდზე, რომელიც ძალიან გადაზნექილიყო. ჰოლმს ყვითელი ორნამენტებით მოქარგული ვარდისფერი პერანგი ეცვა. პერანგის ზურგზე ეწერა, რომ ჰენკ უილიამსი ცოცხალია (მიუხედავად მისი გარდაცვალების მოწმობისა, რომელიც 1953 წლის ზამთარში გამოიცა). ექსპერტი ერთადერთ თავის-

უფალ სკამზე ჩამოჯდა და დანარჩენების მოჟამულ სახეებს გადახედა.

— რა ხდება? — იკითხა მან ღიმილით.

ჰარი ჰოლმის საყვარელ სენტენციას დაელოდა. ბიორნის რიტორიკულ- იუმორისტულმა შეკითხვამაც არ დააყოვნა:

— ვინმე მოკვდა?

— მკვლელობის იარაღზე ამბობდი რაღაცას, — უთხრა ჰარიმ, — გისმენთ.

ჰოლმი გაიკრიჭა და ხელები მოიფშვნიტა:

— რა თქმა უნდა, ძალიან მაინტერესებდა, საიდან გაჩნდა ის დამწვრობები სილვია ოსტერსენის კისერზე. პათოლოგანატომმა ვერაფერი გაარკვია. მხოლოდ ის თქვა, რომ მსხვერპლს პატარა არტერიები მოუწვეს — ზუსტად ასე იქცევიან მაშინ, როდესაც ამპუტაციის თანმდევი სისხლდენის შეჩერება სურთ. მაგალითად, ფეხის მოკვეთის დროს. და როდესაც მოხერხვაზე ლაპარაკობდა, ერთი იდეა გამიჩნდა. როგორც იცით, მე ფერმაში გავიზარდე...

ბიორნ ჰოლმი წინ გადმოიხარა. მისი გაბრწყინებული თვალები ჰარის იმ მამას აგონებდა, რომელიც აღტაცებული უყურებს, თუ როგორ ხსნის მისი მცირეწლოვანი ვაჟი მამამისის საშობაო საჩუქარს — უზარმაზარ მატარებელს.

— ზოგჯერ მაკე ძროხას ნაყოფი უკვდება. ასეთ შემთხვევაში ხშირად დაღუპულ ხბოს იმდენად დიდი ტანი აქვს, რომ ძროხა ვერ იშორებს. ამ დროს, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც მკვდარი ნაყოფი მოხრილი იწვა დედის წიაღში, ძალიან იზრდება ძროხის დაშავების რისკი, ამიტომ საქონლის წიაღში ჩარჩენილი ხბოს სხეულის გამოსაღებად ვეტერინარი ხერხს იყენებდა ხოლმე.

სკარე დაიჯღანა.

— ძალიან თხელი, დრეკადი პირის მქონე ნივთია, რომელიც შეგიძლია, ძროხის სხეულში მოათავსო ისე, რომ ხბოს შემოევლოს. როგორც კი შემოეხვევა, წინ და უკან უნდა ამოძრაო, ვიდრე არ გადახერხავ, — თქვა ჰოლმმა და ჟესტებით აღწერა ის პროცესი, რომელზეც ლაპარაკობდა, — ამის შემდეგ ამ ნივთის გამოღებაც შეიძლება. როგორც წესი, ყველაფერი ამით მთავრდება, მაგრამ ზოგჯერ ხერხვის დროს ძროხაც ზიანდება, სისხლისგან იცლება და კვდება. მოკლედ... რამდენიმე წლის წინ საფრანგეთში ფერმერებმა ასეთ შემთხვევებში ისეთი ინსტრუმენტის გამოყენება დაიწყეს, რომელიც ყველა პრობლემას აგვარებს. ესაა ვარვარების ძაფი, რომელიც ყულფადაა შეკრული. ინსტრუმენტი პლასტმასის უბრალო სახელურისა და თხელი, ძალიან გამძლე ლითონის მავთულისგან შედგება, რომლის ორივე ბოლოც სახელურზე მაგრდება და ქმნის ყულფს, რომელსაც ზედ აცვამენ იმას, რისი გადახერხვაც სურთ. ამის შემდეგ ინსტრუმენტს აცხელებენ. თხუთმეტ წამში მავთული იმდენად ცხელდება, რომ თეთრდება და ამის შემდეგ ინსტრუმენტის სახელურზე განთავსებულ ღილაკს აჭერენ, რის შემდეგაც ყულფი ვიწროვდება და სხეულს ჭრის. მავთული გვერდით მოძრაობებს საერთოდ არ აკეთებს, ამიტომ ძროხისთვის სრულიად უსაფრთხოა. კიდევ ორი უპირატესობა აქვს...

— რა ხდება, ეგ რაღაც უნდა მოგვყიდო? — გაიკრიჭა სკარე და მხარდაჭერის იმედით ჰარის გადახედა.

— მაღალი ტემპერატურის წყალობით მეტალი აბსოლუტურად სტერილური ხდება, — განაგრძო ჰოლმმა, — არც ბაქტერიები ეკარება და არც მიცვალებულის მოწამლული სისხლი. ამასთან, წვრილ სისხლძარღვებსაც მოწვავს, რაც სისხლდენას აჩერებს.

— გასაგებია, — თქვა ჰარიმ, — დარწმუნებული ხარ, რომ სწორედ ეს ინსტრუმენტი გამოიყენეს?

— არა, — უპასუხა ჰოლმმა, — მაგრამ ინსტრუმენტი რომ მქონდეს, გადავამოწმებდი. თუმცა, როგორც ერთმა ვეტერინარმა მითხრა, სოფლის მეურნეობის სამინისტროში ყულფკოაგულატორზე არაფერი სმენიათ, — და მან ჰარის გულწრფელი და ყოვლისმომცველი სინანულით სავსე მზერა მიაპყრო.

— გასაგებია, — თქვა ჰარიმ, — იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მკვლელობის იარაღი არ არის, აშკარა ხდება, თუ როგორ მოაჭრა თავი მსხვერპლს ნაკადულში. რას იტყვით?

— საფრანგეთი,... — თქვა კატრინ ბრატმა, — ქვეყანა, სადაც გილიოტინა დაიბადა. სკარემ ტუჩები მოპრუწა და თავი გააქნია.

— ძალიან უცნაურია ეს ყველაფერი. გარდა ამისა, სად იშოვა ეგ ნივთი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ნებადართული არ არის?

— სწორედ ამით დავიწყებთ, — თქვა ჰარიმ, — გადაამოწმებ, სკარე?

— გეუბნებით, არ მჯერა-მეთქი ამ ვერსიის.

— ბოდიში, ასეთი ფორმით არ უნდა მეთქვა, — თქვა ჰარიმ, — იმას ვგულისხმობდი, რომ ამას შენ გადაამოწმებ, სკარე. კიდევ გაქვს რაიმე, ჰოლმ?

— არა. მკვლელობის ადგილზე სისხლის გუბეები უნდა დაგვხვედროდა, მაგრამ იქ მხოლოდ დაკლული ქათმების სისხლი აღმოჩნდა. სხვათა შორის, ნაკლავის ტემპერატურით თუ ვიმსჯელებთ, ეს ფრინველები დაახლოებით შვიდის ნახევარზე დაკლეს, მაგრამ ეს ვერსია, შესაძლოა, მცდარი აღმოჩნდეს, იმიტომ, რომ ერთი ნაკლავი დანარჩენებზე თბილი იყო.

— ალბათ, გაცივებული იყო ეგ ქათამი, — ჩაიცინა სკარემ.

— და თოვლის კაცი? — იკითხა ჰარიმ.

— რა თქმა უნდა, თითის ანაბეჭდებს ვერ იპოვი. ყინულის პატარა კრისტალები ხან ლღვება, და ხანაც ისევ იყინება. სამაგიეროდ, ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, თითის კანის ფრაგმენტების პოვნა შეიძლება — ან ხელთათმანების ბოჭკოების, თუკი დამნაშავე შიშველი ხელებით არ მოქმედებდა. მაგრამ ამ შემთხვევაში მსგავსი ვერაფერი აღმოვაჩინეთ.

— რეზინის ხელთათმანები, — ივარაუდა კატრინმა.

— ან უბრალოდ ვერ ვპოულობთ, — თქვა ჰოლმმა.

— გასაგებია, მაგრამ თავი მაინც ხომ გვაქვს! შეამოწმე მსხვერპლის კბილები...

ჰარიმ სათქმელი ვერ დაასრულა ჰოლმის გამომეტყველების გამო. ექსპერტს შეურაცხყოფილი ადამიანის გამომეტყველება ჰქონდა.

— კბილებზე დარჩენილი კვალის აღმოსაჩენად? ალბათ, თმაც უნდა შემემოწმებინა ხომ? აჰ, კიდევ თითის ანაბეჭდები მის კისერზე... და კიდევ მრავალი სხვა რამ, რასაც ექსპერტიზის თანამშრომლები არ ითვალისწინებენ.

ჰარიმ მობოდიშების ნიშნად თავი დაუქნია.

— სკარე, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მიგაჩნია, რომ როლფ ოტერსენისნაირი ადამიანი ამას არ ჩაიდენდა, მაინც გაარკვიე, სად იმყოფებოდა და რას აკეთებდა იმ მომენტში, როდესაც ბირტე ბეკერი გაუჩინარდა. მე ფილიპ ბეკერს გავესაუბრები. კატრინ, ყველა დაკარგული ადამიანის საქმეს გადახედე, ეს ორი შემთხვევაც გაითვალისწინე და დამთხვევები მოძებნე.

— კეთილი, — უპასუხა ქალმა.

— ყველაფერი შეადარე ერთმანეთს, — თქვა ჰარიმ, — სიკვდილის ზუსტი დრო, მთვარის ფაზები, ტელეპროგრამა, გარდაცვლილების თმის ფერი... გაარკვიე, ერთი და იგივე წიგნი

ხომ არ გამოჰქონდათ ბიბლიოთეკიდან, ან ერთსა და იმავე სემინარს ხომ არ ესწრებოდნენ. გადაამოწმე, რამდენი ტელეფონის ნომერი აქვს თითოეულ მათგანს. უნდა ვიცოდეთ, რა კრიტერიუმებით არჩევს მსხვერპლს მკვლელი.

— ერთი წუთით, — თქვა სკარემ, — ანუ შევთანხმდით, რომ რამდენიმე მკვლელობა ერთმანეთთანაა დაკავშირებული? სხვა შესაძლო ვარიანტები არ უნდა გავითვალისწინოთ?

— შეგიძლია გაითვალისწინო ყველაფერი, თუკი... — ჰარი წამოდგა და ჯიბეებში მანქანის გასაღების ძებნას მოჰყვა, — თუკი ზუსტად ასრულებ ხელმძღვანელის დავალებას. ბოლო ვინც გამოვა, შუქი გამორთოს.

ჰარი ლიფტს ელოდებოდა. ნაბიჯების ხმა მოესმა, რომელიც პირდაპირ მის ზურგს უკან შეწყდა.

— გუშინ სკოლაში ვიყავი და შესვენებაზე ერთ-ერთ ტყუპისცალს ვესაუბრე.

— მერე? — ჰარი შებრუნდა და კატრინ ბრატს შეხედა.

— ვკითხე, რას აკეთებდნენ გუშინწინ.

— გუშინწინ?

— ჰო. იმ დღეს, როდესაც ბირტა ბეკერი დაიკარგა.

„სწორია!'

— მთელი დღე ქალაქში იყო თავის დასა და დედასთან ერთად. ზუსტად ახსოვდა, იმიტომ, რომ ექიმის კაბინეტიდან გამოსვლის შემდეგ „კონ ტიკის" მუზეუმში წავიდნენ. ღამის გასათევად გოგონები დეიდასთან დარჩნენ, დედა მეგობართან იყო, მამა კი — სახლში.

კატრინი იმდენად ახლოს იდგა, რომ ჰარი მისი სუნამოს სუნს გრძნობდა. ძალიან განსხვავებული, ქალის სტანდარტული სუნამოებისგან გამორჩეული სურნელი იფრქვეოდა — მძაფრი, სასიამოვნო, მოტკბო არომატების გარეშე.

— ჰმ... რომელ ტყუპისცალს ესაუბრე?

კატრინი თვალს არ აშორებდა.

— წარმოდგენა არა მაქვს. დიდი მნიშვნელობა აქვს, კონკრეტულად რომელს ვესაუბრე?

ლიფტმა დაიწკრიალა და ჰარის მოუხმო.

***

იუნასი თოვლის კაცს ხატავდა. მისი ჩანაფიქრით, თოვლის კაცის ფიგურა მოღიმარი უნდა ყოფილიყო და უნდა ემღერა. უნდოდა, მხიარული თოვლის კაცი დაეხატა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. მის ნახატზე გამოსახულ ფიგურას არაფრისმთქმელი გამომეტყველება ჰქონდა. დიდ აუდიტორიაში სამარისებური სიჩუმე იდგა. მხოლოდ დაფაზე გასმული ცარცისა და სტუდენტების კალმების ხმა ისმოდა.

იუნასს კალმები არ მოსწონდა, იმიტომ, რომ კალმით ნაწერის წაშლა არ შეიძლება. ვერაფერს შეასწორებ — რასაც დახატავ, ის დარჩება სამუდამოდ. დილით იუნასმა გაიღვიძა და გაიფიქრა, რომ დედამისი უკვე შინ უნდა ყოფილიყო. მშობლების საძინებლისკენ გაეშურა, სადაც მამა დახვდა. მამა ტანსაცმელს იცვამდა და იუნასს უთხრა, შენც ჩაიცვი, იმიტომ, რომ დღეს ერთად წავალთ უნივერსიტეტშიო.

აუდიტორიას ამფითეატრის ფორმა ჰქონდა. მამას სიტყვაც არ უთქვამს მას შემდეგ, რაც ის და იუნასი ამ დარბაზში შემოვიდნენ — დამსწრე საზოგადოებას თავი დაუკრა, იუნასს აჩვენა, სადაც უნდა დამჯდარიყო, დაფასთან მივიდა და წერა დაიწყო. სავარაუდოდ, სტუდენტები მიჩვეულნი იყვნენ ასეთ ქცევას და ამიტომ მაშინვე წერას შეუდგნენ. დაფები პატარა რიცხვებით, ასო-ნიშნებითა და იუნასისთვის უცნობი რაღაც უცნაური სიმბოლოებით იყო აჭრელებული. ერთხელ მამამ უთხრა, რომ ფიზიკას საკუთარი ენა აქვს, რომელსაც მოთხრობების მოსაყოლად იყენებს. იუნასმა იკითხა, ეს მოთხრობები სათავგადასავლო ჟანრის თუ არისო. პასუხად მამამ გაიცინა და უთხრა, რომ ფიზიკა მხოლოდ ნამდვილი ამბების განმარტებისთვის გამოიყენება და ტყუილისთვის არ გამოდგება.

ზოგიერთი სიმბოლო სასაცილო და ამასთან, ძალიან ლამაზი იყო.

მამას მხრებზე ეყრებოდა ცარცის მტვერი. მის პიჯაკზე თოვლივით იდო თეთრი ფენა. იუნასმა მამამისის ზურგს შეხედა და შეეცადა, დაეხატა, მაგრამ არც ეს ნახატი გადაიქცა მხიარულ თოვლის კაცად. უცებ აუდიტორიაში ხმაური შეწყდა. კალმების ხმა აღარ ისმოდა, იმიტომ, რომ ცარცის დაფაზე გასმის ხმა მიწყდა. მამა ერთ-ერთი დაფის ზედა ნაწილზე წერდა, როდესაც გაჩერდა. ხელი მაღლა ჰქონდა შემართული. თითქოს დაფას გაერჭო ცარცი და მამა ზედ შერჩა — მულტფილმის მგელივით, რომელიც უძირო უფსკრულის თავზე ეკიდა და ხის ტოტს ეჭიდებოდა. უცებ მამამ ხელი აამოძრავა. იუნასს ეგონა, მამას დაფიდან ცარცის ამოგლეჯა უნდა, რომ წერა გააგრძელოსო, მაგრამ არ გამოსდიოდა. უცებ აუდიტორია ახმაურდა — თითქოს ყველამ ერთად ამოისუნთქა. მამამ, როგორც იქნა, გამოაძრო ცარცი, კართან მივიდა და გაუჩინარდა. ახალი ცარცის

მოსატანად წავიდაო, იფიქრა იუნასმა. სტუდენტებმა ჩურჩული დაიწყეს და მათი ხმა სულ უფრო გარკვევით ისმოდა. იუნასმა ყური მოჰკრა სიტყვებს „ცოლი" და „დაიკარგა". ბიჭმა შეხედა დაფას, რომელიც თითქმის მთლიანად წარწერებით იყო აჭრელებული. მამა ცდილობდა, დაეწერა, რომ დედა მოკვდა, მაგრამ ცარცი მხოლოდ სიმართლეს წერდა და ამიტომ გაიჭედა. იუნასი შეეცადა, თოვლის კაცი წაეშალა. ჩანთების გახსნისა და დახურვის ხმები ესმოდა. სტუდენტები წასასვლელად ემზადებოდნენ. შემდეგ დგებოდნენ და აუდიტორიიდან გადიოდნენ.

თოვლის კაცის ფიგურას ვიღაცის ჩრდილი დაეცა. იუნასმა ზევით აიხედა.

მის გვერდით პოლიციელი იდგა. აი, ის მაღალი, ულამაზო კაცი, რომელსაც კეთილი თვალები ჰქონდა.

— წამომყევი და ერთად მოვძებნოთ მამაშენი, — თქვა პოლიციელმა.

ჰარიმ მორიდებით დააკაკუნა იმ კაბინეტის კარზე, რომელზეც ეწერა, რომ აქ პროფესორ ფილიპ ბეკერის ოთახი მდებარეობდა.

არავინ უპასუხა და ამიტომ კარი გამოაღო.

მაგიდასთან მჯდომ კაცს თავი ხელებში ჩაერგო. იგი წამოიმართა და ოთახში შემოსულს მიმართა:

— მე ხომ შემოსვლის უფლება არ მომიცია...

ჰოლეს დანახვამ დააბნია და მზერა მის გვერდით მდგარ ბიჭზე გადაიტანა.

— იუნას! — გაღიზიანებით მიმართა ფილიპმა შვილს, — ხომ გითხარი, რომ იქ დარჩენილიყავი, სადაც იჯექი?!

პროფესორს თვალები ჩასწითლებოდა.

— მე წამოვიყვანე, — უთხრა ჰარიმ.

— მართლა? — ბეკერმა საათს დახედა და წამოდგა.

— თქვენი სტუდენტები წავიდნენ, — თქვა ჰარიმ.

— წავიდნენ? — ბეკერი ისევ სკამზე ჩამოჯდა, — მე... მე უბრალოდ გადავწყვიტე, მცირე დრო მიმეცა დასასვენებლად.

— გასაგებია, — თქვა ჰარიმ, — ზოგჯერ ყველა ჩვენგანს სჭირდება დასვენება. შეიძლება, გაგესაუბროთ?

ბეკერმა იუნასი კაფეტერიაში გაგზავნა და უბრძანა, იქ დალოდებოდა, თავად კი ჰარის მიმართა:

— გადავწყვიტე, დღეს სკოლაში არ მიმეყვანა. ზედმეტი შეკითხვები, ჭორები... მინდა, ამ ყველაფერს ავარიდო თავი. დარწმუნებული ვარ, გესმით ჩემი.

— მესმის, — თქვა ჰარიმ და ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო, თუმცა, როგორც კი შეამჩნია, თუ როგორ გააქნია ბეკერმა თავი, ისევ ჯიბეში ჩაიდო, — ეს გაცილებით მარტივია იმაზე, რაც დაფაზე დაწერეთ.

— კვანტური ფიზიკის ლექცია მქონდა.

— უცნაური საგანია.

— ატომების სამყარო უცნაური და ბუნდოვანია.

— რას გულისხმობთ?

— ფიზიკის ყველა იმ კანონს არღვევენ, რომლებიც ჩვენთვისაა ცნობილი. მაგალითად, როგორ შეიძლება სხეული ერთდროულად ორ სხვადასხვა სივრცეში მდებარეობდეს? ნილს ბორმა თქვა, თუკი კვანტურმა ფიზიკამ არ შეგაშინა, ესე იგი, ამ საგნის არაფერი გესმისო.

— მაგრამ თქვენ ხომ გესმით?

— რა თქმა უნდა, არა. ხომ არ გაგიჟდით?! ეს ხომ ნამდვილი ქაოსია, მაგრამ ამ ქაოსს, ისევ კვანტური არეულობა მირჩევნია.

— რომელ ქაოსს გულისხმობთ?

ბეკერმა ამოიოხრა.

— ჩვენი თაობის წარმომადგენლები ჩვენი შვილების მსახურებად და მდივნებად ვიქეცით. ვშიშობ, ამ მხრივ არც ბირტეა გამონაკლისი. მეგობრების დაბადების დღეები, კლასგარეშე მეცადინეობები, ფეხბურთის სექციები... იმდენია, რომ უკვე ჭკუიდან ვიშლები. გუშინ რომელიღაც კლინიკიდან დამირეკეს და მითხრეს, რომ იუნასი ექიმთან უნდა მისულიყო. საღამოს ფეხბურთის სექციის ვარჯიში აქვს. არც კი ვიცი, სად არის. მას კი, ისევე, როგორც ახლანდელი ბავშვების უმრავლესობას, ავტობუსით მგზავრობაც კი არ შეუძლია დამოუკიდებლად!

— იუნასს ჯანმრთელობის პრობლემები აქვს? — იკითხა ჰარიმ და ბლოკნოტი ამოიღო, რომელშიც არაფერს იწერდა. უბრალოდ ეს ნივთი ყოველთვის დადებითად მოქმედებდა ხოლმე მოწმეებზე.

— განსაკუთრებული არაფერი სჭირს, უბრალოდ პროფილაქტიკურ შემოწმებაზე უნდა მისულიყო, — თქვა ბეკერმა და გაღიზიანებულმა ხელი ჩაიქნია, — როგორც ვხვდები, ამის საკითხავად არ მოსულხართ.

— ნამდვილად, — მიუგო ჰარიმ, — მინდა ვიცოდე, რას აკეთებდით გუშინ ნაშუადღევს და საღამოს?

— რა?

— ეს უბრალო რუტინაა, ბეკერ.

— ამას არაფერი აქვს საერთო ამ... ამ... — ბეკერმა მაგიდაზე უწესრიგოდ მიყრილი ახალი გაზეთებისკენ მიანიშნა.

— ჯერჯერობით ჩვენთვის არაფერია ცნობილი. გთხოვთ, შეკითხვაზე მიპასუხეთ.

— სულ მთლად გაგიჟდით?

ჰარიმ არაფერი უპასუხა და საათზე დაიხედა. ბეკერმა ამო-

იოხრა:

— კარგი. მინდა, დაგეხმაროთ. გუშინ მთელი საღამო აქ გავატარე. ვმუშაობდი იმ სტატიაზე, რომელსაც იმედია, მალე გამოვაქვეყნებ.

— თქვენს რომელიმე კოლეგას თუ შეუძლია დაადასტუროს თქვენი ნათქვამი?

— იცით, რატომ არიან ნორვეგიელი მკვლევრები მარგინალურ პოზიციებზე მსოფლიო მეცნიერებაში? იმიტომ, რომ მათი თვითკმაყოფილება მათივე კომპეტენციას აჭარბებს. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მარტო ვიყავი.

— იუნასი სად იყო ამ დროს?

— ვახშამი მოიმზადა და როდესაც დავბრუნდი, ტელევიზორთან იჯდა.

— რომელ საათზე დაბრუნდით?

— თუ სწორად მახსოვს, ათი იყო დაწყებული.

— გასაგებია, — ჰარიმ ისეთი იერი მიიღო, თითქოს რაღაცას იწერდა, — ბირტეს ნივთები შეამოწმეთ?

— დიახ.

— იპოვეთ რაიმე?

ფილიპ ბეკერმა ტუჩებთან მიიტანა თითი და თავი გააქნია. ჰარი თვალს არ აცილებდა, მაგრამ პროფესორმა მის მზერას გაუძლო.

— გმადლობთ დახმარებისთვის, — თქვა ჰარიმ. ბლოკნოტი ჯიბეში ჩაიდო და წამოდგა, — წავალ, იუნასს ვეტყვი, რომ დაბრუნდეს.

— გთხოვთ, ნუ ეტყვით ჯერ.

ჰარიმ იპოვა კაფეტერია, სადაც იუნასი იჯდა და ხატავდა. პირიდან ენის წვერი მოუჩანდა. გამომძიებელი ბიჭის გვერდით დადგა და დააკვირდა ფურცელს, რომელზეც იმ მომენტ-

ში ორი უსწორმასწორო წრეწირი იყო გამოსახული.

— თოვლის კაცი.

— დიახ, — თქვა იუნასმა და მაღლა აიხედა, — როგორ მიხვდით?

— რატომ დაჰყავდი დედას ექიმთან, იუნას?

— არ ვიცი, — თქვა ბიჭმა და თოვლის კაცის თავი დახატა.

— რა ჰქვია ექიმს?

— არ ვიცი.

— სად მდებარეობს ის კლინიკა?

— ამის თქმის უფლება არა მაქვს. მამასაც კი არ უნდა ვუთხრა.

იუნასი წინ გადაიხარა და თოვლის კაცს თმა დაუხატა. გრძელი თმა.

— მე ხომ პოლიციელი ვარ, იუნას! ვცდილობ, დედაშენი ვიპოვო.

ბიჭი სულ უფრო ძლიერად აჭერდა ფანქარს და სულ უფრო მეტად უმუქდებოდა თმა თოვლის კაცს.

— არ ვიცი, რა ჰქვია იმ ადგილს.

— ხომ არ გახსოვს, რა მდებარეობს მის გვერდით?

— მეფის ძროხები.

— მეფის ძროხები?

იუნასმა თავი დაუქნია:

— ფანჯრის იქით ქალი ზის, რომელსაც ბორგჰილდი ჰქვია. ნემსით სისხლი ამიღო და სანაცვლოდ კარამელი მომცა.

— რაიმე კონკრეტულს ხატავ? — იკითხა ჰარიმ.

— არა, — თქვა იუნასმა და წამწამების ხატვას შეუდგა.

ფილიპ ბეკერი ფანჯარასთან იდგა და თვალს ადევნებდა ჰარის, რომელიც მანქანების სადგომს კვეთდა. ფიქრებში წასულს აღარც ახსოვდა, რომ ხელში პატარა შავი ბლოკნოტი

ეჭირა. ნეტავ დაიჯერა თუ არა ინსპექტორმა მისი ნათქვამი და მიხვდა, თუ არა, რომ პროფესორმა ის ჯერ კიდევ აუდიტორიაში შენიშნა? დაიჯერა თუ არა, რომ გუშინ საღამოს სტატიაზე მუშაობდა? და რომ ბირტეს ნივთებში ვერაფერი იპოვა. არადა, შავი ბლოკნოტი საწერი მაგიდის უჯრაში იდო. ქალს არც კი უცდია მისი დამალვა. ბლოკნოტში კი... კინაღამ გაეცინა. გულუბრყვილო ქალმა დაიჯერა, რომ ქმრის მოტყუება შეეძლო.

თავი XI

მეოთხე დღე. სიკვდილის ნიღაბი

კატრინ ბრატი კომპიუტერთან იჯდა, როდესაც ჰარიმ კარი გააღო და თავი შეყო ოთახში.

— იპოვე მსგავსება?

— რაღაც ტიპის მსგავსება კი შეინიშნება, — უპასუხა კატრინ-მა, — ყველას ცისფერი თვალები ჰქონდა, მაგრამ, სხვა მხრივ, თითოეულ მათგანს სხვებისგან სრულიად განსხვავებული გა-რეგნობა ჰქონდა. ყველა მათგანი გათხოვილი იყო და ერთი ან მეტი შვილი ჰყავდა.

— ვიცი, რითიც უნდა დავიწყოთ, — თქვა ჰარიმ, — ბირტე ბე-კერს იუნასი ექიმთან დაჰყავდა. ბიჭის თქმით, ექიმის მისაღე-ბი "სამეფო ძროხის" მახლობლად მდებარეობს. გამოდის, ბი-უგდიოის სამეფო პარკის შორიახლოს უნდა იყოს. როგორც შენ თქვი, ტყუპი „კონ-ტიკის" მუზეუმში წავიდა მას შემდეგ, რაც ექიმს დაემშვიდობნენ. ეგ მუზეუმიც ბიუგდიოიშია. ფილიპ ბეკერმა არაფერი იცის ექიმის შესახებ, მაგრამ იქნებ როლფ ოტერსენმა იცოდეს რამე.

— დავრეკავ.

— და მაშინვე ჩემთან გაჩნდი.

ჰარი თავის კაბინეტში შევიდა, ავტომოპასუხე ჩართო, ხელბორკილის ერთი სამაჯური მაჯაზე გაიკეთა, მეორე კი მა-გიდის ფეხს შემოავლო. რაკელმა თქვა რომ ოლეგი ვალე-ჰო-ვინში მეგობართან ერთად წამოვიდოდა. არ იყო საჭირო ამის თქმა, მაგრამ ჰარიმ იცოდა, რომ ამ რეპლიკით რაკელს უნდო-

და შეეხსენებინა, რომ ჰარი ამ ღონისძიებას უნდა დასწრებოდა. კარგად ახსოვდა ოლეგისთვის მიცემული პირობა, მაგრამ ამ პატარა მუჯლუგუნებს, რომლებსაც სხვები უნდობლობის გამოცხადებად მიიღებდნენ, ჰარი უსიტყვოდ ითმენდა. მეტიც, მოსწონდა კიდეც. იმიტომ, რომ ეს ხაზს უსვამდა იმას, რომ რაკელი კარგი დედა იყო. და იმას, რომ რაკელი ცდილობდა, ტაქტიანი ყოფილიყო და პირდაპირ არ შეეხსენებინა ოლეგისთვის მიცემული პირობა.

კატრინი დაუკაკუნებლად შემოვიდა.

— ცოტა ბინძური თამაში გამოგდის, — თქვა მან და მიუთითა მაგიდაზე, რომლის ფეხზეც თავად ჰარი იყო მიჯაჭვული, — მაგრამ მე პირადად მომწონს.

— ცალი ხელით ბორკილის დადების ტექნიკა, — თქვა ჰარიმ და გაიღიმა, — ეს სისულელე შეერთებულ შტატებში მასწავლეს.

— „ჰიატის" ფირმის სწრაფმოქმედი ხელბორკილები უნდა სცადო. არაა საჭირო იმაზე ფიქრი, რომელი მხრიდან უნდა მიუდგე ობიექტს — სამაჯური ნებისმიერ შემთხვევაში ჩაიკეტება. ასე რომ, საშუალება გექნება, უფრო გაირთულო ამოცანა და შეეცადო, ორი ხელბორკილით ივარჯიშო. ერთს ცალ ხელში დაიჭერ, მეორეს კი — მეორეში და წარმატების მეტი შანსი გექნება.

— ჰმ... — ჰარიმ ხელბორკილი მოიხსნა, — რა გაარკვიე?

— როლფ ოტერსენმა არაფერი იცის ბიუგდიოიელი ექიმის შესახებ. გაუკვირდა. ბავშვები ბერუმეში მდებარე კლინიკაში დადიან. შემიძლია, რომელიმე ტყუპისცალს გავესაუბრო, იქნებ მათ გაიხსენონ რაიმე იმ ექიმის შესახებ, რომელთანაც დადიოდნენ. შეგვიძლია, ჩვენ თვითონ დავრეკოთ ბიუგდიოის ყველა კლინიკაში და შევამოწმოთ. სულ ოთხი დაწესებულებ-

ის გადამოწმება მოგვიწევს. აი, ნახე, — თქვა ქალმა და მაგიდაზე ყვითელი ქაღალდი დადო.

—პაციენტების სახელების გასაჯაროება ეკრძალებათ, — თქვა ჰარიმ.

— მაშინ ტყუპს გავესაუბრები გაკვეთილების შემდეგ.

— მოიცადე, — თქვა ჰარიმ, ტელეფონის ყურმილი აიღო და პირველი ნომერი აკრიფა.

ყურმილში ვიღაცის ცხვირისმიერი ხმა გაისმა. მისალმების ნაცვლად საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების სახელი თქვა.

— ბორგჰილდი ადგილზეა? — იკითხა ჰარიმ. იმ კლინიკაში ბორგჰილდი არ მუშაობდა.

მეორე ნომერზე დარეკა. იმ კლინიკას ავტომოპასუხე ჰქონდა ჩართული. ისეთივე ცხვირისმიერი ხმით განაცხადეს, რომ კლინიკა ზარებს მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ ორსაათიან შუალედში იღებდა და დღეისთვის ეს დრო უკვე გასული იყო.

ბოლოს, მეოთხე ცდაზე, როგორც იქნა, მიიღო ის პასუხი, რომელსაც ასე ელოდა. ვიღაცამ მხიარული, თითქმის მოცინარი ხმით უთხრა:

— დიახ, მე გახლავართ.

— გამარჯობა, ბორგჰილდ. ინსპექტორი ჰარი ჰოლე გახლავართ, ოსლოს პოლიციიდან.

— როდის დაიბადეთ?

— გაზაფხულზე, მაგრამ მე მკვლელობის საქმეზე გირეკავთ. ალბათ, უკვე მოასწარით დილის გაზეთების წაკითხვა. მითხარით, გეთაყვა, ნახეთ თუ არა გასულ კვირას სილვია ოტერსენი?

სატელეფონო ხაზის მეორე მხარეს სიჩუმემ დაისადგურა.

— ერთი წუთით, — თქვა ბოლოს ქალმა.

ჰარის მოესმა, როგორ ადგა კლინიკის თანამშრომელი. მცირე ხნის შემდეგ ქალი ტელეფონთან დაბრუნდა.

— მაპატიეთ, ჰერ ჰოლე, მაგრამ ინფორმაცია პაციენტების შესახებ კონფიდენციალურია და, ვფიქრობ, პოლიციამ იცის ეს.

— დიახ, ვიცით, მაგრამ, როგორც ვიცი, თქვენ მის ქალიშვილებს მკურნალობთ და არა სილვიას.

— ამის მიუხედავად, იძულებულნი ვართ, უარი გითხრათ კომენტარზე, იმიტომ, რომ თქვენ ითხოვთ ინფორმაციას, რომელიც არაპირდაპირი გზით გამოავლენს ჩვენი პაციენტების ვინაობას.

— შეგახსენებთ, რომ მკვლელობას ვიძიებთ.

— შეგახსენებთ, რომ შეგიძლიათ საგამოძიებო ორდერით მობრძანდეთ. შესაძლოა, ჩვენს კლინიკაში ზედმეტად მკაცრად იცავენ პაციენტის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის წესს, მაგრამ ასეთი რეგულაციები გვაქვს დადგენილი.

— რეგულაციები?

— დიახ, ეს ყველაფერი კლინიკის სპეციფიკითაა განპირობებული.

— რას გულისხმობთ „სპეციფიკაში"?

— პლასტიკურ ქირურგიას. უფრო დეტალური ინფორმაციის მისაღებად ჩვენს ვებგვერდს ეწვიეთ.

— გმადლობთ. ვფიქრობ, უკვე მივიღე საჭირო ინფორმაცია.

— როგორც გენებოთ, — თქვა ჰარის თანამოსაუბრემ და ყურმილი დაკიდა.

— რა ხდება? — იკითხა კატრინმა.

— იუნასი და ტყუპი ერთსა და იმავე ექიმთან დადიოდნენ, — თქვა ჰარიმ, სავარძელზე გადაწვა და თვალები დახუჭა, — რაც იმას ნიშნავს, რომ დამნაშავის კვალი ვიპოვეთ.

ჰარიმ ადრენალინის მოზღვავება იგრძნო. ასე ემართებოდა ყოველთვის, როდესაც ნადირის კვალს გრძნობდა. და ამ ეიფორიას მოსდევდა „დიდი აკვიატება", რომელიც ერთდროულად სიყვარულიც იყო და ინტოქსიკაციაც, სიბრმავეც და კარგი მხედველობაც, აზრიცა და სიგიჟეც. კოლეგები ამ მდგომარეობას აღტაცებას უწოდებდნენ, მაგრამ ეს რაღაც სხვა იყო, რაღაც განსაკუთრებული. ამ „აკვიატებაზე" არასდროს უსაუბრია ვინმესთან და ამ მდგომარეობის ანალიზით არც თავად შეწუხებულა ოდესმე. ვერ ბედავდა. მხოლოდ ის იცოდა, რომ ეს მას ეხმარებოდა, მართავდა და მის ჩასატარებელ სამუშაოს საწვავს მატებდა. მეტის გაგება არც სურდა. მართლა არ უნდოდა.

— ახლა რა ვქნათ? — იკითხა კატრინმა.

ჰარიმ თვალები გაახილა და სავარძლიდან წამოხტა.

— ახლა საყიდლებზე უნდა წავიდეთ.

მაღაზია Taste of Africa მაიორსტუნის ყველაზე საქმიანი ქუჩის, ბუგსტადვეიენის სიახლოვეს იყო, მაგრამ ქუჩის კუთხიდან თოთხმეტ მეტრზე, რაც იმას ნიშნავდა, რომ მაინც პერიფერიულ რაიონში მდებარეობდა.

ზარმა დაიწკრიალა და ჰარი და კატრინი მაღაზიაში შევიდნენ. ინტერიერი ცუდად იყო განათებული, უფრო სწორად, განათება აკლდა. ჰარიმ ინტერესით შეათვალიერა მკვეთრი ფერის უხეშად ნაქსოვი ფარდაგები, ხალვათი ტანსაცმელი, მოქარგული ბალიშები, ჟურნალის მაგიდები, რომლებიც თითქოს ახლახან გამოეჭრათ ჯუნგლებში, და ხისგან გამოთლილი

ადამიანებისა თუ ცხოველების ფიგურები. ეს ყველაფერი, ფაქტობრივად, უწესრიგოდ იყო გამოფენილი. ფასის მაჩვენებლები არ ჩანდა. საქონელი წყვილ-წყვილად დაელაგებინათ — როგორც ცხოველები ნოეს კიდობანში. მოკლედ, ეს ყველაფერი გამოფენას უფრო ჰგავდა, ვიდრე მაღაზიას. უკაცრიელ გამოფენას. ამ შთაბეჭდილებას სრულად შეეფერებოდა არაბუნებრივი სიჩუმე, რომელიც გამეფდა მაშინ, როდესაც კარი, ბოლოს და ბოლოს, დაიხურა და ზარი დადუმდა.

— რა გნებავთ? — გაისმა მაღაზიის კუთხიდან.

ჰარი ამ ხმას მიჰყვა. მაღაზიის სიღრმეში სიბნელე სუფევდა. ხის უზარმაზარი ჟირაფის უკან ზურგით მდგარი ქალი შენიშნა, რომლის სილუეტსაც ერთადერთი ნათურა ანათებდა. ქალი სკამზე შემდგარიყო და კედელზე ხისგან გამოთლილ საშინელ ნიღაბს კიდებდა.

— რა ხდება? — იკითხა ქალმა ისე, რომ არც მობრუნებულა.

მისი კილო ცხადყოფდა, რომ მიხვდა, კლიენტი არ მოსულიყო.

— ჩვენ პოლიციიდან ვართ.

— ჰო...

ქალი მობრუნდა და სინათლის სხივი სახეზე დაეცა. ჰარის კინაღამ გული გაუჩერდა. რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია, მის წინაშე სილვია ოტერსენი იდგა.

— რამე მოხდა? — იკითხა მან. სათვალის მინებს შორის ნაოჭი ეტყობოდა.

— თქვენ... ვინ ხართ?

— ანე პედერსენი, — თქვა მან და მაშინვე მიხვდა, რატომ ჰქონდა ჰარის ასეთი გამომეტყველება, — სილვიას და ვარ. მისი ტყუპისცალი.

ჰარის ხველა აუვარდა.

— ეს ინსპექტორი ჰარი ჰოლეა, — თქვა კატრინმა, რომელიც ჰარის უკან იდგა, — მე კი კატრინ ბრატი გახლავართ. გვეგონა, აქ როლფი დაგვხვდებოდა.

— როლფი დამკრძალავ ბიუროშია.

ანე შეყოვნდა. და იმ მომენტში სამივე მიხვდა, რაზე ფიქრობდა დანარჩენი ორი — როგორ შეიძლება მხოლოდ თავის დასაფლავება.

— და თქვენ გადაიბარეთ პოსტი, არა? — შეეცადა უხერხულობის განეიტრალებას კატრინი.

— დიახ, — ღიმილით თქვა ანე პედერსენმა და ფრთხილად ჩამოვიდა სკამიდან. ჯერ კიდევ ხელში ეჭირა შავი ნიღაბი.

— ეს სადღესასწაულო ნიღაბია, თუ სულის გამოსახულება? — იკითხა კატრინმა.

— სადღესასწაულო აქსესუარია, — თქვა ანემ, — აღმოსავლეთ კონგოში მცხოვრები ხუტუს ტომის ოსტატებმა შექმნეს.

ჰარიმ საათს დახედა.

— როდის დაბრუნდება როლფი?

— არ ვიცი.

— დაახლოებით მაინც არ იცით?

— ხომ გეუბნებით, მე არ...

— მშვენიერი ნიღაბია, — შეაწყვეტინა კატრინმა, — თავად ჩახვედით კონგოში და თავადვე შეიძინეთ ეს ნივთი. ასე არ არის?

— როგორ მიხვდით? — იკითხა გაოცებულმა ანემ და კატრინს დააცქერდა.

— როდესაც ხელში გიჭირავთ, ცდილობთ, ნიღაბს თვალები და პირი ხელით არ დაუფაროთ. სულებს პატივს სცემთ.

— ნიღბების კოლექციონერი ხართ?

— შეიძლება, ასეც ითქვას, — თქვა კატრინმა და ანეს ანიშნა

ადამიანი-მხეცის შავ ნიღაბზე, რომელზეც პატარა ხელ-ფეხი მიემაგრებინათ, — ეს, თუ არ ვცდები, კპელის ნიღაბი უნდა იყოს.

— დიახ. სპილოს ძვლის ნაპირიდან. სენუფიდან.

— მოსამართლის ნიღაბი? — იკითხა კატრინმა და ნიღბის ზედა ნაწილზე

მიმაგრებული ჭუჭყიანი ბეწვისკენ გაიშვირა ხელი. ეს ბეწვი, რომელიც მანამდე რომელიღაც ცხოველს ეკუთვნოდა, ქოქოსის ნაჭუჭის კიდეებზე ეკიდა.

— კარგად ყოფილხართ გათვითცნობიერებული, — გაიღიმა ანემ.

— მაშ, ეს მოსამართლის ნიღაბია? — იკითხა ჰარიმ.

— დიახ, ნამდვილად მოსამართლისაა, — უპასუხა ანემ, — აფრიკაში ასეთი ნიღბები უბრალო სიმბოლოები არ არის. ლუს ტომში ასეთი ნიღბის მატარებელი ავტომატურად იღებს გასამართლებისა და დასჯის უფლებას და მის ავტორიტეტს ვერავინ დააყენებს ეჭვქვეშ. ასეთ ძალაუფლებას მას ნიღაბი აძლევს.

— კართან სიკვდილის ნიღბები დავინახე. ორი ცალი, — თქვა კატრინმა, — ორივე ძალიან ლამაზია.

— რამდენიმე მაქვს, — ღიმილით უთხრა ანემ, — ლესოთოდანაა ჩამოტანილი.

— შეიძლება ვნახო?

— რა თქმა უნდა. აქ დამელოდეთ.

ანე სადღაც გაუჩინარდა. ჰარიმ კატრინს გადახედა.

— მგონი, სასარგებლო იქნება მასთან საუბარი, — უპასუხა ბრატმა უფროსის

შეკითხვით სავსე მზერას, — ვეცდები, გავარკვიო, რაიმე ოჯახური საიდუმლო ხომ არა აქვთ. გესმის?

— მესმის. კარგი იქნება, თუკი მარტო გააგრძელებ ამ საქმეს.

— კარგი. შენ ისედაც ბევრი საქმე გაქვს.

— ოფისში ვიქნები. თუკი როლფ ოტერსენი გამოჩნდა, სწრაფად დააფქვევინე ყველაფერი, რაც სამედიცინო საიდუმლოებას შეეხება.

ჰარიმ მაღაზიის კართან დაკიდებულ ნიღბებს გახედა — ტყავის სახეებს, რომელთაგან ზოგიერთი მოღუშული იყო, ზოგი კი ყვიროდა. ყალბი ასლებიაო, გაიფიქრა გამომძიებელმა.

***

ელი კვალე ულევოლის სტადიონთან მდებარე სუპერმარკეტ ICA-ს დახლებს შორის დადიოდა და თან სურსათის გორგოლაჭებიან ურიკას დაათრევდა. ამ უზარმაზარ მაღაზიაში ვაჭრობა ცოტა ძვირი გამოდის, მაგრამ, სამაგიეროდ, დიდი ასორტიმენტია. ელი მხოლოდ მაშინ მიდიოდა საყიდლებზე ICA-ში, როდესაც რაიმე განსაკუთრებულად გემრიელის მომზადებას აპირებდა. დღეს საღამოს მისი ვაჟი, ტრიუგვე, შეერთებული შტატებიდან ბრუნდებოდა. იგი მონტანის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი იყო, მაგრამ ამ შემოდგომაზე გამოცდები არ ჰქონდა, ამიტომ იანვრამდე სახლში დარჩენასა და სწავლის აქ გაგრძელებას აპირებდა. ანდრეასი ეკლესიიდან პირდაპირ გარდერმუნის აეროპორტისკენ გაეშურებოდა და ტრიუგვეს დახვდებოდა.

ელიმ იცოდა, რომ როდესაც სახლში შემოვიდოდნენ, მათი კამათი ნიჩბოსნობასა და მეთევზეობის სხვადასხვა სახეობაზე აპოგეას მიაღწევდა.

გაყინული პროდუქტების მაცივარს დაეყრდნო და სიცივე იგრძნო, მაგრამ არა მაცივრიდან, არამედ უკნიდან — ზურგს უკან ისევ ვიღაცის ჩრდილმა გადაირბინა.

იმავე ჩრდილმა, რომელიც ცოტა ხნის წინ ხორცის განყოფილებაშიც შენიშნა, მანამდე კი მანქანის სადგომზე — როდესაც მანქანას კეტავდა. მაგრამ არაფერი იყო საშიში. უბრალოდ, წარსულის ლანდები არ ასვენებდა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ შიში არასდროს უშვებს ადამიანს მარწუხებს — მაშინაც კი, როდესაც ადამიანმა ცხოვრების ნახევარი უკან მოიტოვა. სალაროებთან მივიდა და ყველაზე გრძელი რიგი აირჩია. გამოცდილება კარნახობდა, რომ ყველაზე გრძელი რიგი ყველაზე სწრაფი იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, თვითონ მიაჩნდა, რომ ასეთი გამოცდილება ჰქონდა. ანდრეასი კი დარწმუნებული იყო, დედა ცდებოდა. ქალის უკან ვიღაც ჩადგა რიგში. მაშ, მის გარდა კიდევ იყვნენ ამ მაღაზიაში მყიდველები, რომლებიც ცდებოდნენ. არ შებრუნებულა; უბრალოდ გაიფიქრა, რომ იმ ადამიანმა გაყინული პროდუქტები შეიძინა — ქალი ზურგით გრძნობდა სიცივეს.

მაგრამ ბოლოს მაინც მობრუნდა, მაგრამ ვერავინ დაინახა. დანარჩენ რიგებს გადახედა. „ოღონდ ნუ დაიწყებ ისევ, — შეუძახა საკუთარ თავს გულში, — ნუ დაიწყებ".

მაღაზიიდან გამოსვლისას თავი აიძულა, ნელა მისულიყო მანქანამდე. „არ მიმოიხედო გარშემო. მშვიდად გააღე კარი, დააწყვე პროდუქტები, ჩაჯექი და დაქოქე მანქანა". მხოლოდ მაშინ გაახსენდა ტრიუგვე, ანდრეასი და მათთვის მოსამზადებელი ვახშამი, როდესაც მისი „ტოიოტა" ნურბერგის მთაზე შე-

ფენილ ორბინიან სახლებისკენ მიმავალ ფერდობს მიადგა.

***

ჰარის ტელეფონის ყურმილი ეჭირა ხელში, ესპენ ლეპსვიკს უსმენდა და დაღუპული კოლეგების ფოტოებს დაჰყურებდა თვალმოჭუტული. ლეპსვიკი სრულ წვდომას მოითხოვდა საქმის ყველა მასალაზე.

— როდესაც ჩვენი საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების ბოსისგან მონაცემთა ბაზის პაროლს მიიღებ, განყოფილებაში „ძალადობით ჩადენილი დანაშაულები", გახსენი საქაღალდე სახელწოდებით „თოვლის კაცი".

— თოვლის კაცი?

— ჰო, რაღაც ხომ უნდა დაგვერქმია!

— კარგი, გმადლობ, ჰოლე. რამდენად ხშირად გჭირდება ჩემი პატაკები?

— მხოლოდ მაშინ, როდესაც რაიმე მნიშვნელოვანს გადააწყდები. და კიდევ... ლეპსვიკ...

— ბატონო.

— ჩვენს ტერიტორიაზე ნუ გადმოხვალ.

— კონკრეტულად რას წარმოადგენს შენი ტერიტორია?

— ანონიმურ შეტყობინებებზე, მოწმეთა ჩვენებებსა და იმ რეციდივისტებზე გაამახვილე ყურადღება, რომლებიც შეიძლება სერიული მკვლელები იყვნენ. ეს იქნება ძირითადი საქმე.

ჰარიმ იცოდა, რასაც ფიქრობდა ლეპსვიკი. ნორვეგიის პოლიციის ცენტრალური სამმართველოს გამოცდილ დეტექტივს მიაჩნდა, რომ მას საქმის ყველაზე ცუდი ნაწილი მიანდვეს.

ლეპსვიკმა ჩაახველა.

— ანუ შევთანხმდით, რომ ამ ორ გაუჩინარებას შორის რაღაც კავშირია?

— არ არის შეთანხმება საჭირო. უბრალოდ საკუთარ ინსტინქტებს მიჰყევი.

— მშვენიერია.

ჰარიმ ყურმილი დაკიდა და კომპიუტერის მონიტორს მიაჩერდა. იმ ვებგვერდზე შევიდა, რომელიც ბორგჰილდმა ახსენა, და ახლა მზეთუნახავებისა და მამაკაცი მოდელების ფოტოებს ათვალიერებდა. ამ ადამიანებს სხეულებსა და სახეებზე წყვეტილი ხაზები ჩანდა. წერტილოვანი პუნქტირები სხეულის იმ უბნებზე იყო დატანილი, რომელთა კორექციაც ამ ისედაც მშვენიერ ადამიანებს იდეალურ პარამეტრებს შესძენდა (თუკი თავად მოისურვებდნენ, რა თქმა უნდა). ერთ- ერთი ფოტოდან თავად იდარ ვეტლესენი უღიმოდა, რომელიც არც კი განირჩეოდა მისივე მამრი მოდელებისგან.

იდარ ვეტლესენის სურათის ქვეშ ერთგვარ რეზიუმედ გრძელი ფრანგული და ინგლისური სახელების მქონე კურსების სახელები იყო ჩამოთვლილი. ჰარიმ იცოდა, რომ ეს ტრენინგები, როგორც წესი, ორთვიანი იყო, მაგრამ დოქტორის ხარისხების ლათინური აბრევიატურების მითითების უფლებას მაინც იძლეოდა. იდარ ვეტლესენი დაგუგლა და ძიების შედეგებს შორის კერლინგის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილს გადააწყდა. გარდა ამისა, იპოვა კლინიკა „მარიენლიუსტი” —

დაწესებულება, რომელშიც ვეტლესენი ადრე მუშაობდა. ხალხი ამბობდა, ნორვეგია იმდენად პატარა ქვეყანაა, ნებისმ-

იერ ორ ადამიანს ერთმანეთისგან მაქსიმუმ ორი საერთო ნაცნობი აშორებსო. ჰარიმ დაასკვნა, რომ ეს ნათქვამი, სავარაუდოდ, მართალი იყო.

მის ოთახში კატრინ ბრატი შემოვიდა და ჰარის პირდაპირ მდგარ სავარძელში ჩაესვენა. მძიმედ სუნთქავდა. ქალმა ფეხი ფეხზე გადაიდო.

— შენი აზრით, მართალია მტკიცება, რომლის მიხედვითაც ლამაზი ადამიანები უფრო მეტად ზრუნავენ საკუთარ სილამაზეზე, ვიდრე ისინი, ვისაც ცუდი გარეგნობა აქვთ? — იკითხა ჰარიმ, — იქნებ სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ ლამაზი ადამიანები საკუთარი გარეგნობით არიან შეპყრობილი?

— არ ვიცი, — თქვა კატრინმა, — მაგრამ, ვფიქრობ, არის ამ ყველაფერში რაღაც ლოგიკა. მაღალი IQ-ს მქონე ადამიანები ისე არიან საკუთარი ინტელექტის კოეფიციენტებით შეპყრობილი, რომ საკუთარ კლუბებს ქმნიან. ადამიანი იმაზე ახდენს ფოკუსირებას, რაც აქვს. ჩემი აზრით, შენი სიამაყის ობიექტური საფუძველი შენი საგამოძიებო ნიჭია.

— ვირთხისმჭერის გენებს გულისხმობ? ფსიქოპათების, ნარკომანების, საშუალოზე დაბალი ინტელექტის მქონე, ცუდ პირობებში აღზრდილი ადამიანის შინაგანი ბუნების გახსნის უნარს?

— შენი ნათქვამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გამოდის, უბრალო ვირთხისმჭერები ვართ.

— ჰო... და სწორედ ამიტომ გვიხარია ასე ძალიან, როდესაც ათასში ერთხელ ასეთი საქმეს ვიძიებთ. დიდი ნადირობის, ლომის, სპილოს ან წყეული დინოზავრის მოკვლის შანსი გვეძლევა.

კატრინმა არ გაიცინა. პირიქით, მძიმედ დაუქნია თავი.

— რა თქვა სილვიას ტყუპისცალმა?

— კინაღამ მისი საუკეთესო დაქალი გავხდი, — თქვა კატრინმა, ამოიოხრა და ხელები კოლჰოტიან მუხლებზე შემოიწყო.

— მომიყევი, რა მოხდა.

— მითხრა, რომ როლფი და სილვია დარწმუნებულნი იყვნენ, რომ როლფს ძალიან გაუმართლა, სილვიასთანა ქალი რომ იპოვა, მაგრამ დანარჩენები სხვაგვარად ფიქრობდნენ. როდესაც ერთმანეთი გაიცნეს, როლფს ახალი დამთავრებული ჰქონდა ბერგენის უმაღლესი ტექნიკური სკოლა და ოსლოში იმისთვის გადმოვიდა, რათა კომპანია „კვერნერში" დაეწყო მუშაობა. სილვია კი ისეთი ადამიანების კატეგორიას მიეკუთვნებოდა, რომლებიც ყოველ დილით ახალი ცხოვრებისეული მიზნებით იღვიძებენ. ძალიან ბევრი სპეციალობა ჰქონდა, მაგრამ ნახევარ წელიწადზე მეტხანს არც ერთ სამსახურში არ ჩერდებოდა. ჯიუტი, ფიცხი და ზედმეტად განებივრებული ახალგაზრდა ქალი იყო, რომელსაც მემარცხენე იდეები ჰქონდა და გატაცებული იყო ისეთი ფილოსოფიური და სოციალური მიმდინარეობებით, რომლებიც ეგოს დათრგუნვის იდეაზეა დაფუძნებული. რამდენიმე დაქალი ჰყავდა, რომლებსაც ცუდად ექცეოდა, მისი თაყვანისმცემელი მამაკაცები კი მალევე წყვეტდნენ მასთან ურთიერთობას, იმიტომ, რომ მის ხასიათს ვერ იტანდნენ. მისი დის ფიქრით, როლფს ასე ძალიან იმიტომ შეუყვარდა სილვია, რომ მისი სრული ანტიპოდი იყო. სილვიას ქმარი მამის კვალს გაჰყვა და ინჟინერი გახდა. იგი ისეთი ოჯახიდანაა, რომელსაც კაპიტალიზმის მადლიანი უხილავი ხელისა და საშუალო კლასის ბედნიერების სწამდა. სილვიას მიაჩნდა, რომ დასავლურ სამყაროში მორალურად დეგრადირებული მატერიალისტები ვცხოვრობთ, რომლებმაც საკუთარ რეალურ იდენტობასთან კავშირი და ბედნიერებ-

ის წყარო დაკარგეს. და სჯეროდა, რომ ეთიოპიის რომელიღაც მეფე მესიის რეინკარნაციას წარმოადგენს.

— ჰაილე სელასიე, — თქვა ჰარიმ, — რასტაფარიანელების რელიგიის საკულტო ფიგურაა.

— ნამდვილი ჭკუის კოლოფი ხარ!

— ბობ მარლის სიმღერებიდან ვიცი. თუკი ასეა, მაშინ გასაგებია, რა კავშირიც აქვს ამ ოჯახს აფრიკასთან.

— არ არის გამორიცხული, — თქვა კატრინმა და პოზა შეიცვალა — ახლა მარჯვენა ფეხზე გადაიდო მარცხენა. ჰარიმ ამ პროცესს თვალი აარიდა, — რაც უნდა იყოს, როლფმა და სილვიამ ერთწლიანი შვებულება აიღეს და დასავლეთი აფრიკა მოიარეს. ეს ვოიაჟი მათთვის ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. როლფმა გადაწყვიტა, რომ აფრიკას ფეხზე დადგომაში უნდა დახმარებოდა, სილვიამ კი, რომელსაც ზურგზე ეთიოპიის დიდი დროშა ჰქონდა ამოსვირინგებული, აღმოაჩინა, რომ ყველა საკუთარ თავზე ზრუნავდა — აფრიკაშიც კი. ამიტომ როლფმა და სილვიამ Taste of Africa გახსნეს — როლფმა იმისთვის, რათა ღარიბ კონტინენტს დახმარებოდა, სილვიამ კი იმიტომ, რომ იაფი იმპორტისა და სახელმწიფო მხარდაჭერის კომბინაციით ადვილად შეიძლებოდა ფულის შოვნა. სწორედ მაშინ დააკავეს ეს უკანასკნელი ფორნებუში ზურგჩანთით, რომელიც მარიხუანათი იყო სავსე. იგი ლაგოსიდან ბრუნდებოდა.

— უყურე შენ!

— სილვიას ხანმოკლე პირობითი სასჯელი შეუფარდეს, იმიტომ, რომ დარწმუნების საოცარი უნარი ჰქონდა. სასამართლოს განუცხადა, რომ არ იცოდა, რა იდო ზურგჩანთაში, რომელიც, მისი თქმით, ნორვეგიაში მცხოვრებ ერთ ნიგერიელს ეკუთვნოდა. სილვიამ თქვა, რომ ეს ჩანთა ამ ნიგერიელის ოჯ-

ახმა გამოატანა.

— ჰმ... სხვა რა გაარკვიე?

— ანეს მოსწონს როლფი. სილვიას ქმარი კეთილი, აზრიანი კაცია და უსაზღვროდ უყვარს ბავშვები, აი, სილვიასთან ურთიერთობაში კი სრულ სიბრმავეს იჩენს.

მის ცოლს ორჯერ შეუყვარდა სხვა კაცი და როლფი და ბავშვები მიატოვა. მაგრამ, თავის მხრივ, სილვია ორივე საყვარელმა მიატოვა. და როლფმა ორივეჯერ სიხარულით მიიღო უკან.

— შენი აზრით, რითი მოხიბლა სილვიამ როლფი?

პასუხად კატრინ ბრატმა სევდიანად გაიღიმა და მზერა ცარიელ სივრცეს მიაპყრო, თან კაბის კალთას აწვალებდა.

— ჩვეულებრივი შემთხვევაა, ჩემი აზრით, არავინ ტოვებს პარტნიორს, რომელთანაც კარგი სექსი აქვს. ადამიანმა შეიძლება მისი მიტოვება სცადოს, მაგრამ ბოლოს მაინც უკან ბრუნდება. ასეთი მარტივი არსებები ვართ.

ჰარიმ ნელა დაუკრა თავი.

— და რას იტყვი იმ მამაკაცებზე, რომლებმაც სილვია მიატოვეს და აღარ დაბრუნდნენ?

— მრავალნაირი მამაკაცი არსებობს. ზოგიერთ მათგანს თავდაჯერება აკლია.

ჰარი კატრინს მიაჩერდა და გადაწყვიტა, მასთან ამ საკითხზე აღარ ესაუბრა.

— როლფ ოტერსენს შეხვდი?

— კი. შენ რომ წახვედი, ათ წუთში გამოჩნდა, — თქვა კატრინმა, — შედარებით უკეთესად გამოიყურებოდა. არასდროს მსმენია ბიუგდიოიში მდებარე პლასტიკური ქირურგიის კლინიკაზეო, მაგრამ ხელი მოაწერა განცხადებას, რომლის მიხედვითაც იგი ექიმისა და პაციენტის ურთიერთობის დეტალე-

ბის კონფიდენციალურობაზე უარს ამბობს, — თქვა კატრინმა, ჰარის მაგიდაზე საქაღალდეში ჩადებული განცხადება დადო და ოთახიდან გავიდა.

***

ვალე-ჰოვინის ყინულის მოედნის ქვედა ტრიბუნებზე საშინლად ცივი ქარი ქროდა. ჰარი ყინულის ტრასებზე მოძრავ მოციგურავეებს უყურებდა. ბოლო ერთი წლის მანძილზე ოლეგის ტექნიკა საგრძნობლად დაიხვეწა. ყოველთვის, როდესაც მისი მეტოქე სიჩქარეს უმატებდა და მის გასწრებას ცდილობდა, ოლეგი მოიხრებოდა, წინ გასაჭრელად ემზადებოდა და გამალებით მიისწრაფოდა ფინიშისკენ.

ჰარიმ ესპენ ლეპსვიკს დაურეკა, რათა ინფორმაცია მიეღო. აღმოჩნდა, რომ ბირტეს გაუჩინარების საღამოს მის კვარტალში მუქი ფერის სედანი შენიშნეს. გვიანი საღამო იყო და მანქანა წესიერად არავის დაუთვალიერებია. ამის შემდეგ ის სედანი იმ უბანში აღარავის უნახავს.

— მუქი სედანი, — თქვა აკანკალებულმა ჰარიმ და დაიმანჭა, — ბნელ საღამოს. ლეპსვიკმა ამოიოხრა.

— ვიცი, რომ ამ ცნობებით შორს ვერ წახვალ.

ჰარი ჯიბეში იტენიდა ტელეფონს, როდესაც ვიღაცის ჩრდილი პროჟექტორის სინათლეს გადაეფარა.

— მაპატიეთ, ცოტა დამაგვიანდა.

აიხედა და მათიას ლუნ-ჰელგესენის მოღიმარი, სიცოცხლით

სავსე სახე დაინახა.

— თქვენ მისდევთ ზამთრის სპორტის სახეობებს, ჰარი?

ჰარიმ შეამჩნია, რომ მათიასს პირდაპირი მზერა და გულწრფელი ადამიანის სახე ჰქონდა, თითქოს მაშინაც კი გისმენდა, როდესაც თავად ლაპარაკობდა.

— ვერ ვიტყვი, რომ დიდი სპორტსმენი ვარ. ციგურებით ვსრიალებ ხოლმე ზოგჯერ. თქვენ?

მათიასმა თავი გააქნია.

— მაგრამ გადაწყვეტილი მაქვს, რომ როდესაც ჩემთვის განკუთვნილი დრო დასასრულს მიუახლოვდება და ისეთი უმწეო გავხდები, რომ ცხოვრების გაგრძელების სურვილი აღარ მექნება, აი, იმ მთაზე მდებარე ტრამპლინზე ავალ, — მათიასმა ჰარის ზურგს უკან გაიშვირა თითი.

გამომძიებელი არ შებრუნებულა. მიხვდა, რასაც გულისხმობდა. ჰოლმენკოლენი, ოსლოს ყველაზე ცნობილი ღირსშესანიშნაობა და ყველაზე პოპულარული ტრამპლინი, ქალაქის ნებისმიერი წერტილიდან მოჩანდა.

— და გადმოვხტები. უთხილამურებოდ.

— დრამატული ფინალია, — თქვა ჰარიმ.

მათიასმა გაიღიმა.

— თავისუფალი ვარდნა ორმოცი მეტრის სიმაღლიდან. ყველაფერი რამდენიმე წამში დასრულდება.

— თუმცა დარწმუნებული ვარ, თქვენი სიკვდილი არ არის გარდაუვალი.

— ვერასდროს იქნები დარწმუნებული, როდესაც სისხლში Anti-scl 70-ის დონე ნორმაზე გაცილებით მეტია, — თქვა მათიასმა და საცოდავად გაიღიმა.

— Anti-scl 70?

— დიახ. სისხლში ანტისხეულების გაჩენა ცუდი არ არის, მა-

გრამ როდესაც ჩნდება, ფრთხილად უნდა იყო. უმიზეზოდ არასდროს გეწვევა.

— ჰმ... მეგონა, თვითმკვლელობა ექიმისთვის სრულიად მიუღებელი პრაქტიკა იყო.

— ექიმმა სხვებზე უკეთ იცის, რას შეიძლება ელოდოს დაავადებისგან. მე პირადად ვეთანხმები სტოიკოს ზენონს, რომელიც ამბობდა, რომ თვითმკვლელობა ღირსეული საქციელია იმ შემთხვევაში, როდესაც დაავადებას იმდენად უარყოფითი შედეგები აქვს, რომ ავადმყოფობას სიკვდილი სჯობს. გადმოცემით, ოთხმოცდათვრამეტი წლის ასაკში ფეხი იღრძო და იმდენად ძლიერ ტკივილს გრძნობდა, რომ ადგა და თავი ჩამოიხრჩო.

— ასეთ შემთხვევაში თავის ჩამოხრჩობა ტრამპლინიდან ხტომაზე უფრო მარტივი გამოსავალია. ასე არ არის?

— იმიტომ, რომ სიკვდილი სიცოცხლისათვის პატივის მიგების მცდელობა უნდა იყოს. ამასთან, უნდა გამოვტყდე, რომ ნამდვილად მწყურია ის დიდება და სახელი, რომელიც ამ საქციელს მოჰყვება, რადგანაც ვშიშობ, ჩემმა კვლევებმა განსაკუთრებული ყურადღება ვერ მიიპყრო, — მათიასის გულწრფელი სიცილი ციგურების მკვეთრად დამუხრუჭების ხმამ შეწყვიტა, — ოლეგს ახალი ციგურები ვუყიდე, მოგვიანებით კი რაკელმა მითხრა, რომ თქვენ აპირებდით, დაბადების დღეზე გეჩუქებინათ მისთვის ციგურები. ბოდიშს გიხდით.

— არაა პრობლემა.

— მას კი სწორედ თქვენგან სურდა, მიეღო ეს საჩუქარი.

ჰარიმ დუმილით უპასუხა.

— მშურს თქვენი. ზიხართ აქ, გაზეთს კითხულობთ, ტელეფონზე საუბრობთ და ოლეგს მხოლოდ ის ჰყოფნის, რომ აქ ხართ, მაგრამ როდესაც მე ვგულშემატკივრობ და შეძახილებ-

ით ვამხნევებ, ღიზიანდება. იცით, რომ ციგურებს ყოველდღე ლესავს? იცის, რომ თქვენ იქცევით ასე და გბაძავთ. ციგურებს კიბეზე ინახავდა, რადგანაც თქვენ გითქვამთ, სიცივეში უნდა შეინახოო. ბოლოს რაკელმა დაჟინებით მოითხოვა ციგურების თავის ადგილზე დადება და მხოლოდ ამის შემდეგ დაჰყაბულდა დედას. ერთგვარი მისაბაძი მაგალითი ხართ ოლეგისთვის, ჰარი.

ჰარი ფიქრებში ჩაიძირა. სადღაც გულის სიღრმეში... უფრო სწორად, არც მთლად სიღრმეში... სიამოვნებდა ამის მოსმენა. რაღაც მომენტში დეტექტივმა ერთგვარი მდაბალი შური და ზიზღიც კი იგრძნო მათიასის მიმართ იმის გამო, რომ ეს კაცი ოლეგის გულის მოგებას ცდილობდა.

მათიასი პალტოს ღილს აწვალებდა.

— ამ ასაკის ბავშვები განსაკუთრებული ბუნებით გამოირჩევიან. ზუსტად იციან, სადაა მათი ფესვები. ახალი მამა ნამდვილს ვერასდროს ჩაანაცვლებს.

— ოლეგის ნამდვილი მამა რუსეთში ცხოვრობს.

— დოკუმენტების მიხედვით, ნამდვილად ასეა, მაგრამ ეს სიმართლე არ არის, ჰარი.

ოლეგმა გვერდით ჩაიქროლა და ორივეს ხელი დაუქნია. მათიასმა საპასუხოდ დაუქნია ხელი.

— მაშ, ექიმი იდარ ვეტლესენი თქვენი თანამშრომელი იყო, არა? — იკითხა ჰარიმ.

— იდარი? დიახ, ერთად ვმუშაობდით „მარიენლიუსტში". იდარს იცნობთ?

— არა, უბრალოდ, მისი სახელი დავგუგლე და მოულოდნელად გადავაწყდი ძველ ვებგვერდს, სადაც ყველა იმ თანამშრომლის სახელი იყო მითითებული, რომელსაც იმ კლინიკაში უმუშავია. სხვებთან ერთად თქვენი სახელიც ამოვიკითხე.

— მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ მაშინ კარგ დროს ვატარებდით „მარიენლიუსტში"! იმედის თვალით ვუყურებდით მომავალს. კლინიკა იმ პერიოდში გახსნეს, როდესაც ყველა ფიქრობდა, კერძო სამედიცინო დაწესებულებები იმისთვის იქმნება, დამფუძნებლებმა ბევრი ფული იშოვონო, მაგრამ როდესაც მივხვდით, რომ ასე არ არის, კლინიკა დავხურეთ.

— გაკოტრდით?

— თუ სწორად მახსოვს, პროცესის აღწერისას ტერმინი „ლიკვიდაცია" გამოიყენეს. იდარის პაციენტი ხართ?

— არა. მისი სახელი ერთ-ერთ საქმეს უკავშირდება. შეგიძლიათ მითხრათ, როგორი კაცია?

— იდარ ვეტლესენი? — იკითხა მათიასმა და გაიცინა, — დიახ, ნამდვილად შემიძლია, გაგიზიაროთ ის შთაბეჭდილებები, რომლებიც მასზე შემექმნა. ერთად ვსწავლობდით და მრავალი წლის მანძილზე ერთსა და იმავე სამეგობროში ვტრიალებდით.

— ანუ აღარ გაქვთ ურთიერთობა?

მათიასმა მხრები აიჩეჩა.

— მე და იდარი ძალიან განსხვავებული ადამიანები ვიყავით. ჩვენი სამეგობროს უდიდეს ნაწილს მიგვაჩნდა, რომ მედიცინა ჩვენთვის... ერთგვარი მოწოდება იყო, მაგრამ იდარი ასე არ თვლიდა. მეტისმეტად პრაგმატულად უყურებდა ამ საკითხს. მედიცინას იმიტომ სწავლობდა, რომ ეს რესპექტაბელური პროფესიაა. ყველა შემთხვევაში, ვაღიარებ, რომ ამ მხრივ ნამდვილად გულწრფელი ადამიანია.

—ანუ იდარ ვეტლესენი რესპექტაბელურობის მოხვეჭას ცდილობდა?

— რესპექტაბელურობისა და ფულის. იდარმა პლასტიკური

ქირურგია აირჩია და მისი არჩევანი არავის გაჰკვირვებია. არც ის იწვევდა გაოცებას, რომ საბოლოოდ ნარჩევი პაციენტებით განთქმული კლინიკა აირჩია, რომელიც მდიდარ და ცნობილ ადამიანებს ემსახურება. ყოველთვის ასეთი საზოგადოებისკენ მიილტვოდა. უნდა, რომ მათ ჰგავდეს და მათ წრეში ტრიალებდეს, მაგრამ საქმე ის არის, რომ ზედმეტად ცდილობს. დარწმუნებული ვარ, ის ცნობილი ადამიანები პირში უცინიან, ზურგს უკან კი აბეზარ, ამბიციურ იდიოტს უწოდებენ.

— და შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ მიზნის მისაღწევად ბევრ რამეზეა წამსვლელი?

მათიასი ჩაფიქრდა.

— იდარი ყოველთვის ეძებდა დიდებისკენ მიმავალ გზას და, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ნიჭიერი ადამიანია, მაინც ვერ მოახერხა დიდი, მნიშვნელოვანი საქმის დაწყება. ბოლოს რომ ვესაუბრე, დათრგუნვილი მეჩვენა. შეიძლება ითქვას, რომ... დეპრესიაში იყო.

— როგორ ფიქრობთ, შეუძლია თუ არა დიდებისკენ მიმავალი შემოვლითი გზა იპოვოს? ისეთ გზას ვგულისხმობ, რომელსაც არაფერი აქვს საერთო მედიცინასთან.

— ამაზე არ მიფიქრია, მაგრამ არ არის გამორიცხული. შეიძლება ითქვას, ჭეშმარიტი ექიმი არც არის.

— რას გულისხმობთ?

— გარდა იმისა, რომ მდიდრებს აღმერთებს, სუსტები და ავადმყოფები ეზიზღება. იდარი ერთადერთი ექიმი არაა, ვისაც ასეთი დამოკიდებულება აქვს ადამიანების მიმართ, მაგრამ ერთადერთია, ვინც არ მალავს ამას, — თქვა მათიასმა და გაიღიმა,— ჩვენი სამეგობროს სხვა წევრები იდეალისტები იყვნენ, რომლებმაც დროთა განმავლობაში ისეთ არაპროფესიულ საქმეებს მოჰკიდეს ხელი, როგორიცაა მრჩევლის საქმია-

ნობა, ახალი გარაჟის საფასურის გადახდა და ზეგანაკვეთური სამუშაოს ტარიფები. აი, იდარს კი არასდროს უღალატია იდეალებისთვის. ყოველთვის ასეთი იყო.

* * *

იდარ ვეტლესენი იცინოდა.

— მართლა ასე თქვა მათიასმა? იდარმა იდეალებს არ უღალატაო?

ლამაზი, თითქმის ქალური სახე და იმდენად წვრილი წარბები ჰქონდა, რომ შეიძლება ვინმეს ჰგონებოდა, იპუტავსო. მისი მწყობრი კბილების არაბუნებრივი სითეთრე კი ხელოვნურობის განცდას ქმნიდა. გამხდარი იყო და ეტყობოდა, რომ ვარჯიშობდა. ოცდაჩვიდმეტი წლის იყო, მაგრამ გაცილებით უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებოდა.

— ზუსტად არ ვიცი, რა იგულისხმა, — იცრუა ჰარიმ.

იდარ ვეტლესენი და გამომძიებელი ბიუგდიოიში მდებარე ერთი დიდი თეთრი სახლის ბიბლიოთეკაში ღრმა სავარძლებში ისხდნენ და საუბრობდნენ. იდარმა თქვა, რომ ბავშვობა ამ სახლში გაატარა. ჰარისთან ერთად მან ორი ვრცელი, ბნელი მოსასვენებელი ოთახი გაიარა და სტუმარს წიგნებით სავსე ოთახში შეუძღვა. მიკჰიელ ფიონჰუსი, ხელ აუკრუსტი, ეინარ გერჰარდსენის „ნდობით აღჭურვილი პირი". კედლის თაროები მრავალფეროვანი პოპულარული ლიტერატურითა და პოლიტიკური ბიოგრაფიებით იყო სავსე. ერთი თარო მთლიანად

The Reader's Digest-ის გაყვითლებულ ნომრებს ეკავა.

— ოჰ, კარგად ვიცი, რაც იგულისხმა, — თქვა იდარმა და ჩაიხითხითა.

ჰარი თითქმის დარწმუნებული იყო, რომ მიხვდა, რას გულისხმობდა მათიასი, როდესაც თქვა, რომ ის და იდარი ძალიან კარგად ერთობოდნენ. სავარაუდოდ, სიცილში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

— მათიასი უბიწო ნაბიჭვარია, თუმცა უფრო ზუსტი იქნება, თუკი ვიტყვით, რომ იღბლიანი ნაბიჭვარია. არა, ღმერთს გეფიცებით, ორივე განსაზღვრება სწორია, — თქვა იდარ ვეტლესენმა და გადაიხარხარა, — ამბობენ, რომ ღმერთის არ სწამთ, მაგრამ მორალური პრინციპებით შეზღუდული ჩემი ღვთისმოშიში კოლეგები კარგ საქმეებს აგროვებენ, იმიტომ, რომ გულის სიღრმეში ჯოჯოხეთის ცეცხლის ეშინიათ.

— თქვენ არ გეშინიათ?

იდარმა ერთ-ერთი წვრილი წარბი ასწია და ინტერესით დააკვირდა ჰარის. ვეტლესენს მსუბუქი ცისფერი საშინაო ფეხსაცმელი ეცვა. თასმები გახსნილი ჰქონდა. უბრალო შარვალი ემოსა, მის მაისურზე კი პოლოს მოთამაშე იყო გამოსახული. ჰარიმ ვერ გაიხსენა, რომელი ფირმის ლოგო უმშვენებდა იდარს მკერდს, მაგრამ რატომღაც დაასკვნა, რომ ასეთ ტანსაცმელს მოსაწყენი ხალხი იცვამდა.

— მე პრაგმატული ადამიანების ოჯახში გავიზარდე, ინსპექტორო. მამაჩემი ტაქსის მძღოლი იყო. მხოლოდ იმის გვჯერა, რასაც ვხედავთ.

— ჰმ... ტაქსის მძღოლის კვალობაზე მშვენიერი სახლი ჰქონია.

— მამას ტაქსის კომპანია ჰქონდა. სამ ლიცენზიას ფლობდა, მაგრამ აქ, ბიუგდიოიში, ტაქსის მძღოლი ყოველთვის პლებეი

იქნება.

ჰარი ექიმს მიაჩერდა და შეეცადა, მიმხვდარიყო, რაიმე ფსიქოტროპულ საშუალებას იღებდა თუ არა მისი თანამოსაუბრე. ვეტლესენი სავარძელში გადაწოლილიყო და მეტისმეტად მოდუნებული ჩანდა. აშკარად ცდილობდა მოუსვენრობისა და აღგზნებულობის დაფარვას. ჰარის ეს აზრი პირველად მაშინ გაუჩნდა, როდესაც დაურეკა, რათა განემარტა, რომ პოლიციას სურდა, მისთვის რამდენიმე კითხვა დაესვა. ჰარის ნათქვამის პასუხად ვეტლესენმა პომპეზურად და დიდი ზარზეიმით მოიწვია შინ.

— მაგრამ თქვენ არ გინდოდათ ტაქსის მძღოლობა, — თქვა ჰარიმ, — თქვენ... ადამიანების გალამაზება გინდოდათ. ასე არაა?

ვეტლესენმა გაიღიმა.

— შეიძლება ითქვას, რომ ამაოების ბაზარს ჩემს მომსახურებას ვთავაზობ. შეიძლება ისიც ითქვას, რომ უბრალოდ ვაუმჯობესებ თითოეული კლიენტის გარეგნობას იმისთვის, რომ სულიერი ტკივილი დაიამოს. რომელი ვერსიაც უფრო მოგწონთ, ის აირჩიეთ. ჩემთვის სულერთია, — თქვა ვეტლესენმა და ისევ ახარხარდა. იმედი ჰქონდა, რომ ჰარი შოკში ჩავარდებოდა, მაგრამ როდესაც მისი მოლოდინი არ გამართლდა, სახეზე სერიოზული იერი აღებეჭდა, — მე პირადად საკუთარ თავს სკულპტორად მივიჩნევ. მაღალი იდეალები არ მამოძრავებს. ადამიანის გარეგნობის, მისი სახის შეცვლა მომწონს. ყოველთვის მომწონდა. ამ საქმის ოსტატი ვარ და ჩემს ხელობაში ფულს მიხდიან. სულ ესაა.

— ჰმ...

— მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ პრინციპები არა მაქვს, პაციენტის ვინაობისა და მონაცემების კონფიდენციალურობ-

ის დაცვა ჩემი მორალური კოდექსის ერთ-ერთ პუნქტს წარმოადგენს.

ჰარიმ არ უპასუხა.

— ბორგჰილდს ველაპარაკე, — თქვა ექიმმა, — ვიცი, რისთვისაც მოხვედით, ინსპექტორო, და მესმის, რომ ეს ძალიან რთული საქმეა, მაგრამ ვერაფრით დაგეხმარებით. ფიცი მაქვს დადებული და ამიტომ არ შემიძლია, ასეთი ტიპის ინფორმაცია გაგიზიაროთ.

— უკვე შეგიძლიათ, — თქვა ჰარიმ და შიდა ჯიბიდან გადაკეცილი ქაღალდი ამოიღო და მასა და ექიმს შორის მდგარ მაგიდაზე დადო, — ეს საბუთი, რომელსაც ტყუპის მამა აწერს ხელს, ამ ვალდებულებისგან გათავისუფლებთ.

იდარმა თავი გააქნია.

— მაგ დოკუმენტს ძალა არა აქვს.

გაოცებულმა ჰარიმ შუბლი შეიჭმუხნა.

— მართლა?

— უფლება არა მაქვს, გაცნობოთ, ვინ მეწვია და რა თქვა, მაგრამ ის კი შემიძლია გითხრათ, რომ თითოეული ადამიანი, რომელსაც ექიმთან მიჰყავს შვილები, კლიენტის მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის ფიცით არის დაცული. ამ ინფორმაციას მეუღლეებსაც კი არ გავაცნობთ, თუკი პაციენტები მოისურვებენ.

— რატომ უნდა დაემალა სილვია ოტერსენს ქმრისთვის, რომ თქვენთან დაჰყავდა ტყუპი?

— შესაძლოა, ჩვენი ქცევა სასტიკი გეჩვენოთ, მაგრამ გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ჩვენი კლიენტების დიდ ნაწილს წარმოადგენენ ცნობილი ადამიანები, რომლებსაც ჭორები და პრესის ზედმეტი ყურადღება ნამდვილად არ სჭირდებათ. გირჩევთ, ხელოვნების სახლში (კუნსტნერნეს ჰუსში) წახ-

ხვიდეთ და დააკვირდეთ ადამიანებს, რომლებიც იქ დაგხვდებათ. მათი დიდი ნაწილი ჩემი კლიენტია. იმის გაფიქრებაც კი არ სურთ, რომ ინფორმაცია მათი ვიზიტის შესახებ საჯარო გახდება. საკუთარი გარეგნობის სხვადასხვა დეტალი შეისწორეს. ჩვენი რეპუტაცია საიდუმლოს შენახვის უნარზეა დაფუძნებული. თუკი გაიგებენ, რომ კლიენტების შესახებ არსებულმა ინფორმაციამ გაჟონა, კლინიკის რეპუტაცია კატასტროფულად გაუარესდება. დარწმუნებული ვარ, ხვდებით, რასაც გულისხმობ.

— ჩვენ ორ მკვლელობას ვიძიებთ, — თქვა ჰარიმ, — და ჯერჯერობით ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის მიხედვით, ერთადერთი, რაც ამ შემთხვევებს აერთიანებს, ის არის, რომ ორივე მათგანი თქვენს კლინიკაში დადიოდა.

— მე არც საშუალება მაქვს და არც სურვილი, ეს მონაცემები დაგიდასტუროთ. მაგრამ წარმოიდგინეთ, გეთაყვა, რომ ეს უბრალოდ დამთხვევაა. რა? ნორვეგია პატარა ქვეყანაა, სადაც არც ისე ბევრი ადამიანი ცხოვრობს, ექიმების რაოდენობა კი კიდევ უფრო მცირეა. იცით, რამდენი ხელის ჩამორთმევა აშორებს ერთმანეთისგან ქვეყნის ნებისმიერ ორ მცხოვრებს? ალბათობა იმისა, რომ ორი ადამიანი ერთსა და იმავე ექიმთან დადიოდა, ისევე მაღალია, როგორც იმის შესაძლებლობა, რომ ერთსა და იმავე დროს ერთ ტრამვაიში აღმოჩნდეთ თქვენ და თქვენი მეგობარი. განა არ გხვდებიან ხოლმე მეგობრები ტრამვაიში?

ჰარიმ ერთი შემთხვევაც ვერ გაიხსენა. თუმცა ის ტრამვაითაც იშვიათად მგზავრობდა.

— საკმაოდ დიდი გზა გამომივლია იმისთვის, რომ არაფერი გეთქვათ ჩემთვის, — თქვა ჰარიმ.

— ბოდიშს გიხდით. აქ იმიტომ მოგიწვიეთ, რომ, როგორც

ვხვდები, სხვა შემთხვევაში პოლიციის განყოფილებაში მომიწევდა მოსვლა, სადაც ამჟამად პრესაა ჩასაფრებული და ყველა ვიზიტორს აღრიცხავს. დიახ... კარგად ვიცნობ მაგ ხალხს.

— იცით, რომ შემიძლია ვიშოვო ჩხრეკის ორდერი, რომელიც თქვენი ფიცის ანულირებას მოახდენს?

— კარგს იზამთ, — თქვა ვეტლესენმა, — ასეთ შემთხვევაში კლინიკის რეპუტაცია არ შეილახება, მანამდე კი...

ექიმმა წარმოსახვითი ელვაშესაკრავით დაიკეტა პირი.

ჰარი აწრიალდა. ხვდებოდა, რომ იდარმა იცოდა, რამდენი წვალებაა საჭირო ორდერის მისაღებად. მკვლელობის გამოძიების შემთხვევაშიც კი. აუცილებელია აშკარა დამამტკიცებელი მასალა იმისა, რომ ექიმის ინფორმაცია მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საქმის გამოძიებაში, პოლიციამ კი მხოლოდ ის იცოდა, რომ გარდაცვლილები ერთსა და იმავე კლინიკაში დადიოდნენ. ჰარიმ იგრძნო, რომ რაიმე უნდა ეღონა. უნდა დაელია. ან სიმძიმეებით ევარჯიშა. დაღლამდე.

გამომძიებელმა ღრმად ჩაისუნთქვა.

— ყველაფრის მიუხედავად, მაინც უნდა გკითხოთ — რას აკეთებდით საღამოობით 3 და 5 ნოემბერს?

— ვიცოდი, რომ ამ კითხვას დამისვამდით, — თქვა ვეტლესენმა და გაიღიმა, — ამიტომ მოვასწარი გახსენება. აქ ვიყავი... აი, ამ ქალბატონთან ერთად.

ოთახში თაგვისფერთმიანი მოხუცი ქალი შემოვიდა, რომელსაც თმა ფარდებივით ეკიდა სახის გარშემო. თაგვის ნაბიჯებით მოიწევდა მაგიდისკენ. ხელში ეჭირა ვერცხლის ლანგარი, რომელზეც ყავის ორ ფინჯანს ავბედითი წკრიალი გაჰქონდა. ისე მოჰქონდა, თითქოს ჯვარი და ეკლის გვირგვინი ეჭირა. ქალმა ალმაცერად გადახედა იდარს, რომელიც მაშინვე წამოხტა და ლანგარი გამოართვა.

— გმადლობ, დედა.

— თასმები შეიკარი, — უთხრა მან შვილს და მზერა ჰარიზე გადაიტანა, — მგონი, უფლება მაქვს, ვიცოდე, ვინ მოვიდა ჩემს სახლში სტუმრად.

— ეს უფროსი ინსპექტორი ჰოლეა, დედა. მას აინტერესებს, რითი ვიყავი დაკავებული გუშინ და სამი დღის წინ.

ჰარი წამოდგა და ქალს ხელი გაუწოდა.

— რა თქმა უნდა, მახსოვს, — თქვა ქალმა, ჰარის გაოცებით შეხედა და ასაკობრივი ლაქებით დაფარული ხელი გაუწოდა, — გუშინ იმ ტოქშოუს ვუყურებდით, რომელშიც შენი ხუჭუჭა მეგობარი გამოდიოდა... და არ მომეწონა ის, რაც სამეფო ოჯახზე თქვა. შემახსენე, რა ჰქვია მაგ ბიჭს?

— არვე სტიოპი, — თქვა იდარმა და ამოიოხრა. მოხუცი ქალბატონი ჰარისკენ დაიხარა:

— მაგ არვე სტიოპმა თქვა, სამეფო სასახლე უნდა დავანგრიოთო. წარმოგიდგენიათ? როგორ შეიძლება ასეთი სისაძაგლის თქმა! რა გვეშველებოდა, ომის დროს, სამეფო ოჯახი რომ არ გვყოლოდა!

— იმაზე უარესად არ ვიქნებოდით, ვიდრე ახლა ვართ, — თქვა იდარმა, — ომის დროს და ომამდეც ასე ცოტა სარგებელი არც ერთ სახელმწიფო მეთაურს არ მოუტანია თავისი ხალხისთვის... გარდა ამისა, არვემ თქვა, მონარქიის ასეთი მხარდაჭერა იმაზე მეტყველებს, რომ ნორვეგიელებს ჯერ კიდევ სჯერათ ტროლებისა და ელფებისო.

— განა საშინელება არ არის ეგ ყველაფერი?

— რა თქმა უნდა, დედა, — ღიმილით თქვა იდარმა, დედას მხარზე ხელი დაადო და მისი წვრილი მაჯისთვის შეუფერებელი „ბრაიტლინგის" ფირმის მასიური საათის ციფერბლატს დახედა, — ოჰ, ღმერთო! სასწრაფოდ უნდა გავიქცე, ჰოლე.ის-

იამოვნეთ ყავით.

მაგრამ ჰარიმ თავი გააქნია და მოხუც ქალს გაუღიმა:

— ალბათ, ძალიან გემრიელია, მაგრამ არ დამიმსახურებია.

ქალმა მძიმედ ამოიოხრა, რაღაც ჩაიბუტბუტა და ლანგარი ოთახიდან გაიტანა. როდესაც შემოსასვლელში გავიდნენ, ჰარი იდარისკენ შებრუნდა და იკითხა:

— და რას გულისხმობდით, როდესაც იხმარეთ სიტყვა „იღბლიანი"?

— ბატონო?

— თქვენ თქვით, რომ მათიას ლუნ-ჰელგესენი არა მხოლოდ „უბიწო", არამედ „იღბლიანი ნაბიჭვარიცაა".

— აჰ, თურმე რას გულისხმობთ! მის პირად ცხოვრებას ვგულისხმობ. ამ სფეროში მათიასი საკმაოდ უგერგილო კაცია, მაგრამ, როგორც ჩანს, იმ ქალს მანამდე ძალიან შეუფერებელი მამაკაცები ხვდებოდნენ და, როგორც ჩანს, სწორედ მასეთი ღვთისმოშიში კაცი სჭირდებოდა. გთხოვთ, ნუ ეტყვით მათიასს, რომ ასეთი რამ გითხარით. გაკვრითაც კი არ ახსენოთ, გეთაყვა.

— ხომ არ იცით, რას ნიშნავს anti-scl 70?

— ერთგვარი ანტისხეულებია, რომლებიც სისხლში ხვდება და სკლეროდერმიაზე მიანიშნებს. რომელიმე თქვენს ნაცნობს აქვს?

ჰარიმ არ იცოდა, რა არის სკლეროდერმია და თანაც იმ მომენტში სულ სხვა შეკითხვა აწვალებდა. თუმცა ეს კითხვა არ უნდა დაესვა, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და მაინც იკითხა:

— ანუ მათიასმა თქვა, რომ მის პარტნიორს მამაკაცებში არ უმართლებდა?

— არა, ეს ჩემი ინტერპრეტაციაა. წმინდა მათიასი ადამიანებ-

ზე არასდროს ამბობს აუგს. მისი აზრით, პიროვნება მხოლოდ უკეთესობისკენ შეიძლება, შეიცვალოს, — თქვა იდარმა და მისმა ხარხარმა სახლი შეაზანზარა.

ჰარიმ ექიმს მადლობა გადაუხადა მასპინძლობისთვის, ფეხსაცმელი ჩაიცვა და სახლის კარის ზღურბლს გადააბიჯა და სანამ კარს გამოიხურავდა, კიდევ ერთხელ შეხედა იდარს, რომელიც იჯდა და ფეხსაცმლის თასმებს იკრავდა.

უკანა გზაზე ჰარიმ სკარეს დაურეკა და სთხოვა, კლინიკის ვებგვერდიდან ვეტლესენის ფოტო ამოებეჭდა და ნარკოტიკების განყოფილებაში გადაემოწმებინა, ხომ არ შეუნიშნავს რომელიმე ფარულ აგენტს ნარკოტიკების მყიდველებს შორის.

— ქუჩაში? — იკითხა სკარემ, — ასეთი ნივთიერებებითაა სავსე ყველა ექიმის კაბინეტი. რომც სჭირდებოდეს, ქუჩაში რატომ იყიდის?

— წამლების მარაგების დეკლარაციის შევსების წესები ისეა გამკაცრებული, რომ ნებისმიერი ექიმი შიპერგატაზე „მოღვაწე" დილერთან უფრო ადვილად იშოვის ამფეტამინებს, ვიდრე საავადმყოფოში.

ჰარიმ საუბარი დაასრულა და კატრინს დაურეკა სამსახურში.

— ახალი არაფერია, — უპასუხა მან, — ოფისიდან გასვლას ვაპირებ უკვე. შენც სახლში მიდიხარ?

— ჰო, — თქვა ჰარიმ და ხანმოკლე დუმილის შემდეგ დაამატა, — როგორ გგონია, მოვახერხებთ ისეთი ორდერის შოვნას, რომელიც ვეტლესენს ექიმის საიდუმლოს შენახვის ვალდებულებას მოუხსნის?

— გვაქვს რაიმე? რა თქმა უნდა, შემიძლია, ძალიან მოკლე კაბა ჩავიცვა, სასამართლოში მივიდე და იქ შესაფერისი ასაკ-

ის მოსამართლე ვიპოვო, მაგრამ წინასწარ გაფრთხილებ — სავარაუდოდ, არაფერი გამომივა.

— მეც ასე მგონია.

ჰარიმ ბარ „ბიშლეტის" განათებას მიაპყრო მზერა. თავისი ცარიელი, ნახევრად დანგრეული ბინა გაახსენდა, საათს დახედა, გადაიფიქრა და შებრუნდა. ქვევით, პილესტრედეტის პროსპექტს დაუყვა და პოლიციის სამმართველოს შენობისკენ აიღო გეზი.

ღამის ორ საათზე ტელეფონი აიღო და ნომერი აკრიფა. ყურმილში კატრინის ნამძინარევი ხმა გაისმა:

— რა მოხდა?

— ოფისში ვარ. ახლახან გავეცანი შენ მიერ მოძიებულ მასალებს. ყველა დაკარგული ქალი გათხოვილი და შვილიანი იყოო, ამბობდი. ვფიქრობ, ამ მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ.

— კონკრეტულად რა მიმართულებით?

— წარმოდგენა არა მაქვს, უბრალოდ, მინდოდა, ჩემი ხმა გამეგონა მაშინ, როდესაც ამ აზრს ვინმეს ვუზიარებ, რათა გამერკვია, რამდენად იდიოტურია.

— როგორი შთაბეჭდილება დაგრჩა? როგორია?

— იდიოტური.

***

ელი კვალე თვალგახელილი იწვა. მის გვერდით უდარდელი ანდრეასის მძიმე სუნთქვა ისმოდა. ფარდებს შორის მთვარის შუქის ვიწრო ზოლი მოჩანდა.

სინათლე მოპირდაპირე კედელზე დაკიდებულ ჯვარცმას ეცემოდა, რომელიც მან რომში, საქორწინო მოგზაურობის დროს იყიდა. რამ გააღვიძა? ტრიუგვემ? ფეხზე იდგა უკვე? საღილმა და საღამომ ზუსტად ისე ჩაიარა, როგორც ელი ვარაუდობდა. სანთლის შუქზე უყურებდა მხიარულ, გაცისკროვნებულ, ბედნიერ სახეებს. ერთდროულად ლაპარაკობდნენ. იმდენი ჰქონდათ ერთმანეთისთვის სათქმელი! განსაკუთრებით ტრიუგვე აქტიურობდა. და როდესაც მონტანაზე, სასწავლო პროცესსა და მეგობრებზე ლაპარაკობდა, ქალი ჩუმად იჯდა და უყურებდა ამ ბიჭს, ამ ახალგაზრდა კაცს, რომელიც უკვე მოწიფულობის ასაკში შედიოდა, საკუთარ თავს პოულობდა და დამოუკიდებლად იწყებდა ცხოვრებას. სწორედ ეს ანიჭებდა ელის ბედნიერებას. უხაროდა, რომ მის ბიჭს შეეძლო, აერჩია. თავისუფლად და დაუფარავად აერჩია. და არა მასავით. არა მალულად და საიდუმლოდ.

ესმოდა, როგორ ტკაცუნობდა სახლი, როგორ ესაუბრებოდნენ ერთმანეთს კედლები. მაგრამ სხვა ხმაც ესმოდა. რაღაც უცნაური ხმა. ხმა გარედან.

წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და ფარდა გადასწია. მოეთოვა. ვაშლის ხეების ტოტები ბამბის ქულებს ჰგავდა. ფერდობზე დაფენილი თოვლის თხელი თეთრი ზეწარი მთვარის შუქს ირეკლავდა და ამიტომ ეზოში ყველაფერი მკაფიოდ მოჩანდა. ქალმა ჭიშკარსა და ავტოფარეხს შორის არსებულ სივრცეს მოავლო თვალი. თითქოს რაღაცას ეძებდა, მაგრამ თა-

ვადაც არ იცოდა, რას. და უცებ ერთ ადგილზე შეაჩერა მზერა. სახტად დარჩენილმა ელიმ ყრუდ შეჰკივლა. „გეყოფა”,— უბრძანა საკუთარ თავს. ალბათ, ტრუგვე იყო. სასაათო სარტყელები შეიცვალა და, შესაძლოა, დაძინება ვერ შეძლო და გარეთ გავიდა. ნაკვალევი ჭიშკრიდან პირდაპირ იმ ფანჯარასთან მოდიოდა, რომელთანაც ელი იდგა. თოვლის თეთრ თხელ ფენაზე შავ პუნქტირად მოჩანდა. დრამატული პაუზა. მაგრამ უკან მიმავალი კვალი არ ჩანდა.

თავი XII

მეშვიდე დღე. დიალოგი

— ნარკოტიკების განყოფილების ერთმა თანამშრომელმა ამოიცნო, — თქვა სკარემ, — როდესაც ვეტლესენის ფოტო ვაჩვენე, დეტექტივმა მაშინვე მითხრა, რომ ეს კაცი რამდენჯერმე უნახავს შიპერგატასა და ტოლბუგატას შორის გზაჯვარედინებზე.

— მაგ გზაჯვარედინებზე რა ხდება? — იკითხა ჰაგენმა, რომელმაც მანამდე დაჟინებით განაცხადა, რომ აუცილებლად დაესწრებოდა ორშაბათის დილის თათბირს, რომელიც ჰარის კაბინეტში იმართებოდა.

სკარემ უნდობლად გადახედა ჰაგენს. არ იყო დარწმუნებული, რომ კომისარი არ ხუმრობდა.

— მაგ ადგილებში დილერები, ბოზები და ყომარბაზები იკრიბებიან მას შემდეგ, რაც პლატადან გავყარეთ.

— და ყველა მანდ გადავიდა? — იკითხა ჰარიმ და ნიკაპზე ხელი მოისვა, — მე როგორც ვიცი, რამდენიმე უბანში გაიფანტნენ.

— ეს მათი ერთგვარი ცენტრია, — თქვა სკარემ, — რა თქმა უნდა, ბირჟის შენობასთანაც დგანან, ნორვეგიის ბანკთანაც, ასტრუპ ფერნლის მუზეუმის გარშემოც, საკონცერტო დარბაზ „გამლე ლოგენთანაც" და კაფე „ბიუმიშონენთან".. — იგი გაჩუმდა, როდესაც ჰარიმ ხმამაღლა დაამთქნარა.

— მაპატიე, — თქვა ჰარიმ, — მძიმე უქმეები მქონდა. განაგრძე.

— დეტექტივმა თქვა, არ მახსენდება, ოდესმე ეყიდოს ნარკო-

ტიკიო. საერთოდაც სასტუმრო „ლეონის” ბინადარი ეგონა.

სწორედ ამ დროს კაბინეტში დაუვარცხნელი, ფერმკრთალი და თვალებდასივებული კატრინ ბრატი შემოვიდა. თუმცა ოთახში შეკრებილ საზოგადოებას საკმაოდ მხნე ბერგენული მისალმება ესროლა და თავისუფალი სკამის ძებნას შეუდგა. ბიორნ ჰოლმი წამოხტა, ადგილი დაუთმო, თავად კი კიდევ ერთი სკამის მოსატანად გაეშურა.

— „ლეონი” შიპერგრატაზე? — იკითხა ჰაგენმა — მანდაც ყიდიან ნარკოტიკებს?

— არ არის გამორიცხული, — თქვა სკარემ, — მაგრამ მე პირადად ბევრი შავი ბოზი მინახავს მანდ შესული. ასე რომ, ეგრეთ წოდებული მასაჟის სალონი უნდა იყოს.

— არა მგონია, — თქვა კატრინ ბრატმა, რომელიც პალტოს საკიდზე კიდებდა და იმ მომენტში ზურგშექცევით იდგა, — მასაჟის სალონები ფარული ბაზრის ნაწილია და ამჟამად ამ სეგმენტს ვიეტნამელები კურირებენ. ისინი გარეუბნებსა და ცუდი რეპუტაციის მქონე რაიონებში ტრიალებენ და ცდილობენ, თავი შორს დაიჭირონ აფრიკელებისგან, რომლებიც ქუჩის პროსტიტუციას აკონტროლებენ.

— თუ სწორად მახსოვს, იქ, შესასვლელში, განცხადებაა გამოკრული, რომელშიც ნათქვამია, რომ ქირავდება იაფი ოთახები, — თქვა ჰარიმ, — ერთი ღამე ოთხი კრონი ღირს.

— მართალია, — თქვა კატრინმა, — პატარა ოთახები აქვთ, რომლებსაც, ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით, დღიურად აქირავებენ, სინამდვილეში კი საათობრივი ანაზღაურებაა. ამასთან, იქ შავი ფული ტრიალებს, იმიტომ, რომ კლიენტები, როგორც წესი, ქვითრებს არ ითხოვენ. მხოლოდ სასტუმროს მეპატრონეა თეთრი. ყველაზე მეტს სწორედ ის შოულობს.

— ბარაქალა! — წამოიძახა სკარემ, გაიკრიჭა და ჰაგენს გადახედა, — ისე, უცნაურია, ბერგენის პოლიციის სექსუალურ ძალადობასთან მებრძოლი განყოფილების თანამშრომელს ასეთი სრული ინფორმაცია რომ აქვს ოსლოს საროსკიპოების შესახებ.

— დაახლოებით ერთი და იგივე სიტუაციაა ყველგან, — თქვა კატრინმა, — თუკი გგონია, რაიმე შემეშალა, შეგვიძლია, დავნაძლევდეთ.

— დავნაძლევდეთ, რომ მეპატრონე პაკისტანელია, — თქვა სკარემ, — ორას კრონზე.

— თანახმა ვარ.

— კარგი, თქვა ჰარიმ და ტაში შემოჰკრა, — რაღას ველოდებით?

***

სასტუმრო „ლეონის" მეპატრონეს ბიორე ჰანსენი ერქვა. წარმოშობით სულიორიდან იყო, სახე კი ისეთივე ნაცრისფერი ჰქონდა, როგორიც იმ თოვლს, რომელიც მის ეგრეთ წოდებულ ბინადრებს შემოჰქონდათ ფეხსაცმლით და რეგისტრატურის დახლის წინ, პარკეტზე ტოვებდნენ. ამ დახლის თავზე ეკიდა დაფა შავი შრიფტით გაკეთებული წარწერით „მისეღები" — მართლწერის წესები არც ბიორეს ანაღვლებდა და არც მის კლიენტებს. უკვე ოთხი წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც ბიორე ამ დაწესებულების მფლობელი გახდა და შემოსასვლელში ეს დაფა დაკიდა. მანამდე შვედეთში დახეტიალებდა და ბიბ-

ლიას ყიდდა. გარდა ამისა, წუნდებული პორნოფილმებითაც ვაჭრობდა სვინესუნდში და იმ ხანებში შეიძინა დამახასიათებელი აქცენტი, რომელიც საცეკვაო მუსიკის შემსრულებლის მეტყველების მანერისა და მქადაგებლისთვის დამახასიათებელი საუბრის ერთგვარ სინთეზს წარმოადგენდა. სწორედ სვინესუნდში გაიცნო ნატაშა, რუსი სტრიპტიზიორი და მასთან ერთად დიდი გაჭირვებით დაუსხლტა ხელიდან ნატაშას რუს უფროსს. ქალმა სახელი გამოიცვალა და ახლა ბიორესთან ერთად ოსლოში ცხოვრობდა. „ლეონი" სამი სერბისგან იყიდა, რომლებიც მიზეზთა გამო ქვეყანაში დარჩენას ვეღარ ახერხებდნენ, და სამეწარმეო საქმიანობა იმ პოზიციიდან განაგრძო, რომელიც სასტუმროს ძველ მფლობელებს ჰქონდათ — იმიტომ, რომ ბიზნესის მოდელის შეცვლას აზრი არ ჰქონდა. ბიორე ოთახებს მოკლევადიანად — ხშირად ძალიან მოკლევადიანადაც — აქირავებდა. შემოსავალს, ძირითადად, ნაღდ ფულად იღებდა და სტუმრებიც დიდი პრეტენზიულობით არ გამოირჩეოდნენ. კარგი ბიზნესი ჰქონდა, ბიზნესი, რომლის დაკარგვაც არ სურდა.

თანდათანობით გაუჩნდა ანტიპათია ყველაფრის მიმართ, რაც მის წინაშე მდგარ ამ ორ ადამიანს უკავშირდებოდა, ყველაზე მეტად კი მათი მოწმობები არ მოეწონა.

ერთ-ერთმა მათგანმა — მაღალმა მამაკაცმა — დახლზე რაღაც ფოტო დადო.

— ეს ტიპი თუ გინახავს ოდესმე?

ბიორე ჰანსენი კი მიხვდა, რომ მის შესავიწროებლად არ იყვნენ მოსულნი, მაგრამ, ყოველი შემთხვევისთვის, მაინც თავი გააქნია.

— ნამდვილად? — იკითხა მამაკაცმა და იდაყვებით დაეყრდნო დახლს.

ბიორემ კიდევ ერთხელ დახედა ფოტოს და გაიფიქრა, რომ უფრო ყურადღებით უნდა შეემოწმებინა მათი მოწმობები, იმიტომ, რომ ეს კაცი ამ უბანში „მოღვაწე" ნარკოდილერს უფრო ჰგავდა, ვიდრე პოლიციელს. არც მის გვერდით მდგარი გოგონა ჰგავდა სამართალდამცავს. ისეთი მზერა ჰქონდა, როგორიც მხოლოდ მრავალჯერგამოვლილ მეძავებს აქვთ ხოლმე. სხვა მხრივ ქალბატონი იყო. ნამდვილი ქალბატონი. თუკი ისეთ სუტენიორს იშოვიდა, რომელიც არ გაყვლეფდა, სულ ცოტა, შეეძლო სულ ცოტა, ხუთჯერ მეტი ეშოვა.

— ვიცით, რომ აქ საროსკიპო გაქვს მოწყობილი, — თქვა პოლიციელმა.

— ჩემი სასტუმრო კანონების სრული დაცვით მუშაობს. ლიცენზია და ყველა საბუთი წესრიგში მაქვს. თუ გსურთ, შემიძლია, განახვოთ, — თქვა ბიორემ და პოლიციელებს სასტუმროს რეგისტრატურის დახლის პირდაპირ პატარა კაბინეტზე მიუთითა.

მამაკაცმა თავი გააქნია.

— ნომრებს მეძავებსა და მათ კლიენტებზე აქირავებ. ეს კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა.

— მისმინეთ, — თქვა ბიორემ და ნერწყვი გადაყლაპა. საუბარი იმ მიმართულებით წავიდა, რომლისაც ეშინოდა, — მე არ მაინტერესებს, რას აკეთებენ ჩემი სტუმრები, ვიდრე პატიოსნად მიხდიან იმას, რაც მეკუთვნის.

— მე მაინტერესებს, — მშვიდად თქვა პოლიციელმა, — კარგად დააკვირდი ფოტოს.

ბიორემ კიდევ ერთხელ შეხედა ფოტოსურათს, რომელიც, სავარაუდოდ, რამდენიმე წლის წინ იყო გადაღებული, იმიტომ, რომ მასზე გამოსახული მამაკაცი ძალიან ახალგაზრდულად, უდარდელად გამოიყურებოდა და სასოწარკვეთისა და

ტკივილის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა.

— როგორც ვიცი, ნორვეგიაში პროსტიტუცია აკრძალული არ არის, — თქვა ბიორე ჰანსენმა.

— ნამდვილად, — უპასუხა ქალმა, — მაგრამ საროსკიპოს მუშაობა აკრძალულია.

ბიორე ჰანსენმა ყველაფერი იღონა იმისთვის, რათა შეურაცხყოფილი უმანკო ადამიანის იერი მიეღო.

— პოლიციის თანამშრომლები ვალდებული არიან, რეგულარულად შეამოწმონ, რამდენად ზედმიწევნით იცავენ მეწარმეები სასტუმროს ბიზნესის წარმოების წესებსა და რეგულაციებს, — თქვა კაცმა, — აქვს თუ არა ყველა ნომერს სათადარიგო გასასვლელი, რომელიც ხანძრის შემთხვევაში იქნება საჭირო....

— რამდენად სწორად ხდება იმ მობინადრეების რეგისტრაცია, რომლებიც ნორვეგიის მოქალაქეები არ არიან, — დაამატა ქალმა.

— არსებობს თუ არა სასტუმროში სპეციალური ფაქსი, რომელიც პოლიციის სამმართველოდან ინფორმაციისა და მოთხოვნების მისაღებადაა საჭირო....

— დამატებითი ღირებულების გადასახადის ანგარიშები.

სასტუმროს მეპატრონე აცახცახდა და ამ დროს ტანმაღალმა პოლიციელმა ბოლო, გამანადგურებელი დარტყმა აგემა:

— გადაწყვეტილი გვაქვს, ეკონომიკური დანაშაულების სამმართველოში გავგზავნოთ მოთხოვნა, შემოწმდეს თქვენი ბუღალტრული გატარებები — განსაკუთრებით იმ პირებისა, რომლებიც აქ ჩვენმა აგენტებმა დააფიქსირეს ბოლო კვირების მანძილზე.

ბიორე ჰანსენმა იგრძნო, რომ გული ერეოდა. ნატაშა. ბინის ქირა, უცხო ადამიანების კიბეზე ბიბლიით ხელში გატარე-

ბული ბნელი, ცივი ღამეების გახსენებაზე კი კინაღამ იქვე მოკვდა.

— შეგვიძლია არ მოვითხოვოთ, — გაისმა პოლიციელის ხმა, — ისედაც შეზღუდულ პირობებში გვიწევს მუშაობა პოლიციაში. არც ისე ბევრი თანამშრომელი გვყავს. ასე არაა, ბრატ?

ქალმა თავი დაუქნია.

— კვირაში ორჯერ ქირაობს ოთახს, — თქვა ჰანსენმა, — ყოველთვის ერთსა და იმავე ნომერს. მთელ საღამოს იქ ატარებს ხოლმე.

— მთელ საღამოს?

— რამდენიმე ადამიანს მასპინძლობს.

— შავკანიანებს თუ თეთრებს? — იკითხა ქალმა.

— შავებს. მხოლოდ შავებს.

— რამდენს?

— არ ვიცი. ხან რვას, ხანაც თორმეტს.

— ერთდროულად? — იკითხა გაოცებულმა პოლიციელმა.

— არა. რიგრიგობით. ზოგჯერ წყვილებად. ხშირად ქუჩაშიც წყვილებად დადიან ხოლმე.

— ო, ღმერთო! — წამოიძახა პოლიციელმა.

ბიორე ჰანსენმა თავი დაუქნია.

— სასტუმროში რა სახელით რეგისტრირდება ხოლმე?

— არ მახსოვს.

— მაგრამ ხომ შეიძლება მისი სახელი სტუმართა წიგნში ამოვიკითხოთ? ან ანგარიშებში... არა?

ბიორე ჰანსენს კაშკაშა პიჯაკის ქვეშ პერანგი ეცვა, რომლის უკანა მხარე სულ მთლად გაოფლიანდა.

— ქალები, რომლებიც ამ კაცს კითხულობენ, „ექიმ უაიტს" უწოდებენ.

— ექიმია?

— არ ვიცი... — ბიორე ერთხანს დადუმდა. არ უნდოდა, რაიმე ზედმეტი ეთქვა, მეორე მხრივ კი უნდა ეჩვენებინა, რომ მზად იყო თანამშრომლობისთვის. იცოდა, რომ ეს კლიენტი უკვე დაკარგა, — ექიმები რომ ატარებენ, ისეთი დიდი ჩემოდნით მოდის ყოველთვის. და კიდევ... პირსახოცს ითხოვს ხოლმე.

— ოჰო! — წამოიძახა ქალმა, — ეს უკვე საინტერესოა. პირსახოცებს სისხლი ეტყობა ხოლმე?

ბიორემ არაფერი უპასუხა.

— თუკი ნომერს ალაგებ, შესაძლოა, სისხლიანი პირსახოცებიც შეგენიშნა, — დააზუსტა ტანმაღალმა პოლიციელმა.

ბიორემ ამოიოხრა.

— სულ ცოტას... იმაზე მეტს ნამდვილად არა, ვიდრე... ჰანსენი შეყოვნდა.

— ვიდრე ჩვეულებრივ? — დამცინავად იკითხა ქალმა.

— არა მგონია, რაიმეს უშავებდეს იმ ქალებს, — სწრაფად თქვა ბიორემ და მაშინვე ინანა.

— რატომ თვლი ასე? — იკითხა ტანმაღალმა პოლიციელმა. ბიორემ მხრები აიჩეჩა:

— ასეთ შემთხვევაში მასთან აღარ ივლიდნენ.

— გასაგებია. მხოლოდ ქალები სტუმრობენ ხოლმე?

ბიორემ თავი დაუქნია, მაგრამ ტანმაღალმა პოლიციელმა შენიშნა, როგორ დაეძაბა კისრის კუნთები და ჩაწითლებული, ცრემლიანი თვალი აუთამაშდა.

— მამაკაცებიც? — აგრძელებდა კაცი დაკითხვას. ბიორემ თავი გააქნია.

— ბიჭები? — ჩაერია ქალი, რომელიც ტოლს არ უდებდა კოლეგას.

ბიორე ჰანსენმა ისევ გააქნია თავი, მაგრამ ამჯერად მის ჟე-

სტში თავდაჯერებულობა აღარ იგრძნობოდა.

— ბავშვები? — მიხვდა ტანმაღალი პოლიციელი და, თითქოს ჰანსენის გამხნევებას ცდილობსო, თავი დახარა, — ბავშვები დადიოდნენ?

— არა! — დაიყვირა ბიორემ და იგრძნო, რომ ოფლში ცურავდა, — არასდროს! ამის უფლებას არასდროს მივცემ. მხოლოდ ორჯერ მოვიდნენ ბავშვები... მაგრამ მასთან არ შესულან, იმიტომ, რომ გავყარე!

— აფრიკელები? — იკითხა ტანმაღალმა პოლიციელმა.

— დიახ.

— ბიჭები თუ გოგონები?

— ბიჭებიც და გოგონებიც.

— ბავშვებს ახლდა ვინმე? — იკითხა კატრინმა.

— დიახ, ქალებთან ერთად მოდიოდნენ. როგორც ვხვდები, დედებთან ერთად, მაგრამ, როგორც გითხარით, იმ კაცის ნომერში არ შევუშვი.

— კვირაში ორჯერ მოდისო, თქვი. ერთსა და იმავე დროს?

— ყოველ სამშაბათსა და ხუთშაბათს. რვიდან თერთმეტ საათამდე აქ არის ხოლმე. არასდროს აგვიანებს.

— გასაგებია, — ჩაილაპარაკა ტანმაღალმა მამაკაცმა, — გმადლობ დახმარებისთვის.

ბიორემ ამოისუნთქა და ფეხებში ისეთი ტკივილი იგრძნო, თითქოს მთელი ამ დროის მანძილზე ფეხის წვერებზე იდგა.

— არაფრის, — თქვა მან და შეეცადა, გაეღიმა, თუმცა მხოლოდ მანჭვა გამოუვიდა.

პოლიციელები გასასვლელისკენ გაემართნენ. ბიორე ხვდებოდა, რომ ამ შემთხვევაში, სჯობდა, ზედმეტი არაფერი ეთქვა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ თუკი არ იკითხავდა იმას, რაც ყველაზე მეტად აღელვებდა, მშვიდად ვეღარ დაიძინებდა.

— ანუ შევთანხმდით? — მთრთოლარე ხმით მიაძახა მან დაუპატიჟებელ სტუმრებს.

ტანმაღალი პოლიციელი მობრუნდა და გაოცებულმა წარბი მაღლა ასწია.

— რაზე?

— აი... იმაზე... — ნერწყვი გადაყლაპა, — შემოწმებაზე. პოლიციელმა ნიკაპზე მოისვა ხელი.

— რატომ კითხულობ? რაიმეს უმალავ სახელმწიფო ორგანოებს?

ბიორემ თვალები დაახამხამა, ხმამაღლა გაიცინა და თქვა:

— არა, არა. რა თქმა უნდა, არა. ჰა-ჰა! აქ ყველაფერი რიგზეა.

— ძალიან კარგი. ანუ თუკი ინსპექტორები მოგაკითხავენ, არაფერი გექნება სანერვიულო. ისე კი, შემოწმება ჩვენ არ გვევალება.

პოლიციელები გავიდნენ, გაოგნებული ბიორე კი სასტუმროს მისაღებში დარჩა. ეტყობოდა, რომ პროტესტის გამომხატველი ტირადის წარმოთქმას აპირებდა, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა.

***

ჰარი კაბინეტში შედიოდა, როდესაც ტელეფონმა მისალმების ნიშნად დარეკა. რაკელი რეკავდა. ნათხოვარი DVD-დისკის დაბრუნება სურდა.

— „სექსის წესები”? — გაიმეორა გაოცებულმა ჰარიმ, — უყურე?

— შენ არ მითხარი, რომ ამ ფილმს ყველაზე ნაკლებად დაფა-

სებული კინოსურათების სიაში მოიაზრებ?

— კი, მაგრამ შენ ხომ ასეთი ფილმები არასდროს მოგწონდა.

— ტყუილია.

— შენ ხომ „ვარსკვლავური დესანტი" არ მოგწონდა.

— იმიტომ, რომ იდიოტური ფილმია მაჩოების შესახებ.

— სატირაა, — თქვა ჰარიმ.

— რისი სატირა?

— ამერიკის საზოგადოებაში დამკვიდრებულ ფაშიზმზე. „ჰარდის ბიჭები", ფაქტობრივად, იგივე ჰიტლერიუგენდია.

— კარგი რა, ჰარი! რაღაც მივარდნილ პლანეტაზე მცხოვრებ გიგანტურ მწერებთან ბრძოლა მოგწონს?

— ეგ ბრძოლა ქსენოფობიის სიმბოლოა.

— რაც უნდა იყოს, შენი ფილმოთეკიდან სამოცდაათიანების ერთი ფილმი მომეწონა მოსმენის შესახებ...

— „საუბარი", — თქვა ჰარიმ, — კოპოლა საუკეთესო რეჟისორია.

— ეგ ფილმი ნამდვილად კარგი იყო. გეთანხმები, არასათანადოდაა დაფასებული.

— ვერ ვიტყოდი, რომ არაა სათანადოდ დაფასებული, — თქვა ჰარიმ და ამოიოხრა, — უბრალოდ დავიწყებულია. „ოსკარზე" იყო წარდგენილი, ნომინაციაზე „საუკეთესო ფილმი".

— ამ საღამოს მეგობრებთან ერთად ვაპირებ ვახშმობას. შემიძლია სახლისკენ მიმავალ გზაზე შემოგიარო და გადმოგცე შენი დისკი. გეცლება შუაღამისას?

— წესით, უნდა მეცალოს. იქნებ ვახშამდე მნახო...

— გამიჭირდება, მაგრამ არაა პრობლემა.

სწრაფად ჩაილაპარაკა, მაგრამ არც ისე ძალიან სწრაფად, რომ ჰარის ვერ გაეგონა.

— ჰმ... მე მაინც ვერ ვიძინებ. სოკოს ანაორთქლს ვსუნთქავ და სული მეხუთება.

— იცი, რა? შენს საფოსტო ყუთში ჩავაგდებ და ადგომაც არ მოგიწევს. კარგი?

— კარგი.

ამით მათი საუბარი დასრულდა. ჰარიმ შენიშნა, რომ ხელი უკანკალებდა. ნიკოტინის ნაკლებობის ბრალიაო, გაიფიქრა და ლიფტისკენ გაემართა.

კატრინიც ამ დროს გამოვიდა თავისი კაბინეტიდან, თითქოს იცოდა, რომ სწორედ ჰარი დააბიჯებდა დერეფანში.

— ესპენ ლეპსვიკს ველაპარაკე. დღეს საღამოს ერთ თანამშრომელს გათხოვებს.

— მშვენიერია!

— კარგი ამბებია შენკენ?

— საიდან მოიტანე?

— ისე იღიმები.....

— მე? უბრალოდ მიხარია.

— რა?

— რა და, სიგარეტის მოწევის საშუალება რომ მომეცა, — თქვა ჰარიმ და ჯიბეზე ხელი დაირტყა.

***

ელი კვალე სამზარეულოს მაგიდასთან იჯდა. წინ ჩაის ფინჯანი ედგა, ჭურჭლის სარეცხი მანქანის დამამშვიდებელ ხმაურს უსმენდა და ფანჯარაში იხედებოდა. გვერდით, დივანზე, შავი ტელეფონი იდო. ელი ისე ძლიერად ჩაეჭიდა ყურმილს, რომ მიმღები გათბა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ნომერი შეეშალ-

ათ. ტრიუგვეს მოეწონა თევზის ბრაწულა. ჩემი უსაყვარლესი კერძიაო, თქვა, მაგრამ ყველაფერზე ასე ამბობდა. კარგი ბიჭი იყო ტრიუგვე. გარეთ ყავისფერი და უსიცოცხლო ბალახი მოჩანდა. თოვლის ნიშანწყალიც აღარ იყო დარჩენილი. ვინ იცის, იქნებ მოეჩვენა ეს ყველაფერი?

უაზროდ ჩაიხედა ჟურნალში. ტრიუგვეს ჩამოსვლის გამო რამდენიმედღიანი შვებულება აიღო, ასე რომ, შეეძლო, ცოტა ხნით მასთან ესაუბრა. პირისპირ. მაგრამ ახლა ანდრეასსთან ერთად სასტუმრო ოთახში იჯდა და იმას აკეთებდა, რისთვისაც ელიმ აიღო შვებულება. რაც ძალიან კარგი იყო. მათ უფრო მეტი ჰქონდათ სალაპარაკო. ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს. სინამდვილეში ელის კარგი საუბრის იდეა უფრო მოსწონდა, ვიდრე თავად საუბარი, იმიტომ, რომ ყოველთვის სადღაც ჩერდებოდა. რაღაც დიდ, დაუძლეველ კედელთან.

რა თქმა უნდა, დათანხმდა იდეას, ანდრეასის მამის სახელი დაერქმიათ ბიჭისთვის. ანდრეასის ოჯახიდან სახელის აღების უფლება მაინც მისცა ბიჭს.

მშობიარობამდე კინაღამ გადაწყვიტა, ეთქვა, ყველაფერი, რაც მოხდა. ეხსენებინა ცარიელი ავტოსადგომი, სიბნელე და თოვლზე დატოვებული შავი ნაკვალევი; კისერთან მიდებული დანის პირი და გახშირებული სუნთქვა მის ლოყასთან. შინ მიმავალი ელი გრძნობდა, რომ საცვლები მისი სპერმით ჰქონდა სავსე და ღმერთს შესთხოვდა, სირბილის დროს მთელი ეს სითხე გადმოღვრილიყო მისი წიაღიდან, მაგრამ ღმერთმა მისი ლოცვა არ შეისმინა.

მოგვიანებით ბევრჯერ უფიქრია იმაზე, რა მოხდებოდა, ანდრეასი რომ არ ყოფილიყო მღვდელი, რომელსაც აბორტის ხსენებაც კი არ სურდა. ან თავად რომ არ ყოფილიყო ასეთი მშიშარა. ამ შემთხვევაში ტრიუგვე არ დაიბადებოდა და...

მაგრამ იმ მომენტისთვის ყველაფერი უკვე მომხდარი იყო და კედელი უკვე აღმართულიყო. მდუმარების ურყევი კედელი. შვებას მხოლოდ ის ჰგვრიდა, რომ ტრიუგვე და ანდრეასი ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს. იმედის ნაპერწკალიც კი გაუჩნდა და მივიდა კლინიკაში, სადაც არავინ იცნობდა. ელიმ მათი სავარცხლებიდან თმის ღერები ამოაძრო და დნმ-ის ანალიზისთვის მიიტანა ლაბორატორიაში. დნმ-ს გენეტიკურ თითის ანაბეჭდად მიიჩნევდა. კლინიკიდან თმის ღერები სამეფო საავადმყოფოსთან მდებარე სასამართლო მედიცინის ინსტიტუტში წაიღეს, სადაც ამ ახალ მეთოდს ხშირად იყენებდნენ მამობის დასადგენად. ორი თვის შემდეგ ცნობილი გახდა ექსპერტიზის შედეგები. ვაგლახ, ავტოსადგომი, შავი ნაფეხურები და გახშირებული სუნთქვა უბრალოდ საშინელი სიზმარი არ გამოდგა. ელიმ კიდევ ერთხელ დახედა ტელეფონს. რა თქმა უნდა, ნომერი შეეშალათ. სუნთქვა, რომელიც მან ყურმილის აღებისას გაიგონა, სრულიად ბუნებრივი იყო. ადამიანი, რომელიც სადღაც რეკავს და ყურმილიდან ვიღაცის უცნობის ხმა ესმის, ყოველთვის იბნევა ხოლმე. არ იცის, როგორ მოიქცეს — დაკიდოს ყურმილი თუ რაიმე იკითხოს. ასეთი რამ ხშირად ხდება ხოლმე.

* * *

ჰარი შემოსასვლელში გავიდა და ინტერფონის ყურმილი აიღო.

— ალო! — დაიყვირა, რათა გადაეფარა „ფრანც ფერდინან-

დის”[15] სიმღერის ხმა, რომელიც სასტუმრო ოთახში მდგარი მუსიკალური ცენტრიდან ისმოდა.

არავინ უპასუხა. ყურმილში მხოლოდ სოფიეს-გატეზე მოძრავი ავტომობილის ხმა ისმოდა.

— ალო!

— გამარჯობა, რაკელი ვარ. იწექი?

ქალს ხმაზე ეტყობოდა, რომ ნასვამი იყო. არც ისე ბევრი ჰქონდა დალეული, მაგრამ ეს დოზა საკმარისი იყო იმისთვის, რომ ნახევარი ტონით ხმამაღლა ელაპარაკა და მის სიცილს, ამ მშვენიერ, ღრმა სიცილს, მისივე სიტყვები გადაეფარა.

— არა, — თქვა ჰარიმ, — როგორ გაატარე საღამო?

— მშვენივრად.

— ჯერ მხოლოდ თერთმეტი საათია.

— გოგონებმა გადაწყვიტეს, მალე წასულიყვნენ სახლებში, ხვალ სამუშაო დღეაო და...

— ჰმ...

ჰარიმ წარმოიდგინა რაკელი. მისი მაცდური მზერა და თვალებში მოციაგე ალკოჰოლი...

— ფილმი მოგიტანე, — თქვა ქალმა, — ჰოდა, გადავწყვიტე, საფოსტო ყუთში ჩავაგდო. ვფიქრობ, კარგი იქნება, თუკი კარს გამიღებ.

— ჰო.

ჰარიმ ინტერფონის ღილაკისკენ წაიღო თითი და... შეჩერდა. შეტევის დაწყებამდე ორი წამი რჩებოდა. ორი წამი უკან დახევამდე. კარგად ხვდებოდა, რომ არ უნდოდა მისი შემოშვება, იმიტომ, რომ ამ ყველაფრის თავიდან გავლა ძალიან მტკივნეული იქნებოდა. აი, რატომ უძგერდა გული ასე გამალ-

---

[15] *ალტერნატიული როკჯგუფი, რომელიც 2001 წელს შეიქმნა გლაზგოში*

ებით — თითქოს ორი გული ჰქონდა და არა ერთი. აი, რატომ ვერ აჭერდა თითს ღილაკს, რომელსაც რაკელი მის სახლსა და გონებაში უნდა შეეყვანა.

„დროა", — გაიფიქრა ჰარიმ და პლასტმასის ღილაკის მყარ ზედაპირს შეეხო.

— საერთოდაც... შემიძლია, ამოვიდე და ამოგიტანო, — თქვა რაკელმა.

ჰარიმ იცოდა, რომ მისი ხმა უცნაურად გაიჟღერებდა, მაგრამ მაინც თქვა:

— არ ღირს. ჩემი საფოსტო ყუთი ისაა, რომელსაც სახელი არ აწერია. ღამე მშვიდობისა.

— ღამე მშვიდობისა.

ღილაკს თითი დააჭირა და სასტუმრო ოთახში გავიდა. „ფრანც ფერდინანდის" სიმღერას კიდევ უფრო აუწია ხმა. ეცადა, ფიქრები მოეშორებინა და ნერვების იდიოტური აშლილობა დავიწყებოდა. უნდოდა, ხმა შეესრუტა — გიტარის კბილანებიანი შეტევა მიეღო. ბრაზიანი, მყიფე და არც ისე კარგად დაკრული მუსიკა. შოტლანდიური. მაგრამ ნერვიული აკორდების სერიას სხვა ხმაც შეუერთდა.

ჰარიმ მუსიკას დაუწია და შეეცადა, ზუსტად განესაზღვრა, რისი ხმა ესმოდა. გადაწყვიტა, ისევ აეწია მუსიკისთვის, როდესაც კიდევ ერთხელ მოესმა ის უცნაური ხმა. თითქოს მუყაოს ასრიალებდნენ ხეზე. ან ფეხსაცმელს ახახუნებდნენ იატაკზე. დერეფანში გავიდა და კარის ჭუჭრუტანიდან ადამიანის ფიგურა დაინახა.

ჰარიმ კარი გააღო.

— ზარი დავრეკე, — დამნაშავის ხმით თქვა რაკელმა.

— მართლა?

ქალმა DVD-დისკის ყუთი ააფრიალა ჰაერში.

— საფოსტო ყუთის ნახვრეტში ვერ ჩაეტეოდა.

რაღაცის თქმას აპირებდა. რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ ამის ნაცვლად ხელები სტაცა ქალს და თავისკენ მიიზიდა. ძალიან ძლიერად მიიკრა გულზე. ქალის გახშირებული სუნთქვა ესმოდა. რაკელის გაღებული პირი და ხარბი ენა დაინახა. სათქმელიც აღარაფერი იყო.

ქალი მის გვერდით იწვა. თბილი და რბილი.

— ღმერთო ჩემო, — ჩაიჩურჩულა ქალმა. ჰარიმ შუბლზე აკოცა.

ოფლის თხელი ფენა ჰარისა და რაკელს ერთმანეთისგან აშორებდა, მაგრამ, მეორე მხრივ, იმავე ოფლის ფენას, ერთგვარად, წებოს ფუნქცია ენიჭებოდა და ქალსა და მამაკაცს ერთმანეთთან აკავშირებდა.

ზუსტად ისე მოხდა ყველაფერი, როგორც წარმოედგინა. ისე, როგორც პირველ ჯერზე; თუმცა ამჯერად ნერვიულობის, ძიებისა და გულში დამარხული კითხვების გარეშე. ისე მოხდა, როგორც ბოლო ჯერზე — სევდისა და ქალის ქვითინის გარეშე. შეიძლება მიატოვო ის, ვისთანაც კარგი სექსი გაქვს, მაგრამ კატრინი არ ტყუოდა — ყოველთვის უკან ბრუნდები. ჰარიმ იცოდა, რომ ეს შემთხვევა ცოტა განსხვავებულიც იყო. მათი შეხვედრა რაკელისთვის ბოლო აუცილებელი პაემანი იყო წარსულთან, იმასთან, რასაც ოდესღაც თითოეული მათგანი საკუთარი ცხოვრების ყველაზე დიდ სიყვარულს უწოდებდა. იმიტომ, რომ ეს ქალი ახალ ცხოვრებას იწყებდა. ნაკლები სიყვარულით? შესაძლოა, მაგრამ უფრო საიმედო სიყვარულით.

რაკელი ჩუმად კრუტუნებდა და მის მუცელს ეფერებოდა, მაგრამ ჰარი გრძნობდა, რომ ქალი ძალიან დაძაბული იყო. ამჯერად კაცზე იყო დამოკიდებული, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები — ერთად გასატარებელ ბოლო წუთებს კიდ-

ევ უფრო გაუსაძლისს გახდიდა ქალისთვის თუ დახმარების ხელს გაუწვდიდა რაკელს. ჰარიმ მეორე გზა აირჩია.

— რა იყო, სინდისი გქენჯნის? — იკითხა მან და იგრძნო, როგორ დაუქნია ქალმა თავი.

— არ მინდა ამაზე ლაპარაკი, — ჩაიჩურჩულა ქალმა.

არც ჰარის უნდოდა. უნდოდა, ჩუმად წოლილიყო და მისი სუნთქვისთვის ესმინა. ეგრძნო, როგორ ეხებოდა ქალის ხელი მუცელზე, მაგრამ ხვდებოდა, რომ ქალი უნდა წასულიყო. ჰარის დროის გაჭიანურება არ სურდა.

— გელოდება, რაკელ.

— არა, — უპასუხა ქალმა, — ანატომიის ინსტიტუტშია. სხვა პრეპარატორებთან ერთად ამზადებს გვამს ხვალინდელი ლექციისთვის. ვუთხარი, რომ გვამების გაკვეთის შემდეგ პირდაპირ ჩემთან არ მოვიდეს ხოლმე. დღეს თავის სახლში დაიძინებს.

— და მე? — იკითხა ჰარიმ და სიბნელეში გაიღიმა. მაშ, ყველაფერი წინასწარ დაგეგმა. იცოდა, რომ ყველაფერი ასე დასრულდებოდა, —იქნებ მეც გვამებთან მქონდა დღეს საქმე?

— გქონდა?

— არა, — უპასუხა ჰარიმ და გაახსენდა სიგარეტი, რომელიც საწოლის გვერდით მდგარ ტუმბოზე იდო, — დღევანდელმა დღემ გვამების გარეშე ჩაიარა.

ერთხანს დუმდნენ. ქალის ხელი წრიულად მოძრაობდა ჰარის მუცელზე და ეს წრეწირი სულ უფრო იზრდებოდა.

— ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ვიღაცამ მიზანში ამომიღო, — სევდიანად თქვა ჰარიმ.

— რას გულისხმობ?

— მე თვითონაც არ ვიცი. უბრალოდ ვგრძნობ, რომ ვიღაც მაკვირდება. განუწყვეტლივ. ახლაც კი. ისეთი შეგრძნება მაქ-

ვს, რომ მისი გეგმის ნაწილი ვარ. გესმის?

— არა, — თქვა ქალმა და ჰარის კიდევ უფრო მძლავრად მიეკრო.

— ყველაფერი იმ საქმის გამოა, რომელსაც ახლა ვიძიებ. თითქოს რაღაც უცნაურში გავეხვიე, რაღაც...

ქალმა ყურზე უკბინა.

— ყოველთვის რაღაცაში ეხვევი, ჰარი. სწორედ ეგაა შენი პრობლემა. მოდუნდი.

ქალის ხელმა მისი მომჩვარული პენისი მონახა. ჰარიმ თვალები დახუჭა. რაკელის ჩურჩულს უსმენდა და ერექცია იგრძნო.

სამ საათზე ქალი საწოლიდან წამოდგა. ჰარიმ რაკელის ზურგს შეხედა.

ფანჯრიდან ქუჩის ლამპიონების შუქი შემოდიოდა. უკანალის რკალისებურ კონტურსა და ზურგის ჩრდილს უყურებდა. უცებ გაახსენდა კატრინის ნათქვამი — სილვია ოტერსენს ზურგზე ეთიოპიის დროშა ჰქონია ამოსვირინგებული. ეს ბრიფინგის დროს უნდა ეხსენებინა. რაკელი მართალი იყო — ჰარი ჰოლე ყოველთვის მორიგ საქმეზე ფიქრობდა. ყოველთვის რაღაცაში იყო ჩართული. რაღაცაში იყო გახვეული.

კარამდე მიაცილა. ქალმა სწრაფად აკოცა და თავქუდმოგლეჯილი დაეშვა კიბეზე. სიტყვები ზედმეტი იყო. მოხურვას აპირებდა, როდესაც კართან სველი ნაფეხურები შეამჩნია. ალბათ, რაკელმა დატოვა ამოსვლისას. უცებ გაახსენდა გადაცემა სელაპებზე. შეჯვარების ერთი პერიოდის მანძილზე დედალი სელაპი არასდროს ამყარებს კონტაქტს ერთსა და იმავე მამრთან ორჯერ, იმიტომ, რომ ეს ბიოლოგიურად რაციონალური არ არის. სელაპები ჭკვიანი არსებები არიან.

თავი XIII

მერვე დღე. ქაღალდი

მზიანი დღე გათენდა. დილის ათის ნახევარზე ჰარიმ ბიუგ-დიოივეიენზე შეუხვია და გაემართა იდილიური იერის მქონე ნახევარკუნძულისკენ, რომელიც როდკუსპლასიდან ხუთი წუთის სავალზე მდებარეობდა. სიმშვიდე სუფევდა გარშემო. სულ რამდენიმე მანქანა მოძრაობდა, სამეფო პარკის გზებზე არც მხედრები ჩანდნენ და არც მეეტლეები, ის ბილიკები კი, რომლებზეც ზაფხულში პლაჟზე მიმავალი ადამიანები დადიან ხოლმე, გაუკაცრიელებულიყო.

ჰარი შემოღობილი მოედნისკენ უხვევდა, როდესაც კატრინი დაინახა.

— თოვლი, — თქვა ქალმა და მანქანაში ჩაჯდა.

— თოვლი?

— ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც მითხარი. დაკარგულთაგან მხოლოდ შეუღლებული და, იმავდროულად, შვილიანი ქალების საქმეები ავიღე, მათი გაუჩინარების თარიღები შევადარე და აღმოჩნდა, რომ უმრავლესობა ნოემბერსა და დეკემბერში გარდაიცვალა. ეს შემთხვევები დამოუკიდებელ ჯგუფად გამოვყავი და თითოეული დაკარგულის საცხოვრებელი ადგილი განვსაზღვრე. აღმოვაჩინე, რომ მათი უმრავლესობა ოსლოში დაიკარგა, რამდენიმე ქალი ქვეყნის სხვა რეგიონებში გაუჩინარდა. და უცებ გონება გამინათდა — ის წერილი გამახსენდა, რომელიც შენ მიიღე. გამახსენდა, რომ თოვლის კაცი პირველ თოვლთან ერთად ჩნდება. იმ დღეს, როდესაც ჰოფსვეიენში ჩავედით, ოსლოში პირველი თოვლი მოვი-

და.

— მართლა?

— მეტეოროლოგიის ინსტიტუტს მივმართე და ზუსტად დათარიღებული ცნობები გამოვითხოვე. იცი, რა გავარკვიე?

ჰარიმ იცოდა. იცოდა, რომ დიდი ხნის წინ თავადვე უნდა მიმხვდარიყო ამას.

— ქალებს პირველი თოვლის მოსვლის დღეს იტაცებს.

— მართალია.

ჰარიმ საჭეს ხელისგულები დაარტყა.

— ჯანდაბა! ყველაფერი ცხვირწინ გვქონდა. რამდენი ქალია დაკარგული?

— თერთმეტი. წელიწადში ერთი იკარგებოდა.

— წელს კი ორი შემთხვევა გვაქვს, ეს კი საერთო სურათს ცვლის.

— ოთხმოცდათორმეტ წელს, იმ დღეს, როდესაც ბერგენში პირველი თოვლი მოვიდა, ქალაქში ორი მკვლელობა მოხდა. ვფიქრობ, სწორედ აქედან უნდა დავიწყოთ ათვლა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მსხვერპლი გათხოვილი, შვილიანი ქალი იყო, მისი საუკეთესო მეგობარი კი გაუჩინარდა. ამდენად, იმ შემთხვევის შემდეგ გვაქვს ერთი გვამი, დანაშაულის ადგილი, საქმის წერილობითი მასალები და ეჭვმიტანილი, რომელიც გაუჩინარდა და მას შემდეგ აღარავის უნახავს.

— ვისზეა ლაპარაკი?

— პოლიციელ გერტ რაფტოზე.

— ეგ ის არაა, დანაშაულის ადგილებიდან სამხილებს რომ იპარავდა ხოლმე?

— ჰო, ასეთი ჭორები დადიოდა... მოწმეების თქმით, რაფტო გაუჩინარებული ონი ჰეტლანის სახლში შევიდა, რის შემდეგ-

აც რამდენიმე საათში ქალი დაიკარგა.

ჰარი თვალს არ აცილებდა გზას და ჰუკ-ავენიუს ორივე მხარეს ჩამწკრივებული ხეები თვალებში ეჩხირებოდა. ამ ქუჩით ზღვაზე და, ნორვეგიელების აზრით, ყველაზე დიდი გმირობების, წყნარი ოკეანის ტივით გადაცურვისა და ჩრდილოეთ პოლუსის დაპყრობის შეუსრულებელი გეგმის უკვდავყოფისათვის შექმნილ მუზეუმებამდე შეიძლებოდა მისვლა.

— ანუ იმის თქმა გინდა, რომ არც მთლად უგზო-უკვლოდაა დაკარგული? — იკითხა ჰარიმ, — და ყოველ წელს პირველ თოვლთან ერთად ჩნდება?

კატრინმა მხრები აიჩეჩა.

— იმის თქმა მინდა, რომ ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმის გასარკვევად, რა მოხდა მაშინ.

— ჰმ... დასაწყისისთვის ბერგენს უნდა ვთხოვოთ დახმარება.

— მე ასე არ მოვიქცეოდი, — სწრაფად თქვა ქალმა.

— რატომ?

— რაფტოს საქმე ჯერ კიდევ თავსატეხია ბერგენის პოლიციისთვის, რომელმაც მის ხელთ არსებული რესურსები არა საქმის გამოძიებისთვის, არამედ ამ ამბის ჩაფარცხვისთვის გამოიყენა. ეშინოდათ იმის, რაც შეიძლება აღმოეჩინათ ძიების დროს. და რადგან ის ტიპი თავისით გაქრა... — თქვა ქალმა და ჰაერში დიდი X მოხაზა....

— გასაგებია. შენი აზრით, როგორ უნდა მოვიქცეთ?

— როგორ და, ბერგენში უნდა ჩავიდეთ და ჩვენ თვითონ უნდა ჩავატაროთ გამოძიება, იმიტომ, რომ ეს ოსლოში ჩადენილი მკვლელობის საქმის ნაწილია.

ჰარიმ მანქანა სანაპიროზე ხიდებით გარშემორტყმული, აგურით ნაგები ოთხსართულიანი სახლის წინ გააჩერა. ძრა-

ვა გამორთო, მაგრამ მანქანიდან არ გადმოსულა. თვალს არ აცილებდა ფროგნერხილენის ყურეს.

— როგორ მოხვდა რაფტოს საქმე შენს სიაში? — იკითხა მან. — ჯერ ერთი, ეგ შემთხვევა იმ პერიოდზე ადრინდელია, რომლის გადამოწმება მე დაგავალე. გარდა ამისა, ეგ საქმე არა გაუჩინარებულ ადამიანებს, არამედ მკვლელობას შეეხება.

ჰარი მობრუნდა და კატრინს დააცქერდა. ქალს თვალიც არ დაუხამხამებია, ისე შეხვდა მის მზერას.

— თავის დროზე რაფტოს საქმეს დიდი გამოხმაურება მოჰყვა ბერგენში, — თქვა ბრატმა, — ეგეც არ იყოს, ამ საქმეში იყო ერთი ფოტო...

— ფოტო?

— დიახ. ამ ფოტოს ბერგენის პოლიციის აკადემიის ყველა კურსანტს აჩვენებენ. ფოტო მკვლელობის ადგილზე გადაიღეს, ულრიკენის მწვერვალზე, და ზედ ცეცხლით მონათვლის რიტუალის ნაწილია აღბეჭდილი. ყველა შეძრწუნებული იყო ამ გამოსახულების წინა პლანით და ყურადღებას არავინ აქცევდა იმას, რაც ამ საზარელი სცენის ფონზე ჩანდა. ან უბრალოდ არასდროს ყოფილან მთის მწვერვალზე. მე კი უკანა პლანზე ძალიან საინტერესო დეტალი შევნიშნე — ერთგვარი ამაღლება იმ პლატოს უკან, სადაც მკვლელობა მოხდა. გამოსახულების ამ ნაწილის გადიდების შემდეგ აშკარად ჩანს, რას წარმოადგენს ეს მცირე ამაღლება.

— რას წარმოადგენს?

— თოვლის კაცს.

— ფოტოებს რაც შეეხება... — თქვა კატრინმა და ჩანთიდან დიდი... ყავისფერი კონვერტი ამოიღო და ჰარის გაუწოდა.

კლინიკა მესამე სართულზე მდებარეობდა. მისაღები ოთახი ძვირად ღირებული იტალიური ავეჯით იყო გაწყობილი. აქ„ფე-

რარის“ მარკის მანქანასავით დაბალი ჟურნალის მაგიდა და ნიკო ვიდერბერგის მინის ქანდაკებები იდგა, კედელზე კი როი ლიხტენშტაინის ნამუშევრის ორიგინალი ეკიდა — გრავიურა, რომელზეც ბოლში გახვეული პისტოლეტი იყო გამოსახული.

ჩვეულებრივი კლინიკების შესაფერისი, შემინული რეგისტრატურის ნაცვლად, ოთახში ძველი, ლამაზი საწერი მაგიდა იდგა, რომელთანაც ცისფერ კოსტიუმსა და თეთრ, ღილჩახსნილ ხალათში გამოწყობილი ქალი იჯდა და იღიმებოდა. მისი სანდომიანი ღიმილი არ შეცვლილა მას შემდეგ, რაც ჰარი წარუდგა, ვიზიტის მიზეზი განუმარტა და უთხრა, რომ მისი სახელი იცოდა. ბორგჰილდი.

— დაელოდეთ, თუ შეიძლება, — თქვა ქალმა და დივანზე მიუთითა. ელეგანტურ ბორტგამცილებელს ჰგავდა, რომელიც მგზავრებს უხსნის, სად მდებარეობს დამატებითი გასასვლელები. ჰარიმ უარი თქვა ესპრესოზე, ჩაისა და წყალზე და პოლიციელები დივანზე დასხდნენ.

ჰარიმ შეამჩნია, რომ ჟურნალის მაგიდაზე მხოლოდ ახალი გაზეთები ეწყო.

„ლიბერალი” გადაშალა და მისი ყურადღება მიიპყრო მთავარმა სტატიამ, რომელშიც არვე სტიოპი ირწმუნებოდა, რომ პოლიტიკოსების სწრაფვა, მონაწილეობა მიიღონ გასართობ შოუებში, იკეკლუცონ და იჯამბაზონ, ხალხის გამარჯვებაა, რომლის შედეგადაც, ხელმწიფის ინსიგნიებს ხალხი ფლობს, პოლიტიკოსები კი სამეფო კარის მასხარებად იქცნენ.

ამის შემდეგ გაიღო კარი, რომელსაც ამშვენებდა წარწერა „ექიმი იდარ ვეტლესენი” და მისაღები ოთახი ჩქარი ნაბიჯებით გადაჭრა ვიღაც ქალმა,რომელმაც ბორგჰილდს მოკლედ მიაძახა „კარგად”, და ისე გაუჩინარდა, რომ მარჯვნივ ან მარცხნივ, ფაქტობრივად, არც კი გაუხედავს.

კატრინი უცნობს თვალს არ აშორებდა.

— ეს ქალი TV2-ის საინფორმაციო გამოშვების დიქტორი არ არის?

სწორედ ამ დროს გამოუცხადა ბორგჰილდმა, ვეტლესენი მზად არის თქვენთან შესახვედრადო. ქალი იდარ ვეტლესენის კაბინეტს მიუახლოვდა და პოლიციელებს კარი გაუღო.

იდარ ვეტლესენის კაბინეტი მართლაც დირექტორის შესაფერისი ზომებისა იყო. ფანჯრიდან ოსლოფიორდის ხედი იშლებოდა. საწერ მაგიდასთან, კედელზე, ჩარჩოში ჩასმული დიპლომები ეკიდა.

— ერთი წამით, — თქვა ვეტლესენმა და ისე, რომ თავიც არ აუწევია, კომპიუტერის კლავიატურაზე ბეჭდვა განაგრძო. ბოლოს საზეიმო იერით აკრიფა უკანასკნელი სიმბოლო, სავარძელში დატრიალდა და სათვალე მოიხსნა.

— რა გნებავთ, ჰოლე? სახის დაჭიმვა? პენისის გაზრდა? ლიპოსაქცია?

— გმადლობთ შემოთავაზებისთვის, — თქვა ჰარიმ, — გაიცანით პოლიციის ოფიცერი ბრატი. კიდევ ერთხელ გეწვიეთ იმისთვის, რომ გთხოვოთ ინფორმაცია ოტერსენისა და ბეკერის შესახებ.

იდარ ვეტლესენმა ამოიოხრა, ცხვირსახოცი აიღო და სათვალის წმენდას შეუდგა.

— ჰოლე, როგორ განგიმარტოთ ისე, რომ თქვენთვის გასაგები იყოს? ჩემნაირი ადამიანისთვისაც კი, ანუ ადამიანისთვის, რომელიც პოლიციის დახმარების სურვილით იწვის და მთლიანობაში არანაკლებ პრინციპულია, არსებობს კატეგორიები, რომლებიც წმინდაა, — თქვა ვეტლესენმა და საჩვენებელი თითი ასწია, — მთელი ჩემი სამედიცინო პრაქტიკის მან-

ძილზე არასდროს... გესმით? არასდროს დამირღვევია ექიმის საიდუმლო, — იდარი თითოეულ სიტყვას თითის კაკუნს აყოლებდა — ისე ვიქცეოდი, როგორც ნამდვილ მედიკოსს შეეფერება, და არ ვაპირებ, ჩემს პრინციპებს ვუღალატო.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. ვეტლესენი სტუმრებს უცქერდა და აშკარად ეტყობოდა, რომ კმაყოფილი იყო მოხდენილი ეფექტით.

ჰარიმ ჩაახველა.

— ალბათ, მაინც შეძლებთ პოლიციის დახმარების მწველი სურვილის გაძლიერებას, ვეტლესენ. ჩვენ საბავშვო პროსტიტუციის საქმეს ვიძიებთ — მათ შორის იმ შემთხვევებს, რომლებიც აქ, ოსლოში, სასტუმრო „ლეონში" ხდება. გუშინ ჩვენმა ორმა თანამშრომელმა მაგ სასტუმროს წინ მთელი დღე გაატარა და ყველა შემსვლელსა და გამომსვლელს ფოტოები გადაუღო, — ჰარიმ გახსნა კატრინისგან მიღებული ყავისფერი კონვერტი, მაგიდის თავზე დაიხარა და ექიმს წინ ფოტოები დაუწყო, — ეს თქვენ ხართ. ასე არ არის?

ვეტლესენს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს რაღაც გადასცდა და სული ეხუთებოდა — თვალები გადმოეკარკლა და კისრის ძარღვები დაებერა.

— მე... — ძლივს ამოღერღა ექიმმა, — მე... ცუდი ან უკანონო არაფერი გამიკეთებია.

— რა თქმა უნდა, — თავი დაუქნია ჰარიმ, — გვინდა, მოწმედ დაგიბაროთ. მოწმედ, რომელსაც შეუძლია, გვიამბოს, რა ხდება იმ დაწესებულებაში. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ოდითგანვე მეძავებს კლიენტები „ლეონში" მიჰყავთ ხოლმე, მაგრამ აქამდე იმ სასტუმროში ბავშვები არ შეჰყავდათ.ჩვეულებრივისგან განსხვავებით, საბავშვო პროსტიტუცია, როგორც იცით, უკანონოა. ახლა კი, წარმოიდგინეთ, რა

მოხდება, თუკი ამ ამბავს პრესას ვაცნობებთ.

ვეტლესენი ფოტოებს დააცქერდა და გამალებით ისვამდა სახეზე ხელებს.

— სხვათა შორის, ისიც შევამჩნიეთ, როგორ გაიარა თქვენი კლინიკის მისაღებში TV2-ის ახალი ამბების გამოშვების თანამშრომელმა, — თქვა ჰარიმ, — რა ჰქვია, ხომ ვერ გამახსენებთ?

ვეტლესენმა არაფერი უპასუხა. მისი ახალგაზრდული იერი პოლიციელების თვალწინ გაქრა და ერთ წამში დაუბერდა სახე.

— დაგვირეკეთ, თუკი „თავდასაძრომ ხვრელს" იპოვით ჰიპოკრატეს ფიცში.

ჰარი და კატრინი კართანაც არ იყვნენ მისული, როდესაც ვეტლესენმა წამოიძახა:

— სინამდვილეში მხოლოდ და მხოლოდ შესამოწმებლად მოჰყავთ ხოლმე, — თქვა მან.

— რის შესამოწმებლად?

— ავადმყოფობის.

— ერთსა და იმავე ავადმყოფობას ამოწმობთ? რომელს?

— არ ღირს ამაზე ლაპარაკი.

ჰარი კარისკენ გაემართა.

— ალბათ, არც ის იქნება პრობლემა, რომ მოწმის ჩვენების მოსაცემად დაგიბარებთ. ჩვენ ხომ არაფერი გვიპოვია უკანონო.

— მოიცადეთ!

ჰარი მობრუნდა. ვეტლესენი იდაყვებით დაეყრდნო მაგიდას და სახეზე ხელები აიფარა.

— ფარის სინდრომი[16] .

---

[16] *ტვინის სისხლძარღვთა გაკირვა.აღმოაჩინა ნევროლოგმა თეოდორ ფარმა*

— ფარის?

— დიახ. იშვიათი, მძიმე დაავადებაა, რომელიც ალცჰაიმერის დაავადებას ჰგავს. ადამიანი კოგნიტურ ანუ, ჯერ კიდევ ცნობიერ დონეზე კარგავს გარკვეულ უნარებს და ამის შემდეგ საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის პრობლემები იჩენს ხოლმე თავს. როგორც წესი, პირველი სიმპტომები ოცდაათ წელს გადაცილებულ პაციენტებს უჩნდებათ, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ამ დაავადების აქტიური ფაზა ადრეულ ასაკში იწყება ხოლმე.

— ჰმ,ანუ ბირტემ და სილვიამ იცოდნენ, რომ მათ შვილებს ეს დაავადება ჰქონდათ?

— ჩემთან იმიტომ მოვიდნენ, რომ ეჭვი გაუჩნდათ. ფარის სინდრომის აღმოჩენა ძალზე ძნელია. ბირტე ბეკერმა და სილვია ოტერსენმა მრავალ ექიმს მიმართეს, მაგრამ ვერავინ დაუსვა მათ შვილებს ზუსტი დიაგნოზი. ვფიქრობ, ორივე ინტერნეტში ეძებდა პასუხს — სიმპტომები შეჰყავდათ საძიებო სისტემაში და ფარის სინდრომის განმარტებას გადააწყდნენ, რამაც, რა თქმა უნდა, ორივე დააშინა.

— და თქვენ მოგმართეს? პლასტიკურ ქირურგს?

— ეს დაავადება შემთხვევით შევისწავლე.

— რას ნიშნავს „შემთხვევით”?

— ნორვეგიაში სულ დაახლოებით თვრამეტი ათასი ექიმია. იცით, რამდენი დაავადება არსებობს ამქვეყნად? — ვეტლესენმა კედელზე დაკიდებულ სიგელებზე მიანიშნა, — ნერვული სისტემის დაავადებების კურსის პროგრამაში, რომელიც შვეიცარიაში გავიარე, ფარის სინდრომიც შედიოდა. ჩვენთან, ნორვეგიაში, არავინ მკურნალობს ფარის სინდრომს. აი, ასე გავხდი ამ დაავადების სპეციალისტი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არა მაქვს სათანადოდ შესწავლილი.

— რა შეგიძლიათ გვითხრათ ბირტე ბეკერისა და სილვია ოტერსენის შესახებ?

ვეტლესენმა მხრები აიჩეჩა.

— წელიწადში ერთხელ მოდიოდნენ შვილებთან ერთად. ბავშვებს ვამოწმებდი, მაგრამ გაუარესებას ვერ ვპოულობდი. მხოლოდ ეს ვიცი მათი ცხოვრებისა და... — ექიმმა შუბლზე დაყრილი ქოჩორი უკან გადაიყარა, — სიკვდილის შესახებ.

— გჯერა იმ ყველაფრის, რაც თქვა? — იკითხა ჰარიმ მანქანაში, როდესაც ის და კატრინი უდაბურ მინდვრებს შორის მიიკვლევდნენ გზას.

— ვერ ვიტყვი, რომ ბოლომდე მჯერა იმის, რაც თქვა, — უპასუხა ქალმა.

— მეც. ვფიქრობ, ვეტლესენს უფრო მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ, ბერგენი კი მომავლისთვის მოვიტოვოთ.

— არ გეთანხმები, — თქვა კატრინმა, — აშკარაა, რომ ამ ორ ფიგურას შორის რაღაც კავშირია.

— მართლა? რა კავშირი?

— ჯერ არ ვიცი. შეიძლება, უცნაურად მოგეჩვენოს, მაგრამ მგონია, რომ რაფტოსა და ვეტლესენს შორის რაღაც კავშირია.

— რას გულისხმობ?

— რაფტოს შეეძლო, პლასტიკური ოპერაცია გაეკეთებინა და გარეგნობა შეეცვალა.

— ვეტლესენთან?

— დიახ, მასთან. ამით შეიძლება აიხსნას ის, თუ რატომ აირჩია დამნაშავემ მაინცდამაინც ეს ორი ქალი — ორივე მათგანი ერთსა და იმავე ექიმთან დადიოდა. შესაძლოა, პირველად სწორედ კლინიკაში დაინახა რაფტომ ბირტე და სილვია.

— დასკვნა ნაადრევად გამოგაქვს, კატრინ.

— ასე გგონია?

— ასეთი საქმეები თავსატეხს ჰგავს. ფაზლს. თავიდან სხვადასხვა დეტალს ვიღებთ, აქეთ-იქით ვატრიალებთ და ვცდილობთ, ყველაფერს ზუსტი ადგილი მოვუძებნოთ. შენ კი ცდილობ, ეს პატარა, ერთმანეთისგან განცალკევებული ნაწილები დროზე ადრე დააკავშირო ერთმანეთს.

— უბრალოდ. ჩემი აზრი გითხარი, რათა განმესაზღვრა, რამდენად იდიოტურია.

— ნამდვილად იდიოტურია.

— სამმართველოში არ მივდივართ? — იკითხა ქალმა.

ჰარიმ კატრინის ხმაში ძლივს შესამჩნევი თრთოლა შენიშნა და ალმაცერად გადახედა თანამოსაუბრეს, მაგრამ ქალს სახეზე არაფერი ეტყობოდა.

— მინდა ვეტლესენის ნათქვამი გადავამოწმო ჩემს ერთ ნაცნობთან, რომელიც, სხვათა შორის, იდარსაც იცნობს.

თეთრ ხალათსა და ყვითელ ხელთათმანებში გამოწყობილი მათიასი ჰარისა და კატრინს კლინიკა „გიოუსტადის" იმ კორპუსის ავტოსადგომთან დახვდა, რომლის ფანჯრები მესამე წრიულ ავტომაგისტრალზე გადიოდა.

ექიმი პოლიციელებს მანქანის დაყენებაში დაეხმარა. როგორც ჩანს, ის ადგილი, სადაც მანქანა გააჩერეს, მათიასს ეკუთვნოდა, მაგრამ მათი შეხვედრის დროს ცარიელი იყო.

— ვცდილობ, უფრო ხშირად ველოსიპედით ვიარო ხოლმე, — თქვა მათიასმა და პლასტიკური ბარათით გააღო კარი, რომლითაც გარაჟიდან ანატომიის ინსტიტუტის ნულოვან სართულზე შეიძლებოდა მოხვედრა, — ეს გასასვლელი ძალიან მოსახერხებელია, როდესაც გვამების შემოტანა ან გატანაა საჭირო. დიდი სიამოვნებით შემოგთავაზებდით ყავას, მაგრამ ახლახან დავამთავრე ერთი ლექცია და ცოტა ხანში სხვა ჯგუ-

ფი უნდა მივიღო.

— ბოდიშს გიხდით შეწუხებისთვის. დღეს, ალბათ, ძალიან დაიღალეთ.

მათიასმა გაოცებით შეხედა ჰარის.

— გუშინ რაკელმა დამირეკა და მითხრა, რომ გუშინ გვიანობამდე მუშაობდი, — განმარტა ჰარიმ. გულში კარგად გამოლანძღა საკუთარი თავი და შეეცადა, ჩვეულებრივი გამომეტყველება არ დაკარგოდა.

— დიახ, რა თქმა უნდა, — თავი გააქნია მათიასმა, — რაკელმაც დააგვიანა გუშინ. დაქალებთან ერთად ვახშმობდა, დღეს კი საერთოდ ერთდღიანი შვებულება აიღო. ცოტა ხნის წინ დავურეკე. დაკავებული იყო სახლის კაპიტალური დაგვა- დასუფთავებით. ქალები... რას გაუგებ!

ჰარის გაეღიმა და გულში ჰკითხა საკუთარ თავს, ჰქონდა თუ არა ამ რიტორიკულ შეკითხვას სტანდარტული პასუხი.

საავადმყოფოს მწვანე უნიფორმაში გამოწყობილმა მამაკაცმა ავტოსადგომზე გამავალ კართან რკინის მაგიდა მიაგორა.

— ტრომსიოს უნივერსიტეტში ვგზავნით? — იკითხა მათიასმა.

— დაემშვიდობე ჰელდსენს, — ღიმილით უპასუხა მწვანეხალათიანმა კაცმა, რომელსაც ყურში ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილი რამდენიმე საყურე ეკეთა — ისე, როგორც მასაის ტომის ქალებს. თუმცა აფრიკელები ასეთ რგოლებს კისრებზე იკეთებდნენ, ამ კაცის სამკაულები კი მის სახეს, ცოტა არ იყოს, გამაღიზიანებელ ასიმეტრიულობას ანიჭებდა.

— ჰელდსენს? მართლა? — მათიასი წამით შედგა.

— ცამეტი წელი გვემსახურა. ახლა ტრომსიოს ჯერია.

მათიასმა ზეწარი ასწია. ჰარიმ გვამის სახე დაინახა. კანის მიღმა თავის ქალის ძვლები მოუჩანდა და სქესის ნიშნების არ-მქონე, თაბაშირის ნიღაბივით თეთრ სახეზე ბებრული ნაოჭები დასჭიმოდა. ჰარიმ იცოდა, რომ ამის მიზეზი ბალზამირება იყო. მიცვალებულის ყველა სისხლძარღვი ფორმალინის, გლიცერინისა და სპირტის ნარევით იყო სავსე. ეს ნარევი ქსოვილის ხრწნის საწინააღმდეგოდ გამოიყენება. გვამს ყურზე ლითონის ფირფიტა ჰქონდა მიმაგრებული, რომელსაც სამციფრიანი რიცხვი ეწერა. მათიასი იდგა და უყურებდა, როგორ მიათრევდნენ ჰელდსენს ავტოსადგომის კარისკენ, შემდეგ კი უცებ მოეგო გონს.

— მაპატიეთ. უბრალოდ, ჰელდსენი ძალიან დიდხანს იყო ჩვენთან. იგი ამ ინსტიტუტში ჯერ კიდევ მაშინ მუშაობდა, როდესაც ამ დაწესებულების შენობა ქალაქის ცენტრში მდებარეობდა. ანატომიის პროფესორი გახლდათ, დიდებული მეცნიერი... და საოცარი აღნაგობა ჰქონდა... კარგად გამოკვეთილი კუნთები. ძალიან დაგვაკლდება.

— დიდხანს არ დაგაყოვნებთ, — უთხრა ჰარიმ, — უბრალოდ, გვინდა, გვიამბო, როგორი დამოკიდებულება აქვს იდარს პაციენტ ქალებსა და მათ შვილებთან.

— ანუ? თქვენც იმას გულისხმობთ, რასაც მე?

მათიასმა კიდევ ერთი კარი გააღო და სტუმრებს შეუძღვა ოთახში, რომელშიც ლითონის რვა მაგიდა იდგა, ერთ-ერთ კედელზე კი დაფა ეკიდა. მაგიდებზე ლამპები და წყლის ბაკნები იყო მიმაგრებული. თითოეულ მაგიდაზე თეთრ ზეწარში გახვეული რაღაც წაგრძელებული ორგანო იდო. ჰარი მიხვდა, რომ დღევანდელი ლექციის თემა თეძოსა და ტერფს შორის მდებარეობდა. ქლორის სუნი იგრძნობოდა. „ზუსტად ისე, როგორც სასამართლო ექსპერტიზის განყოფილებაში", — გაიფი-

ქრა ჰარიმ. მათიასი ერთ-ერთ სკამზე დაჯდა, ჰარი ლექტორის მერხის კიდეზე ჩამოჯდა, კატრინი კი მაგიდასთან მივიდა და ერთად დადებულ სამ ტვინს დააკვირდა. რთული განსასაზღვრი იყო, ნამდვილი ტვინები ეწყო მაგიდაზე თუ კატრინი მულაჟებს უცქერდა. მათიასი დიდხანს დუმდა, ბოლოს კი თქვა:

— მე თვითონ არასდროს შემინიშნავს და არც სხვებისგან მსმენია, რომ იდარსა და მის პაციენტებს შორის რაიმე საეჭვო მომხდარიყო.

იმდენად მკაფიოდ გამოთქვა „პაციენტები", რომ ჰარიმ იკითხა:

— და არაპაციენტი ქალების მიმართ?

— არც ისე ახლოს ვიცნობ იდარს იმისთვის, რომ ამ საკითხზე საუბარი შემეძლოს, — თქვა მათიასმა და დაბნეულად გაიღიმა, — იმედია, ეს დაგეხმარებათ.

— რა თქმა უნდა, — თქვა ჰარიმ, — კიდევ ერთი კითხვაც მაქვს. რას გვეტყვით ფარის სინდრომის შესახებ?

— ბევრს ვერაფერს. საშინელი დაავადებაა. და, სამწუხაროდ, მეტწილად მემკვიდრეობითი...

— ამ სფეროში მომუშავე ნორვეგიელ სპეციალისტებს ხომ არ იცნობთ?

მათიასი დაფიქრდა.

— არა. ვერავის ვიხსენებ. არავინ მახსენდება.

ჰარიმ კისერზე დაისვა ხელი:

— გასაგებია. გმადლობთ, დახმარებისთვის, მათიას.

— არაფრის. დიდი სიამოვნებით დაგეხმარებით, რითაც შემიძლია. თუკი უფრო მეტი ინფორმაციის მიღება გინდათ, შეგიძლიათ საღამოს დამირეკოთ, შინ რამდენიმე საინტერესო წიგნი მაქვს.

ჰარი წამოდგა და კატრინს მიუახლოვდა. ქალმა კედელთან

მდგარ ერთ-ერთ დიდ რეზერვუარს თავი ახადა და შიგნით იხედებოდა.

მთავარმა გამომძიებელმაც ჩაიხედა იმავე ჭურჭელში. უცებ ჰარის ენა დაუბუჟდა და გააჟრჟოლა. არა ადამიანის სხეულის ნაკუწების გამო, რომლებიც ლითონის ყუთში ეყარა. არა. მიზეზი სპირტის სუნი იყო. „ორმოცი გრადუსი", — გაიფიქრა ჰარიმ.

— აქ ვინახავთ იმას, რაც ამპუტაციის შემდეგ რჩება.

ჰარიმ კატრინს შეხედა. ქალი უემოციოდ უცქერდა ადამიანების ნარჩენებს, რომლებიც საყასბოში დაფასოებული ხორცის ნაჭრებივით ეყარა ქვაბში. მათ უკან კარი გაიღო და ოთახში სტუდენტები შემოვიდნენ. ისინი ცისფერ ხალათებსა და რეზინის თეთრ ხელთათმანებს ირგებდნენ. მათიასმა პოლიციელები ავტოსადგომამდე მიაცილა. როდესაც ბოლო კარს მიუახლოვდნენ, მათიასი ფრთხილად შეეხო ჰარის იდაყვს.

— მინდა, რაღაც გითხრათ, ჰარი. არც კი ვიცი, როგორ დავიწყო...

— გისმენთ, — თქვა ჰარიმ. ახლა კი გამოაშკარავდება ის, რომ მე და რაკელი ერთად ვიყავითო, გაიფიქრა ჰარიმ.

— ძალიან მეუხერხულება, მაგრამ... რაღაც მაქვს სათქმელი იდარზე.

— რა? — იკითხა ჰარიმ. იმედგაცრუება უფრო იგრძნო, ვიდრე შვება.

— შესაძლოა, არც ნიშნავდეს რამეს... ალბათ, არც უნდა გეუბნებოდეთ, მაგრამ მგონია, რომ ასეთ მნიშვნელოვან საქმეში ლოიალურობა ყველაზე მთავარი არ არის. შემოდგომაზე, როდესაც მე ჯერ კიდევ სასწრაფო დახმარების სამსახურში ვმუშაობდი, ღამის ცვლის შემდეგ მე და ჩემი კოლეგა „ფოსტაში" წავედით წასახემსებლად და ყავის დასალევად. კაფე

„ფოსტას” დილაადრიან აღებენ ხოლმე და იქ ლუდსაც ასხამენ. ასე რომ, იქ დილიდან მრავალი მწყურვალი „ტოროლა” იკრიბება. სხვა უბედურებიც მრავლად არიან ხოლმე.

— ვიცი ეგ ადგილი, — თქვა ჰარიმ.

— ჩვენდა გასაოცრად, იდარიც იქ იყო. ვიღაც ბინძურ ბიჭთან ერთად იჯდა. ყმაწვილი წვნიანს ხვრეპდა. როგორც კი დაგვინახა, იდარი მაგიდიდან წამოვარდა. გაოგნებული ჩანდა. როგორც ჩანს, ძალიან შერცხვა, ასეთ დაწესებულებაში რომ ვნახეთ. უცნაური ჟესტით დაგვემშვიდობა — თითქოს ბოდიშს იხდიდა. ეს შემთხვევა დამავიწყდა კიდეც, უფრო სწორად, მეგონა, რომ დამავიწყდა, ვიდრე შეკითხვა არ დამისვით. მაშინვე გამახსენდა. მაშინ... თავადაც ხვდები, ალბათ, რა გავიფიქრე მაშინ.

— მესმის, — თქვა ჰარიმ და, როდესაც მათიასის ტანჯვით დაღრეჯილი სახე დაინახა, დაამატა, — სწორი გადაწყვეტილება მიიღეთ.

— გმადლობთ, — უთხრა მათიასმა და გაჭირვებით გაიღიმა, — მაგრამ ისე ვგრძნობ თავს, თითქოს იუდა ვიყო.

ჰარი შეეცადა, შესაფერისი სიტყვები მოეძებნა, მაგრამ ვერ შეძლო — უბრალოდ ხელი გაუწოდა, მადლობა დახმარებისთვისო, ჩაიბუტბუტა.

მათიასის ხელთათმნის ცივი რეზინის შეხებისას ჰარის ჟრუანტელმა დაუარა.

იუდა. იუდას ამბორი. ქალაქის ქვედა უბნებში სლემდალსვეიენით ჩამოდიოდნენ. ჰარი გონებიდან ვერ იშორებდა რაკელის ენას, რომელიც მის პირში აღმოჩნდა. ვერ ივიწყებდა ქალის ნაზ ოხვრასა და ხმამაღალ კვნესას. ცხადად ახსოვდა საზარდულის ტკივილი, როდესაც ის რაკელის ბოქვენს ეჯახებოდა; ახსოვდა რაკელის სასოწარკვეთილი იერი, როდესაც

ჰარი მოულოდნელად გაჩერდა. გაჩერდა, რათა ნეტარება გაეხანგრძლივებინა, მაგრამ რაკელი იმიტომ არ მოსულა, რომ ნეტარება გაეხანგრძლივებინა. იმიტომ მოვიდა, რომ დემონები განეგდო, სხეული განეწმინდა, რათა შინ დაბრუნებისას სულიერადაც განწმენდილიყო და დიდი დალაგება-დასუფთავება დაეწყო. და რაც უფრო მალე დაიწყებდა, მით უკეთესი...

— კლინიკაში დარეკე, — თქვა ჰარიმ.

ესმოდა, რა სწრაფად აჭერდა ღილაკებზე თითს კატრინი. ქალმა ტელეფონი გაუწოდა.

ბორგჰილდმა მაშინვე უპასუხა. მის ლაკონიურ ფრაზაში, „გისმენთ", თავაზიანობაც იგრძნობოდა და დახმარების სურვილიც.

— ჰარი ჰოლე გახლავართ. თუ შეიძლება, მითხარით, ვის უნდა მივმართო, თუკი ფარის სინდრომი დამიდგინეს?

ბორგჰილდი ხმას არ იღებდა.

— გააჩნია, — ყოყმანით თქვა მან ბოლოს.

— რას გააჩნია?

— იმას, თუ რომელ ფარის სინდრომზეა ლაპარაკი.

— გასაგებია. მანდ არის იდარ ვეტლესენი?

— წასულია და დღეს აღარ დაბრუნდება.

— უკვე წავიდა?

— კერლინგის მატჩი აქვს დღეს. შეგიძლიათ, ხვალ დაუკავშირდეთ.

ბორგჰილდს ხმაზე ეტყობოდა, რომ ძალიან უნდოდა, ეს საუბარი მალე დასრულებულიყო. ჰარიმ ივარაუდა, რომ ოფისმენეჯერის სამუშაო დღეც მთავრდებოდა და ქალი კლინიკიდან წასვლას აპირებდა.

— ბიუგდიოის კერლინგკლუბში?

— არა, კერძო კლუბში, რომელიც გიმლეს ქვემოთ არის.

— გმადლობთ. სასიამოვნო საღამოს გისურვებთ.

ჰარიმ კატრინს მიაწოდა ტელეფონი.

— ჩვენც იქ მივალთ და გამოვიჭერთ.

— ვის?

— ექიმს, რომლის ასისტენტმაც არაფერი იცის იმ დაავადების შესახებ, რომელსაც მისი უფროსი მკურნალობს.

რამდენიმე გამვლელს ჰკითხეს და, როგორც იქნა, იპოვეს „ვილა გრანდე" — მდიდრული მამული, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ეკუთვნოდა მოღალატე კვისლინგს — ნორვეგიელს, რომლის სახელიც, მეტივე-მეზღვაურისა და პოლარული ზონის მკვლევრის სახელებისგან განსხვავებით, ყველასთვის ცნობილი იყო როგორც ნორვეგიაში, ისე მის საზღვრებს გარეთ.

ნაკვეთის შორეულ კუთხეში, მომცრო გორაკის ძირში, მოჩანდა ხის გრძელი სახლი, რომელიც ძველ ყაზარმას ჰგავდა. პოლიციელებმა შენობაში შესვლისთანავე იგრძნეს სიცივე. მომდევნო კარის გავლის შემდეგ სიცივე კიდევ უფრო გაძლიერდა. ჰარიმ და კატრინმა დაინახეს ოთხი მამაკაცი, რომლებიც ყინულის მოედანზე იდგნენ. მათი წამოძახილები ექოდ გაისმოდა ხის კედლებს შორის. მამაკაცებმა პოლიციელების გამოჩენა ვერ შეამჩნიეს. ყინულის ბილიკზე მოცურავე ქვას ყვირილით აცილებდნენ გრანიტის ოცკილოგრამიან ლოდს, რომელიც შოტლანდიურ კუნძულ ეილსა-კრეიგიდან იყო ჩამოტანილი, იმავე ზომისა და წარმოშობის ქვები უღობავდა გზას. ყინულის ბილიკის ბოლოში ორი წრეწირი იყო დახატული. ერთ რიგად ჩამწკრივებული ქვები გარე წრეწირთან მდებარეობდა. მამაკაცები ბილიკზე შედგნენ. ცალ ფეხზე იდგნენ, მეორეს ბიძგისთვის იყენებდნენ. საკუთარ ჯაგრისებს ეყრდნობოდნენ,

ერთმანეთს ამხნევებდნენ და იმაზე კამათობდნენ, რა მიმართულებით უნდა გაეგორებინათ მომდევნო ქვა.

— სნობების სპორტი, — ჩაიჩურჩულა კატრინმა, — შეხედე ერთი ამათ!

ჰარიმ არაფერი უპასუხა. მას მოსწონდა კერლინგი. ყინულის ბილიკზე მოცურავე ქვაში ნამდვილად იყო რაღაც დამამშვიდებელი და მედიტაციური. თითქოს კოსმოსში მოძრაობდა — იქ, სადაც სხეულზე ხახუნის ძალა არ მოქმედებს. კუბრიკის „ოდისეის" ერთ-ერთი ხომალდივით, რომელსაც აკომპანემენტად არა შტრაუსის ნაწარმოები, არამედ ქვის მშვიდი ცურვისა და ჯაგრისების გამალებული შრიალის ხმა უნდა სდევდეს.

მოთამაშეებმა, როგორც იქნა, შენიშნეს პოლიციელები. ჰარიმ ორი მედიასახე იცნო. ერთ-ერთი არვე სტიოპი აღმოჩნდა.

იდარ ვეტლესენი ახალმოსულებთან მისრიალდა.

— შემოგვიერთდებით, ჰოლე?

შორიდანვე დაიყვირა, თითქოს ამ ფრაზას დანარჩენი მოთამაშეების გასაგონად უფრო ამბობდა. იდარის შეკითხვას ხელოვნურად მხიარული სიცილი მოჰყვა. ვეტლესენი მისივე ყბის კუნთებმა გასცა. იგი პოლიციელების წინ გაჩერდა.

სიცივის გამო პირიდან ოხშივარი ამოსდიოდა.

— თამაში დასრულებულია, — თქვა ჰარიმ.

— ვერ დაგეთანხმებით, — მიუგო იდარმა და გაიღიმა.

ჰარი გრძნობდა, რომ სიცივემ მისი ფეხსაცმლის ლანჩების ფენა გადალახა, ფეხებში შეაღწია და ნელ-ნელა მიიწევდა ზევით.

— კრიმინალური პოლიციის სამმართველოში უნდა წამოგვყვეთ, — თქვა ჰარიმ, — ახლავე.

იდარის ღიმილი უკვალოდ გაქრა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მოგვატყუეთ. თქვენ არა ხართ ფარის სინდრომის მკურნალი ექიმი.

— ვინ გითხრათ? — იკითხა ვეტლესენმა და მოთამაშეებს გახედა. უნდოდა, დარწმუნებული ყოფილიყო, რომ კლუბის სხვა წევრებს მათი საუბარი არ ესმოდათ.

— თქვენმა ასისტენტმა. მან ისიც კი არ იცის, რომ ასეთი დაავადება არსებობს.

— მისმინეთ, — თქვა იდარმა. მის ხმაში სასოწარკვეთა იგრძნობოდა, — არა გაქვთ უფლება, აქ მოხვიდეთ და წამიყვანოთ, ოღონდ აქ არა. ოღონდ არა...

— თქვენი კლიენტების წინაშე? — იკითხა ჰარიმ და მზერა იდარის უკან მდგარ მამაკაცებს მიაპყრო. არვე სტიოპი ქვას ყინულს აცლიდა და თან კატრინს აკვირდებოდა.

— არ ვიცი, რას ეძებთ, — თქვა იდარმა, — მზად ვარ თანამშრომლობისთვის, მაგრამ არა იმ შემთხვევაში, როდესაც ჩემი საუკეთესო მეგობრების წინაშე მამცირებთ და შეურაცხმყოფთ.

— გავაგრძელოთ, ვეტლესენ, — გაისმა ვიღაცის ჟღერადი ბარიტონი. არვე სტიოპის ხმა იყო.

ჰარიმ უბედურ ქირურგს შეხედა. ნეტავ რას გულისხმობდა იდარი, როდესაც ამ ხალხს „საუკეთესო მეგობრებს" უწოდებდა! პოლიციელები მხოლოდ აქ და ახლა თუ შეძლებდნენ ვეტლესენისგან რაიმეს მიღებას.

— კეთილი, — თქვა ჰარიმ, — ჩვენ წავალთ, მაგრამ ერთ საათში მაინც უნდა გამოცხადდეთ სამმართველოში. წინააღმდეგ შემთხვევაში, სირენებითა და საყვირის ფანფარებით გეწვევით. ასეთ ხმებს კი, მოგეხსენებათ, მთელი ბიუგდიოი გა-

იგონებს.

ვეტლესენმა თავი დაუქნია და ჰარისა და კატრინს უცებ ისეთი შთაბეჭდილება შეექმნათ, რომ ექიმი, ჩვეულებისამებრ, გაიცინებდა.

***

ოლეგმა ხმაურით მიაჯახუნა სახლის კარი, ფეხსაცმელი გაიძრო და კიბეზე ავარდა. სახლში ლიმონისა და საპნის სასიამოვნო სუნი იდგა. ბიჭი თავის ოთახში შევარდა. ვიდრე ჯინსს იხდიდა და სავარჯიშო შარვალს იცვამდა, კედელზე დაკიდებული ზანზალაკების ხმა არ წყდებოდა. ოთახიდან გამოვარდა და კიბის მოაჯირს სწვდა. ორი დიდი ნაბიჯით აპირებდა მთელი კიბის ჩავლას. ამ დროს დედის საძინებლიდან რაკელის ხმა მოესმა. ოლეგი დედამისის ოთახში შევიდა და დაინახა რაკელი, რომელიც საწოლის წინ მუხლმოყრილი იდგა და ხელში გრძელტარიანი ჯაგრისი ეჭირა.

— მეგონა, სახლის დალაგებას უქმეებზე მორჩი.

— კი, მაგრამ ახლა საგულდაგულოდ ვალაგებ ყველაფერს, — თქვა დედამ, წამოდგა და შუბლზე დაისვა ხელი, — სად მიდიხარ?

— მოედანზე. ციგურებით ვაპირებთ სრიალს. კარსტენი მელოდება. ჩაის დალევის დრო რომ მოვა, აქ ვიქნები.

ზღურბლს მოშორდა და წინდების ამარა გასრიალდა პარკეტზე, თან ცდილობდა, ხახუნის ძალა შეემცირებინა — ისე, როგორც ვალე ჰოვენის ერთ-ერთმა ვეტერანმა მოციგურავემ,

ერიკ ვ.-მ ასწავლა.

— ერთი წუთით მოიცადე, ყმაწვილო. ციგურებს რაც შეეხება... ოლეგი შეჩერდა. ოღონდ ეს არა! ნუთუ ციგურები იპოვა?

რაკელი კართან დადგა, თავი გვერდით გადახარა და დაჟინებით დააკვირდა თავის ვაჟს.

— იმეცადინე?

— დღეისთვის ცოტა მაქვს. ვახშმის შემდეგ ვიმეცადინებ. ბიჭმა შენიშნა, რომ დედა ყოყმანობდა და დაამატა:

— ძალიან გიხდება ეს კაბა, დედი.

ქალმა თეთრი ყვავილებით მოჩითულ ძველ ცისფერ კაბაზე დაიხედა და დამცინავად გაიღიმა, მიუხედავად იმისა, რომ მზერა მაინც მკაცრი ჰქონდა.

— მამაშენივით მელაპარაკები.

— მართლა? მე კი მეგონა, მხოლოდ რუსული იცოდა.

ბიჭს დედის წყენინება არ უნდოდა, მაგრამ შეამჩნია, რომ ქალს რაღაც დაემართა

— თითქოს დენმა დაარტყა. ბიჭი ფეხის წვერებზე შედგა.

— შეიძლება წავიდე?

***

—„დიახ, შეგიძლიათ, წახვიდეთ"! — კატრინ ბრატის ხმა გრგვინვასავით გაისმა პოლიციის სამმართველოს ნულოვან სართულზე მდებარე ფიტნესდარბაზში, — მართლა ასე უთხარი? უფლება მიეცი იდარ ვეტლესენს, წასულიყო?

ჰარიმ ზემოთ აიხედა და დააკვირდა ქალს. კატრინი ზემო-

დან დაჰყურებდა იმ სკამს, რომელზეც მთავარი გამომძიებელი იწვა. ქალის უკან გუმბათის ფორმის ჭაღი მოჩანდა. ნათელი, ყვითელი შარავანდედივით ედგა თავზე. ჰარის ძელი პირდაპირ მკერდზე ედო და ამიტომ მძიმედ სუნთქავდა. ოთხმოცდათხუთმეტი კილოგრამის აწევას აპირებდა, როდესაც დარბაზში კატრინი შემოვიდა. ჰარის ყურადღება გაეფანტა და ცდა გაუცუდდა.

— იძულებული გავხდი, — თქვა ჰარიმ და ძელი ოდნავ ზევით ასწია. ახლა სიმძიმე უშუალოდ მკერდის ძვალზე აწვებოდა, — ადვოკატი ახლდა. იუჰან კრონი.

— მერე რა?

— თავიდან კრონმა მკითხა, შანტაჟის რა მეთოდებს ვიყენებდით მისი კლიენტის წინააღმდეგ, შემდეგ კი თქვა, რომ სექსუალური მომსახურებით ვაჭრობა ნორვეგიაში ლეგალურ საქმიანობად ითვლება, და ჩვენი მეთოდები, რომელთა საშუალებითაც ვცდილობთ, პატივსაცემ ექიმს ჰიპოკრატეს ფიცი დავარღვევინოთ, საგაზეთო სტატიას იმსახურებს.

— კი მაგრამ... ეშმაკმა დალახვროს! — დაიყვირა კატრინმა ბრაზისგან აკანკალებული ხმით, — ეს ხომ მკვლელობის საქმეა!

ჰარის არასდროს ენახა მოთმინებადაკარგული კატრინი. მთავარმა გამომძიებელმა ძალიან მშვიდად და რბილად უპასუხა:

— მისმინე, ჩვენ არ შეგვიძლია მკვლელობებისა და მაგ დაავადების ერთმანეთთან დაკავშირება და ვერც იმას დავამტკიცებთ, რომ შეიძლება, ასეთი კავშირი არსებობს. კრონმა ეს კარგად იცის. ამიტომ ვეტლესენის დაყოვნების საშუალება აღარ მქონდა.

— კი, მაგრამ როგორ შეგიძლია, ... უბრალოდ იწვე აქ... და

არაფერი იღონო?!

ჰარიმ მკერდის ძვლის არეში ტკივილი იგრძნო. ხვდებოდა, რომ კატრინი ნამდვილად მართალი იყო.

ქალმა სახეზე ხელები აიფარა.

— მე... მე... მე... ბოდიშს გიხდი. უბრალოდ ვიფიქრე, რომ... უცნაური დღე გვქონდა.

— ჰო, — ამოიგმინა ჰარიმ, — შეგიძლია ამ ძელის მოშორებაში დამეხმარო? კინაღამ...

— მაგრამ, მეორე მხრივ, — წამოიძახა ქალმა და ხელები მოიშორა სახიდან, — შეიძლება ამ საქმეს მეორე მხრიდან მივუდგეთ. ბერგენის მხრიდან!

— არა, — ხროტინით თქვა ჰარიმ და ფილტვებში საერთოდ აღარ დარჩა ჰაერი, — ბერგენს დამოუკიდებელ ვერსიად ვერ განვიხილავთ. ვერ დამეხმარები...

ჰარიმ ქალს ახედა. კატრინის მუქი თვალები ცრემლებით იყო სავსე.

— ახლა ჩემი ჯერია, — ჩაიჩურჩულა ქალმა და გაიღიმა. ძალიან მოულოდნელი იყო მისგან ასეთი ქცევა. თითქოს ჰარის გვერდით სრულიად სხვა ადამიანი იდგა. კატრინს საოცარი სინათლე ჩასდგომოდა თვალებში, ხმა კი ყინულივით ცივი ჰქონდა, — რომც მოკვდე, არაფერი დაშავდება.

ჰარიმ გაიგონა, როგორ შორდებოდა კატრინი და მისი ნაბიჯები სადღაც დარბაზის მიღმა იკარგებოდა. საკუთარი ძვლების ლეწვის ხმაც გაიგონა და თვალწინ წითელი წერტილების მორევი წარმოუდგა. შეიგინა, მთელი ძალით დასწვდა ძელს და შეეცადა, აეწია. არ გამოუვიდა.

კატრინი მართალი იყო — არ იყო გამორიცხული, აქვე მომკვდარიყო. უნდა აერჩია.

„სასაცილოა, მაგრამ ასეა".

ძელი გააჯანჯღარა, ცალ მხარეს გადასწია და ბოლოს გაიგონა, როგორი გამაყრუებელი ხმაურით დაიყარა ძელზე წამოცმული რგოლები. ამის შემდეგ ძელი მეორე მხარეს გადაიხარა და იატაკზე დავარდა. ჰარი წამოდგა და სხვადასხვა მხარეს მგორავ რგოლებს დააცქერდა.

შხაპი მიიღო, ჩაიცვა და კიბით ავიდა მეშვიდე სართულზე. თავის კაბინეტში შევიდა და სავარძელში ჩაესვენა. იგრძნო, როგორ სტკიოდა კუნთები. ეს სასიამოვნო ტკივილი იმის ნიშანი იყო, რომ ხვალ სრულიად უღონოდ იქნებოდა.

ავტომოპასუხე ჩართო და სხვა შეტყობინებებთან ერთად ბიორნ ჰოლმის ხმოვანი წერილიც დახვდა, რომელშიც ექსპერტ-კრიმინალისტი მთავარ გამომძიებელს სთხოვდა, მისთვის გადაერეკა.

ჰარიმ დარეკა და როდესაც ჰოლმმა ზარს უპასუხა, ყურმილში გულის გამაწვრილებელი ღნავილი გაისმა, რომელსაც ელექტროგიტარის ღმუილი ერთვოდა თან.

— რა ხდება? — იკითხა ჰარიმ.

— დუაიტ იოკამის ხმაა, — უპასუხა ჰოლმმა და მუსიკას დაუწია, — მომხიბვლელი ნაბიჭვარია, არა?

— რა მოხდა-მეთქი, ეგ ვიგულისხმე.

—„თოვლის კაცის" წერილის ექსპერტიზის შედეგები მზადაა.

— გისმენ.

— ტექსტში განსაკუთრებული არაფერი დაფიქსირებულა. უბრალო ლაზერული პრინტერია.

ჰარი ხმას არ იღებდა. იცოდა, რომ ბიორნს რაღაც ჰქონდა.

— თუმცა ქაღალდი, რომელიც ავტორმა გამოიყენა, განსაკუთრებულია. ასეთი მასალის ფურცელი მანამდე არავის შეხვედრია ჩვენს ლაბორატორიაში. სწორედ ამიტომ დაგვჭირდა

ამდენი დრო. მოკლედ, ეს ვაშია — იაპონური ხელნაკეთი ქაღალდი, რომელიც რაღაცით პაპირუსს წააგავს. როგორც წესი, სუნით არჩევენ ხოლმე, იმიტომ, რომ გამოყენებისას მიცუმატას ბუჩქის ქერქი გამოიყენება. ამასთან, ეს ქაღალდი სრულიად გამორჩეული სახეობისაა. ამ ტიპის ფურცელს კონო ეწოდება.

— კონო?

— კონოს ყიდვა მხოლოდ სპეციალურ მაღაზიებში შეიძლება — იქ, სადაც ბატის ფრთისგან დამზადებული ძველებური ათასკრონიანი კალმები, სპეციალური მელანი და ტყავის ბლოკნოტები იყიდება. ალბათ, იცი...

— საიდან. არასდროს ვყოფილვარ მასეთ მაღაზიაში.

— არც მე, — თქვა ჰოლმმა, — მაგრამ გაირკვა, რომ ოსლოში მხოლოდ ერთი მაღაზია ყიდის კონოს. იმ სავაჭრო პუნქტს ვორსე ჰქვია — ჰამლე-დრამენსვეიენზე მდებარეობს. გამყიდველს გავესაუბრე, რომელმაც მითხრა, რომ ამ ბოლო დროს ასეთ ნივთებს იშვიათად ყიდულობენ და ამიტომ აღარც უკვეთს მომწოდებლებს. ისიც თქვა, რომ ხალხი ხარისხს ვეღარ განსაზღვრავს და აღარ აფასებს.

— ანუ...

— ანუ გამყიდველს აღარც კი ახსოვდა, ბოლოს როდის გაყიდა კონო.

— ჰმ... და ის ერთადერთი მიმწოდებელია?

— დიახ, — თქვა ჰოლმმა, — კიდევ ერთი იყო ბერგენში, მაგრამ იმ მაღაზიაში რამდენიმე წლის წინ შეწყვიტეს მაგ ქაღალდით ვაჭრობა.

ჰოლმი პასუხს ელოდებოდა. უფრო სწორად, კითხვებს. იმავდროულად, დუაიტ იოკამი ვიღაც ქალის საფლავს სიყვარულს უხსნიდა, მაგრამ ამაოდ.

— ჰარი...

— ჰო... ვფიქრობ.

— დიდებულია! — წამოიძახა ჰოლმმა.

ჰარიმ თავადაც არ იცოდა, რატომ, მაგრამ ეს პროვინციული ხუმრობა ყოველთვის აცინებდა ხოლმე. ყოველთვის, მაგრამ არა ახლა. ჰარიმ ჩაახველა.

— ნაკლებად სავარაუდოა, რომ მკვლელი დაუფიქრებლად გაუგზავნის მის დანაშაულზე მომუშავე გამომძიებელს ასეთი იშვიათი სახეობის ქაღალდს. ბევრი დეტექტიური სერიალის ნახვა არაა საჭირო იმისთვის, რათა იცოდე, რომ ამ ქაღალდს აუცილებლად შევამოწმებთ.

— იქნებ არ იცოდა, რომ რარიტეტზე დაბეჭდა? — თქვა ჰოლმმა, — იქნებ მას არ უყიდია?

— რა თქმა უნდა, არც ეგაა გამორიცხული, მაგრამ გული მიგრძნობს, რომ „თოვლის კაცი" ასეთ იაღლიშს არ დაუშვებდა.

— მაგრამ ფაქტია, რომ დაუშვა.

— იმას ვგულისხმობ, რომ ეს იაღლიში არაა. განზრახ მოიქცა ასე. იმის იმედი ჰქონდა, რომ გავარკვევდით, რა ტიპის ქაღალდი იხმარა წერილის დასაბეჭდად.

— რა მიზნით მოიქცა ასე?

— ეს კლასიკური სქემაა. ნარცისიზმით შეპყრობილი სერიული მკვლელი დგამს პიესას, რომლის მთავარი პერსონაჟიც თავადაა. იგი დაუმარცხებელი, ძლევამოსილი გმირის როლში გვევლინება. გმირისა, რომელიც ბოლოს მაინც გაიმარჯვებს.

— ვისზე გაიმარჯვებს?

— ვისზე და... — ჰარი პირველად ამბობდა ამ ფრაზას ხმამაღლა, — მასზე, ვინც მისი ფარდია, მასავით სახიფათო და მა-

სავით ნარცისიზმითაა ავად. ჩემზე.

— რატომ აგირჩია მაინცდამაინც შენ?

— არ ვიცი, შესაძლოა, იცის, რომ მე ერთადერთი პოლიციელი ვარ ნორვეგიაში, რომელმაც სერიული მკვლელი დაიჭირა. მიაჩნია, რომ მე გამოვიწვიე. ესაა მითითებული წერილშიც, სადაც ის ტუვუმბას ახსენებს. არ ვიცი, ჰოლმ. რა ჰქვია იმ მაღაზიას ბერგენში?

***

— ფლები გისმენთ!

დაახლოებით ასე თქვა ჰარის თანამოსაუბრემ გვარი „ფლესკი" — ბერგენული აქცენტითა და შესაბამისი სიმძიმით. რბილი „ლ", გრძელი, შუაში „ჩავარდნილი" „ე" და ყრუ „ს". პეტერ ფლესკი, რომელიც საკუთარ თავს „ფლებს" უწოდებდა, ქოშინებდა, ხმამაღლა ლაპარაკობდა და კეთილგანწყობით გამოირჩეოდა. დიდი სიამოვნებით ლაყბობდა. დიახ, იგი ბავშვობიდან ანტიკვარული ნივთებით ვაჭრობდა. ყველანაირი ნივთი გაუსაღებია, მაგრამ, ძირითადად, მაინც ჩიბუხებს, სანათებს, კალმებს, ტყავის ჩემოდნებსა და საკანცელარიო ნივთებს ყიდდა. ვაჭრობდა როგორც ახალი, ისე ნახმარი ნივთებით. მისი კლიენტების უმრავლესობა მასავით შუახნის უბრალო ადამიანები იყვნენ.

ჰარიმ კონოს ქაღალდზე ჩამოუგდო სიტყვა. პეტერმა გულისტკივილით აღნიშნა, რომ მაგ ტიპის ქაღალდით აღარ ვაჭრობდა. უკვე რამდენიმე წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც კონოს მარაგი შეიძინა.

— ალბათ, ძალიან ბევრს ვითხოვ, — თქვა ჰარიმ, — მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ მუდმივი კლიენტები გყავთ, შესაძლოა, გახსოვდეთ იმ ადამიანების სახელები, რომლებსაც კონო უყიდიათ.

— რამდენიმე ნამდვილად მახსოვს. მიოლერი, მაგალითად. კიდევ მიოლარენელი ბებერი კიკუსენი მახსენდება. ჩანაწერები არა გვაქვს, მაგრამ ჩემს ცოლს ძალიან კარგი მახსოვრობა აქვს.

— შეადგინეთ სია, სადაც თითოეული მყიდველის სრული სახელი, მიახლოებითი ასაკი და მისამართი იქნება აღნიშნული და ელექტრონული ფოსტით გამომიგზავნეთ, გეთაყვა...

პეტერმა პირი გააწკლაპუნა და ჰარის სიტყვა შეაწყვეტინა.

— ნწ... ელექტრონული ფოსტა არა გვაქვს, შვილო, და ვერც გვექნება უახლოეს მომავალში. შემიძლია, ფაქსით გამოგიგზავნო. ნომერი მომეცი.

ჰარიმ პოლიციის სამმართველოს ნომერი მისცა.

გამომძიებელს მოულოდნელად გაუნათდა გონება. იდეა გაუჩნდა, მაგრამ ყოყმანობდა. თუმცა იდეა უიმედოდ არასდროს მოსდის ხოლმე.

— რა თქმა უნდა, ადამიანი ვერ დაიმახსოვრებს ყველაფერს, რაც წლების მანძილზე ხდება, მაგრამ იქნებ გახსოვდეთ... თქვენს მყიდველებს შორის ხომ არ იყო ადამიანი, სახელად გერტ რაფტო?

— რკინის რაფტო? — იკითხა პეტერ ფლესკმა და გაიცინა.

— იცით, ვინ იყო რაფტო?

— ყველამ იცის, ვინც იყო რაფტო. არა, ჩემთან არაფერი უყიდია.

პოლიციის კომისარი მიოლერი ხშირად იმეორებდა, იმისთვის, რომ ერთადერთი შესაძლებლობა გამოვავლინოთ, ყვე-

ლა დანარჩენი შესაძლებლობა უნდა გამოვრიცხოთო. ამიტომ გამომძიებელი არ უნდა დაღონდეს, როდესაც მისი მორიგი ვერსია არ მართლდება. უნდა უხაროდეს. ამასთან, ჰარის უბრალოდ „იდეა გაუჩნდა".

— გასაგებია. ყველა შემთხვევაში გმადლობთ, — თქვა ჰარიმ, — კარგ დღეს გისურვებთ.

— ის არ ყოფილა ჩემი კლიენტი, — თქვა ფლესკმა, — მე ვიყავი მისი მუშტარი.

— რა?

— დიახ. ყველანაირი ჯაბახანა მოჰქონდა ჩემთან — ვერცხლის სანათებლები, ოქროს კალმები — მოკლედ, ასეთი ნივთები... ზოგიერთი ვიყიდე, მიუხედავად იმისა, რომ არ ვიცოდი, საიდან მოჰქონდა ეს ყველაფერი.

— და საიდან მოჰქონდა?

— არ გსმენია? ამბობდნენ, რომ დანაშაულის ადგილებიდან იპარავდა ხოლმე.

— მაგრამ არ ყიდულობდა...

— რაფტოს ჩვენი საქონელი არ აინტერესებდა.

— ქაღალდი? არც ქაღალდი აინტერესებდა?

— ერთი წუთით, ჩემი ცოლი მეუბნება რაღაცას...

ფლესკმა ყურმილს ხელი დაადო. ჰარის მხოლოდ ცალკეული ბგერები ესმოდა. გაისმა ყვირილი, რომელსაც წყნარი საუბარი მოჰყვა. ბოლოს ფლესკმა ყურმილს ხელისგული მოაშორა და მისთვის ჩვეული ბერგენული აქცენტით დასჭექა:

— ჩემმა მეუღლემ თქვა, რომ გერტ რაფტომ მართლაც წაიღო ქაღალდის ფურცლები, რომლებიც ჯერ კიდევ გვქონდა შემორჩენილი ბოლო შესყიდვის შემდეგ. ჩემი ცოლი ამბობს, რომ ვერცხლის კალმის გატეხილ ბუდეში გავუცვალეთ. როგორც გითხარით, ჩემს მეუღლეს მშვენიერი მახსოვრობა აქვს.

ჰარიმ ტელეფონი დადო. მიხვდა, რომ აუცილებლად უნდა წასულიყო ბერგენში. ისევ ბერგენში.

საღამოს ცხრა საათი იყო და ოსლოში, ბრიუნსალეს ნომერ ექვსში, მეორე სართულზე ჯერ კიდევ ენთო სინათლე. ერთი შეხედვით ეს ექვსსართულიანი შენობა თანამედროვე წითელი აგურითა და ვერცხლისფერი ფოლადით იყო ნაგები და ჩვეულებრივ კომერციულ კომპლექსს ჰგავდა. ინტერიერიც შესაფერისი ჰქონდა. აქ ოთხასზე მეტი კაცი მუშაობდა და უმრავლესობა — IT- სპეციალისტები, სოციოლოგები, ლაბორანტები, ფოტოგრაფები და ა.შ. — საინჟინრო საქმეებს აკეთებდა. თუმცა ამის მიუხედავად, ამ შენობაში „ორგანიზებულ და სხვა სერიოზულ დანაშაულებთან ბრძოლის ეროვნული დეპარტამენტი" იყო განთავსებული. ადრე ამ ორგანიზაციას „ნორვეგიის კრიმინალური პოლიციის მთავარი სამმართველო" ერქვა.

უკვე ცხრა საათი იყო და ესპენ ლეპსვიკმა მკვლელობის გამოძიებაში ჩართული ყველა ხელქვეითი დაითხოვა. გაჩახჩახებულ ოთახში მხოლოდ ორი კაცი იჯდა.

— ჰო, ჯერჯერობით ბევრი არ არის, — თქვა ჰარი ჰოლემ.

— ეს „ჩემი ფეხების" ერთგვარი ზრდილობიანი სინონიმია, არა? — ესპენ ლეპსვიკმა თვალები მოისრისა, — მოდი, თითო ლუდი გადავკრათ და თან მომიყევი ყველაფერი, რასაც მიაკვლიეთ.

ესპენ ლეპსვიკმა მანქანა დაძრა და ქალაქის ცენტრისკენ, „იუსტისენისკენ" აიღო გეზი. ორივეს აწყობდა ეს კაფე, იმიტომ, რომ მათი ბინებისკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა. ჰარიმ მანქანაშივე დაიწყო მოყოლა.

ისინი ხალხმრავალი ლიცენზირებული კაფეს უკანა ნაწილში ერთ-ერთ მაგიდას მიუსხდნენ. აქ მრავალგვარი ხალხი ირეოდა — დაწყებული ლუდს მოწყურებული სტუდენტებით და

კიდევ მეტად მწყურვალი ადვოკატებითა და პოლიციელებით დასრულებული.

— გადავწყვიტე, სკარეს ნაცვლად კატრინ ბრატი წავიყვანო ბერგენში, — თქვა ჰარიმ და გაზირებული წყლით სავსე ბოთლი მოიყუდა, — მის პირად საქმეს გავეცანი. გამოუცდელია, მაგრამ მასალებში ნათქვამია, რომ იქ, ბერგენში, მკვლელობის ორი საქმის გამოძიებაში მონაწილეობდა. და როგორც მახსოვს, იმ საქმეებს შენ ხელმძღვანელობდი.

— ბრატი მახსოვს, კი, — თქვა ესპენ ლეპსვიკმა, გაიკრიჭა და ლუდის კიდევ ერთი კათხის სათხოვნელად საჩვენებელი თითი ასწია.

— კმაყოფილი ხარ მისი მუშაობით?

— ძალიან. ძალიან... ძალიან... კომპეტენტურია, — ლეპსვიკმა თვალები დაახამხამა და ჰარის დააცქერდა. ჰოლემ შენიშნა, რომ მის თანამოსაუბრეს იმ დაღლილი დეტექტივის ცარიელი მზერა ჰქონდა, რომელსაც უკვე მოესწრო სამი კათხის დალევა, — ისიც დაქორწინებულია და მეც. ასე რომ არ ყოფილიყო, ალბათ, დავკერავდი კიდეც.

ლეპსვიკმა ლუდის კათხა გამოცალა.

— მაგას არ ვგულისხმობდი... შენი აზრით, ნორმალურია?

— ნორმალური?

— ჰო. არის მის ქცევებში რაღაც უცნაური. არ ვიცი, როგორ ვთქვა... რაღაც თავშეუკავებელი.

— ვხვდები, რასაც გულისხმობ, — ესპენ ლეპსვიკმა ნელა დაუკრა თავი და შეეცადა, ჰარიზე შეეჩერებინა მზერა, — იდეალური CV აქვს, მაგრამ, ჩვენ შორის დარჩეს და, ამას წინათ ერთი ტიპი მიყვებოდა რაღაც უცნაურობებს მასზე და მის ქმარზე.

ლეპსვიკი ჰარის სახეზე აღტაცებას ეძებდა, მაგრამ ამაოდ.

თუმცა მაინც განაგრძო:

— რაღაც... მოკლედ... ტყავისა და რეზინის ნივთები მოსწონს. სადომაზოხიზმითაა გატაცებული. ასეთი ტიპის კლუბშიც დადიან. მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ გარყვნილებასთანაა ეს ყველაფერი დაკავშირებული.

— ეგ ჩემი საქმე არ არის, — თქვა ჰარიმ.

— არა, არა, რა თქმა უნდა, მეც ვფიქრობ, რომ ჩემი საქმე არ არის, — თქვა ლეპსვიკმა და, თითქოს თავს იცავსო, ხელები ასწია, — ეს მხოლოდ ჭორებია, მაგრამ იცი, რა? — ლეპსვიკმა გადაიხარხარა და მაგიდაზე გადაიხარა. პირიდან ლუდის სუნი ამოსდიოდა, — სიამოვნებით ვიქნებოდი მისი სადისტური ფანტაზიების ობიექტი.

ჰარი მიხვდა, რომ ჩვეულებრივი იერის შენარჩუნება ვერ შეძლო. ლეპსვიკი შეჩქვიფდა. თითქოს ნანობდა, რომ ჰოლეს გული გადაუშალა. წელში გაიმართა და საქმიანად განაგრძო:

— პროფესიონალია. ჭკვიანი. სიჯიუტითა და საქმის ერთგულებით გამოირჩევა. რამდენიმე მტვერმიყრილ საქმეზე ცოტა გადაჭარბებული დაჟინებით მთხოვდა დახმარებას, მაგრამ არასდროს შემინიშნავს თავშეუკავებლობა. პირიქით, გულჩახვეული, პირქუში ქალია... მაგრამ ბევრია მასეთი. ჩემი აზრით, შენ და ბრატი იდეალური მეწყვილეები იქნებით.

ჰარი მიხვდა, რომ ლეპსვიკი დასცინოდა და გაეღიმა.

— გმადლობ ინფორმაციისთვის, ლეპსვიკ.

— შენ არ გამიზიარებ რაიმე სახის ინფორმაციას? შენ და იმ ქალს... რაიმე გაკავშირებთ?

— მე მხოლოდ იმას გეტყვი, რომ დღეს შენს მანქანას აქ ტოვებ, — თქვა ჰარიმ და მაგიდაზე ასკრონიანი ბანკნოტი დააგდო.

თავი XIV

მეცხრე დღე. ბერგენი

საათი ზუსტად რვა საათსა და ოცდაექვს წუთს აჩვენებდა, როდესაც ოსლო- ბერგენის რეისით მოძრავი თვითმფრინავის ბორბლები ფლესლანის აეროდრომის ასფალტს შეეხო. იმდენად მკვეთრად დაეშვა, რომ ჰარის მყისიერად გაეღვიძა.

— გამოიძინე? — ჰკითხა კატრინმა.

ჰარიმ თავი დაუქნია, თვალები მოისრისა და ილუმინატორში გაიხედა. ბერგენში წვიმიანი, მოჟამული ამინდი იყო.

— ძილში ლაპარაკობდი, — ღიმილით თქვა კატრინმა.

— ჰმ...

ჰარის არ სურდა, ეკითხა, რას ამბობდა ძილში. ზუსტად ახსოვდა, რა დაესიზმრა. არა. რაკელი არ დასიზმრებია. ღამითაც კი აღარ ესიზმრებოდა. საკუთარ თავს აუკრძალა მასზე ფიქრი. ერთმანეთი აიკრძალეს. ბიარნე მიოლერი დაესიზმრა, მისი ყოფილი უფროსი და მენტორი, რომელიც ერთხელ ბერგენის მთებში წავიდა და ორი კვირის შემდეგ რევურტიერნში იპოვეს. მიოლერმა ეს გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ იგი, ზენონის მსგავსად, ცხოვრების გაგრძელების აზრს ვეღარ ხედავდა. იქნებ გერტ რაფტოც ამ დასკვნამდე მივიდა? თუ მართლა სადღაც შორიახლოს იმალებოდა?

— რაფტოს ყოფილ ცოლს დავურეკე, — თქვა კატრინმა, როდესაც ის და ჰარი ჩამოფრენების დარბაზს კვეთდნენ, — არც მას სურს პოლიციასთან საუბარი და არც მის ქალიშვილს. დავიწყებული ტკივილის გახსენება არ უნდათ. ძალიანაც კარგი. იმ პერიოდის მოხსენებები საკმარისზე მეტ ინფორმაციას მოგვცემს.

ტერმინალიდან გამოვიდნენ და ტაქსიში ჩასხდნენ.

— გიხარია შინ დაბრუნება? — ჰკითხა ჰარიმ. მისმა ხმამ წვიმის წვეთებისა და მანქანის საქარე მინის საწმენდების ხმა გადაფარა.

კატრინმა გულგრილად აიჩეჩა მხრები.

— ყოველთვის მეჯავრებოდა წვიმა და მძულდა ბერგენელები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ აქ ისე ხშირად არ წვიმს, როგორც აღმოსავლეთ ნორვეგიის მოსახლეებს ჰგონიათ.

დანმარკპლასი გაიარეს და ჰარიმ ულრიკენს ახედა. მთა თოვლით იყო დაფარული, ფერდობზე კი მოძრავი საბაგიროები მოჩანდა. ამის შემდეგ ტაქსი სტორე ლუნგეგორდსვანის ყურეს მიუახლოვდა და პოლიციელები ვიწრო ქუჩების ქსელის შუაგულში აღმოჩნდნენ. აქვე იყო ქალაქის ცენტრიც. ეს ადგილი ქალაქის ყველა სტუმარს აოცებდა, იმიტომ, რომ მისკენ მიმავალი გზა მეტისმეტად უღიმღამო და ერთფეროვანი იყო.

ჰარი და კატრინი ბრიუგენზე მდებარე სასტუმრო „Redison CAC"-ში დარეგისტრირდნენ. ჰარიმ კატრინს ჰკითხა, ხომ არ გირჩევნია, შენს მშობლებთან დარჩეო. ქალმა იუარა, მოულოდნელი ვიზიტით ზედმეტად შევაწუხებო.

კატრინს არავისთვის უთქვამს, რომ ბერგენში ჩამოდიოდა.

სასტუმროს ნომრების გასაღები პლასტიკური ბარათები აიღეს და უსიტყვოდ შევიდნენ ლიფტში. კატრინი ჰარის უყურებდა და იღიმებოდა. თითქოს ლიფტში გამეფებული სიჩუმე ერთგვარი ხუმრობა იყო. ჰარი კაბინის იატაკს დასცქეროდა და იმედოვნებდა, რომ კატრინი ყალბ სიგნალებს არ უგზავნიდა. ან ნამდვილ სიგნალებს.

ბოლოს ლიფტის კარი გაიღო და რამდენიმე წამში ჰარიმ დერეფანში კატრინის მოძრავი თეძოები დაინახა.

— ხუთ წუთში ფოიეში შევიკრიბოთ, — მიაძახა ჰარიმ.

ექვს წუთში ის და კატრინი სასტუმროს ფოიეში ისხდნენ.

— გამაცანი დღის წესრიგი, — სთხოვა მთავარმა გამომძიებელმა.

ღრმა სავარძელში მჯდარი კატრინი წინ გადმოიწია და ტყავით გაწყობილ დღიურში ჩაიხედა. ჰარის მიერ მოცემულ მცირე დროში ტანსაცმლის გამოცვლა მოესწრო. ელეგანტური ნაცრისფერი კოსტიუმი ეცვა. ასეთი სამოსით ის სასტუმროს საქმიანი კლიენტურის საერთო მასაში გაერია.

— უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანებისა და ძალადობრივი დანაშაულების დეპარტამენტის უფროსს, კნუტ მიულერნილსენს ხვდები.

— შენ არ წამოხვალ?

— რომ წამოვიდე, ყველას უნდა მივესალმო, ვინც იქ დამხვდება. მთელი დღე ლაყბობაში დამეხარჯება. ისე, ძალიან კარგი იქნება, თუკი ჩემს სახელს არ ახსენებ. ეწყინებათ, თუკი გაიგებენ, რომ ბერგენში ჩამოვედი და მათ სანახავად არ მივდივარ. მე ოიიურდსვეიენზე გავივლი და იმ მოწმეს გავესაუბრები, რომელიც ბოლო იყო მათ შორის, ვინც რაფტო ნახა.

— ჰმ... და სად ნახა? — იკითხა ჰარიმ.

— გემთსაშენთან. მოწმემ დაინახა, როგორ გადმოვიდა რაფტო მანქანიდან და როგორ შევიდა ნორდნეს პარკში. მანქანას აღარავინ მოაკითხა. დიდი გულისყურით ეძებდნენ, მაგრამ რაფტოს კვალსაც კი ვეღარ მიაკვლიეს.

— ამის შემდეგ რას ვაკეთებთ? — იკითხა ჰარიმ და ცერი და შუათითი ყბებზე ჩამოისვა. ოსლოდან გამომგზავრებამდე წვერი უნდა გაეპარსა.

— შენ იმ მოხსენებებს გადაიკითხავ, რომლებიც იმ პერიოდში დაიწერა. ამასთან, გვერდით გეყოლება პოლიციის თანამშრომელი, რომელიც იმ საქმის გამოძიებაში მონაწილეო-

ბდა, და, სხვათა შორის, დღემდე სამმართველოში მუშაობს. იმ შემთხვევის დეტალებს გაიხსენებს, შენ კი შეეცდები, მაგ ისტორიას ახალი კუთხით შეხედო.

— არა, — თქვა ჰარიმ.

კატრინმა დღიურს თვალი მოაცილა და ჰარის მიაჩერდა.

— ის გამომძიებელი მხოლოდ იმ ინფორმაციას მომაწვდის, რომელიც მის დასკვნებს ამტკიცებს, მოხსენებებს კი ოსლოში გადავიკითხავ — მშვიდად და წყნარად. ახლა კი მინდა, რაც შეიძლება ახლოს გავიცნო გერტ რაფტო. მისი პირადი ნივთები თუ შემორჩა სადმე?

კატრინმა თავი გააქნია.

— ოჯახის წევრებმა მისი ნივთები „ხსნის არმიას" ჩააბარეს. ისე, ბევრი არაფერი დარჩენია — მის ბინაში რაღაც ავეჯი და ტანსაცმელი იპოვეს მხოლოდ.

— და საკუთრივ ბინა?

— განქორწინების შემდეგ მარტო ცხოვრობდა სანვიკენის რაიონში და მისი ბინა დიდი ხანია, გაიყიდა.

— და რა, ოჯახს არც აგარაკი დარჩა, არც საზაფხულო კოტეჯი და არც მისი მშობლების სახლი?

კატრინი ჩაფიქრდა.

— მოხსენებებში ნახსენებია პატარა კოტეჯი, რომელიც ფედიეს არქიპელაგის კუნძულ ფინიოიზე, პოლიციის საზაფხულო სახლების კვარტალშია. ასეთ შემთხვევებში ქოხები ოჯახის საკუთრებად რჩება ხოლმე, ასე რომ, ალბათ, შევძლებთ შემოწმებას. რაფტოს ყოფილი ცოლის ტელეფონის ნომერი მაქვს. დავურეკავ.

— მეგონა, პოლიციას არ ელაპარაკებოდა.

კატრინმა ეშმაკურად გაიღიმა.

ჰარიმ სასტუმროს რეგისტრატორისგან ქოლგა ითხოვა,

რომელიც ფიშეტორგეტთან, ნავსადგურის თევზის ბაზართან მისვლამდე გაფუჭდა.

როდესაც ჰარი პოლიციის სამმართველოს შენობის შესასვლელს მიუახლოვდა, ქოლგა დაჭრილ ღამურას ჰგავდა.

ჰარი პოლიციის მისაღებში იდგა და კომისარ კნუტ მიულერ-ნილსენს ელოდებოდა, როდესაც კატრინმა დაურეკა და უთხრა, რომ ფინიოიში კოტეჯი ჯერ კიდევ რაფტოს ოჯახის საკუთრება ყოფილა.

— მაგრამ ცოლს იმ ამბის შემდეგ ფეხიც აღარ დაუდგამს იქ. როგორც ჩანს, მისი ქალიშვილიც არ ჩასულა.

— იმ კოტეჯის სანახავად წავიდეთ, — თქვა ჰარიმ, — პირველ საათზე გავთავისუფლდები.

— კარგი. ნავს ვიშოვი. ზაქარიასის ნავმისადგომთან დაგხვდები.

კნუტ მიულერ-ნილსენი მოხითხითე დათუნია გამოდგა, რომელსაც ეშმაკური თვალები და ჩოგბურთის ჩოგნებისხელა ხელები ჰქონდა. მის მაგიდაზე დახვავებული ქაღალდის ზვინები თოვლის ეფექტს ქმნიდა. მიულერ-ნილსენს უზარმაზარი ხელები თავს უკან ჰქონდა შემოწყობილი.

— რაფტო... ჰმმ, — თქვა კომისარმა მას შემდეგ, რაც განაცხადა, რომ ბერგენში იმაზე იშვიათად წვიმს, ვიდრე აღმოსავლეთნორვეგიელებს წარმოუდგენიათ.

— როგორც ჩანს, ბერგენში პოლიციელების უგზო-უკვლოდ გაუჩინარების ტრადიცია არსებობს, — თქვა ჰარიმ და თითი დაადო რაფტოს ფოტოს, რომელიც საქმის სხვა მასალებთან ერთად ედო მუხლებზე.

— რატომ თვლით ასე? — იკითხა მიულერ-ნილსენმა. ფურცლებისგან თავისუფალ ერთ კუთხეში ჰარიმ საზურგიანი სკა-

მი შეამჩნია.

— გავიხსენოთ თუნდაც ბიარნე მიოლერი.

— მართალი ბრძანდებით, — თქვა მიულერ-ნილსენმა, მაგრამ ხმაზე ეტყობოდა, რომ ვერ ხვდებოდა, ვის გულისხმობდა ჰარი.

— ოფიცერი, რომელიც ფლიოიუენში გაუჩინარდა.

— რა თქმა უნდა! — წამოიძახა მიულერ-ნილსენმა და ხელი შუბლზე დაიკრა, — ტრაგიკული შემთხვევაა. აქ იმდენად მცირე დრო დაჰყო, რომ ვერც კი მოვასწარი წესიერად... ითვლება, რომ თავი მოიკლა. ასეა, ხომ?

— დიახ, — უპასუხა ჰარიმ, ფანჯარას გახედა და გაახსენდა გზა იდეალიზმიდან კორუფციამდე, რომელიც ბიარნემ გაიარა. ყველაფერს კეთილი განზრახვით აკეთებდა, საბოლოოდ კი ტრაგიკული შეცდომები დაუშვა, რომლებიც საიდუმლოდ დარჩება, — რა შეგიძლიათ, მიამბოთ გერტ რაფტოს შესახებ?

მიულერ-ნილსენი რაფტოს დახასიათებას შეუდგა. ჰარი კომისარს უსმენდა და უცებ გონებაში გაუელვა აზრმა, რომ რაფტო მის ორეულს ჰგავდა — ალკოჰოლის სიყვარული, მძიმე ხასიათი, მარტოსულობა, არასაიმედოობა, საეჭვო რეპუტაცია და არც ისე იდეალური პირადი საქმე.

— მაგრამ არაჩვეულებრივი ანალიტიკური გონება და ინტუიცია ჰქონდა, — დაამატა მიულერ-ნილსენმა, — ძლიერი ნებისყოფით გამოირჩეოდა. თითქოს რაღაც ძალა ამოძრავებდა... არც კი ვიცი, როგორ ვთქვა... რაფტო ხისტი კაცი იყო. და ისედაც... რაც მას დაემართა, კარგად მეტყველებს მის ხასიათზე.

— მაინც რა მოხდა? — იკითხა ჰარიმ და ქაღალდებს შორის ჩამალულ საფერფლეს დახედა.

— რაფტო მოძალადე იყო. ჩვენ ვიცით, რომ იგი ონი ჰეტლანის ბინაში იმყოფებოდა იმ დროს, როდესაც ქალი მოკლეს.შე-

საძლოა, ჰეტლანმა იცოდა, ვინ მოკლა მისი მეგობარი, ლაილა ოსენი. ამ ყველაფერთან ერთად რაფტო გაუჩინარდა. სავარაუდოდ, თავი დაიხრჩო. ყოველ შემთხვევაში, დამატებითი გამოძიების დანიშვნის მიზეზი არა გვაქვს.

— იქნებ საზღვარგარეთ გაიქცა!

— რატომ გგონიათ?

— ამის საშუალება რომც ჰქონოდა, მაინც არ გაიქცეოდა, იმიტომ, რომ სხვანაირი ხასიათი ჰქონდა. აი, ამ მარტივი მიზეზის გამო მივიჩნევ, რომ არ გაქცეულა.

— მისი ნათესავ-მეგობრებისგან არავის უთქვამს, რომ ცოცხალია?

მიულერ-ნილსენმა თავი გააქნია.

— მისი მშობლები გარდაცვლილები არიან. რაფტოს არც ისე ბევრი მეგობარი ჰყავდა. ყოფილ ცოლთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა, ამიტომ ძნელი წარმოსადგენია, იმ ამბის შემდეგ დაჰკავშირებოდა.

— რას იტყოდით მის ქალიშვილზე?

— რაფტოსა და მის ქალიშვილს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. კარგი გოგონაა, ჭკვიანი. კარგ ადამიანად ჩამოყალიბდა, რა თქმა უნდა, თუკი გავითვალისწინებთ იმ ყველაფერს, რის გადატანამაც მოუწია.

ჰარიმ შენიშნა, რომ კომისარი გოგონას წინასწარ არსებული წარმოდგენების საფუძველზე ახასიათებდა. „კარგ ადამიანად ჩამოყალიბდა, თუკი გავითვალისწინებთ...” — ამ ფრაზას ხშირად გაიგონებდით პოლიციის პატარა განყოფილებებში, სადაც, როგორც წესი, ყველა ყველას იცნობს.

— როგორც ვიცი, რაფტოს კოტეჯი ჰქონდა ფინიოიში... — თქვა ჰარიმ.

— დიახ. მშვენიერი ადგილია დასამალად, — თქვა მიულერ-

ნილსენმა, ხელები თავიდან ჩამოიღო და მაგიდაზე დააწყო, — იქაც ვიყავით. ძაღლებით მოვიარეთ ყველა მიმდებარე კუნძული, მაგრამ ვერ ვიპოვეთ.

— იმ კოტეჯის დათვალიერებას ვაპირებ. წინააღმდეგი ხომ არა ხართ?

— ბევრს ვერაფერს ნახავთ, სამწუხაროდ, სულ გაპარტახებულია. ჩვენი კოტეჯი რაფტოს სახლის პირდაპირ დგას... უცნაურია, რატომ არ ყიდის მისი ცოლი მაგ სახლს. ფინიოიში არ ჩადის ხოლმე... — მიულერ-ნილსენმა საათს დახედა, — შეხვედრა მაქვს, მაგრამ ამ საქმეზე მომუშავე საგამოძიებო ჯგუფის წევრ ერთ- ერთ უფროს ოფიცერს შეუძლია, საქმის მასალები გაგაცნოთ.

— არ არის საჭირო, — თქვა ჰარიმ და კიდევ ერთხელ დააკვირდა ფოტოს, რომელიც მუხლებზე ედო. მოულოდნელად ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ვიღაც ნაცნობს უყურებდა, თითქოს სულ ცოტა ხნის წინ ენახა სადღაც. მანქანიდან ხომ არ დაინახა? ან იქნებ უბრალო, არაფრით გამორჩეული გამვლელის როლი მოირგო და გვერდით ჩაუარა? საგზაო მოძრაობის მარეგულირებელი ხომ არ იყო სოფიეს-გატეში? ან იქნებ „ვინმონოპოლეტის”[17]კლიენტების კონსულტანტი იყო? ვერაფრით ხვდებოდა. ბოლოს დანებდა.

— ანუ „გერტი” არა, ხომ?

— რას გულისხმობთ? — იკითხა მიულერ-ნილსენმა.

— მთელი ჩვენი საუბრის განმავლობაში ამ კაცს უბრალოდ „რკინის რაფტოდ” მოიხსენიებთ. სახელით არავინ მიმართავდა?

---

[17] *ერთადერთი ალკოჰოლური სასმელების კომპანია, რომელსაც უფლება აქვს 4, 75%-ზე მეტი ალკოჰოლის შემცველი სასმელები გაყიდოს*

მიულერ-ნილსენმა უცნაური მზერა ესროლა ჰარის და შეეცადა, გაეცინა, მაგრამ საბოლოოდ ცალყბად გაიღიმა.

— არა... ალბათ, არც უცდია ვინმეს.

— კეთილი. გმადლობთ დახმარებისთვის.

განყოფილებიდან გამოსვლისას ჰარიმ გაიგონა, როგორ ეძახდა მას მიულერ-ნილსენი. კომისარი თავისი კაბინეტის კართან იდგა და მისი ნათქვამი დერეფნის კედლებში ექოდ გაისმოდა.

— ვფიქრობ, ასეთი მიმართვა თავად რაფტოსაც არ მოეწონებოდა.

ჰარი ქუჩაში გავიდა, გაჩერდა და დიდხანს უყურებდა გამვლელებს, რომლებიც ქარისა და წვიმის გამო მოხრილიყვნენ და სწრაფად მიაბიჯებდნენ ტროტუარზე. ის უცნაური შეგრძნება მაინც არ ტოვებდა. შეგრძნება იმისა, რომ ვიღაც — ან რაღაც — ყოველთვის მის გვერდითაა და უთვალთვალებს. და იდუმალი თანამგზავრის დასანახად საკმარისია გარშემო მიმოიხედოს და სათანადო განათების წყალობით სწორი კუთხე აირჩიოს.

კატრინი ჰარის დათქმულ ადგილზე დახვდა.

— მეგობარმა მათხოვა, — თქვა ქალმა, როდესაც ის და ჰარი ცდილობდნენ, ნავი გადაჭედილი ნავმისადგომიდან გაეყვანათ. როდესაც ნურნესს შემოუარეს, ჰარიმ რაღაცის ხმა გაიგონა, შებრუნდა და ტოტემის სვეტი შენიშნა. ხეზე ამოკვეთილი პირდაფჩენილი სახეები გააფთრებული იერით უყვიროდნენ. ნავის თავზე ცივი ქარი დატრიალდა.

— აკვარიუმის სელაპები არიან, — თქვა კატრინმა. ჰარიმ კიდევ უფრო მჭიდროდ შემოიხვია პალტო.

ფინიოი ძალიან პატარა კუნძული აღმოჩნდა. წვიმით გაჟღენთილ მიწაზე მხოლოდ მანანა იზრდებოდა. ხმელეთის ამ

ნაგლეჯს საკუთარი ნავმისადგომი ჰქონდა. კატრინმა ნავი სწორედ მასთან გააჩერა. საცხოვრებელი სივრცე სულ სამოციოდე პატარა სახლისგან შედგებოდა. ჰარის მაღაროელების სახლები გაახსენდა, რომლებიც სოუეტოში ჰქონდა ნანახი.

კატრინი სახლებს შორის გამავალ ხრეშის ბილიკს დაადგა და ჰარი ერთ-ერთ კოტეჯთან მიიყვანა. ის მკვეთრად გამოირჩეოდა სხვებისგან — კედლებიდან საღებავი ჩამორეცხილიყო, ერთი ფანჯარა კი გატეხილი აღმოჩნდა. კატრინი ფეხის წვერებზე აიწია, კარის თავზე დამაგრებული ფარნის ტიხარს მისწვდა და გახსნა. უსიამოვნო ხმა გაისმა და იმავე წამს ფარნიდან გადმოიყარა დახოცილი მწერები და გასაღები, რომელიც კატრინმა ჰაერში დაიჭირა.

— ყოფილ ცოლს მოვეწონე, — თქვა მან და გასაღები კარის საკეტის ღრიჭოში მოათავსა.

კოტეჯში ობისა და ნესტიანი ხის სუნი იდგა. ჰარი ნახევრად ჩაბნელებულ სივრცეს მიაჩერდა. უცებ ჩამრთველის ჩხაკუნის ხმა გაიგონა და ოთახში შუქი აინთო.

— სახლს არ იყენებს, მაგრამ ელექტროენერგია მაინც აქვს, — თქვა ჰარიმ.

— კომუნალური ქსელია, — თქვა კატრინმა და მიმოიხედა, — პოლიცია იხდის.

ოცდახუთ კვადრატულმეტრიანი სახლი გაერთიანებული სამზარეულოს, სასტუმრო ოთახისა და საძინებლისგან შედგებოდა. მისაღები ოთახი და სამზარეულო ლუდის ცარიელი ბოთლებით იყო სავსე. შიშველ კედლებზე არაფერი ეკიდა, ფანჯრების რაფებზე არ ჩანდა რაიმე სახის მორთულობა. თაროებზე წიგნები არ ეწყო.

— აქ სარდაფიცაა, — თქვა კატრინმა და იატაკში გაჭრილ კარზე მიუთითა, — როგორ მოვიქცეთ?

— უნდა ვეძებოთ.

— რა?

— ამაზე ფიქრიც არ ღირს.

— რატომ?

— იმიტომ, რომ თუკი რაიმე კონკრეტულს ეძებ, შესაძლოა, სხვა, უფრო მნიშვნელოვანი დეტალი გამოგრჩეს. ნათელი, ნეიტრალური გონებით მიუდექი საკითხს. როდესაც დაინახავ, მაშინვე მიხვდები, რასაც ეძებდი.

— კარგი, — ზანტად ჩაილაპარაკა კატრინმა.

— შენ აქედან დაიწყე, — თქვა ჰარიმ, იატაკში ამოჭრილ კარს მიუახლოვდა და მასზე დამაგრებულ რკინის რგოლს დასწვდა. გამოჩნდა ვიწრო კიბე, რომელიც სადღაც უკუნეთში იკარგებოდა. ჰარის იმედი ჰქონდა, რომ კატრინმა ვერ შეამჩნია, როგორ შეჩქვიფდა მისი უფროსი.

სახეზე დიდი ხნის წინ მკვდარი ობობას მშრალი ქსელი ეწებებოდა. ნელ-ნელა ჩადიოდა ნესტის, მიწისა და ჟანგის სუნით გაჟღენთილ სიბნელეში. კიბის ქვეშ ჩამრთველი მოსინჯა ხელით, გადაატრიალა, მაგრამ შუქი არ აინთო. სარდაფში სინათლის ერთადერთ წყაროს კედელთან მიდგმული მაცივრის ზედა ნაწილზე მოციმციმე წითელი ნათურა წარმოადგენდა. ჰარიმ ფარანი აანთო და ორი კარი შენიშნა. საკუჭნაოები.

ერთ-ერთი კარის გამოღება სცადა. გამაყრუებელი ჭრიალი გაისმა და ჰარიმ დურგლის სახელოსნო დაინახა, რომელიც ინსტრუმენტებით იყო სავსე.

ამბიციურმა კაცმა მხოლოდ მკვლელები კი არ უნდა ეძებოს, რაიმე სასარგებლოც უნდა აკეთოსო, გაიფიქრა ჰარიმ.

მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ ამ ინსტრუმენტებს არც ისე ხშირად იყენებდნენ. შესაძლოა, რაფტო ფიქრობდა, რომ რაღაც სხვა საქმე უნდა ეკეთებინა. ალბათ, მიაჩნდა, რომ იგი არა

მშენებელი, არამედ დამანგრეველი იყო. ჰარიმ მკვეთრი ხმა გაიგონა, რომელიც მის ზურგს უკან გაისმა. მაშინვე შებრუნდა და მიხვდა, რომ მაცივრის თერმოსტატი ხმაურობდა. ჰარი მეორე სათავსში შევიდა და ნაჭერში გახვეული რაღაც უფორმო გროვა დაინახა. ქსოვილი გადახადა თუ არა, მიწისა და სინესტის სუნი უფრო გამძაფრდა ჰაერში. ფარნის შუქზე ჰარიმ შეამჩნია მზის ქოლგა, რომელიც აღარაფრად ვარგოდა. აქვე იდგა პლასტმასის მაგიდა, მაცივრის რამდენიმე უჯრა, ფერგადასული პლასტმასის სკამები და კროკეტის[18] სათამაშო ინვენტარის ნაკრები. სარდაფში სხვა არაფერი იყო. ზედა სართულიდან კატრინის ფეხის ხმა მოისმა და ის იყო, სათავსის დახურვა დააპირა, მაგრამ როდესაც ფარდაგი გადასწია, ერთ-ერთი უჯრა კარისკენ გასრიალდა. ჰარიმ გადაწყვიტა, ფეხით გაეწია, მაგრამ უცებ გადაიფიქრა და მაცივრის ამ დეტალს დააკვირდა. ფარანი მიანათა და უჯრის კიდეზე წარწერა შენიშნა: „ელექტროლუქსი". იმ კედლისკენ გაეშურა, რომლის თერმოსტატიც ჯერ კიდევ გუგუნებდა. მაცივარსაც „ელექტროლუქსი" ეწერა. სახელურს დასწვდა, გამოქაჩა, მაგრამ კარი არ გაიღო. სახელურის ქვეშ ბოქლომი შენიშნა და მიხვდა, რომ მაცივარი ჩაკეტილი იყო. ინსტრუმენტების თაროსთან მივიდა ძალაყინის ასაღებად და როდესაც დაბრუნდა, კატრინი უკვე სარდაფში ჩამოდიოდა.

— ზემოთ არაფერია, — თქვა ქალმა, — მგონი, დროა, წავიდეთ. რას აკეთებ?

— ვცდილობ, უნებართვოდ შევიჭრა სხვის საკუთრებაში, — თქვა ჰარიმ, ძალაყინის ზედა ნაწილი მაცივრის კარის ძირში, პირდაპირ ბოქლომის თავზე მოათავსა და მთელი სხეულით დააწვა მეორე მხრიდან. უშედეგოდ. კიდევ ერთხელ შეეცადა

---

[18] *სპორტული თამაში*

გახსნას. ამჯერად ცალი ფეხი კიბეზე დადგა და ისე დააწვა ძალაყინის ტარს.

— ჯანდაბა!

კარი ყრუ ტკაცუნით გაიღო და ჰარი გადაყირავდა. გაიგონა, როგორ დაეცა მისი ფარანი ქვის იატაკზე. მყინვარის სუნთქვასავით ცივი ჰაერი იგრძნო. სცადა, მის უკან გადავარდნილი ფარანი ეპოვა და ამ დროს კატრინის ხმა გაიგონა. ქალი შემაძრწუნებლად კიოდა. სარდაფში დაბალი, ხმაჩახლეჩილი, შეკავებული სლოკინისა და სიცილის მსგავსი ხმა ისმოდა. ასე მხოლოდ მშობიარე ქალები ყვირიან ხოლმე. მათი ხმა ტკივილის გამომხატველ რიტუალურ სიმღერას ჰგავს. ჰარი, როგორც იქნა, შებრუნდა და მანაც დაინახა ის, რამაც კატრინის ასეთი რეაქცია გამოიწვია. მაცივარი თორმეტი წლის მანძილზე გაუჩერებლად მუშაობდა და როდესაც კარი გაიღო, მაცივრის შიგნით დამონტაჟებული განათებაც ავტომატურად ამუშავდა. მაცივარში რაღაც არსება იყო ჩატენილი. ხელები წინ ჰქონდა გაშვერილი, მუხლმოხრილი იდგა, მისი თავი კი მაცივრის კედელს ეყრდნობოდა. სხეული ყინულის თეთრი კრისტალებით ჰქონდა დაფარული. ყინული ძალიან ჰგავდა თეთრი სოკოს ფენას, რომელიც, ერთი შეხედვით, ამ ორგანიზმით იკვებებოდა. აი, ამიტომ კიოდა კატრინი. მაგრამ ჰარის ამის გამო არ ერეოდა გული. როდესაც კარი გაიღო, სხეული წინ გადმოიხარა, თავი მაცივრის კიდეს გამოედო, ყინულის კრისტალები სახიდან ჩამოსცილდა და იატაკზე დაიყარა... და ჰარიმ მოღიმარი გერტ რაფტო დაინახა. ღიმილი, რომელიც საგულდაგულოდ, შავი ლურსმნებით ამოეკერათ, ერთი ყურიდან იწყებოდა და მეორე ყურთან მთავრდებოდა. მაგრამ ჰარის ყურადღება ცხვირმა მიიპყრო და კინაღამ გული აერია. გვამს ცხვირის ძვალი და ძგიდე ჰქონდა ამოჭრილი,სტ-

აფილოს კი სიცივისგან სულ მთლად დაკარგოდა ფერი. მაცივარში თოვლის კაცი იდგა.

ნაწილი

მესამე

თავი XV

მეცხრე დღე. რვიანი

საღამოს რვა საათი იყო, გრიონლანსლეირეტზე მდებარე ოსლოს პოლიციის სამმართველოს მეშვიდე სართულზე კი ჯერ კიდევ ენთო შუქი. ჰარის კაბინეტში ჰოლმი, სკარე, ესპენ ლეპსვიკი და მკვლელობის საქმეთა განყოფილების უფროსი, კომისარი გუნარ ჰაგენი შეკრებილიყვნენ. გერტ რაფტოს გვამის აღმოჩენიდან ექვს-ნახევარი საათი იყო გასული, ჰარიმ კი ოთხი საათის წინ დარეკა ბერგენიდან, საგანგებო თათბირი დანიშნა და აეროპორტისკენ გაეშურა.

ჰარის უკვე მომზადებული ჰქონდა ანგარიში მაცივარში ნაპოვნ გვამზე, ასე რომ, როდესაც შეკრებილ საზოგადოებას ბერგენის პოლიციის მიერ ელექტრონული ფოსტით გამოგზავნილი ფოტოები უჩვენა, კომისარიც კი შეკრთა.

— გვამის გაკვეთის ოქმი ჯერ მზად არ არის, — თქვა ჰარიმ, — მაგრამ სიკვდილის მიზეზი აშკარაა — ცეცხლსასროლი იარაღის გასროლა პირის ღრუში. ტყვიამ სასა გაარღვია და კეფიდან გამოვიდა. დანაშაული იქ მოხდა, სადაც გვამი ვიპოვეთ. ბერგენელმა ბიჭებმა ტყვია სათავსის კედელში იპოვეს.

— სისხლი? ტვინის ქსოვილი? არ აღმოუჩენიათ? — იკითხა სკარემ.

— არა, — უპასუხა ჰარიმ.

— ამდენი წლის შემდეგ რაღა დარჩებოდა, — თქვა ლეპსვიკმა, — ბაქტერიები, მწერები...

— არაა გამორიცხული, რაიმე დარჩენილიყო, — თქვა ჰარიმ, — ექიმებს ვესაუბრე და ერთსა და იმავე დასკვნამდე მივედით — სავარაუდოდ, რაფტომ თავად იზრუნა იმაზე, რომ მი-

სი მკვლელობის ადგილს ძალიან გულისამრევი იერი არ ჰქონოდა.

— რაო? — იკითხა სკარემ.

— უჰ! — აღმოხდა ლეპსვიკს.

ბოლოს სკარე მიხვდა, რაც იგულისხმა ჰარიმ და შეძრწუნებისგან სახე დაემანჭა.

— ეშმაკმა დალახვროს...

— ბოდიშს ვიხდი, — თქვა ჰაგენმა, — იქნებ ვინმემ ამიხსნას, რაზე ლაპარაკობთ?

— ამ მეთოდს ხშირად იყენებენ თვითმკვლელები, — თქვა ჰარიმ, — საბედისწერო გასროლამდე ლულაში არსებულ ჰაერს ისუნთქავენ და შექმნილი ვაკუუმის გამო ნაკლები... — ჰოლე ცდილობდა, სათანადო სიტყვა მოეძებნა, — სიბინძურე გამოიყოფა. როგორც ჩანს, რაფტოს უბრძანეს, ლულაში არსებული ჰაერი ამოეწოვა.

ლეპსვიკმა თავი გააქნია.

— რაფტოსთანა პოლიციელს ნამდვილად ეცოდინებოდა, რატომ უბრძანეს ასეთი რამ.

ჰაგენი გაფითრდა.

— კი მაგრამ, როგორ... როგორ შეიძლება, ადამიანს აიძულო, ამოწოვოს...

— როგორც ჩანს, არჩევანის გაკეთებამ მოუწია, — თქვა ჰარიმ, — გამომდინარე იქიდან, რომ ტყვიის სროლის გარდა ადამიანის მოკვლის სხვა საშუალებებიც არსებობს.

სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. ჰარი ერთხანს დუმდა, შემდეგ კი განაგრძო:

— რაფტო პირველი მსხვერპლია, რომლის ცხედარიც ვიპოვეთ. ისიც დამალეს, მაგრამ გაცილებით ადრე აღმოაჩენდნენ, კოტეჯის მეპატრონეებს ასე ძალიან რომ არ ეზიზღებოდეთ და

ეშინოდეთ აქაურობისა. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ რაფტო გეგმის ნაწილი არ ყოფილა.

— სერიული მკვლელის გეგმას გულისხმობ? — იკითხა კომისარმა. მისი ინტონაცია იმაზე მიანიშნებდა, რომ იგი შეეგუა იმ აზრს, რომ ნორვეგიაში, სადაც მანამდე სერიული მკვლელობები არ ხდებოდა, ვიღაც მანიაკი დაძრწოდა.

ჰარიმ თავი დაუქნია.

— თუკი გეგმის ნაწილი არ იყო, მაშინ რა მოტივი ჰქონდა მკვლელს?

— ძნელია რაიმეს მტკიცება, მაგრამ როდესაც დეტექტივს კლავენ, სავსებით ბუნებრივად ჩნდება ეჭვი, რომ ის ხიფათს უქმნიდა მკვლელს.

ესპენ ლეპსვიკმა ჩაახველა და თქვა:

— ზოგჯერ მოტივი იმ ზომებში ვლინდება, რომელსაც მკვლელი იღებს მოკლულის მიმართ. რატომ ჩაარჭო ცხვირის ადგილზე სტაფილო? დიდი ცხვირის იმიტაცია შექმნა და ამით სარკაზმით გაჯერებული გზავნილი დაგვიტოვა.

— მასხრად გვიგდებს? — იკითხა ჰაგენმა.

— იქნებ იმას გვეუბნება, რომ მის საქმეში ცხვირი არ უნდა ჩავყოთ? — მორიდებით თქვა ჰოლმა.

— ნამდვილად! — წამოიძახა ჰაგენმა, — ერთგვარი მინიშნებაა სხვა მაძებრებისთვის, — განმარტა კომისარმა, ალმაცერად გადახედა ჰარის და კაბინეტში შეკრებილ საზოგადოებას მიმართა, — და ამოკერილ პირს როგორ ახსნით?

— ალბათ, მოწოდებაა დუმილის დაცვისკენ, — დაიჩხავლა სკარემ.

— მართალია! — წამოიძახა ჰაგენმა, — შეიძლება ითქვას, რაფტო დამპალი პოლიციელი იყო. აქედან გამომდინარე, არაა გამორიცხული, მკვლელთან გარიგებულიც ყოფილიყო.

სავარაუდოდ, რაფტომ დააშინა მკვლელი და დაემუქრა, რომ ამხელდა.

ყველამ ჰარის შეხედა. ჰოლემ ყველა ეს ვარაუდი უპასუხოდ დატოვა.

— აბა, რას იტყვი? — დაიხუვლა კომისარმა.

— არაა გამორიცხული, მართალი იყოს ის, რასაც თქვენ ამბობთ, — თქვა ჰარიმ, — მაგრამ, ჩემი აზრით, ერთადერთი გზავნილი, რომლის დატოვებაც მკვლელს სურდა, იყო ის, რომ „თოვლის კაცი" იმ კუნძულზეა ნამყოფი და თოვლის კაცების გაკეთება უყვარს. მორჩა.

პოლიციელებმა ერთმანეთს გადახედეს. არავინ შედავებია ჰარის.

— ჩვენ სხვა პრობლემა გვაქვს, — თქვა ჰარიმ, — ბერგენის პოლიციის სამმართველოს ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ კუნძულ ფინიოიზე ადამიანის გვამია ნაპოვნი და მორჩა. ჯერჯერობით „თოვლის კაცმა" არ იცის, ვისი გვამი ვიპოვეთ. ხელმძღვანელებს ვთხოვე, დეტალები ჯერ არ გაამჟღავნონ, რათა დარჩენილი კვალის საძებნელად ორი-სამი დღე მაინც გვქონდეს... მაგრამ, მგონი, ორი დღეც არ გვექნება. ნაკლებად სავარაუდოა, რომ პოლიციის რომელიმე განყოფილებამ ასე დიდხანს შეინახოს საიდუმლო.

— პრესას ხვალ დილითვე ეცოდინება გარდაცვლილის სახელი, — თქვა ესპენ ლეპსვიკმა, — კარგად ვიცნობ Bergens Tidende-სა და Bergensavisen-ის თანამშრომლებს.

— არა, — თქვა ვიღაცამ ოთახში შეკრებილი ადამიანების უკან, — დღეს TV2-ზე იქნება, ახალი ამბების საღამოს გამოშვებაში. არა მხოლოდ სახელი... დანაშაულის ადგილის დეტალებზეც ილაპარაკებენ და იმასაც იტყვიან, რომ ეს მკვლელობა „თოვლის კაცს" უკავშირდება.

ყველა შებრუნდა. კართან კატრინ ბრატი იდგა. ჯერ კიდევ ფერმკრთალი იყო, მაგრამ არა ისე ძალიან, როგორც მაშინ, როდესაც ნავში ჩაჯდა და კუნძული დატოვა. ჰარი დარჩა და ადგილობრივ პოლიციას დაელოდა.

— TV2-ის თანამშრომლებს იცნობ? — იკითხა ესპენ ლეპ-სვიკმა და ცალყბად გაიკრიჭა.

— არა, — თქვა კატრინმა და დაჯდა, — მე ბერგენის პოლიციის განყოფილებას ვიცნობ.

— სად იყავით, ბრატ? — იკითხა ჰაგენმა, — ჯერ კიდევ რამდენიმე საათის წინ უნდა ყოფილიყავით აქ.

კატრინმა ჰარის გადახედა, რომელმაც ქალს შეუმჩნევლად დაუკრა თავი და ჩაახველა.

— დღეს კატრინს რამდენიმე საქმე დავავალე.

— ალბათ, მნიშვნელოვანი დავალებები მიეცით. გისმენთ, ბრატ.

— არ ღირს ახლა ამ საკითხების განხილვა, — თქვა ჰარიმ.

— უბრალოდ მაინტერესებს, — გამომწვევად თქვა ჰაგენმა.

„წყეული პარკეტის გენერალი, — გაიფიქრა ჰარიმ, — ბატონო პუნქტუალურობავ, ბატონო დაწვრილებითო მოხსენებავ, დაანებეთ კატრინს თავი. განა ვერ ხედავთ, რომ გოგონა ჯერ კიდევ შოკშია? თქვენ ფოტოს დანახვამაც კი შეგაშინათ. სახლში გაიქცა. შეეცადა, ამ ყველაფერს გარიდებოდა. მერე რა? ხომ დაბრუნდა?! ნაცვლად იმისა, მხარდაჭერა აგრძნობინოთ, შეურაცხყოფთ კოლეგების წინაშე".

ჰარიმ ეს ყველაფერი გულში თქვა — ხმამაღლა და გარკვევით. ცდილობდა, ჰაგენის მზერა დაეჭირა და ეგრძნობინებინა, შეცდომას უშვებო.

— გისმენთ, ბრატ, — თქვა ჰაგენმა.

— რამდენიმე დეტალი შევამოწმე, — თქვა კატრინმა და ნი-

კაპი მაღლა ასწია.

— გასაგებია. კერძოდ?

— მაგალითად, გავარკვიე, სად იმყოფებოდა იდარ ვეტლესენი, როდესაც ლაილა ოსენი და ონი ჰეტლანი დახოცეს და რაფტო დაიკარგა. აღმოჩნდა, რომ იმ პერიოდში ვეტლესენი მედიცინას სწავლობდა.

— და ამ გარემოებას რაიმე კავშირი აქვს ჩვენს საქმესთან?

— დიახ, აქვს. ვეტლესენი ბერგენის უნივერსიტეტში სწავლობდა. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

— ანუ სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი იყო? — წამოიძახა კომისარმა და ჰარის გადახედა.

— სულაც არაა გამორიცხული, — თქვა ჰარიმ, — მოგვიანებით პლასტიკური ქირურგი გახდა. ამბობს, რომ ადამიანების გარეგნობის შეცვლა უყვარს.

— ყველა ის მისამართი შევამოწმე, რომელზეც მუშაობდა. არც ის დაწესებულებები დამვიწყებია, სადაც ინტერნატურას გადიოდა, — თქვა კატრინმა, — მაგრამ ის მისამართები არაფრით უკავშირდება იმ ქალების გაუჩინარებას, რომლებიც, ჩვენი ვარაუდით, „თოვლის კაცმა" დახოცა. თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ახალბედა ექიმები ხშირად მოგზაურობენ — კონფერენციებს ესწრებიან და დროებით პოზიციებზე მუშაობენ ხოლმე.

— წყეული კრონი კი მაგ ტიპთან საუბრის უფლებას არ გვაძლევს, — თქვა სკარემ.

— დაივიწყე, — უპასუხა ჰარიმ, — მაინც დავაპატიმრებთ ვეტლესენს.

— რის საფუძველზე? — იკითხა ჰაგენმა, — მხოლოდ იმის გამო, რომ ბერგენში სწავლობდა?

— არასრულწლოვნების გარყვნისთვის დავაკავებთ.

— რის საფუძველზე?

— სასტუმრო „ლეონის” მფლობელის ჩვენების საფუძველზე. გარდა ამისა, მოვიპოვეთ ფოტოები, რომელიც ადასტურებს, რომ ვეტლესენი ამ დაწესებულებაში დადის.

— არ მინდა, გული დაგწყვიტოთ, მაგრამ კარგად ვიცნობ „ლეონის” მფლობელს, — თქვა ესპენ ლეპსვიკმა, — ჩვენებას არასდროს დაგიდასტურებთ, საქმე ადგილიდან აღარ დაიძვრება და მომდევნო ოცდაოთხ საათში ვეტლესენის გათავისუფლება მოგიწევთ. მერწმუნეთ, ასე იქნება.

— ვიცი, — თქვა ჰარიმ და საათს დახედა. ცდილობდა, განესაზღვრა ის დრო, რომელიც ბიუგდიოიმდე მისასვლელად დასჭირდებოდა, — მაგრამ დროის ამ მონაკვეთში საოცრად ბევრი რამის თქმა შეიძლება.

***

ჰარიმ კიდევ ერთხელ დარეკა ზარი. საზაფხულო არდადეგები გაახსენდა — ის დრო, როდესაც პატარა იყო. მაშინ ყველა სადღაც მიდიოდა და ჰარი ერთადერთი ბიჭი იყო, რომელიც ოპსალში რჩებოდა. ზუსტად ასე იდგა ხოლმე ოისტაინის ან რომელიმე სხვა მეგობრის სახლის კართან და ზარს რეკავდა. იმედი ჰქონდა, რომ სასწაული მოხდებოდა და მისი მეგობრებიდან რომელიმე მაინც იქნებოდა სახლში, და არა ბებიასთან ჰალდენში, აგარაკზე სონში ან დანიაში, ტურისტული ვიზიტით. ჰარი მაინც აგრძელებდა ზარის რეკვას, მაგრამ ბოლოს ხვდებოდა, რომ მხოლოდ ერთი შესაძლებლობა რჩებოდა. ტრეს-

კო. არც ჰარის უნდოდა ტრესკოსთან თამაში და არც ოისტაინს, მაგრამ ტრესკო მაინც აჩრდილივით დაჰყვებოდა ორივეს და იმედი ჰქონდა, რომ ჰარი და ოისტაინი გადაიფიქრებდნენ და მიიღებდნენ სამეგობროში. ეს ორი ბიჭი იმიტომ აირჩია, რომ განსაკუთრებული პოპულარობით არც ისინი სარგებლობდნენ. ჰოდა, ტრესკომაც გადაწყვიტა, რომ მათი სამეგობრო არაპოპულარული ბავშვების ერთგვარი კლუბი იყო, სადაც მასაც შეეძლო მოხვედრა. და მართლაც, ტრესკოს შანსი გაუჩნდა. ჰარიმ იცოდა, რომ ის ყოველთვის შინ იყო, იმიტომ, რომ მის ოჯახს არ ჰქონდათ საშუალება, არდადეგებზე სადმე წასულიყო. ჰარისაც სხვა გზა არ ჰქონდა — ტრესკოსთან უნდა ეთამაშა.

ჰარიმ ფლოსტების ფრატუნის ხმა გაიგონა. ორიოდე წამში კარი ოდნავ გაიღო და გამოჩნდა ქალი, რომელსაც სახე გაუნათდა. ზუსტად ასე უნათდებოდა სახე ტრესკოს დედასაც, როდესაც ჰარის ხედავდა. შინ შესვლას არ სთავაზობდა ხოლმე. უბრალოდ ტრესკოს უხმობდა, შემდეგ მის საძებნელად მიდიოდა, პოულობდა, უყვიროდა, საზიზღარ პარკას[19]აცმევდა და გარეთ აგდებდა, კიბეზე. ტრესკო იდგა და ჰარის გაბუტული ბავშვივით უყურებდა ხოლმე. ჰარი გრძნობდა, რომ ტრესკო ყველაფერს ხვდებოდა და მის უსიტყვო სიძულვილსაც გრძნობდა, როდესაც კიოსკისკენ მიემართებოდნენ, მაგრამ მაინც კარგი იყო. ასეთი შეხვედრები ჰარის დროის მოკვლაში ეხმარებოდა.

— სამწუხაროდ, იდარი შინ არ არის, — თქვა ფრუ ვეტლესენმა, — შეგიძლიათ, სახლში შემოხვიდეთ და დაელოდოთ. მალე მოვალო, ასე მითხრა.

ჰარიმ თავი გააქნია. იმაზე ფიქრობდა, შეამჩნია თუ არა ქა-

---

[19] *გრძელი, დათბილული კაპიუშონიანი ქურთუკი*

ლმა ლურჯი მაშუქები, რომლებიც ბიუგდიოიში გამეფებულ ბინდბუნდს სერავდა. დარწმუნებული იყო, რომ მაშუქები რეგვენმა სკარემ დაადგა მანქანას.

— რომელ საათზე გავიდა სახლიდან?

— ხუთი ხდებოდა.

— რამდენიმე საათის წინ წასულა, — თქვა ჰარიმ, — ხომ არ უთქვამს, სად წავიდა?

ქალმა თავი გააქნია.

— არასდროს მეუბნება, სად მიდის. როგორ მოგწონთ მისი საქციელი? საკუთარ დედასაც კი არ ეუბნება, რითია დაკავებული.

ჰარიმ მოხუც ქალს მადლობა გადაუხადა და უთხრა, რომ მოგვიანებით კიდევ ესტუმრებოდა. ამის შემდეგ ხრეშით მოფენილ ბილიკს დაუყვა და კიბით კუტიკარისკენ გაეშურა. იდარ ვეტლესენი ვერც კლინიკაში იპოვეს და ვერც სასტუმროში, კერლინგის კლუბი კი დაკეტილი და ჩაბნელებული დახვდათ. ჰარიმ კუტიკარი გამოიხურა და მანქანისკენ გაეშურა. ავტომობილის მინები ჩაწეული ჰქონდა და პოლიციურ ბრწყინვალებას ასხივებდა.

— გამორთე მაშუქები, — უბრძანა ჰარიმ მძღოლს და უკანა სავარძელში მჯდომ სკარეს მიმართა, — დედამისმა თქვა, შინ არ არისო. როგორც ჩანს, მართლაც წასულია სადღაც. აქ დარჩით და უდარაჯეთ. იქნებ მოვიდეს. განყოფილებაში დარეკე და თანამშრომლებს უთხარი, სამძებრო სამუშაოებს შეუდგნენ, ოღონდ რაცია არ გამოიყენო, კარგი?

უკანა გზაზე ჰარიმ მობილური ტელეფონით დარეკა სატელეფონო სადგურში, სადაც უთხრეს, რომ მისი მეგობარი ტურკილსენი უკვე შინ წასულიყო. ამდენად, იდარ ვეტლესენის მობილურის მდებარეობის დადგენა მხოლოდ ოფიციალური საშ-

უალებებით შეიძლებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამ ინფორ-მაციას დილამდე ვერ მიიღებდა. ტელეფონი დადო და მუსიკას აუწია. Slipknot-ი „ვერმიიონს" უკრავდა, მაგრამ ამჯერად სხვანაირ განწყობაზე იყო. პლეიერის ღილაკს დააჭირა, რათა ჯილ ევანსის სოლო ალბომი ჩაერთო. ეს დისკი ცოტა ხნის წინ თავისი

მანქანის საბარგულში იპოვა. ჯერ კიდევ დისკის გარეკანს აწვალებდა, როდესაც რადიო ჩაირთო — NRK 24-Hour News-ი მაუწყებლობდა: „პოლიცია ბიუგდიოის მკვიდრ ექიმს ეძებს — ოცდაათიდან ორმოც წლამდე მამაკაცს, რომელიც, სავარა-უდოდ, „თოვლის კაცის" მიერ ჩადენილ მკვლელობებთანაა დაკავშირებული".

— ვაჰ შენი! — დაიღრიალა ჰარიმ და ჯილ ევანსის დისკი ჩა-სადებთან ერთად საქარე მინას ესროლა. მანქანის სალონი პლასტმასის წვრილი ნამსხვრევებით გაივსო, დისკი კი მანქა-ნის წინა სავარძლის წინ, ხალიჩაზე ჩაგორდა. ჰარი სასოწარ-კვეთილებამ მოიცვა.

აქსელერატორს დააჭირა ფეხი და მარცხენა რიგში მოძრავ ცისტერნიან სატვირთოს გადაუსწრო. ოცი წუთი. მხოლოდ ოცი წუთი დასჭირდათ. ბარემ პირდაპირ პოლიციის სამმარ-თველოში დადგან მიკროფონები და პირდაპირი ტრანსლა-ციები აწარმოონ!

პოლიციის კაფეტერიის სასადილო დაკეტილი იყო და დარ-ბაზიც დაცარიელებული, მაგრამ სწორედ იქ იპოვა ჰარიმ კატ-რინი და სენდვიჩები. ქალი ორი ადამიანისთვის განკუთვნილ მაგიდასთან იჯდა. ჰარი მაგიდის მეორე მხარეს დაჯდა.

— გმადლობ, რომ არავის უთხარი ის, რაც ფინიოიზე დამე-მართა. ჰარიმ თავი დაუქნია.

— სად იყავი?

— სასტუმროში მივედი, ამოვეწერე და აეროპორტისკენ გავეშურე, რათა სამი საათისთვის დაგეგმილი ფრენა არ გამომეტოვებინა. იქაურობას უნდა გავცლოდი, — თქვა ქალმა და ჩაის ჭიქას დახედა, — ბოდიშს გიხდი.

— არა უშავს, — უთხრა ჰარიმ და ქალის ნაზ, მოხრილ კისერსა და მაგიდაზე დადებულ წვრილ ხელს დააკვირდა. ახლა უკვე სხვა თვალით უყურებდა კატრინს, — როდესაც მაგარი ტიპები კონტროლს კარგავენ, ყოველთვის ერთიანად იმსხვრევიან ხოლმე.

— რატომ?

— ალბათ, იმიტომ, რომ თვითკონტროლის დაკარგვის გამოცდილება აკლიათ. კატრინმა თავი დაუქნია და ისევ დააკვირდა ჩაის ჭიქის ძირს, რომელსაც პოლიციის სამმართველოს ლოგო ამშვენებდა.

— შენც ხომ თვითკონტროლის ოსტატი ხარ, ჰარი! შენ არასდროს კარგავ კონტროლს?

ქალმა ჰარის შეხედა და ჰოლეს მოეჩვენა, რომ კატრინის გუგები ცეცხლს აკვესებდა, სწორედ ეს მატებდა ელვარებას მისი თვალების თეთრონსა და ლურჯ გარსს. მთავარმა გამომძიებელმა ჯიბეები მოისინჯა. სიგარეტს ეძებდა.

— მე თვითკონტროლის დაკარგვის უზარმაზარი გამოცდილება მაქვს. რეალურად, სხვა არაფერი მისწავლია. სამაგიეროდ, თვითკონტროლის კარგვაში შავ ქამარს ვფლობ.

ამის პასუხად ქალმა ძლივს შესამჩნევად გაიღიმა.

— მენიერებს გამოცდილი მოკრივეების ტვინის აქტივობა აქვთ გაზომილი, — განაგრძო ჰარიმ, — იცოდი, რომ მეტოქესთან შეხვედრის დროს ხშირად კარგავენ გონებას? სულ ერთი წამით, მაგრამ კარგავენ, და ამის მიუხედავად, მაინც ახერხებენ ფეხზე დგომას. თითქოს სხეული ხვდება, რომ ეს დროები-

თია, კონტროლს თავის თავზე იღებს და ცნობიერების დაბრუ-ნებამდე ვერტიკალურ მდგომარეობას ინარჩუნებს, — ჰარიმ სიგარეტის კოლოფიდან ერთი ღერი ამოიღო, — რაფტოს სახ-ლში მეც დავკარგე კონტროლი. ჩვენ შორის განსხვავება ისაა, რომ ჩემი სხეული გამოცდილებით გრძნობს, რომ კონტროლი დაბრუნდება.

— შენ რას აკეთებ იმისთვის, რომ პირველივე დარტყმამ ნო-კაუტში არ ჩაგაგდოს? — იკითხა კატრინმა და შუბლიდან თმა გადაიწია.

— მე, მოკრივეების მსგავსად, დარტყმის მიმართულებით ვმოძრაობ. არ ვეწინააღმდეგები. თუკი ის, რაც სამსახურში ხდება, არ გასვენებს, უბრალოდ დანებდი იმას, რაც გაწუხებს. რაც უნდა იყოს, დიდხანს ისედაც ვერ ამოიგდებ თავიდან იმ შოკს, რომელსაც ზოგჯერ მუშაობისას იღებ. მცირე დოზებით მიიღე და ნაწილ-ნაწილ მოიშორე, როგორც კაშხალი უშვებს წყალს. არ დაიგროვო, იმიტომ, რომ შენი ცნობიერება გადა-ივსება და გაიბზარება.

ჰარიმ სიგარეტის ღერი პირში ჩაიდო.

— ვიცი, რომ ეს ყველაფერი პოლიციის ფსიქოლოგებმა ჯერ კიდევ მაშინ გითხრეს, როდესაც სწავლობდი. ჩემი აზრით, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ამას რეალურ ცხოვრებაში ახორციელებ, უნდა გრძნობდე, რა გემართება. უნდა გრძნობდე, რათა განსაზღვრო, რამდენად დამანგრეველი ძალა მოქმედებს შენ-ზე.

— გასაგებია, — თქვა კატრინმა, — და რა უნდა ქნა, თუკი გრძნობ, რომ შენზე დამანგრეველი ძალა მოქმედებს?

— სხვა სამსახური უნდა მოძებნო.

კატრინი ჰარის მიაჩერდა და დიდხანს თვალს არ აცილებ-და.

— შენ, ჰარი? შენ რა ზომებს მიმართე მაშინ, როდესაც მიხვდი, რომ ეს ძალა განადგურებს?

ჰარიმ სიგარეტის მშრალი და რბილი ფილტრი მოკვნიტა. კბილებს შორის ხრაშუნი იგრძნო და გაიფიქრა, რომ კატრინი ძალიან ჰგავდა მას. თითქოს მისი და ან ქალიშვილი იყო. მასაც ისეთივე შინაგანი ნაკლოვანებები ჰქონდა, როგორიც ჰარის.

— სხვა სამსახურის მოძებნა დამავიწყდა, — თქვა ჰარიმ. კატრინმა გაიღიმა.

— იცი, რა? — იკითხა ქალმა.

— რა?

კატრინმა ხელი გასწია, ჰარის სიგარეტი ამოაცალა პირიდან და მაგიდის თავზე გადაიხარა.

— მგონი...

კაფეტერიის კარი ხმაურით გაიღო და ზღურბლთან ჰოლმი გამოჩნდა.

— TV2, — თქვა ბიორნმა, — მასალები ახალი ამბების გამოშვებაში მოხვდა. რაფტოსა და ვეტლესენის სახელები და ფოტოები გაასაჯაროეს.

* * *

ამის შემდეგ ქაოსი დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ღამის თერთმეტი საათი იყო, ნახევარ საათში პოლიციის სამმართველოს ფოიე ჟურნალისტებითა და ფოტოგრაფებით აივსო. ყველა კრიმინალური პოლიციის უფროსს, ესპენ ლეპსვიკს ელოდებოდა; ან კომისარ ჰაგენს, რომელიც განყოფილებას ხელმძღვანელობდა; ან თუნდაც ქალაქის პოლიციის უფროსს.

მოკლედ, ნებისმიერს, ვინც ჩამოვიდოდა და განცხადებას გააკეთებდა. ერთმანეთს არწმუნებდნენ, რომ პოლიციამ უნდა გააცნობიეროს ვალდებულება საზოგადოების წინაშე და ასეთ სერიოზულ, შოკის მომგვრელ და აქტუალურ საკითხზე საჯარო განცხადებები უნდა გააკეთოს.

ჰარი წინკარის სიახლოვეს, კიბის მოაჯირთან იდგა და ზემოდან დასცქეროდა ამ ხალხს. მოუსვენარი ზვიგენებივით მოძრაობდნენ, ერთმანეთს რჩევებს აძლევდნენ, ატყუებდნენ, ეხმარებოდნენ, ცდილობდნენ ერთმანეთის ნდობა მოეპოვებინათ და თან ექსკლუზიური ინფორმაცია მიეღოთ. რაიმე სიახლე ხომ არ შეიტყო ვინმემ? გაიმართება დღეს პრესკონფერენცია? იმპროვიზებულ ბრიფინგსაც არ მოაწყობენ? ვეტლესენს უკვე ტაილანდისკენ უჭირავს გეზი? დედლაინი ახლოვდებოდა. რაღაც უნდა მომხდარიყო.

ჰარის წაკითხული ჰქონდა სიტყვა „დედლაინის" წარმოშობის ისტორია. ეს ტერმინი შეერთებულ შტატებში გაჩნდა. სამოქალაქო ომის პერიოდში, როდესაც ტყვეების ბადრაგისთვის ხალხი არ ჰყოფნიდათ, მიწაზე წრეწირს ხაზავდნენ და ტყვეებს მის შიგნით ათავსებდნენ. ყველას, ვინც წრეწირის მეორე მხარეს გადავიდოდა, მაშინვე ხვრეტდნენ. ასეთივე მდგომარეობაში იყვნენ ეს ადამიანები — კალმით მებრძოლი ჯარისკაცები, რომლებიც ტყვეებივით ისხდნენ სიკვდილის ხაზის, დედლაინის იქით.

ჰარი თავისი კაბინეტისკენ გაემართა. იქ უკვე შეკრებილიყვნენ მისი თანაგუნდელები და ელოდებოდნენ. უცებ ტელეფონმა დარეკა. მათიასი იყო.

— ავტომოპასუხეზე შეტყობინება დაგიტოვე. შეამოწმე?

— ჯერ არა. ნამდვილი ჯოჯოხეთი გვაქვს აქ. მოგვიანებით დაგირეკავ, კარგი?

— რა თქმა უნდა, — თქვა მათიასმა, — მაგრამ... იდარზე მინდოდა, მეთქვა რაღაც. ახალი ამბების გამოშვებაში თქვეს, რომ ვეტლესენს ეძებთ.

ჰარიმ ტელეფონი მეორე ხელში გადაიტანა.

— გისმენ.

— დღეს დამირეკა და კარნადრიოქსიდის თვისებებზე კითხვები დამისვა. ხშირად მირეკავს ხოლმე და მედიკამენტების მახასიათებლებს ამოწმებს. ფარმაცევტიკაში კარგად ვერ ერკვევა. იმ მომენტში განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია მისი შეკითხვებისთვის. კარნადრიოქსიდი უკიდურესად სახიფათო პრეპარატია და ამიტომ გირეკავ. ვიფიქრე, რომ ეს ინფორმაცია დაგჭირდებოდა.

— ჰო, ჰო, რა თქმა უნდა, — ჰარიმ ჯიბეები მოიჩხრიკა და ნახევრად დაღეჭილი ფანქარი და ტრამვაის ბილეთი ამოიღო, — კარნა...

— კარნადრიოქსიდი. კონუსისებრი მოლუსკის შხამს შეიცავს და ტკივილგამაყუჩებლად გამოიყენება იმ პაციენტებისთვის, რომლებსაც კიბო ან აივ-ინფექცია დაუდგინდათ. ათასჯერ ძლიერია მორფინზე და დოზირების ოდნავი გადაჭარბებაც კი კუნთების მყისიერ პარალიზებას იწვევს. სასუნთქი ორგანოები თუ გული გაჩერდება და პაციენტი მაშინვე მოკვდება.

ჰარიმ მათიასის ნათქვამი ჩაიწერა.

— გასაგებია. კიდევ რა გითხრა?

— არაფერი. აღელვებული ჩანდა. მადლობა გადამიხადა და ამით ჩვენი საუბარი დასრულდა.

— ხომ არ იცი, საიდან რეკავდა?

— არა, მაგრამ შევნიშნე, რომ იმ სივრცეს, სადაც იდარი იმყოფებოდა, ძალიან უცნაური აკუსტიკა ჰქონდა. თავისი კაბინეტიდან ნამდვილად არ რეკავდა. თითქოს ეკლესიაში იყო...

ან გამოქვაბულში. ხომ ხვდები, რასაც ვგულისხმობ?

— მესმის. გმადლობ, მათიას. კიდევ რაიმე ინფორმაცია თუ დაგვჭირდა, დაგირეკავთ.

— მოხარული ვიქნები...

ჰარიმ საუბრის დასრულების ღილაკს დააჭირა და ამიტომ მათიასის ნათქვამის ბოლო ნაწილი ვეღარ გაიგონა.

პატარა საგამოძიებო ჯგუფის ყველა წევრი მის კაბინეტში იჯდა. მაგიდაზე ყავის ფინჯნები იდგა. ჩაიდანში წყალი დუღდებოდა, სკამებზე პიჯაკები ეკიდა. სკარე სულ ახლახან დაბრუნებულიყო ბიუგდიოიდან და იდარ ვეტლესენის დედასთან გამართული დიალოგის დეტალებზე ლაპარაკობდა. ფრუ ვეტლესენს უთქვამს, ვერ ვხვდები, რა ხდება და საერთოდაც, მგონი, რაღაც შეცდომა მოხდაო.

კატრინმა ვეტლესენის ასისტენტს, ბორგჰილდ მუენს დაურეკა. მანაც დაახლოებით იგივე უთხრა.

— თუ საჭირო გახდა, დილით დავკითხოთ, — თქვა ჰარიმ, — ახლა კი ბევრად სერიოზული თავსატეხი გვაქვს.

სამივე ჰარის მიაჩერდა. მთავარმა გამომძიებელმა ხელქვეითებს მოკლედ უამბო მათიასთან საუბრის შესახებ და ტრამვაის ბილეთის უკანა გვერდზე დაწერილი სიტყვა წაიკითხა — „კარნადრიოქსიდი”.

— შენი აზრით, მაგ სახიფათო პრეპარატით დახოცა ის ქალები? — იკითხა ჰოლმმა.

— ნამდვილად ასეა. ამიტომაც მალავს გვამებს, — თქვა სკარემ, — იცის, რომ გაკვეთის შემდეგ მაგ ნივთიერებას აღმოვაჩენთ და კვალი მასთან მიგვიყვანს.

— ჩვენთვის მხოლოდ ერთია ცნობილი, — თქვა ჰარიმ, — იდარ ვეტლესენს ნერვული შეტევა აქვს. თუკი მართლაც ის არის „თოვლის კაცი”, აუცილებლად შეიცვლის ქცევის მოდე-

ლს.

— ნეტავ ახლა ვისზე ნადირობს, — თქვა კატრინმა და ნერვიულად აიჩეჩა მხრები, — მალე მაგ ნივთიერებით ვიღაც მოკვდება.

ჰარიმ ნიკაპზე დაისვა ხელი.

— კატრინ, უკვე მოიპოვე ვეტლესენის სატელეფონო საუბრების ამონაწერი?

— კი. ტელეფონის ნომრები და აბონენტების სახელები მაქვს. მე და ბორგჰილდმა გადავამოწმეთ. ძირითადად, პაციენტებს ესაუბრებოდა. ორჯერ ელაპარაკა ადვოკატ კრონს და ერთხელ მათიას ლუნ-ჰელგესენს. კიდევ ერთი ზარი დაფიქსირდა. ნომერი გამომცემლობა „პოპერის" სახელზეა რეგისტრირებული.

— ამჟამად სამუშაო არა გვაქვს, — თქვა ჰარიმ, — შეგვიძლია, აქ ვისხდეთ, ყავა ვსვათ და ცარიელი თავები ვიქექოთ... შეგვიძლია, სახლებში წავიდეთ და დილით ისეთივე ცარიელი, მაგრამ დასვენებული თავებით დავბრუნდეთ.

ხელქვეითები მდუმარედ უყურებდნენ ჰარის.

— არ ვხუმრობ, — თქვა მან, — სახლებში წავიდეთ, ეშმაკსაც წაუღია ყველაფერი.

ჰარიმ კატრინს უთხრა, რომ შეეძლო გრიუნერლიოკამდე მიეცილებინა. ეს უბანი ოდესღაც მუშათა კვარტალი იყო. კატრინის თხოვნით ჰარიმ მანქანა სეილდუკსგატაში, ძველი ოთხსართულიანი სახლის შორიახლოს გააჩერა.

— რომელი ბინაა? — იკითხა ჰოლემ და წინ გადაიხარა.

— მეორე სართული, მარჯვნივ.

ჰარიმ ზევით აიხედა. ყველა ფანჯარა ჩაბნელებული იყო და არც ფარდები ჩანდა.

— როგორც ჩანს, შენი ქმარი სახლში არ არის, ან, შესაძლ-

ოა, უკვე დაწვა დასაძინებლად.

— შეიძლება, — თქვა კატრინმა. თითქოს არ აპირებდა მანქანიდან გადასვლას, — ჰარი!

ჰარიმ გაოცებით შეხედა კატრინს.

— მივხვდი, რასაც ვგულისხმობდი, როდესაც ვთქვი, „თოვლის კაცი" ახლა ვიღაცაზე ნადირობს და სწორედ ეს არის ახლა გასარკვევი-მეთქი?

— მგონი, მივხვდი, — უპასუხა ჰარიმ.

— ის, რაც ფინიოიზე ვნახეთ, უბრალოდ „ზედმეტი ინფორმაციის" მქონე შემთხვევითი ადამიანის მკვლელობა არ არის. ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი.

— ასე გგონია?

— შესაძლოა, რაფტო მართლაც დაადგა მკვლელის კვალს, მაგრამ ესეც „თოვლის კაცის" გეგმაში შედიოდა.

— კატრინ...

— მომისმინე. რაფტო ბერგენის პოლიციის კრიმინალური განყოფილების საუკეთესო დეტექტივი იყო, შენ კი ოსლოს საუკეთესო გამომძიებელი ხარ. არაა გამორიცხული, მიმხვდარიყო, რომ სწორედ შენ უხელმძღვანელებდი ამ საქმის გამოძიებას. სწორედ ამიტომ მიიღე წერილი. მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ფრთხილად უნდა იყო.

— ჩემი დაშინება გინდა?

კატრინმა მხრები აიჩეჩა.

— კარგად იცი, როგორც უნდა მოიქცე, თუკი შეშინდი.

— როგორ უნდა მოვიქცე? კატრინმა მანქანის კარი გააღო.

— ახალი სამსახურის ძებნა უნდა დაიწყო.

ჰარიმ ბინის კარი მოიხურა და სასტუმრო ოთახის ზღურბლთან შედგა. ოთახი ბრძოლის ველს ჰგავდა. მუქ, შიშველ კე

დელზე მთვარის შუქი ეცემოდა და რაღაც თეთრ ლაქას ანათებდა. ჰარი მიუახლოვდა კედელს და აღმოაჩინა, რომ ვიღაცას რვიანი დაეწერა ცარცით. ხელი ასწია და ნაწერს შეეხო. სოკოს სპეციალისტის ნაწერი უნდა ყოფილიყო. მაგრამ რის აღსანიშნავად გამოსახეს ეს ციფრი? ალბათ, იმ ნივთიერების კოდი იყო, რომლითაც კედელი უნდა დაემუშავებინათ.

ჰარი დაწვა. დილამდე საშინელი კოშმარები ესიზმრებოდა. დაესიზმრა, რომ პირში რაღაც მტკიცე ნივთი ედო, რომელსაც შუაში ნახვრეტი ჰქონდა. ჰარი ამ ნახვრეტის წყალობით სუნთქავდა. ზეთის, ლითონისა და დენთის გემო ჰქონდა. ბოლოს ამ ნივთში საერთოდ აღარ დარჩა ჰაერი. ჰარიმ გადმოაფურთხა ის, რაც პირში ედო. ეგონა, პისტოლეტის ლულას ღრღნიდა, მაგრამ თურმე მთელი ამ დროის მანძილზე რვიანის ფორმის ნივთი ედო პირში. რვიანს ქვემოთ დიდი რგოლი ჰქონდა, მისი ზედა რგოლი კი უფრო პატარა იყო. თანდათან რვიანს მესამე, უფრო პატარა რგოლიც გაუჩნდა ზემოდან. თავი აღმოჩნდა. სილვია ოტერსენის თავი. ქალი ცდილობდა, დაეყვირა და ყველაფერი მოეყოლა ჰარისთვის, მაგრამ არ შეეძლო. პირი ჰქონდა ამოკერილი.

გაიღვიძა. ძლივს გაახილა თვალები. თავი სტკიოდა, ტუჩებზე კი რაღაც ნადები გასჩენოდა, რომელსაც ცარცისა და ნაღვლის გემო ჰქონდა.

თავი XVI

მეათე დღე. კერლინგი

ბიუგდიოიში სუსხიანი დილა გათენდა. ასტა იუჰანსენი, ჩვეულებისამებრ, ზუსტად რვა საათზე შევიდა კერლინგის კლუბის შენობაში. სამოცდაათი წლის დარბაისელი ქვრივი აქ კვირაში ორჯერ მოდიოდა და ალაგებდა. დიდი ჯაფა არ ადგა, იმიტომ, რომ ამ პატარა კერძო კლუბში სულ რამდენიმე კაცი დადიოდა. ამასთან, აქ არც საშხაპეები იდგა. ასტამ შუქი აანთო. ულურსმნოდ ნაგებ ხის კედელზე ჯილდოები, სიგელები და ლათინური ფრაზებით დამშვენებული ალმები ეკიდა. ამ ნივთებთან ერთად კედელზე განეთავსებინათ შავ-თეთრი ფოტოებიც, რომლებზეც ტვიდის კოსტიუმებში გამოწყობილი, სერიოზული გამომეტყველების მქონე წვეროსანი მამაკაცები იყვნენ გამოსახულნი. ასტას აზრით, მათ კომიკური იერი დაჰკრავდათ. არისტოკრატების შესახებ გადაღებულ ინგლისურ ტელესერიალებში ხშირად შეხვდებით მელიებზე მონადირეებს.

სწორედ მათ ჰგავდნენ ეს ბატონები. ქალი კერლინგის დარბაზში შევიდა და იქ არსებული ტემპერატურის საფუძველზე დაასკვნა, რომ ყინულის თერმოსტატის აწევა დავიწყებოდათ. ხშირად, ელექტროენერგიის დაზოგვის მიზნით, თერმოსტატს დაბალ სიმძლავრეზე ამუშავებდნენ ხოლმე. ასტა იუჰანსენმა შუქის ამნთები მოძებნა. ნეონის ნათურები აციმციმდა. ვერ "გადაეწყვიტათ", უნდოდათ თუ არა მუშაობა. ასტამ კი მაშინვე სათვალე გაიკეთა და თერმოსტატს დააკვირდა. მართლაც ძალიან იყო ჩაწეული. ქალმა დანადგარის სიმძლავრეს მოუმატა.

ყინულის ზედაპირი შუქს ირეკლავდა. ასტამ დარბაზის მოპირდაპირე მხარეს ბუნდოვანი მოხაზულობის ფიგურა შენიშნა. მისი სათვალე წიგნის კითხვისა და სხვა მსგავსი საქმიანობისთვის იყო განკუთვნილი, ამიტომ სათვალის მოხსნამ მოუწია. თვალები ნელ-ნელა გადააწყო შორსმხედველობის რეჟიმზე და მოეჩვენა, რომ დარბაზში ადამიანი იწვა. უნდოდა, უცნაურ ფიგურას მიახლოებოდა, მაგრამ ვერ ბედავდა. ასტა იუჰანსენი მშიშარა არ იყო, მაგრამ რატომღაც არ ასვენებდა აზრი, რომ ოდესმე ამ წყეულ ყინულზე დაეცემოდა, ბარძაყის ძვალს მოიტეხდა და აქ მოუწევდა ყოფნა მანამ, სანამ მელიებზე მონადირეები არ მოვიდოდნენ და იპოვიდნენ. ასტამ კედელზე აყუდებული ჯაგრისებიდან ერთ-ერთი აიღო და მასზე დაყრდნობით, მოკლე ნაბიჯებით გაემართა უცნაური ფიგურისკენ.

ყინულის მოედნის ბოლოში მამაკაცის გვამი ეგდო. გარდაცვლილს მოედანზე დახაზული წრეწირების ცენტრში ედო თავი. მის დაღრეჯილ სახეს ნეონის ნათურების მოცისფრომოთეთრო სინათლე ეცემოდა. ნაცნობი სახე ჰქონდა. ალბათ, გამოჩენილი ადამიანი იყო. მისი მოჭიქული, გაყინული თვალები სადღაც შორს, ასტას მიღმა სამყაროსკენ იყო მიმართული. გარდაცვლილს მარჯვენა ხელში ეჭირა პლასტმასის შპრიცი, რომელშიც წითელი მასის ნარჩენები მოჩანდა.

ასტა იუჰანსენმა მშვიდად დაასკვნა, რომ ამ ადამიანს ვეღარაფრით უშველიდა და გადაწყვიტა, ყინულის მოედანი გადაევლო და უახლოეს ტელეფონამდე მისულიყო.

ქალმა პოლიციაში დარეკა და როდესაც სამართალდამცავები მოვიდნენ, ასტა შინ წავიდა და, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ყავა დაისხა, “აფტენპოსტენის”ახალი ნომერი გადაშალა და მაშინ კი მიხვდა, ვისი გვამიც იპოვა ცოტა ხნის წინ

***

ჰარიმ ჩაიმუხლა და იდარ ვეტლესენის ფეხსაცმელს დააკვირდა.

— რას ამბობს ჩვენი პათოლოგანატომი გარდაცვალების დროზე? — ჰკითხა გვერდით მდგარ ბიორნ ჰოლმს, რომელსაც თეთრი დათვის ბეწვით გაწყობილი ჯინსის ქურთუკი ეცვა. მას გველის ტყავის ფეხსაცმელი ემოსა და ამიტომ ყინულზე მისი ფეხის ხმა არ ისმოდა. დაახლოებით ერთი საათი იყო გასული მას შემდეგ, რაც ასტა იუჰანსენმა დარეკა, მაგრამ ჟურნალისტები უკვე შეკრებილიყვნენ კერლინგის კლუბთან, პოლიციის წითელი კორდონის გარშემო.

— ზუსტ პასუხს ვერ იძლევა, — თქვა ჰოლმმა, — მხოლოდ ვარაუდი შეუძლია, იმიტომ, რომ გვამი ყინულზე ეგდო, დარბაზში კი ბევრად მაღალი ტემპერატურაა.

— კი მაგრამ, რა ივარაუდა ბოლოს და ბოლოს?

— გუშინდელი საღამოს ხუთიდან შვიდ საათამდე პერიოდშიო.

— ჰმ... ანუ მანამდე, ვიდრე ახალი ამბების გამოშვებაში მის სახელს ახსენებდნენ. საკეტი შეამოწმე?

ჰოლმმა თავი დაუქნია.

— იელის მარკის სტანდარტული საკეტია. ჩაკეტილი იყო, როდესაც დამლაგებელი მოვიდა. შევამჩნიე, რომ ფეხსაცმელს აკვირდებოდი. ფეხის ანაბეჭდი შევამოწმე. ფაქტობრივად, დარწმუნებული ვარ, რომ იმ ნაკვალევის ანალოგიურია, რომელიც სოლიჰიოგდაში ვნახეთ.

ჰარი ფეხსაცმლის ძირის ორნამენტს დააკვირდა.

— შენი აზრით, ესაა ჩვენი კაცი?

— ჰო. ჩემი აზრით, ესაა.

ჰარიმ ნელა დაუქნია თავი.

— ხომ არ იცი, ვეტლესენი ცაცია იყო?

— არა მგონია. როგორც ხედავ, შპრიცი მარჯვენა ხელში უჭირავს. ჰარიმ თავი დაუქნია.

— ჰო, ასეა. მაინც შეამოწმე.

ჰარის არასდროს განუცდია სიხარული, როდესაც საქმე, რომელსაც ის იძიებდა, იხსნებოდა და არქივის ნაწილი ხდებოდა. გამოძიების დროს მისთვის მთავარ მიზანს, რა თქმა უნდა, საქმის გახსნა წარმოადგენდა. თუმცა, როგორც კი მიაღწევდა, მაშინვე ხვდებოდა, რომ მოგზაურობა ჯერ არ დასრულებულიყო. ან ის დასასრული არ იყო, რომელიც მას ჰქონდა წარმოდგენილი; ან რაღაც შეიცვალა, ან თვითონ შეიცვალა, ან ეშმაკმა იცის, რა მოხდა. საქმე ის იყო, რომ ამ დროს ჰარი სიცარიელეს გრძნობდა. წარმატება მოსალოდნელზე ბევრად უფერული და უგემური იყო. დამნაშავის დაჭერის შემდეგ ყოველთვის ერთი და იგივე კითხვა უჩნდებოდა: “მერე რა?”

საღამოს შვიდ საათზე მოწმეების დაკითხვაც მოითავეს და ყველა საჭირო ნივთმტკიცების შეგროვებაც. პრესკონფერენცია დასრულდა და კრიმინალისტური განყოფილების დერეფნებში საზეიმო ატმოსფერო სუფევდა. ჰაგენმა ნამცხვრები და ლუდი შეუკვეთა და გამარჯვების აღსანიშნავად ლეპსვიკისა და ჰარის გუნდები სადღესასწაულო სუფრასთან მიიწვია.

ჰარი სკამზე დაჯდა და მზერა მიაპყრო ნამცხვრის უზარმაზარ ნაჭერს, რომელიც ვიღაცამ მუხლებზე დაუდო. ჰაგენის საუბარს, სიცილსა და ტაშის კვრას უსმენდა. ვიღაცამ ზურგზე დაჰკრა ხელი, მაგრამ დღესასწაულზე შეკრებილი საზოგადოების დიდმა ნაწილმა საერთოდ უყურადღებოდ დატოვა. მის გარშემო ყველამ ლაპარაკი დაიწყო და მათი ნაუბარი საერთო ზუზუნად იქცა.

— წყეული ნაბიჭვარი! მშიშარა აღმოჩნდა. როგორც კი მიხვდა, რომ მის დაპატიმრებას ვაპირებდით, მაშინვე კაპიტულაცია გამოაცხადა.

— გაგვაცურა.

— ჩვენ? ლეპსვიკის გუნდს გულისხმობ?

— ცოცხალს სასამართლო შეურაცხადად გამოაცხადებდა.

— ბედნიერი უნდა ვიყოთ, საერთოდ არ გვქონდა პირდაპირი მტკიცებულები, მხოლოდ ირიბი სამხილები.

ოთახის მეორე ბოლოდან ესპენ ლეპსვიკის ომახიანი ხმა მოისმა:

— მეგობრებო, ერთი წუთით გაჩუმდით! გადაწყდა, რომ ახლა ვიშლებით და რვა საათზე ისევ ვიკრიბებით, ოღონდ ამჯერად ბარ „ფენრისში" — სერიოზულად დალევის მიზნით. გაითვალისწინეთ, რომ ეს ბრძანებაა. გასაგებია?

ლეპსვიკის ნათქვამს მოწონების შეძახილებით შეხვდნენ.

ჰარიმ ნამცხვარი გვერდზე გადადო და წამოდგომას აპირებდა, როდესაც მხარზე მსუბუქი ხელის შეხება იგრძნო. ჰოლმი აღმოჩნდა.

— შევამოწმე. მართალი აღმოვჩნდი. ვეტლესენი ცაცია არ ყოფილა.

გახსნილი ბოთლიდან ნახშირორჟანგი იფრქვეოდა. უკვე შემთვრალმა სკარემ ჰოლმს ხელი გადახვია.

— ამბობენ, რომ მემარჯვენეები უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე ცაციები, მაგრამ ვეტლესენის შემყურე ამას ნამდვილად ვერ იტყვი.

სკარემ გადაწყვიტა, ეს მახვილგონივრული შენიშვნა სხვებისთვისაც გაეზიარებინა და ჰოლმს მოშორდა, ბიორნი კი შეკითხვის გამომხატველი მზერით უცქერდა ჰარის:

— უკვე მიდიხარ?

— ჰო. გავალ, გავისეირნებ. იმედია, „ფენრისში” შევხვდებით.

ჰარი თითქმის მისული იყო კართან, როდესაც ჰაგენმა მაჯაში წაავლო ხელი.

— კარგი იქნება, თუკი ყველა ადგილზე დარჩება, — თქვა მან მშვიდად, — ქალაქის პოლიციის უფროსმა თქვა, რომ ჩამოვა და ორიოდე სიტყვას გვეტყვის.

ჰარიმ ჰაგენს შეხედა და მიხვდა, რომ იმ მომენტში გამგმირავი მზერა ჰქონდა, იმიტომ, რომ ჰაგენმა ისე გაუშვა ხელი, თითქოს ჰოლეს ცეცხლი ეკიდა.

— უბრალოდ ტუალეტში ვაპირებ გასვლას, — თქვა ჰარიმ. ჰაგენმა სწრაფად გაიღიმა და თავი დაუქნია.

ჰარი თავის კაბინეტში შევიდა, პიჯაკი აიღო, კიბით ჩავიდა პოლიციის შენობის ქვედა სართულზე და გრიონლანდსლეირეტისკენ გაეშურა. ქუჩაში თოვლის რამდენიმე ფანტელი დაფრინავდა. ეკებერგის მთაზე სინათლის წერტილები ციმციმებდა. სულ უფრო ძლიერდებოდა სირენის ხმა და ვეშაპის მშვიდ სიმღერას ემსგავსებოდა. ჰარის უბნის ორი პაკისტანელი გაცხარებული კამათობდა, მათ ფორთოხალზე კი თოვლის ფანტელები იყრებოდა. გრიონლანსტორგში კი ვიღაც მთვრალი კაცი დაბარბაცებდა და მეზღვაურების სიმღერას მღეროდა. ჰარი გრძნობდა, როგორ ყნოსავდნენ ღამის არსებები ჰაერს და ფიქრობდნენ, სახიფათო იყო თუ არა გარეთ გამოსვლა. ღმერთო, როგორ უყვარდა ეს ქალაქი!

***

— აქა ხარ?

ელი კვალე გაოცებით უყურებდა თავის ვაჟს, რომელიც სამზარეულოს მაგიდასთან იჯდა და ჟურნალს ფურცლავდა. მის უკან რადიო ზუზუნებდა.

ელის უნდოდა, ეკითხა, რატომ არ იჯდა სასტუმრო ოთახში მამასთან ერთად, მაგრამ უცებ გაიფიქრა, რომ ძალიან ნორმალური იყო ტრიუგვეს სურვილი, შემოსულიყო სამზარეულოში და მასთან ესაუბრა. ჩაი დაისხა, თავის ვაჟს გვერდით მიუჯდა და მდუმარედ დააცქერდა. რა ლამაზია! ეგონა, ყოველთვის მახინჯად მოეჩვენებოდა, მაგრამ შეცდა.

რადიოში ვიღაც ამტკიცებდა, რომ მამაკაცებს აღარ მიუძღვით ბრალი იმაში, რომ ნორვეგიელი ქალები სახელისუფლებო ორგანოების სხდომათა დარბაზებში ვეღარ ხვდებიან. ორატორი ამბობდა, რომ საზოგადოება ცდილობს, დაიცვას კანონი და ხელისუფლების ფორმირებისას ქალებისთვის განკუთვნილი კვოტა შეავსოს, მაშინ როდესაც თავად ქალები ცდილობენ, თავი აარიდონ იმ პოსტებს, რომლებიც მუდმივად საზოგადოების ყურადღებას იქცევს, რომ შესაძლოა, კრიტიკის ობიექტებად იქცნენ, ან მათ პროფესიულ კომპეტენციაში შეიტანონ ეჭვი. იციან, რომ ვინმეს უკან ვერ დაიმალებიან და ამიტომ ეშინიათ სახელმწიფო თანამდებობებზე მუშაობისო, ირწმუნებოდა მომხსენებელი.

— იმ ბავშვებს ჰგვანან, რომლებიც იმის გამო ტირიან, რომ ფსტა უნდათ, მაგრამ როდესაც იღებენ იმას, რაც სურთ, ნაგავში ისვრიან ხოლმე, — ისმოდა რადიომიმღებიდან, — ძალიან გამაღიზიანებელია ეს ყოველივე. დროა, ქალებმა პასუხისმგ-

ებლობა აიღონ და ყველას დაანახვონ, რა შეუძლიათ.

„ჰო, — გაიფიქრა ელიმ, — ნამდვილად დროა".

— დღეს ინსტიტუტში ვიღაც ტიპი მოვიდა ჩემთან.

— მართლა? — თქვა ელიმ და კინაღამ გული ამოუვარდა.

— ჰო, და მკითხა, შენი შვილი ვარ თუ არა. შენი და მამასი.

— ოჰო! — წამოიძახა ელიმ. შეეცადა, მსუბუქად გამოსვლოდა, მაგრამ ზედმეტი მოუვიდა. მის წამოძახილს ქარაფშუტული ელფერი დაჰკრავდა, — რა უპასუხე?

— რა ვუპასუხე? — იკითხა ტრიუგვემ და ჟურნალს თვალი მოსწყვიტა, — ვუპასუხე, რომ ნამდვილად ასეა.

— და ვინ იყო ის კაცი, ვინც ეგ კითხვა დაგისვა?

— რა ხდება, დედა?

— რას გულისხმობ?

— გაფითრებული ხარ.

— არაფერი, საყვარელო. ვინ იყო ეგ კაცი?

ტრიუგვე ჟურნალს მიუბრუნდა.

— თუ სწორად მახსოვს, არ მითქვამს, რომ კაცი იყო.

ელი წამოდგა და როდესაც წამყვანი წარმოების მინისტრსა და არვე სტიოპს მადლობას უხდიდა დებატებში მონაწილეობისთვის, რადიომიმღებს ჩაუწია.

სიბნელეს მიაჩერდა, ჰაერში მოფარფატე ფანტელები აღმა-დაღმა დაფრინავდნენ — უმიზნოდ, საკუთარი სურვილის გარეშე და მიზიდულობის ძალის უგულებელყოფით. მაშინ დაეცემოდნენ, როდესაც ამის საშუალება მიეცემოდათ. ამის შემდეგ დადნებოდნენ და გაქრებოდნენ. იყო ამ ყველაფერში რაღაც კომფორტული. ელიმ ჩაახველა.

— რა? — იკითხა ტრიუგვემ.

— არაფერი, — უპასუხა ქალმა, — მგონი, ვცივდები.

ჰარი უმიზნოდ დაბოდიალებდა ქალაქის ქუჩებში და როდესაც სასტუმრო „ლეონის” წინ აღმოჩნდა, მიხვდა, რომ სწორედ აქ მოდიოდა.

გარშემო მეძავები და ნარკოდილერები დაძრწოდნენ. მათთვის სამუშაო დღის ყველაზე აქტიური მონაკვეთი სწორედ ამ დროს იწყებოდა. ადამიანებს ურჩევნიათ, სექსითა და ნარკოტიკებით ვაჭრობა შუაღამემდე მოასწრონ.

ჰარი სასტუმროს მიმღების დახლთან მივიდა და ბიორე ჰანსენის შეშინებული სახით მიხვდა, რომ სასტუმროს მეპატრონემ იცნო.

— ჩვენ ხომ შეთანხმება დავდეთ! — დაიწივლა ჰანსენმა და წარბიდან ოფლი მოიწმინდა.

ჰარი ვერ ხვდებოდა, რატომ იკრავდნენ ოფლის თხელ, მბრწყინავ ფენას ის ადამიანები, რომლებიც სხვების ცხოველური ინსტინქტების წყალობით შოულობდნენ ფულს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ მათი უსინდისო სულები ხელოვნური სირცხვილის ჭიქურით იყო დაფარული.

— ექიმის ოთახის გასაღები მომეცი, — თქვა ჰარიმ, — დღეს არ მოვა.

ოთახის სამ კედელზე გაკრული სამოცდაათიან წლებში დამზადებული შპალერი ყავისფერ-სტაფილოსფერი ფსიქოდელიკური ხასიათის ორნამენტით იყო შემკული, მეოთხე კი, რომელიც ოთახსა და აბაზანას ყოფდა, შავად შეეღებათ და ბათქაშის ნახეთქები ნაცრისფერ ლაქებად ემჩნეოდა. ნომერში ორადგილიანი საწოლი იდგა, რომელიც შუაში ჩაზნექილიყო. იატაკზე თექის მაგარი გადასაფარებელი ეფინა. „წყალი და სპერმა რომ არ გაატაროს”, გაიფიქრა ჰარიმ. გაცვეთილი პირსახოცი სკამიდან საწოლის კიდეზე გადადო და ჩამოჯდა. ქალაქი ხმაურობდა და მას უხმობდა. ჰარიმ იგრძნო, რომ მის

მა წარმოსახვითმა ძაღლებმა მოაკითხეს — ყეფდნენ, იღრინებოდნენ, რკინის ჯაჭვებს კვნეტდნენ და ყვიროდნენ: მხოლოდ ერთი ჭიქა, ერთი ულუფა, რათა თავი დაგანებოთ და შენ ფეხქვეშ დავწვეთო. ჰარი ნამდვილად არ იყო სიცილის ხასიათზე, მაგრამ მაინც გაიცინა. დემონები უნდა განედევნა და ამის შემდეგ ტკივილიც გაუქრებოდა. სიგარეტს მოუკიდა. კვამლი ბრინჯის ქაღალდით დამზადებულ ჭაღს მოედო.

რომელი დემონები არ ასვენებდნენ იდარ ვეტლესენს? აქ მოჰყავდა და აქ ებრძოდა თუ პირიქით, აქ პოულობდა თავშესაფარს? მან და მისმა კოლეგებმა რაღაც დეტალებს კი მოჰფინეს ნათელი, მაგრამ ბევრი რამ მაინც საიდუმლოდ დარჩა. ზოგიერთ შეკითხვას საერთოდ ვერასდროს გაეცემა პასუხი. თუნდაც ამას — მართლა არსებობს თუ არა განსხვავება ბოროტებასა და სიგიჟეს შორის? თუ ჩვენ უბრალოდ გადავწყვიტეთ, რომ ადამიანის პიროვნული დეგრადაციის გარკვეული ეტაპისთვის „ავადმყოფობა" გვეწოდებინა? ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მავანს უდანაშაულო მოქალაქეებით დასახლებულ ქალაქში ატომური ბომბის ჩამოგდებამ მოუწია, მაგრამ ვერ ვხვდებით, როგორ შეიძლება, ლონდონის ღარიბულ უბნებში ვიღაც მანიაკი დაძრწოდეს და დაავადებების გამავრცელებელ მეძავებს ხოცავდეს. ამიტომ მიგვაჩნია, რომ პირველი შემთხვევა აუცილებლობით იყო გამოწვეული, მეორე კი — სიგიჟით.

ღმერთო! როგორ უნდოდა დალევა! მხოლოდ ერთი ჭიქა, რომელიც ტკივილს დაუამებდა და ამ ღამესა და დღეს დაავიწყებდა.

კარზე კაკუნის ხმა გაისმა.

— დიახ! — დაიღრიალა ჰარიმ და საკუთარმა ხმამ გააოცა.

კარი გაიღო და ჰოლემ შავი სახე დაინახა. ქალს ლამაზი,

ძლიერი თავი და კისერი ჰქონდა. მოკლე პიჯაკი ეცვა. იმდენად მოკლე, რომ მისი ვიწრო შარვლიდან ამოზნექილი მსუქანი ფერდები და მუცელი მოუჩანდა.

— Doctor? — თქვა ინგლისურად, თუმცა ბოლო ხმოვანზე დასმული მახვილი მის ნათქვამს ფრანგულ ჟღერადობას სძენდა.

ჰარიმ თავი გააქნია. ქალმა ჰოლეს შეხედა და კარი მოხურა.

რამდენიმე წამი გავიდა. შემდეგ ჰარი წამოდგა და კართან მივიდა. ქალი უკვე დერეფნის ბოლოში გასულიყო.

— Please! — ინგლისურად დაიყვირა ჰარიმ, — Please, come back[20] .

ქალი შეჩერდა, ფრთხილად, ყურადღებით დააკვირდა ჰარის და ფრანგულის მსგავსი აქცენტით თქვა:

– Two hundred kroner[21]. ჰარიმ თავი დაუქნია.

მცირე ხნის შემდეგ ქალი უკვე საწოლზე იჯდა და მდუმარედ ისმენდა ჰარის შეკითხვებს. შეკითხვებს არამზადა ექიმის, რამდენიმე ქალის მონაწილეობით მოწყობილი ორგიებისა და იმ ბავშვების შესახებ, რომელთა მოყვანასაც თავად ექიმი ითხოვდა ხოლმე. თითოეული კითხვის პასუხად ქალი თავს აქნევდა — იმის ნიშნად, რომ ვერ ხვდებოდა, რას გულისხმობდა მისი თანამოსაუბრე. ბოლოს იკითხა, პოლიციიდან ხომ არა ხართო. ჰარიმ თავი დაუქნია.

ქალმა შუბლი შეიჭმუხნა:

— Why you ask these questions? Where is Doctor?[22]

---

[20] *ერთი წუთით! დაბრუნდით, გთხოვთ!*

[21] *ორასი კრონი*

[22] *რატომ მისვამთ ასეთ შეკითხვებს? სად არის ექიმ? (ინგ)*

— Doctor killed people [23], — უთხრა ჰარიმ.

ქალმა უნდობლად შეხედა ჰარის და თქვა:

– Not true[24].

– Why not? [25].

–Because Doctor is a nice man. He helps us[26] .

ჰარიმ იკითხა, როგორ ეხმარებოდა ექიმი მას და მის მეგობრებს, და ახლა უნდა დამჯდარიყო და ესმინა. ქალის თქმით, ყოველ ორშაბათსა და ხუთშაბათს ექიმი ამ ოთახში იჯდა, თან თავისი ჩანთა დაჰქონდა. ქალებს ელაპარაკებოდა, შარდის ანალიზის მასალისათვის ტუალეტში გზავნიდა, სისხლის ნიმუშებს უღებდა და ამოწმებდა, ჰქონდათ თუ არა შემოწმებაზე მოსულ ქალებს ვენერიული დაავადებები. თუკი რომელიმეს სქესობრივი გზით გადამდებ რაიმე სტანდარტულ დაავადებას აღმოუჩენდა, წამლებს აძლევდა და რეცეპტსაც უწერდა, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე ქალს სხვა სახის დაავადებას, კერძოდ კი შავ ჭირს აღმოუჩენდა, შესაბამისი საავადმყოფოს მისამართს აძლევდა. თუკი მასთან მისულ ქალს რაიმე სხვა აწუხებდა, ექიმი მასაც წამლის აბებს აძლევდა. ანაზღაურებას არასდროს იღებდა და მხოლოდ ერთი მოთხოვნა ჰქონდა — მასთან მისულ ქალებს არავისთვის უნდა აღეწერათ ის, რაც ექიმის ნომერში ხდებოდა — მათი კოლეგების გარდა. ზოგიერთმა გოგონამ გადაწყვიტა, საკუთარი შვილებიც მიეყვანა ექიმთან, იმიტომ, რომ მათი ბავშვები ავადმყოფობდნენ. თუმცა სასტუმროს მფლობელი ბავშვებს არ უშვებდა.

---

[23] ექიმმა ადამიანები დახოცა

[24] არ არის მართალი

[25] რატომ?

[26] იმიტომ, რომ ექიმი კარგი კაცია, გვეხმარება ხოლმე (ინგ)

ჰარი უსმენდა ქალს და თან სიგარეტს ეწეოდა. ნუთუ ამ გზით ცდილობდა ვეტლესენი ცოდვების გამოსყიდვას? ნუთუ ბალანსის დასაცავად იქცეოდა ასე — იმისთვის, რათა ჩადენილი ბოროტების საპირწონე შეექმნა? ან იქნებ ეს კეთილი საქმეები უბრალოდ ბოროტებით მიღებულ სიამოვნებას აძლიერებდა? ამბობენ, მენგელეს ძალიან უყვარდა ბავშვებიო.

ჰარის ენა უსივდებოდა. ნამდვილად დაიხრჩობოდა, თუკი ცოტა ხანში არ დალევდა.

ქალი გაჩუმდა და ხელში ორასკრონიანი ბანკნოტი აათამაშა.

— Will Doctor come back? [27]— იკითხა მან ბოლოს.

ჰარიმ პირი გააღო. უნდოდა, ეპასუხა, მაგრამ ენას ვერ იმორჩილებდა. უცებ მისი მობილური ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. ჰარიმ ზარის მიღების ღილაკს დააჭირა, ტელეფონი ყურთან მიიდო და თქვა:

— ჰოლე გისმენთ.

— ჰარი, თქვენ ხარ? მე უდა პაულსენი ვარ. გახსოვვართ?

არ ახსოვდა. ქალს ძალიან ახალგაზრდული ხმა ჰქონდა.

— NRK-დან გახლავართ, არ გახსოვთ, Bosse-ს გადაღებაზე რომ მოგიწვიეთ? მკვლევარი. მაცდური მკვლევარი.

— გვაინტერესებს, შეგიძლიათ, ხვალაც შემოგვიერთდეთ? გვინდა, იმ „თოვლის კაცთან" დაკავშირებულ ტრიუმფზე გვესაუბროთ. ვიცით, რომ მკვდარია, მაგრამ მაინც. გვინდა ვისაუბროთ იმაზე, თუ რას ფიქრობს ასეთი პიროვნება, თუკი საერთოდ შეიძლება ასეთ...

— არა, — თქვა ჰარიმ.

— რა ბრძანეთ?

— თქვენთან მოსვლის სურვილი არა მაქვს.

---

[27] *დაბრუნდება ექიმი? (ინგ)*

— კი მაგრამ, ეს ხომ Bosse-ა, — თქვა აშკარად შეცბუნებულმა უდა პაულსენმა, — რომელიც NRK TV-ზე გადის.

— არა.

— მომისმინეთ, ჰარი, განა საინტერესო არ იქნება ჩვენი საუბარი...

ჰარიმ მობილური ტელეფონი შავ კედელს ესროლა. კედლიდან ბათქაშის ნაწილი ჩამოიყარა.

ჰარიმ ხელები ისე შემოიწყო, თითქოს ეშინოდა, რომ თავი გაუსკდებოდა. რაიმე უნდა დაელია. ნებისმიერი სასმელი. როდესაც ზემოთ აიხედა, ოთახში უკვე მარტო იყო.

შესაძლოა, მოვლენები სხვაგვარად განვითარებულიყო, „ფენრისის" მენიუში ალკოჰოლური სასმელები რომ არ ყოფილიყო შეტანილი; ბარმენის უკან „ჯიმ ბიმი" რომ არ მდგარიყო თაროზე და ჩახლეჩილი ხმით არ დაეყვირა, ანესთეზიისა და ამნისტიის დრო მოვიდაო. „მოდი აქ, ჰარი. მოდი, ძველ დროზე ვისაუბროთ. გავიხსენოთ ის საზარელი მოჩვენებები, რომლებსაც დავდევდით; ღამეები, როდესაც დაძინებას ვახერხებდით".

თუმცა, შესაძლოა, ჰარის უბრალოდ სხვა გზა არ ჰქონდა.

კოლეგებმა ვერც კი შეამჩნიეს ჰოლე, როდესაც ის დანიური გემის კაიუტასავით წითელი ინტერიერის მქონე ხმაურიან და მოგუგუნე ბარში შევიდა.

პოლიციელები უკვე გვარიანად შეზარხოშებულიყვნენ. ერთმანეთს ეხვეოდნენ და ყვიროდნენ. ლაპარაკისას ალკოჰოლის სუნს აფრქვევდნენ და მღეროდნენ სტივ უანდერთან ერთად, რომელიც ამტკიცებდა, მხოლოდ იმისთვის დავრეკე, რომ მეთქვა, მიყვარხარო. იმ საფეხბურთო გუნდს ჰგავდნენ,

რომელმაც თასი მოიგო, და როდესაც სტივ უანდერმა სიმღერის ბოლოს აღნიშნა, ჩემი სიყვარული გულიდან მოდისო, ჰარის ბარის დახლზე მესამე ჭიქა დაუდგეს.

პირველი ჭიქის შემდეგ ყველაფერი დაუბუჟდა. სუნთქვას ვერ ახერხებდა და იმაზე ფიქრობდა, ალბათ, მსგავსი გრძნობა ეუფლება მათ, ვინც კარნადრიოქსიდს იღებსო. მეორე ჭიქა დალია და კინაღამ გული აერია, მაგრამ მისი ორგანიზმი უკვე გამოდიოდა შოკიდან. მისმა სხეულმა, როგორც იქნა, მიაღწია იმ მდგომარეობას, რომლისკენაც ისწრაფოდა. ჰარის სხეული კარგად გრძნობდა თავს და კმაყოფილი კრუტუნებდა. მასში დაბუდებული მხეცი დამშვიდდა და ეს ხმა მის სულს მუსიკასავით ჩაესმოდა.

— სვამ?

მის გვერდით კატრინი იდგა.

— ეს ბოლო ჭიქაა, — თქვა ჰარიმ. გრძნობდა, რომ გასივებული ენა დაუცხრა, დაურბილდა და აუმოძრავდა. როგორც წესი, სასმელი მხოლოდ ენაწყლიანობას მატებდა ხოლმე. ამიტომ ძნელი იყო იმის დადგენა, როდის იყო ნასვამი და როდის — არა. შეიძლება ითქვას, სწორედ ამის გამო არ აგდებდნენ სამსახურიდან.

— ეს ბოლო არ არის, — უპასუხა კატრინმა, — მხოლოდ დასაწყისია.

— მართალია, — ჰარიმ ქალს შეხედა. ლურჯი თვალები, თხელი ცხვირი, სქელი ტუჩები... „ღმერთო, რა ლამაზია!" — მაგრამ შენ საიდან იცი? ლოთი ხარ, კატრინ ბრატ?

— მამა მყავდა ლოთი.

— ჰმ... მაგიტომ არ გინდოდა ბერგენში მშობლების სახლში მისვლა?

— რა, ვინმესთან შეხვედრას მხოლოდ იმიტომ არიდებენ

თავს, რომ ავად არის?

— არ ვიცი. არაა გამორიცხული, მის გამო არც ისე ბედნიერი ბავშვობა გქონოდა.

— ჩემი უბედურება მისი ბრალი არაა. მე თვითონ ვარ ასეთი.

— როგორი? უბედური?

— შესაძლოა. შენ უბედური ხარ?

ჰარიმ მხრები აიჩეჩა.

— რა თქმა უნდა.

კატრინმა ჭიქა აიღო და გადაკრა. „არაყს სვამს. ეს ჯინი არ არის", — დაასკვნა ჰარიმ.

— და რითია გამოწვეული შენი უბედურება, ჰარი?

— ის ადამიანი მიყვარს, რომელსაც ვუყვარვარ, — დაუფიქრებლად წამოროშა ჰარიმ.

კატრინს გაეცინა.

— შე საწყალო! თავიდან ბედნიერად ცხოვრობდი და მოულოდნელად ყველაფერი გართულდა? თუ წინასწარ იყო ყველაფერი განსაზღვრული?

ჰარი მის წინ მდგარ ჭიქაში ჩასხმულ ოქროსფერ-ყავისფერ სითხეს მიაჩერდა.

— ზოგჯერ ვფიქრობ ხოლმე ამ საკითხზე, მაგრამ არც ისე ხშირად. ვცდილობ, სხვა თემებზე ვიფიქრო.

— რა თემებზე?

— სხვა თემებზე.

— ჩემზეც ფიქრობ ხოლმე?

ვიღაცამ უკნიდან უბიძგა კატრინს და ქალი კიდევ მეტად მიუახლოვდა ჰარის, რომელიც გრძნობდა, როგორ ერეოდა კატრინის სურნელი „ჯიმ ბიმის" არომატს.

— არა, — თქვა მან, ჭიქა აიღო, მოსვა და ბოთლების უკან

განთავსებულ სარკეში ჩაიხედა, სადაც ერთმანეთთან ძალიან ახლოს მდგარი ჰარი ჰოლე და კატრინ ბრატი დაინახა.

კატრინი წინ გადმოიხარა.

— მატყუებ, ჰარი.

ჰოლე ქალისკენ შებრუნდა. კატრინის თვალები, ნისლის საწინააღმდეგო შორი ხედვის ნათურების მსგავსად, ყვითელ შუქს აკვესებდა. ნესტოები გაფართოებოდა და მძიმედ სუნთქავდა. არყისა და ლაიმის სუნი იფრქვეოდა.

— დაუყოვნებლივ და დაწვრილებით მითხარი, რას გააკეთებდი ამწუთას, — მტკიცედ თქვა ქალმა, — არაფერი დამიმალო და ამჯერად ნუღარ მომატყუებ.

გაახსენდა კატრინისა და მისი მეუღლის შესახებ გავრცელებული ჭორები, რომელზეც ესპენ ლეპსვიკი ლაპარაკობდა. მაგრამ, სინამდვილეში, გახსენებაც არ დასჭირვებია, ისედაც კარგად ახსოვდა. ჩაისუნთქა და თქვა:

— კარგი, კატრინ. მე უბრალო კაცი ვარ და მარტივი მოთხოვნილებები მაქვს.

ქალმა უკან გადასწია თავი. ასე იქცევა ზოგიერთი ცხოველი, როდესაც საკუთარი უპირატესობის დემონსტრირება სურს.

ჰარიმ ჭიქა ასწია.

— ერთადერთი, რაც მინდა, არის დალევა.

მოულოდნელად მათი ნასვამი კოლეგებიდან ერთ-ერთმა კატრინს ძლიერად ჰკრა ხელი. ჰარი ქალს მარცხენა გვერდში სწვდა, რათა კატრინი არ გადავარდნილიყო. ბრატს ტკივილისგან სახე დაემანჭა.

— ბოდიში, — თქვა ჰარიმ, — გეტკინა?

ქალმა ნეკნებზე მიიდო ხელი.

— არაფერია. მაპატიე.

კატრინი შებრუნდა და კოლეგებს შორის გზა გაიკვლია. რამდენიმე ბიჭმა ქალს თვალი გააყოლა. კატრინი ტუალეტში შევიდა. ჰარიმ თვალი მოავლო ოთახს და ლეპსვიკი დაინახა, რომელიც მას უყურებდა. ჰარიმ თვალი აარიდა კოლეგას. აღარ შეეძლო აქ გაჩერება. მას და „ჯიმს" სხვაგანაც შეეძლოთ ჭორაობა. ფული გადაიხადა და წასასვლელად მოემზადა. მის ჭიქაში ჯერ კიდევ ესხა სასმელი, მაგრამ ლეპსვიკი და სხვა ორი პოლიციელი აკვირდებოდნენ და ამიტომ თავი უნდა შეეკავებინა. უნდოდა, ადგილიდან დაძრულიყო, მაგრამ ფეხებს ვერ ამოძრავებდა. თითქოს იატაკზე იყო მიწებებული. ჭიქა აიღო, ტუჩებთან მიიტანა და სასმისი გამოცალა.

ღამის ცივი ჰაერი კანზე ელამუნებოდა. ჰარი მზად იყო, მთელი ქალაქი გულში ჩაეხუტებინა. როდესაც შინ დაბრუნდა, ნიჟარასთან მივიდა და მასტურბირებას შეეცადა, მაგრამ საბოლოოდ გული აერია. ზემოთ აიხედა და კარადის ქვეშ, ლურსმანზე დაკიდებულ კალენდარს დააცქერდა. რამდენიმე წლის წინ აჩუქა რაკელმა. კალენდრის ფოტოებზე რაკელი, ოლეგი და ჰარი იყვნენ გამოსახული. ყველა თვის ფოტოზე. ნოემბერი. რაკელი და ოლეგი დასცინოდნენ ჰარის, რომელიც შემოდგომის ფოთოლცვენისა და მკრთალი ცის ფონზე იდგა. კაბა, რომელიც პირველად ეცვა რაკელს. ჰარიმ გადაწყვიტა, რომ იმ ცაზე იოცნებებდა.

ამის შემდეგ სამზარეულოს ქვედა კარადა გამოაღო და დაინახა „კოკა-კოლას" ბოთლები, რომლებიც ხმაურით მიმოაბნია და მათ უკან დაინახა ის, რასაც ეძებდა. „ჯიმ ბიმის" ლიტრიანი, გაუხსნელი ბოთლი. ჰარი ვერ ბედავდა ალკოჰოლის მარაგის გარეშე ცხოვრებას. მაშინაც კი, როდესაც არ სვამდა. იმიტომ, რომ კარგად იცოდა, რაზეც იყო წამსვლელი, როდე-

საც დალევის დაუოკებელი სურვილი უჩნდებოდა და ამ დროს სასმელი არ ჰქონდა. თითქოს ცდილობდა, გადაევადებინა ის, რაც გარდაუვალი იყო. ჰარიმ ეტიკეტს გადაუსვა ხელი, ბოთლი გახსნა. რამდენი სჭირდებოდა? იმ შპრიცზე, რომელიც ვეტლესენის ხელში აღმოაჩინეს, საწამლავის შემდეგ წითელი ნალექი იყო დარჩენილი, რაც იმას ნიშნავდა, რომ შპრიცის გამოყენებამდე მისი დგუში სავსე იყო.

კოშინელივით წითელი ნალექი. ჩემო ძვირფასო კოშინელო.

ჩაისუნთქა და ბოთლი ასწია. პირში ჩაიდო და იგრძნო, როგორ დაეძაბა სხეული, რომელიც შოკის მისაღებად ემზადებოდა. ჰარიმ ბოთლი მოიყუდა. ხარბად და უკანმოუხედავად სვამდა, თითქოს უნდოდა, რაც შეიძლება მალე დაემთავრებინა. თითოეულ ყლუპს ისეთი ხმა ჰქონდა, თითქოს ჰარი ქვითინებდა.

თავი XVII

მეთოთხმეტე დღე. კარგი ამბავი

გუნარ ჰაგენი სწრაფი ნაბიჯით დადიოდა დერეფანში. ოთხი დღე იყო გასული მას შემდეგ, რაც „თოვლის კაცის" საქმე გაიხსნა. უბედნიერესი ოთხი დღე, რომლებსაც მილოცვები, უფროსობის ღიმილი და მასმედიის საშუალებებით გავრცელებული დადებითი კომენტარები სდევდა თან. ოსლოს პოლიციის სამმართველოს საზღვარგარეთულმა გაზეთებმაც კი მიმართეს თხოვნით, დეტალურად აღეწერათ გამოძიების მსვლელობა და ის დაბრკოლებები, რომელიც სამძებრო სამუშაოებს ახლდა. და სწორედ აქ დაიწყო პრობლემები. ადამიანი, რომელსაც შეეძლო, ამ საქმეზე დეტალური ინფორმაცია მიეწოდებინა ჰაგენისთვის, ადგილზე არ იმყოფებოდა. ოთხი დღე გავიდა და არავინ იცოდა, სად იყო და რას აკეთებდა ჰარი ჰოლე. და ამ გარემოებას აშკარა მიზეზიც ჰქონდა

— ოთხი დღის წინ მისმა კოლეგებმა, რომლებიც ბარ „ფენრისში" შეიკრიბნენ, შეამჩნიეს, რომ ჰოლე სასმელს ეძალებოდა. ჰაგენი ცდილობდა, ეს ცნობა საიდუმლოდ შეენახა, მაგრამ ჭორებმა პოლიციის უფროსის ყურამდე მიაღწია და იმ დილით ჰაგენი მის კაბინეტში დაიბარეს.

— გუნარ, ასე ვეღარ გაგრძელდება.

გუნარ ჰაგენმა თქვა, რომ ჰარი ჰოლეს გამოუცხადებლობას, შესაძლოა, სხვა მიზეზი ჰქონოდა. ჰარი იშვიათად ატყობინებდა თანამშრომლებს, სად იმყოფებოდა მაშინ, როდესაც ოფისის გარეთ მუშაობდა. მიუხედავად იმისა, რომ მკვლელი იპოვეს, ამ საქმეში ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო გამოსაძიებელი.

მაგრამ პოლიციის უფროსს უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი ჰქონდა.

— გუნარ, ჩიხში ვართ და სწორედ ჰოლეა ამის მიზეზი.

— ჰარი ჩვენი საუკეთესო გამომძიებელია, ტორლეიფ.

— და ყველაზე ცუდად წარმოადგენს ჩვენს უწყებას. გინდა, რომ უმცროსმა ოფიცრებმაც მას მიჰბაძონ, გუნარ? ეგ კაცი ლოთია. ყველამ ნახა, როგორ სვამდა „ფენრისში" და ყველამ იცის, რომ იმ დღის შემდეგ სამსახურში არ გამოჩენილა. თუკი შემწყნარებლობას გამოვიჩენთ, დისციპლინის ძალიან დაბალ სტანდარტებს დავამკვიდრებთ და ამას გამოუსწორებელი შედეგი მოჰყვება.

— გათავისუფლებას უპირებთ? იქნებ...

— არავითარი გაფრთხილებები! რეგულაციებში ნათლად არის მითითებული, რომ საჯარო მოსამსახურე ლოთი არ უნდა იყოს.

კომისარს ჯერაც ყურში ჩაესმოდა ეს საუბარი, როდესაც კიდევ ერთხელ დააკაკუნა პოლიციის უფროსის კაბინეტის კარზე.

— გამოჩნდა, — თქვა ჰაგენმა.

— ვინ?

— ჰარი ჰოლე. ლიმ დამირეკა. დაუნახავს, როგორ შედიოდა ჰარი თავის კაბინეტში.

— მშვენიერია! — თქვა უფროსმა და წამოდგა, — წამოდი, დაველაპარაკოთ.

ჰაგენი და პოლიციის უფროსი მეშვიდე სართულზე, სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების წითელი ზონის დერეფანში მიაბიჯებდნენ. მთელმა სამმართველომ იცოდა, რაც მოხდებოდა, ამიტომ ყველა გაფაციცებით ელოდებოდა მოვლენების განვითარებას და თვალს არ აშორებდა მკაცრი

გამომეტყველების მქონე ორ მამაკაცს, რომლებიც 616-ე კაბინეტთან შეჩერდნენ. ჰაგენმა ღრმად ჩაისუნთქვა.

— ტორლეიფ... — თქვა მან, მაგრამ პოლიციის უფროსი კარის სახელურს დასწვდა და გამოაღო.

ორივე კარის ზღურბლთან შედგა. ვერ იჯერებდნენ იმას, რასაც ხედავდნენ.

— ღმერთო დიდებულო! — ჩაიჩურჩულა პოლიციის უფროსმა.

მაისურში გამოწყობილი ჰარი ჰოლე თავის მაგიდასთან იჯდა და მკლავზე ელასტიკური ლენტი ჰქონდა მოჭერილი. დეტექტივს წინ გადაეხარა თავი, ელასტიკური ლენტის ქვემოთ კი, კანქვეშ, შპრიცი ეკიდა, რომელშიც გამჭვირვალე სითხე ესხა. ჰარის თეთრი ხელი წითელი ნანემსრებით იყო დაფარული და ეს შორიდანაც კარგად ჩანდა.

— რას აკეთებ, ეშმაკმა დალახვროს?! — კბილებში გამოცრა პოლიციის უფროსმა, ჰაგენი კაბინეტში შეაგდო და კარი მოიჯახუნა.

ჰარიმ თავი ასწია და ორივეს უაზრო თვალებით შეხედა. შემდეგ შპრიცი გამოიძრო, მასში არსებული სითხის ოდენობას დააკვირდა, გვერდზე მოისროლა და რაღაც დაწერა ფურცელზე.

— შენი საქციელი ყველაფერს ამარტივებს, ჰოლე, — ენის ბორძიკით თქვა პოლიციის უფროსმა, — იმიტომ, რომ ცუდი ამბავი გვაქვს შენთვის.

— თქვენ კი არა, მე მაქვს ცუდი ამბავი, ბატონებო, — თქვა ჰარიმ, ჩანთიდან ბამბის ნაგლეჯი ამოაძვრინა და მკლავზე დაიდო, — იდარ ვეტლესენი თავს ვერ მოიკლავდა. ალბათ, ხვდებით, რისი თქმაც მინდა.

გუნარ ჰაგენმა იგრძნო, რომ ეცინებოდა. იმდენად აბსურდ-

ულ სიტუაციაში აღმოჩნდა, რომ მისი გონება სხვა რეაქციას ვეღარ ავლენდა. შეამჩნია, რომ პოლიციის უფროსიც დაიბნა.

ჰარიმ საათს დახედა და წამოდგა.

— ზუსტად ერთ საათში სათათბირო ოთახში ვიქნები, მანამდე კი კიდევ რაღაც მაქვს გასაკეთებელი, — თქვა ინსპექტორმა, თავის გაოგნებულ უფროსებს გვერდი აუარა, კარი გააღო და გამარჯვებული ადამიანის ფართო ნაბიჯით მოშორდა იქაურობას.

ერთი საათისა და ოთხი წუთის შემდეგ გუნარ ჰაგენი ოსლოს პოლიციის უფროსსა და ნორვეგიის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსთან ერთად სათათბირო ოთახში შევიდა, სადაც ლეპსვიკისა და ჰოლეს საგამოძიებო ჯგუფების ოფიცრები ისხდნენ. დარბაზში გამეფებულ სამარისებურ სიჩუმეს მხოლოდ ჰარი ჰოლეს ხმა არღვევდა. უფროსობა დამსწრე საზოგადოების უკან დადგა. პროექტორის ეკრანზე ერთმანეთის მიყოლებით ჩნდებოდა იდარ ვეტლესენის გვამის ფოტოები, რომლებიც კერლინგის კლუბში გადაიღეს.

— როგორც ხედავთ, შპრიცი ვეტლესენს მარჯვენა ხელში ეჭირა, — თქვა ჰარიმ, — არაფერია ამაში გასაკვირი — იგი მემარჯვენე იყო, მაგრამ ჩემი ყურადღება მისმა ფეხსაცმელმა მიიპყრო. შეხედეთ.

პროექტორის ობიექტივში კიდევ ერთი ფოტო გამოჩნდა — ფეხსაცმლის სურათი, რომელიც ახლო ხედით იყო გადაღებული.

— ეს ფეხსაცმელი ჩვენი ერთადერთი სამხილია, მაგრამ სრულიად საკმარის მტკიცებულებას წარმოადგენს, იმიტომ, რომ სწორედ ასეთი ფეხსაცმლის ანაბეჭდი ვიპოვეთ სოლიჰიოგდაში. და მაინც, შეხედეთ თასმებს, — ჰოლემ ფოტოსურათს საჩვენებელი ჯოხი დაადო, — გუშინ საკუთარ ფეხსაცმელზე გა-

მოვცადე. ასეთი ნასკვი რომ გამომსვლოდა, თასმები უკნიდან წინ უნდა შემებნია, ანუ ისე უნდა გამენასკვა, როგორც ამას ცაცია გააკეთებდა; ან ფეხსაცმლის წინ უნდა დავმდგარიყავი — ისე, თითქოს სხვას ვუკრავდი თასმებს.

ოთახში დაძაბული ატმოსფერო სუფევდა.

— მე მემარჯვენე ვარ, — თქვა ესპენ ლეპსვიკმა, — მაგრამ ზუსტად მასე ვიკრავ თასმებს.

— ჰო... შესაძლოა, უბრალოდ ჩემი ახირებაა, მაგრამ სწორედ ასეთი დეტალები იწვევს ერთგვარ... — ჰოლეს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს წარმოთქმის წინ გემოს უსინჯავდა სიტყვას, — მოუსვენრობას. მოუსვენრობას, რომელიც გიბიძგებს, კიდევ უფრო მეტი კითხვა დასვა.— მართლა ვეტლესენისაა თუ არა ეს ფეხსაცმელი? იაფფასიანი ფეხსამოსია. გუშინ ვეტლესენის დედას ვესტუმრე და ვთხოვე, მისი ვაჟის ფეხსაცმლის კოლექცია ეჩვენებინა. აბსოლუტურად ყველა წყვილი ძვირად ღირებული აღმოჩნდა. ამასთან, ბევრი ჩვენგანის მსგავსად, ზოგჯერ ისიც არ იკრავდა თასმებს, — თქვა ჰარიმ და სურათს კიდევ ერთხელ დაადო საჩვენებელი ჯოხი, — აი, ამიტომ ვარ დარწმუნებული, რომ იდარ ვეტლესენს თვითონ არ შეუკრავს თასმები.

ჰაგენმა პოლიციის უფროსს გადახედა და შენიშნა, რომ ტორლეიფს შუბლზე ღრმა ნაოჭი გაუჩნდა.

— ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩნდება კითხვა — იქნებ ეს ფეხსაცმელი ვიღაც სხვამ ჩააცვა ვეტლესენს? ფეხსაცმლის ის წყვილი, რომელიც სოლიჰიოგდაში ეცვა დამნაშავეს. მოტივი სავსებით გასაგებია — მკვლელს სურდა, დაგვეჯერებინა, რომ სწორედ ვეტლესენი იყო „თოვლის კაცი".

— თასმები და იაფფასიანი ფეხსაცმელი? — შესძახა ლეპსვიკის გუნდის ერთ- ერთმა წევრმა, — ლაპარაკია ფსიქოპათზე,

რომელიც მეძავ ბავშვებს ქირაობს; მანიაკზე, რომელმაც დანაშაულის ადგილზე კვალი დატოვა და თან ოსლოში მცხოვრებ ორივე მოკლულს იცნობდა, შენ კი რაღაცას მიედ-მოედები.

ტანმაღალმა ჰოლემ თავი დააქნია.

— მართალია, მაგრამ ნება მომეცით ახლა მთავარ გარემოებაზე ვილაპარაკო. იდარ ვეტლესენმა კარნადრიოქსიდის ინიექციით მოიკლა თავი. გაკვეთისას დადგინდა, რომ გარდაცვლილის ორგანიზმში კარნადრიოქსიდის მეტისმეტად მაღალი დონე იყო, ანუ ვეტლესენს, სულ ცოტა, ოცი მილილიტრი უნდა შეეყვანა ორგანიზმში, რაც სრულიად შეესაბამება შპრიცის ექსპერტიზის შედეგებს. შპრიცის ცილინდრი თითქმის სავსე იყო. ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ კარნადრიოქსიდი სხეულის პარალიზებას იწვევს. ამ ნივთიერების უმცირესი დოზაც კი საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, იმიტომ, რომ ამ პრეპარატის სისხლში მოხვედრის შემდეგ ადამიანს გულისა და სუნთქვის ორგანოების უკმარისობა ეწყება. ჩვენი სამედიცინო ექსპერტების მონაცემებით, ადამიანი ინექციის შემდეგ სამ წამში კვდება. შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე.

ჰარის ხელში ის ფურცელი ეჭირა, რომელიც ჰაგენმა ჯერ კიდევ 616-ე კაბინეტში, მაგიდაზე შეამჩნია.

— საკუთარ თავზე შევამოწმე. იმავე მოცულობის შპრიცი ავიღე, რომელსაც ისეთივე დიამეტრის ნემსი აქვს და ვენაში ფიზიოლოგიური ხსნარი შევიშხაპუნე. მარილწყალი კონსისტენციით თითქმის არ განსხვავდება კარნადრიოქსიდისგან — ორივე სითხის ოთხმოცდათხუთმეტი პროცენტი წყალია. მიუხედავად იმისა, თუ რა ძალით დააწვებით დგუშს, სულ ცოტა, რვა წამი მაინც დაგჭირდებათ იმისთვის, რომ სხეულში ოცი

მილილიტრი სითხე შეიყვანოთ. ამის მიზეზი ისაა, რომ ასეთი შპრიცის ნემსს პატარა დიამეტრი აქვს. ამდენად... — ჰოლე მცირე ხნით დადუმდა, რათა მსმენელები დამოუკიდებლად მისულიყვნენ სათანადო დასკვნამდე, — სიკვდილის წინ ვეტლესენი მიღებული დოზის მესამედის შეყვანასაც კი ვერ მოასწრებდა ორგანიზმში. მოკლედ, ის თავისით ვერ გაიკეთებდა ამ ინექციას.

ჰაგენმა ნერწყვი გადაყლაპა. მიხვდა, რომ იმაზე ცუდი დღე გაუთენდა, ვიდრე თავიდან ვარაუდობდა.

თათბირის დასრულებისთანავე ნორვეგიის პოლიციის უფროსმა ოსლოს პოლიციის უფროსს რაღაც ჩასჩურჩულა, საქალაქო სამმართველოს უფროსი კი ჰაგენისკენ დაიხარა და თქვა:

— ჰოლე და მისი გუნდი სასწრაფოდ ჩემს კაბინეტში გამოგზავნე. ლეპსვიკსა და მის ხალხს კი ალიკაპი ამოსდე. ყველაფერი, რაც აქ ითქვა... საიდუმლოდ უნდა დარჩეს საზოგადოებისთვის. გასაგებია?

რა თქმა უნდა! ხუთი წუთის შემდეგ ჰაგენი და ჰარი ჰოლეს გუნდი პოლიციის უფროსის უზარმაზარ არაკომფორტულ კაბინეტში ისხდნენ.

სულ ბოლოს კატრინი შემოვიდა და კარი მოხურა. ჰარი სკამზე გაიშხლართა. მისი გაშლილი ფეხები პოლიციის უფროსის მაგიდას სწვდებოდა.

— მოკლედ ვიტყვი იმას, რისი თქმაც მსურს, — თქვა ქალაქის პოლიციის უფროსმა და სახეზე ისე დაისვა ხელები, თითქოს სურდა, მოეშორებინა ის, რის თქმასაც აპირებდა. იგი ხედავდა, რომ ეს ჯგუფი საგამოძიებო პროცესის საწყის ეტაპს დაუბრუნდა, — რაიმე სახის კარგი ამბით ხომ ვერ გაგვახარებ-

დით, ჰოლე? თქვენს არყოფნაში პრესას ვაცნობეთ, რომ ჩვენი დაუღალავი შრომის შედეგად „თოვლის კაცი” ცოცხალი აღარ არის. თქვენი კარგი ამბავი ერთგვარად გაანეიტრალებდა არსებულ რეალობას.

— ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ იდარ ვეტლესენმა გაიგო ის, რაც არ უნდა სცოდნოდა. და როდესაც მკვლელი მიხვდა, რომ ვეტლესენის კვალზე გავედით, გადაწყვიტა, ჩვენთვის კვალი აებნია. ამ მხრივ ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ ვეტლესენი მართლაც ჩვენი დაუღალავი შრომის შედეგად დაიღუპა.

სამმართველოს უფროსს ლოყები შეეფაკლა.

— როდესაც „კარგი ამბავი” ვახსენე, მაგას არ ვგულისხმობდი, ჰოლე.

— კარგი ამბავი ისაა, რომ მიზანს მივუახლოვდით. ასე რომ არ იყოს, „თოვლის კაცი” არ გამოიდებდა თავს და ვეტლესენს არ გადმოგვიგდებდა სატყუარად. მას სურდა, საქმე დაგვეხურა და გამოძიება შეგვეწყვიტა. მოკლედ, იგრძნო, რომ ვუახლოვდებოდით. ასეთ შემთხვევაში კი „თოვლის კაცის” მსგავსი მკვლელები შეცდომებს უშვებენ ხოლმე. ამასთან, აშკარაა, რომ მაინც ბედავს და ხოცვა- ჟლეტას აგრძელებს.

ქალაქის პოლიციის უფროსმა პირი გააწკლაპუნა.

— ეს ლოგიკური დასკვნაა, ჰოლე, თუ თქვენს იმედს მიზიარებთ?

— რა ვიცი... — თქვა ჰარიმ, ჯინსის შარვლის განაჭერში ჩაყო ხელი და მუხლი მოიქავა, — თქვენ ხომ კარგ ამბავს მთხოვთ, უფროსო.

ჰაგენმა ამოიგმინა და ფანჯარას მიუახლოვდა. ოსლოს თავზე ღრუბელი იყრებოდა. სინოპტიკოსების ვარაუდით, ქალაქს თოვლიანი დღე ელოდა.

***

ფილიპ ბეკერი ზემოდან დასცქეროდა იუნასს, რომელიც სასტუმრო ოთახის იატაკზე იჯდა და თვალს არ აშორებდა ტელევიზორის ეკრანს. ბირტეს გაუჩინარების შემდეგ ბიჭი ყველა ნაშუადღევს ასეთ მდგომარეობაში ატარებდა. თითქოს ტელევიზორი ერთგვარ ფანჯარას წარმოადგენდა. ფანჯარას უკეთეს სამყაროში. სამყაროში, სადაც იუნასი აუცილებლად იპოვიდა დედას, თუკი კარგად მოძებნიდა.

— იუნას.

ბიჭმა მორჩილად, მაგრამ უინტერესოდ ახედა მამას და გაშეშებული მიაჩერდა დანას, რომელიც ფილიპს ეჭირა ხელში.

— ჩემს აკუწვას აპირებ? — იკითხა იუანსმა.

ბიჭის სახის გამომეტყველებამ და მისმა გამგმირავმა ხმამ ფილიპ ბეკერი ისე გაამხიარულა, რომ კაცმა გულიანად გადაიხარხარა. დანის პირი ყავის მაგიდაზე მდგარი სანათურის შუქს ირეკლავდა. ფილიპმა ეს დანა სტორო მოლის რკინაკავეულობის მაღაზიაში იყიდა. მას შემდეგ, რაც იდარ ვეტლესენს დაურეკა.

— სულ ოდნავ, იუნას, სულ ოდნავ, — თქვა მან და ოდნავ გაჭრა ზედაპირი.

თავი XVIII

მეთხუთმეტე დღე. ხედი

ორი საათი შესრულდა, როდესაც კამილა ლოსიუსი ვარჯიშის შემდეგ მანქანით ბრუნდებოდა შინ. დღეს მან, ჩვეულებისამებრ, მთელი ქალაქი გადაკვეთა, რათა ოსლოს დასავლეთ კიდეზე მდებარე ფიტნესცენტრ "კოლოსეუმამდე" მიეღწია. არა იმიტომ, რომ მისი სახლის მახლობლად, ტვეიტის რაიონში მდებარე დარბაზში სხვა ტიპის ტრენაჟორები იდგა. მისი არჩევანი განპირობებული იყო იმით, რომ "კოლოსეუმში" სხვა ხალხი დადიოდა. აქ, ძირითადად, ოსლოს დასავლეთ ნაწილში მცხოვრები ადამიანები ვარჯიშობდნენ. ტვეიტაში გადასვლა მისი და ერიკის საქორწინო შეთანხმების ნაწილი იყო და კამილა იძულებული გახდა, ეს გადაწყვეტილება მიეღო. იმ ქუჩაზე შეუხვია, სადაც მათი სახლი იდგა. მისი მეზობლების სახლში შუქი ენთო. კამილა და იმ სახლის ბინადრები ყოველთვის ესალმებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ მათი ურთიერთობა მხოლოდ ამ ფორმალური თავაზიანობით შემოიფარგლებოდა. ეს ადამიანები ერიკის ცხოვრების ნაწილს შეადგენდნენ, კამილას კი მათთან არაფერი ჰქონდა საერთო. კამილამ დაამუხრუჭა. ამ უბანში ყველას ორმანქანიანი ავტოფარეხი ჰქონდა, მაგრამ დისტანციური მართვის კარი მხოლოდ მათ ჰქონდათ. ერიკს უყვარდა ასეთი დეტალები, თავად კამილასთვის კი სულერთი იყო, როგორი კარი ექნებოდა მის ავტოფარეხს. ღილაკს დააჭირა თითი და კარი გაიღო. კამილამ მანქანა ავტოფარეხში შეიყვანა. რა თქმა უნდა, ერიკის მანქანა არ დახვდა. მისი მეუღლე ჯერ კიდევ სამსახურში იყო. სპორტული

კოსტიუმისა და სუპერმარკეტ ICA-ში შეძენილი პროდუქტების პაკეტის ასაღებად მგზავრის სავარძლისკენ შებრუნდა და, ჩვეულებისამებრ, საქარე მინაზე დამაგრებულ სარკეს მუშტრის მზერა ესროლა. მისი მეგობრები ამბობდნენ, რომ მშვენივრად გამოიყურებოდა. ჯერ ოცდაათი წლისაც არა ხარ და უკვე საკუთარი სახლიც გაქვს, მანქანაც და ნიცის ახლოს აგარაკიცო, ახსენებდნენ ხოლმე. ეკითხებოდნენ, როგორ მოგწონს ქალაქის აღმოსავლეთ რაიონში ცხოვრებაო. როგორ გრძნობენ თავს შენი მშობლები მას შემდეგ, რაც გაკოტრდნენო. რა უცნაურად აკავშირებდნენ ამ ორ კითხვას ერთმანეთთან!

კამილამ კიდევ ერთხელ ჩაიხედა სარკეში. მისი მეგობრები ნამდვილად არ ცდებოდნენ. მშვენივრად გამოიყურებოდა. უცებ მოეჩვენა, რომ სარკის კიდეში რაღაც უცნაური ფიგურა დაინახა. არა, თურმე უბრალოდ ელექტრონული კარი დაიკეტა ავტომატურად. მანქანიდან გადმოვიდა და ჯიბეებში სახლის გასაღების ძებნას შეუდგა. გაახსენდა, რომ ტელეფონი მანქანის პანელზე განთავსებულ სპეციალურ ჩასადებში დარჩა.

კამილა შებრუნდა და შეჰკივლა.

მის უკან ვიღაც მამაკაცი იდგა. ქალმა პირზე ხელი აიფარა უკან დაიხია. შეეცადა, ღიმილით მოეხადა ბოდიში. არა იმიტომ, რომ საბოდიშო იყო რამე. უბრალოდ, მამაკაცი, ფაქტობრივად, უგონოდ იყო. მაგრამ კამილამ შეამჩნია, რომ დაუპატიჟებელ სტუმარს პისტოლეტი ეჭირა და მისკენ ჰქონდა მიმართული. ქალს მოეჩვენა, რომ პისტოლეტი, რომელიც უცნობ მამაკაცს ეჭირა, სათამაშოს ჰგავდა.

— მე ფილიპ ბეკერი მქვია, — თქვა კაცმა, — ზარი დავრეკე, მაგრამ შინ არავინ დამხვდა.

— რა გნებავთ? — იკითხა ქალმა და შეეცადა, ხმაში შეპარუ-

ლი თრთოლა შეეკავებინა. ინსტინქტურად ხვდებოდა, რომ შიში უნდა დაემალა, — რას ნიშნავს ეს ყველაფერი?

მამაკაცმა ირონიულად გაიღიმა.

— ბოზობას.

* * *

სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ჰარი ჰაგენს უყურებდა. კომისარმა საგამოძიებო ჯგუფს თათბირი მხოლოდ იმისთვის შეაწყვეტინა, რომ მათთან პოლიციის სამმართველოს უფროსის მითითებაზე ესაუბრა. ჰაგენის თქმით, ვეტლესენის საქმეში გაჩენილი ახალი დეტალები საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო და პოლიციის თანამშრომლებს ეს ინფორმაცია არც მეუღლეებისთვის უნდა გაენდოთ და არც სხვა ტიპის პარტნიორებისთვის.

სიტყვით გამოსვლისას ჰაგენმა შენიშნა, რომ ჰარი დაჟინებით უცქერდა.

— ჰო... სულ ეს იყო, რისი თქმაც მინდოდა, — სწრაფად ჩაილაპარაკა კომისარმა და ოთახიდან გავიდა.

— განაგრძე, — უთხრა ჰარიმ ჰოლმს, რომელიც ჰაგენის შემოსვლამდე რამდენიმე წამით ადრე კერლინგის კლუბში ნაპოვნი ნაკვალევის შესახებ ლაპარაკობდა. უფრო სწორად, იმ ნაკვალევის, რომელიც ვერ იპოვეს.

—დანაშაულის ადგილზე მისვლისას თვითმკვლელობის ვერსიას მოვეჭიდეთ და ამიტომ ნაფეხურების ანაბეჭდები არ აგვიღია, ახლა კი უკვე ყველაფერი გადათელილია. გუშინ მი-

ვედი და ბევრი ვერაფერი ვიპოვე.

— ჰმ... — თქვა ჰარიმ, — კატრინ!

კატრინმა რვეულში ჩაიხედა.

— შენი თეორიის მიხედვით, ვეტლესენი და მკვლელი ერთმანეთს კერლინგის კლუბში შეხვდნენ და ეს შეხვედრა წინასწარ უნდა ყოფილიყო დაგეგმილი. შეიძლება დავასკვნათ, რომ მანამდე მათ შორის სატელეფონო საუბარი გაიმართა. შენ მთხოვე, ტელეფონის ზარების ამონაწერი შემემოწმებინა.

— ჰო, — დაეთანხმა ჰარი და მთქნარება შეიკავა. კატრინმა რვეული გადაფურცლა.

— „ტელენორიდან" ვეტლესენის კლინიკის ტელეფონითა და მობილურით საუბრების სიის ამონაწერი გამოვითხოვე და ბორგჰილდს მივუტანე შინ.

— შინ? — იკითხა გაოცებულმა სკარემ.

— ჰო. სამსახური დაკარგა. როგორც მითხრა, ბოლო ორი დღის განმავლობაში იდარ ვეტლესენის კლინიკაში მხოლოდ პაციენტები მიდიოდნენ. აი, მათი სია.

კატრინმა ფაილიდან ფურცელი ამოიღო და ჰარის მაგიდაზე დაუდო.

— ვვარაუდობდი, რომ ბორგჰილდმა კარგად იცოდა ვეტლესენის პროფესიული თუ სოციალური კონტაქტები და მართლაც, სატელეფონო ზარების სიაში დაფიქსირებული ყველა ნომრის მფლობელის ამოცნობაში დამეხმარა. ისინი ორ ჯგუფად დავყავით. პირველში ის პირები შევიყვანეთ, რომლებთანაც ვეტლესენს პროფესიული ურთიერთობა აკავშირებდა, მეორე ჯგუფში კი მისი ყველა სხვა ნაცნობი გავაერთიანეთ. ორივე სიაში მითითებულია ტელეფონის ნომრები, საუბრის დრო და თარიღი, განსაზღვრულია დამრეკავის ვინაობა და საუბრის ხანგრძლივობა.

ჰოლემ, სკარემ და ჰოლმმა ბრატის მიერ წარმოდგენილ სიებს დახედეს. კატრინი ჰარის ხელს შეეხო. ჰოლე ბრატს დააკვირდა. ქალს უხერხულობის ნატამალიც კი არ ეტყობოდა. იქნებ უბრალოდ დაესიზმრა ის დიალოგი, რომელიც „ფენრისში" გაიმართა მასსა და კატრინს შორის? მაგრამ როდესაც ჰარი სვამდა, სიზმრებს არ ხედავდა ხოლმე. შეიძლება ითქვას, სწორედ ამიტომ ეტანებოდა ალკოჰოლს. იმ ღამით იმდენი დალია, რომ მომდევნო დღეს მთვრალმა გაიღვიძა, თავში კი მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა, რომელიც, როგორც ჩანს, ვისკის ბოთლის თანამიმდევრული გამოცლისა და გამოფხიზლების დაუნდობელ მომენტს შორის გაუჩნდა. კოშინელისა და ვეტლესენის სავსე შპრიცის იდეა. სწორედ ამ აზრის წყალობით გადარჩა და თერესესგატეზე მდებარე „ვინმონოპოლეტში" არ ჩავიდა. საბოლოოდ, ისევ სამუშაოს დაუბრუნდა. ერთი წამალი მეორის ნაცვლად.

— ეს ვისი ნომერია? — იკითხა ჰარიმ.

— რომელი? — იკითხა კატრინმა და წინ წამოიწია.

ჰარიმ ვეტლესენის არაპროფესიული სანაცნობო წრის სიის ერთ-ერთ ნომერზე მიუთითა.

— რატომ გაინტერესებს მაინცდამაინც ეს ნომერი? — იკითხა კატრინმა და ინტერესით დააკვირდა ჰარის.

— იმიტომ, რომ ეს ის ადამიანია, რომელმაც ვეტლესენს დაურეკა. ვეტლესენს არ დაურეკავს მისთვის. ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ამ სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი თავად მკვლელია; ამდენად, წესით, სწორედ მას უნდა დაერეკა.

კატრინმა ნომერი გადაამოწმა.

— სამწუხაროდ, ეს ადამიანი ორივე სიაშია. იგი ვეტლესენის პაციენტიც იყო.

— გასაგებია, მაგრამ აუცილებლად უნდა გამოვნახოთ ათვ-

ლის წერტილი. ვინ არის? მამაკაცია თუ ქალი?

კატრინმა ცალყბად გაიღიმა.

— დიახაც მამაკაცია.

— რას გულისხმობ?

— ნამდვილი მამაკაცია. ერთგვარი მაჩო. არვე სტიოპი.

— არვე სტიოპი? — წამოიძახა ჰოლმმა, — თვით არვე სტიოპი?

— პირველ რიგში მას უნდა ვეწვიოთ, — თქვა ჰარიმ.

კატრინის სიიდან შვიდი ზარი საეჭვოდ მიიჩნიეს. ვეტლესენის ყველა თანამოსაუბრის სახელი დაადგინეს, გარდა ერთისა, რომელმაც „სტურუ მოლის" სატელეფონო ჯიხურიდან დარეკა.

— ზარის შესვლის ზუსტი დრო გვაქვს, — თქვა ჰარიმ, — ნეტავ იმ სატელეფონო ჯიხურს სათვალთვალო კამერა თუ აკონტროლებს!

— არა მგონია, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ კამერები სავაჭრო ცენტრის ყველა შესასვლელ-გამოსასვლელშია დამონტაჟებული. შემიძლია „სტურუ მოლის" დაცვის თანამშრომლებს ვესტუმრო და შევამოწმო.

— ყველას დააკვირდი, ვინც მაგ ჩანაწერებში იმ სატელეფონო საუბრამდე ნახევარი საათით ადრე ან ნახევარი საათით გვიან გამოჩნდება.

— არაა ეგ ადვილი საქმე, — შუბლი შეიჭმუხნა სკარემ.

— აბა, თუ მიხვდები, ვის უნდა სთხოვო დახმარება? — იკითხა ჰარიმ.

— ბეატე ლიონს, — თქვა ჰოლმმა.

— ყოჩაღ!

ჰოლმმა თავი დაუქნია და ჰარიმ სინდისის ქენჯნა იგრძნო.

სკარეს მობილურიდან The La's-ის „There She Goes"-ის

მელოდია გაისმა. მაგნუსმა ტელეფონს დასტაცა ხელი და მიღების ღილაკს დააჭირა თითი.

ვიდრე სკარე ტელეფონზე ლაპარაკობდა, ჰარი ბეატეზე ფიქრობდა. დიდი ხანი იყო გასული მას შემდეგ, რაც ბოლოს დაურეკა. ბოლოს ზაფხულში ესტუმრა, ბავშვის დაბადების შემდეგ. იცოდა, რომ ქალი მას არ ადანაშაულებდა იმაში, რომ ჰალვორსენი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაიღუპა, მაგრამ ჰარი მაინც ვერ უყურებდა მშვიდად ჰალვორსენის შვილს, რომლის ნახვაც მამამ ვერ მოასწრო. გულის სიღრმეში აღიარებდა, რომ ბეატე ცდებოდა. ჰარის შეეძლო და უნდა გადაერჩინა ჰალვორსენი.

სკარემ სატელეფონო საუბარი დაასრულა და განაცხადა:

— შემოვიდა განცხადება, რომ ტვეიტაში უგზო-უკვლოდ დაიკარგა ოცდაცხრა წლის ქალი. კამილა ლოსიუსი. გათხოვილი. უშვილო. განცხადება მისმა მეუღლემ შემოიტანა. ჯერ მხოლოდ რამდენიმე საათია გასული მას შემდეგ, რაც მოიტაცეს, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ სამზარეულოში პროდუქტებით სავსე პარკი დევს, ტელეფონი კი მანქანაშია დატოვებული. მისი ქმარი ამბობს, სულ თან დაატარებდა ტელეფონსო. ერთმა მეზობელმა კი აღნიშნა, რომ მათი გარაჟის ახლოს ვიღაც კაცი დაბოდიალებდა — თითქოს ვიღაცას ელოდებოდა. ქმარი ამბობს, რომ ქალის ყველა ნივთი ადგილზეა — ქალის პირადი ნივთები და ჩემოდნებიც კი ხელუხლებლად დევს მათ სახლში. თუმცა ისეთი ტიპის ოჯახია, რომელსაც ნიცაში აგარაკი აქვს. იმდენად მდიდრები არიან, თუკი გაქურდეს, ნაკლებად სავარაუდოა, მოპარული ნივთი მოისაკლისონ.

— ჰმ... რას ფიქრობენ დაკარგული ადამიანების განყოფილების თანამშრომლები? — იკითხა ჰარიმ.

— რას და, იმას, რომ გამოჩნდება. უბრალოდ უნდათ, ზედმე-

ტი საქმე გამოგვიჩინონ.

— კარგი. ჩვენს საქმეს მივხედოთ, — თქვა ჰარიმ.

თათბირის დასრულებამდე ამ დაკარგულ ქალზე სიტყვა აღარავის დაუძრავს, თუმცა ჰარი გრძნობდა, რომ დაძაბულობამ იმატა. ზუსტად ასეთი ატმოსფეროა ხოლმე ჭექა-ქუხილის წინ — არ იცი, დაგეცემა, თუ არა მეხი.

საეჭვო საუბრების მონაწილეების ვინაობისა და ადგილმდებარეობის სრულად შესწავლის შემდეგ ჰარის გუნდის წევრებმა მისი კაბინეტი დატოვეს, თავად ჰოლე კი ფანჯარას მიუახლოვდა და პარკს გახედა. სულ უფრო და უფრო მალე ბინდდებოდა. დაღამების სისწრაფე დღითი დღე თვალსაჩინო ხდებოდა.

უცებ იდარ ვეტლესენის დედა გაახსენდა, რომელსაც უთხრა, რომ საღამოობით მისი შვილი უფასო სამედიცინო დახმარებას უწევდა აფრიკელ მეძავებს. და ფრუ ვეტლესენმა პირველად მოიხსნა ნიღაბი. გაცოფებულმა იყვირა, რომ ჰარი ტყუოდა და მისი ვაჟი ზანგი ბოზების შემწე არასდროს ყოფილა. ალბათ, ჯობდა, ტყუილი ეთქვა. წინადღეს ჰარიმ პოლიციის უფროსს უთხრა, რომ ხოცვა-ჟლეტა დროებით ჩაცხრებოდა.

სიბნელეში ჰარი პარკის მხოლოდ იმ ნაწილს ხედავდა, რომელიც უშუალოდ მისი ფანჯრის ქვეშ მდებარეობდა. თოვლიან დღეებში აქ ხშირად თამაშობდნენ ხოლმე საბავშვო ბაღის აღსაზრდელები, წინაღამით კი თოვლი მოვიდა. სწორედ ეს გაიფიქრა, როდესაც დილით სამმართველოსკენ მიეშურებოდა და გზაზე დიდი მონაცრისფრო-მოთეთრო „თოვლის კაცი” დაინახა.

* * *

აკერ-ბრიუგეში, „ლიბერალის” რედაქციის შენობის ბოლო სართულზე, მდებარეობდა ბინა, რომელიც 230 კვადრატულ მეტრზე იყო გადაჭიმული და ყველაზე ძვირ კერძო საცხოვრებელს წარმოადგენდა ოსლოში. ამ აპარტამენტის ფანჯრებიდან ოსლოს ფიორდი, აკერსჰუსის ციხესიმაგრე და სოფელი ნესოდდტანგენი მოჩანდა. საცხოვრებელი ფართის მფლობელი იყო „ლიბერალის” მესაკუთრე და რედაქტორი არვე სტიოპი, ან, უბრალოდ, არვე — სწორედ ასე ეწერა კარზე, რომელსაც ჰარი მიუახლოვდა და ზარი დარეკა. კიბე და სართულის მოედანი მინიმალისტური, საქმიანი სტილით იყო გაფორმებული, მაგრამ მუხის კარის ორივე მხარეს ხელით მოხატული დოქი იდგა. თავისდა გასაოცრად, ჰარი გონებაში ითვლიდა იმ თანხას, რომელიც ერთი ასეთი დოქის მოპარვისა და გაყიდვის შედეგად შეიძლებოდა, მიეღო.

ერთხელ დარეკა ზარი და, როგორც იქნა, კარის მეორე მხრიდან ხმაური მოისმა. ერთი ადამიანი მგალობელი ფრინველივით ჟღურტულებდა, მეორეს კი დაბალი და მშვიდი ხმა ჰქონდა. კარი გაიღო და ჰაერი ქალის სიცილმა გაარღვია.

გრძელი ქერა თმა ჰქონდა და თეთრი ბეწვის ქუდი ეხურა. ჰარიმ დაასკვნა, რომ ქალის თავსაბურავი ხელოვნური მასალით იყო დამზადებული.

— სულმოუთქმელად ველოდები! — თქვა თეთრქუდიანმა, შებრუნდა და მხოლოდ ამის შემდეგ დაინახა ჰარი.

— გამარჯობა, — უემოციოდ თქვა ქალმა, მაგრამ უმალვე იცნო ჰოლე და გაცილებით დიდი ენთუზიაზმით წამოიძახა, — ჰეი, სალამი!

— სალამი, — მიუგო ჰარიმ.

— როგორ ხართ? — იკითხა ქალმა და ჰარი მიხვდა, რომ მის თანამოსაუბრეს არ დავიწყებოდა მათი ბოლო საუბარი. აი, ის, რომელიც სასტუმრო „ლეონის" ერთ- ერთი ოთახის კედელზე მობილური ტელეფონის მინარცხებით დასრულდა.

— მაშ, თქვენ და უდა ერთმანეთს იცნობთ? — იკითხა არვე სტიოპმა, რომელიც დერეფანში იდგა და გადაჯვარედინებული ხელები მკერდზე დაელაგებინა.

ფეხშიშველი იყო. ტანთ ეცვა მაისური, რომელსაც ძლივს შესამჩნევი შრიფტით ეწერა „Louis Vuitton" და მწვანეზოლებიანი შარვალი, რომელსაც სხვა მამაკაცის სხეულზე მეტისმეტად ქალური იერი ექნებოდა. თითქმის ისეთივე სიმაღლისა და აღნაგობის იყო, როგორიც ჰარი, და ისეთი სახე ჰქონდა, რომელზეც ამერიკის პრეზიდენტობის ნებისმიერი კანდიდატი იოცნებებდა — წინ გამოწეული ნიკაპი და სქელი ჭაღარა თმა, ხშირი სიცილისგან გაჩენილ ნაოჭებს შორის კი ბავშვური ცისფერი თვალები უელავდა.

— შორიდან, — თქვა ჰარიმ, — ოდესღაც მათ ტოქშოუში ვმონაწილეობდი.

— უნდა გავიქცე, მეგობრებო, — თქვა უდამ, მამაკაცებს ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა და თავქუდმოგლეჯილი დაეშვა კიბეზე.

— ჰო, ჩემთანაც მაგ წყეული ტოქშოუს გამო მოვიდა, — თქვა სტიოპმა, ჰარი შინ შეიპატიჟა და ხელი ჩამოართვა, — ვშიშობ, ჩემი ექსჰიბიციონიზმი კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება. ამჯერად ისე დავთანხმდი, რომ არც კი მიკითხავს, რა თემაზე ისაუბრებენ. უდა კვლევის ჩასატარებლად იყო მოსული. ისე... თქვენც ყოფილხართ მათი გადაცემის სტუმარი და თქვენც კარგად მოგეხსენებათ, როგორ მუშაობენ.

— მე მხოლოდ დამირეკეს, — თქვა ჰარიმ. ჯერ კიდევ გრძნობდა არვეს ხელის სითბოს.

— ტელეფონში ძალიან მკაცრად ჟღერს თქვენი ხმა, ჰოლე. რით შემიძლია გემსახუროთ მე, საწყალი ჟურნალისტი?

— თქვენი ექიმისა და თანაკლუბელის, იდარ ვეტლესენის, შესახებ მინდა გაგესაუბროთ.

— აჰა! ვეტლესენი. რა თქმა უნდა. შემოხვალთ?

ჰარიმ ფეხსაცმელი გაიხადა და სტიოპს მიჰყვა, რომელიც ორი საფეხურით ქვემოთ მდებარე სასტუმრო ოთახში ჩავიდა. ჰარიმ მიმოიხედა და მაშინვე მიხვდა, საიდან ეწვია იდარს შთაგონება კლინიკის მოსაცდელის მოწყობისას. ფანჯრიდან კარგად ჩანდა, როგორ ციმციმებდა ფიორდი მთვარის შუქზე.

— ანუ ამჟამად აპრიორი გამოძიებას აწარმოებთ?— იკითხა სტიოპმა და პლასტმასის მინიმალისტურ სკამზე დაჯდა.

— მომიტევეთ, ვერ მივხვდი, რას გულისხმობთ, — თქვა ჰარიმ, რომელიც დივანზე იჯდა.

— კვანძის გახსნით დაიწყეთ და ახლა ცდილობთ, დაადგინოთ, როგორ მოხდა ყველაფერი. ასე არ არის?

— განა ამას ჰქვია აპრიორი?

— ეშმაკმა უწყის. უბრალოდ ძალიან მომწონს ლათინური ენის ჟღერადობა.

— ჰმ...და როგორ მოგწონთ კვანძის გახსნის ჩვენეული ვერსია? გჯერათ ჩვენი ნათქვამის?

— მე? — სტიოპმა გაიცინა, — მე არაფრის მჯერა. ასეთი პროფესია მაქვს. ჩემი მოვალეობაა, ვიკამათო იმ აზრის საწინააღმდეგოდ, რომელიც თანდათანობით სიმართლეს ემსგავსება. სწორედ ესაა ლიბერალიზმი.

— და რას იტყვით ამ შემთხვევაში?

— კამათი იმ აზრის წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც დედ-

ამიწა მრგვალია, არ ნიშნავს იმის დაჯერებას, რომ ის ბრტყელია. სავარაუდოდ, სამხილები გაქვთ. ალკოჰოლური სასმელი გირჩევნიათ თუ ყავა?

— ყავა, თუ შეიძლება.

— გაგეხუმრეთ, — თქვა სტიოპმა და გაიღიმა, — მხოლოდ წყალი და ღვინო მაქვს. არა, გატყუებთ. აბედიენგენის ფერმაში დაწურული ტკბილი სიდრი მაქვს და თქვენ აუცილებლად უნდა გასინჯოთ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი არ გსურთ.

სტიოპი სამზარეულოში შევიდა. ჰარი წამოდგა და იმ ყველაფრის შემოწმება დაიწყო, რასაც ხედავდა.

— მშვენიერი აპარტამენტები გაქვთ, სტიოპ.

— სინამდვილეში ეს ბინა სამი ბინის გაერთიანების შედეგია, — გამოსძახა სამზარეულოდან სტიოპმა, — ერთ გემების მფლობელს ეკუთვნოდა, რომელმაც დაახლოებით იმ ადგილზე ჩამოიხრჩო თავი, სადაც თქვენ ზიხართ. ამ მომენტში მე ვარ იქ, სადაც მეორე ბინა მდებარეობდა. ის ბინა ბირჟის ბროკერს ეკუთვნოდა, რომელიც ინსაიდერული ვაჭრობის გამო დააპატიმრეს. ციხეში უფალი და ჭეშმარიტების გზა იპოვა, ბინა მე მომყიდა და მიღებული ფული მთლიანად ვიღაც ევანგელისტ მქადაგებელს მისცა. მაგრამ, ჩემი აზრით, ესეც ინსაიდერული ვაჭრობაა. იმედია, ხვდებით, რასაც ვგულისხმობ. ამის მიუხედავად, როგორც ვიცი, ის კაცი ბევრად ბედნიერია, ვიდრე ოდესმე. ასე რომ... რატომაც არა.

სტიოპი სასტუმრო ოთახში დაბრუნდა და მინის ორი ჭიქა მოიტანა, რომლებშიც ღია ყვითელი სითხე ესხა. მასპინძელმა ერთი ბოკალი ჰარის მიაწოდა.

— მესამე ბინა ვიღაც სანტექნიკოსმა იყიდა, რომელმაც ერთხელ გადაწყვიტა, რომ აკერ ბრიუგე მისთვის ააშენეს. როგორც ჩანს, ოდესღაც აქ ექსკურსიაზე იმყოფებოდა თავის კლ-

ასთან ერთად. ათწლიანი დაუღალავი შრომის შედეგად (ან შავ ბაზარზე მუშაობითა და მეძვირეობით) საკმარისი ფული იშოვა და ამ სახლში იყიდა ბინა. მაგრამ ძალიან ძვირი დაუჯდა და ავეჯის გადამტანი ფირმის დაქირავების საშუალება აღარ ჰქონდა. ამიტომ თავად დაიწყო საკუთარი ნივთების აზიდვა. ამ საქმეში სანტექნიკოსს მისი ორი მეგობარი ეხმარებოდა. სეიფი ჰქონდა, რომელიც ოთხას კილოგრამს იწონიდა. სავარაუდოდ, ის სათავსი შავ ბაზარზე ნაშოვნი ფულისთვის სჭირდებოდა. ბოლო სართულის მოედანს მიაღწიეს და მხოლოდ თვრამეტი საფეხური რჩებოდა, როდესაც ის წყეული სეიფი ჩამოსრიალდა და სანტექნიკოსი მოიყოლა. ახალმა ბინათმფლობელმა ხერხემლის ძვალი მოიტეხა და დადამბლავდა. ამჟამად ინვალიდების სახლში ცხოვრობს, რომელიც იმ უბანში მდებარეობს, სადაც იგი დაიბადა. იმ დაწესებულების ფანჯრებიდან იოსტენსიოვანის ტბის ხედი იშლება, — სტიოპი ფანჯარასთან იდგა. სვამდა და ჩაფიქრებული გასცქეროდა ფიორდს, — რა თქმა უნდა, მხოლოდ ტბაა, მაგრამ მაინც ხედია.

— ჰმ... მოდი, თქვენსა და იდარ ვეტლესენს შორის არსებულ კავშირებზე ვისაუბროთ.

სტიოპი თეატრალური ჟესტით მობრუნდა. ოცი წლის ახალგაზრდასავით მარდად მოძრაობდა.

— კავშირები? მეტისმეტად ძლიერი სიტყვაა. ჩემი ექიმი იყო და ზოგჯერ კერლინგს ვთამაშობდით ერთად. სულ ესაა. უბრალოდ კერლინგს ვთამაშობდით. იდარი ქვას ასრიალებდა ყინულზე, რომელსაც თავადვე აპრიალებდა. აი, ასე შეიძლება აღიწეროს ვეტლესენის საქმიანობა, — თქვა მან და ხელი ჩაიქნია, — ვიცი, რომ მკვდარია, მაგრამ ყველაფერი ზუსტად ასე ხდებოდა.

ჰარიმ სასმელი არც კი მოსვა. გამომძიებელმა იქვე მაგიდაზე დადგა.

— რაზე საუბრობდით ხოლმე?

— მეტწილად ჩემს სხეულზე.

— ოჰ!

— ღვთის გულისათვის! ის ხომ ჩემი ექიმი იყო!

— თქვენი სხეულის დეტალების შეცვლა გსურდათ?

არვე სტიოპმა გულიანად გაიცინა.

— არასდროს მქონია ამის საჭიროება. რა თქმა უნდა, ვიცი, რომ იდარი იმ ყბადაღებულ პლასტიკურ ოპერაციებს აკეთებდა... ლიპოსაქციით და რაღაც მსგავსი ქმედებებით. მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ადამიანმა პროფილაქტიკისთვის უნდა მიმართოს ექიმს, და არა „სარემონტო სამუშაოებისთვის". მე სპორტსმენი ვარ, ინსპექტორო. არ მოგწონთ სიდრი?

— ალკოჰოლს შეიცავს, — თქვა ჰარიმ.

— მართლა? — წამოიძახა სტიოპმა და ინტერესით დააკვირდა თავის ბოკალს, — ვერც კი წარმოვიდგენდი!

— თქვენი სხეულის რა ნაწილს განიხილავდით ხოლმე?

— იდაყვს. ე.წ. ჩოგბურთის იდაყვი მაქვს, რაც ხელს მიშლის ხოლმე კერლინგის თამაშში. სანამ ვარჯიშს დაიწყებ, ტკივილგამაყუჩებელი დალიე ხოლმეო, მეუბნებოდა. იდიოტი. ანთებასაც აქრობსო. ამის გამო ყოველთვის კუნთები მეჭიმებოდა. თუმცა იმედია, არ მომიწევს მედიცინის მუშაკთა ძაგება, იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში გარდაცვლილ ექიმზე ვლაპარაკობთ. მაგრამ ადამიანი ტკივილგამაყუჩებელ აბებს არ უნდა სვამდეს. ტკივილი კარგია. მის გარეშე ვერ გადავრჩებოდით. ტკივილის დაფასება უნდა ვისწავლოთ.

— ასე გგონიათ?

სტიოპმა ფანჯრის სქელ მინას საჩვენებელი თითი დაადო.

იმდენად სქელი მინა იყო ჩასმული, რომ გარედან საერთოდ არ შემოდიოდა ხმაური.

— მე თუ მკითხავთ, მტკნარი წყლის ხედი ახლოსაც ვერ მოვა იმასთან, რასაც ახლა ვუყურებთ. ასე არაა, ჰოლე?

— მე საერთოდ არა მაქვს ხედი.

— მართლა? უნდა გქონდეთ. ხედვა ქმნის პერსპექტივას.

— პერსპექტივა ახსენეთ და ბარემ გაცნობებთ, რომ ტელენორმა ვეტლესენის ბოლო სატელეფონო საუბრების სია გადმოგვცა. რაზე ლაპარაკობდით მისი გარდაცვალების დღეს?

სტიოპი სკამზე გადაწვა, ცნობისმოყვარე მზერით მიაჩერდა ჰარის და სიდრის ჭიქა გამოცალა, შემდეგ კი ღრმად ჩაისუნთქა. სახეზე კმაყოფილება აღბეჭდოდა.

— დამავიწყდა კიდეც, რაზე ვისაუბრეთ. ალბათ, იდაყვებზე. ოდესღაც ტრესკომ განუმარტა, თუ რატომაა წაგებისთვის განწირული პოკერის ის მოთამაშე, რომელიც თავის თამაშს ბლეფის გამოცნობის უნარზე აფუძნებს. ჩვენ მართლაც განსაკუთრებულად ვიქცევით მაშინ, როდესაც ვიტყუებით, მაგრამ, ტრესკოს აზრით, კარგი ბლეფერის გამოაშკარავებისთვის ყველა ეს ქცევა ცივი გონებით უნდა მიუსადაგო თითოეულ პირს. ჰარი ფიქრობდა, რომ ტრესკო მართალს ამბობდა. დარწმუნებული იყო, რომ სტიოპი იტყუებოდა, მაგრამ თავის მოსაზრებას ამ კაცის გამომეტყველებაზე, ხმასა და მანერებზე არ აფუძნებდა.

— რას აკეთებდით ოთხიდან რვა საათამდე იმ დღეს, როდესაც ვეტლესენი მოკვდა? — იკითხა ჰარიმ.

— ოჰო! — თქვა სტიოპმა და წარბი ასწია, — ოჰო! არის ამ საქმეში რაიმე ისეთი, რაც მე და ჩემმა მკითხველმა უნდა ვიცოდეთ?

— სად ბრძანდებოდით იმ პერიოდში?

— თქვენი შეკითხვა ისე ჟღერს, თითქოს „თოვლის კაცი” ჯერ კიდევ ცოცხალი და თავისუფალია.

— მადლიერი დაგრჩებით, თუკი ჩემს შეკითხვას უპასუხებთ, სტიოპ.

— კეთილი. მაგ პერიოდში მე...

არვე გაჩუმდა და მოულოდნელად ბავშვურად გაიღიმა:

— არა. ერთი წუთით. თქვენ ვარაუდობთ, რომ მე ვეტლესენის სიკვდილში მიმიძღვის წვლილი. თქვენს შეკითხვაზე პასუხის გაცემას რომ ვაპირებდე, უფრო მეტ ახსნა-განმარტებას მოგთხოვდით იმასთან დაკავშირებით, თუ რას კითხულობთ სინამდვილეში.

— შემიძლია, დავაფიქსირო, რომ უარი განაცხადეთ, გეპასუხათ ჩემს შეკითხვაზე.

სტიოპმა ისე შემართა ჭიქა, თითქოს სადღეგრძელოს ამბობდა.

— ეგ ფანდი ჩემთვის კარგად ნაცნობია, ჰოლე. პრესის მუშაკები მაგ ილეთს ყოველდღე ვიყენებთ. სწორედ ამიტომ ჰქვია ჟურნალისტიკის სფეროს მასეთი სახელი. „პრესა”. მაგრამ გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ პასუხის გაცემაზე უარს არ გეუბნებით. უბრალოდ, ამჟამად ამ საკითხს განვიხილავ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვფიქრობ.

ისევ ფანჯარასთან დაბრუნდა. იდგა და თავს აქნევდა.

— უბრალოდ მინდა, გავაანალიზო ის, რასაც გეტყვით, და ამისთვის დიდი დრო დამჭირდება.

— მე პირადად დროის სიმცირეს არ ვუჩივი.

— თქვენი დროით ბოროტად სარგებლობას არ ვაპირებ, ჰოლე. „ლიბერალის” ერთადერთი კაპიტანი და არსებობის ერთადერთი საფუძველი ჩემი პირადი პატიოსნებაა. ალბათ, ხვდებით, რომ მე, როგორც ჟურნალისტი, უბრალოდ ვალდებ-

ული ვარ, ამ შემთხვევით ვისარგებლო.

— ისარგებლოთ?

— ეშმაკმა დალახვროს! ძალიან კარგად ვიცი, რომ ამბავს, რომელსაც არ მიმხელთ, პატარა ატომური ბომბის ძალა აქვს. სავარაუდოდ, გაზეთები ვერც კი მიხვდნენ, რომ ვეტლესენის საქმეში ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი გარკვეული. თუკი თქვენს კითხვას ვუპასუხებ და ალიბის წარმოვადგენ, იმ განსაკუთრებულ შესაძლებლობებს გავუშვებ ხელიდან, რომელიც ამჟამად მაქვს. ამ შემთხვევაში აზრი აღარ ექნება სათანადო ინფორმაციის მოწოდების თხოვნას. ასე არ არის, ჰოლე?

ჰარი ხვდებოდა, საითაც მიდიოდა საუბარი. ეს სტიოპი იმაზე ჭკვიანი ნაბიჭვარი გამოდგა, ვიდრე ჰოლეს ეგონა.

— თქვენ ინფორმაცია არ გჭირდებათ, — თქვა ჰარიმ, — მხოლოდ ის უნდა იცოდეთ, რომ პოლიციისთვის კვალის აბნევის მცდელობის გამო, შესაძლოა, თქვენს წინააღმდეგ საქმე აღიძრას.

— ტუშე[28] — თქვა სტიოპმა და გაიცინა. თუმცა ამჯერად არც ისე გულიანად, — მაგრამ მე, როგორც პრესის წარმომადგენელსა და ლიბერალს, საკუთარი პრინციპები მაქვს, რომლებსაც ყოველთვის ვითვალისწინებ. მე, როგორც ისტებლიშმენტის აქტიური კრიტიკოსი, ასე მშვიდად ვერ დავემორჩილები ხელისუფლების წარმომადგენლების ზეწოლას. განა არა მაქვს უფლება, ჩემი პირობები შემოგთავაზოთ?

— რა პირობებს გულისხმობთ?

— რა თქმა უნდა, ექსკლუზიურ ინფორმაციას ამ საკითხზე.

— პირობას გაძლევთ, რომ ექსკლუზიურ ინფორმაციას მიიღებთ, — უპასუხა ჰარიმ,— საიდუმლოების მკაცრად შენახვის

---

[28] *აქ: შეცდომის, დამარცხების ან სისუსტის აღიარება (ფრანგ)*

პირობის განცხადებასთან ერთად, რომელსაც ხელი უნდა მოაწეროთ.

— არა, არა, სამწუხაროდ, ასეთი პირობებით შორს ვერ წავალთ, — თქვა სტიოპმა და ჯიბეში ჩაიყო ხელი, — რა გაეწყობა. ყოველ შემთხვევაში, იმის საფუძველი მაინც გამიჩნდა, რომ დამნაშავის ვინაობაში ეჭვი შევიტანო.

— გახსოვდეთ, მე გაგაფრთხილეთ.

— გმადლობთ, — თქვა სტიოპმა და ამოიოხრა, — თქვენ კი კარგად დაფიქრდით, ჰოლე. შაბათს ჩვენი გაზეთი იუბილეს აღნიშნავს. განსაკუთრებული წვეულება იგეგმება, რომელიც „პლაზაში" უნდა გაიმართოს. „ლიბერალის" ოცდამეხუთე წლისთავს დღესასწაულზე მოწვეული ექვსასი სტუმარი იზეიმებს. არც ისე მცირე მიღწევაა გაზეთისთვის, რომელიც თავისი არსებობის მანძილზე ყოველთვისთავისუფალი სიტყვის სადარაჯოზე იდგა და ჩვენი სამართალწარმოების დაბინძურებულ წყლებში უწევდა გზის გაკვლევა. ამ ოცდახუთი წლის მანძილზე ერთი საქმეც კი არ წაგვიგია სასამართლოში. ყველაფერს ჩვენს ადვოკატთან,იუჰან კრონთან შევათანხმებ. მგონი, პოლიცია მაგ კაცს კარგად იცნობს. ასე არ არის?

ჰარიმ კუშტად დაუქნია თავი. სტიოპმა ძლივს შესამჩნევი ჟესტით მიანიშნა კარისკენ, რაც იმის ნიშანი იყო, რომ მასპინძელი შეხვედრას დასრულებულად მიიჩნევდა.

— გპირდებით, რომ ყველანაირად დაგეხმარებით, რითაც კი შეგვიძლია, — უთხრა სტიოპმა, როდესაც შემოსასვლელში გავიდა და კართან დადგა, — იმ შემთხვევაში, თუკი თქვენც გამოგვიწვდით დახმარების ხელს.

— კარგად მოგეხსენებათ, რომ მსგავსი შეთანხმების დადება უბრალოდ შეუძლებელია.

— ვშიშობ, ვერც კი ხვდებით, რომ უკვე განსაკუთრებულ შე-

თანხმებას მივაღწიეთ, — ღიმილით თქვა სტიოპმა და კარი გააღო, — მართლა ვერ ხვდებით. იმედია, მალე ისევ შევხვდებით.

***

— ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ასე მალე გნახავდი, — თქვა ჰოლემ, რომელიც ღია კართან იდგა.

რაკელმა ბოლო საფეხურები ამოიარა და ჰარის ბინას მიუახლოვდა.

— წარმოიდგენდი, — თქვა ქალმა, ჰოლეს მივარდა, დერეფანში შეაგდო, ფეხით მიხურა კარი, ჰარის თავზე შემოხვია ხელები და ხარბად დაუწყო კოცნა, — ვერ გიტან, — ჩაილაპარაკა რაკელმა და კაცს ქამარი შეუხსნა, — ხომ იცი, რომ ახლა საერთოდ არ მჭირდება ეს ყველაფერი!

— ჰოდა, წადი, თუ არ გჭირდება, — თქვა ჰარიმ და ქალს ჯერ პალტო შეუხსნა, შემდეგ კი ბლუზა. რაკელის შარვალს გვერდით ჰქონდა ელვაშესაკრავი, რომელიც ჰარიმ ჩახსნა და ქალს ზურგის ქვემოთ ჩაუცურა ხელი. რაკელს აბრეშუმის სრიალა, გრილი ტრუსი ეცვა. დერეფანში მხოლოდ მათი სუნთქვის ხმა ისმოდა. შემდეგ რაკელმა ფეხი ასწია, რათა ჰარისთვის საშუალება მიეცა, ქალის სხეულში შეეღწია. და ამ დროს მისი ფეხსაცმლის ქუსლის იატაკზე დაცემის ხმა გაისმა.

მოგვიანებით, საწოლში ნებივრობისას, როდესაც რიგრიგობით ეწეოდნენ სიგარეტის ერთ ღერს, რაკელმა ჰარის ნარკოდილერი უწოდა.

— განა შენსავით არ მოქმედებენ? — თქვა ქალმა, — პირველ

დოზებს უფასოდ იძლევიან, ვიდრე მათი მსხვერპლი ნარკოდამოკიდებული არ გახდება.

— ამის შემდეგ კი ნარკომომხმარებელს ფულის გადახდა უწევს ხოლმე, — თქვა ჰარიმ, ნაფაზი დაარტყა და ჭერისკენ ერთი დიდი და ერთიც პატარა რგოლი გაუშვა.

— ბევრი ფულის, — თქვა რაკელმა.

— სექსისთვის მოხვედი, ხომ ასეა? — იკითხა ჰარიმ, — უბრალოდ, მინდა ვიცოდე. რაკელი მკერდზე ეფერებოდა.

— ძალიან გამხდარხარ, ჰარი.

ჰარიმ არ უპასუხა. ელოდებოდა.

— მათიასთან ასე კარგად არ გამოდის, — თქვა ქალმა, — არა, მისი ბრალი არ არის. კარგად ირჯება ხოლმე. იდეალურად ასრულებს თავის საქმეს. ჩემგან განსხვავებით.

— და შენ რა გაბრკოლებს?

— ნეტავ ვიცოდე! ვუყურებ ხოლმე მათიასს და ვფიქრობ, რომ ჩემი ოცნების მამაკაცია. ვფიქრობ, რომ აღმაგზნებს და მეც ვცდილობ, აღვაგზნო. შეიძლება ითქვას, მისი დაპყრობა მინდა ხოლმე, იმიტომ, რომ მინდა მასთან ყოფნისას სიამოვნება მივიღო. გესმის ჩემი? ძალიან კარგი და სწორი იქნებოდა, ეს რომ შესაძლებელი იყოს. მაგრამ არ შემიძლია...

— ჰმ... მიჭირს ზუსტად წარმოვიდგინო ის, რაზეც ლაპარაკობ, მაგრამ მესმის, რასაც გულისხმობ.

რაკელი ჰარის ყურის ბიბილოს სწვდა და მოქაჩა.

— ის, რომ მე და შენ ყოველთვის გვიზიდავდა ერთმანეთი, არ ნიშნავს მაინცდამაინც იმას, რომ უნაკლო ურთიერთობა გვქონდა.

ჰარი პატარა რგოლს უყურებდა, რომელიც მასზე დიდმა რგოლმა შთანთქა და საბოლოოდ რვიანის ფორმა მიიღო. „ნამდვილად რვიანია", — გაიფიქრა ჰოლემ.

— ვცდილობდი, მიზეზები დამედგინა, — თქვა რაკელმა, — თუნდაც ის ფიზიკური დეფექტი ავიღოთ, რომელიც მათიასმა მამამისისგან მიიღო მემკვიდრეობით.

— რა დეფექტი?

— არაფერი განსაკუთრებული, მაგრამ, შეიძლება ითქვას, დისკომფორტს გრძნობს ამის გამო.

— კარგი რა! მითხარი, რას გულისხმობ.

— არა, არა. საერთოდ არა აქვს მნიშვნელობა. დავიწყოთ იმით, რომ მისი ეს დარცხვენილობა ძალიანაც მომწონდა, ახლა კი მგონია, რომ გამაღიზიანებელია. თითქოს ბუზის სპილოდ გადაქცევა მსურს. თითქოს მინდა, მათიასის უმნიშვნელო ნაკლი დიდ ნაკლოვანებად ჩავთვალო და ამით გავიმართლო თავი იმის გამო, რომ... რომ...

რაკელი გაჩუმდა.

— აქა ხარ, — თქვა ჰარიმ.

ქალი ჩაეხუტა და შემდეგ წამოდგა.

— აქ აღარ მოვალ, — ნაწყენი ხმით თქვა მან.

თითქმის შუაღამე იყო, როდესაც რაკელმა ჰარის ბინა დატოვა. ჩუმი, სასიამოვნო წვიმა მოდიოდა. წვეთები ასფალტზე ეცემოდა და ლამპიონების შუქზე ბრწყინავდა. სტენსბერგატას ქუჩაზე შეუხვია. სწორედ იქ ჰყავდა გაჩერებული ავტომობილი. საჭესთან დაჯდა და უკვე მანქანის ძრავის ჩართვას აპირებდა, როდესაც საქარე მინაზე ხელით ნაწერი წერილი შეამჩნია. მანქანიდან გადავიდა, ბარათი აიღო და შეეცადა, წაეკითხა ტექსტი, რომელიც წვიმისგან თითქმის მთლიანად ჩამორეცხილიყო.

„მალე დავიხოცებით, ბოზო!"

რაკელი შეკრთა და გარშემო მიმოიხედა. თუმცა ვერავინ დაინახა. მხოლოდ ცარიელი მანქანები შენიშნა. ნეტავ რომე-

ლიმე სხვა ავტომობილზეც ხომ არ დაუტოვებიათ მსგავსი ბარათი? ქალმა მის მახლობლად მდგარი ავტომანქანები შეამოწმა, მაგრამ ვერაფერი იპოვა. ალბათ, შემთხვევით დატოვეს ეს წერილი. არავინ იცოდა, რომ სწორედ აქ იდგა მისი მანქანა. ფანჯარა ჩამოსწია, ქაღალდი ორი თითით მოისროლა, მანქანა დაქოქა და გზაზე გავიდა.

თითქმის მისული იყო ულევოლსვეიენამდე, როდესაც იგრძნო, რომ უკანა სავარძელში ვიღაც იჯდა. სარკეში ჩაიხედა და ბიჭის სახე დაინახა. ოლეგი არა... ვიღაც სხვა, უცნობი ბიჭი იყო. იმდენად მკვეთრად დაამუხრუჭა, რომ ასფალტზე საბურავების შავი კვალი დატოვა. სული ეხუთებოდა. კიდევ ერთხელ ჩაიხედა სარკეში და ამჯერად მხოლოდ ვიღაც ბიჭის შეშინებული სახე დაინახა. უცნობი რაკელის უკან მომავალი მანქანის საჭესთან იჯდა. აცახცახებულმა რაკელმა კიდევ ერთხელ დაქოქა მანქანა.

***

ელი კვალე შემოსასვლელში იდგა და ფეხს ვერ იცვლიდა ადგილიდან. ხელში ტელეფონის მიმღები ეჭირა. ასეთი რამ კოშმარებშიც კი არ უნახავს.

გონს მხოლოდ მაშინ მოეგო, როდესაც ანდრეასმა მეორედ დაუძახა.

— ვინ იყო? — იკითხა კაცმა.

— არავინ, — თქვა ელიმ, — ნომერი შეეშალათ.

როდესაც საწოლში ჩაწვნენ, ელი შეეცადა, ანდრეასს ჩახუტებოდა, მაგრამ ვერ შეძლო. ვერ აიძულა თავი, იმიტომ, რომ შებილწულად გრძნობდა თავს.

ისევ ის სიტყვები ჩაესმოდა, რომელიც ვიღაც უცნობმა წარმოთქვა ტელეფონში:

„მალე დავიხოცებით! მალე დავიხოცებით, ბოზო!”

თავი XIX

მეთექვსმეტე დღე. ტელევიზორი

დილით, როდესაც საგამოძიებო ჯგუფი ჰარის კაბინეტში შეიკრიბა, აღმოჩნდა, რომ კატრინ ბრატის სიებიდან გამორჩეული შვიდი ადამიანისგან, რომლებმაც ვეტლესენთან მისი მკვლელობის დღეს ისაუბრეს, მხოლოდ ერთმა თქვა უარი თანამშრომლობაზე.

— არვე სტიოპმა? — ერთხმად წამოიძახეს ბიორნ ჰოლმმა და მაგნუს სკარემ. კატრინ ბრატს არაფერი უთქვამს.

— კარგი, — თქვა ჰარიმ, — კრონს ვესაუბრე ტელეფონით. სავსებით გასაგებად ამიხსნა, რომ სტოპს არ სურს, გვიპასუხოს, აქვს თუ არა ალიბი. არც რაიმე სხვა კითხვაზე უნდა პასუხის გაცემა. ჩვენ, რა თქმა უნდა, შეგვიძლია, დავაპატიმროთ, მაგრამ მან ძალიან კარგად იცის, რომ დუმილის უფლება აქვს. თუ დავაპატიმრებთ, ერთადერთ შედეგს მივიღებთ — მთელი მსოფლიო გაიგებს, რომ „თოვლის კაცი" ჯერ კიდევ ცოცხალი და თავისუფალია. ნეტავ რატომ არ გველაპარაკება — მართლა რაიმეს მალავს თუ უბრალოდ წარმოდგენის დადგმა სურს?

— ანუ გინდათ თქვათ, რომ უმაღლესი თანრიგის მედიავარკვლავი მკვლელია? — თქვა სკარემ და დაიჯღანა, — ვის გაუგია ასეთი რამ!

— ოუ ჯეი სიმპსონი გაიხსენე, — თქვა ჰოლმმა, — კიდევ ფილ სპექტორი და მარვინ გეის მამა.

— ფილ სპექტორი ვინ ჩემი ფეხებია?!

— უკეთესი იქნება თუკი თითოეული თქვენგანი აზრს გამიზ-

იარებს, — თქვა ჰარიმ,

— ბევრს ნუ იფიქრებთ, უცებ მიპასუხეთ, მალავს თუ არა სტიოპი რაიმეს? ჰოლმ! ბიორნ ჰოლმმა კატლეტის ფორმის ქილვაშები დაიზილა.

— ეჭვს ის იწვევს, რომ უარს ამბობს, პასუხი გასცეს ისეთ შეკითხვას, როგორიცაა „რას აკეთებდით მაშინ, როდესაც ვეტლესენი მოკვდა".

— ბრატ!

— ჩემი აზრით, სტიოპს უბრალოდ სიამოვნებს, რომ ეჭვმიტანილია, და ვიდრე თავისი ჟურნალისთვის ეძებს მასალას, მის სიტყვას ფასი არა აქვს. პირიქით. ეჭვმიტანილის სტატუსი მის იმიჯს აძლიერებს. დიდმოწამე, რომელიც არსებულ სისტემას არ ეპუება.

— გეთანხმები, — თქვა ჰოლმმა, — აზრი შევიცვალე. დამნაშავე რომ იყოს, ასეთ რისკზე არ წავიდოდა. ექსკლუზივზე ნადირობს.

— სკარე! — თქვა ჰარიმ.

— ბლეფითაა დაკავებული. უბრალოდ სისულელეა. ვინმე ხვდება, რა შუაშია პრესა და პრინციპები?

მაგნუსს არავინ უპასუხა.

— კარგი, — თქვა ჰარიმ, — დავუშვათ, მართლაც არ იტყუება. ასეთ შემთხვევაში საქმიდან უნდა მოვიშოროთ, თანაც რაც შეიძლება სწრაფად, ჩვენ კი მუშაობა უნდა გავაგრძელოთ. შეგვიძლია იმის დადგენა, თუ ვინ იყო მასთან იმ დროს, როდესაც მკვლელობა მოხდა?

— ალბათ, ვერ შევძლებთ, — თქვა კატრინმა, — ჩემს ერთ მეგობარს დავურეკე, რომელიც „ლიბერალში" მუშაობს. როგორც მითხრა, სამუშაო საათების შემდეგ არვე სტიოპი დიდი კომუნიკაბელურობით არ გამოირჩევა. თავისუფალ დროს ის

აკერ-ბრიუგეში, თავის აპარტამენტში ატარებს, სადაც, როგორც წესი, სრულიად მარტოა ხოლმე. ქალებს თუ არ ჩავთვლით.

ჰარი კატრინს მიაჩერდა. ბრატი იმ მეტისმეტად ბეჯით მოსწავლეს ჰგავდა, რომელიც ყოველთვის ერთი სემესტრით წინაა მასწავლებელზე.

— ქალებს? მრავლობით რიცხვში? — იკითხა ჰარიმ.

— ჩემი მეგობრის თქმით, სტიოპი სახელგანთქმული მექალთანეა. მას შემდეგ, რაც ჩემმა დაქალმა მისი შემოთავაზება უარყო, სტიოპმა პირდაპირ უთხრა, რომ მისი, როგორც ჟურნალისტის კომპეტენცია რედაქციის მოთხოვნებს არ ემთხვევა, და ურჩია, სხვა სფეროში მოესინჯა ძალა.

— ორპირი ნაბიჭვარი, — დაიფრუტუნა სკარემ.

— ჩემი დაქალიც იმავეს ამბობს, — თქვა კატრინმა, — მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ის გოგო მართლაც ცუდი ჟურნალისტია.

ჰოლმმა და ჰარიმ გადაიხარხარეს.

— ჰკითხე შენს მეგობარს, შეუძლია თუ არა გაიხსენოს სტიოპის რომელიმე საყვარლის სახელი, — თქვა ჰარიმ და წამოდგა, — მერე ჟურნალის სხვა თანამშრომლებსაც დაურეკე და ყველას იგივე კითხვა დაუსვი. დაე, იგრძნოს სტიოპმა, რომ ვმუშაობთ. კარგი... საქმეს შევუდგეთ!

— და შენ? — თქვა კატრინმა, რომელიც ადგილიდან არ იძვროდა.

— მე?

— არ გითქვამს, რას ფიქრობ სტიოპის ბლეფზე.

— ჰო... — თქვა ჰარიმ, — ცხადია, რომ რაღაცას გვიმალავს. სამივე მას მიაჩერდა.

— ამბობს, არ მახსოვს, რა თემაზე ვლაპარაკობდით მე და

ვეტლესენი ბოლო სატელეფონო საუბრისასო.

— მერე რა?

— თუკი გაიგებთ, რომ ადამიანი, რომელსაც გუშინ ელაპარაკეთ, სერიული მკვლელია, რომელმაც თავი მოიკლა, განა არ გაგახსენდებათ თქვენი დიალოგი? განა არ შეეცდებით, ზუსტად გაიხსენოთ ყველა დეტალი? არ ჰკითხავთ საკუთარ თავს, შეგეძლოთ თუ არა მასში მანიაკის ამოცნობა?

კატრინმა ნელა დაუქნია თავი.

— გარდა ამისა, კიდევ ერთი საკითხი არ მასვენებს, — თქვა ჰარიმ, — მაინტერესებს, მაინცდამაინც მე რატომ მომწერა „თოვლის კაცმა" ის წერილი, რომელშიც მომიწოდებს, მომძებნეო. და როდესაც მივუახლოვდი — ალბათ, ვარაუდობდა, რომ მივუახლოვდებოდი — რატომ აღელდა ასე ძალიან და რატომ მოაწყო ყველაფერი ისე, თითქოს ვეტლესენი იყო „თოვლის კაცი"?

— არაა გამორიცხული, სწორედ ეს იყო მისი მთავარი მიზანი, — თქვა კატრინმა, — თუკი საგანგებოდ მიგითითა ვეტლესენზე, შესაძლოა, მასთან ანგარიშის გასწორება სურდა... და ის გზა გაჩვენა, რომლითაც უნდა, რომ იარო.

— ან, შესაძლოა, ამ გზით სურდა შენი დამარცხება, — ივარაუდა ჰოლმმა, — გაიძულა, შეცდომები დაგეშვა და შემდეგ გამარჯვება ეზეიმა.

— გეყოფათ, თუ ღმერთი გწამთ! — დაიფრუტუნა სკარემ, — კაცმა რომ გისმინოთ, შეიძლება იფიქროს, რომ „თოვლის კაცსა" და ჰარი ჰოლეს შორის პირადული უთანხმოებაა.

სამივე მას მიაჩერდა. არავინ იღებდა ხმას. სკარემ შუბლი შეიჭმუხნა.

— რა მოხდა? მართლა ასეა?

ჰარემ საკიდიდან პიჯაკი ჩამოხსნა.

— კატრინ, კიდევ ერთხელ შეხვდი ბორგჰილდს და უთხარი, რომ ამჯერად კლინიკის პაციენტების ანკეტების შემოწმების ნებართვა გვაქვს. თუკი რაიმე პრობლემა შეიქმნება, პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ავიღებ. მერე შეეცადე, არვე სტიოპის შესახებ გაარკვიო რაიმე. ვნახოთ, რა გამოვა. ვინმეს ხომ არ სურს, კიდევ მითხრას რაიმე, სანამ აქა ვარ?

— ის ქალი, ტვეიტაში, — თქვა ჰოლმმა, — კამილა ლოსიუსი. ჯერ არ გამოჩენილა.

— წადი და გაარკვიე, რა ხდება, ჰოლმ.

— შენ რას აპირებ? — ჰკითხა სკარემ. ჰარიმ ცალყბად გაიღიმა.

— პოკერის თამაშს ვისწავლი.

ჰარი ფორგენპლასზე ერთადერთი საცხოვრებელი სახლის მეშვიდე სართულზე იდგა და ზუსტად იმას გრძნობდა, რასაც ბავშვობაში, როდესაც ოპსალში ცხოვრობდა და არდადეგებზე ბავშვები ქალაქიდან მიდიოდნენ ხოლმე. ამ კარის უკან ის ადამიანი ცხოვრობდა, რომელიც მაშინაც ყველაზე ბოლოს ახსენდებოდა ხოლმე. ტრესკო მაშინაც ბოლო იმედი იყო. მისი სახლის ზარს მხოლოდ მაშინ რეკავდა, როდესაც ყველა დანარჩენ სახლს მოივლიდა. ტრესკომ, უფრო სწორად, ასბიორნ ტრესკოვმა, კარი გააღო და პირქუშად მიაჩერდა ჰარის, რადგანაც იცოდა, რომ ახლაც ისევე იყო ყველაფერი, როგორც მაშინ, ბავშვობაში. ის ჰარის ბოლო იმედი იყო.

შესასვლელიდან პირდაპირ იშლებოდა ოცდაათი კვადრატული მეტრი ფართობის მქონე საცხოვრებელი სახლი, რომელსაც ტაქტიანი ადამიანი ღია სამზარეულოიან მოსასვენებელ ოთახს დაარქმევდა, უფრო პირდაპირი ადამიანები კი ამ ბუნაგს უბრალოდ საცხოვრებელ ოთახს უწოდებდნენ. ოთახ-

ში საშინელი სუნი იდგა. ასე ის ბაქტერია ყარს, რომელიც ოფლიან ფეხსა და ნესტიან ჰაერში მრავლდება და სწორედ აქედან წარმოდგება მისი ნორვეგიული სახელი, რომელიც ცოტა ვულგარულად, მაგრამ ზუსტად განსაზღვრავს მის არსს. ამ მოვლენას tefis ჰქვია, რაც ფეხის გაზებს ნიშნავს. ეს თავისებურება, ისევე, როგორც ეს მეტსახელი, ტრესკომ მემკვიდრეობით მიიღო მამისგან, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ მარტივი სოფლური კლოგი ფეხის უსიამოვნო სუნს იწოვს.

თუმცა ამ სიმყრალეს ერთი დადებითი მხარე მაინც ჰქონდა — ყველა სხვა სუნს ახშობდა. ნიჟარა გასარეცხი თეფშებით იყო სავსე, საფერფლეები — სიგარეტის ნამწვებით გადატენილი, სკამებზე კი ოფლით გაჟღენთილი მაისურები შრებოდა. ჰარი დარწმუნებული იყო, რომ სწორედ ტრესკოს ოფლიანმა ფეხებმა გადაიყვანა ჭკუიდან მისი მოწინააღმდეგეები პოკერის ჩემპიონატის პლეიოფში, რომელიც ლას-ვეგასში გაიმართა.

— დიდი ხანია, ერთმანეთი არ გვინახავს.

— ჰო. გმადლობ, დრო რომ გამონახე ჩემთვის.

ტრესკომ ისე გაიცინა, თითქოს მისმა სტუმარმა გაიხუმრა. ჰარი კი, რომელიც ნამდვილად არ აპირებდა ამ საცხოვრებელში დიდხანს დარჩენას, მაშინვე საქმეზე გადავიდა.

— რატომაა პოკერში მთავარი იმის გარკვევა, როდის იტყუებიან შენი მოწინააღმდეგეები?

ჰარი მიხვდა, რომ უსაგნო საუბარი არც ტრესკოს სურდა.

— ხალხი თვლის, რომ პოკერი სტატისტიკაზე, კომბინაციებსა და ალბათობის თეორიაზეა დაფუძნებული, მაგრამ როდესაც უმაღლესი დონის მოთამაშეებთან თამაშობ, შენმა მოწინააღმდეგეებმა ყველა კომბინაციის წარმატების ალბათობა ზეპირად იციან. ბრძოლა სულ სხვა ფრონტზეა გაჩაღებული.

საუკეთესო მოთამაშეების განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ სხვების ემოციების წაკითხვა შეუძლიათ. სანამ ვეგასში ჩავიდოდი, ვიცოდი, რომ საუკეთესო მოთამაშეებთან მომიწევდა შერკინება, საუკეთესო თამაშების ნახვა კი Gamblers' Channel-ზე შეიძლება. ამ არხს თანამგზავრული ტელევიზიის საშუალებით ვიღებ. პოკერის მატჩების ტრანსლაციები ჩავიწერე და თითოეული მოთამაშის რეაქციები შევისწავლე. ვაკვირდებოდი, როგორ იქცეოდნენ მაშინ, როდესაც ბლეფზე მიდიოდნენ. ჩანაწერების ყურების დროს შენელებული მოძრაობის რეჟიმს ვრთავდი და მათი მიმიკების უმცირეს დეტალებს ვსწავლობდი — ყველაფერს, რასაც ამბობდნენ და რასაც აკეთებდნენ. ყველა ჩვევასა და განმეორებით ქმედებას. კარგა დიდი დრო შევალიე ამ საქმეს, მაგრამ ყოველთვის ჩნდებოდა ისეთი მიმიკა, რომელიც ჯერ არ მქონდა ნანახი და შესწავლილი. ერთი მოთამაშე მარჯვენა ნესტოზე ისვამდა ხოლმე ხელს, მეორე კი ბანქოს ქაღალდზე ათამაშებდა თითებს. როდესაც ნორვეგიიდან მივემგზავრებოდი, დარწმუნებული ვიყავი გამარჯვებაში, მაგრამ, სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ მე კიდევ უფრო მეტი უცნაური ჩვევა მქონდა.

ტრესკოს პირქუში სიცილი გმინვას უფრო ჰგავდა. მღელვარებისგან ამორფული სხეული უცახცახებდა.

— ანუ თუკი ადამიანს დაკითხვაზე დავიბარებ, შეგიძლია, მითხრა, იტყუება თუ არა?

— ასე იოლიც არ არის. პირველ რიგში, უნდა ვნახო ვიდეორგოლი, რომელზეც დაკვირვების ობიექტი იქნება აღბეჭდილი, შემდეგ კი „მისი კარტი უნდა დავინახო", რათა მივხვდე, როდის იტყუება და როდის — არა. ამის შემდეგ შევძლებ შედარებას და იმის განსაზღვრას, როგორ იქცევა, როდესაც იტყუება. სიცრუის დეტექტორიც ხომ ამ პრინციპზეა დაფუძნებული.

სიცრუისდეტექტორის ტესტი დაკვირვების ობიექტმა სრული სიმართლის თქმით უნდა დაიწყოს — მაგალითად, საკუთარი სახელი ახსენოს. შემდეგ აშკარა ტყუილი უნდა თქვას, ბოლოს კი, არსებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე, ერთგვარ ათვლის წერტილს განსაზღვრავ.

— სრული სიმართლე... — ჩაილაპარაკა ჰარიმ, — და აშკარა ტყუილი. ვიდეორგოლში.

— მაგრამ გაითვალისწინე ის, რაც სატელეფონო საუბრისას გითხარი — ვერ მოგცემ იმის გარანტიას, რომ არ შევცდები.

ჰარიმ ბეატე ლიონი „ტანჯვის სახლში" იპოვა — ოთახში, სადაც სამუშაო დროის უდიდეს ნაწილს ატარებდა იმ პერიოდში, როდესაც ძარცვების განყოფილების თანამშრომელი იყო. „ტანჯვის სახლი" უფანჯრო კაბინეტს წარმოადგენდა, რომელიც სათვალთვალო კამერებით გადაღებული მასალების ნახვისა და მონტაჟისთვის, სურათების ზომების გაზრდისა და ტელეფონით გადაღებულ ან ჩაწერილ ფოტო-ვიდეო- და აუდიომასალაზე ადამიანების ამოცნობისთვის საჭირო აღჭურვილობით იყო სავსე. მაგრამ ახლა ბეატე ბრიუნსალეენის პოლიციის კრიმინალური დეპარტამენტის უფროსი იყო და თანაც დეკრეტულ შვებულებაში.

ჩართული აპარატურისგან გამოყოფილი მშრალი სითბოს გამო ბეატეს თითქმის გამჭვირვალე, ფერმკრთალი ლოყები ვარდისფრად შეეფაკლა.

— სალამი, — თქვა ჰარიმ და რკინის მექანიკურ კარს ხელი გაუშვა.

მისალმების საპასუხოდ ტანმორჩილი, მკვირცხლი ქალი წამოდგა. ერთმანეთს გადაეხვივნენ. ორივე მათგანი უხერხულად გრძნობდა თავს.

— გამხდარხარ, — თქვა ქალმა.

ჰარიმ მხრები აიჩეჩა.

— როგორ... მიდის საქმეები?

— გრეგერს კარგად სძინავს, კარგად ჭამს და ძალიან იშვიათად ტირის, — თქვა ბეატემ და გაიღიმა, — ახლა ჩემთვის მხოლოდ ამას აქვს მნიშვნელობა.

ჰარი ფიქრობდა, რომ ჰალვორსენი უნდა ეხსენებინა, ხომ უნდა ეჩვენებინა, რომ ახსოვდა, მაგრამ საჭირო სიტყვებს ვერ პოულობდა. ბეატე თითქოს მიხვდა, რომ ჰარი წვალობდა და ჰკითხა, შენ როგორ ხარო.

— კარგად, — უთხრა და სავარძელში ჩაესვენა, — არც ისე ცუდად, ან საშინლად. გააჩნია, როდის მკითხავ.

— ახლა როგორ ხარ? — იკითხა ქალმა, ტელევიზორის მონიტორისკენ შებრუნდა, ღილაკს დააჭირა თითი და ეკრანზე გამოისახა ადამიანების ჯგუფი, ზურგშექცევით გარბოდნენ „სტურუ მოლისკენ".

— პარანოია დამეწყო, — თქვა ჰარიმ, — ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს დავდევ ადამიანს, რომელიც თავის ჭკუაზე დამატარებს. მეჩვენება, რომ ყველაფერი ქაოსშია ჩაძირული და ჩემი დევნის ობიექტი ზუსტად იმას მაკეთებინებს, რაც სურს. ხვდები, რასაც ვგრძნობ?

— კი. მეც მყავს ჩემი მანიპულატორი, რომელსაც გრეგერი დავარქვი, — თქვა ბეატემ და ვიდეომასალის უკან გადახვევა შეაჩერა, — გინდა, ნახო, რა ვიპოვე?

ჰარიმ სავარძელი ეკრანის ახლოს მისწია. ბეატე ლიონს ნამდვილად ჰქონდა სპეციფიკური ნიჭი. იმდენად განვითარებული ჰქონდა ტვინის ის ნაწილი, რომელიც ადამიანების სახეების დამახსოვრებაზეა პასუხისმგებელი, რომ, ფაქტობრივად, დამნაშავეთა ცოცხალ საძიებელს წარმოადგენდა.

— ამ საქმესთან დაკავშირებული პირების ფოტოებს გადავხედე, —თქვა მან, — ქმრებს, შვილებს, მოწმეებსა და სხვა ფიგურანტებს ვგულისხმობ... და, რა თქმა უნდა, ვიცი, როგორ გამოიყურება ჩვენი ძველი მეგობარი.

თავიდან ჩართო მასალა და ამჯერად კადრიდან კადრზე დაიწყო გადასვლა.

— აი, აქ არის, — თქვა ქალმა ბოლოს და გაჩერდა.

ჰარიმ ეკრანზე უძრავი სურათი დაინახა, რომელზეც ადამიანთა ჯგუფი იყო გამოსახული. შავ-თეთრი, უხარისხო და ფოკუსიდან ამოვარდნილი კადრი იყო.

— სად? — იკითხა ჰარიმ და უტვინოდ იგრძნო თავი. ყოველთვის ასეთი გრძნობა ეუფლებოდა, როდესაც სურათებს ბეატე ლიონთან ერთად შეისწავლიდა.

— ეს ის ადამიანია, რომელიც ამ ფოტოზეა გამოსახული, — თქვა ქალმა და საქაღალდიდან ერთ-ერთი ფოტოსურათი ამოიღო.

— ეს ხომ არაა ის კაცი, რომელიც არ გასვენებს?

ჰარი გაოგნებული დაჰყურებდა ფოტოს, შემდეგ კი ნელა დაუქნია თავი ბეატეს და ტელეფონს დაეტაკა. კატრინ ბრატმა ორ წამში უპასუხა.

— პალტო ჩაიცვი და ავტოსადგომზე შემხვდი, — თქვა ჰარიმ, — წასასვლელები ვართ.

ბუგსტადვეიენის შუქნიშნის თავიდან ასაცილებლად ჰარი ურანიენბორგვეიენისა და მაიორსტიუვეიენის გავლით მივიდა დანიშნულების ადგილზე.

— დარწმუნებულია, რომ ეს კაცია გამოსახული? — ჰკითხა კატრინმა, — ისეთი ხარისხის გამოსახულებაა, რომ...

—თუკი ბეატე ამბობს, რომ ისაა, ესე იგი, მართლაც ის არის.

ჩვენებს დაურეკე და მისი ნომერი გაიგე.

— მობილურში მიწერია, — თქვა ქალმა და ტელეფონი ამოიღო.

— ტელეფონში გაქვს შენახული? — იკითხა ჰარიმ და ქალს გადახედა, — ყველას ნომერს იწერ, ვისაც კი გადააწყდები?

— კი. ნებისმიერი საქმის ყველა ფიგურანტის ნომერს ტელეფონში ვიწერ და ერთ ჯგუფში ვათავსებ, შემდეგ კი, როდესაც საქმე მთავრდება, იმ ჯგუფს ვშლი. უნდა სცადო, ძალიან სასიამოვნო შეგრძნებაა, როდესაც delete-ს აჭერ თითს. ძალიან ხელშესახები გრძნობაა.

ჰარიმ ჰოფში, ერთი ყვითელი სახლის წინ გააჩერა მანქანა. სახლი სულ მთლად ჩაბნელებულიყო.

— ფილიპ ბეკერი, — თქვა კატრინმა, — ვერც კი წარმოვიდგენდი.

— არ დაგავიწყდეს, რომ უბრალოდ უნდა გავესაუბროთ. შესაძლოა, ძალიან ადვილად გასაგები მიზეზების გამო დაურეკა ვეტლესენს.

— „სტურუ მოლის" სატელეფონო ჯიხურიდან?

ჰარი კატრინს მიაჩერდა, რომელსაც კისრის თხელ კანზე ძარღვი უფეთქავდა. კაცმა მზერა სასტუმრო ოთახის ფანჯრებზე გადაიტანა.

— წავედით, — თქვა ბოლოს და როდესაც კარის სახელურს ჩაეჭიდა, მისმა ტელეფონმა დარეკა.

— გისმენთ.

ვიღაც ემოციურად, მაგრამ ლაკონიური, მკაფიო ფრაზებით უხსნიდა რაღაცას. ჰარიმ თანამოსაუბრეს რამდენჯერმე შეაწყვეტინა სიტყვა — ორჯერ თქვა „ჰმ", ერთხელ იკითხა „რა?" და ერთხელ — „როდის?".

როგორც იქნა, ჰარის თანამოსაუბრე დადუმდა.

— საკოორდინაციო შტაბში დარეკე, — თქვა მან, — და ითხოვე, ჰოფსვეიენში ორი უახლოესი საპატრულო მანქანა გამოგზავნონ. სირენების გარეშე მოვიდნენ და უთხარით, რომ საცხოვრებელი მასივის სხვადასხვა ბოლოში დადგნენ... რაო? იმიტომ, რომ სახლში პატარა ბიჭია და არ მინდა, ბეკერის კიდევ მეტად განერვიულება. გასაგებია?

რა თქმა უნდა, გასაგები იყო.

— ჰოლმი იყო, — თქვა ჰარიმ, კატრინის წინ გადაიხარა, მანქანის წინა საბარგული გამოაღო და ერთხანს შიგნით იქექებოდა, სანამ ხელბორკილები ამოიღო, — მისმა თანამშრომლებმა ლოსიუსის ავტოფარეხი შეამოწმეს, თითის ანაბეჭდი იპოვეს და ამ საქმის ფიგურანტების ანაბეჭდებს შეადარეს.

ჰარიმ ამნთებიდან გამოიღო გასაღები, წინ გადაიხარა და სავარძლის ქვემოდან ლითონის ყუთი გამოაძვრინა. გასაღები ყუთში მოათავსა, გადაატრიალა და ყუთიდან შავი, მოკლელულიანი „სმით ენდ ვესონი" ამოიღო.

— ჰოდა, ერთ-ერთი დაემთხვა.

კატრინმა პირი დააღო გაოცებისგან და თავის დაქნევით ჰკითხა, ყვითელ სახლში მცხოვრები კაცის ანაბეჭდი იყო თუ არაო.

— კი, — თქვა ჰარიმ, — პროფესორ ფილიპ ბეკერის თითი აღმოჩნდა.

შეამჩნია, რომ კატრინს თვალები გაუფართოვდა, მაგრამ ქალს უწინდებურად მშვიდი ხმა ჰქონდა.

— ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ მალე delete-ს დავაჭერ.

— არაა გამორიცხული, — თქვა ჰარიმ და რევოლვერი გადახსნა, რათა შეემოწმებინა, ბოლომდე იყო დატენილი ცილინდრი თუ არა.

— ორი კაცი ვერ შეძლებდა ქალების ასეთი იდენტური ხელ-

წერით მოტაცებას, ეს ქალები ზუსტად ერთნაირად მოიტაცეს. ერთი დამნაშავის ხელწერის ასე ზედმიწევნით გამეორებას სხვა მანიაკი ნამდვილად ვერ შეძლებდა, — თქვა ქალმა და ისე დაატრიალა თავი, თითქოს კრივის მატჩისთვის ემზადებოდა.

— მართებული შენიშვნაა.

— ჯერ კიდევ მაშინ უნდა მივმხვდარიყავით, როდესაც პირველად მოვედით ამ სახლში.

ჰარი კატრინს აკვირდებოდა და ვერ ხვდებოდა, თავად რატომ არ იყო მასავით აღელვებული და ვეღარ გრძნობდა ეჭვმიტანილის დაპატიმრების მომწამვლელ სიამოვნებას. ალბათ, იმიტომ, რომ ამ სიამოვნებას თან სდევდა იმის შეგრძნება, რომ დააგვიანა. იცოდა, რომ იმ მეხანძრედ იგრძნობდა თავს, რომელიც ნანგრევებად ქცეულ შენობას უყურებს, მაგრამ სინამდვილეში ახლა რაღაც სხვა გრძნობა დაუფლებოდა. ეჭვი ღრღნიდა. თითის ანაბეჭდებსა და „სტურუ მოლის" სათვალთვალო კამერის ჩანაწერებს სასამართლო კი მიიღებდა სამხილებად, მაგრამ ყველაფერი მეტისმეტად მარტივად გამოდიოდა. ნამდვილ „თოვლის კაცს" ასეთი პრიმიტიული გონება არ ჰქონდა და ასეთ ბანალურ შეცდომებს არ უშვებდა. ბეკერი არ იყო ის ადამიანი, რომელმაც სილვია ოტერსენის თავი დაადგა თოვლის კაცს და ვინც პოლიციელი მისსავე საყინულეში გაყინა. იგი არ იყო ის ადამიანი, რომელმაც ჰარის წერილი მისწერა:

„აი, რა უნდა ჰკითხო შენს თავს. ვინ გააკეთა თოვლის კაცი?"

— რას ვაპირებთ? — იკითხა კატრინმა, — ჩვენ თვითონ დავაპატიმროთ?

იმდენად უცნაური ინტონაცია ჰქონდა კატრინს, რომ ჰარი ვერ მიხვდა, ქალმა შეკითხვა დასვა თუ უბრალოდ საკუთარ

თავს ელაპარაკებოდა.

— დამზღვევ საპატრულოებს დაველოდოთ, — თქვა ჰარიმ, — შემდეგ კი ზარი დავრეკოთ.

— სახლში რომ არ დაგვხვდეს?

— სახლშია.

— რა იცი, რომ...

— სასტუმრო ოთახის ფანჯრებს შეხედე და რამდენიმე წამით დააკვირდი.

ქალმა სახლისკენ გაიხედა და შენიშნა, რომ დიდი პანორამული ფანჯრის მიღმა რაღაც ციმციმებდა თეთრად. როგორც ჩანს, ჰარის უკვე მოესწრო ამ სინათლის დანახვა. ჩართული ტელევიზორის ეკრანის შუქის.

უსიტყვოდ ელოდებოდნენ. გარშემო სიჩუმე გამეფებულიყო. ყვავმა დაიჩხავლა და შემდეგ ისევ სიჩუმე ჩამოწვა. ბოლოს ჰარის ტელეფონმა დარეკა.

დამზღვევები მითითებულ ადგილებზე იყვნენ. ჰარიმ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს მოკლე ინსტრუქცია მისცა. თქვა, რომ არ სურდა პოლიციელების დანახვა მანამ, სანამ თავად არ გამოიძახებდა. თუმცა სახლში უნდა შემოსულიყვნენ იმ შემთხვევაში, თუკი სროლის ან ყვირილის ხმას გაიგონებდნენ.

— ხმა გამოურთე, — თქვა კატრინმა მას შემდეგ, რაც ჰარიმ საუბარი დაასრულა.

ჰოლემ ცალყბად გაიღიმა და ისე მოიქცა, როგორც ქალმა ურჩია. ჰარი კატრინს უცქერდა. გაახსენდა მისი სახე იმ მომენტში, როდესაც საყინულის კარი გაიღო, მაგრამ ამჯერად სახეზე ვერც შიშს ამჩნევდა და ვერც დაძაბულობას. უბრალოდ იმ საქმეზე იყო კონცენტრირებული, რომელიც უნდა შეესრულებინა. ტელეფონი პიჯაკის ჯიბეში ჩაიდო და გაიგონა, როგორ

მიედო მობილური რევოლვერს.

მანქანიდან გადმოვიდნენ, გზა გადაკვეთეს და ჭიშკარი გამოაღეს. მათ ფეხქვეშ სველი ხრეში ხრიალებდა. ჰარი ყურადღებით აკვირდებოდა განიერ ფანჯარას და ცდილობდა, არ გამოჰპაროდა ჩრდილი, რომელიც, შესაძლოა, თეთრ კედელზე გამოჩენილიყო.

კარის ზღურბლთან აღმოჩნდნენ. კატრინმა ჰარის შეხედა. მთავარმა ინსპექტორმა თავი დაუქნია. ქალმა ზარი დარეკა. სახლიდან ზარის დაბალი, არათანაბარი ხმა მოისმა.

დაელოდნენ, მაგრამ ფეხის ხმა არ ესმოდათ. წინკარის გვერდით მდებარე მოგრძო ფანჯრის ტალღისებური მინებიდანაც არ მოჩანდა ჩრდილები.

ჰარიმ წინ გაიწია და მინას დაადო ყური. სახლის მონიტორინგის მარტივი და საოცრად ეფექტიანი საშუალება აირჩია, მაგრამ ვერაფერი გაიგონა. ტელევიზორის ხმაც კი არ ისმოდა. სამი ნაბიჯით დაიხია უკან, კიბის თავზე მდგარი სახურავის განაკიდს ორივე ხელით სწვდა და იმ სიმაღლეზე აიზიდა, რომელიც საშუალებას აძლევდა, ფანჯრიდან მთელი სასტუმრო ოთახი დაენახა. იატაკზე ვიღაც იჯდა. მისგან ზურგშექცევით მჯდარ ადამიანს ნაცრისფერი პერანგი ეცვა და ფეხები გადაეჯვარედინებინა. უზარმაზარი ყურსასმენები ეკეთა, რომელიც მის თავზე შავ შარავანდედს ჰგავდა. ყურსასმენების კაბელი ტელევიზორზე იყო მიერთებული.

— ჩვენი არ ესმოდა, იმიტომ, რომ ყურსასმენები უკეთია, — თქვა ჰარიმ, როდესაც ჩამოხტა. კატრინმა კარის სახელური ფრთხილად ჩამოსწია.

კარის პერიმეტრზე დამაგრებული რეზინის სადებების უმნიშვნელო ხმაური გაისმა.

— როგორც ჩანს, სასურველი სტუმრები ვართ, — თქვა კატ-

რინმა და სახლში შევიდა.

აღელვებულმა ჰარიმ ხმადაბლა შეიგინა და ქალს მიჰყვა, კატრინი კი ამასობაში სასტუმრო ოთახის კართან მივიდა, გამოაღო და გაჩერდა. ჰარის დაელოდა,

შემდეგ კი უკან დაიხია და სამშვენისების ერთფეხიან მაგიდას მიეჯახა. ლარნაკი, რომელიც მაგიდაზე იდო, სახიფათოდ აქანავდა აქეთ-იქით, მაგრამ ბოლოს მაინც „გადაწყვიტა", არ ჩამოვარდნილიყო.

მათსა და იატაკზე მჯდარ ადამიანს შორის, სულ ცოტა, ექვსი მეტრი მაინც იქნებოდა.

ეკრანზე პატარა ბავშვი იყო გამოსახული, რომელსაც მოღიმარი ქალის თითი ეჭირა და ნაბიჯის გადადგმას ცდილობდა. ტელევიზორის ქვეშ DVD-პლეიერის ლურჯი ნათურა ანათებდა. დეჟავიუ. ჰარის უკვე ნანახი და განცდილი ჰქონდა ეს ყველაფერი. ეს სიჩუმე, სამოყვარულო ვიდეო, რომელზეც ბედნიერი დრო იყო აღბეჭდილი და კონტრასტი წარსულსა და აწმყოს შორის, ტრაგედია, რომელიც უკვე გათამაშებულიყო და მხოლოდ დასასრული სჭირდებოდა.

კატრინმა ანიშნა, მაგრამ თავადაც შეამჩნია. იატაკზე მჯდარი ადამიანის გვერდით, „ფაზლსა" და „გეიმ ბოის" შორის პისტოლეტი იდო, რომელიც სათამაშოს ჰგავდა. ჰარიმ იარაღის მოდელი იცნო. „გლოკ 21". გააჟრჟოლა და ძარღვებში ადრენალინის მოზღვავება იგრძნო.

ან კართან უნდა დარჩენილიყო, ბეკერის სახელი უნდა დაეყვირა და შეიარაღებულ ადამიანთან კონფრონტაციის თანმდევ რისკზე წასულიყო, ან ეს ადამიანი მანამდე უნდა განეიარაღებინა, სანამ ის დაუპატიჟებელ სტუმრებს შეამჩნევდა. ოთხი დიდი ნაბიჯი საკმარისი იქნებოდა. ჰარის არ ეშინოდა,

რომ მოწინააღმდეგე მის ჩრდილს შეამჩნევდა, იმიტომ, რომ მის უკან სინათლე არ ენთო, ტელევიზორის ეკრანი კი მეტის-მეტად განათებული იყო იმისთვის, რომ მასზე ვინმეს ჩრდილის გარჩევა ყოფილიყო შესაძლებელი.

ჰარიმ ღრმად ჩაისუნთქა და პირველი ნაბიჯი გადადგა. ძალიან ჩუმად მოძრაობდა. მის წინ მჯდარი ადამიანი არ იძვროდა. როდესაც მეორე ნაბიჯის გადასადგმელად ასწია ფეხი, მის ზურგს უკან რაღაცის მტვრევის ხმა გაისმა.

მთავარი ინსპექტორი გუმანით მიხვდა, რომ ლარნაკი გადმოვარდა. იატაკზე მჯდომი ადამიანი მოტრიალდა და ჰოლემ ფილიპ ბეკერი დაინახა. პროფესორს აგონიაში მყოფი ადამიანის გამოხედვა ჰქონდა. ჰარი გახევდა. ბეკერი და ჰოლე ერთმანეთს მისჩერებოდნენ. მოულოდნელად ტელევიზორი გამოირთო.

პროფესორმა პირი გააღო — თითქოს რაღაცის თქმას აპირებდა. თვალები ჩაწითლებული ჰქონდა, ლოყებზე კი ცრემლის კვალი ეტყობოდა.

— პისტოლეტი! — დაიყვირა კატრინმა.

ჰარიმ ტელევიზორის ეკრანს შეხედა და მასზე კატრინის ანარეკლი დაინახა. კართან იდგა, ფეხები ფართოდ გაედგა განზე და წინ გამოწეული ხელებით რევოლვერი ეჭირა.

ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს დრო გაჩერდა, მძიმე, უფორმო მასად იქცა და რეალურ დროში მხოლოდ შეგრძნებებიღა არსებობდა.

ისეთი გამოცდილი პოლიციელი, როგორიც ჰარი იყო, აუცილებლად დაეცემოდა იატაკზე და იარაღს სტაცებდა ხელს, მაგრამ ჰოლეს თვალწინ ძალიან ცხადი სურათი წარმოუდგა, რომელიც პირდაპირ მისი ქვეცნობიერიდან ამოტივტივდა — ჰარის მოეჩვენა, რომ იატაკზე გამოცდილი პოლიციელის მი-

ერ მოკლული ადამიანის სხეულს ხედავდა. მორიგი დეჟავიუ, წარსულის კიდევ ერთი ლანდი.

კარი მარჯვნივ შებრუნდა და კატრინს სროლის არე შეუზღუდა. ზურგს უკან გაპოხილი რევოლვერის რბილი ტკაცანი გაიგონა. ჩახმახის საწყის პოზიციაზე დაბრუნებისა და სასხლეტზე თითის დაჭერის შესუსტების ხმა.

ბეკერს იატაკზე, პისტოლეტის გვერდით ედო ხელი. თითები და ხელისგული გასთეთრებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ პროფესორის სხეულის მასის ნაწილი მის ხელს აწვებოდა. მარჯვენა ხელში პულტი ეჭირა. თუკი ასეთ მდგომარეობაში მყოფი ბეკერი მარჯვენა ხელით შეეცდებოდა პისტოლეტის აღებას, ნამდვილად დაკარგავდა წონასწორობას.

— არ გაინძრეთ, — დაიყვირა ჰარიმ.

ბეკერმა პასუხად მხოლოდ ორჯერ ზედიზედ დაახამხამა თვალები, თითქოს ამ გზით აპირებდა თვალთახედვის არიდან ჰარისა და კატრინის ფიგურების მოშორებას. ჰარი მშვიდად მიუახლოვდა ბეკერს. შემდეგ დაიხარა და პისტოლეტი აიღო, რომელიც, მოულოდნელად, მეტისმეტად მსუბუქი აღმოჩნდა. იმდენად მსუბუქია, გამორიცხულია, მასში ტყვიები იდოსო, გაიფიქრა ჰარიმ.

პისტოლეტი პიჯაკის იმავე ჯიბეში ჩაიცურა, რომელშიც მისი რევოლვერი იდო, და ჩაიმუხლა. ტელევიზორის ეკრანზე კატრინის გამოსახულება მოჩანდა. ქალს ჯერ კიდევ ხელში ეჭირა რევოლვერი, რომელიც მათკენ ჰქონდა მომართული და მღელვარების გამო დროდადრო ფეხს იცვლიდა.

ჰარიმ ხელი გაუწოდა ბეკერს, რომელმაც დამფრთხალი მხეცივით დაიხია უკან. ჰოლემ ბეკერს ყურსასმენები მოაძრო.

— სად არის იუნასი? — იკითხა ჰარიმ.

ბეკერმა გაოცებით შეხედა ჰოლეს. თითქოს ვერ ხვდებო-

და, რა ხდებოდა და არც ის ენა ესმოდა, რომელზეც ელაპარაკებოდნენ.

— იუნასი! — გაიმეორა ჰარიმ, — იუნას! აქა ხარ, იუნას?

— ჩუმად, — თქვა ბეკერმა, — იუნასს სძინავს.

ლუნატიზმით შეპყრობილი ადამიანის ხმა ჰქონდა. თითქოს ტრანკვილიზატორები ჰქონდა მიღებული.

ბეკერმა თავის ქნევით მიანიშნა ყურსასმენებზე და თქვა:

— იმიტომ გავიკეთე, რომ არ გაღვიძებოდა.

ჰარიმ ნერწყვი გადაყლაპა და იკითხა:

— სად არის?

— სად არის? — ბეკერმა თავი მიატრიალა და ჰარის ისე შეხედა, თითქოს მხოლოდ ახლა იცნო, — საწოლში, რა თქმა უნდა. ყველა ბიჭმა საკუთარ საწოლში უნდა იძინოს.

ხმა უკანკალებდა, თითქის რომელიღაც სიმღერის ნაწყვეტს მღეროდა. ჰარიმ პიჯაკის მეორე ჯიბეში ჩაიყო ხელი და ხელბორკილები ამოიღო.

— ხელები დამანახვეთ, — თქვა ჰარიმ.

ბეკერმა კიდევ ერთხელ დაახამხამა თვალები.

— თქვენივე უსაფრთხოებისთვის ვიქცევი ასე, — თქვა ჰარიმ.

ამ ხერხს ხშირად იყენებდნენ პოლიციელები. ჯერ კიდევ პოლიციის აკადემიაში ასწავლეს, რომ მთავარი ბოროტმოქმედის დამშვიდებაა. ჰარიმ თავისი ნათქვამი გაიგონა და მიხვდა, რატომაც ჩადგა კატრინსა და ბეკერს შორის. მოჩვენებები არაფერ შუაში იყო. მას მართლა ეშინოდა, რომ პროფესორს რაიმე შეემთხვეოდა.

ბეკერმა ისე გაუწვდინა ხელები, თითქოს ლოცულობსო, და მის წვრილ, ბალნიან ხელებზე ფოლადის სამაჯურებმა გაიჩხ-

აკუნა.

— აქ იჯექით, — თქვა ჰარიმ, — ეს ქალი მოგხედავთ.

ჰარი წამოდგა და კართან მივიდა. კატრინმა რევოლვერი დაუშვა და გაუღიმა. ქალი ცეცხლს აკვესებდა თვალებიდან.

— კარგად ხარ? — იკითხა ჰარიმ, — კატრინ!

— რა თქმა უნდა, — უპასუხა კატრინმა ისე, რომ ღიმილი არ მოშორებია სახიდან.

ჰარიმ ერთხანს შეიცადა, შემდეგ კი კიბეს აუყვა და მეორე სართულზე ავიდა. ახსოვდა, სადაც იყო ბიჭის ოთახი, მაგრამ თავიდან სულ სხვა კარი გამოაღო. ბეკერის საძინებელში შუქი არ ენთო, მაგრამ სიბნელეში მაინც შეამჩნია ორადგილიანი საწოლი, რომელზეც მხოლოდ ერთი საბანი ეფინა. თითქოს ბეკერმა იცოდა, რომ ბირტე აღარასდროს დაბრუნდებოდა.

მცირე ხნის შემდეგ ჰარი უკვე იუნასის ოთახის კართან იდგა. სანამ კარს გააღებდა, თავიდან ამოიგდო ის ფიქრები და სურათები, რომლებიც მის ცნობიერებას ამძიმებდა. სიბნელეში სუსტი წკარუნი გაისმა და, მიუხედავად იმისა, რომ ვერაფერს ხედავდა, მიხვდა, რომ ორპირმა ქარმა ჭერში დაკიდებული თხელი ჯოხები ააჟღრიალა. მსგავსი ნივთი ოლეგსაც ჰქონდა. ჰარი ოთახში შევიდა და საბანში გახვეული რაღაც ან ვიღაც დაინახა. შეეცადა, სუნთქვის ხმა გაეგონა, მაგრამ მხოლოდ წკარუნი ესმოდა. ლითონის მილები ჯერ კიდევ ხმაურობდნენ. ჰარიმ საბნისკენ წაიღო ხელი, მაგრამ უცებ ირაციონალური შიში დაეუფლა და ხელი ჰაერში გაუშეშდა. ამ ოთახში არაფერი იყო ფიზიკური საფრთხის მომასწავებელი, მაგრამ ჰარიმ იცოდა, რისიც ეშინოდა. ოდესღაც ყოფილმა ბოსმა, ბიარნე მიოლერმა, განუმარტა და მას შემდეგ ჰარიმ იცოდა, რომ მას საკუთარი ადამიანური ბუნებისა ეშინოდა.

ჰარიმ ფრთხილად ასწია საბანი. იუნასი იყო. სიბნელეში

ისე ჩანდა, თითქოს ეძინა, მაგრამ ბიჭი ჭერს მისჩერებოდა. ჰარიმ იუნასის მხარზე სახვევი შენიშნა. ბიჭის ნახევრად გაღებულ პირთან დაიხარა და შუბლზე დაადო ხელი. და მაშინვე მოეშვა, როგორც კი იგრძნო ბიჭის სუნთქვა და მისი კანის სითბო, ძილ-ბურანში მყოფი ბიჭის ჩურჩულიც გაიგონა:

— დედიკო...

ჰარი მოუმზადებელი შეხვდა საკუთარ რეაქციას. ალბათ, იმიტომ, რომ ოლეგზე ფიქრობდა, ან იმიტომ, რომ თავისი ბავშვობის ერთი ეპიზოდი გაახსენდა. მაშინ ოპსალში ცხოვრობდა. გაეღვიძა და მშობლების საძინებლისკენ გაეშურა.

ფიქრობდა, რომ დედამისი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მაგრამ ორმაგი საწოლის ერთ მხარეს საბანი აღარ იდო.

ჰარის ცრემლი წასკდა. თავს ვერ მოერია. ცრემლით აევსო თვალები და ამიტომ იუნასს ბუნდოვნად ხედავდა. ბოლოს რამდენიმე კურცხალი ლოყებზე დაუგორდა. ღაწვებზე ცხელი კვალი დააჩნდა. ცრემლებმა მის ნაოჭებში გაიკვლიეს გზა და პირის კუთხეებთან აღმოჩნდნენ. ჰარი საკუთარი ცრემლის მლაშე გემომ გამოაფხიზლა.

ნაწილი მეოთხე

თავი XX

მეჩვიდმეტე დღე. მზის სათვალე

დილის შვიდ საათზე ჰარი წინასწარი დაკავების ბლოკის №23-ე საკანში შევიდა. მის ზურგს უკან კარი დაკეტეს. საწოლზე ჩაცმული ბეკერი იჯდა, რომელიც ახალმოსულს უაზროდ მიაჩერდა. ჰარიმ ხუთი კვადრატული მეტრი ფართობის მქონე საკნის ცენტრში დადო ის სკამი, რომელიც სამორიგეოდან წამოიღო და დაჯდა.

ჰარიმ „ქემელის" დაჭმუჭნილი კოლოფი ამოიღო და, არსებული წესების მიუხედავად, ბეკერს შესთავაზა.

— არა მგონია, აქ მოწევა შეიძლებოდეს, — თქვა პროფესორმა.

— მე რომ ვიჯდე აქ და სამუდამო პატიმრობის განაჩენს ველოდებოდე, ალბათ, გავრისკავდი და მოვწევდი, — უპასუხა ჰარიმ.

ბეკერი უაზროდ უყურებდა გამომძიებელს.

— ნუ გერიდებათ, — თქვა ჰარიმ, — უჩუმრად მოსაწევად უკეთეს ადგილს ვერც კი იპოვით.

ბეკერმა სულელურად ჩაიღიმა და იმ სიგარეტს დასწვდა, რომელიც ჰარიმ კოლოფიდან ამოაძვრინა.

— იუნასი კარგად გრძნობს თავს...რამდენადაც ეს შესაძლებელია, — თქვა ჰარიმ და სანთებელა ამოიღო, — ბენდიქსენებს ვესაუბრე. ოჯახი თანახმაა, იუნასს რამდენიმე დღით უმასპინძლოს. ამის გამო სოციალური მომსახურების მუშაკებთან კამათი მომივიდა, მაგრამ მათი გადარწმუნება შევძელი. თქვენი დაპატიმრების ამბავი ჯერჯერობით არ გვიცნობებია პრესისთვის.

— რატომ არ აცნობეთ? — იკითხა ბეკერმა და ფრთხილად მოუკიდა სიგარეტს.

— ამ საკითხს კიდევ დავუბრუნდები. უნდა იცოდეთ, რომ თუკი არ ითანამშრომლებთ გამოძიებასთან, ამ ამბავს ვეღარ დავმალავ.

— გასაგებია. თქვენ კარგი გამომძიებელი ხართ, ის მეორე კი, გუშინ რომ დამკითხა, ცუდი პოლიციელია. ხომ ასეა?

— მართალია, ბეკერ, მე კეთილი პოლიციელი ვარ და მინდა, დაგისვათ რამდენიმე შეკითხვა, რომლებიც ოქმში არ აისახება. ყველაფერი, რასაც ახლა იტყვით, არ და ვერ იქნება გამოყენებული თქვენს წინააღმდეგ. თანახმა ხართ?

ბეკერმა მხრები აიჩეჩა.

— ესპენ ლეპსვიკი — პოლიციელი, რომელმაც გუშინ დაგკითხათ — ფიქრობს, რომ იტყუებით, — თქვა ჰარიმ და თამბაქოს კვამლი გვერდზე ამოისუნთქა. შეეცადა, ბოლი სახანძრო სიგნალიზაციის გადამცემს არ მიახლოებოდა.

— რასთან დაკავშირებით?

— არ სჯერა, რომ ავტოფარეხში ყოფნისას უბრალოდ ესაუბრეთ კამილა ლოსიუსს და შემდეგ იქიდან წამოხვედით.

— კი მაგრამ, ეს ნამდვილად სიმართლეა. და რას ფიქრობს ის პოლიციელი?

— ლეპსვიკის აზრით, თქვენ ლოსიუსი მოიტაცეთ და მოკალით, შემდეგ კი მისი ცხედარი დაანაწევრეთ.

— რა სისულელეა! — წამოიძახა ბეკერმა, — მერწმუნეთ, მხოლოდ ვესაუბრე. სხვა არაფერი მომხდარა.

— რატომ არ გვეუბნებით, რა თემაზე ესაუბრეთ კამილა ლოსიუსს?

— უკვე ვთქვი, რომ ეს პირადი საკითხია.

— თქვენ იმასაც ამბობთ, რომ იდარ ვეტლესენსაც პირად

საკითხზე დაურეკეთ იმ დღეს, როდესაც იგი გარდაიცვალა. ასეა?

ბეკერმა ისე მიმოიხედა გარშემო, თითქოს ოთახში საფერფლე უნდა მდგარიყო.

— მისმინეთ, მე არაფერი დამიშავებია და ადვოკატის გარეშე სიტყვასაც აღარ დავძრავ. ჩემი იურისტი დღეს მოვა.

— ღამით შემოგთავაზეთ ადვოკატი, რომელიც, თუ მოისურვებდით, მაშინვე თქვენ გვერდით გაჩნდებოდა.

— მინდა, წესიერი ადვოკატი მყავდეს, და არა ვიღაც... ადგილობრივი ხელისუფლების დაქირავებული იურისტი. მგონი, დროა, მითხრათ, რატომ მაბრალებთ ლოსიუსის ცოლის მიმართ ძალადობრივი ქმედების ჩადენას.

ამ ფორმულირებამ ჰარი გააოცა. უფრო ზუსტად კი იმან, როგორ მოიხსენიებდა ბეკერი კამილას. „ლოსიუსის ცოლი".

— თუკი ის ქალი დაიკარგა, თავად ლოსიუსი უნდა დააპატიმროთ. იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევებში ყოველთვის ქმარია დამნაშავე. განა ასე არ არის?

— ასეა, — თქვა ჰარიმ, — მაგრამ მის ქმარს ალიბი აქვს. როდესაც კამილა დაიკარგა, მისი მეუღლე სამსახურში იყო, თქვენ კი აქ იმიტომ ბრძანდებით, რომ, ჩვენი აზრით, სწორედ თქვენ ხართ „თოვლის კაცი".

ბეკერს ყბა ჩამოუვარდა და ზუსტად ისე დაახამხამა თვალები, როგორც გუშინწინ, როდესაც მისი სახლის სასტუმრო ოთახში შემოსული დაუპატიჟებელი სტუმრები დაინახა. ჰარიმ ბეკერს სიგარეტზე მიანიშნა, რომლის კვამლიც სპირალური მოძრაობებით მიიწევდა მაღლა, სახანძრო სისტემის გადამცემისკენ.

— ერთი ნაფაზი მაინც დაარტყით, თორემ სიგნალიზაცია ჩაირთვება.

—„თოვლის კაცი”? — როყიოდ წამოიძახა პროფესორმა, — განა ვეტლესენი არ იყო „თოვლის კაცი”?

— არა, — თქვა ჰარიმ, — ჩვენი ინფორმაციით, ის არ ყოფილა.

ბეკერმა ორჯერ დაახამხამა თვალები და შემდეგ ისე მშრალად და ღვარძლიანად გაიცინა, რომ მისი ხმა ხველას უფრო ჰგავდა, — ახლა გასაგებია, რატომაც არ აცნობეთ პრესას. მედიასაშუალებებმა არ უნდა იცოდნენ, რომ შეცდით. ახლა ვხვდები, რატომაც ეძებთ მკვლელს ასე გააფთრებით, ან ისეთ ადამიანს, რომელიც, შესაძლოა, მკვლელი აღმოჩნდეს.

— მართალი ბრძანდებით, — თქვა ჰარიმ და მორიგი ნაფაზი დაარტყა, — თუმცა ამჟამად მკვლელს ყველაზე მეტად თქვენ ჰგავხართ.

— ამჟამად? მეგონა, თქვენი მოვალეობაა, დამარწმუნოთ, რომ ყველაფერი იცით, რათა უმალვე ვაღიარო დანაშაული.

— ასეა, მაგრამ მე ყველაფერი არ ვიცი, — თქვა ჰარიმ. ბეკერმა ცალი თვალი მოწკურა:

— ერთგვარი ხაფანგია, არა?

ჰარიმ მხრები აიჩეჩა.

— არა, უბრალოდ ინტუიციაა. მინდა, თქვენი უდანაშაულობა დაამტკიცოთ, იმიტომ, რომ პირველმა დაკითხვამ ისეთი შთაბეჭდილება შეგვიქმნა, რომ რაღაცას გვიმალავთ.

— არაფერი მქონდა დასამალი. უფრო სწორად, იმის თქმა მინდა, რომ არაფერი მაქვს დასამალი. უკანონო არაფერი ჩამიდენია და ამიტომ ვერ ვხედავ საკმარის მიზეზებს იმისათვის, რომ ჩემს პირად საქმეებზე გესაუბროთ.

— ყურადღებით მომისმინეთ, ბეკერ. მე არა მგონია, რომ თქვენ ხართ „თოვლის კაცი” და არც იმის მჯერა, რომ კამილა ლოსიუსი მოკალით. და ვფიქრობ, რომ რაციონალური, მოაზ-

როვნე ადამიანი ბრძანდებით. ჩემი აზრით, თქვენნაირი ადამიანი ამჯობინებს, მე გამიზიაროს თავისი ცხოვრების ინტიმური დეტალები და თავიდან აირიდოს სტატიები პროფესორ ფილიპ ბეკერის, ნორვეგიის ყველაზე ცნობილი მკვლელის დაკავების შესახებ, რომლებიც ხვალინდელ გაზეთებში დაიბეჭდება. დარწმუნებული ვარ, კარგად ხვდებით, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი გაგამართლებენ და აქაურობას ზეგვე დატოვებთ, თქვენი სახელის გაგონებისას ყველას ის სტატიები გაახსენდება... იგივე ბედი ელის თქვენს ვაჟსაც.

ჰარი თვალს არ აცილებდა ბეკერის ადამის ვაშლს, რომელიც გაუჩერებლად აუდ-ჩაუდიოდა პროფესორს გაუპარსავ კისერზე. უყურებდა და ხედავდა, რომ ბეკერის გონებაში ლოგიკური დასკვნების ფორმირება მიმდინარეობდა. მარტივი დასკვნების. ამის შემდეგ კი წარმოუდგენელი ტკივილით გაჯერებული ხმა გაისმა. ჰარის თავიდან ეგონა, რომ ეს იმ სიგარეტის კვამლის ბრალი იყო, რომელიც ბეკერმა მაინც არ მოსწია.

— ბირტე, ჩემი ცოლი, ბოზი იყო.

— რაო? — თქვა ჰარიმ და შეეცადა, გაოცება დაემალა.

ბეკერმა სიგარეტი იატაკზე დააგდო, წამოიწია და უკანა ჯიბიდან შავი წიგნაკი ამოიღო.

— მისი გაუჩინარებიდან მეორე დღეს ვიპოვე. მისი მაგიდის უჯრაში იდო. არც კი დაუმალავს. ერთი შეხედვით, სრულიად უმანკო წიგნაკია. ყოველდღიურად იწერდა იმ საქმეებს, რომლებიც უნდა გაეკეთებინა, რათა არ დავიწყებოდა. გარდა ამისა, ამ წიგნაკში ტელეფონის ნომრებიც წერია, მაგრამ როდესაც ცნობათა ბიუროში დავრეკე, მითხრეს, რომ ასეთი ნომრები არ არსებობს. ეს ციფრები ერთგვარ კოდს წარმოადგენდა, მაგრამ ჩემი ცოლი ძალიან სუსტი იყო შიფრების შექმნაში. ერთი დღეც არ დამჭირვებია, რომ მისი კოდი გამომეცნო და მთ-

ელი ნაწერი გამეშიფრა.

***

ერიკ ლოსიუსი ფირმა Rydd & Flytt-ს ხელმძღვანელობდა. მისი კომპანია სატვირთო გადაზიდვებით იყო დაკავებული და ამ არც ისე მომგებიან ბაზარზე საკუთარი ნიშა ჰქონდა ნაპოვნი. დაბალი ფასების, აგრესიული მარკეტინგის, იაფი უცხოური მუშახელისა და ტიპური ხელშეკრულების წყალობით ნაღდი ფულით ანგარიშსწორება წარმოებდა მას შემდეგ, რაც მანქანები დაიტვირთებოდა, სანამ ტვირთი დანიშნულების ადგილამდე მიაღწევდა. ლოსიუსი არასდროს დაზარალებულა კლიენტების საჩივრების გამო, იმიტომ, რომ სხვა ყველაფერთან ერთად, მის ხელშეკრულებებში წვრილი შრიფტით იყო აღნიშნული, რომ გადაზიდვის დროს მომხდარი დაზიანებების ან ნივთების დაკარგვის შესახებ განცხადების მოსამზადებლად კლიენტებს მხოლოდ ორი დღე ეძლეოდათ. ამიტომ ბევრი საჩივრის 90 პროცენტი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროზე გვიან მოსდიოდა და ამიტომ ეს განცხადებები აღარც განიხილებოდა. რაც შეეხება დანარჩენ ათ პროცენტს, ამ საჩივრების წინააღმდეგ ერიკ ლოსიუსმა ერთგვარი ბიუროკრატიული ზღუდე შექმნა, რის შედეგადაც შეუვალი და დაუმარცხებელი გახდა. ზოგჯერ განგებ აჭიანურებდა პროცესს, რაც იმდენად დამღლელი ხდებოდა, რომ ის ადამიანებიც კი ნებდებოდნენ, რომლებმაც პლაზმური ტელევიზორები დაკარგეს, ან ფორტეპიანო გაუტყდათ გადატანის დროს.

ერიკ ლოსიუსი ძალიან ახალგაზრდა იყო, როდესაც ამ ბიზნესში ჩაერთო. თავიდან მამამისის მეგობართან, ამავე კომპანიის წინა მფლობელთან მუშაობდა. სწორედ მამის დაჟინებული თხოვნით დაიწყო იქ მუშაობა.

— ძალიან მოუსვენარია იმისთვის, რომ სკოლაში იაროს, მაგრამ ძალიან ჭკვიანი იმისთვის, რომ თაღლითი გახდეს, — უთხრა მამამ თავის მეგობარს, — მიიღებ სამსახურში?

თავიდან ერიკი გაყიდვების მენეჯერად მუშაობდა და ხელფასს საკომისიოების სახით იღებდა. მომხიბვლელობის, ეფექტიანობისა და ქარიზმის წყალობით მალე მოიპოვა პოპულარობა. დედისგან თაფლისფერი თვალები დაჰყვა, მამისგან კი — ათლეტური აღნაგობა და სქელი, ხვეული თმა. სწორედ მის გამო თქვა ბევრმა ქალმა უარი სხვა გადამზიდავი კომპანიების მომსახურებაზე და ერიკის კლიენტი გახდა. იგი გონიერებითა და მოსწრებული სიტყვა-პასუხითაც გამოირჩეოდა იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც კომპანიას ზეგანაკვეთურად მუშაობას სთხოვდნენ და ცუღლუტობისას ზომიერების გრძნობას არასდროს კარგავდა. კომპანიაში დაბალი ფასები დააწესეს, ტვირთის დაკარგვისა და დაზიანების შემთხვევაში გათვალისწინებული საკომპენსაციო ტარიფები კი მაღალი იყო. ხუთი წლის შემდეგ ფირმას საკმაოდ დიდი შემოსავალი ჰქონდა და ერიკი კომპანიის მეპატრონის მარჯვენა ხელი გახდა. ერთხელ, შობის წინადღეს, როდესაც მეორე სართულზე, უფროსის სამუშაო ოთახის გვერდით, ერიკის ახალ კაბინეტში მაგიდა შეჰქონდათ, კომპანიის მფლობელს გულის შეტევა დაემართა, დაეცა და გარდაიცვალა. მომდევნო დღეებში ერიკი ქვრივს ანუგეშებდა, როგორც შეეძლო. მას კი ნამდვილად კარგად შეეძლო ნუგეშისცემა — და მიცვალებულის დაკრძალვიდან ერთ კვირაში ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელმაც,

პრაქტიკულად, სიმბოლური ცვლილებები შეიტანა მათ კომპანიაში, რომელიც, ერიკის აზრით, იყო „მცირე საწარმო, რომელიც დაბალი ამონაგებით გამორჩეულ საბაზრო სეგმენტში საქმიანობდა და თან დიდი რისკებისა და გარანტიების არარსებობის პირობებში უწევდა მუშაობა". საუბრის დროს მან რამდენჯერმე აღნიშნა, რომ მისთვის მთავარი იყო, ამ კომპანიის აწ გარდაცვლილი მფლობელის მთელი ცხოვრების საქმე არ წახდენილიყო და საიმედო ხელში გადასულიყო. ამ სიტყვების წარმოთქმისას თვალზე ცრემლი მოადგა. ქალმა აცახცახებული ხელი მის ხელს დაადო და დაავალა, კომპანიაში არსებული მდგომარეობის შესახებ ანგარიშის ჩასაბარებლად პირადად მისულიყო ხოლმე მასთან. ასე გახდა ლოსიუსი Rydd & Flytt-ის მესაკუთრე. პირველ რიგში, ნაგავში მოისროლა ყველა საჩივარი, ხელშეკრულებების პირობები შეცვალა და ოსლოს დასავლეთ ნაწილის მდიდრულ უბნებში სარეკლამო ბუკლეტები დაგზავნა. ქალაქის ამ ნაწილში უფრო ხშირად იცვლიდნენ სახლებს და უფრო მეტსაც იხდიდნენ.

ოცდაათი წლის ასაკში ერიკ ლოსიუსს საკმარისი ფული ჰქონდა იმისთვის, რომ ორი BMW, კანის ჩრდილოეთ ნაწილში საზაფხულო აგარაკი და ხუთასი კვადრატული მეტრი ფართობის მქონე კერძო სახლი ეყიდა სადღაც ტრეივაში, სადაც მზეს არ ეფარებოდა ისეთი მაღალსართულიანი კორპუსები, როგორშიც თავად ერიკი გაიზარდა. მოკლედ, შეეძლო, კამილა სანდენთან დაეწყო ურთიერთობა.

კამილას არისტოკრატიული ოჯახი ერთ დროს ტანსაცმლის ბიზნესში იყო ჩართული, მაგრამ შემდეგ გაკოტრდა. სანდენები დასავლეთ ოსლოდან, ბლომენჰოლმიდან იყვნენ. ერიკი უბრალო მუშის ვაჟი იყო და მისთვის ეს უბანი ისევე უცხო იყო, როგორც ფრანგული ღვინო, რომლის ბოთლებითაც,მოგვიან-

ებით, ტვეიტაში მდებარე სახლის სარდაფი ამოავსო. მაგრამ როდესაც ერიკი პირველად შევიდა თავის უზარმაზარ სახლში და დაინახა ყველა ის ნივთი, რომლებიც ამ სახლში უნდა შემოეტანათ, მაშინვე მიხვდა, რაც არ ჰქონდა, მაგრამ უნდა ჰქონოდა — კლასი, სტილი, ძველი ყაიდის არისტოკრატულობა და ბუნებრივი უპირატესობა. თავაზიანობა და ღიმილი კი მხოლოდ იმისთვის იყო საჭირო, რომ ეს ყველაფერი გაეძლიერებინა. ამ ყველაფრის განსახიერება იყო კამილა, რომელიც აივანზე იდგა და ოსლოს ფიორდს გასცქეროდა მზის დიდი სათვალით, რომელიც, შესაძლოა, სულაც ადგილობრივ ავტოგასამართ სადგურზე ყოფილიყო ნაყიდი, მაგრამ ამ გოგონას სახეზე ისე გამოიყურებოდა, როგორც Gucci-ს, Dolce & Gabbana-ს ან ნებისმიერი სხვა ბრენდის პროდუქცია, რომელთა სახელებიც ერიკმა არ იცოდა.

ახლა ყველა სხვა ბრენდის სახელიც იცოდა.

ერიკმა კამილას ოჯახის ნივთები შედარებით ნაკლებად პრესტიჟულ უბანში მდებარე უფრო პატარა სახლში გადაიტანა. ყველაფერი, რამდენიმე ნახატის გარდა, რომლებიც აუქციონზე გაიყიდა. ოჯახს ერთი განაცხადიც კი არ დაუწერია დანაკარგზე. ერთი ნივთიც კი არ გახსენებიათ იმ საგნებს შორის, რომლებიც ერიკმა გადატანისას მოიპარა. მაშინაც კი, როდესაც საქორწილო კაბაში გამოწყობილი კამილა ტვეიტეს ეკლესიაში იდგა, მის მშობლებს ხმაც კი არ ამოუღიათ, სიტყვაც კი არ დაუძრავთ ქალიშვილის გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ. ალბათ, იმიტომ, რომ ხედავდნენ, როგორ ავსებდნენ ერიკი და კამილა ერთმანეთს — კაცს დახვეწილობა აკლდა, გოგონას კი — ფული.

ერიკი ისე ეპყრობოდა კამილას, როგორც მეფის ასულს, ქალი კი ამის უფლებას აძლევდა. ერიკ ლოსიუსი ანებივრებ-

და და როდესაც ქალმა სთხოვა, მის საძინებელში აღარ შესულიყო, ერიკი დათანხმდა. მხოლოდ იმ შემთხვევაში აწუხებდა, როდესაც სადმე აპირებდა წასვლას, ან თავად ელოდებოდა სტუმრებს, „წყვილებს, რომლებთანაც მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდათ"— მეტწილად ბავშვობის მეგობრებს. ქალი ზოგჯერ ეკითხებოდა საკუთარ თავს, მართლა ვუყვარვარ ერიკს თუ არაო და თანდათან შეუყვარდა ეს ამბიციური, ენერგიული გარეუბნელი ბიჭი.

თავის მხრივ, ერიკი მეცხრე ცაზე იყო სიხარულისგან. თავიდანვე იცოდა, რომ კამილა მგზნებარე ტემპერამენტით არ გამოირჩეოდა. რეალურად, ეს იყო ერთ- ერთი მიზეზი, რის გამოც თავის მეუღლეს სხვა გოგონებზე მაღლა აყენებდა. იმ გოგონებზე, რომლებთანაც ადრე ჰქონდა ურთიერთობა. ფიზიკურ მოთხოვნილებებს იგი ფირმის კლიენტებთან იკმაყოფილებდა. ერიკმა დაასკვნა, რომ საცხოვრებელი ადგილის შეცვლისას ადამიანიც იცვლება — მელანქოლია იპყრობს, უფრო სენტიმენტალური ხდება და ახალი შესაძლებლობებისთვის უფრო გახსნილია. ერიკი განურჩევლად ხმარობდა ყველას — მარტოხელა ქალებს, ქვრივებს, ფაქტობრივად და ოფიციალურად გათხოვილ მდედრებს. და ამას აკეთებდა მაგიდებზე, სადარბაზოების მოედნებზე, პოლიეთილენში გახვეულ ლეიბებზე და ცარიელი კედლებით გარშემორტყმულ ახალგარეცხილ პარკეტებზე, რომლებიც ექოს გამოსცემდნენ. და ამ დროს იმაზე ფიქრობდა, რას უყიდდა კამილას.

ყველაზე გონივრული ამ გეგმაში ის იყო, რომ იმ ქალებს აღარასდროს ნახულობდა. საცხოვრებელ ადგილის შეცვლის შემდეგ, ეს ქალები, წესით, მისი ცხოვრებიდან უნდა გამქრალიყვნენ ხოლმე. და ასეც ხდებოდა. მხოლოდ ერთი ქალი იყო გამონაკლისი.

ბირტე ოლსენი შავთმიანი ლამაზმანი გახლდათ, რომლის ჩამოქნილი ტანი „პენთჰაუსს" დაამშვენებდა. ერიკზე ახალგაზრდაც იყო და მისი მაღალი ხმა და ლექსიკონი ქალს კიდევ უფრო ახალგაზრდულ იერს ანიჭებდა. უკვე მესამე თვე იქნებოდა, რაც ორსულად იყო, და ბავშვის მომავალ მამასთან ერთად ტვეიტიდან ჰოფსვეიენში გადადიოდა საცხოვრებლად. ის კაცი, რომელსაც ბირტე მიჰყვებოდა ცოლად, წარმოშობით ოსლოს დასავლეთ ნაწილიდან იყო. ერიკი ფიქრობდა, რომ ეს გარემოება ბირტესა და ერიკს ერთმანეთს ამსგავსებდა. და როდესაც ეს ქალი ცარიელი ოთახის ცენტრში, საზურგიან სკამზე იხმარა, მიხვდა, რომ ასეთი სექსის გარეშე ვეღარ იცხოვრებდა.

მოკლედ რომ ვთქვათ, ერიკ ლოსიუსმა იდეალური პარტნიორი იპოვა. მასზე ისე ფიქრობდა, როგორც მამაკაცი, რომელიც გულშიც კი არ გაივლებს, რომ ქალს არ უნდოდა ის, რაც მას უნდოდა. კონკრეტულად კი ერიკს არანორმალური, დაუსრულებელი, გამთანგავი სექსი უნდოდა. და მათ ასეთი სექსი გამოსდიოდათ. ყოველ შემთხვევაში, თვეში ერთხელ მაინც ხვდებოდნენ ერთმანეთს ცარიელ ბინებში, რომელთა მფლობელებიც ან წასულები იყვნენ, ან ჯერ არ მოსულიყვნენ. და მათ შეხვედრებს ყოველთვის ახლდა რისკი და ამიტომ მათი რიტუალები სისწრაფით, ეფექტიანობით, სიზუსტითა და ერთფეროვნებით გამოირჩეოდა. და, ამის მიუხედავად, ერიკ ლოსიუსი ისე ელოდებოდა ამ შეხვედრებს, როგორც ბავშვი — შობას. გულწრფელი, მარტივი სიხარულით უცდიდა შეხვედრის დღეს და მის აღტაცებას კიდევ უფრო აძლიერებდა მტკიცე რწმენა, რომ არაფერი შეიცვლებოდა და მისი მოლოდინი გამართლდებოდა. ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებლად, პარალელურ რეალობებში ცხოვრობდნენ და ეს ორივეს

ხელს აძლევდა. და ისინი აგრძელებდნენ შეხვედრებს. მშობიარობის დროს არ უნახავთ ერთმანეთი. საბედნიეროდ, ბავშვი, საკეისრო კვეთით გაჩნდა. გარდა ამისა, ერთმანეთს მხოლოდ ხანგრძლივი შვებულებების დროს და იმ უმანკო ვენერიული დაავადების აღმოჩენის შემდეგ არ ხვდებოდნენ, რომლის წარმოშობის მიზეზების დადგენა ერიკს არც ხელეწიფებოდა, და არც უცდია. უკვე ათი წელი იყო გასული და ახლა, ტორსჰოვში, ნახევრად ცარიელ სახლში, მუყაოს ყუთზე მჯდარი ერიკ ლოსიუსის წინ მაღალი, თავგადაპარსული მამაკაცი იდგა და გაზონის საკრეჭი მანქანის ხმით ეკითხებოდა, იცნობდა თუ არა ბირტე ბეკერს. ერიკ ლოსიუსმა ნერწყვი გადაყლაპა.

უცნობმა მამაკაცმა უთხრა, რომ მას ჰარი ჰოლე ერქვა და პოლიციის განყოფილების ინსპექტორი იყო. თუმცა მის მტვირთავებს უფრო ჰგავდა, ვიდრე რაიმეს ინსპექტორს. პოლიციის ოფიცრები, რომლებსაც ერიკი კამილას გაუჩინარების შემდეგ ესაუბრა, დაკარგული ადამიანების განყოფილებიდან იყვნენ. თუმცა, როდესაც ამ კაცმა საბუთი წარუდგინა, ერიკს თავიდან ეგონა, კამილას შესახებ მოუტანეს ცნობა. და გამომდინარე იქიდან, რომ ოფიცერმა მას არ დაურეკა, კვალში ჩაუდგა და აქ მოაგნო, ერიკ ლოსიუსი ვარაუდობდა, რომ პოლიციელს ცუდი ამბავი უნდა ეცნობებინა. ამიტომ მტვირთავები დაითხოვა და ინსპექტორს სთხოვა, დამჯდარიყო, თავად კი სიგარეტის ძებნა დაიწყო და შეეცადა, საკუთარი თავი განსაცდელისთვის შეემზადებინა.

— გისმენთ, — თქვა ინსპექტორმა.

— ბირტე ბეკერი? — გაიმეორა ერიკ ლოსიუსმა და შეეცადა, თან სიგარეტისთვისაც მოეკიდებინა და სწრაფადაც ეფიქრა. არ გამოუვიდა. ღმერთო! ნელა აზროვნებაც კი არ გამოსდიო-

და.

— როგორც ვხვდები, გონების მოკრება გჭირდებათ, — თქვა ინსპექტორმა და თავისი სიგარეტის კოლოფი ამოიღო, — არ იჩქაროთ.

ერიკი უყურებდა, როგორ მოუკიდა ინსპექტორმა „ქემელს" და დაიხარა, როდესაც პოლიციელმა სანთებელა გაუწოდა.

— გმადლობთ, — ჩაილაპარაკა ერიკმა და იმდენად ძლიერი ნაფაზი დაარტყა, რომ თამბაქომ ტკაცუნი დაიწყო.

თამბაქოს ბოლით აევსო ფილტვები და ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ ნიკოტინის ინექცია გაუკეთეს. ერიკი თანდათანობით გონზე მოვიდა. ადრეც ფიქრობდა, რომ პოლიციელები ოდესმე აღმოაჩენდნენ კავშირს მასსა და ბირტეს შორის და კითხვების დასასმელად მოვიდოდნენ. ამიტომ ბევრჯერ უცდია ისეთი სამოქმედო გეგმის შექმნა, რომლის წყალობითაც ეს ამბავი კამილას ყურამდე არ მივიდოდა. ახლა კი ყველა გეგმა თავზე დაემხო. მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ პოლიციას, ალბათ, სურს, შეამოწმოს, არის თუ არა რაიმე კავშირი ამ ორ გაუჩინარებას შორის.

— ბირტეს მეუღლემ, ფილიპ ბეკერმა, მისი დღიური იპოვა, რომელიც მარტივად გასაშიფრი კოდითაა დაწერილი, — თქვა პოლიციელმა, — წიგნაკში ჩაწერილია ტელეფონების ნომრები, თარიღები და მოკლე კომენტარები. საიდუმლო აღარ არის ის, რომ ბირტეს სხვა მამაკაცებთანაც ჰქონდა კავშირი.

— მამაკაცებთან? — წამოსცდა ერიკს.

— თუკი ეს შვებას მოგგვრით, გეტყვით, რომ ბეკერის აზრით, მისი ცოლი ყველაზე ხშირად თქვენ გხვდებოდათ. მისამართების სიმრავლიდან გამომდინარე, ნამდვილად მაქვს საფუძველი, რომ მისი ნათქვამი დავიჯერო, — თქვა ჰარიმ.

ერიკი თითქოს ნავში იჯდა და გასცქეროდა ჰორიზონტს, სა-

დაც უზარმაზარი ტალღა იკრებდა ძალას. იგი ხმას არ იღებდა.

— ბეკერმა თქვენი მისამართი იპოვა, თავისი შვილის სათამაშო პისტოლეტი აიღო — რომელიც ძალიან ჰგავს ნამდვილ „გლოკ 21"-ს — და ტვეიტისკენ გაეშურა, რათა თქვენს დაბრუნებას დალოდებოდა. ბეკერის თქმით, უნდოდა, თქვენს თვალებში შიში დაენახა. უნდოდა, დაეშინებინეთ, რათა თქვენ ყველაფერი გეთქვათ, რაც იცოდით. ამის შემდეგ ბეკერს გადაწყვეტილი ჰქონდა, თქვენი სახელი პოლიციისთვის ეცნობებინა. თქვენს ავტოფარეხში შესულ მანქანას მიჰყვა, მაგრამ იქ თქვენი მეუღლე დახვდა.

— და მან... მან...

— დიახ. ყველაფერი უამბო კამილას.

ერიკი მუყაოს ყუთიდან წამოდგა და ფანჯარას მიუახლოვდა. გარეთ ტორსჰოვის პარკი და დილის მკრთალი მზით განათებული ფიორდი მოჩანდა. არ მოსწონდა ბინები, რომელთა ფანჯრებიც ძველ პარკებს გადაჰყურებდა. ასეთ შემთხვევებში ყოველთვის კიბეზე უწევდათ ასვლა. რაც უფრო წარმტაცი იყო ხედი, მით მეტი კიბე იყო სატვირთო მანქანასა და ბინას შორის, მით უფრო ძვირი იყო ეს ბინა და, შესაბამისად, უფრო ძვირი და უფრო მძიმე იყო ის ნივთები, რომლებიც აჰქონდათ. აქედან გამომდინარე, უფრო მეტი იყო მათი დაზიანებისა თუ დაკარგვისთვის განსაზღვრული საკომპენსაციო თანხა და იზრდებოდა იმის ალბათობა, რომ რომელიმე მუშა დაშავდებოდა და რამდენიმე დღე მუშაობას ვეღარ შეძლებდა. მაგრამ ასე ხდება ყოველთვის, როდესაც რისკზე მიდიხარ და კლიენტებს ყველაზე სწრაფ და იაფ მომსახურებას სთავაზობ. კონკურენტებს ამარცხებ, სამაგიეროდ, იძულებული ხარ, ყველაზე მძიმე სამუშაო შეასრულო. დროდადრო ყველა რისკს ედება ფასი. ერიკმა ღრმად ჩაისუნთქა და პოლიციელის ფეხის ხმა გაიგო-

ნა. გამომძიებელი ხის იატაკზე აკაკუნებდა ფეხს. ერიკმა იცოდა, რომ ამ დეტექტივთან გადავადების ტაქტიკით ვერაფერს გახდებოდა.

დაზიანების შესახებ დაწერილ ამ განცხადებას ნაგავში ვერ გადააგდებდა. ბირტე ოლსენი, რომელიც ამჟამად ბეკერის გვარს ატარებდა, მისი პირველი კლიენტი უნდა გამხდარიყო, რომელიც მას ზარალს მოუტანდა.

***

— და ამის შემდეგ მითხრა, რომ ათი წლის მანძილზე ხვდებოდა ბირტე ბეკერს, — და რომ ბირტე თავისი ქმრით იყო ორსულად, როდესაც პირველად ჰქონდათ სექსი.

— ქალი შეიძლება გოგონას ან ვაჟს ელოდებოდეს, — თქვა რაკელმა და ბალიში ჩამოსწია, რათა უკეთესად დაენახა ჰარი, — მაგრამ ქმრით ვერ იქნება ორსულად. შესაძლოა, ქმრისგან იყოს.

— ჰმ... — თქვა ჰარიმ, წამოიწია, ცალ ხელს დაეყრდნო, ქალის ზემოთ გადაიხარა და საწოლის გვერდით ტუმბადან სიგარეტის კოლოფი აიღო, — და ამის ალბათობა 80%-ს არ აღემატება.

— რაო?

— რადიოში თქვეს, სკანდინავიელი ბავშვების 15-20 პროცენტის ბიოლოგიური მამა ის არაა, ვინც მათ ჰგონიათო, — თქვა მან, კოლოფიდან სიგარეტის ღერი ამოიღო და ნაშუადღევის მზის შუქზე დაატრიალა, — ერთი ღერი გავიყოთ?

რაკელმა უსიტყვოდ დაუქნია თავი. არ ეწეოდა, მაგრამ ეს ერთგვარი რიტუალი იყო სექსის შემდეგ, ყოველთვის ეწეოდნენ საზიარო ღერს. როდესაც რაკელმა პირველად სთხოვა ჰარის, შენი სიგარეტი გამასინჯეო, თავისი თხოვნა იმით ახსნა, რომ სურდა, იგივე ეგრძნო, რასაც ჰარი გრძნობდა, ისევე მოწამლულიყო და ისევე აღგზნებულიყო, როგორც მისი პარტნიორი და რაც შეიძლება ახლოს ყოფილიყო მასთან. კაცს კი ყველა ის ნარკომანი გაახსენდა, რომელიც იმავე სულელური მიზეზით იჩხერდნენ პირველ დოზას. მაშინ ჰარიმ უარი უთხრა რაკელს, მაგრამ მოგვიანებით ქალმა მაინც შეძლო მისი გადარწმუნება. ნელი, ხანგრძლივი, გაჭიანურებული სექსის დროს სიგარეტი მათი სასიყვარულო აქტის გახანგრძლივების საშუალებად იქცა. სხვა შემთხვევებში კი სიგარეტს მათთვის ბრძოლის შემდეგ მოსაწევი მშვიდობის ყალიონის ფუნქცია ჰქონდა.

— მაგრამ ალიბი აღმოაჩნდა. ბირტეს გაუჩინარების საღამოს ერიკ ლოსიუსი ძმაკაცებთან ერთად იყო ტვეიტაში. ბიჭებმა საღამოს ექვს საათზე დაიწყეს მოლხენა და მათი წვეულება დილამდე გაგრძელდა. ათიოდე მოწმე ჰყავს. წვეულების ბოლოს უმრავლესობა, რა თქმა უნდა, გატიალებული მთვრალი იყო, მაგრამ დილის ექვს საათამდე მაინც ყველას მოეკითხებოდა ჭკუა.

— და რატომ არ ამხელთ იმას, რომ „თოვლის კაცი” ჯერ არ დაგიჭერიათ?

— ვიდრე ნამდვილ „თოვლის კაცს” ჰგონია, რომ ნამდვილი მკვლელი ვიპოვეთ, წყნარად იქნება და, იმედია, მკვლელობას აღარ ჩაიდენს. და, თუკი იფიქრებს, რომ მკვლელზე ნადირობა დასრულდა, ყურადღებას მოადუნებს. ჩვენ კი ამ დროის მანძილზე მშვიდად ვიმუშავებთ და სულ უფრო მივუახლოვდებით

იმ მომენტს, როდესაც დასვენება...

— მეჩვენება, თუ მართლა შევნიშნე ირონია შენს ხმაში?

— შესაძლოა, — თქვა ჰარიმ და სიგარეტი მიაწოდა.

— მაშ, გამოდის, არ გჯერა იმის, რასაც მეუბნები.

— ჩემი აზრით, ჩემს უფროსობას საკმაოდ ბევრი მიზეზი აქვს იმისათვის, რათა სიმართლე დამალოს და არ გაამჟღავნოს, რომ ვეტლესენი არ აღმოჩნდა ის ადამიანი, რომელსაც ვეძებდით. პოლიციის უფროსმა და ჰაგენმა პრესკონფერენცია ჩაატარეს იმ პერიოდში, როდესაც საქმის დახურვას ზეიმობდნენ...

რაკელმა ამოიოხრა.

— და აი, მაინც „მის პოლიციის სამმართველოსავით" ვიქცევი.

— ჰმ...

რაკელი სიგარეტს დააცქერდა.

— ოდესმე თუ გიღალატია ვინმესთვის, ჰარი?

— რას გულისხმობ ღალატში?

— გქონია სექსი სხვა ქალთან იმ პერიოდებში, როდესაც პარტნიორი გყავდა?

— კი.

— ერთად როდესაც ვიყავით. ეგ ვიგულისხმე.

— ხომ იცი, რომ ვერ ვიქნები აბსოლუტურად დარწმუნებული...

— კარგი, მაშინ ფხიზელს თუ გიღალატია?

— არა. არასდროს.

— მაშ, რას ფიქრობ ახლა ჩემზე? ამ მომენტში, როდესაც შენ გვერდით ვწევარ?

— ხაფანგს მიგებ?

— სერიოზულად გეკითხები, ჰარი.

— არ ვიცი, მაგრამ არც ის ვიცი, მინდა თუ არა, რომ ამ შეკითხვას ვუპასუხო.

— ჰოდა, მაშინ სიგარეტს აღარ მიიღებ.

— ოჰ! კარგი. ჩემი აზრით, შენ გჯერა, რომ გინდივარ, მაგრამ გსურს, ის კაცი გინდოდეს.

ისეთი ატმოსფერო შეიქმნა, თითქოს მათ მიერ წარმოთქმული სიტყვები სიბნელეში ამობეჭდილიყო და მათ ზემოთ ეკიდა.

— ოჰ... როგორი... პირდაპირი ხარ! — ამოიგმინა რაკელმა, ჰარის სიგარეტი მიაწოდა და მკერდზე დაიწყო ხელები.

— ალბათ, არ ღირდა ამ თემაზე საუბარი.

— მაგრამ უნდა მეკითხა! ნუთუ ვერ ხვდები?! თორემ გავგიჟდებოდი. ღმერთო, უკვე გაგიჟებული ვარ. აქ ვწევარ... — თქვა ქალმა და საბანი ნიკაპამდე ამოიწია.

ჰარი მისკენ მიბრუნდა. ჯერ არც კი მიჰკარებოდა, მაგრამ ქალს უკვე ბალიშზე ესვენა თავი, თვალები დაეხუჭა და ოდნავ გაღებული პირიდან გახშირებული სუნთქვის ხმა ისმოდა. როგორ ახერხებს ეს ქალი ასე სწრაფად გადაერთოს სირცხვილიდან ვნებაზე? რატომაა ასეთი პირდაპირი?

— იქნებ სინდისის ქენჯნა გვინთებს ვნების ალს? — იკითხა ჰარიმ და ქალმა მაშინვე გაახილა თვალები, რომლებშიც გაოცება და იმედგაცრუება იყო. რაკელს ეწყინა, რომ ჰარი არც კი შეეხო, — იქნებ სირცხვილის მიუხედავად კი არ ვღალატობთ, არამედ იმის გამო, რომ გვრცხვენია?

ქალმა ორჯერ დაახამხამა თვალები.

— არის შენს სიტყვებში ჭეშმარიტების მარცვალი, — ნელა თქვა მან, — მაგრამ მხოლოდ ეს არ არის მიზეზი. ყოველ შემთხვევაში, ახლა სხვა მიზეზებიც არსებობს.

— ახლა?

— ჰო.

— ალბათ, გახსოვს, ერთხელ რომ ვიკითხე და შენ მიპასუხე...

— ვიტყუებოდი, — თქვა ქალმა, — მანამდეც მიღალატია.

— ჰმ...

იწვნენ და მდუმარედ უსმენდნენ შუადღის პიკის საათის ზუზუნს, რომელიც პილესტრედეტზე გამეფებულიყო. რაკელი პირდაპირ სამსახურიდან მივიდა მასთან და ჰარიმ იცოდა, რომ ბევრი საქმე ჰქონდა. ოლეგის დღის წესრიგიც კარგად ახსოვდა. ჰარიმ იცოდა, რომ რაკელი მალე წავიდოდა.

— იცი, რა არ მომწონს შენში? — იკითხა ბოლოს ქალმა და ყურზე უჩქმიტა, — იმდენად ამაყი და ამპარტავანი ხარ, რომ ვერც კი მეკითხები, შენთვის თუ მიღალატია ოდესმე.

— რა ვიცი, — მიუგო ჰარიმ, თითქმის ჩამწვარი სიგარეტი გამოართვა და, სანამ რაკელი დგებოდა, მის შიშველ სხეულს მიაჩერდა, — რატომ უნდა მინდოდეს ამის ცოდნა?

— იმავე მიზეზით, რომლითაც ბირტეს ქმარს უნდოდა. სიმართლის გასარკვევად. ჭეშმარიტების გამოსააშკარავებლად.

— შენი აზრით, სიმართლემ ფილიპ ბეკერი უფრო ნაკლებად უბედური გახადა?

ქალმა სვიტერი ჩამოიცვა. უხეში შალის, მჭიდროდ ნაქსოვი შავი სვიტერი პირდაპირ მის ნაზ კანს ჩამოეცვა. ჰარი მიხვდა, რომ მხოლოდ ამ სვიტერზე ეჭვიანობდა.

— იცით, რას გეტყვით, ჰერ ჰოლე? იმ ადამიანისთვის, ვისი საქმეც უსიამოვნო სიმართლის აღმოჩენაა, თქვენ აშკარად გაკმაყოფილებთ სიცრუეში ცხოვრება.

— კარგი, — თქვა ჰარიმ და სიგარეტის ნამწვი საფერფლეში ჩააგდო, — დაიწყე.

— ეს ამბავი მოსკოვში მოხდა. მაშინ ფიოდორს ვხვდებოდი. საელჩოში ერთი ნორვეგიელი ატაშე მუშაობდა. ერთად ვსწავლობდით... და ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი.

— მერე?

— მასაც ჰყავდა შეყვარებული და როდესაც გადავწყვიტეთ, სიმართლე გაგვემხილა ჩვენი პარტნიორებისთვის, იმ ბიჭის შეყვარებულმა დაგვასწრო და განუცხადა, ფეხმძიმედ ვარო. და, გამომდინარე იქიდან, რომ ყოველთვის კარგი გემოვნება მქონდა მამაკაცების არჩევაში... — თქვა რაკელმა, ერთხანს დადუმდა, ზედა ტუჩი მოიკვნიტა და ჩექმა ამოიცვა, — ისეთი მამაკაცი ავირჩიე, რომელიც პასუხისმგებლობას არ გაექცეოდა. ატაშემ რაღაც სამსახური იშოვა ოსლოში და ამის შემდეგ ერთმანეთი აღარ გვინახავს, მე კი ფიოდორს გავყევი ცოლად.

— და ამის შემდეგ დაორსულდი...

— ჰო, — თქვა რაკელმა, პალტოს ღილები შეიკრა და ჰარის მიაჩერდა, — ზოგჯერ მგონია, რომ ჩემი დაორსულების მიზეზი ის იყო, რომ ერთმანეთს დავშორდით. მგონია, რომ ოლეგი არა ნამდვილი სიყვარულის, არამედ ავადმყოფობის ნაყოფია. შენ როგორ გგონია?

— წარმოდგენა არა მაქვს, — თქვა ჰარიმ, — მხოლოდ ის ვიცი, რომ ძალიან კარგი ნაყოფია.

ქალმა მადლიერებით სავსე ღიმილი ესროლა და დაიხარა, რათა შუბლზე ეკოცნა.

— ეს ჩვენი ბოლო შეხვედრა იყო, ჰოლე.

— რა თქმა უნდა, — თქვა ჰარიმ, რომელიც საწოლზე წამოჯდა და შიშველ კედელს მიაჩერდა, ბოლოს კი ქუჩაში გამავალი მძიმე კარის ყრუდ გაჯახუნების ხმა გაიგონა. ჰარი წამოდგა, სამზარეულოში გავიდა, ონკანი გახსნა და ზედა კარადიდან სუფთა ჭიქა ჩამოიღო. წყლის გაცივებას ელოდებოდა. ჯერ კა-

ლენდარს ახედა, რომელზეც ოლეგისა და ცისფერ კაბაში გამოწყობილი რაკელის ფოტოსურათი მოჩანდა, შემდეგ კი იატაკზე დაიხედა. ფეხსაცმლის ნაკვალევი შეამჩნია. გაიფიქრა, ალბათ, რაკელმა დატოვაო.

პიჯაკი და ფეხსაცმელი ჩაიცვა და უკვე წასვლას აპირებდა, მაგრამ უკან შებრუნდა, კარადიდან ტაბელური „სმით ენდ ვესონი" აიღო და პალტოს ჯიბეში ჩაიდო. მის სხეულში ჯერ კიდევ დარჩენილიყო სიყვარულის აქტით მიღებული სასიამოვნო, მომწამვლელი, მათრობელა ჟრჟოლა. ქუჩაზე გამავალ კართან მივიდა, როდესაც რაღაცის ტკაცუნი გაიგონა. გაჩერდა და ჩაბნელებულ ეზოს გახედა. უკვე უნდა წასულიყო და წავიდოდა კიდეც, რომ არა ნაფეხურები. სამზარეულოს იატაკზე დატოვებული ნაფეხურები. ამიტომ სახლის უკანა მდებარე ეზოსკენ შეუხვია. ფანჯრებიდან გადმოღვრილი ყვითელი შუქი ნაცრისფერ თოვლს ანათებდა. თოვლი იქ იდო, სადაც მზის სხივები ვერ აღწევდა. ის სარდაფთან იდგა. დაგრეხილი ფიგურა გვერდით მოქცეული თავით, ქვებით გაწყობილი თვალებითა და კენჭებით შეკოწიწებული ღიმილით. ღიმილით, რომელიც უშუალოდ მისკენ იყო მიმართული. უხმაურო სიცილი, რომელიც აგურის კედლებს შორის დაძრწოდა და საბოლოოდ ისტერიკულ ღრიალში გადაიზარდა. სავარაუდოდ, თავად ჰარი ღრიალებდა, რომელმაც კიბესთან მდგარ ნიჩაბს დასტაცა ხელი და გააფთრებით დაიწყო ქნევა. ნიჩბის პირი პირდაპირ კისერში მოხვდა. თოვლის კაცს თავი მოსძვრა და თოვლის გუნდა პირდაპირ სახლის კედელს მიეხეთქა. მომდევნო დარტყმამ თოვლის სკულპტურა შუაზე გახლიჩა, ბოლო დარტყმით კი ჰოლემ ნარჩენები ეზოს ცენტრისკენ, შავ ასფალტზე მოისროლა. ჰარი იდგა და მძიმედ ქშინავდა. მის ზურგს უკან კიდევ ერთხელ გაიტკაცუნა რაღაცამ. ჩახმახის შეყენების ხმას ჰგავ-

და. სასწრაფოდ მიწაზე დაწვა, თოვლში გაგორდა და ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო.

ბებერი არყის ხის გვერდით, ღობის სიახლოვეს, მუჰამადი და სალმა იდგნენ და მეზობელს უზარმაზარი, შეშინებული თვალებით უყურებდნენ. ფიჩხი მოჰქონდათ. ხის გამხმარი ტოტები, რომლებიც თოვლის კაცის ხელებად იქცეოდნენ, სალმას შიშისგან შუაზე რომ არ გაეტეხა ის ტოტი, რომელიც ხელში ეჭირა.

— ჩვენ... ის თოვლის კაცი, — ამოილუღლუღა მუჰამადმა.

ჰარი წამოდგა, რევოლვერი ჯიბეში ჩაიდო და თვალები დახუჭა. გულში შეიგინა, ნერწყვი გადაყლაპა და საკუთარ თავს უბრძანა, რევოლვერის სახელურისთვის ხელი გაეშვა. როდესაც თვალები გაახილა, დაინახა, რომ სალმას ცრემლებით ავსებოდა თაფლისფერი თვალები.

— მაპატიეთ, — ჩაილაპარაკა ჰარიმ, — მოდი, ახალი თოვლის კაცი გავაკეთოთ.

— სახლში მინდა, — ჩაიჩურჩულა ატირებულმა სალმამ.

მუჰამადმა დას ხელი ჩასჭიდა და სახლში წაიყვანა. ძალიან შორიდან მოუარეს ჰარის.

ჰარიმ იგრძნო, რომ რევოლვერის სახელური ხელზე ეხებოდა. ტკაცუნი მოესმა. თავიდან ეგონა, ჩახმახის შემართვის ხმა იყო, მაგრამ ცდებოდა, რა თქმა უნდა, გასროლის ეს ფაზა ხომ სრულიად უხმაუროა. ადამიანს უკვე შეყენებული ჩახმახის წინ გაწევის ხმა ესმის. იმ სროლის ხმა, რომელიც არ განხორციელებულა. ცოცხლადმყოფობის ხმა. კიდევ ერთხელ ამოიღო თავისი ტაბელური რევოლვერი. ლულა მიწას მიუშვირა და სასხლეტს დააჭირა თითი. ჩახმახი მაინც არ ამოძრავდა. როდესაც მესამედ შეეცადა გასროლას და დარწმუნდა, რომ ნებისმიერ წამს შეიძლებოდა, რევოლვერს სროლა დაე-

წყო, ჩახმახი თანდათანობით უკან გადმოიწია. სასხლეტს თითი აუშვა. სასხლეტი უკან გადმოიწია და ლითონის ტკაცუნი გაისმა. ჰარიმ კიდევ ერთხელ გაიგონა ნაცნობი ხმა და მიხვდა, რომ ვიღაცამ ისე ძალიან გადასწია ჩახმახი, სასხლეტი ზევით აიწია. და იმ ვიღაცას ნამდვილად სურდა, ესროლა.

ჰარიმ მესამე სართულს ახედა. მისი ოთახის ფანჯრებიდან სინათლე არ მოჩანდა, მაგრამ უცებ გონებაში საზარელმა აზრმა გაუელვა, — მას ხომ წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რა ხდებოდა მის სახლში მაშინ, როდესაც შინ არ იყო.

***

ერიკ ლოსიუსი თავის კაბინეტში იჯდა, უაზროდ გასცქეროდა ფანჯარას და ფიქრობდა. საერთოდ არ სცოდნია, რა იმალებოდა ბირტეს ყავისფერი თვალების მიღმა. ის, რომ მას სხვა მამაკაცებთანაც ჰქონდა კავშირი, იმაზე მეტად თრგუნავდა, ვიდრე ცნობა მისი გაუჩინარებისა და შესაძლო სიკვდილის შესახებ. კამილას ასე დაკარგვას ერჩივნა, მისი ცოლი მანიაკს მოეკლა. ერიკ ლოსიუსს მიაჩნდა, რომ ადრეც უყვარდა კამილა, და ახლაც იმავეს გრძნობდა მის მიმართ. მის მშობლებს დაურეკა, მაგრამ არც მათ იცოდნენ, სად იყო მათი ქალიშვილი. ალბათ, დასავლეთ ოსლოში რომელიმე დაქალთან დარჩა. კამილას მეგობრებს მხოლოდ „დაუსწრებლად” იცნობდა.

ერიკი გრორუდდალენის თავზე ჩამოწოლილ ბინდს გასცქეროდა. სიბნელე თანდათანობით შლიდა კონტურებს. საქ-

მეებს მორჩა, მაგრამ თავის უზარმაზარ — და ახლა კიდევ უფრო დაცარიელებულ — სახლში დაბრუნება არ უნდოდა. ჯერ არა. მის უკან, კარადაში, სხვადასხვა ტიპის სასმელების ბოთლები იდგა, ეს იყო ეგრეთ წოდებული დანალექი — ალკოჰოლის ფონდი, რომელიც სახლის ბარების გადატანის შემდეგ ახალი ეგზემპლარებით ივსებოდა. მაგრამ სასმლის მიქსერები არ ჰქონდა. ჯინი გადმოიღო, ყავის ფინჯანში დაისხა, ოდნავ მოსვა და ამ დროს მაგიდაზე მდგარმა ტელეფონმა დარეკა. საფრანგეთის საერთაშორისო კოდი იცნო. ეს ნომერი მომჩივანი კლიენტების სიაში არ ჰქონდა შეყვანილი და ამიტომ უპასუხა.

მაშინვე მიხვდა, რომ მისი ცოლი ურეკავდა. სუნთქვით იცნო.

— სად ხარ? — იკითხა ერიკმა.

— შენი აზრით?

ქალის ხმა ძალიან შორიდან მოისმოდა.

— საიდან რეკავ?

— „კასპერიდან".

„კასპერი" კაფე იყო, კანში მათი აგარაკიდან სამ კილომეტრში.

— პოლიცია გეძებს, კამილა.

— მართლა?

ისეთი ხმა ჰქონდა, თითქოს მზისგულზე იწვა და ირუჯებოდა. მოწყენილი, ხელოვნური ინტერესის გამომხატველი ხმა ჰქონდა. თავაზიანად, მაგრამ გულგრილად ლაპარაკობდა. სწორედ ამ მანერების გამო შეუყვარდა წლების წინ, როდესაც ბლომენჰოლმის ერთ-ერთი სახლის აივანზე დაინახა.

— მე... — წამოიწყო ერიკმა, მაგრამ შეჩერდა. ან კი რა უნდა ეთქვა!

— ვიფიქრე, რომ სწორი იქნებოდა შენთვის მანამდე დამერეკა, სანამ ჩვენი ადვოკატი დაგიკავშირდებოდა.

— ჩვენი ადვოკატი?

— ჩემი ოჯახის ადვოკატი, — თქვა ქალმა, — ერთ-ერთი საუკეთესოა ამ ტიპის საქმეებში. ყველაფრის შუაზე გაყოფას მოვითხოვთ და მიგვაჩნია, რომ სახლი ჩემს მფლობელობაში უნდა გადმოვიდეს. და, რა თქმა უნდა, ამ სახლს მივიღებთ. თუმცა არ დაგიმალავ და გეტყვი, რომ მის გაყიდვას ვაპირებ.

„რა თქმა უნდა", — გაიფიქრა კაცმა.

— ხუთ დღეში ჩამოვალ. იმედია, მანამდე მოახერხებ სხვაგან გადასვლას.

— ძალიან მოკლე დროა, — თქვა ერიკმა.

— დარწმუნებული ვარ, თავს გაართმევ. ამბობენ, რომ Rydd & Flytt-ზე სწრაფად და იაფად არავინ მუშაობს.

კამილამ ისეთი ზიზღით წარმოთქვა ეს სიტყვები, რომ ერიკი მოიკუნტა. ზუსტად ისე, როგორც ინსპექტორ ჰოლესთან საუბრის დროს. ერთგვარ საბნად იგრძნო თავი, რომელიც მეტისმეტად ცხელ წყალში გარეცხვის შემდეგ დაპატარავდა და კამილასთვის უსარგებლო გახდა. და ამ მომენტში დანამდვილებით იცოდა, რომ კამილა უყვარდა. თანაც ისე, როგორც არასდროს. და ისიც ზუსტად იცოდა, რომ სამუდამოდ დაკარგა და ვეღარასდროს შეურიგდებოდა. როდესაც დაასრულეს საუბარი, ერიკმა ცხადად წარმოიდგინა კამილა, რომელიც საფრანგეთის რივიერაზე იწვა და ოც ევროდ ნაყიდი სათვალით გასცქეროდა მზის ჩასვლას. სათვალით, რომელიც ისე გამოიყურებოდა, როგორც სამასკრონიანი „Gucci" ან „Dolce & Gabbana", ან... ერიკს სხვა ბრენდების სახელები დაავიწყდა.

***

ჰარიმ ქალაქის დასავლეთ კიდეზე მდებარე ჰოლმენკოლენის მთის ფერდობზე აუხვია. მანქანა სპორტკომპლექსის ტერიტორიაზე გააჩერდა — დიდ, უდაბურ ავტოსადგომზე — და მწვერვალამდე დარჩენილ გზას ფეხით აუყვა. ერთხანს ტრამპლინის გვერდით, კონცხზე იდგა და შეუსაბამო დროს ამოსულ რამდენიმე ტურისტთან ერთად სათხილამურო ფერდობის ორივე მხარეს განთავსებულ ცარიელ ტრიბუნებსა და მათ შორის მოქცეულ წყალსატევს გასცქეროდა. ამ წყალსატევს ზამთარში აშრობდნენ. ამ ადგილიდან ფიორდი და მის მიმდებარედ გაშენებული ქალაქიც მოჩანდა. ამ ხედმა ფიქრები აუშალა. პოლიციას რაიმე კონკრეტული სამხილი არ ჰქონდა. „თოვლის კაცი" იმდენად ახლოს იყო, რომ უკვე ეგონათ, რომ უბრალოდ უნდა დასწეოდნენ და დაეჭირათ, მაგრამ დამნაშავე პროფესიონალ მოკრივესავით დაუსხლტა ხელიდან მართლმსაჯულებას. ჰარიმ ბებერ, მძიმე და ტლანქ ადამიანად იგრძნო თავი. ერთი ტურისტი დააცქერდა. მისი ტაბელური რევოლვერი პალტოს მარცხენა ჯიბეს ქვევით ქაჩავდა. და გვამები. სად არის გვამები? ოდესმე მიწაში დაფლულ გვამებსაც პოულობენ ხოლმე.

ჰარიმ იგრძნო, რომ ბედს ეგუებოდა. მაგრამ არა! ფედერალური საგამოძიებო ბიუროს კურსებზე ისეთ საქმეებს სწავლობდნენ, რომლებშიც გვამებს მხოლოდ ათი წლის შემდეგ პოულობდნენ. და როგორც წესი, საქმეებს პატარა, თითქმის შეუმჩნეველი დეტალის წყალობით ხსნიდნენ ხოლმე, რეალურად კი მხოლოდ იმის წყალობით ხსნიდნენ, რომ ამ საქმეზე მომუშავე ადამიანები არ ნებდებოდნენ, თხუთმეტივე რაუნდის განმავლობაში რინგზე იდგნენ და ბოლომდე იბრძოდნენ. და

თუკი მეტოქე მაინც ფეხზე რჩებოდა, მატჩ-რევანშს ნიშნავ-დნენ.

ქალაქის მხრიდან საღამოს ბინდი წვებოდა. თანდათანობით წყდებოდა ხმაური.

იქიდან უნდა დაიწყო ძებნა, სადაც არ ბნელა. ბანალური, მაგრამ მნიშვნელოვანი წესია. იქიდან დაიწყე, სადაც ნაკვალევი გაქვს. ამ შემთხვევაში ეს ნიშნავდა ყველაზე ნაკლებად შესაფერისი ადამიანისა და ყველაზე გიჟური ვერსიის არჩევას მათ შორის, რომელიც კი ჰქონია ოდესმე.

ჰარიმ ამოიოხრა, მობილური ტელეფონი ამოიღო, უკან გადაწვა და მიღებული ზარების სია შეამოწმა. ჩამონათვალი არც ისე ვრცელი აღმოჩნდა და ამიტომ ძალიან მალე იპოვა საჭირო ნომერი. სწორედ ამ ნომრიდან შემოსულ ზარს უპასუხა იმ დღეს, როდესაც სასტუმრო „ლეონის" ერთ-ერთ ნომერში იჯდა. საკმაოდ ხანმოკლე საუბარი გამოუვიდა მაშინ. ჰარიმ "OK"-ს დააჭირა თითი.

მკვლევარმა უდა პაულსენმა, რომელიც გადაცემა bosse-სთვის სტუმრებს ეძებდა და დაუყოვნებლივ უპასუხა მხიარული, ენთუზიაზმით სავსე ხმით. ასეთი ინტონაცია იმ ადამიანებს აქვთ, რომლებიც თითოეულ ზარს რაიმე ახლისა და ამაღელვებლის მიღების შანსად მიიჩნევენ. და ამ შემთხვევაში ის ნამდვილად არ ცდებოდა.

თავი XXI

მეთვრამეტე დღე. სასტუმრო ოთახი

ამ ოთახში ადამიანები ყოველთვის ნერვიულობდნენ. შესაძლოა, სწორედ ამ მიზეზით დაარქვა ამ ადგილს ზოგიერთმა სტუმარმა „მოსაცდელი ოთახი". არადა, ასეთი სახელი სტომატოლოგიური კლინიკის მისაღებს უფრო შეესაბამებოდა. ზოგჯერ ამ ოთახს, უბრალოდ, „შემოსასვლელს" უწოდებდნენ — თითქოს **„სტუდია 1"**-ის ამ ორ დივანს შორის არსებული კარის გავლით ადამიანი რაღაც მნიშვნელოვანი, საკრალური სამყაროს ნაწილი ხდებოდა. მაგრამ NRK-ს ოთახების განლაგების სქემაზე, რომელიც მარიენლიუსტის კვარტალში მდებარე შენობის ერთგვარ გეგმას წარმოადგენდა, ეს ადგილი მარტივი და მოსაწყენი სახელით იყო აღნიშნული. მოკლედ, ოფიციალურად ამ ადგილს **„სტუდია 1**-ის მოსასვენებელი ოთახი" ერქვა, მაგრამ უდა პაულსენისთვის ამ ოთახზე ამაღელვებელი ადგილი არ არსებობდა.

Bosse-ს საღამოს გამოშვებაში მონაწილე სტუმრების უმრავლესობა უკვე მოსულიყო. ნაკლებად ცნობილი ადამიანები, ჩვეულებისამებრ, სხვებზე ადრე მოდიოდნენ. გადაცემის ქრონომეტრაჟში მათ ყველაზე ნაკლები დრო ეთმობოდათ. უკვე მოესწროთ საგრიმიოროში შესვლა და ახლა, დაძაბულობისგან სახეალანძულნი, ერთ-ერთ დივანზე ისხდნენ, ჭორაობდნენ, ჩაისა და წითელ ღვინოს წრუპავდნენ და მექანიკურად ეძებდნენ მონიტორს, რომელზეც მთლიანად ჩანდა კარის მიღმა მდებარე სტუდია. საკუთრივ გადასაღებ მოედანზე კი უკვე შეკრებილიყო მაყურებელი, რომლებსაც რეჟისორი უხსნიდა, როდის და როგორ დაეკრათ ტაში, როდის გაეცინათ

და როდის გაემხნევებინათ მოქმედი პირები. ეკრანზე გადაცემის წამყვანისა და ოთხი სტუმრისთვის განკუთვნილი სკამები იდგა, რომლებიც ადამიანებს, შინაარსსა და გართობას ელოდნენ.

უდას ძალიან სიამოვნებდა ეს დაძაბული და ნერვიული ატმოსფერო, რომელიც ეთერში გასვლას უძღოდა წინ. ყოველ პარასკევს ნორვეგია ორმოცი წუთით ექცეოდა ხოლმე სამყაროს ცენტრში. გადაცემას მოსახლეობის 20-25 პროცენტი უყურებდა, რაც ტოქშოუსთვის მეტისმეტად მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენდა. თითოეული ადამიანი, რომელიც სტუდიაში მუშაობდა, არა მხოლოდ იქ იმყოფებოდა, არამედ თავად წარმოადგენდა იმას, რაც გადასაღებ მოედანზე ხდებოდა, ამ ყველაფრის ნაწილი იყო. ეს იყო ცნობილი ადამიანების მაგნიტური პოლუსი, ჩრდილოეთი პოლუსი, რომელიც ყველასა და ყველაფერს იზიდავდა. და გამომდინარე იქიდან, რომ პოპულარობა ერთგვარი ნარკოტიკია და ჩრდილოეთ პოლუსიდან მხოლოდ ერთი მიმართულებით, სამხრეთით — ანუ ქვემოთ შეიძლება მოძრაობა, ყველა ეპოტინებოდა თავის სამსახურს. უდას მსგავსი ფრილანსერები მუდმივი სამუშაოს მიღებას ისახავდნენ მიზნად. და ეს მომავალ სეზონში უნდა მომხდარიყო. აი, რატომ გაუხარდა ასე ძალიან, როდესაც რედაქციის თათბირის შემდეგ დაურეკეს. თვით ბოსე ეგენმა გაუღიმა და უთხრა, ეს დიდებული ექსკლუზივიაო. ექსკლუზივი, რომელიც უდამ მოიპოვა.

გადაცემის თემად რეჟისორებმა „სექსუალური თამაშები" აირჩიეს, რაც Bosse- სთვის სავსებით ჩვეულებრივ საკითხს წარმოადგენდა, იმიტომ, რომ ერთდროულად სერიოზულიც იყო და მსუბუქიც. Bosse-ში ისეთი თემები განიხილებოდა, რომლებზეც ყველა სტუმარს შეეძლო ნახევრად პროფესიული

კომენტარის გაკეთება. სტუმრებს შორის ფსიქოლოგიც ერია. ამ ქალს ამ საკითხზე დისერტაცია ჰქონდა დაცული, მაგრამ გადაცემის მთავარ ვარსკვლავად არვე სტიოპი იყო მოწვეული იმიტომ, რომ მომდევნო დღეს ჟურნალ „ლიბერალის" ოცდახუთი წლის იუბილესთან დაკავშირებით წვეულება იგეგმებოდა. წესით, არვე სტიოპისნაირი მექალთანისათვის უცხო უნდა ყოფილიყო სექსუალური თამაშები. ყველაფერი კი მაშინ გაირკვა, როდესაც გადაცემაში მონაწილეობის საკითხების გასარკვევად უდა სტიოპს შინ ესტუმრა. სტიოპმა კმაყოფილების გამომხატველი ღიმილი შეაგება უდას კომენტარს, რომ არვე ჟურნალ „პლეიბოის" დამაარსებელს, ასაკში შესულ ჰიუ ჰეფნერს ჰგავს, რომელიც დილაობით ყავას სვამს და სიგარას ეწევა, მის გარშემო კი დაუსრულებლად გრძელდება წვეულება. ქალი გამუდმებით გრძნობდა არვე სტიოპის დაინტერესებულ ხარბ მზერას. მაგრამ ბოლოს უდამ ჰკითხა, განიცდიდა თუ არა, რომ არ ჰყავდა შვილი, რომელიც მომავალში მემკვიდრეობით მიიღებდა მის იმპერიას.

— თქვენ გყავთ შვილები? — იკითხა არვემ.

და როდესაც ქალმა უპასუხა, რომ შვილი არ ჰყავდა, კაცმა მოულოდნელად დაკარგა მის მიმართ ინტერესი და აღარც ამ საუბრის გაგრძელების სურვილი გამოუხატავს, რამაც უდა ძალიან გააოცა. ამიტომ ქალი შეეცადა, მოკლედ ეთქვა სათქმელი და აცნობა ის დრო, როდესაც არვე სტუდიაში უნდა მოსულიყო და გრიმი გაეკეთებინა; სთხოვა, სტუდიაში ზოლიანი ტანსაცმლით არ გამოცხადებულიყო; აუხსნა, რომ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, არ იყო გამორიცხული, რომ თემები და სტუმრები შეეცვალათ და ა.შ.

და აი, არვე სტიოპი „სტუდია 1"-ის მოსასვენებელ ოთახში იმყოფებოდა. საგრიმიოროდან პირდაპირ აქ შემოვიდა თავი-

სი მუქი ლურჯი თვალებითა და ხშირი ჭაღარა თმით, რომელიც შეეკრიჭა, მაგრამ მაინც საკმარისად გრძელი ჩანდა იმისთვის, რომ დალალები მისთვის დამახასიათებელი მეამბოხური მანერით ექნია. სადა, ნაცრისფერი კოსტიუმი ეცვა. ყველამ იცოდა, რომ ეს ტანსაცმელი ძალიან ძვირი ღირდა, მაგრამ დანამდვილებით არავინ იცოდა, მართლა ასე იყო თუ არა. არვე სტიოპმა ხელი გაუწოდა ფსიქოლოგს, რომელიც დივანზე იჯდა და მიწის თხილსა და წითელ ღვინოს შეექცეოდა.

— ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ასეთი ლამაზი ფსიქოლოგებიც არსებობენ, — უთხრა ქალს, — იმედია, ადამიანები გისმენენ კიდეც, როდესაც მათ ესაუბრებით.

უდა ფსიქოლოგს უყურებდა, რომელიც ჯერ შეყოყმანდა, ბოლოს კი გაიღიმა. ქალმა მშვენივრად იცოდა, რომ სტიოპის კომპლიმენტი მხოლოდ და მხოლოდ ხუმრობა იყო, მაგრამ უდამ მაინც შეამჩნია, რომ ფსიქოლოგს ბედნიერების სხივი ჩაუდგა თვალებში.

— სალამი ყველას! გმადლობთ მობრძანებისთვის!

ოთახში ბოსე ეგენი შემოიჭრა. ჯერ ხელმარცხნივ მსხდომ სტუმრებს ჩამოართვა ხელი, ყველას თვალებში ჩახედა და განაცხადა, ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მობრძანდით და შეგიძლიათ ნებისმიერ დროს ჩაერთოთ საუბარში, სხვა სტუმრებს კითხვები დაუსვათ ან კომენტარები გააკეთოთო. ასეთი ჩართვები საუბარს გამოაცოცხლებდა.

გადაცემის პროდიუსერმა ბოსე და სტიოპი მეზობელ ოთახში მიიპატიჟა, რათა მთავარი ინტერვიუს დეტალები შეეთანხმებინათ. სწორედ ამ საუბრით უნდა დაწყებულიყო გადაცემა. უდამ საათს დახედა. ეთერში გასვლამდე რვა-ნახევარი წუთი რჩებოდა. უკვე ნერვიულობა დაიწყო და უცებ სურვილი გაუჩ-

ნდა,პირველი სართულის მისაღებში დაერეკა. იქნებ იქ იჯდა მისი აღმოჩენა, ის, ვინც ამ გადაცემის ნამდვილი გმირი გახდება. მისი ექსკლუზივი. სენსაცია. მაგრამ უცებ თავი ასწია. ის უკვე მის წინ იდგა. ერთი ასისტენტი ახლდა. უდას გულმა რეჩხი უყო. ნამდვილად ვერ იტყოდა, ლამაზი კაციაო. ალბათ, უფრო პირიქით, მაგრამ სირცხვილის გარეშე გამოუტყდა საკუთარ თავს, რომ ეს კაცი იზიდავდა. და ამ მიმზიდველობის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ დღეს სკანდინავიის ყველა ტელეარხი მასზე ნადირობდა. იმიტომ, რომ სწორედ მან დაიჭირა თოვლის კაცი და ნათელი მოჰფინა ყველაზე მასშტაბურ შემთხვევას იმ დანაშაულებს შორის, რომლებიც ბოლო დროს მოხდა ნორვეგიაში.

— წინასწარ გაგაფრთხილეთ, რომ დამაგვიანდებოდა, — თქვა მან, სანამ უდა ხმის ამოღებას მოასწრებდა.

ქალი შეეცადა, გამოეცნო, რისი სუნი ჰქონდა ამ კაცის სუნთქვას. იმიტომ, რომ წინა ჯერზე ის გვარიანად ნასვამი მოვიდა და მთელი ერი გააღიზიანა. ყოველ შემთხვევაში, ერის 20-25 პროცენტი მაინც.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, — აჟღურტულდა უდა, — თქვენ რიგით მეორე სტუმარი იქნებით და შემდეგ მთელ შოუს დაესწრებით. თქვენ შემდეგ სხვა სტუმრები ჩაერთვებიან დისკუსიაში.

— კეთილი, — თქვა ჰარიმ.

— საგრიმიოროში წაიყვანე, — უთხრა უდამ ასისტენტს, — გურის დაუსვი. გური არა უბრალოდ კარგი სპეციალისტი, არამედ ჯადოქარი იყო, რომელსაც რამდენიმე მარტივი და რამდენიმე არც ისე მარტივი საიდუმლოების წყალობით შეეძლო დაღლილ-დაქანცული ადამიანისთვის პრეზენტაბელური, მაყურებლისთვის მისაღები იერი მიეცა.

ჰარი და ასისტენტი გავიდნენ და უდამ შვებით ამოისუნთქა. უყვარდა, ძალიან უყვარდა ბოლო წუთების თანმდევი ფუსფუსი, როდესაც ყველაფერი ქაოსურად მოჩანს, მაგრამ სინამდვილეში საკუთარ ადგილზე დგება.

ბოსე და სტიოპი მეზობელი ოთახიდან დაბრუნდნენ. უდამ ბოსეს ცერა თითი აჩვენა. როდესაც სტუდიის კარი დაიკეტა, ქალმა მაყურებლის ტაშის ხმა გაიგონა. მონიტორზე ბოსე დაინახა, რომელიც თავის ადგილზე ჯდებოდა და მიხვდა, რომ რეჟისორმა უკუთვლა დაიწყო. ამის შემდეგ გადაცემის ქუდი გაუშვეს და ეთერში გავიდნენ.

უდამ შენიშნა, რომ რაღაც არასწორად ხდებოდა.

ყველაფერი კარგად მიდიოდა. არვე სტიოპი შეუდარებელი იყო და ბოსე კი ცეცხლზე ნავთს ასხამდა. არვე სტიოპმა თქვა, რომ მისი ჟურნალი ელიტისთვის იყო განკუთვნილი და ამიტომაც აღიქვამდა საზოგადოება ელიტურ პროდუქტად. მან აღნიშნა, რომ იგი არავის დაამახსოვრდება, თუკი ერთი-ორჯერ მარცხს არ იგემებს.

— კარგი ისტორიების საფუძველი არა წარმატებები, არამედ სანახაობრივი დამარცხებებია, — თქვა სტიოპმა, — მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ პოლუსის პირველად დალაშქვრის შეჯიბრებაში რუალდ ამუნდსენმა გაიმარჯვა, ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მაინც რობერტ სკოტი ახსოვს ყველას. ნაპოლეონის გამარჯვებების მიუხედავად, ყველაზე შთამბეჭდავი ეპიზოდი მაინც ვატერლოოს ბრძოლაში დამარცხება გამოდგა. სერბეთის ეროვნული სიამაყე 1389 წელს თურქების წინააღმდეგ კოსოვოს ველზე გამართულ ბრძოლაზეა დაფუძნებული. ბრძოლაზე, რომელშიც სერბები სასტიკად დამარცხდნენ. დასასრულ, შეხედეთ იესოს! სიკვდილზე გამარჯვებული კაცის სიმბოლო აკლდამის გარეთ მდგარი კაცი

უნდა იყოს, რომელსაც ხელები ზეცისკენ აქვს აპყრობილი. ამის ნაცვლად ქრისტიანებმა აშკარა დამარცხება აირჩიეს — ის ეპიზოდი, როდესაც ქრისტე ჯვარზე იყო გაკრული და, ფაქტობრივად, ბედს ურიგდებოდა. და ეს იმიტომ, რომ ყველაზე მეტად სწორედ დამარცხების ისტორია გვაძლევს მუხტს მოძრაობისთვის.

— გინდათ, იესოს მიჰბაძოთ?

— არა, — თქვა სტიოპმა. მაყურებლებმა გაიცინეს, მას კი ამ დროს ქვევით ჰქონდა მიმართული მზერა და იღიმებოდა, — მე ლაჩარი ვარ. მინდა, წარმატებული და ყველასგან მივიწყებული ადამიანი ვიყო.

ჩვეული ქედმაღლობის ნაცვლად, სტიოპმა თავისი ხასიათის დადებითი მხარე გამოავლინა და, შეიძლება ითქვას, საზოგადოებას ერთგვარი მოკრძალებულობა დაანახვა. ბოსემ დასძინა, ბატონი არვე დიდი სტაჟის მქონე ბერბიჭააო და თავის სტუმარს ჰკითხა, აპირებდა თუ არა თავისი ცხოვრების ერთ ქალთან დაკავშირებას. და როდესაც სტიოპმა უპასუხა, ვაპირებო, უდა მიხვდა, რომ რამდენიმე საათში ამ კაცს ქორწინების შემოთავაზებები წალეკავდა. მაყურებელი მის პასუხს ხანგრძლივი გულთბილი ტაშით შეხვდა. ამის შემდეგ ბოსემ დრამატული კილოთი თქვა:

— კაცი, რომელიც ყოველთვის სანადიროდაა გამოსული, ოსლოს პოლიციის მარტოხელა მგელი, ინსპექტორი ჰარი ჰოლე.

ამ დროს კამერა წამით შეჩერდა სტიოპზე და უდას მოეჩვენა, რომ არვეს სახეზე გაოცება შენიშნა.

ბოსეს აშკარად მოეწონა პასუხი, რომელიც ჩვეულებრივი ქალის შეკითხვაზე მიიღო, და გადაწყვიტა, იმავე მიმართულებით ემოქმედა და, გამომდინარე იქიდან, რომ ინსპექტორ ჰო-

ლეს ოჯახური მდგომარეობა მისთვის ცნობილი იყო, მასაც იგივე შეკითხვა დაუსვა. ჰარიმ ცალყბად გაიღიმა და თავი გააქნია, მაგრამ ბოსე არ დანებდა და ჰკითხა, ვინმე განსაკუთრებულისთვის ხომ არ ინახავთ თავსო.

— არა, — უპასუხა ჰარიმ მოკლედ და კონკრეტულად.

როგორც წესი, ასეთი ტიპის პასუხების შემდეგ ბოსე აშკარა შეტევაზე გადმოდიოდა და კიდევ უფრო მწვავე კითხვებს სვამდა ხოლმე, მაგრამ ამჯერად იცოდა, რომ ამით მთელ დღესასწაულს გააფუჭებდა. „თოვლის კაცი". მან სთხოვა ჰარის, ორიოდე სიტყვა ეთქვა ამ საქმეზე და ქვეყნის პირველ სერიულ მკვლელზე, რომელზეც მთელი ნორვეგია ლაპარაკობდა. ჰარი შეირხა, თითქოს ის სკამი ეპატარავებოდა, რომელზეც იჯდა. მოკლედ, ლაკონიურად ახსენა ყველა ის მოვლენა, რომელიც ამ საქმესთან იყო დაკავშირებული. თქვა, რომ პოლიციამ ბოლო წლებში გაუჩინარებული რამდენიმე ქალის საქმე გააერთიანა. ჰარიმ ისიც აღნიშნა, რომ ამ შემთხვევებს შორის აშკარა მსგავსება არსებობდა — ყველა ქალი გათხოვილი და შვილიანი იყო; და რომ კიდევ ერთი მსგავსებაც არსებობდა — პოლიციელებმა გვამები ვერ იპოვეს.

ბოსემ უკიდურესად სერიოზული გამომეტყველება მიიღო, რაც ერთგვარი გზავნილი იყო ყველასთვის. ამ გზით გადაცემის წამყვანმა საზოგადოებას არასახუმარო ზონაში გადასვლა აცნობა.

— წელს მსგავს პირობებში გაუჩინარდა ბირტე ბეკერი. საკუთარი სახლიდან, რომელიც ჰოფში, ანუ აქვე, ოსლოში მდებარეობს, — თქვა ჰარიმ, — და ამის შემდეგ მცირე ხანში, ოსლოს სიახლოვეს, სოლიჰიოგდაში იპოვეს სილვია ოტერსენი, რომელიც უკვე მკვდარი იყო. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ცხედარი ვიპოვეთ. უფრო სწორად, სხეულის ნაწილი.

— როგორც ვიცი, მხოლოდ თავი იპოვეთ. ასე არ არის? — შეაწყვეტინა ბოსემ. მისი რეპლიკა ინფორმაციული იყო მათთვის, ვინც არაფერი იცოდა ამის შესახებ,მაგრამ სისხლითა და ტაბლოიდური სიბინძურით იყო გაჯერებული მათთვის,

ვინც იცოდა, რაც მოხდა. იმდენად პროფესიონალი იყო, რომ უდა სიამოვნებისგან გაიზმორა.

— და ამის შემდეგ ბერგენის გარეუბანში მივაკვლიეთ პოლიციელის გვამს, რომელიც თორმეტი წლის წინ გაუჩინარდა, — განაგრძო ჰარიმ.

— როგორც ვხვდები „რკინის რაფტო” იგულისხმეთ.

— გერტ რაფტო, — შეუსწორა ჰარიმ, — რამდენიმე დღის წინ ბიუგდიოიში იდარ ვეტლესენის ცხედარი ვიპოვეთ. ამჟამად მხოლოდ ეს გვამები გვაქვს.

— თქვენი აზრით, რა იყო ყველაზე ცუდი ამ საქმეში? — იკითხა ბოსემ.

მის ხმაში მოუთმენლობა იგრძნობოდა, იმიტომ, რომ ჰარი არც ისე ხატოვნად აღწერდა მოჭრილ თავსა და მკვლელობის სურათებს, როგორც ბოსეს სურდა.

— რა თქმა უნდა, ის, რომ ამ დანაშაულებს შორის კავშირის დასადგენად დიდი დრო დაგვჭირდა.

მორიგი მოსაწყენი პასუხი. რეჟისორმა ბოსეს ანიშნა, რომ მომდევნო თემაზე დაეწყო ფიქრი.

ბოსემ თითების ზედა ფალანგები ერთმანეთს მიადო.

— ახლა კი საქმე გახსნილია და თქვენ ისევ ვარსკვლავად იქეცით. როგორი გრძნობაა? თაყვანისმცემლები თუ გწერენ წერილებს? — იკითხა მან და ბავშვურად გაიღიმა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ისევ „ხუმრობის ზონაში” დაბრუნდნენ.

პოლიციელმა ნელა დაუქნია თავი და ტუჩები გაილოკა. თითქოს მაქსიმალურად ზუსტ ფორმულირებას ეძებდა.

— შემოდგომაზე ერთი წერილი მივიღე, მაგრამ უფრო დაწვრილებით მასზე საუბარს, ალბათ, არვე სტიოპი შეძლებს.

ტელეკამერა მსხვილი პლანით იღებდა არვე სტიოპის გაოცებულ,დაინტერესებულ სახეს. ეთერში ხანგრძლივი, ორწამიანი სიჩუმე ჩამოვარდა. უდამ ქვედა ტუჩი მოიკვნიტა. რას გულისხმობდა ჰარი? ბოლოს მდგომარეობა ისევ ბოსემ გამოასწორა.

— რა თქმა უნდა, სტიოპი თაყვანისმცემლებისა და ფანებისგან უამრავ წერილს იღებს, მაგრამ თქვენ, ჰოლე? თქვენ არ გყავთ თავგადაკლული ფანები? არ ჰყავს პოლიციას ფანები?

მაყურებლებმა ფრთხილად გაიცინეს. ჰარიმ თავი გააქნია.

— არ მჯერა! — წამოიძახა ბოსემ, — ალბათ, ზოგჯერ რომელიმე კურსანტი გოგონა გაკითხავთ და ადამიანის ჩხრეკის დისციპლინაში დამატებითი მეცადინეობების ჩატარებას გთხოვთ.

მაყურებელი უკვე გულიანად ხარხარებდა. ბოსე სიამოვნებისგან გაიკრიჭა.

ჰარი ჰოლეს ოდნავადაც არ გაუღიმია. უბრალოდ დუმდა და გასასვლელს გახედა. ერთი პირობა უდას მოეჩვენა, რომ პოლიციელი წამოდგა და წავიდა. თუმცა ამის ნაცვლად ჰარი მის გვერდით მჯდარ სტიოპს მიუბრუნდა.

— როგორ მოიქცევით, სტიოპ, როდესაც ტრონჰეიმში გამართული ლექციის შემდეგ გამოგეცხადებათ ქალი, რომელიც გეტყვით, რომ მხოლოდ ერთი ძუძუ აქვს, მაგრამ სქესობრივი კავშირის დამყარება სურს თქვენთან? დამატებითი ლექციის ჩასატარებლად თქვენს ნომერში დაპატიჟებთ?

მაყურებელი გაისუსა. ბოსეც კი დაიბნა.ეს შეკითხვა მხოლოდ არვე სტიოპს მოეჩვენა სახალისოდ.

— არა, არა მგონია, ასე მოვიქცე. შესაძლოა, ცალი ძუძუს

მქონე ქალთან სექსი სასიამოვნოც კი იყოს, მაგრამ ასე იმიტომ არ მოვიქცეოდი, რომ ტრონჰეიმის სასტუმროში ძალიან ვიწრო საწოლები დგას.

მაყურებელმა გაიცინა, მაგრამ არც ისე გულწრფელად. უბრალოდ, პუბლიკამ შვება იგრძნო იმის გამო, რომ საუბარი ჩიხში არ შევიდა. ამის შემდეგ ფსიქოლოგს მისცეს სიტყვა.

საუბარი იმ ადამიანებს შეეხო, რომლებიც სექსუალურ თამაშებს თამაშობენ. უდამ შენიშნა, რომ ბოსე ცდილობდა, ნაკლებად ელაპარაკა ჰარი ჰოლესთან. სავარაუდოდ, წამყვანი ხვდებოდა, რომ ინსპექტორი ვერ იყო ფორმაში. ბოსე მთლიანად არვე სტიოპზე გადაერთო. რესპონდენტზე, რომელიც არასდროს კარგავდა ფორმას.

— თქვენ როგორ თამაშობთ, სტიოპ? — დაინტერესდა ბოსე და უმანკო სახე მიიღო, რაც შეკითხვის არც ისე უმანკო ქვეტექსტს უსვამდა ხაზს.

უდას გაუხარდა, რომ მისი შეკითხვა დასვეს.

მაგრამ ვიდრე სტიოპი რაიმეს თქმას მოასწრებდა, ჰარი ჰოლე გადაიხარა მისკენ და საკმაოდ ხმამაღლა და მკაფიოდ იკითხა:

— თოვლის კაცებს აკეთებთ?

და სწორედ ამ მომენტში მიხვდა უდა, რომ რაღაც არასწორად ხდებოდა. ჰოლე მბრძანებლურად, ბრაზიანად ლაპარაკობდა და აგრესიულად იქნევდა ხელებს

სტიოპმა გაოცებით წარბი ასწია, სახეზე კი დაძაბულობა დაეტყო. ბოსე გაჩუმდა. უდა ვერ ხვდებოდა, რა ხდებოდა, მაგრამ შენიშნა, რომ ოთხი წამის მანძილზე ხმა არავის ამოუღია. ოთხი წამი, რომელიც პირდაპირ ეთერში გასული გადაცემისთვის ძალიან დიდი დროა. მაგრამ შემდეგ მიხვდა, რასაც აკეთებდა ბოსე. ის ხვდებოდა, რომ მისი მოვალეობა იყო, კარგი

ატმოსფერო შეექმნა, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ მის უმთავრეს მისიას ადამიანების გართობა წარმოადგენდა. ყველაზე მეტად კი პუბლიკას ის ადამიანები ართობდნენ, რომლებიც ბრაზობდნენ, ყვიროდნენ, მათ ხელთ არსებულ ნივთებს ლეწავდნენ ან რაიმე სხვა სახით გამოხატავდნენ საკუთარ ემოციებს. ამიტომ მიუშვა სადავეები და სტიოპს გადახედა.

— რა თქმა უნდა, ზოგჯერ თოვლის კაცებსაც ვაკეთებ, — თქვა სტიოპმა ოთხი წამის შემდეგ, — ჩემი საცურაო აუზის გვერდით მდებარე ტერასაზე ვძერწავ ხოლმე. სამეფო ოჯახის წევრების გარეგნობას ვაძლევ. როდესაც გაზაფხული მოდის, მათი დნობისა და გაუჩინარების პროცესს ვაკვირდები ხოლმე.

მთელი გადაცემის მანძილზე ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც სტიოპის ნათქვამს არც სიცილი მოჰყოლია და არც ტაში. უდას აზრით, სტიოპს მანამდეც უნდა სცოდნოდა, რომ უკიდურესად ანტიროიალისტური განცხადებები პოპულარობით არ სარგებლობდა.

შეუპოვარმა ბოსემ სიჩუმე დაარღვია და საზოგადოებას წარუდგინა პოპვარსკვლავი, რომელსაც ჯერ იმაზე უნდა ესაუბრა, როგორ დავარდა ამას წინათ სცენაზე, შემდეგ კი გადაცემა უნდა დაესრულებინა სიმღერით, რომელიც მხოლოდ ორშაბათს უნდა გამოსულიყო სინგლის სახით.

— ეს რა უბედურება იყო? — იკითხა პროდიუსერმა, რომელიც უდას უკან იჯდა.

— ალბათ, ნასვამია, — თქვა უდამ.

— ღმერთო ჩემო! ის ხომ პოლიციელია!

და უცებ უდას გაახსენდა, რომ ჰარი მისი იყო, მის მიერ მოპოვებული ექსკლუზივი.

— კი მაგრამ... არ შეუძლია წესიერად მოიქცეს?!

პროდიუსერმა არაფერი უპასუხა.

პოპვარსკვლავმა ფსიქოლოგიურ პრობლემებზე ისაუბრა და თქვა, რომ ასეთი ტიპის დარღვევები მემკვიდრეობითია. უდამ საათზე დაიხედა. ორმოცი წამი. მეტისმეტად სერიოზული გადაცემა გამოსდიოდათ პარასკევის ეთერისთვის. ორმოცდასამი. ბოსემ მომღერალს ორმოცდამეექვსე წამზე შეაწყვეტინა სიტყვა.

— თქვენ რას იტყვით, არვე? — იკითხა ბოსემ, რომელიც თავისი გადაცემის ბოლოს თავის მთავარ სტუმარს სახელით მიმართავდა ხოლმე, — ოდესმე თუ გამოგიცდიათ სიგიჟე ან რაიმე სახის მემკვიდრეობითი დაავადება თუ გაქვთ? სტიოპმა გაიღიმა.

— არა, ბოსე, არასდროს. თუკი საყოველთაო თავისუფლებისკენ ლტოლვას სიგიჟედ არ ჩამითვლით. სინამდვილეში, ეს მიდრეკილებაც გენეტიკურია.

ბოსე გადაცემის შეჯამების ეტაპზე გადავიდა. ახლა დანარჩენი სტუმრებისთვისაც უნდა ჩამოერიგებინა თითო შეკითხვა და ბოლოს ახალ სიმღერას წარადგენდა. ფსიქოლოგმა რამდენიმე შემაჯამებელი ფრაზა თქვა და წამყვანი ჰოლეს მიუბრუნდა:

— ახლა, როდესაც „თოვლის კაცი” განეიტრალებულია, ალბათ, რამდენიმე დღით მაინც მოგეცემათ თამაშის საშუალება. ასე არ არის, ჰარი?

— არა, — თქვა ჰარიმ. იმდენად ქვევით იყო ჩაცურებული, რომ თავისი გრძელი ფეხებით თითქმის პოპვარსკვლავს ეხებოდა, — „თოვლის კაცი” არ დაგვიჭერია.

ბოსემ შუბლი შეიჭმუხნა, გაიღიმა და ჰარის სიტყვის გაგრძელების საშუალება მისცა. ხუმრობის დასრულებას ელოდებოდა. უდამ ლოცვა დაიწყო. ღმერთს სთხოვდა, რომ ჰარის ეს რეპლიკა ბევრად უკეთესი ყოფილიყო, ვიდრე ის,რომლითაც

თავისი გამოსვლა დაიწყო.

— მე არასდროს მითქვამს, იდარ ვეტლესენი „თოვლის კაცია”-მეთქი. პირიქით. ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ „თოვლის კაცი” ჯერ კიდევ ცოცხალი და თავისუფალია.

ბოსემ ჩაიხითხითა. ყოველთვის ასე იქცეოდა, როდესაც მისი სტუმრები უხეიროდ ხუმრობდნენ. ამ გზით ცდილობდა უხერხულობის გაფანტვას.

— იმედია, ჩემს ცოლს ძილს არ დაუფრთხობთ და მეტყვით, რომ გვეხუმრებით, — ღვარძლიანად თქვა ბოსემ.

— არა, — თქვა ჰარიმ, — არ ვხუმრობ.

უდამ საათს დახედა და მიხვდა, რომ რეჟისორი უკვე კამერის უკან იდგა, ნერვიულად ცმუკავდა და კისერზე თითის ჰორიზონტალურად გადატარებით ბოსეს ანიშნებდა, ეთერისთვის განკუთვნილი დრო დასრულდაო. ახლა სიმღერა უნდა დაეწყოთ, რათა მომღერალს ტიტრების დაწყებამდე ერთი სტროფის დასრულება მაინც მოესწრო. მაგრამ ბოსე საუკეთესო იყო საუკეთესოთა შორის. მან იცოდა, რომ ის, რაც ახლა ხდებოდა, მსოფლიოში არსებულ ყველა სინგლზე უფრო მნიშვნელოვანი იყო. ამიტომ სიმღერის დასაწყებად მომზადებული პოპვარსკვლავი არად ჩააგდო, წინ გადმოიწია, რათა ყველასთვის ეჩვენებინა, რასთან ჰქონდათ საქმე.

მაყურებლებმა ექსკლუზიური, სენსაციური განცხადება მოისმინეს. აქ, მის გადაცემაში. ფაქტობრივად გულწრფელად უთრთოდა ხმა, როდესაც იკითხა:

—ანუ იმის თქმა გინდათ, რომ პოლიცია გვატყუებდა? „თოვლის კაცი” ჯერ კიდევ თავისუფალია და, შესაძლოა, მკვლელობების სერია გაგრძელდეს?

— არა, — თქვა ჰარიმ, — ჩვენ არ გატყუებდით. უბრალოდ საქმეში ახალი დეტალები გამოჩნდა.

ბოსე სკამზე გადაწვა და დატრიალდა. და უდას მოეჩვენა, რომ ესმოდა, როგორ უყვიროდა რეჟისორი პირველი კამერის ოპერატორს. ეკრანზე მსხვილი პლანით გამოჩნდა ბოსეს სახე. წამყვანი მაყურებლებს მისჩერებოდა.

— ვფიქრობ, ამ ახალი დეტალების შესახებ ახალი ამბების საღამოს გამოშვებაში შევიტყობთ, მე კი ერთი კვირით გემშვიდობებით! გმადლობთ, რომ გვიყურებდით!

უდამ თვალები დახუჭა. სიმღერა მისამღერამდე იყო მისული.

— ღმერთო, — ჩაიჩურჩულა უდას ზურგს უკან პროდიუსერმა, — ღმერთო დიდებულო!

უდა გულში ყმუოდა. სიამოვნებისგან. „აქ, — გაიფიქრა მან, აქ, ჩრდილოეთ პოლუსზე. ჩვენ მხოლოდ იქ კი არა ვართ, სადაც ეს ყველაფერი ხდება, ჩვენ ის ვართ, რაც ხდება”.

თავი XXII

მეთვრამეტე დღე. დამთხვევა

გუნარ ჰაგენი „შრიოდერის” კართან იდგა და ოთახს ათვალიერებდა. Bosse-ს დამამთავრებელი ტიტრების გასვლის შემდეგ ოცდაათი წუთი და სამი სატელეფონო საუბარი იყო გასული. ჰარი ვერც სახლში იპოვა, ვერც „ხელოვნების სახლში” და ვერც სამსახურში. ბოლოს ბიორნმა ურჩია, რომ ჰარი „შრიოდერში” ეძებნა. სწორედ აქ იყო ჰოლეს ნავსაყუდელი. „ხელოვნების სახლის”ახალგაზრდა, ლამაზ და თითქმის ცნობილ კლიენტებსა და „შრიოდერის” ოდნავ თავაშვებულ ლოთებს შორის ძალიან თვალში საცემი განსხვავება იყო. ჰარი უკან, კუთხეში, ფანჯრის წინ მდგარ მაგიდასთან იჯდა. მარტო. და დიდი ჭიქა ედგა წინ.

ჰაგენი მაგიდისკენ გაემართა.

— შენთან დარეკვას ვცდილობდი, ჰარი. გამორთული გაქვს ტელეფონი?

ინსპექტორმა უაზრო თვალებით ამოიხედა.

— ყველამ დარეკა... აღმოჩნდა, რომ ჟურნალისტები ჩემთან საუბარზე ოცნებობენ.

— NRK-ში მითხრეს, რომ Bosse-ს ეთერში გასვლის შემდეგ გადაცემის რედაქცია სტუმრებთან ერთად „ხელოვნების სახლში”იკრიბება ხოლმე.

— ჟურნალისტები მელოდებოდნენ და უბრალოდ ავითესე. რატომ მეძებდით?

ჰაგენი სკამზე დაეხეთქა და ჰარის შეხედა, რომელმაც კათხა ასწია და პირში მოყვითალო-მოყავისფრო სითხე ჩაისხა.

— სამმართველოს უფროსს ველაპარაკე, — თქვა ჰაგენმა, —

სერიოზული პრობლემა გვაქვს, ჰარი. „თოვლის კაცის” შესახებ სიმართლის თქმა მისი ბრძანების პირდაპირი დარღვევაა.

— ნამდვილად ასეა, — თქვა ჰარიმ და კიდევ ერთი ყლუპი მოსვა.

— „ასეა”? მხოლოდ ამის თქმა შეგიძლია? ღვთის გულისათვის, ჰარი, მითხარი, რატომ მოიქეცი ასე?

— საზოგადოებას უფლება აქვს, იცოდეს, — თქვა ჰარიმ, — ჩვენი დემოკრატია გამჭვირვალობაზეა დაფუძნებული, უფროსო.

ჰაგენმა მაგიდას მუშტი დაარტყა და ამით მეზობელ მაგიდებთან მსხდომი ადამიანების ყურადღება მიიპყრო. მიმტანმა გოგონამ, რომელსაც ხელში ნახევარლიტრიანი კათხები ეჭირა, ხმაურიან მამაკაცებს საყვედურით სავსე მზერა ესროლა.

— ნუ ცდილობ ჩემს გაბრაზებას, ჰარი. ჩვენ საჯაროდ განვაცხადეთ, რომ საქმე დახურულია, შენ კი შენი საქციელით ძალოვან სტრუქტურებს ჩრდილი მიაყენე. ხვდები ამას?

— ჩემი საქმე ბოროტმოქმედების დაჭერაა და არა რეპუტაციაზე ფიქრი, — თქვა ჰარიმ.

— ეს ერთი მედლის ორი მხარეა, ჰარი. ჩვენი პროფესიული საქმიანობა დამოკიდებულია საზოგადოების დამოკიდებულებაზე ჩვენ მიმართ. პრესას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჰარიმ თავი გააქნია.

— პრესა არც დამხმარებია ოდესმე და არც დაბრკოლება გამხდარა. ის მხოლოდ პატივმოყვარე ადამიანებისთვისაა მნიშვნელოვანი. ხალხს, ვისაც თქვენ პატაკებს აბარებთ, მხოლოდ რეალური შედეგები და ის აინტერესებს, როგორ გააშუქებს ამას პრესა — დადებითად თუ უარყოფითად. მე კი „თოვლის კაცის”დაჭერა მსურს. მორჩა.

— იცი, რომ სახიფათო ხარ შენი კოლეგებისთვის? — იკითხა ჰაგენმა.

ჰარი თითქოს იმაზე ფიქრობდა, რაც ჰაგენმა თქვა, შემდეგ კი ნელა დაუქნია თავი, კათხა გამოცალა და მიმტანს კიდევ ერთი შეუკვეთა.

— სამმართველოს უფროსსა და ნორვეგიის პოლიციის უფროსს ველაპარაკე, — თქვა ჰაგენმა. ცდილობდა, მხნეობა მოეკრიბა, — ნაბრძანები მაქვს, დაუყოვნებლივ ამოგდო ალიკაპი. ახლავე. გესმის, ჰარი?

— მშვენიერია, უფროსო.

გაოცებულმა ჰაგენმა თვალები დაახამხამა, მაგრამ ჰარი უემოციოდ იჯდა.

— ამიერიდან უფრო მჭიდროდ ვითანამშრომლებთ... და ყოველთვის ასე იქნება, — თქვა კომისარმა, — მინდა, რეგულარულად ჩამაბარო პატაკი. ვიცი, რომ ამას არ გააკეთებ და ამიტომ კატრინ ბრატს ველაპარაკე და ეს საქმე მას მივანდე. პრეტენზია ხომ არა გაქვს?

— არავითარი, უფროსო.

ჰაგენი ეჭვობდა, ჰარი იმაზე მეტად ნასვამია, ვიდრე ჩანსო.

— ბრატმა მითხრა, რომ იდარ ვეტლესენის ასისტენტთან მისვლა და არვე სტიოპის ანკეტის შემოწმება დაავალეთ. პროკურორის სანქციის გარეშე. გამაგებინე, რა ჯანდაბას აკეთებთ. იცი, რომ ძალიან დიდი პრობლემები შეგვექმნება, თუკი სტიოპი ამას გაიგებს?

ჰარიმ მოდარაჯე ძაღლივით ასწია თავი.

— რას ნიშნავს „თუკი”?

— საბედნიეროდ, იმ კლინიკაში არ ყოფილა სტიოპის ანკეტა. ვეტლესენის მდივანმა თქვა, რომ არვე მაგ კლინიკის პაციენტად არც ყოფილა რეგისტრირებული.

— მართლა? რატომ?

— არ ვიცი, ჰარი. ძალიან მიხარია, რომ ყველაფერი უპრობლემოდ დასრულდა. არვე სტიოპი! გასაგიჟებელი ამბავია! მოკლედ, დღეიდან ბრატი დაგაკვირდება, შენს ყველა ნაბიჯს დაიმახსოვრებს და პერიოდულად ჩამაბარებს ხოლმე პატაკს.

— ჰმ... — თქვა ჰარიმ და თავი დაუქნია მიმტანს, რომელმაც ლუდის კიდევ ერთი კათხა მიუტანა, — და რა, უკვე ასე გაცნობიერებულია ამ საკითხში?

— რას გულისხმობ?

— მუშაობას რომ იწყებდა, თქვენ თვითონ უთხარით, რომ მე ვიქნებოდი მისი... — ჰარის აზრი გაუწყდა.

— მისი ვინ? — იკითხა ჰაგენმა. ჰარიმ თავი გააქნია.

— რა გჭირს? კარგად ხარ?

— რა თქმა უნდა, — თქვა ჰარიმ, კათხა მოიყუდა და მთელი ლუდის ნახევარი ერთ დიდ ყლუპად დალია. შემდეგ მაგიდაზე ასკრონიანი დადო და ჰაგენს მიმართა:

— კარგ საღამოს გისურვებთ, ბოს.

ჰაგენი მაგიდასთან დარჩა. როდესაც ჰარი რესტორნიდან გავიდა, კომისარმა შეამჩნია, რომ ნახევრად ცარიელ ჭიქაში ნახშირორჟანგის ბუშტუკები არ მოძრაობდა. აქეთ-იქით მიმოიხედა და მინის კათხა მოიყუდა. სასმელს მწკლარტე გემო ჰქონდა. „უალკოჰოლო სიდრი".

ჰარი უხმაურო ქუჩებში ფეხით მიეშურებოდა შინისაკენ. ძველი, დაბალი კორპუსების ფანჯრები ისე ბდღვრიალებდა, როგორც კატის თვალები ღამით. ტრესკოსთან უნდა ესაუბრა. უნდა გაერკვია, როგორ მიდიოდა საქმეები, მაგრამ გადაწყვიტა, პირობა არ დაერღვია და ღამით არ შეეწუხებინა. კუთხეში სოფიესგატესკენ შემოუხვია. ქუჩაში არავინ იყო. თავისი კორპუსისკენ მიემართებოდა, როდესაც ვიღაცის მოძრაობა და

რაღაცის სუსტი ელვარება შენიშნა. ვიღაცის სათვალემ შუქი აირეკლა. გზის მეორე მხარეს, ტროტუართან გაჩერებული მანქანების რიგის უკან ვიღაც იდგა და აშკარად მანქანის კარის გაღებას ცდილობდა. ჰარი ყველა იმ მანქანას ცნობდა, რომლებიც, როგორც წესი, აქ ჩერდებოდა ხოლმე. და ეს მანქანა, ლურჯი „ვოლვო" C70 ნამდვილად არ იყო ერთ-ერთი მათგანი.

მეტისმეტად ბნელოდა იმისთვის, რომ ზუსტად გაერჩია სახე, მაგრამ ჰარიმ ამ ადამიანის თავის დაჭერის მანერა შეამჩნია და ეს საკმარისი აღმოჩნდა, მიმხვდარიყო, რომ ეს კაცი ნამდვილად მას უთვალთვალებდა. ვინ იყო? ჟურნალისტი? ჰარიმ მანქანას ჩაუარა. სხვა მანქანის გვერდითა სარკეში ჩაიხედა და დაინახა, რომ ლანდი მას მოსდევდა. ჰარიმ პალტოს ჯიბეში ჩაიყო ხელი და თან ზომიერი ნაბიჯით განაგრძო სვლა. მდევრის ნაბიჯების ხმა ესმოდა. უცნობი სულ უფრო უახლოვდებოდა და ჰარი გრძნობდა, რომ თანდათან ბრაზდებოდა. სამამდე დაითვალა და მკვეთრად შებრუნდა. მისი მდევარი ადგილზე გახევდა.

— მე მეძებ? — დაიღრიალა ჰარიმ და წინ წადგა ნაბიჯი. რევოლვერი ეჭირა. კაცს ხელი ჰკრა და ისე ძლიერად გადააგდო, რომ უნებლიეთ თავადაც მიჰყვა და ორივენი რომელიღაც მანქანის ძარაზე გაიშხლართნენ. ჰარიმ კაცს მკლავი მიადო კისერზე და რევოლვერის ლულა მისი სათვალის ერთ-ერთ მინას დაარტყა.

— ჩემი ნახვა გინდოდა? — წაისისინა ჰარიმ.

კაცის პასუხი მანქანის სირენამ ჩაახშო. მანქანის ხმამ მთელი ქუჩა გაავსო. კაცი შეეცადა, თავი გაეთავისუფლებინა, მაგრამ ჰარის მტკიცედ ჰყავდა შებოჭილი და ამიტომ დანებდა. კეფით დაეცა მანქანის ძარაზე და სახე ლამპიონის შუქმა გაუნა-

თა. და ჰარიმ ხელი გაუშვა. კაცი წელში მოიხარა და ხველება აუვარდა.

ქუჩაში საზარელი გნიასი იყო.

— მოდი აქ, — დაიყვირა ჰარიმ, კაცი იღლიის ქვეშ მოიქცია და თან წაათრია. ჰარიმ სადარბაზოს კარი გამოაღო და კაცი შიგნით შეაგდო.

— რა ჯანდაბას აკეთებ აქ? — იკითხა ჰარიმ, — როგორ გაიგე, სად ვცხოვრობ?

— იმ ნომერზე ვცდილობდი დარეკვას, რომელიც მომეცი. ამის შემდეგ ცნობათა ბიუროში დავრეკე და შენი მისამართი ვითხოვე.

ჰარი კაცს დააკვირდა. სინამდვილეში კაცის აჩრდილს უფრო ჰგავდა. წინასწარი დაკავების საკანშიც კი ბევრად ჯანსაღად, მხნედ და ყოჩაღად გამოიყურებოდა.

— ტელეფონი გავთიშე, — თქვა ჰარიმ.

იგი წინ მიუძღოდა ბეკერს. თავისი ბინის კართან მივიდა, გააღო, ფეხსაცმელი გაიხადა, სამზარეულოში შევიდა და ჩაიდანი ჩართო.

— Bosse-ში გნახე, — თქვა ბეკერმა. ისიც სამზარეულოში შესულიყო, მაგრამ არც პალტო გაუხდია და არც ფეხსაცმელი. ჩაშავებული, უსიცოცხლო სახე ჰქონდა, — სიმამაცე გამოიჩინე. და ვიფიქრე, მეც გამბედავი უნდა ვიყო-მეთქი. შენი მოვალე ვარ.

— ჩემი მოვალე?

— შენ მე დამიჯერე. მაშინ დამიჯერე, როდესაც არავის სჯეროდა. შენ მე საზოგადოებრივი გაკიცხვისგან მიხსენი.

— ჰმ, — თქვა ჰარიმ და პროფესორისთვის სკამი გამოსწია, მაგრამ ბეკერმა თავი გააქნია.

— ერთ წუთში წავალ, მაგრამ ისეთ რამეს გაგანდობ, რაც

მხოლოდ ჩვენ შორის უნდა დარჩეს. არ ვიცი, აქვს თუ არა საერთო შენს საქმესთან, მაგრამ იუნასს ეხება.

— ოჰო!

— იმ დღეს, როდესაც კამილა ლოსიუსს ვეწვიე, ჩემს შვილს სისხლი ავუღე.

ჰარის იუნასის მხარზე მიკრული სახვევი გაახსენდა.

— პირის ღრუს ნაცხიც ავუღე და დნმ-ის ანალიზისთვის სასამართლო მედიცინის ინსტიტუტის მამობის დამდგენ სექციაში გავგზავნე.

— ოჰო! განა შეიძლება მაგ ტესტის ჩატარება იურისტის ჩარევის გარეშე?

— ადრე არ შეიძლებოდა. ახლა ტესტის შეძენა ყველას შეუძლია. ერთი ადამიანის შემოწმება ორი ათას რვაასი კრონი ღირს. თუკი გინდა, სწრაფად მიიღო პასუხი, ოდნავ მეტი უნდა გადაიხადო. მე მეჩქარებოდა და პასუხი დღეს მოვიდა. იუნასი... — ბეკერი შეყოვნდა და ღრმად ჩაისუნთქა, — იუნასი ჩემი შვილი არ არის. ჰარიმ ნელა დაუქნია თავი.

ბეკერი დაბარბაცდა.

— ცენტრის თანამშრომლებს ვთხოვე, თანხვედრა გადაემოწმებინათ მონაცემთა ბანკში და იპოვეს თანხვედრა. იდეალური თანხვედრა.

— იდეალური? ანუ თავად იუნასი?

— ჰო.

ჰარი ჩაფიქრდა. თანდათან ყველაფერს ხვდებოდა.

— სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვიღაცას უკვე გაგზავნილი ჰქონდა იუნასის სინჯები დნმ-ის ანალიზისთვის, — თქვა ბეკერმა, — როგორც მითხრეს, წინა სინჯი შვიდი წლის წინ ყოფილა აღებული.

— და დაადასტურეს, რომ იუნასი იყო?

— არა, ანონიმური აღმოჩნდა, მაგრამ ტესტის დამკვეთის სახელი ჰქონდათ.

— ვინ იყო?

— სამედიცინო ცენტრი, რომელიც აღარ არსებობს, — თქვა ბეკერმა და ჰარი მაშინვე მიხვდა, რომელ დაწესებულებას დაასახელებდა პროფესორი, — „მარიენლიუსტის" კლინიკა.

— იდარ ვეტლესენი, — თქვა ჰარიმ და ისე ხრიდა თავს, თითქოს სურათს უყურებდა და ამოწმებდა, რამდენად სწორად იყო დაკიდებული.

— მართალია, — თქვა ბეკერმა, ტაში შემოჰკრა და სუსტად გაიღიმა, — სულ ეს იყო, რისი თქმაც მსურდა. მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, რომ... მე ვაჟი არა მყავს.

— ვწუხვარ.

— სხვათა შორის, უკვე დიდი ხანია, რაც ეს გრძნობა დამეუფლა.

— და ჩემთან რატომ გამოვარდი და მე რატომ მომიყევი ეს ამბავი?

— არ ვიცი, — თქვა ბეკერმა.

ჰარიმ მოიცადა.

— რაღაც უნდა ჩამედინა დღეს. რაღაც ასეთი. არ ვიცი, რას ვიზამდი, ასე რომ არ მოვქცეულიყავი, — პროფესორი ერთხანს ყოყმანობდა, შემდეგ კი განაგრძო:

— ჩემი ცხოვრება, ფაქტობრივად, აღარაფერს ნიშნავს. ნეტავ ის პისტოლეტი ნამდვილი ყოფილიყო.

— არა, — თქვა ჰარიმ, — გულშიც არ გაივლო. არ მოეფერო მაგ აზრს, თორემ დროთა განმავლობაში მიმზიდველად მოგეჩვენება. და თანაც ერთი რამ გავიწყდება: შესაძლოა, შენს ცხოვრებას შენთვის აღარ ჰქონდეს მნიშვნელობა, მაგრამ სხვებისთვის აქვს. მაგალითად, იუნასისთვის.

— იუნასს? — გესლიანი სიცილით ჩაილაპარა ბეკერმა, — გუ-„გულის ბარტყს" გულისხმობ? „არ მოეფერო მაგ აზრს" რას ნიშნავს? ეგ ფრაზა პოლიციის აკადემიაში გასწავლეს?

— არა, — თქვა ჰარიმ.

— რაც უნდა იყოს, — თქვა ბეკერმა, — ახლა უკვე შენც იცი სიმართლე.

— გმადლობ, — თქვა ჰარიმ.

ბეკერის წასვლის შემდეგ ჰარი არ წამომდგარა. ცდილობდა, განესაზღვრა, სწორად ეკიდა თუ არა სურათი. ვერ შეამჩნია, რომ წყალი ადუღდა, ჩაიდანი გამოირთო და ჩართვის ღილაკის ქვეშ მოკიაფე წითელი შუქი თანდათან ქრებოდა.

თავი XXIII

მეცხრამეტე დღე. მოზაიკა

დილის შვიდ საათზე, როდესაც განთიადის შუქს ნაცრისფერი ღრუბელი ეფარებოდა, ჰარი ფროგნერში, მრავალსართულიანი სახლის მეშვიდე სართულზე მდებარე ბინის დერეფანში შევიდა. ტრესკოს ღია დაეტოვებინა კარი და როდესაც ჰოლე საცხოვრებელ ოთახში გამოჩნდა, მასპინძელი დივანზე იჯდა. ხელში პულტი ეჭირა, ფეხები კი ჟურნალის მაგიდაზე დაეწყო. ეკრანზე ციფრების მოზაიკა იყო გამოსახული.

— დალევ? — იკითხა ტრესკომ და ლუდის ბოთლზე მიუთითა, — დღეს ხომ შაბათია.

ჰარის მოეჩვენა, რომ ჰაერში ტრესკოს ფეხების სიმყრალის გამომწვევი ბაქტერიებისგან შემდგარ გაზებს ხედავდა.

— არა, გმადლობ, — თქვა ჰარიმ და დაჯდა, — აბა, რა ხდება?

— მხოლოდ ერთი ღამე მქონდა დასაკვირვებლად, — თქვა ტრესკომ და DVD- პლეიერი გააჩერა, — როგორც წესი, ამ საქმეს რამდენიმე დღეს ვანდომებ ხოლმე.

— ეგ ადამიანი პოკერის პროფესიონალი მოთამაშე არ არის, — თქვა ჰარიმ.

— ასე დარწმუნებულიც ნუ იქნები, — უპასუხა ტრესკომ და ბოთლი მოიყუდა, — ბევრ მოთამაშეზე უკეთ იტყუება. აი, ის ადგილი, სადაც ისეთ კითხვას უსვამ, რომელზეც აშკარა ტყუილს იღებ პასუხად. ასე არ არის?

მან ღილაკს დააჭირა თითი და ჰარიმ საკუთარი გამოსახულება დაინახა. ტელესტუდიაში მას ზოლიანი, ვიწრო შვედური პიჯაკი, რაკელის ნაჩუქარი შავი მაისური, Diesel-ის ჯინსი და Dr Martens-ის შავი ფეხსაცმელი ეცვა. აშკარად უხერხულად

იჯდა, თითქოს იმ სკამს, რომელზეც იჯდა, ეკლიანი საზურგე ჰქონდა. ტელევიზორის დინამიკებიდან მისი ხმა გაისმა:

„თქვენს ნომერში დაპატიჟებთ"?

„არა, არა მგონია, ასე მოვიქცე", — დაიწყო სტიოპმა, მაგრამ პულტმა გააჩერა.

— დარწმუნებული ხარ, რომ ცრუობს?

— კი, — უპასუხა ჰარიმ, — რაკელის მეგობარმა თქვა, რომ სტიოპმა დაპატიჟა. ის ქალი კი ასეთ რამეს არ დაიბრალებდა. რას იტყვი?

— ამ ვიდეორგოლის კომპიუტერში დამუშავება რომ შემეძლოს, ამ გამოსახულებაზე თვალების ფრაგმენტს გავზრდიდი. თუმცა ასეც ჩანს, რომ თვალების გუგები გაუფართოვდა. ამჩნევ? — თქვა ტრესკომ და მოკვნეტილი ფრჩხილი ეკრანს მიადო, — სტრესის კლასიკური ნიშანია. ნესტოებსაც დააკვირდი? ადამიანებს ეს სტრესის დროს ემართებათ — როდესაც ტვინს ჟანგბადის დამატებითი დოზა სჭირდება. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იტყუება. იმიტომ, რომ ზოგიერთი ადამიანი მაშინაც განიცდის სტრესს, როდესაც სიმართლეს ამბობს. მაგრამ არსებობენ ისეთი ინდივიდებიც, რომლებიც მაშინაც კი არ ავლენენ სტრესის ნიშნებს, როდესაც იტყუებიან. შეხედე, ხელებს საერთოდ არ ამოძრავებს.

ჰარიმ შენიშნა, რომ ტრესკოს ხმა შეეცვალა — მისი საუბრის თანმდევი ჟღრიალი რბილმა, თითქმის სასიამოვნო ხმამ შეცვალა. ჰარიმ ეკრანს შეხედა. სტიოპს მუხლებზე დაელაგებინა ხელები. მისი მარცხენა მტევანი მარჯვენაზე ესვენა.

— სამწუხაროდ, უტყუარი ნიშნები არ არსებობს, — თქვა ტრესკომ, — უნდა ვიპოვოთ ის დეტალი, რაც ამ ადამიანს ეცვლება იმ შემთხვევებში, როდესაც იტყუება, და როდესაც სიმართლეს ამბობს. სამკუთხედის დახაზვას ჰგავს — აუცილებ-

ლად დაგჭირდება კიდევ ორი წერტილი.

— სიმართლე და ტყუილი. ერთი შეხედვით, ძალიან მარტივია, — წარმოთქვა ჰარიმ.

— ჰო, ზუსტადაც რომ ერთი შეხედვით. დავუშვათ, გადაცემის დასაწყისში სიმართლეს ამბობს, როდესაც თავის ჟურნალსა და იმ ზიზღზე ლაპარაკობს, რომელსაც პოლიტიკოსების მიმართ განიცდის, და აქ მეორე წერტილს ვიღებთ, — თქვა ტრესკომ და ჩანაწერი გადაახვია, — შეხედე.

ჰარიმ შეხედა, მაგრამ ვერაფერი დაინახა და თავი გააქნია.

— ხელებს დახედე, ხელებს!

ჰარიმ სტიოპის გარუჯულ გადაჯვარედინებულ ხელებს შეხედა.

— ჩვეულებრივ, უმოძრაო ხელებს ვხედავ.

— პოკერის ცუდი მოთამაშეები კლასიკურ შეცდომას უშვებენ — როდესაც სუსტი ხელი მოსდით, ყველაზე მაღალ კარტს ხელს აფარებენ, ხოლო როდესაც იტყუებიან, პირზე ხელს იფარებენ, რათა სახის გამომეტყველება დაფარონ. ასეთ მოთამაშეებს „მფარავებს" ვუწოდებთ. ზოგიერთი ბლეფის დროს სკამზე იჭიმება, მხრებს შლის და ცდილობს, იმაზე დიდად გამოჩნდეს, ვიდრე სინამდვილეშია. ასეთებს "ცრუპენტელებს" ვეძახით. სტიოპი „მფარავია". ჰარი წინ გადაიხარა.

— ნაღდად?

— კი, — თქვა ტრესკომ, — და ასე იქცევა მთელი გადაცემის მანძილზე. როდესაც იტყუება, მარჯვენა ხელს სკამის სახელურიდან იღებს და მალავს. როგორც ჩანს, არ არის ცაცია.

— და როგორ იქცევა იმ შემთხვევაში, როდესაც ვეკითხები, აკეთებს თუ არა თოვლის კაცებს? — თქვა ჰარიმ და შეეცადა, აღტაცება დაეფარა.

— იტყუება, — თქვა ტრესკომ.

— კონკრეტულად რა მომენტში? მაშინ, როდესაც თოვლის კაცის ძერწვაზე ლაპარაკობს, თუ იმ ეპიზოდში, როდესაც ამ-ბობს, ამას ჩემს ტერასაზე ვაკეთებ ხოლმეო?

ტრესკომ თითქოს ჩაახველა. ჰარი მიხვდა, რომ ეს სიცილს ნიშნავდა.

— ის, რითაც მე ვარ დაკავებული, ზუსტი მეცნიერება არ არის, — თქვა ტრესკომ, — როგორც გითხარი, საკმაოდ კარგი მოთამაშეა. იმ მომენტში, როდესაც კითხვა დამისვი, ხელები სკამზე ჰქონდა დალაგებული — ისე, თითქოს სიმართლეს ამ-ბობდა. იმავდროულად, ნესტოები ისე დაებერა, თითქოს სტრესს განიცდიდა. მაგრამ ამის შემდეგ აზრს იცვლის, მარ-ჯვენა ხელს მალავს და იტყუება.

— ზუსტად! — თქვა ჰარიმ, — და ეს იმას ნიშნავს, რომ რაღა-ცას მალავს. ასე არ არის?

ტრესკომ პირი მოკუმა იმის ნიშნად, რომ ჰარი საკმაოდ რთულ საკითხს შეეხო.

— შესაძლოა, ეს იმასაც ნიშნავდეს, რომ გადაწყვიტა, ისეთი ტყუილი ეთქვა, რომელსაც ადვილად გამოააშკარავებდნენ, რათა დაემალა ის, რომ შეეძლო, სიმართლე ეთქვა.

— რას გულისხმობ?

— როდესაც პროფესიონალი მოთამაშეები კარგ ხელს იღე-ბენ, ნაცვლად იმისა, უბრალოდ გაზარდონ ფსონები, ისე იქცე-ვიან, თითქოს ბლეფზე მიდიან. სწორედ იმიტომ, რომ გამოუც-დელმა მოთამაშეებმა იფიქრონ, რომ ბლეფი გამოააშკარავეს და კიდევ მეტად გაზარდონ ფსონი. დაახლოებით ასეთი სურა-თი იქმნება და შედეგად ორმაგ ბლეფს ვიღებთ. ჰარიმ ნელა დაუქნია თავი.

— ანუ უნდა დამაჯეროს, რომ რაღაცას მიმალავს?

ტრესკომ ჯერ ლუდის გამოცარიელებულ ბოთლს შეხედა,

მზერა მაცივარზე გადაიტანა და დივნიდან წამოდგომის არც ისე გულწრფელი მცდელობის შემდეგ ამოიოხრა და თქვა:

— ხომ გითხარი, ეს ზუსტი მეცნიერება არ არის. იქნებ...

ჰარი წამოდგა და გულში შეიგინა. როდესაც უდას ურეკავდა, იცოდა, რომ მის წინადადებას დასთანხმდებოდნენ. იცოდა, რომ საშუალება ექნებოდა, პირდაპირ დაესვა შეკითხვა არვე სტიოპისთვის. ასეთი ფორმატი ჰქონდა იმ გადაცემას.

იცოდა, რომ მოპასუხეს ახლო ხედით, ეგრეთ წოდებული ნახევრად მსხვილი პლანით გადაიღებდნენ, რაც სხეულის ზედა ნაწილის გადაღებას გულისხმობს. ეს ყველაფერი იდეალურ პირობებს უქმნიდა ტრესკოს იმისთვის, რომ ანალიზი ჩაეტარებინა, მაგრამ მაინც არ გაუმართლათ. არადა, ეს უკანასკნელ საშუალებას წარმოადგენდა, ბოლო იმედი იყო იმისა, რომ საქმეს ნათელი მოეფინებოდა. გარშემო სიბნელე გამეფებულიყო. შესაძლოა, კიდევ ათი წელი გასულიყო მანამ, სანამ იღბალს მინდობილნი, ხელის ცეცებით იპოვიდნენ რამეს.

ჰარიმ მაცივარი გამოაღო და დააცქერდა ლუდის ბოთლებს, რომლებიც მწყობრ რიგად იყო დალაგებული და ეს წესრიგი სრულიად არ ეხამებოდა იმ ქაოსს,

რომელიც ოთახში სუფევდა. ერთხანს შეყოვნდა და ორი ბოთლი აიღო. მაცივრის კარს ხელი მოაცილა, რათა დაკეტილიყო.

— ერთადერთი ეპიზოდი, რომელიც ეჭვს არ იწვევს, ის მონაკვეთია, სადაც სტიოპი ამბობს, რომ მის ოჯახში სიგიჟის ან სხვა სახის გენეტიკური დაავადებების ფაქტები არასდროს დაფიქსირებულა.

ჰარიმ ფეხი გასწია, რათა მაცივრის კარი არ დაკეტილიყო. სინათლე, რომელიც ღრიჭოდან გამოდიოდა, შავ, უფარდო ფანჯარაზე ირეკლებოდა.

— გაიმეორე.

და ტრესკომ გაიმეორა.

ოცდახუთ წამში ჰარი უკვე კიბის ქვედა საფეხურებზე იდგა, ტრესკოს კი ამასობაში იმ ბოთლის ნახევრის გამოცლა მოესწრო, რომელიც ჰარიმ მიაჩეჩა.

— ჰო... და კიდევ... — ჩაიბურდღუნა ტრესკომ, — როდესაც ბოსემ გკითხა, განსაკუთრებულ ქალს ხომ არ ელოდებიო, უპასუხე, რომ არ ელოდები. ეჰ, ჰარი... ნურასდროს ითამაშებ პოკერს.

ჰარი მანქანაში იჯდა, როდესაც დარეკა.

უნდოდა, თანამოსაუბრისთვის თავისი სახელი ეთქვა, მაგრამ ყურმილში მამაკაცის ხმა გაისმა:

— სალამი, ჰარი.

ჰარის გონებაში გაუელვა, რომ მათიას ლუნ-ჰელგესენმა მისი ტელეფონის ნომერი დაიმახსოვრა, ან სატელეფონო ცნობარში შეინახა და გააჟრჟოლა.

მათიასის ხმის ფონზე რაკელისა და ოლეგის ხმებიც ესმოდა. უქმეები. ოჯახი.

— „მარიენლიუსტზე" მინდა გკითხო. იმ კლინიკის პაციენტების ანკეტები კიდევ არსებობს?

— არა მგონია, — თქვა მათიასმა, — თუ სწორად მახსოვს, არსებობს წესები, რომლის მიხედვითაც დახურული კლინიკის დოკუმენტაცია უნდა განადგურდეს იმ შემთხვევაში, თუკი ამ პაციენტებს სხვა მკურნალი არ ჩაიბარებს. მაგრამ ზუსტი პასუხი თუ გინდა, შემიძლია, გადავამოწმო.

— გმადლობ.

ჰარიმ ვიდერენის ტრამვაის გაჩერებას ჩაუარა და ისევ წარსულის ლანდებმა მოაკითხეს. დევნა ავტომობილით, და-

ღუპული კოლეგა, გავრცელებული ჭორები იმის შესახებ, რომ საჭესთან თავად ჰარი იჯდა და მოსაზრება, რომ ჰოლე ალკოტესტით უნდა შეემოწმებინათ. ეგ ამბავი დიდი ხნის წინ მოხდა, მაგრამ გულზე მაინც მძიმე ტვირთად აწვებოდა.

მათიასმა თხუთმეტ წუთში დაურეკა.

— გრეგერსენს ველაპარაკე. თავის დროზე იგი კლინიკა „მარიენლიუსტს" ხელმძღვანელობდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ზოგიერთმა ექიმმა — მათ შორის იდარმაც — საკუთარი პაციენტების ანკეტები თან წაიღეს.

— შენ?

— მე უკვე ვიცოდი, რომ მომავალში კერძო პრაქტიკა მექნებოდა და ამიტომ არაფერი ამიღია.

— როგორ გგონია, იდარის ზოგიერთი პაციენტის სახელის გახსენებას შეძლებ?

— ზოგიერთს, ალბათ, გავიხსენებ, მაგრამ... არა ყველას. ეს ყველაფერი ხომ დიდი ხნის წინ იყო, ჰარი.

— ჰო, ვიცი. მაინც გმადლობ, — თქვა ჰარიმ და სამეფო ჰოსპიტლისკენ გაუხვია.

***

გერდა ნელვიკი ორმოცდახუთიოდე წლის თავაზიანი, დიდმკერდიანი ქალი იყო, რომელიც იმ დღეს სამეფო საავადმყოფოსთან არსებული სასამართლო მედიცინის ინსტიტუტის მამობის დადგენის განყოფილებაში მარტო მუშაობდა. ჰარის მისაღებში შეეგება და კაბინეტში შეუძღვა. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ სწორედ ეს იყო ის ადგილი, სადაც ყველაზე საშიშ დამნაშავეებს ეძებდნენ.

შინაურულად გაწყობილი ნათელი ოთახები, სადაც აშკარად იგრძნობოდა, რომ აქ მომუშავე სპეციალისტების უმრავლესობა ქალი იყო.

ჰარი აქ ადრეც ყოფილა და დნმ-ის ანალიზის პროცედურას იცნობდა. სამუშაო დღეებში აქ თეთრ ხალათებში, ქუდებსა და ხელთათმანებში გამოწყობილი ქალები მოწყობილობებსა და ხსნარებს ჩაჰკირკიტებდნენ და ისეთი ჯადოსნური დეტალებით იყვნენ დაკავებულნი, როგორიცაა თმისა თუ სისხლის სინჯი და ამპლიფიკაცია[29]. ეს ყველაფერი საბოლოო ჯამში ერთიანდებოდა დოკუმენტში, ერთგვარ ცხრილში, სადაც თხუთმეტი სხვადასხვა მაჩვენებელი იყო წარმოდგენილი.

იმ ოთახს ჩაუარეს, რომელიც ყავისფერი კონვერტებით იყო სავსე. კონვერტები, რომლებიც თაროებზე დაეწყოთ, ნორვეგიის პოლიციის სხვადასხვა განყოფილების სახელებით იყო აჭრელებული. ჰარიმ იცოდა, რომ მათში ტანსაცმელი, თმის ბღუჯები, ავეჯის ანაფხეკები, სისხლი და ანალიზისთვის განკუთვნილი სხვა ორგანული მასალა ინახებოდა. ყველაფერი იმისათვის, რათა ამ ნივთებისათვის გამოეგლიჯათ ის კოდი, რომელიც დნმ-ის სახელით ცნობილი ჯადოსნური ჯაჭვის რგოლებში იყო დაშიფრული; დნმ-ის, რომელიც ინდივიდს თითქმის ასპროცენტიანი სიზუსტით განსაზღვრავს.

გერდა ნელვიკს არც ისე დიდი კაბინეტი ჰქონდა, მაგრამ ეს სივრცე საკმარისი იყო სქელყდიანი საქაღალდეებით სავსე თაროსა და მაგიდისთვის, რომელზეც კომპიუტერი, ქაღალდების ზვინი და სნოუბორდებზე მდგარი ორი ბიჭის დიდი ფოტოსურათი განეთავსებინათ.

— თქვენი ვაჟები არიან? — ჰკითხა ჰარიმ და დაჯდა.

---

[29] *ქრომოსომაში განლაგებული ამა თუ იმ გენის რამდენიმე ასლის შექმნა*

— მგონი, ჩემი შვილები არიან, — თქვა ქალმა და გაიღიმა.

— რაო?

— აქ ასე ვხუმრობთ ხოლმე. ანალიზების დამკვეთების ვინაობა გაინტერესებთ ხომ?

— დიახ. მაინტერესებს დნმ-ის ყველა ანალიზი, რომლებიც ბოლო თორმეტი წლის მანძილზე დაუკვეთა ერთმა დაწესებულებამ. მინდა ვიცოდე, ვისი ანალიზებია.

— კეთილი. რომელ დაწესებულებას გულისხმობთ?

— კლინიკა „მარიენლიუსტს".

— „მარიენლიუსტს"? დარწმუნებული ხართ?

— რატომ მეკითხებით?

ქალმა მხრები აიჩეჩა.

— მამობის დასადგენი ტესტის ჩატარებას, ძირითადად, სასამართლოს წარმომადგენლები ან ადვოკატები ითხოვენ ხოლმე, ან კერძო პირები.

— ამ შემთხვევებში ტესტების ჩატარების მიზანი მამობის დადგენა არ არის. ლაპარაკია მემკვიდრეობითობის შესწავლაზე, რაც მამის გენეტიკური დაავადებების გამო გახდა საჭირო.

— გასაგებია, — თქვა გერდამ, — ამ შემთხვევაში მონაცემთა ბაზაში მოვძებნოთ.

— ანუ შეგიძლიათ, ახლავე შეამოწმოთ?

— თუკი... — ქალმა საათს დახედა, — ოცდაათი წამი დამელოდებით.

ჰარიმ თავი დაუქნია.

გერდამ კომპიუტერის კლავიატურაზე დაიწყო ბეჭდვა და თან საკუთარ თავს კარნახობდა:

— კ-ლ-ი-ნ-ი-კ-ა „მ-ა-რ-ი-ე-ნ-ლ-ი-უ-ს-ტ-ი".

ქალი სკამის საზურგეს მიეყრდნო და შეყვანილი ინფორმა-

ციის გადამუშავებას დაელოდა.

— საზიზღარი ამინდია ამ შემოდგომაზე, არა? — თქვა მან.

— ნამდვილად, — უპასუხა ჰარიმ, რომლის გონებაც სულ სხვაგან დაქროდა იმ მომენტში. კომპიუტერის მყარი დისკის მუშაობის ხმას უსმენდა. თითქოს დისკს უნდა ეთქვა ის, რაც ჰარის აინტერესებდა.

— შუქის სიმცირე დამანგრევლად მოქმედებს ადამიანზე, — თქვა ქალმა, — იმედია, მალე გათოვდება. ფანტელების სითეთრემ მაინც გაანათოს არემარე!

— ჰმ, — ესღა ამოთქვა ჰარიმ.

კომპიუტერის ხმაური მიწყნარდა.

— აი, ინებეთ, — თქვა ქალმა და ეკრანს ახედა. ჰარიმ ღრმად ამოისუნთქა.

— კლინიკა „მარიენლიუსტი" მართლაც ჩვენი კლიენტი ყოფილა, მაგრამ ბოლოს შვიდი წლის წინ მოუმართავთ, — თქვა გერდამ და შუბლი შეიჭმუხნა, — თუმცა მანამდე საკმაოდ ხშირად გვიკვეთდნენ.

ქალი დადუმდა. ჰარი ელოდა, როდის იტყოდა გერდა იმას, რასაც გამომძიებელი ვარაუდობდა. და ქალმა თქვა:

— შეიძლება ითქვას, რომ ჩვეულებრივი კლინიკისთვის მეტისმეტად ხშირად გვაძლევდნენ შეკვეთებს.

ჰარი გრძნობდა, რომ სწორ გზას ადგა. გზას, რომელიც ლაბირინთიდან გამოიყვანდა. უფრო სწორად, ლაბირინთში შეიყვანდა — იქ, სადაც ყველაზე მეტად ბნელოდა.

— იმ ადამიანების სახელები ან სხვა სახის პირადი მონაცემები ხომ არა გაქვთ, რომელთა დნმ-საც იკვლევდით?

გერდამ თავი გააქნია.

— როგორც წესი, ასეთი ინფორმაცია გვაქვს ხოლმე, მაგრამ კლინიკამ გადაწყვიტა, ეს ინფორმაცია საიდუმლოდ

დაეტოვებინა.

„ჯანდაბა!" — ჰარიმ თვალები დახუჭა და ჩაფიქრდა.

— ანალიზების შედეგები შენახული გაქვთ? მამობის დამდგენ შემოწმებას ვგულისხმობ.

— კი, — უპასუხა გერდამ.

— და რა ინფორმაციაა იქ წარმოდგენილი?

— ახლა ვერ გეტყვით, იმიტომ, რომ თითოეული დასკვნა უნდა გადავამოწმო, რასაც დიდი დრო სჭირდება.

— ეს ანალიზები ისევე ზუსტია, როგორც სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებული მასალების შემოწმების შედეგები?

— მამობის დადგენა კიდევ უფრო კომპლექსური პროცესია. მამობის დასადგენად უფრო მეტი ფაქტორის შესწავლაა საჭირო, იმიტომ, რომ გენეტიკური მასალის ნახევარს ადამიანი დედისგან იღებს.

— ანუ თუკი მე კონკრეტული ადამიანის უჯრედულ მასალას, ერთგვარ სინჯს გამოგიგზავნით, თქვენ შეგეძლებათ, მითხრათ, დაუკვეთა თუ არა „მარიენლიუსტმა" მისი ანალიზები?

— დიახ, — თქვა გერდამ. ხმაზე ეტყობოდა, რომ ხვდებოდა ასეთი რთული სქემის შემოთავაზების მიზეზს.

— კეთილი, — თქვა ჰარიმ, — ჩემი თანამშრომლები ბოლო პერიოდში გაუჩინარებული ქალების ქმრებისა და შვილების სინჯებს გადმოგიგზავნიან. შეამოწმეთ, გეთაყვა, „მარიენლიუსტსაც" ხომ არ გამოუგზავნია იმავე ადამიანების სინჯები. ვწუხვარ, თქვენი დატვირთვა რომ მიწევს, მაგრამ მერწმუნეთ, ეს საქმე ძალიან მნიშვნელოვანია.

უცებ გერდას თვალები გაუნათდა.

— გამახსენდა, სად მყავხართ ნანახი! Bosse-ში გნახეთ გუშინ საღამოს. ანუ ის, რაზეც ახლა ვლაპარაკობდით იმ... „თოვ-

ლის კაცს” ეხება?

მიუხედავად იმისა, რომ მათ გარდა არავინ იყო ოთახში, მაინც ხმადაბლა წარმოთქვა მეტსახელი, რომელიც მანიაკს შეარქვეს. თითქოს ეს სახელი ერთგვარ ტაბუს წარმოადგენდა, რომლის ხსენებაც აკრძალული იყო.

ჰარიმ კატრინს დაურეკა და სთხოვა, სენტ-ჰანსჰოიუგენში მდებარე კაფე „იავაში” შემხვდიო. მანქანა ძველი საცხოვრებელი კორპუსის წინ გააჩერა. ეზოს შესასვლელში ეკიდა გამაფრთხილებელი ნიშანი, რომლის მიხედვითაც ამ ზონაში გაჩერებული მანქანები ევაკუაციას ექვემდებარებოდა. ასეთ შესასვლელში გაზონის საკრეჭი მანქანა თუ გაეტეოდა. ულევოლსვეიენი ხალხით იყო სავსე. ადამიანები აღმა-დაღმა დადიოდნენ და ცდილობდნენ, მალე დაესრულებინათ შაბათის საყიდლებთან დაკავშირებული ფუსფუსი. სენტ-ჰანსჰოიუგენზე ჩრდილოეთის ყინულივით ცივი ქარი დათარეშობდა, ვორფრელსერსის სასაფლაოსკენ ქროდა და სამგლოვიარო პროცესიის მონაწილეების შავ ქუდებს ჰაერში ყრიდა.

ჰარიმ ორმაგი ესპრესო და კორტადო აიღო. ორივე სასმელი ქაღალდის ჭიქებში ჩაასხმევინა და გარეთ, ტროტუარზე მდგარი სკამებიდან ერთ-ერთზე დაჯდა. გზის მეორე მხარეს მდებარე ტბორში მარტოხელა გედი დაცურავდა, რომელსაც კითხვის ნიშნის ფორმის კისერი ჰქონდა. ჰარიმ ფრინველს შეხედა და მელიის ხაფანგის სახელი გაახსენდა. ქარის გამო წყლის ზედაპირი იხვის ხორკლიან კანს ჰგავდა.

— კორტადო ხომ არ გაცივებულა?

მის წინ ხელგამოწვდილი კატრინი იდგა.

ჰარიმ ქაღალდის ჭიქა მიაწოდა და თავისი მანქანისკენ გაუძღვა.

— კარგია, რომ შაბათს მუშაობას ახერხებ, — თქვა ჰარიმ.

— კარგია, რომ შაბათს მუშაობას ახერხებ, — თქვა კატრინმა.

— მე მარტოხელა კაცი ვარ. ჩემნაირი ადამიანისთვის შაბათის საღამო არაფერს ნიშნავს, მაგრამ შენთვის, წესით, პირიქით უნდა იყოს.

ჰარის მანქანასთან ბერიკაცი იდგა და ავტომობილს დაჟინებით უცქერდა.

— ევაკუატორი გამოვიძახე.

— ჰო, როგორც ამბობენ, პოპულარულები ყოფილან, — თქვა ჰარიმ და მანქანა გააღო, — ერთადერთი პრობლემა ისაა, რომ მათთვის პარკირების ადგილის პოვნა ჭირს.

ჰარი და კატრინი მანქანაში ჩასხდნენ. ბერიკაცმა ფანჯარაზე დააკაკუნა. ჰარიმ მინა ჩამოსწია.

— მალე ამწე მოვა. უნდა დაელოდოთ, — თქვა მან.

— მართლა? — თქვა ჰარიმ და ბერიკაცს პოლიციელის მოწმობა აჩვენა. მოხუცმა კაცმა არც კი დახედა და თავის საათს მიაჩერდა.

— ეს სივრცე მეტისმეტად ვიწროა იმისთვის, რომ „შესასვლელი" ერქვას, — თქვა ჰარიმ, — საგზაო კონტროლის დეპარტამენტიდან თანამშრომელს გამოვგზავნი, რათა თქვენი უკანონო ნიშანი ჩამოხსნას. სავარაუდოდ, დიდ ჯარიმასაც გამოგიწერენ.

— რა?

— პოლიციიდან ვართ.

მოხუცმა გაოცებით შეხედა მოწმობას, შემდეგ ჰარის, შემდეგ ისევ მოწმობას დააკვირდა და საბოლოოდ მზერა მაინც ჰარიზე გააჩერა.

— კარგი, შეგიძლიათ, გაიყვანოთ მანქანა, — უკმაყოფილო

იერით ჩაილაპარაკა კაცმა და ჰარის მოწმობა დაუბრუნა.

— არავითარი „კარგი”, — თქვა ჰარიმ, — ახლავე დავრეკავ საგზაო კონტროლის დეპარტამენტში.

ბერიკაცი მრისხანედ უყურებდა პოლიციელებს.

ჰარიმ ამნთებში გასაღები გადაატრიალა, დაქოქა მანქანა და ისევ ბერიკაცს მიუბრუნდა.

— თქვენ კი აქ დარჩით და დაელოდეთ.

მანქანა დაიძრა. უკანა ხედვის სარკეში გაოგნებული ბერიკაცის სახე მოჩანდა. კატრინს გაეცინა.

— რა საზიზღარი ხარ! მოხუც კაცს ასე როგორ მოექეცი?!

ჰარიმ ირიბად გახედა. კატრინს უცნაური გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს სიცილი ტკივილს აყენებდა. უცნაური იყო, მაგრამ „ფენრისში” მომხდარი ეპიზოდის შემდეგ კატრინს უფრო თავისუფლად ეჭირა თავი. შესაძლოა, ეს არის ის, რაც ყველა მიმზიდველ ქალს ახასიათებს. იმისათვის, რომ მათი პატივისცემა მოიპოვო, უარი უნდა უთხრა ურთიერთობაზე. ასეთ შემთხვევაში უფრო გენდობიან.

ჰარის გაეღიმა. ნეტავ როგორი რეაქცია ექნებოდა კატრინს, თუკი შეიტყობდა, რომ ჰოლემ დღეს დილით ერექციით გაიღვიძა და ჯერ კიდევ ახსოვდა იმ სიზმრის ფრაგმენტი, რომელშიც მან ეს ქალი „ფენრისის” ტუალეტში იხმარა. ჰარის დაესიზმრა, რომ კატრინი წყლის ბაკანზე ფეხებგადაშლილი იჯდა და ჰარისთან სექსი ჰქონდა. იმდენად ხისტად ექცეოდა, რომ რადიატორმა ხრიალი დაიწყო, ტუალეტიდან წყალი გადმოიქცა, ნეონის ნათურებმა კი ბზუილი დაიწყო და ყოველ ჯერზე, როგორც კი მისი ტესტიკულები კერამიკის ბაკნის ცივ კიდეს ეხებოდა, ციმციმს იწყებდა. ქალის ზურგს უკან ჩამოკიდებული მინა ზანზარებდა, რის გამოც ჰარის სახე ბუნდოვნად მოჩანდა. თეძოებით ეხეთქებოდნენ ონკანებს, ხელების საშრო-

ბებსა და სასაპნეებს. ბოლოს, როდესაც გაათავეს, ჰარიმ ყურადღებით ჩაიხედა სარკეში და აღმოაჩინა, რომ არა საკუთარი, არამედ სხვა ადამიანის სახე შემოჰყურებდა.

— რაზე ფიქრობ? — ჰკითხა კატრინმა.

— რეპროდუქციაზე, — უპასუხა ჰარიმ.

— რაო?

ჰარიმ პაკეტი გაუწოდა. ქალმა გახსნა და შიგთავსის თავზე ქაღალდის ნაგლეჯი იდო, რომელსაც ამშვენებდა წარწერა „დნმ-ის ანალიზისთვის საჭირო ნაცხის აღების ინსტრუქცია".

— ეს ყველაფერი მამობას უკავშირდება. თუმცა, ჯერჯერობით, ვერ ვხვდები, კონკრეტულად რა ხდება, — თქვა ჰარიმ.

— და... სად მივდივართ? — იკითხა კატრინმა და ბამბის ტამპონების პატარა შეკვრა ამოიღო.

— სოლიჰიოგდაში, — თქვა ჰარიმ, — ტყუპს ნაცხი უნდა ავუღოთ.

ფერმის გარშემო გადაჭიმულ მინდვრებზე თოვლი ჯერ კიდევ არ დამდნარიყო. სველი, ნაცრისფერი კრისტალები ჯერ კიდევ აკონტროლებდნენ სოფლის ტერიტორიას.

როლფ ოტერსენი პარმაღზე შეეგება სტუმრებს და ყავა შესთავაზა. ჰარიმ პალტო გაიხადა და ვიზიტის მიზეზი განუმარტა. როლფს არაფერი უკითხავს, ისე დაუქნია თავი.

გოგონები სასტუმრო ოთახში ისხდნენ და ქსოვდნენ.

— რას ქსოვთ? — ჰკითხა კატრინმა.

— შარფს, — ერთხმად უპასუხა ტყუპმა, — დეიდა გვასწავლის.

გოგონებმა ანე პედერსენზე მიუთითეს, რომელიც სარწეველა სკამზე იჯდა, ქსოვდა და კეთილად უღიმოდა კატრინს.

— მცირეოდენი ნერწყვი და ლორწო მჭირდება ამათთვის, — თქვა კატრინმა და ტამპონები ამოიღო, — პირები გააღეთ, თუ

შეიძლება.

ტყუპმა ჩაიხითხითა და ხელსაქმე გვერდზე გადადო.

ჰარი როლფ ოტერსენს გაჰყვა სამზარეულოში, სადაც ცოტა ხნის წინ მოდუღებული ყავის სასიამოვნო სურნელი ტრიალებდა.

— ანუ გამოდის, რომ ცდებოდით, — თქვა როლფმა, — ექიმთან დაკავშირებით.

— შესაძლოა, — თქვა ჰარიმ, — მაგრამ არაა გამორიცხული, ამ საქმესთან მაინც ჰქონდეს კავშირი. შეიძლება, კიდევ ერთხელ შევიხედო ფარდულში?

ოტერსენმა მიპატიჟების ჟესტით ანიშნა პოლიციელს, რომ ნებას რთავდა.

— თუმცა ანემ დაალაგა იქაურობა, — თქვა როლფმა, — ასე რომ, ბევრს ვერაფერს იპოვით.

მართლაც დალაგებული დახვდა. ჰარის გაახსენდა, როგორ იღებდა ჰოლმი იმ მუქი სისხლის ნიმუშებს, რომელიც იატაკზე ესხა სქელ ფენად. ახლა კი იატაკი მოსუფთავებული იყო და ვარდისფერი ლაქები მხოლოდ იქ ჩანდა, სადაც სისხლი ღრიჭოებში ჩაიღვარა. ჰარი სასაკლაო კუნძთან მივიდა და კარს შეხედა. შეეცადა, წარმოედგინა სილვია, რომელიც აქ იდგა და ქათმებს კლავდა. და ამ დროს „თოვლის კაცი" შემოვიდა. ნეტავ შეეშინდა ქალს თუ არა? სილვიამ ორი ქათამი დაკლა. არა, სამი. რატომ გადაწყვიტა, რომ სამი იყო? ორი და კიდევ ერთი. რატომ კიდევ ერთი? ჰარიმ თვალები დახუჭა.

ორი ქათამი სასაკლაოს კუნძზე იდო და მათი სისხლი ნახერხზე ისხმებოდა, მაგრამ მესამემ, რომელიც გვერდით ეგდო, იატაკი დასვარა. ქათმის კისრის გარშემო სისხლი შედედდა,ზუსტად ისე, როგორც სილვიას კისერზე. ახსოვდა, როგორ ახსნა ეს ბიორნ ჰოლმმა. ჰარიმ იცოდა, რომ ეს აზრი ძველი

იყო. იცოდა, რომ ეს მოსაზრება დიდხანს იდო სხვა მსგავს, ნახევრად ნაფიქრ, ნახევრად დაღეჭილ, ნახევრად დასიზმრებულ ვერსიებთან ერთად. მესამე ქათამი იმავე მეთოდით იქნა მოკლული — ელექტრონული საჭრელი ყულფით.

იმ ადგილს მიუახლოვდა, სადაც იატაკის ფიცრებმა სისხლი შეიწოვა და ჩაიმუხლა.

თუკი ბოლო, მესამე ქათამი „თოვლის კაცმა" დაკლა, რატომ გამოიყენა ამისთვის მარყუჟი და არა ნაჯახი? პასუხი მარტივია — იმიტომ, რომ ნაჯახი სადღაც ტყეში ეგდო. ასე რომ, ქათამი სილვიას მოკვლის შემდეგ დაკლა. აქ დაბრუნდა და კიდევ ერთი ქათამი დაკლა. კი მაგრამ, რატომ? ვითომ ვუდუს რიტუალია? თუ მოულოდნელი აღტყინება? სულაც არა! ის მანიაკი ყველაფერს გეგმის მიხედვით აკეთებდა. რაღაც მიზეზი ჰქონდა.

„რატომ"?

— რატომ? — იკითხა კატრინმა.

ჰარიმ მისი ნაბიჯის ხმა ვერ გაიგონა. კატრინი ფარდულის კართან იდგა, ნათურის შუქი სახეზე ეცემოდა. ქალს ხელში პლასტიკატის პარკები ეჭირა, რომელშიც სინჯები იყო. ჰარი უცებ გახევდა, როდესაც დაინახა, რომ კატრინი ზუსტად ისე იდგა, როგორც იმ დღეს ბეკერის სახლში — ხელები წინ ჰქონდა გაშვერილი და ჰარისკენ მიმართული. და ახლა ამ მოგონებას რაღაც ახალი აზრიც დაემატა.

— როგორც უკვე ვთქვი, — ჩაილაპარაკა ჰარიმ და კიდევ ერთხელ დააკვირდა ვარდისფერ ლაქებს, — ჩემი აზრით, საქმე ოჯახურ ურთიერთობებსა და ტყუილს ეხება.

— ვინ? — იკითხა კატრინმა და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ფარდულში ააბაკუნა, — ვინ გგონია დამნაშავე?

ქალმა ჩაიმუხლა. ჰარის მამაკაცური სუნამოს სუნი ეცა, რო

მელიც ქალის თბილი სხეულიდან პირდაპირ ცივ ჰაერში იღვრებოდა.

— წარმოდგენა არა მაქვს.

— კი მაგრამ, ეს ხომ სტანდარტული დათვალიერება არ არის. რაღაც ვერსია გაქვს, — თქვა ქალმა.

— ჯერჯერობით, ვერსიას ვერ დავარქმევ.

— მაინც გამანდე.

ჰარიმ ამოიოხრა.

— არვე სტიოპი... მითხრა, იდარ ვეტლესენთან იდაყვს ვმკურნალობდიო. მაგრამ ბორგჰილდმა თქვა, რომ ვეტლესენს არვე სტიოპის ანკეტა არა აქვს. ჰოდა, რატომ არა აქვს?

კატრინმა მხრები აიჩეჩა:

— შესაძლოა, არვე სტიოპს იდაყვის ტრავმაზე უფრო სერიოზული პრობლემებიც ჰქონდა და ეშინოდა, ინფორმაცია გაჟონავდა და მის უმწიკვლო იმიჯს შებღალავდა.

— იდარ ვეტლესენს თავისი ნებით რომ ეთქვა უარი პაციენტების ანკეტების შევსებაზე, მისი არქივი ცარიელი იქნებოდა. ვფიქრობ, ამ ყველაფრის უკან რაღაც სერიოზული იმალება. საიდუმლო, რომელიც არ უნდა გამჟღავნდეს.

— მაგალითად?

— ტოქშოუში სტიოპმა იცრუა, როდესაც განაცხადა, სანათესავოში არავინ მყოლია გიჟი და არც გენეტიკური დაავადებები ჰქონია ვინმესო.

— მერე რა?

— მოდი, ეს თემა განვავრცოთ. ვერსიად ვაქციოთ.

— იმ ვერსიად, რომელიც ჯერ ვერსია არ არის?

ჰარიმ თავი დაუქნია.

— იდარ ვეტლესენი ნორვეგიის ყველაზე გასაიდუმლოებული ექსპერტი იყო ფარის სინდრომის მკურნალობის საქმეში.

ბორგჰილდმა, მისმა ასისტენტმაც კი არ იცოდა ამის შესახებ. ჰოდა, როგორ იპოვეს სილვია ოტერსენმა და ბირტე ბეკერმა ექიმი ვეტლესენი?

— როგორ?

— მოდი, წარმოვიდგინოთ, რომ იდარ ვეტლესენის ძირითადი სპეციალობა არა მემკვიდრეობით გადამდები დაავადებების მკურნალობა, არამედ საიდუმლოების შენახვა იყო. ყოველ შემთხვევაში, თავად ამბობდა, რომ სწორედ ამ პრინციპს ეფუძნებოდა მისი ბიზნესი, და ეს იყო მიზეზი, რის გამოც მისმა პაციენტმა და მეგობარმა გაანდო, რომ ფარის სინდრომის დიაგნოზი დაუსვეს, რომელიც ვიღაც სხვა, ნამდვილმა ექიმმა დაუდგინა. მაგრამ იმ ექიმს ვეტლესენის ნიჭი არ ჰქონდა, ანუ საიდუმლოს შენახვა არ შეეძლო, ასეთი ფაქტი კი საიდუმლოდ უნდა შენახულიყო. პაციენტი ანონიმურობას მოითხოვდა და, შესაძლოა, დამატებითი თანხაც გადაიხადა, იმიტომ, რომ ამ ადამიანს მართლაც შეეძლო გადაეხადა.

— არვე სტიოპს გულისხმობ?

— ჰო.

— მაგრამ დიაგნოზი სულ სხვა ადგილას დაუსვეს — იქ, საიდანაც შესაძლებელი იყო, ინფორმაციას გაეჟონა.

— ჰო, მაგრამ არვე სტიოპს ამის არ ეშინია. მას იმის ეშინია, რომ ფარის დაავადება ბავშვს დაუდგინდება, იმიტომ, რომ ეს დაავადება გენეტიკურია. საიდუმლოდ უნდა დარჩეს, რომ სტიოპს შვილები ჰყავს. სწორედ ამიტომ უნდა ინახებოდეს საიდუმლოდ ცნობა მისი დაავადების შესახებ. ბევრ მამაკაცს ჰგონია, თავადაა იმ ბავშვის ბიოლოგიური მამა, რომელიც სინამდვილეში არვე სტიოპის შვილია. მაგალითად, ფილიპ ბეკერს ეგონა, რომ იუნასის მამა იყო და... — ჰარიმ სახლისკენ მიუთითა.

— როლფ ოტერსენი? — ჩაიჩურჩულა კატრინმა, — ტყუპი? გგონია... — ქალმა პარკები ააფრიალა, — რომ ეს გენეტიკური მასალა არვე სტიოპამდე მიგვიყვანს?

— არ არის გამორიცხული. კატრინმა ჰარის შეხედა.

— დაკარგული ქალები... სხვა ბავშვები...

— თუკი დნმ-ის ტესტი დაადასტურებს, რომ არვე სტიოპი იუნასისა და ტყუპის მამაა, ორშაბათს სხვა დაკარგული ქალების შვილებსაც ჩავუტარებთ ანალიზს.

— ანუ... შენ ფიქრობ, რომ არვე სტიოპი მთელ ნორვეგიაში მოგზაურობდა და გზადაგზა ბავშვების ჩასახვით იყო დაკავებული? მრავალი ქალი დააორსულა და მრავალი წლის შემდეგ, მას შემდეგ, რაც ამ ქალებმა შვილები გააჩინეს, დახოცა?

ჰარიმ მხრები შეათამაშა.

— რატომ? — იკითხა ქალმა.

— თუკი მართალი ვარ, მაშინ სიგიჟესთან გვაქვს საქმე და, ამდენად, ძნელია იმ მოტივებზე საუბარი, რომელიც მკვლელს აქვს, იმიტომ, რომ ხშირად სიგიჟეში აშკარა ლოგიკა შეინიშნება. სელაპებზე თუ გსმენია რამე?

კატრინმა თავი გააქნია.

— მამრი სელაპები პრაგმატულობითა და შეუბრალებლობით გამოირჩევიან, — თქვა ჰარიმ, — მას შემდეგ, რაც მდედრი შვილებს გააჩენს და მის შთამომავლობას პირველი კრიტიკული ფაზა უმთავრდება, მამრი სელაპი ცდილობს, მისი შვილების დედა მოკლას, რადგანაც იცის, რომ ეს მდედრი მეორედ აღარ მოისურვებს მასთან შეჯვარებას, და მამრს არ სურს, მის შთამომავლობას სხვა ახალგაზრდა სელაპებმა გაუწიონ კონკურენცია.

კატრინს სახეზე ეტყობოდა, რომ ამ ყველაფრის აღქმა უჭირდა.

— ჰო, სიგიჟეა, — თქვა მან, — მაგრამ არც კი ვიცი, რა უფრო ცუდია — იფიქრო, როგორც სელაპმა, თუ იფიქრო, რომ სხვები სელაპებივით ფიქრობენ.

— როგორც უკვე გითხარი... — თქვა ჰარიმ და წამოდგა. სიჩუმეში მისი მუხლების სახსრების ტკაცუნი გაისმა, — ეს ვერსიაც კი არაა.

— იტყუები, — თქვა კატრინმა და ჰარის ახედა, — აბსოლუტურად დარწმუნებული ხარ, რომ მამა არვე სტიოპია.

ჰარიმ ცალყბად გაიღიმა.

— ისეთივე გიჟი ხარ, როგორიც მე, — თქვა კატრინმა. ჰარი ისე უყურებდა, თითქოს რაღაცას ეძებდა.

— წავედით. მაგ ტამპონებს სასამართლო მედიცინის ინსტიტუტი ელოდება.

— შაბათს? — იკითხა კატრინმა, ნახერხს ხელი გადაუსვა, წაშალა ყველაფერი, რაც დახაზა და წამოდგა, — საერთოდ არა აქვთ პირადი ცხოვრება?

პაკეტები ლაბორატორიაში ჩააბარეს, სადაც უთხრეს, რომ ანალიზების პასუხები იმავე დღის საღამოს, ან მომდევნო დღის დილას იქნებოდა მზად. ჰარიმ კატრინი სეილდუკსგატამდე მიაცილა.

— შენი ბინის ფანჯრები ჩაბნელებულია, — თქვა ჰარიმ, — შენ რა, მარტო ცხოვრობ?

— ჩემნაირ ლამაზ გოგოს ეუბნები მაგას? — ღიმილით თქვა კატრინმა და მანქანის კარს დასწვდა, — რა თქმა უნდა, არა.

— რატომ არ გინდოდა შენი ბერგენელი კოლეგებისთვის მეთქვა, რომ შენც იყავი ჩასული?

— რა?

— ვიფიქრე, ძალიან გაუხარდებოდათ, თუკი გაიგებდნენ, რომ დედაქალაქში მკვლელობების დიდი საქმე მოგანდეს.

კატრინმა მხრები აიჩეჩა.

— ბერგენელები ოსლოს დედაქალაქად არ მიიჩნევენ. ღამე მშვიდობისა.

— ღამე მშვიდობისა.

ჰარი სანერგატასკენ გაეშურა.

არ იყო დარწმუნებული, რომ კატრინის გულჩათხრობილობა მოეჩვენა, მაგრამ რაში შეიძლებოდა ყოფილიყო დარწმუნებული ახლა, როდესაც პატარა გოგონას მოტეხილი ხმელი ტოტის ხმაც კი იარაღის ჩახმახის შემართვის ჩხაკუნად ეჩვენებოდა. თუმცა აღარ შეეძლო თავი მოეტყუებინა და ეფიქრა, რომ არ იცოდა. იმ საღამოს კატრინმა თავისი ტაბელური რევოლვერი ფილიპ ბეკერის ზურგს დაუმიზნა და როდესაც ჰარიმ სროლის არე შეუზღუდა, ჰოლემ ხმა გაიგონა. ის ხმა, რომელიც, როგორც მას ეგონა, მაშინ მოესმა, როდესაც სალმამ ხმელი ტოტი გატეხა. დაზეთილი რევოლვერის ჩახმახის საწყის მდგომარეობაში დაბრუნების ხმა იყო. ანუ კატრინმა ორ მესამედზე მეტით მისწია სასხლეტი, რაც იმას ნიშნავს, რომ ტყვია ნებისმიერ მომენტში შეიძლებოდა, გავარდნილიყო. იგი მზად იყო, ბეკერისთვის ესროლა.

არა, ნამდვილად არ ეჩვენებოდა. იმიტომ, რომ ფარდულის კართან მდგომს პირდაპირ სახეზე ეცემოდა შუქი. და მან იცნო ეს ქალი. და როგორც უკვე უთხრა კატრინს, ეს საქმე ოჯახურ ურთიერთობებს ეხებოდა.

***

კომისარი კნუტ მიულერ-ნილსენი ჯული კრისტის აღმერთებდა. ისე ძალიან უყვარდა, რომ ეს საიდუმლო ცოლსაც კი

ვერ გაანდო. მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ კომისრის ვარაუდით, მის ცოლს არაკანონიერი ურთიერთობა ჰქონდა ომარ შარიფთან, სინდისი დიდად არ ქენჯნიდა — უბრალოდ იჯდა ცოლის გვერდით და თავის კერპს თვალებით ჭამდა. ერთადერთი პრობლემა ის იყო, რომ მისი ჯული იმ მომენტში ზემოხსენებულ ომარ შარიფს ეხვეოდა. და როდესაც სასტუმრო ოთახში ტელეფონის ხმა გაისმა და კნუტ მიულერ-ნილსენი საპასუხოდ გავიდა, მისმა ცოლმა პაუზის ღილაკს დააჭირა თითი და მათი საყვარელი ფილმის, „ექიმი ჟივაგოს" ეს მშვენიერი და დღემდე დაუჯერებელი მომენტი გააჩერა.

— ოჰ! საღამო მშვიდობისა, ჰოლე, — თქვა მიულერ-ნილსენმა მას შემდეგ, რაც ინსპექტორმა თავისი გვარი უთხრა, — ჰო, წარმომიდგენია, რამდენი საქმე გაქვთ.

— ერთ წუთს ხომ ვერ დამითმობდით? — ჩახლეჩილი, მაგრამ რბილი ხმით ჰკითხა თანამოსაუბრემ.

მიულერ-ნილსენმა ჯული კრისტის ალისფერ, ვნებიან ტუჩებსა და მიბნედილ მზერას შეხედა.

— რამდენი წუთიც დაგვჭირდება, იმდენი მაქვს, ჰარი.

— როდესაც თქვენს ოფისში ვიყავი და გერტ რაფტოს ფოტო მაჩვენეთ, რაღაც შევამჩნიე.

— მართლა?

— და შემდეგ მის ქალიშვილზე ისაუბრეთ. თქვით, რომ კარგი გოგონაა, რა თქმა უნდაო, დასძინეთ. ეს "რა თქმა უნდა" მენიშნა. თითქოს ისეთი ინფორმაცია იყო, რომელიც უნდა მცოდნოდა.

— კი, მაგრამ ის მართლაც კარგი გოგონაა. განა ასე არაა? — იკითხა მიულერ- ნილსენმა.

— გააჩნია, რა კუთხით შევხედავთ, — თქვა ჰარიმ.

თავი XXIV

მეცხრამეტე დღე. ტუვუმბა

სასტუმრო „პლაზას” სონია ჰენის სახელობის დარბაზში სავსებით მოსალოდნელი აურზაური იდგა. არვე სტიოპი კართან იდგა და ახალმოსულ სტუმრებს ესალმებოდა. ღიმილისგან უკვე ყბები სტკიოდა, ამდენი ხელის ჩამორთმევისგან კი „ჩოგბურთის იდაყვი” გაუმიზეზდა. ღონისძიებების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი ახალგაზრდა ქალი, რომელიც დღესასწაულის ტექნიკურ მხარეზე იყო პასუხისმგებელი, არვე სტიოპთან მიცქრიალდა და ღიმილით აცნობა, რომ სტუმრები უკვე მაგიდას მისხდომოდნენ. მისი შავი, სადა კოსტიუმი, ყურთან მიმაგრებული რაცია და თითქმის უხილავი მიკროფონი არვეს ისეთ შთაბეჭდილებას უქმნიდა, რომ მის წინ მდედრობითი სქესის აგენტი იდგა ფილმიდან „შეუსრულებელი მისია”.

— შესვლის დროა, — თქვა გოგონამ და არვეს მეგობრული, მოჩვენებითად ნაზი მოძრაობით გაუსწორა ბაფთა.

გოგონა საქორწინო ბეჭედს ატარებდა. მისი თეძოები არვეს წინ ირხეოდნენ და დარბაზისკენ მიემართებოდნენ. ნეტავ ამ თეძოებს ბავშვი თუ გაუჩენია ოდესმე? ქალის ნავარჯიშები საჯდომი შავ შარვალში გამოკვალთულიყო. არვე სტიოპმა ეს საჯდომი შარვლის გარეშე წარმოიდგინა მის წინ, საწოლზე, აკერ ბრიუგეს აპარტამენტებში, მაგრამ ეს ქალი ნამდვილი პროფესიონალის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ბევრი დაბრკოლების გადალახვა მოუწევდა არვეს. გაუჭირდებოდა მისი დარწმუნება. კარის უკან განთავსებულ დიდ სარკეში წააწყდა მის მზერას. მიხვდა, რომ ქალმა მისი ხარბი მზერა დაიჭირა და

ამიტომ არვემ ბოდიშის გამომხატველი სახე მიიღო. ქალმა გაიცინა და იმავდროულად, ლოყებზე არაპროფესიონალურმა სიწითლემ გადაურბინა. „შეუსრულებელი მისია"? ნაკლებად სავარაუდოა. უბრალოდ, დღეს არა.

როდესაც არვე დარბაზში შევიდა, მის მაგიდასთან მჯდომი რვავე ადამიანი ფეხზე წამოდგა. ამ წვეულებაზე მისი პარტნიორი მისივე მოადგილე იყო. ამ არჩევანის გაკეთებისას არვემ არც ისე სასიამოვნო, მაგრამ საჭირო ნაბიჯი გადადგა. ეს ქალი გათხოვილი იყო, შვილები ჰყავდა და ისეთი სახე ჰქონდა, როგორიც დღე-ღამეში თორმეტი-თოთხმეტი საათის მანძილზე მომუშავე ადამიანებს აქვთ ხოლმე. საბრალო ბავშვები. და საბრალო კაცი, რადგანაც ერთ მშვენიერ დღეს ამ ქალმაც აღმოაჩინა, რომ „ლიბერალის" გარეთაც არსებობს ცხოვრება. მაგიდასთან მსხდომმა ადამიანებმა არვეს სადღეგრძელო დალიეს, მან კი დარბაზს მოავლო თვალი. სამკაულები, შეღებილი თვალები და ბრწყინვალე კაბები თვალს სჭრიდა. კაბები სახელოების, საყელოების, ბრეტელებისა და სირცხვილის გარეშე.

უცებ მუსიკის ხმა გაისმა. დინამიკებიდან შტრაუსის „ასე იტყოდა ზარატუსტრას" პათეტიკური მელოდია გაისმა. ღონისძიების მომწყობებთან გამართულ შეხვედრაზე არვე სტიოპმა აღნიშნა, რომ ზეიმის ასეთ დასაწყისს სულაც არ თვლიდა ორიგინალურად, ამასთან, პომპეზურად მიაჩნდა და ამ მელოდიის მოსმენისას ადამიანის შექმნის საკითხზე იწყებდა ფიქრს. უთხრეს, რომ ასეთი დასაწყისიც სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა.

საკმაოდ დიდ სცენაზე, რომელიც კვამლითა და შუქით იყო გაჯერებული, ცნობილი ტელესახე ავიდა, რომელმაც ამ ღონისძიების წამყვანობისთვის ექვსციფრიანი თანხა მოითხოვა

და მიიღო კიდეც.

— ქალბატონებო და ბატონებო, — ჩაჰყვირა მან დიდ, უსადენო მიკროფონს, რომელიც სტიოპმა დიდ, ერეგირებულ პენისს მიამსგავსა, — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, — ტელევარსკვლავის საქვეყნოდ ცნობილი ტუჩები თითქმის ეხებოდა შავ პენისს, — გპირდებით, რომ ძალიან განსაკუთრებული საღამო გელით წინ.

არვე სტიოპს კი უკვე ძალიან უნდოდა, მალე დასრულებულიყო ეს ყველაფერი.

***

ჰარი თავის კაბინეტში იჯდა და წიგნების თაროზე განლაგებულ ფოტოებს, „მკვდარი პოლიციელების საზოგადოებას" მისჩერებოდა. შეეცადა, ეფიქრა, მაგრამ მისი ტვინი აქეთ-იქით ტრიალებდა და საყრდენ წერტილს, სრულ სურათს ვერ პოულობდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში გრძნობდა, რომ ვიღაც ძალიან ახლოს იყო. ვიღაცამ ყოველთვის იცოდა, რას მოიმოქმედებდა ჰარი, მაგრამ მთლად ასეც არ უნდა ყოფილიყო საქმე. წარმოუდგენლად მარტივი იყო. და, იმავდროულად, გაუგებრად რთულიც.

კნუტ მიულერ-ნილსენმა თქვა, რომ კატრინი ერთ-ერთი ყველაზე იმედისმომცემი დეტექტივი იყო ბერგენის პოლიციის კრიმინალურ განყოფილებაში. ამომავალი ვარსკვლავი გახლდათ, რომელსაც არასდროს ჰქონია პრობლემა. თუმცა მაინც მოხდა ერთი ინციდენტი, რომლის შემდეგაც სექსუალურ ძალადობასთან ბრძოლის განყოფილებაში გადასვლამ მოუწ-

ია. ერთი მტვერდაყრილი საქმის ერთმა მოწმემ პოლიციაში დარეკა და იჩივლა, რომ კატრინ ბრატმა მოსვენება დაუკარგა ახალი კითხვებით. მაშინაც კი არ დაუხევია უკან, როდესაც მოწმემ გასაგებად აუხსნა, რომ საჩივარი შეიტანა პოლიციაში. როგორც გაირკვა, კატრინი თვეების მანძილზე იძიებდა ამ საქმეს ისე, რომ უფროსობისთვის არაფერი უთქვამს. გამომდინარე იქიდან, რომ ამას არასამუშაო დროს უთმობდა, ამ გარემოებას მისთვის პრობლემა არ უნდა შეექმნა, მაგრამ ზემდგომ პირებს სურდათ, მას ამ კონკრეტულ საქმეზე არ ემუშავა, აუხსნეს, რომ ამ საქმის გარემოებების ჩხრეკა, შესაძლოა, ძვირად დასჯდომოდა. პასუხად კი კატრინმა უფროსებს პირველადი გამოძიების დროს დაშვებულ რამდენიმე შეცდომაზე მიუთითა. მაინც ვერ შეაგნებინეს და გაბრაზებულმა ქალმა სხვა განყოფილებაში გადასვლა მოითხოვა.

— როგორც ჩანს, შეპყრობილია ამ საქმით, — საუბრის დასასრულს თქვა მიულერ- ნილსენმა, — როგორც მახსოვს, სწორედ მაშინ მიატოვა ქმარმა.

ჰარი წამოდგა, კორიდორში გავიდა და კატრინის კაბინეტის კარს მიუახლოვდა. არსებული ნორმატივებისა და რეგულაციების შესაბამისად, დაკეტილი უნდა ყოფილიყო. ასეც აღმოჩნდა. ჰარიმ კორიდორში გააგრძელა გზა და ასლების გადასაღებ ოთახში შევიდა. ყველაზე ქვედა თაროზე, საწერი ქაღალდის შეკვრების გვერდით, გილიოტინა იდო — რკინის დიდი, მძიმე სადგამი,რომელზეც ვერტიკალურად მოძრავი სამართებლის ბასრი პირი იყო დამაგრებული. ჰარი ვერ იხსენებდა შემთხვევას, რომ ეს მექანიზმი ვინმეს აემოქმედებინა, მაგრამ ახლა ორივე ხელით ეჭირა და კატრინ ბრატის კარისკენ მიბრუნებულიყო.

ქაღალდის საჭრელი მაღლა შემართა და მიზანს მიაჩერდა,

შემდეგ კი სწრაფად და ძლიერად ჩამოსწია ხელები. გილიოტინა სახელურს მოხვდა, საკეტი ჩარჩოში შეაგდო, რომელიც ხმაურით გაიპო.

ძლივს მოასწრო ფეხის გაწევა. მოწყობილობა გამაყრუებელი ჟღრიალით დავარდა იატაკზე. კარმა ხის ნაფოტები გადმოაფურთხა და პირველი დარტყმისთანავე გაიღო. ჰარიმ გილიოტინა აიღო და კაბინეტში შეიტანა.

კატრინ ბრატის კაბინეტი იმ ოთახის იდენტური იყო, რომელშიც ოდესღაც პოლიციის ოფიცერ ჯეკ ჰალვორსენთან ერთად მუშაობდა. სუფთა, ცარიელი, სურათებისა და სხვა პირადი ნივთების გარეშე. სამუშაო მაგიდას მარტივი საკეტი ჰქონდა, რომელიც ყველა უჯრას ხურავდა. გილიოტინის ორი მანევრის წყალობით ზედა უჯრა და საკეტი დაიმსხვრა. ჰარიმ ფურცლები აქეთ-იქით მიმოფანტა და ჩხრეკა დაიწყო. პლასტიკატის საქაღალდეებს, ქაღალდის სახვრეტელებსა და სხვა საკანცელარიო ნივთებს შორის დანა აღმოაჩინა. შალითა მოაძრო. დანას დაკბილული პირი ჰქონდა. ნამდვილად არ ჰგავდა სკაუტის დანას. ჰარიმ დანის პირი ქაღალდების დასტას დაადო და იოლად გაჭრა.

ქვედა უჯრაში ტაბელური იარაღის ტყვიების ორი გაუხსნელი ყუთი იდო. პირადი ნივთებიდან მხოლოდ ორი ბეჭედი აღმოაჩინა, რომელთაგან ერთ-ერთი ძვირფასი ქვებით იყო მოოჭვილი და მაგიდის სანათის შუქზე ბრწყინავდა. ეს ბეჭედი ჰარის მანამდეც უნახავს. თვალები დახუჭა და შეეცადა, გაეხსენებინა. დიდი ბრწყინვალე ბეჭედი. ათასნაირი ძვირფასი თვლით დამშვენებული. ლას-ვეგასის სტილის სამკაული. კატრინი ასეთ ბეჭედს არასდროს გაიკეთებდა. და უცებ გაახსენდა, სად ჰქონდა ნანახი. გულისცემა იგრძნო. ძლიერად, მაგრამ სტაბილურად უცემდა. ეს ბეჭედი საძინებელში ნახა.

ბეკერის საძინებელში.

* * *

სონია ჰენის სახელობის დარბაზში სადილი დასრულდა და მაგიდები აალაგეს. არვე სტიოპი უკანა კედელს ეყრდნობოდა და სცენას მისჩერებოდა, რომლის წინაც სტუმრები შეკრებილიყვნენ და თვალს არ აცილებდნენ ჯგუფს, რომელიც მღეროდა. დიდი ხმა იყო. ძვირი. მეგალომანიის ხმა. არვე სტიოპი არ იყო დარწმუნებული, რომ უნდოდა, მაგრამ ღონისძიებების ორგანიზების სააგენტომ დაარწმუნა, რომ გამოცდილებაში ფულის დაბანდება მისი თანამშრომლების ლოიალურობას, „კორპორაციულ სიამაყესა" და ენთუზიაზმს გაზრდიდა. და საერთაშორისო წარმატების მცირე ნაწილის შეძენით კიდევ ერთ აგურს დებდა ჟურნალისა და „ლიბერალის" ბრენდის წარმატების საქმეში, იმ პროდუქტში, რომელიც რეკლამის დამკვეთს თანამშრომლობის სურვილს გაუჩენდა.

ვოკალისტმა ყურზე მიიდო თითი და ოთხმოციანი წლების მსოფლიო ჰიტის ყველაზე მაღალ ნოტს შეუტია.

— არავინ იჭაჭება ისე დიდებულად, როგორც მორტენ ჰარკეტი, — მოესმა არვეს.

მასპინძელი შებრუნდა და მაშინვე მიხვდა, რომ ეს ქალი სადღაც ჰყავდა ნანახი — ლამაზი ქალები არასდროს ავიწყდებოდა. თუმცა ბოლო დროს ხშირად ვერ იხსენებდა, სად და რა ვითარებაში ახერხებდა ზოგიერთი მათგანის გაცნობას. კარგი აღნაგობის ქალი, რომელსაც განაჭერით დამშვენებული სადა შავი კაბა ეცვა. ვიღაცას აგონებდა. ბირტეს. ბირტეს ჰქონდა

ასეთი კაბა.

— უცნაურია, — თქვა არვემ.

— რთულია მაგ ნოტის აღება, — თქვა ქალმა ისე, რომ ვოკალისტისთვის თვალი არ მოუცილებია.

— უცნაურია, რომ თქვენს სახელს ვერ ვიხსენებ, მხოლოდ ის მახსოვს, რომ ადრეც შევხვედრივართ ერთმანეთს.

— ერთმანეთს არ შევხვედრივართ, — თქვა ქალმა, — უბრალოდ თქვენ მაკვირდებოდით.

უცნობმა ქალმა უკან გადაიწია შავი თმა. მიმზიდველი იყო. მკაცრი, კლასიკური გარეგნობა ჰქონდა. კეიტ მოსის სტილის. აი, ბირტეს კი პამელა ანდერსონის მიმზიდველობა ჰქონდა.

— რაც, ჩემი აზრით, შეიძლება, მეპატიოს, — თქვა არვემ და მხნეობის მოზღვავება იგრძნო. სისხლი შამპანურს ტვინის იმ უბნისკენ გზავნიდა, რომელიც კი არ ათრობდა, არამედ სიმსუბუქესა და თავისუფლებას ანიჭებდა.

— ვინ ბრძანდებით?

— კატრინ ბრატი გახლავართ, — თქვა ქალმა.

— გასაგებია. რეკლამას უკვეთთ ჩვენთან, კატრინ? საბანკო სფეროში საქმიანობთ? ან იქნებ უძრავი ქონების ბიზნესს წარმოადგენთ? თუ ფრილანსერი ფოტოგრაფი ხართ?

არვე სტიოპის ყველა კითხვაზე კატრინი ღიმილით აქნევდა თავს.

— უბრალოდ წვეულებების მოყვარული ვარ, — თქვა მან ბოლოს, — ერთ-ერთი თქვენი ჟურნალისტი ჩემი დაქალია. მითხრა, ვისი კონცერტიც იგეგმებოდა თქვენს დღესასწაულზე. სასწრაფოდ გადაიცვი კაბა და წამოდიო. გამაგდებთ?

ქალმა შამპანურის ჭიქა ბაგეებთან მიიტანა. ტუჩები არც ისეთი სქელი ჰქონდა, როგორიც არვეს მოსწონდა, მაგრამ ცვრიანი და მუქი წითელი შეფერილობისა კი იყო. ჯერ კიდევ

სცენას უყურებდა და ამიტომ არვე სტიოპს შეეძლო, თავისუფლად დაჰკვირვებოდა მის პროფილს. მის საერთო პროფილს. ზურგის იდეალურ კონტურს, ლამაზ მკერდს. სილიკონი არც სჭირდებოდა, ალბათ, უბრალოდ კარგი ბიუსტჰალტერი ეცვა. „ნეტავ ეს ძუძუები ბავშვს თუ აქვს ნაწოვი"?

— ჯერ ვფიქრობ, — თქვა არვემ, — რაიმე სახის არგუმენტს ხომ ვერ მოიშველიებდით?

— რომ გაგაფრთხილოთ, აქტივში ჩამეთვლება?

— არ არის გამორიცხული.

— რამდენიმე პაპარაცი დავინახე გარეთ, რომლებიც თქვენს სტუმრებს ელოდებიან. საღამოს ნანადირევს ჩაუსაფრდნენ. რას იტყვით, თუკი ჩემი ჟურნალისტი მეგობრის შესახებ ვუამბობ? მას აუხსნეს, რომ "ლიბერალში" პერსპექტივა არა აქვს, იმიტომ, რომ უარი თქვა ინტიმურ სიახლოვეზე, რომელიც თქვენ შესთავაზეთ. წინააღმდეგი ხომ არა ხართ, რომ ეს ამბავი გავასაჯაროო?

არვე სტიოპმა გულიანად გადაიხარხარა. ხედავდა, რომ სტუმრების ყურადღება მიიპყრო. კატრინისკენ დაიხარა და იგრძნო, რომ ქალის სუნამოს სუნი არაფრით გამოირჩეოდა მისი ოდეკოლონის არომატისგან.

— ჯერ ერთი, მინდა იცოდეთ, რომ ცუდი რეპუტაციის არ მეშინია, განსაკუთრებით კი ჩემი ჭორიკანა კოლეგებისგან აგორებული სკანდალების. გარდა ამისა, თქვენი მეგობარი ძალიან ცუდი ჟურნალისტია და, ამასთან, იტყუება კიდეც. სამჯერ მყავს გაჟიმული. შეგიძლიათ, ნებისმიერ პაპარაცის აცნობოთ, რომ მასთან ვიწექი. გათხოვილი ხართ?

— დიახ, — თქვა უცნობმა ქალმა, რომელიც სცენისკენ შებრუნდა და ისე დადგა, რომ წამით მისი კაბის განაჭერიდან მაღალყელიანი წინდების დასამაგრებელი ზონარი გამოჩნდა.

არვე სტიოპს პირი გაუშრა და შამპანური მოსვა. სცენის წინ შეკრებილ ქალებს გადახედა, რომლებიც მაღალქუსლიან ფეხსაცმელებზე იდგნენ. ცხვირით შეისუნთქა ჰაერი. აქედანაც კი გრძნობდა საშოს სუნს.

— შვილები გყავთ, კატრინ?

— გინდათ, რომ მყავდეს?

— დიახ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ადამიანისთვის სიცოცხლის ჩუქებით ქალები ბუნებას იმორჩილებენ და ამიტომ სიცოცხლის არსი სხვა ქალებზე უკეთ ესმით... და მამაკაცებზე.

— რა სისულელეა!

— არა. პოტენციური მამის ძებნას წყვეტენ და უბრალოდ თამაშით ერთობიან.

— კეთილი, — თქვა კატრინმა და გაიცინა, — როგორი თამაშები მოგწონთ?

— ოჰ, — თქვა სტიოპმა და საათზე დაიხედა, — ძალიან სწრაფად მივდივართ წინ.

— მაშ, როგორი თამაშები მოგწონთ?

— ყველა თამაში მომწონს.

— მშვენიერია.

მომღერალმა თვალები დახუჭა, მიკროფონი ორივე ხელით ჩაბღუჯა და სიმღერის კრესშჩენდოს შეუტია.

— მოსაწყენი წვეულებაა. სახლში მივდივარ, — თქვა სტიოპმა და ცარიელი ბოკალი იმ ლანგარზე დადო, რომელმაც გვერდით ჩაუარა, — აკერ-ბრიუგეში ვცხოვრობ.

„ლიბერალის" ოფისის სადარბაზოს ბოლო სართული. ზედა ზარი. ქალს ოდნავ გაეღიმა.

— ვიცი, სადაც არის. და რამდენწუთიანი ფორა გჭირდებათ?

— ოცი წუთი მომეცით და დამპირდით, რომ ისე დატოვებთ აქაურობას, რომ ხმას არავის გასცემთ. თქვენს დაქალსაც კი არ დაელაპარაკებით. შევთანხმდით, კატრინ ბრატ?

არვე სტიოპმა ქალს შეხედა. კაცს იმედი ჰქონდა, რომ სწორად წარმოთქვა მისი სახელი.

— ჩემი იმედი გქონდეთ, — თქვა ქალმა. არვე სტიოპმა კატრინის თვალებში უცნაური შუქი შენიშნა. თითქოს ტყის ხანძარი ირეკლებოდა ცაში, — მეც მინდა, ეს ყველაფერი ჩვენ შორის დარჩეს, — თქვა უცნობმა ქალმა და ჭიქა ასწია, — და, სხვათა შორის, მასთან ოთხჯერ გქონდათ სექსი, და არა სამჯერ.

არვემ სიამოვნებით შეავლო თვალი ქალს და გასასვლელისკენ გაემართა. მის უკან ჯერ კიდევ თრთოდა ვოკალისტის ფალცეტი, რომელიც ჭაღების ქვეშ თითქმის აღარ ისმოდა.

***

კარი ხმაურით გაიღო და სეილდუკსგატაზე მხიარული ჟივილ-ხივილი გაისმა. ოთხი ახალგაზრდა გრიუნერლიოკაში მდებარე ერთ-ერთ ბარში გამართული წვეულებიდან ბრუნდებოდა. ტროტუარის კიდესთან მდგარ მანქანას ისე ჩაუარეს, მასში მჯდომი მძღოლი ვერც კი შენიშნეს. შემდეგ კუთხეში შეუხვიეს და ქუჩაზე ისევ სიწყნარემ დაისადგურა. ჰარი საქარე მინისკენ გადაიხარა და კატრინ ბრატის ბინის ფანჯრებს ახედა. შეეძლო, ჰაგენისთვის დაერეკა; შეეძლო განგაშის ზარი დაერეკა, სკარე ეხმო და საპატრულო პოლიცია გამოეძახებინა, მაგრამ ჯერ უნდა შეემოწმებინა.

მანქანიდან გადმოვიდა, სახლის კარს მიუახლოვდა. მესამე სართულზე მდებარე ბინის ზარს გვერდით არაფერი ეწერა. ჰარიმ სწორედ ეს ზარი აირჩია, დარეკა და დაელოდა. კიდევ ერთხელ დარეკა. შემდეგ მანქანასთან დაბრუნდა,საბარგულიდან ძალაყინი ამოიღო, ისევ სახლის კარს მიუახლოვდა და მეორე სართულის ბინის ზარი დარეკა. ტელევიზორის ხმაურის ფონზე ვიღაც კაცმა ნამძინარევი ხმით გამოსძახა "დიახ", თხუთმეტი წამის შემდეგ კი ჰარის წინ კარი გაიღო. ჰარიმ მამაკაცს პოლიციელის მოწმობა აჩვენა.

— ოჯახური კამათის ხმა არ გამიგონია, — თქვა კაცმა, — ვინ გამოგიძახათ?

— ახლა უკვე ჩემით გავაგნებ გზას, — თქვა ჰარიმ, — მადლობას გიხდით დახმარებისთვის.

მესამე სართულზე მდებარე ბინის კარზე ბინადრების გვარი არ იყო მითითებული. ჰარიმ დააკაკუნა, ხის კარის ცივ ზედაპირს ყური მიადო. ამის შემდეგ ძალაყინის ბოლო კარსა და ჩარჩოს შორის ღრიჭოში მოათავსა — ზედ საკეტის თავზე. გრიუნერლიოკის მრავალბინიანი სახლები მდინარე აკერსელვას გაყოლებაზე მდებარე ქარხნების მუშებისთვის აშენდა და ამიტომ ყველაზე იაფი მასალებით იყო ნაგები. ბოლო ერთი საათის მანძილზე ეს უკვე მეორე შემთხვევა იყო, როდესაც დაკეტილი კარის გატეხა სცადა. და ამჯერადაც იოლად გამოუვიდა.

რამდენიმე წამით დერეფნის სიბნელეში იდგა და ცდილობდა, რაიმე გაეგონა, შემდეგ კი შუქი აანთო. ქვემოთ დაიხედა და დაინახა თარო, რომელზეც ფეხსაცმლის ექვსი წყვილი იდო. და ამ ექვსიდან ერთიც კი არ ჰგავდა მამაკაცისას. ერთერთი წყვილი ასწია — ის ჩექმები, რომლებიც დღეს ეცვა კატრინს. ჯერ კიდევ სველი ძირები ჰქონდა.

სასტუმრო ოთახში შევიდა. ჭერის ნათურის ნაცვლად ფარანი აანთო, რათა კატრინს ვერ შეემჩნია ქუჩიდან, რომ ვიღაც ესტუმრა.

ძველ, ფიჭვისგან დამზადებულ, დიდი ლურსმნებით დაჭედებულ იატაკს ფარნის შუქი მოეფინა. ჰარიმ თეთრი, განიერი დივანი დაინახა. იატაკთან ახლოს წიგნების თაროები იდგა. გარდა ამისა, ოთახში Linn Systems-ის ექსკლუზიური დინამიკებიც აღმოჩნდა. კედლის ნიშში სუფთა და ვიწრო საწოლი იდგა, ძალიან პატარა სამზარეულოში — ქურა და მაცივარი. ეს ყველაფერი თავშეკავებულობის, სპარტანული სიმკაცრისა და დახვეწილობის ატმოსფეროს ქმნიდა. ამით ჰარის ბინას წაგავდა. ფარნის შუქზე ვიღაცის სახე შეამჩნია, რომელიც მას მისჩერებოდა. შემდეგ კიდევ ერთი სახეც დაინახა. და კიდევ ერთიც. ხის შავი ნიღბები ორნამენტებითა და მოხატული თარგებით.

მაჯის საათზე დაიხედა. თერთმეტი. სანათი ბინის დანარჩენ ნაწილს მიანათა. ერთადერთი მაგიდა იდგა კედელთან, რომელიც გაზეთებიდან ამოჭრილი ტექსტებითა და სურათებით იყო აჭრელებული. იატაკიდან ჭერამდე. ამ კედელს მიუახლოვდა, თვალი მოავლო ამ კოლაჟს და იგრძნო, როგორ აუჩქარდა გული.

ამონარიდები მკვლელობების გამოძიებებს ეხებოდა. ბევრ სხვადასხვა მკვლელობას. ათი ან თორმეტი შემთხვევა მაინც იქნებოდა, ზოგიერთი ამონაჭერი სიძველისგან გაყვითლებულიყო, მაგრამ ჰარის მშვენივრად ახსოვდა ყველა ეს საქმე. იმიტომ, რომ ამ შემთხვევებს რაღაც აერთიანებდა — თითოეულ მათგანს თავად ჰარი იძიებდა.

მაგიდაზე, კომპიუტერის გვერდით, საქაღალდეების დასტა იდო. საგამოძიებო ჯგუფის პატაკები. ერთ-ერთი გახსნა. ეს

საქმე მისი არ იყო. მას ხელში ბერგენში, ულრიკის მთაზე მოკლული ლაილა ოსენის საქმის მასალები ეჭირა. მეორე საქაღალდე ონი ჰეტლანს შეეხებოდა, რომელიც ფიელსიდენში დაიკარგა.

მესამეში გერტ რაფტოზე დაწერილი საჩივრები იყო თავმოყრილი. ჰარიმ მთელი საქაღალდე დაათვალიერა. იმ ფოტოებს გადააწყდა, რომლებიც მიულერ-ნილსენმა აჩვენა თავის კაბინეტში. ახლა უყურებდა ამ სურათებს და ყველაფერს ხვდებოდა.

პრინტერის გვერდით ქაღალდის დასტა იდო. ზედა ფურცელზე რაღაც იყო ფანქრით დახატული. მოყვარულის ნახატს ჰგავდა, მაგრამ შეიძლებოდა იმის გარჩევა, რა იყო გამოსახული. თოვლის კაცი. ჩამოგრძელებული სახე ჰქონდა, თითქოს დნებოდა და იღვენთებოდა. თვალები ჩაშავებოდა, თხელი და გრძელი სტაფილო კი ქვევით იყო მიმართული. ჰარიმ დასტა გადაათვალიერა, ყველა ფურცელზე თითო ფიგურა იყო გამოსახული. ყველგან თოვლის კაცები. მეტწილად მხოლოდ თოვლის კაცების თავები. „ნიღბები, — გაიფიქრა ჰარიმ, — სიკვდილის ნიღბები". ერთ-ერთ ნიღაბს ფრინველის ნისკარტი, პატარა ადამიანური ხელები და ფრინველის ფეხები ჰქონდა. ჰარიმ ისეთი ნიღაბიც იპოვა, რომელსაც ღორის დინგი და ცილინდრი ჰქონდა მიხატული.

ჰარიმ ოთახის მეორე ბოლოს ჩხრეკა დაიწყო. საკუთარ თავს დაახლოებით იგივე უთხრა, რაც მაშინ კატრინს — კუნძულ ფინიოიზე: „მოლოდინისგან დაიცარიელე თავი და მიმოიხედე. ნუ ეძებ". ყველა კარადა და უჯრა გაჩხრიკა, სამზარეულოს მოწყობილობები დაათვალიერა, შემდეგ კი მისი სუნამოს სუნით გაჟღენთილ სააბაზანოში შევიდა და სარეცხი საშუალებები, ტანსაცმელი, ეგზოტიკური შამპუნები და უცნაური

ნელსაცხებლები შეამოწმა. საშხაპეს ძირი სველი იყო, პირსაბანზე კი ბამბის ტამპონი იდო, რომელზეც წამწამების ტუშის კვალი ჩანდა. ჰარი გარეთ გამოვიდა. არ იცოდა, რას ეძებდა, მაგრამ ის კი ზუსტად იცოდა, რომ ის, რასაც ეძებდა, იქ არ იყო. წელში გაიმართა და მიმოიხედა.

არა.

აქ იყო. უბრალოდ ჯერ ვერ ახერხებდა პოვნას.

თაროდან წიგნები გადმოყარა, სამზარეულოს კარადა გამოაღო და შეამოწმა, ჰქონდა თუ არა ამ ბინას საიდუმლო საცავები იატაკში ან კედლებში. ნიშში მდგარი საწოლის ლეიბიც გადმოიღო. როგორც იქნა, მორჩა ჩხრეკას. ყველაფერი შეამოწმა. განსაკუთრებული ვერაფერი იპოვა, მაგრამ მაინც კმაყოფილი იყო, იმიტომ, რომ ყველა ჩხრეკას ერთი წინა პირობა აქვს — რაიმეს ვერპოვნა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც რაიმეს პოვნა. და ახლა იცოდა, რაც ვერ იპოვა. საათზე დაიხედა და არეული ბინის დალაგება დაიწყო.

როდესაც ნახატები დადო ადგილზე, გაახსენდა, რომ პრინტერი არ შეუმოწმებია. ზედა ფურცელი გაყვითლებულიყო. ჩვეულებრივ საკანცელარიო ქაღალდზე სქელი იყო და უცნაური სუნი ასდიოდა. სუნელბდაყრილსა და დამწვარს ჰგავდა. მაგიდის სანათი აანთო და ქაღალდი მის ზემოთ გააჩერა. თითქოს წყლის ნიშნებს ეძებდა. და იპოვა კიდეც. ელექტრონათურის შუქზე მარჯვენა დაბალ კუთხეში, ფურცლის ბოჭკოებს შორის, წყლის ნიშნის მსგავსი რაღაც მოჩანდა. კისრის ძარღვები გაუფართოვდა, სისხლი აუჩქროლდა, იმიტომ, რომ მისი გონება მეტ ჟანგბადს ითხოვდა.

ჰარიმ კომპიუტერი ჩართო. კიდევ ერთხელ დახედა საათს. ოპერაციული სისტემისა და პროგრამების ჩატვირთვას დიდი დრო დასჭირდა. ძიების ფუნქციაში შევიდა, საჭირო სიტყვა ჩა-

წერა და შემდეგ მაუსით „ძიების” ღილაკს დააჭირა. ეკრანზე ანიმაციური ძაღლი გამოჩნდა, რომელიც დახტოდა და უხმოდ ყეფდა — ცდილობდა, ძიების დრო შეემცირებინა. როდესაც დოკუმენტების სკანირება დასრულდა, ჰარიმ ის ტექსტი წაიკითხა, რომელიც ამის შემდეგ გამოჩნდა ეკრანზე. მან მზერა იმ განყოფილებაზე მიმართა, სადაც აღნიშნული იყო, რომ ჰარის მიერ აკრეფილი სიტყვის შესაფერისი ვერაფერი მოიძებნა კომპიუტერში. შეამოწმა, რამდენად სწორად ჰქონდა ჩაწერილი სიტყვა „ტუვუმბა”. თვალები დახუჭა. კომპიუტერი კმაყოფილ კატასავით კრუტუნებდა. შემდეგ კრუტუნი შეწყდა. ჰარიმ თვალები გაახილა და ეკრანზე წაიკითხა: One item matched your search [30] კურსორი word-ის დოკუმენტზე მიიტანა. ყვითელი ოთხკუთხედი გამოხტა, რომელზეც ეწერა: Date modified: 9 september[31] როდესაც ორჯერ დააწკაპუნა, იგრძნო, რომ თითები უცახცახებდა. ოთახი მოკლე ტექსტის თეთრმა ფონმა გაანათა. ეჭვიც აღარ ეპარებოდა. ეს წარწერა იმ ტექსტის იდენტური იყო, რომელიც ჰარის წერილის სახით გამოუგზავნა „თოვლის კაცმა”.

---

[30] თქვენს საძიებელ სიტყვას ერთი ფაილი დაემთხვა (ინგლ)

[31] ბოლო ცვლილებები, შეტანილია 9 სექტემბერს (ინგლ)

თავი XXV

მეოცე დღე. დედლაინი

არვე სტიოპი ოსაკაში, „მისუკუს” სახელით ცნობილ ქარხანაში ექსკლუზიური შეკვეთით აწყობილ ლოგინში იწვა, რომელიც დამზადების შემდეგ ინდოეთის ქალაქ ჩენაიში გადაიგზავნა და, გამომდინარე იქიდან, რომ ტამილნადის შტატის კანონმდებლობით ასეთი ტიპის ტყავის პირდაპირი ექსპორტი იკრძალება, შეკვეთის მიცემიდან ექვს თვეში მოხერხდა ოსლოში ჩამოტანა. მაგრამ ლოდინად ნამდვილად ღირდა. გეიშასავით იდეალურად ესადაგებოდა მის სხეულს, ეხმარებოდა იქ, სადაც საჭირო იყო, და საშუალებას აძლევდა, ნებისმიერი მდგომარეობა მიეღო.

არვე ჭერის ვენტილატორის მოძრაობას აკვირდებოდა.

კატრინი ლიფტით ამოდიოდა. ტელეფონით საუბრისას უთხრა, რომ საძინებელში ელოდებოდა და კარი ღია ჰქონდა დატოვებული. აბრეშუმის განიერი ტრუსების სიგრილე მის ალკოჰოლით შემთბარ სხეულს სასიამოვნოდ ელამუნებოდა.

Bose-ს აუდიოსისტემაში Café del Mar-ის კომპაქტდისკი იდო და მუსიკა პატარა კომპაქტური დინამიკებიდან ისმოდა, რომლებიც ბინის ყველა ოთახში იყო დამალული.

სასტუმრო ოთახის პარკეტზე მისი ფეხსაცმლის ქუსლები აკაკუნდა. ნელი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით მოიწევდა მისკენ. „ნეტავ იცოდეს, რა ელის...”

კაცმა ხელი ქვეშაგებში ჩააცურა. მისმა თითებმა იპოვეს ის, რასაც ეძებდნენ. და აი, კატრინიც გამოჩნდა ზღურბლთან. ფიორდის თავზე მობდღვრიალე მთვარის შუქზე მისი სილუეტი

გამოიკვეთა. ქალი ცალყბად იღიმებოდა. ტყავის გრძელი შავი პალტოს ქამარი მოაბოშა. პალტო იატაკზე დავარდა. არვე სტიოპს სუნთქვა შეეკრა, მაგრამ ქალს ჯერ კიდევ ეცვა კაბა. საწოლს მიუახლოვდა და კაცს რეზინის ნივთი მიაწოდა, ნიღაბი იყო. ვარდისფერი ცხოველის ნიღაბი.

— გაიკეთე, — ცივი, საქმიანი კილოთი თქვა ქალმა.

— უყურე შენ! — თქვა კაცმა, — ღორის სახე!

— გააკეთე, რაც გიბრძანე, — თქვა ქალმა და მის თვალებში ისევ გაკრთა ის ცეცხლი, რომელიც არვემ პირველად წვეულებაზე შენიშნა.

— **Mais oui, madame, Mais oui, madame**[32] — . არვე სტიოპმა გაიკეთა ნიღაბი, რომელიც სრულად ფარავდა მის სახეს და იმ ხელთათმანების სუნი ჰქონდა, რომელსაც ჭურჭლის რეცხვისას იყენებენ. ქალის დანახვას მხოლოდ თვალებისთვის დატოვებული პატარა ნაპრალებიდან ახერხებდა.

— მე კი მინდა, რომ... — წამოიწყო არვემ და საკუთარ ხმას დაუგდო ყური. მისი საუბარი უცნაურად, მოგუდულად ისმოდა. და ამ დროს საშინელი ტკივილი იგრძნო მარცხენა ყურთან.

— ენა ჩაიგდე! — დაიყვირა ქალმა.

როგორც იქნა, მიხვდა, რომ ქალმა დაარტყა. იცოდა, რომ თავი უნდა შეეკავებინა, სხვა შემთხვევაში ქალის როლურ თამაშს გააფუჭებდა, მაგრამ უბრალოდ თავს ვერ იკავებდა. ძალიან სასაცილო იყო. ღორის ნიღაბი! წებოვანი ვარდისფერი რეზინი ღორის ყურებით, დინგითა და ეშვებით. კაცს ხარხარი აუვარდა. მეორე დარტყმა მუცელში მიიღო. ძალიან ძლიერად დაარტყეს და ამიტომ ორად მოიკეცა და საწოლზე გადავარდა. სანამ თვალთ არ დაუბნელდა, ვერც კი მიხვდა, რომ ვერ სუნთქავდა. სასოწარკვეთილი არვე ცდილობდა, მჭიდროდ მოტ-

---

[32] *დიახ, ქალატონო (ფრანგ)*

მასნილი ნიღბის ქვეშ ესუნთქა და ამ დროს იგრძნო, როგორ გადაუტრიალა ქალმა მკლავები ზურგს უკან. ბოლოს და ბოლოს, მიაღწია მის ტვინამდე და მაშინვე იგრძნო ტკივილი, ტკივილი და მძვინვარება. წყეული ძროხა! ნეტავ რას ფიქრობდა, ამას რომ აკეთებდა?! შეეცადა, თავი გაეთავისუფლებინა და დაეჭირა, მაგრამ ხელები აამოძრავა და იგრძნო, რომ მაჯებში რაღაც ბასრი ჩაერჭო. ხელბორკილები? გარყვნილი ქალი!

ქალმა ხელი ჰკრა და არვე წამოჯდა.

— ხედავ ამას? — ჩურჩულით თქვა ქალმა.

მაგრამ არვეს ნიღაბი გვერდით მოექცა და ამიტომ ვეღარაფერს ხედავდა.

— არ მჭირდება დანახვა, — თქვა კაცმა, — სუნით ვხვდები, რომ შენი საშოა.

ამჯერად საფეთქელში მოხვდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ვიღაც კომპაქტდისკს ახვევდა, და როდესაც სმენა დაუბრუნდა და მუსიკის ხმა გაიგონა, აღმოაჩინა, რომ ისევ საწოლზე იჯდა. იგრძნო, რომ ლოყაზე რაღაც ჩამოსდიოდა.

— რა დამარტყი? — იყვირა მან, — სისხლი მდის, შე არანორმალურო!

— აი, ეს.

არვე სტიოპმა იგრძნო, რომ რაღაც მტკიცე სხეული ძლიერად აწვებოდა ცხვირსა და პირზე.

— უსუნე, — თქვა ქალმა, — არ მოგწონს? ფოლადისა და იარაღის ზეთის სუნია. Smith & Wesson. ყველაფრისგან გამორჩეული სუნი აქვს, არა? მაგრამ ამას დენთისა და კორდიტის სუნი სჯობს. საინტერესოა, მოგიწევს თუ არა ოდესმე მაგ სუნის ყნოსვა.

არვე სტიოპი თავს კი არწმუნებდა, რომ უბრალოდ ძალის-

მიერ თამაშს თამაშობდა, როლურ თამაშს, მაგრამ რაღაც სხვას ამჩნევდა. ამ ქალის ხმაში რაღაც უცნაური იგრძნობოდა. მთლიანად სიტუაცია იყო უცნაური. რაღაც ისეთი, რაც მომხდარს სულ სხვა კუთხით წარმოაჩენდა. და პირველად ამდენი ხნის მანძილზე — პირველად მისი ბავშვობის შემდეგ — იმ პერიოდის შემდეგ, რომელსაც ვეღარც კი იხსენებდა (და ამიტომ საკუთრივ ეს გრძნობა დავიწყებოდა), არვე სტიოპმა შენიშნა, რომ ეშინოდა.

* * *

— დარწმუნებული ხარ, რომ გათბობის ჩართვა არ ღირს? — იკითხა ბიორნ ჰოლმმა და ტყავის პიჯაკში ჩაიფუთნა, — თავის დროზე „ამაზონმა" თავისი ჯოჯოხეთივით ღუმლით გაითქვა სახელი.

ჰარიმ თავი გააქნია და საათზე დაიხედა. ორის ნახევარი. უკვე ერთ საათზე მეტი იყო გასული, რაც ბიორნ ჰოლმმა კატრინის სახლთან გააჩერა მანქანა და მას შემდეგ ამ მანქანაში ისხდნენ. ცარიელ ქუჩებზე მოლურჯო-მონაცრისფრო ღამე ჩამოწოლილიყო.

— თავიდან „კალიფორნიული თეთრის" შეფერილობა ჰქონდა, — განაგრძო ბიორნ ჰოლმმა, — Volvo-ს ფერთა სტანდარტით 42-ე ნომერია, მაგრამ ყოფილმა მფლობელმა შავად გადაღება. ახლა ძველ, ვეტერან მანქანად ითვლება. საგზაო გადასახადად წელიწადში 365 კრონს ვიხდი, ანუ დღეში ერთ კრონს...

ბიორნ ჰოლმმა დაინახა, როგორ გადმოხედა ჰარიმ, დადუ-

მდა და დევიდ როულინგისა და ჯილიან უელჩის სიმღერა ჩართო. თანამედროვე შემსრულებლებიდან მხოლოდ ამ ორის სიმღერებს იტანდა და ამიტომ მათი სიმღერები დისკიდან კასეტაზე გადაწერა. თუმცა არა მხოლოდ იმიტომ, რომ კასეტის ახალ პლეიერში მოესმინა, რომელიც მანქანაში დაამონტაჟა. ბიორნ ჰოლმი მელომანების იმ პატარა, მაგრამ ჯერ კიდევ დაუმარცხებელ ნაწილს ეკუთვნოდა, რომელსაც მიაჩნია, რომ კომპაქტდისკი ვერასდროს შეძლებს იმ უნიკალური, თბილი ჟღერადობის რეპროდუქციას, რომელიც კასეტას აქვს.

ბიორნ ჰოლმმა იცოდა, რომ ნერვიულობის გამო ლაპარაკობდა ამდენს. ჰარიმ მხოლოდ ის უთხრა, რომ კატრინი გუნდიდან უნდა გაერიცხათ, თან დაეკითხათ და მომდევნო კვირების მანძილზე ჰოლმს ბევრად მარტივი ცხოვრება ექნებოდა, თუკი ამ შიდა გამოძიების დეტალები არ ეცოდინებოდა. ბიორნ ჰოლმი საკმარისად მშვიდი, უდარდელი და ჭკვიანი ადამიანი იყო იმისთვის, რომ პრობლემები დამატებით შეექმნა. თუმცა ეს არ ნიშნავდა იმას, რომ ეს სიტუაცია მოსწონდა. მან საათზე დაიხედა.

— ვიღაც კაცთანაა სტუმრად.

— რატომ გგონია?

— იმიტომ, რომ გათხოვილი არ არის. შენ არ მითხარი, ქმარი არ ჰყავსო? დღევანდელი მარტოხელა ქალები ჩვენნაირები არიან. მარტოხელა კაცებივით იქცევიან.

— რას გულისხმობ?

— ოთხ ნაბიჯს — გადი გარეთ, შეათვალიერე ფარა, ამოირჩიე ყველაზე სუსტი საკბილო და შეუტიე.

— ჰმ... შენ ოთხი ნაბიჯი გჭირდება?

— პირველი სამი, — თქვა ბიორნ ჰოლმმა, რომელმაც სარკე გაასწორა და თმა შეითვალიერა, — ამ ქალაქში მხოლოდ გად-

ამგდები ქალები ცხოვრობენ.

ადრე ბიორნ ჰოლმი თმის ზეთს ხმარობდა, მაგრამ შემდეგ დაასკვნა, რომ ასეთი საშუალების გამოყენება მეტისმეტად რადიკალური ნაბიჯი იყო. მაგრამ, მეორე მხრივ, შესაძლოა, ეს სწორედ ის იყო, რაც სჭირდებოდა. თავისი ტრადიციებისთვის არ უნდა ეღალატა.

— ჯანდაბა! — აფეთქდა ჰარი, — ჯანდაბა! ჯანდაბა! ჯანდაბა!

— რა ხდება?

— საშხაპე. სუნამო, ტუში. მართალი ხარ, — თქვა ინსპექტორმა, ტელეფონი ამოიღო და მანიაკური გზნებით აკრიფა ნომერი. მაშინვე უპასუხეს.

— გერდა ნელვიკი ბრძანდებით? ჰარი ჰოლე გაწუხებთ. ტესტები ხომ არ დაგისრულებიათ? გასაგებია. წინასწარი შედეგები ხომ არა გაქვთ?

ბიორნ ჰოლმი უყურებდა ჰარის, რომელმაც ორჯერ ჩაილაპარაკა „ჰმ" და სამჯერ „მართალია".

— გმადლობთ, — თქვა ჰარიმ, — მაინტერესებს, რომელიმე სხვა ოფიცერმა ხომ არ დაგირეკათ ამ საღამოს და იმავე შინაარსის... რაო? გასაგებია. დიახ, უბრალოდ დამირეკეთ, როდესაც ანალიზების პასუხები მზად იქნება.

ჰარიმ საუბარი დაასრულა.

— შეგიძლია, მანქანა დაქოქო, — თქვა მან.

ბიორნ ჰოლმმა ამნთებში გასაღები გადაატრიალა.

— რა ხდება?

— სასტუმრო „პლაზაში" უნდა მივიდეთ. კატრინ ბრატმა ინსტიტუტში დარეკა და მამობის დამდგენი ტესტის პასუხი მოიკითხა.

— ამ საღამოს? — იკითხა ბიორნ ჰოლმმა, ფეხი ჩამოსწია და პირდაპირ სკიოუს- პლასზე შეუხვია.

— უკვე აქვთ წინასწარი შედეგები, რომელმაც ოთხმოცდათხუთმეტპროცენტიანი ალბათობით დაადგინა მამობა. ამის შემდეგ სპეციალისტები შეეცდებიან, ეს ალბათობა ოთხმოცდაცხრამეტ მთელ და ცხრა მეათედ პროცენტამდე აიყვანონ.

— ოთხოცდათხუთმეტპროცენტიანი ალბათობით, ოსტერსენის ტყუპისა და იუნას ბეკერის მამა არვე სტიოპია.

— ღმერთო დიდებულო!

— ვფიქრობ, კატრინმა ამ საღამოს შენი მეთოდი გამოიყენა და მისი მსხვერპლი არვე სტიოპია.

ჰარიმ საგანგებო შტაბში დარეკა და დახმარება ითხოვა, ძველი, გარემონტებული ძრავა კი გრიუნერლიოკის წყნარ ქუჩებზე დახრიგინებდა. და როდესაც აკერსელვასთან სასწრაფო დახმარების სადგურს ჩაუარეს და სტურგატას ტრამვაის ხაზთან მოსრიალდნენ, მანქანის ღუმელმა მართლაც ძალიან ცხელი, ცეცხლივით მწველი ჰაერი გამოუშვა.

***

გაზეთ „ვერდენს განგის" რეპორტიორი ოდინ ნაკენი სასტუმრო „პლაზას" წინ, ტროტუარზე იდგა, იყინებოდა და მთელ მსოფლიოს წყევლიდა — ზოგადად, ხალხს და კონკრეტულად კი თავის სამუშაოს. როგორც ხვდებოდა, „ლიბერალის" წვეულებას ბოლო სტუმრები ტოვებდნენ. როგორც წესი, ისინი ყველაზე დიდ ინტერესს იწვევდნენ, იმიტომ, რომ მეორე დღის ჰედლაინების შექმნა შეეძლოთ. მაგრამ დედლაინი ახლოვდებოდა და ხუთ წუთში უნდა წასულიყო. აკერსგატაში მდებარე ოფისში უნდა დაეწერა. რედაქტორისთვის უნდა მიეწერა,

რომ უკვე გაიზარდა და აღარ სურდა ვიღაც მოზარდივით ფანჯრის მეორე მხრიდან ედევნებინა თვალი იმისთვის, რაც წვეულებაზე ხდებოდა. არ სურდა კართან დგომა იმ იმედით, რომ ვიღაც გამოვიდოდა და ეტყოდა, ვინ ვისთან იცეკვა, ვინ ვის უყიდა სასმელი და ვინ რომელი ვარსკვლავი შეაბა. ოდინი რედაქტორს მისწერდა, რომ სამსახურს ტოვებდა.

რამდენიმე ჭორს კი მოჰკრა ყური, მაგრამ ეს ცნობები მეტისმეტად ფანტასტიკური იყო იმისთვის, რომ დაებეჭდათ. არსებობდა რაღაც ზღვარი და დაუწერელი კანონები. კანონები, რომელთაც მისი თაობის ჟურნალისტები იცავდნენ. ყოველ შემთხვევაში, ისინი მაინც იცავდნენ.

ნაკენმა გარშემო მიმოიხედა. მის გარშემო კიდევ რამდენიმე ჟურნალისტი და ფოტოგრაფი იდგა და მორჩილად ელოდებოდა ნანადირევს. ან, უბრალოდ, მასავით გვიან აბარებდნენ მასალებს ცნობილი ადამიანების შესახებ.

უცებ მათ გვერდით დიდი სიჩქარით ჩაიქროლა „ვოლვო ამაზონმა", რომელიც წივილით შეახტა ტროტუარის ნაპირს.

მგზავრის სავარძლიდან გადმოხტა კაცი, რომელიც ოდინ ნაკენმა მაშინვე იცნო. ფოტოგრაფს ანიშნა და ორივე თავქუდმოგლეჯილი გაიქცა კარისკენ, რათა კარისკენ მიმავალი პოლიციელისთვის მიესწროთ.

— ჰარი ჰოლე, — ქოშინით თქვა ნაკენმა, როდესაც გამომძიებელს დაეწია, — რას აკეთებს აქ პოლიცია?

პოლიციელს ჩაწითლებული თვალები ჰქონდა.

— წვეულებაზე მივდივარ, ნაკენ. სად ტარდება?

— სონია ჰენის დარბაზში, მაგრამ როგორც ვხვდები, წვეულება უკვე დასრულდა.

— ჰმ... არვე სტიოპი ხომ არ გინახავს?

— ადრე წავიდა სახლში. რამე საქმე გაქვს მასთან?

— არა. მარტო იყო?

— საქმეში ჩაუხედავი ადამიანი იფიქრებდა, რომ მარტო წავიდა.

ინსპექტორი მოულოდნელად შეჩერდა და ჟურნალისტისკენ მიტრიალდა.

— რას გულისხმობ?

ოდინ ნაკენმა თავი შეაბრუნა. ჯერჯერობით, ვერ ხვდებოდა, რა ხდებოდა, მაგრამ აშკარად რაღაც სენსაციური ამბავი მწიფდებოდა.

— გავრცელდა ჭორები, რომ არვე სტიოპი ვიღაც მიმზიდველ ქალს გამოელაპარაკა. როგორც ამბობენ, ის ქალი ეპრანჭებოდა. თუმცა სამწუხარო ისაა, რომ ისეთი არაფერი მომხდარა, რაც დასაბეჭდად ივარგებდა.

— საქმეზე გადადი, — დაიხუვლა ინსპექტორმა.

— ის ქალი წვეულებიდან სტიოპზე ოცი წუთით გვიან გამოვიდა და ტაქსიში ჩაჯდა.

ჰოლე მაშინვე შებრუნდა და იქით გაემართა, საიდანაც მოვიდა. ოდინი თან გაჰყვა.

— და შენ არ გაჰყევი, ნაკენ?

ოდინ ნაკენმა ყურადღება არ მიაქცია სარკაზმს. ასეთი ფრაზები საერთოდ არ მოქმედებდა მასზე. უკვე.

— ის ქალი ვარსკვლავი არ არის. ტაბლოიდებისთვის არაა საინტერესო ვარსკვლავი, რომელიც რიგით ადამიანს ეჩალიჩება. თუკი შეიძლება ასე ითქვას. თუმცა, თუკი თავად ის ქალი მოინდომებს რაიმეს თქმას, მაშინ, რა თქმა უნდა, მივიღებთ მასალას. ის ქალი კი დიდი ხანია, წასულია.

— როგორ გამოიყურებოდა?

— გამხდარი, შავგვრემანი, ლამაზი ქალი იყო.

— რა ეცვა?

— ტყავის გრძელი შავი პალტო.

— გმადლობ, — თქვა ჰოლემ და „ამაზონში” ჩახტა.

— ჰეი, — დაიყვირა ნაკენმა, — და მე რა ხეირს მივიღებ აქედან?

— ღამის მშვიდ ძილს, — გასძახა ჰარიმ, — რადგანაც გეცოდინება, რომ შენი ქალაქის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მონაწილეობდი.

ოდინ ნაკენი მძვინვარედ გაჰყურებდა ავტორბოლის ზოლებით დამშვენებულ მანქანას, რომელიც სწრაფად და სიცილის მსგავსი ხმაურით შორდებოდა იქაურობას. დრო იყო, მასაც დაეტოვებინა ეს ადგილი, დრო იყო, სამსახური დაეტოვებინა. უნდა გაზრდილიყო.

— დედლაინი არ დაგავიწყდეს, — თქვა ფოტოგრაფმა, — მთელი ეს ნაგავი სტატიად უნდა ვაქციოთ.

ოდინ ნაკენმა შვებით ამოისუნთქა.

***

ნიღბის გამო არვე სტიოპი ვეღარაფერს ხედავდა და იმაზე ფიქრობდა, თუ რითი იყო დაკავებული მისი სტუმარი, რომელმაც საბაზანოში შემოაგდო, ნეკნებზე დაადო ის ნივთი, რომელსაც თავად რევოლვერი უწოდა და უბრძანა, აბაზანაში ჩასულიყო. თვითონ ის ქალი სად იყო ამ დროს? არვემ სუნთქვა შეიკრა, რათა სხვა ხმები გაეგონა. საკუთარი გულისცემა და რაღაც ელექტრომოწყობილობის ზუზუნი მოესმა. ნეონის ერთ-ერთი ნათურა ხომ არ იყო? საფეთქლიდან წამოსული სისხლი პირამდე ჩამოუვიდა. ენის წვერით იგრძნო ლითონის

მოტკბო გემო.

— სად იყავი იმ ღამით, როდესაც ბირტე ბეკერი დაიკარგა? — მისი ხმა იმ ადგილიდან ისმოდა, სადაც წყლის ბაკანი იდგა.

— შინ ვიყავი. აქ, — თქვა ჰარიმ და შეეცადა ეფიქრა. ქალმა უთხრა, პოლიციიდან ვარო. და მხოლოდ ამის შემდეგ გაახსენდა, სად ჰყავდა მანამდე ნანახი — კერლინგის კლუბში.

— მარტო?

— ჰო.

— და იმ ღამეს, როდესაც სილვია ოტერსენი მოკლეს?

— მაშინაც შინ ვიყავი.

— მარტო იყავი მთელი საღამო და არავისთან გილაპარაკია?

— ჰო, მარტო ვიყავი და არავისთან მისაუბრია.

— ანუ ალიბი არა გაქვს?

— ხომ გეუბნები, აქ ვიყავი.

— კარგი.

„კარგი“? — გაიფიქრა სტიოპმა. რატომ იყო კარგი, რომ ალიბი არ ჰქონდა? რა უნდოდა ამ ქალს? აღიარებითი ჩვენების ძალისმიერი გზით მიღება სურდა? და რატომ ეჩვენებოდა, რომ ამ ელექტრომოწყობილობის ზუზუნის ხმა ახლოვდებოდა მაშინ, როდესაც მისი მტარვალი მისკენ დგამდა ნაბიჯს?

— დაწექი, — თქვა ქალმა.

არვე ისე მოიქცა, როგორც უბრძანეს. აბაზანის ემალის სიცივემ ზურგსა და თეძოებზე უკბინა. ამონასუნთქის გამო ნიღაბი დაიორთქლა და ამის გამო რესპირაცია კიდევ უფრო გაუჭირდა. კიდევ ერთხელ გაიგონა ხმა. ქალი მის გვერდით იდგა.

— როგორ სიკვდილს ისურვებდი?

სიკვდილს? ეს ქალი მართლა შეშლილი იყო. გიჟი. სულმთ-

ლად გადარეული. თუ ვინ იყო საერთოდ? კაცმა თავის თავს ურჩია, გონება მოეკრიბა და მშვიდად ყოფილიყო. ამ ქალს მხოლოდ მისი დაშინება სურდა. იქნებ მის ზურგს უკან ჰარი ჰოლე დგას? იქნებ ის ლოთი პოლიციელი სათანადოდ ვერ დააფასა? სულ მთლად აკანკალდა. ისე ცახცახებდა, რომ თავისი Tag Heuer-ის ფირმის მაჯის საათის ემალზე ცემის ხმა ესმოდა. თითქოს მისმა სხეულმა უკვე მიიღო ის, რასაც მისი ტვინი ვერ იღებდა. კეფა აბაზანის კიდეს მიადო და შეეცადა, ნიღაბი გაესწორებინა, რათა თვალებისათვის დატოვებული პატარა ხვრელებით მაინც დაენახა, რაც მის გარშემო ხდებოდა. არვე სტიოპი კვდებოდა.

აი, ამიტომ ჩასვა აბაზანაში! ასე გაცილებით ნაკლებად მოსვრიდა აქაურობას და კვალსაც უფრო ადვილად გააქრობდა. „სისულელეა! შენ არვე სტიოპი ხარ, ის კი პოლიციელია. მათ არაფერი იციან".

— კაი, — თქვა ქალმა, — თავი ასწიე.

ნიღაბი. როგორც იქნა. ისე მოიქცა, როგორც უბრძანეს. იგრძნო, რომ ქალის ხელები მის კეფასა და შუბლს ეხებოდა, მაგრამ ნიღაბი არ მოხსნა. შემდეგ ხელები მოაშორა. კისერზე რაღაც თხელი და ძლიერი უჭერდა. „ეს რაღაა! ყულფი?!"

— არ... — წამოიწყო მან, მაგრამ გაჩუმდა, იმიტომ, რომ ყულფი სასულეზე მოუჭირეს. ხელბორკილები აბაზანის ძირს ფხაჭნიდა და კაწრავდა.

— ყველა შენი მოკლულია, — თქვა ქალმა და ყულფი კიდევ უფრო მეტად მოუჭირა, — შენ ხარ „თოვლის კაცი", არვე სტიოპ.

როგორც იქნა. როგორც იქნა, თქვა ის, რაზეც ფიქრობდა. არვეს ტვინს სისხლი არ ჰყოფნიდა და ამიტომ კაცი გონებას კარგავდა. გააფთრებით აქნევდა თავს აქეთ- იქით.

— ჰო, შენ ხარ, — თქვა ქალმა, და როდესაც ყულფი შეარხია, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ კაცს თავი მოსწყდა, — წინასწარ იყო განსაზღვრული, რომ შენ იქნებოდი.

და უცებ ჩამობნელდა. ფეხი ასწია, მაგრამ მაშინვე აბაზანის ზედაპირზე დაუვარდა. კაცი უმწეოდ ურტყამდა აბაზანას ქუსლს. მოულოდნელად ყრუ ხმაური გაისმა.

— გიგრძნია ოდესმე ტკივილის ასეთი შეტევა, სტიოპ? ტვინი საკმარისი რაოდენობის ჟანგბადს ვერ იღებს. სასიამოვნოა, არა? ჩემს ყოფილ ქმარს უყვარდა მასტურბირება მაშინ, როდესაც ვგუდავდი.

შეეცადა, დაეყვირა. ეცადა, ჰაერის ის მცირე დოზა მაინც გამოეყენებინა, რაც ორგანიზმში ჰქონდა დარჩენილი მას შემდეგ, რაც რკინის მარყუჟი მოუჭირეს, მაგრამ არ გამოუვიდა. ღმერთო, ანუ აღიარებაც კი არ უნდოდა? კაცს რაღაც სტვენა ესმოდა ტვინში. რაღაც შამპანურის ბუშტების შიშინის მსგავსი. ასე უნდა მომხდარიყო ყველაფერი? ასე მარტივად? კაცს არ სურდა, ყველაფერი ასე მარტივად ყოფილიყო.

— სასტუმრო ოთახში დაგკიდებ, — გაისმა ხმა მის ყურთან და არვემ იგრძნო, რომ ქალი თავზე უთათუნებდა ხელს, — ფიორდის წინ, კარგი ხედი რომ გქონდეს.

ამის შემდეგ კაცმა რაღაცის წრიპინი გაიგონა, რომელიც გულის მუშაობის მაკონტროლებელი მონიტორის სიგნალს მიამსგავსა. ისეთს, როგორიც კინოფილმებშია. და ეს სიგნალი მაშინ ირთვება, როდესაც ტეხილი ხაზი სწორდება და გულისცემა წყდება.

თავი XXVI

მეოცე დღე.სიჩუმე

ჰარიმ კიდევ ერთხელ დარეკა არვე სტიოპის კარის ზარი. ვიღაც მარტოხელა, ხელმოცარული ადამიანი არხის ხიდზე დადიოდა და თვალს არ აცილებდა შავ "ამაზონს", რომელიც აკერ-ბრიუგეში, მანქანებისგან თავისუფალ მოედანზე გაეჩერებინათ.

— თუ მართლა ქალი ჰყავს აყვანილი, არ გაგიღებს, ალბათ, — თქვა ბიორნ ჰოლმმა და სამი მეტრი სიმაღლის მინის კარს ახედა.

ჰარიმ სხვა ღილაკებსაც დააჭირა.

— აქ მხოლოდ ოფისებია, — თქვა ბიორნ ჰოლმმა, — სტიოპი მარტო ცხოვრობს ბოლო სართულზე. წაკითხული მაქვს.

ჰარიმ მიმოიხედა.

— არა, — წამოიძახა ბიორნ ჰოლმმა. მიხვდა, რაზეც ფიქრობდა ჰოლე, — ძალაყინი არ იმუშავებს, და თანაც შეჯავშნულ მინას ვერ გატეხ. უნდა დაველოდოთ, სანამ დაცვ...

ჰარი მანქანასთან დაბრუნდა. ბიორნ ჰოლმი ვეღარ ხვდებოდა, რა ჰქონდა გადაწყვეტილი დეტექტივს. მაგრამ როდესაც ჰარი მძღოლის სავარძელზე დაჯდა, ბიორნს გაახსენდა, რომ მანქანის გასაღები ამნთებში დარჩენოდა და ყველაფერს მიხვდა.

— არა, ჰარი! არა! ნუ...

მისი ხმა ძრავის ღმუილმა ჩაახშო. მანქანის ბორბლები ადვილად გასრიალდა სველ ზედაპირზე. ბიორნ ჰოლმი ხელის ქნევით გადაუდგა წინ, მაგრამ შემდეგ ჰარის მკაცრ მზერას მო

ჰკრა თვალი და გზა დაუთმო. “ამაზონი” ბამპერით შეეჯახა კარს, რომელმაც ყრუ ხმა გამოსცა და თეთრ კრისტალებად იქცა. ერთი უხმაურო წამი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მინის გრანულები ჩამოფშვნილიყო. ნამსხვრევები იატაკზე დაიყარა. სანამ ბიორნი მანქანის დაზიანებებს დაათვალიერებდა, ჰარი მანქანიდან გადმოვიდა და შენობის იმ შესასვლელში შეიჭრა, სადაც ცოტა ხნის წინ მინის კარი იყო აღმართული.

ბიორნი გინებით დაედევნა. ჰარიმ ადამიანის სიმაღლის პალმის ქოთანს სტაცა ხელი, ლიფტამდე მიათრია და გამოძახების ღილაკს დააჭირა. როდესაც ალუმინის პრიალა კარები გაიღო, ჰარიმ მათ შორის პალმის ქოთანი ჩადგა და გასასვლელის მწვანე ნიშნით დამშვენებული თეთრი კარისკენ გაიშვირა თითი.

— თუ სახანძრო გასასვლელს გადაკეტავ, მე მთავარი კიბით ავალ და ამ გზით შენობის ბლოკირებას მოვახდენთ. მეშვიდე სართულზე შევხვდებით, ჰოლმ.

ბიორნ ჰოლმს რკინის ვიწრო კიბეზე ასვლა უწევდა და ამიტომ მესამე სართულზე ასვლამდე გაიხვითქა. არ იყო მზად ასეთი პერიპეტიებისთვის.

ბოლოს და ბოლოს, ექსპერტ-კრიმინალისტი იყო, და არა ოპერატიული მუშაკი! იგი სიტუაციების რეკონსტრუირების სპეციალისტი იყო, და არა დრამების შექმნის.

უცებ გაჩერდა. მხოლოდ მისი ქოშინისა და ნაბიჯების ხმის ექო ისმოდა. რა უნდა ექნა, თუკი ვინმეს გადაეყრებოდა? ჰარიმ უთხრა, რომ ტაბელური იარაღი წამოეღო და ისე მისულიყო სეიდუკსგატაში, მაგრამ განა იმას გულისხმობდა, რომ ამ რევოლვერის გამოყენება გახდებოდა საჭირო? ბიორნმა კიბის მოაჯირს ჩასჭიდა ხელი და ისევ აქოშინდა. რას იზამდა ამ

შემთხვევაში ჰენკ უილიამსი? გამოთვრებოდა. სიდ ვიშეზი?[33] შუათითს ასწევდა და აითესებოდა. ელვისი? ელვის პრესლი. ზუსტად. ბიორნ ჰოლმმა რევოლვერი ამოიღო.

ჰოლმმა კიბე აიარა და დერეფნის ღია კარში ჰარი დაინახა, რომელიც სულ ბოლოში იდგა და ზურგით ბინის ყავისფერი კარის წინ აღმართულ კედელს მიჰყრდნობოდა. ცალ ხელში რევოლვერი ეჭირა, მეორე კი მაღლა აეწია, თითი ტუჩთან მიიტანა და კარზე მიუთითა. კარი ღია დახვდა.

— მოდი, ყველა ოთახი მოვიაროთ ერთმანეთის მიყოლებით, — ჩურჩულით თქვა ჰარიმ, როდესაც ბიორნი მიუახლოვდა, — შენ მარცხნივ, მე მარჯვნივ. სინქრონულად. ერთმანეთთან ზურგშექცევით... და სუნთქვა არ დაგავიწყდეს.

— მოიცა, — ჩაიჩურჩულა ბიორნმა, — როგორ მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, თუკი კატრინი აქ დაგვხვდება?

ჰარი უხმოდ მიაჩერდა ჰოლმს.

— ანუ იმას ვგულისხმობ, რომ... — თქვა ბიორნ ჰოლმმა, რომელიც ცდილობდა, გასაგებად განემარტა, რა იგულისხმა, — უარეს შემთხვევაში მე... კოლეგას უნდა ვესროლო?

— უარეს შემთხვევაში კოლეგა თავად გესვრის, — თქვა ჰარიმ, — მზად ხარ?...

ახალგაზრდა სკრეიელმა ექსპერტმა თავი დაუქნია და საკუთარ თავს პირობა მისცა, რომ თუკი ეს ყველაფერი კარგად დასრულდებოდა, ისევ დაიწყებდა იმ წყეული თმის ზეთის ხმარებას.

ჰარიმ უხმაუროდ, ფეხის მოძრაობით შეაღო კარი და ბინაში შევიდა. მაშინვე იგრძნო ორპირი ქარი. მარჯვნიდან პირველ კარს მიაღწია. მარჯვენა ხელით რევოლვერი შემართა და

---

[33] *ბრიტანელი მუსიკოსი, ბასისტი*

მარცხენა ხელით კი კარის სახელურს სწვდა, მიაწვა და გამოაღო.

კაბინეტი აღმოჩნდა, რომელშიც არავინ დახვდა. სამუშაო მაგიდის უკან ნორვეგიის დიდი რუკა იყო გაკრული, რომელზეც ქინძისთავები იყო გარჭობილი.

ჰარი დერეფანში დაბრუნდა, სადაც ჰოლმი ელოდებოდა. გამომძიებელი ბიორნს მიუახლოვდა. იარაღი ჯერ კიდევ შემართული ჰქონდა.

ფეხაკრეფით გააგრძელეს სვლა.

სამზარეულო, ბიბლიოთეკა, სავარჯიშო ოთახი, ორანჟერეა, მისაღები... ყველა ოთახი ცარიელი დახვდათ.

ჰარიმ იგრძნო, რომ გრილოდა. და როდესაც სასტუმრო ოთახში შევიდა, მიხვდა ამის მიზეზს. ტერასასა და აუზზე გამავალი გორგოლაჭებიანი კარი ღია იყო და ქარი თეთრ ფარდებს აფრიალებდა. ოთახის ორივე მხარეს პატარა ბილიკი იყო გაყვანილი და თითოეული მათგანი კარით სრულდებოდა. ჰარიმ ჰოლმს ანიშნა, მარჯვენა ბილიკი დაეკავებინა, თავად კი მარცხენას მიჰყვა.

დეტექტივმა სუნთქვა შეიკრა, მოემზადა და კარი გააღო.

სიბნელეში საწოლი, თეთრი ზეწარი და ადამიანის სხეულის მსგავსი რამ შეამჩნია. მარცხენა ხელით შუქის ჩამრთველის ძებნა დაიწყო, რომელიც კარის მახლობლად უნდა ყოფილიყო.

— ჰარი!

ჰოლმი ეძახდა.

— აქეთ, ჰარი!

ჰოლმი აღელვებული ჩანდა, მაგრამ ჰარიმ წაუყრუა და მთელი ყურადღება ოთახში გამეფებულ სიბნელეს მიაპყრო. როგორც იქნა, იპოვა შუქის ჩამრთველი და იქაურობა უამრავ-

მა ნათურამ გაანათა. ოთახში არავინ იყო მის გარდა. ჰარიმ კარადები შეამოწმა და სასტუმრო ოთახში გავიდა. ჰოლმი მეორე კართან იდგა, ხელში პისტოლეტი ეჭირა და ოთახს უმიზნებდა.

— არ ინძრევა, — ჩაიჩურჩულა ჰოლმმა, — მკვდარია...

— ჰოდა, თუ ასეა, რა გაყვირებდა? — თქვა ჰარიმ, სააბაზანოში შევიდა, შიშველი მამაკაცის გვერდით დაიხარა და ღორის ნიღაბი მოხსნა. კისერზე წვრილი წითელი ხაზი მოუჩანდა, გასივებულ სახეზე ფერი დაჰკარგოდა, თვალები კი გადმოკარკლოდა. არვე სტიოპი თავის თავს აღარ ჰგავდა.

— კრიმინალურ ექსპერტებს დავურეკავ, — თქვა ჰოლმმა.

— მოიცადე, — უთხრა ჰარიმ და ხელი სტიოპის პირთან მიიტანა, შემდეგ კი რედაქტორის მხარს სწვდა და შეანჯღრია.

— რას აკეთებ?

ჰარიმ უფრო მაგრად შეანჯღრია.

ბიორნმა ჰარის მხარზე დაადო ხელი.

— კი მაგრამ, ჰარი, განა ვერ ხედავ, რომ...

ჰარიმ უკან დაიხია. სტიოპმა თვალები გაახილა და ისე ამოისუნთქა, როგორც მყვინთავმა, რომელიც წყლის ზედაპირზე ამოდის. ღრმად და არაბუნებრივი ხმით სუნთქავდა.

— სად არის? — იკითხა ჰარიმ.

სტიოპი მზერის ფოკუსირებას ვერ ახერხებდა, ბოლოს კი გაუგებრად წაილუღლუღა რაღაც.

— აქ დამელოდე, ჰოლმ.

ჰოლმმა თავი დაუქნია და თავის კოლეგას შეხედა, რომელიც სააბაზანოდან გავიდა.

ჰარი არვე სტიოპის ბინის ტერასის კიდესთან იდგა. ქვევით, მისგან ოცდახუთ მეტრში, არხის შავი წყალი ბრწყინავდა. მთვარის შუქზე წყლის ზედაპირიდან ამოზრდილ ოჩოფეხებზე

შემდგარი ქალის ქანდაკება და უკაცრიელი ხიდი მოჩანდა. მოშორებით კი... წყლის ზედაპირზე რაღაც მოჩანდა. რაღაც მკვდარი თევზის მსგავსი. ტყავის შავი პალტო. გადახტა. მეშვიდე სართულიდან.

ჰარი ტერასის კიდეზე, ცარიელ საყვავილეებს შორის შედგა. გონებაში წარსულის ზმანებამ გადაურბინა. გაახსენდა ესტმარკა. და ეიუსტეინი, რომელიც მთიდან ჰაუკტიერნის ტბაში ჩასაყვინთად ჩავარდა. ჰარიმ და ტრესკომ ამოათრიეს ნაპირზე. ამის შემდეგ ეიუსტეინი რიკსჰოსპიტალეტში დააწვინეს და კისერზე რაღაც ეშაფოტისმაგვარი ჩამოკიდეს. მას შემდეგ ჰარიმ იცოდა, რომ დიდი სიმაღლეებიდან კი არ უნდა ჩამოვარდე ჩასაყვინთად, არამედ უნდა გადმოხტე. და არ უნდა დაგავიწყდეს ხელების თეძოებამდე ჩამოწევა. თორემ შეიძლება ლავიწის ძვალი გაიტეხო. მაგრამ ყველაზე მთავარი ისაა, რომ დროზე გადაწყვიტო გადახტომა — მანამ, სანამ წყლის ზედაპირს ჩახედავ. და მანამდე უნდა გადახტე, სანამ შენს გონებას შიში არ დაეუფლება. სწორედ ამიტომ სრიალებდა ჰარის პიჯაკი ტერასის რბილ იატაკზე, როდესაც უკვე ჰაერში იყო და ყურებში სტვენის ხმა ესმოდა. შავი წყალი სულ უფრო უახლოვდებოდა. ასფალტივით შავი წყალი.

ფეხები შეატყუპა და უცებ ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს მისი ორგანიზმიდან ერთბაშად გამოიდევნა ჰაერი და ვიღაცის უხილავმა ხელმა სცადა, მისთვის ტანსაცმელი შემოეგლიჯა. სიჩუმემ დაისადგურა. საშინელი სიცივე იგრძნო და მაშინვე ზევით გამოემართა და ზედაპირზე ამოყვინთა. მიმოიხედა, შავი პალტო დაინახა და მისკენ გაცურა. უკვე თითქმის ვეღარ გრძნობდა ფეხებს და ხვდებოდა, რომ ასეთი ტემპერატურის გამო მისი ორგანიზმი რამდენიმე წუთის შემდეგ შეწყვეტდა მუშაობას. მაგრამ ისიც იცოდა, რომ კატრინი შეიძლება მე-

ტისმეტ გადაცივებას გადაერჩინა. მეტისმეტად დაბალი ტემპერატურა მის მეტაბოლიზმს შეაჩერებდა. თუკი, რა თქმა უნდა, ლარინგეალური რეფლექსი[34] სათანადოდ ჰქონდა განვითარებული და წყალთან ურთიერთქმედების შედეგად არ დაიხრჩობოდა. ასეთ დროს უჯრედები და ყველა ორგანო ჰიბერნაციის [35] რეჟიმში გადადის და ფუნქციონირებისთვის ჟანგბადის მინიმალური რაოდენობა ჰყოფნის.

ჰარიმ შავ წყალში ჩაყვინთა და მბზინვარე პალტომდე მიაღწია. მიაღწია და ხელი სტაცა.

გაუცნობიერებლად გაიფიქრა, რომ ქალი დემონებმა შთანთქეს და უკვე სასუფეველი ჰქონდა დამკვიდრებული.

შეიგინა, წყალში დატრიალდა და ტერასას ახედა. შენობის სახურავის განაკიდებს, ლითონის მილებსა და იმ დამრეც სახურავებს დააკვირდა, საიდანაც ნაგებობის სხვა ნაწილებსა და სხვა შენობებზე შეიძლებოდა გადასვლა. სხვა ტერასებისა და იმ სახანძრო კიბეებისა და გასასვლელების გამოყენება შეიძლებოდა, რომლებიც ასე მრავლადაა აკერ-ბრიუგეს ფასადების ლაბირინთში. წყალში გამალებით ამოძრავებდა ფეხებს და ხვდებოდა, რომ კატრინმა ყველაფერი გათვალა. იცოდა, რომ ჰარი ასე მოიქცეოდა. დეტექტივი ჰოლე ძალიან სამარცხვინოდ მოტყუვდა. იმდენად განიცდიდა ამას, რომ ერთი პირობა თვითმკვლელობაზე, წყალში დახრჩობაზეც კი გაიფიქრა. იმ მომენტში ეს შვებას მოჰგვრიდა.

დილის ოთხ საათზე ჰარის წინ, საწოლზე ხალათში ჩაფუთნილი არვე სტიოპი იწვა, რომლის ნამზეურიც სადღაც გამქრალიყო. და საერთოდაც, რაღაცნაირად მოტყდა და ბერიკაცად

---

[34] *ხველება, რომელიც ხორხის გაღიზიანებას იწვევს*

[35] *ადამიანის სხეულის ტემპერატურის დაწევა ხელოვნურად*

იქცა. ჰარიმ ცხელი შხაპი მიიღო და ახლა ჰოლმის სვიტერსა და სტიოპისგან ნათხოვარ შარვალში გამოწყობილი იჯდა სკამზე. სასტუმრო ოთახიდან ბიორნის ხმა ისმოდა, რომელიც კატრინ ბრატის დაკავების ოპერაციის ორგანიზებას ცდილობდა მობილური ტელეფონით. ჰარიმ დაავალა, ოპერატიულ შტაბში დაერეკა და ეთხოვა, განგაში გამოეცხადებინათ. ჰოლმს გარდემუენის აეროპორტის პოლიციისთვისაც უნდა ეცნობებინა, რომ კატრინს ეძებდნენ — არ იყო გამორიცხული, კატრინი დილის რეისით გაფრენილიყო სადმე. გარდა ამისა, კატრინის სახლში ჩხრეკის ჩასატარებლად სპეცდანიშნულების რაზმი „დელტაც" უნდა გამოეძახებინათ. ჰარი დარწმუნებული იყო, რომ იქ ვერ იპოვიდნენ.

— ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ ეს უბრალოდ სექსუალური თამაში არ იყო და კატრინი თქვენს მოკვლას ცდილობდა? — იკითხა ჰარიმ.

— ვფიქრობ? — კბილების კაწკაწით ძლივს თქვა არვე სტიოპმა, — ჩემი დახრჩობა უნდოდა!

— ჰმ... გკითხათ, გქონდათ თუ არა ალიბი დროის იმ მონაკვეთებში, როდესაც მკვლელობები მოხდა....

— მესამედ გიმეორებთ — დიახ! — ამოიგმინა სტიოპმა.

— და ჰგონია, რომ თქვენ ხართ „თოვლის კაცი"?

— ეშმაკმა უწყის, რა ჰგონია. ეგ ქალი აშკარად გიჟია.

— არაა გამორიცხული, — თქვა ჰარიმ, — მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მიზანი არა აქვს.

— რა სახის მიზანი შეიძლება, რომ ჰქონდეს? — სტიოპმა საათს დახედა.

ჰარიმ იცოდა, რომ კრონი უკვე გზაში იყო და როგორც კი მოვიდოდა, აუცილებლად გააჩუმებდა თავის კლიენტს.

დეტექტივი დაფიქრდა და წინ გადაიხარა.

— ჩვენ ვიცით, რომ იუნას ბეკერისა და სილვია ოტერსენის ტყუპის მამა ხართ.

სტიოპმა თავი წამოსწია. ჰარის უნდა გაერისკა.

— იდარ ვეტლესენი ერთადერთი ადამიანი იყო, ვინც ეს ამბავი იცოდა. სწორედ თქვენ გაგზავნეთ ის სასწავლებლად შვეიცარიაში და ფარის სინდრომის შემსწავლელი კურსის ფული გადაუხადეთ. ასე არ არის? იმ დაავადების, რომელიც თქვენ თვითონ გერგოთ მემკვიდრეობით.

არვე სტიოპს თვალები გაუფართოვდა და ჰარი მიხვდა, რომ ახლოს იყო მიზანთან.

—სავარაუდოდ, ვეტლესენი გამუნათებდათ იმ პასუხისმგებლობის გამო, რომელიც დააკისრეთ. ალბათ, გეშინოდათ, რომ იგი გატყდებოდა. ან, შესაძლოა, მან სიტუაციით ისარგებლა და შანტაჟი მოგიწყოთ. მაგალითად, ფული მოგთხოვათ.

მთავარი რედაქტორი გაოგნებული უყურებდა ჰარის და შემდეგ ნელა გააქნია თავი.

— რაც უნდა იყოს, სტიოპ, ბევრს დაკარგავდით იმ შემთხვევაში, თუკი თქვენი მამობის ამბავს მთელი ქვეყანა გაიგებდა. ეს სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ იმ ადამიანების დახოცვის მოტივი გაგჩენოდათ, რომლებმაც ეს იცოდნენ. ასე არ არის?

— მე... — სტიოპს აქეთ-იქით გაურბოდა თვალები.

— რა თქვენ?

— მე... მეტი აღარაფერი მაქვს სათქმელი, — თქვა სტიოპმა, წინ გადმოიწია და თავი ხელებში ჩარგო, — კრონს დაელაპარაკეთ.

— კარგი, — თქვა ჰარიმ, რომელსაც დრო აღარ ჰქონდა ასეთი საუბრების გასაგრძელებლად. თუმცა ერთი კოზირი მაინც ჰქონდა დარჩენილი... ძლიერი კოზირი, — წავალ და ვეტყვი,

რომ ასე თქვით.

ჰარიმ მოიცადა. სტიოპი ჯერ კიდევ წინ იყო გადაწეული და უმოძრაოდ იჯდა. ბოლოს კი ხელები ასწია.

— ვის ეტყვით?

— პრესას, რა თქმა უნდა, — მეგობრულად უთხრა ჰარიმ, — ხომ იცით, ამის შემდეგ მასმედია მოსვენებას აღარ მოგვცემს. არ მეთანხმებით? განა ასეთ ამბებს არ უწოდებთ სენსაციებს?

სტიოპის თვალებში რაღაც უცნაური გაკრთა.

— რას გულისხმობთ? — იკითხა მან, მაგრამ მისი ინტონაცია ცხადყოფდა, რომ პასუხი უკვე იცოდა.

— ცნობილი ადამიანი ფიქრობს, რომ ქალი შემოიტყუა სახლში, მაგრამ სინამდვილეში აღმოჩნდება, რომ ყველაფერი პირიქით ხდება, — თქვა ჰარიმ და სტიოპის უკან, კედელზე დაკიდებულ ნახატს დააკვირდა, რომელზეც, სავარაუდოდ, ბაგირზე მოსიარულე შიშველი ქალი იყო გამოსახული, — მას დააჯერეს, რომ სექსუალურ როლურ თამაშებს ეთამაშებოდნენ და დაიყოლიეს, გაეკეთებინა ღორის ნიღაბი. და სწორედ ამ მდგომარეობაში იპოვა იგი პოლიციამ აბაზანაში — შიშველი, ნიღბიანი და ატირებული.

— ამის თქმის უფლება არა გაქვთ! ეს... ეს ადამიანის პირადი საიდუმლოს შენახვის პრინციპის დარღვევა არ გამოდის?

— სინამდვილეში ეს მხოლოდ იმ იმიჯს დაარღვევს, რომელსაც თქვენ იქმნით. რაც უნდა იყოს, ეს ნაბიჯი არ დაარღვევს დუმილისა და საიდუმლოების შენახვის ვალდებულებებს. პირიქით.

— პირიქით? — სტიოპმა, ფაქტობრივად, დაიყივლა. რედაქტორმა კბილების კაწკაწი შეწყვიტა და სახის ფერიც დაუბრუნდა.

ჰარიმ ჩაახველა.

— ჩემი ერთადერთი კაპიტალი და წარმოების საშუალება ჩემი პიროვნული პატიოსნებაა, — ჰარიმ მოიცადა, ვიდრე არ დარწმუნდა, რომ არვე სტიოპმა მისი სიტყვების აზრი გაიგო, — და გამომდინარე იქიდან, რომ პოლიციელი ვარ, ეს ნიშნავს, რომ სხვა მოვალეობებთან ერთად მაკისრია საზოგადოების ინფორმირების ვალდებულება იმ შემთხვევაში, თუკი ჩემ მიერ გავრცელებული ინფორმაცია გამოძიებას არ დააზარალებს. ამ შემთხვევაში კი შემიძლია ვთქვა, რომ არ დააზარალებს.

— თქვენ ამას არ იზამთ, — თქვა სტიოპმა.

— ვიზამ.

— ეს... გამანადგურებს.

— ყოველკვირეულად „ლიბერალის" პირველ გვერდზე ვიღაცას ანადგურებთ ხოლმე. თქვენ უფრო მეტი ზიანი მოგადგებათ, ვიდრე იმ ადამიანებს?

სტიოპმა პირი გააღო და მაშინვე მოკუმა — სწორედ ისე, როგორც ამას აკვარიუმის თევზები აკეთებენ.

— მაგრამ ცხადია, რომ პიროვნული ღირსების მქონე ადამიანთანაც შეიძლება მოლაპარაკება, — განაცხადა ჰარიმ.

არვე სტიოპი ყურადღებით აკვირდებოდა პოლიციელს.

— იმედია, აღიარებთ, — თქვა ჰარიმ, — რომ მე, როგორც პოლიციელი, ვალდებული ვარ, გამოვიძიო ეს შემთხვევა.

სტიოპმა ნელა დაუქნია თავი.

— მოდი, ბირტე ბეკერით დავიწყოთ, — თქვა ჰარიმ, — რა ვითარებაში გაიცანით?

— ჩემი აზრით, ახლავე უნდა შეწყდეს თქვენი დიალოგი, — გაისმა ვიღაცის ხმა.

კარისკენ გაიხედეს. იუჰან კრონს ეტყობოდა, რომ საკმარისი დრო ჰქონდა შხაპის მისაღებად, წვერის გასაპარსად და კოსტიუმის გასაუთოებლად.

— კი ბატონო, — თქვა ჰარიმ და მხრები აიჩეჩა, — ჰოლმ! კრონის უკან ჰოლმის ჭორფლიანი სახე გამოჩნდა.

— ოდინ ნაკენს დაურეკე, „ვერდენს განგის" ჟურნალისტს, — თქვა მან და შემდეგ არვე სტიოპს მიმართა, — წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, თუკი თქვენს ტანსაცმელს კიდევ რამდენიმე საათით ვითხოვებ?

— მოიცადეთ.

ოთახში სიჩუმემ დაისადგურა. არვე სტიოპმა ხელები ასწია და ხელის ზურგები შუბლზე დაისვა. თითქოს სისხლის მიმოქცევის სტიმულირებას ცდილობდა.

— იუჰან, — ნელა თქვა მან, — შეგიძლია წახვიდე. ამ პრობლემას უშენოდაც გავართმევ თავს.

— არვე, — მიუგო იურისტმა, — ჩემი აზრით, უკეთეს...

— წადი სახლში და დაიძინე, იუჰან. მოგვიანებით დაგირეკავ.

— როგორც შენმა ადვოკატმა, უნდა..

— როგორც ჩემმა ადვოკატმა, ენას კბილი უნდა დააჭირო და აქედან მოუსვა. გასაგებია?

იუჰან კრონი წელში გასწორდა, ადვოკატის შელახული ღირსების ნარჩენები მოიკრიბა, შეკრებილ საზოგადოებას სწრაფად დაუკრა თავი, შებრუნდა და იქაურობას გაეცალა — ისე, რომ აღარც კი შეუხედავს სტიოპისთვის.

— სად გავჩერდით? — იკითხა სტიოპმა.

— დასაწყისზე, — თქვა ჰარიმ.

თავი XXVII

მეოცე დღე. დასაწყისი

არვე სტიოპმა ბირტე ბეკერი ოსლოში გაიცნო — ზამთრის ერთ ცივ დღეს, როდესაც გამომცემელი სენტრუმის აუდიტორიაში შევიდა, რათა წაეკითხა ლექცია, რომელიც ღონისძიებების სააგენტომ დაუკვეთა. სინამდვილეში, ეს იყო სამოტივაციო სემინარი, რომელზეც კომპანიები ყველაზე ბეჯით თანამშრომლებს გზავნიდნენ, რათა მათ მოტივაცია გაზრდოდათ და უფრო გულმოდგინედ ემუშავათ. არვე სტიოპის დაკვირვებით, ამ სემინარში მომხსენებლებად მოწვეულნი იყვნენ ბიზნესმენები, რომლებმაც მცირე წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ ორიგინალური იდეები არ ჰქონიათ; სპორტის ნაკლებად ცნობილი სახეობების ფართომასშტაბიანი ტურნირების ოქროსმედალოსნები ან მთამსვლელები, რომლებმაც მთებზე ასვლა-ჩამოსვლით და ამ დროს მიღებული გამოცდილებისა და ემოციების გაზიარებით შეიქმნეს კარიერა. მათი საერთო მახასიათებელი ის იყო, რომ თითოეული მათგანი საკუთარ წარმატებას განსაკუთრებულ ნებისყოფასა და ხასიათის სიმტკიცეს უკავშირებდა. მოტივირებულნი იყვნენ. სწორედ ამით უნდა მომხდარიყო აუდიტორიის მოტივირება.

არვე სტიოპი, როგორც წესი, სულ ბოლოს გამოდიოდა ხოლმე, რასაც თავად გამომცემელი თავისი სიტყვის წანამძღვრად იყენებდა. ასე რომ, შეეძლო სხვა გამომსვლელები ნარცისიზმით შეპყრობილ ხარბ ადამიანებად შეერაცხა, ზემოაღნიშნულ სამ კატეგორიად დაეყო და თავისი თავისთვის პირველ ჯგუფში მიეჩინა ადგილი, იმიტომ, რომ მან არც ისე ორი-

გინალური ბიზნესიდეით მიაღწია წარმატებას. ფული, რომელიც იმ სამოტივაციო დღისთვის იქნა გადახდილი, უბრალოდ წყალში გადაიყარა. იქ შეკრებილი საზოგადოება ვერასდროს მოიპოვებდა მსგავს წარმატებას, რადგანაც საკმაოდ იღბლიანები იყვნენ იმით, რომ ისეთი არანორმალური მოტივი არ ჰქონდათ, რომლითაც იმ სცენაზე გამომსვლელი თითოეული მომხსენებელი იტანჯებოდა. მსგავსი მოტივი ყველა სპიკერს აწუხებდა, მათ შორის, არვესაც, რომელიც ამბობდა, რომ ამის მიზეზი მამამისის უყურადღებობა და ზერელე დამოკიდებულება იყო შვილის მიმართ. არვე იძულებული გახდა, სხვა ადამიანების სიყვარული და აღიარება მოეპოვებინა. სათანადო ნიჭი რომ ჰქონოდა, მსახიობი ან მომღერალი გახდებოდა.

ამ მომენტში აუდიტორიის მხიარულება სიცილში გადაიზარდა. კიდევ, სიმპათიაში. და სტიოპმა იცოდა, რომ ამას აღტაცება მოჰყვებოდა, რადგანაც იგი პუბლიკის წინაშე გამოდიოდა და ბრწყინავდა. ბრწყინავდა იმიტომ, რომ მან და ყველა დანარჩენმა იცოდა, რომ რაც უნდა ეთქვა, იგი წარმატება იყო, წარმატებას კი არ ეკამათებიან. საკუთარ წარმატებასაც კი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ წარმატების გზაზე ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი იღბალია, საკუთარ ნიჭზე საუბრისას თავმდაბლობა გამოიჩინა და თქვა, რომ ნორვეგიის ბიზნესსექტორში გამეფებული არაკომპეტენტურობა და სიზარმაცე საშუალო ნიჭისა და უნარის მქონე ადამიანებსაც კი აძლევდა წარმატების მიღწევის შანსს.

გამოსვლის ბოლოს მსმენელები ფეხზე წამოდგნენ და ოვაცია გაუმართეს.

იგი იღიმებოდა და თვალს არ აცილებდა შავთმიან ლამაზმანს, რომელსაც, როგორც შემდგომში გაირკვა, ბირტე ერქვა. აუდიტორიაში შესვლისთანავე შეამჩნია. იცოდა, რომ გამხდა-

რი ფეხებისა და დიდი ძუძუების კომბინაცია, როგორც წესი, სილიკონის იმპლანტანტებს ნიშნავდა, მაგრამ სტიოპი ქალების კოსმეტიკურ ქირურგიას არ ეწინააღმდეგებოდა. რა პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, ნემსით შეისწორებდა ქალი გარეგნობას თუ სილიკონით? არვეს ტაშს უკრავდნენ, ის კი სცენიდან ჩამოვიდა, დამსწრეთა პირველ რიგს მიუახლოვდა და მსმენელებთან ხელის ჩამორთმევის რიტუალი წამოიწყო. ტუტუცური ჟესტი იყო. მხოლოდ ამერიკის პრეზიდენტი თუ მისცემდა თავს ამის უფლებას. მაგრამ არვეს ეს არ ადარდებდა. საერთოდ არ აღელვებდა. ვინმეს გაღიზიანება მას მხოლოდ ბედნიერებას მოანიჭებდა. იგი შავთმიანი ქალის წინ გაჩერდა, რომელმაც საპასუხო მზერით დააჯილდოვა. შავგვრემან ლამაზმანს ლოყები ასწითლებოდა. არვე სტიოპმა ხელი გაუწოდა, ქალმა კი მის ჟესტს კნიქსენით უპასუხა, თითქოს სამეფო ოჯახის წევრს ესალმებოდა. არვემ იგრძნო, როგორ ჩაერჭო ხელის მტევანში თავისივე სავიზიტო ბარათის მახვილი კუთხეები, როდესაც ქაღალდის ამ ნაგლეჯს ამ მშვენიერ ქალს აწვდიდა, რომელსაც საქორწინო ბეჭედი ეკეთა.

ქალმა, რომელსაც უბრალო, ყოველგვარ ბრწყინვალებას მოკლებული ბეჭედი ეკეთა, პატარა და ფერმკრთალი მარჯვენა ხელი გაუწოდა, რომელიც მისდა გასაოცრად საკმაოდ მტკიცე გამოდგა.

— სილვია ოტერსენი, — სულელური ღიმილით თქვა ქალმა, — თქვენი დიდი თაყვანისმცემელი ვარ, ამიტომ აუცილებლად უნდა ჩამომერთმია ხელი.

აი, ასე გაიცნო სილვია ოტერსენი ზაფხულის ერთ დღეს ქალის მაღაზიაში, რომელსაც „აფრიკის გემო”ერქვა. სილამაზითა და მოხდენილობით არ გამოირჩეოდა, სამაგიეროდ, გათხ-

ოვილი იყო.

არვე სტიოპმა აფრიკულ ნიღბებს შეხედა და სიტუაციის განსამუხტად რაღაც იკითხა. თავად კაცი ნამდვილად არ გრძნობდა უხერხულობას, მაგრამ შეამჩნია, რომ როდესაც სილვია ოტერსენმა ხელი ჩამოართვა, მის გვერდით მდგარი ქალი დაიძაბა. მარიტა ერქვა. თუ მარიტე. სწორედ ამ ქალმა მოიყვანა აქ იმისთვის, რათა ეჩვენებინა ზებრის ტყავის ბალიშები, რომელიც ამ მარიტას — თუ მარიტეს — აზრით, აუცილებლად უნდა ჰქონოდა არვეს იმ ლოგინში, რომლიდანაც ცოტა ხნის წინ წამოდგნენ და რომელიც ახლა ამ ქალის გრძელი ქერა თმის ბღუჯებით იყო სავსე. არვემ გაიფიქრა, რომ თმა მოსაშორებელი იყო.

— ზებრა აღარ დაგვრჩა, — თქვა სილვია ოტერსენმა, — მაგრამ ამაზე რას იტყვით?

მაღაზიის მეპატრონე ფანჯარასთან მდებარე თაროს მიუახლოვდა. დღის შუქი სილვიას სხეულის მომრგვალებულ კონტურებს ეცემოდა. არვე სტიოპმა დაასკვნა, რომ მაღაზიის მეპატრონეს არც ისე ცუდი გარეგნობა ჰქონდა. თუმცა მისი ჩვეულებრივი ყავისფერი თმა უსიცოცხლო ჩანდა.

— ეს რა არის? — იკითხა ქალმა, რომლის სახელიც „მ”-ზე იწყებოდა.

— გნუს ტყავის იმიტაციაა.

— იმიტაცია? — დაიფრუტუნა „მ”-მ და ქერა თმა ზურგზე გადაიყარა.

— ზებრას ტყავიც იმიტაციაა, — ღიმილით თქვა სილვიამ. ასე უღიმიან ბავშვებს, რომლებსაც უხსნიან, რომ მთვარე სულაც არაა ყველისგან შექმნილი.

— გასაგებია, — თქვა „მ”-მ, ტუჩები მოპრუწა და არვეს ხელკავი გამოსდო, — გმადლობთ, რომ დათვალიერების საშუალე-

ბა მოგვეცით.

არვეს არ მოსწონდა, რომ „მ” მასთან ერთად ჩნდებოდა საჯარო სივრცეში და არც ის ახარებდა, რომ ეს ქალი იმ მომენტში მის მაჯას ეჭიდებოდა. შესაძლოა, იმ დღეს მიხვდა კიდეც, რომ არვეს არ სიამოვნებოდა ეს. ყოველ შემთხვევაში, ხელი გაუშვა. არვემ საათზე დაიხედა.

— ოჰ, — თქვა მან, — შეხვედრაზე მაგვიანდება.

— მერე ჩვენი ლანჩი? — თქვა „მ”-მ და გაოცებით შეხედა კაცს. ამ ქალს ტკივილის დამალვის უნარი ჰქონდა.

— მოგვიანებით დაგირეკავ, სავარაუდოდ, — თქვა სტიოპმა.

ქალმა დაურეკა. სულ რაღაც ნახევარი საათის წინ სტიოპი „სენტრუმის” სცენაზე იდგა, ახლა კი იჯდა ტაქსიში, რომელიც ჭუჭყიანი თოვლის მდღვებავი მანქანის უკან მიგორავდა.

— ზუსტად თქვენ წინ ვიჯექი, — თქვა ქალმა, — მინდოდა, საინტერესო ლექციის გამო მადლობა გადამეხადა.

— იმედია, ყველამ ვერ შენიშნა, როგორ გათვალიერებდით, — საზეიმოდ დასჭექა თოვლის საწმენდი მანქანის რკინის დეტალების ასფალტზე ფხაჭუნის დასაფარად.

ქალმა ჩაიხითხითა.

— ამ საღამოს რას აკეთებთ?

— რა ვიცი... გადაუდებელს არაფერს...

„მშვენიერი ხმა... და მშვენიერი სიტყვები”.

დღის დანარჩენი ნაწილი აქეთ-იქით სიარულში და მასზე ფიქრში გაატარა. ფიქრობდა, თუ როგორ დაითრევდა და პირდაპირ შემოსასვლელში კამოდის თავზე მიარჭობდა. და თან ისე, რომ ქალი გერჰარდ რიხტერის იმ ნახატს ახლიდა თავს, რომელიც არვემ ბერლინში იყიდა. „ყველაზე სასიამოვნო მაინც ესაა. ლოდინი”, — ფიქრობდა არვე.

რვა საათზე ქალმა სადარბაზოს კარის ზარი დარეკა, თავად

არვე კი შემოსასვლელში იდგა. ლიფტის მექანიკური ტკაცუნი მოესმა. ეს ხმა იარაღის გადატენას ჰგავდა. ყრუ ხმაური დიდხანს გაგრძელდა. გენიტალიების არეში სისხლის მოზღვავების გამო პენისმა პულსაცია დაიწყო.

და აი, ქალი უკვე მის წინაშე იდგა. არვეს ისეთი გრძნობა დაეუფლა, რომ სილა გააწნეს.

— ვინ ბრძანდებით ? — იკითხა კაცმა.

— სტინე, — თქა ქალმა და ჩათქვირულ სახეზე ოდნავი გაოცება აღებეჭდა, — მე დაგირეკეთ...

არვემ თავიდან ბოლომდე ჩაათვალიერა ქალი და ალბათობის თვლა დაიწყო. ზოგჯერ ჩვეულებრივობა და ზღაპრული სიუშნოე აღაგზნებდა, მაგრამ გრძნობდა, როგორ უქრებოდა ერექცია და ეს იდეა უარყო.

— ვწუხვარ, მაგრამ უნდა დაგტოვოთ, — თქვა მან, — ახლა გამომიძახეს შეხვედრაზე.

— შეხვედრაზე? — იკითხა ქალმა, რომელმაც ვერ მოახერხა იმის დამალვა, რომ ძალიან სწყინდა.

— სასწრაფო შეხვედრაა. მოგვიანებით დაგირეკავთ, ალბათ.

შემოსასვლელში იდგა და ესმოდა, როგორ გაიხსნა და დაიხურა ლიფტის კარები, შემდეგ კი სიცილი აუვარდა. და იცინოდა მანამ, სანამ ვერ მიხვდა, რომ, შესაძლოა, შავთმიანი მზეთუნახავი ვეღარც ეხილა.

ერთი საათის შემდეგ კიდევ ერთხელ ნახა. არვე სტიოპმა ჯერ მარტომ მიირთვა ლანჩი დაწესებულებაში, რომელსაც ჭკვიანურად მოფიქრებული სახელი „ბარი და რესტორანი" ერქვა, შემდეგ კი „კამიკაძეში" ახალი კოსტიუმი იყიდა და ორჯერ ჩაუარა „აფრიკის გემოს", რომელიც ჩრდილში იდგა და

ამიტომ თაკარა მზე არ ეკიდებოდა. მესამე ჯერზე მაღაზიაში შევიდა.

— უკვე დაბრუნდით? — ღიმილით იკითხა სილვია ოტერსენმა.

— ბალიშები მომეწონა, — თქვა კაცმა.

— ნამდვილად ლამაზი ბალიშები გვაქვს, — თქვა ქალმა და გნუს ტყავის იმიტაციას ხელი გადაუსვა.

— კიდევ რამეს ხომ არ მაჩვენებდით? — იკითხა არვე სტიოპმა.

სილვიამ თეძოზე დაიდო ხელი. თავი მოხარა. „იცის, — გაიფიქრა კაცმა, — სუნს გრძნობს".

— გააჩნია, რისი ნახვა გსურთ, — თქვა ქალმა.

— შენი საშოს ნახვა მსურს, — თქვა კაცმა და შენიშნა, როგორ უთრთოდა ხმა.

ქალი სტიოპს უკანა ოთახში დანებდა და თან ისე, რომ არც კი უფიქრია მაღაზიის დაკეტვა.

არვე სტიოპმა მყისიერად გაათავა. ზოგჯერ ქალის ჩვეულებრივობა და მისი ზღაპრული სიუშნოე ძალიან აღაგზნებდა ხოლმე.

— სამშაბათობითა და ოთხშაბათობით მაღაზიაში ჩემი ქმარი მუშაობს, — თქვა ქალმა, როდესაც არვე „აფრიკის გემოდან" მიდიოდა, — ხუთშაბათზე რას იტყვი?

— ვნახოთ, — თქვა მან და შეამჩნია, რომ „კამიკაძეში" ნაყიდი ახალი კოსტიუმი დალაქავებოდა.

როდესაც ბირტემ დარეკა, აკერ-ბრიუგეს საოფისე შენობებს შორის თოვლის ფანტელები დაძრწოდნენ.

გოგონას თქმით, მან ჩათვალა, რომ არვემ იმიტომ მისცა თავისი სავიზიტო ბარათი, მისგან ზარს ელოდებოდა.

ზოგჯერ არვე სტიოპი საკუთარ თავს ეკითხებოდა, რისთვის

სჭირდებოდა ეს ქალები, ეს გასართობები და სექსუალური კავშირები, რომლებიც რეალურად კაპიტულაციის ცერემონიულ რიტუალებს წარმოადგენდა. განა თავისი ცხოვრების მანძილზე საკმარისი გამარჯვებები არ იზეიმა? ან იქნებ დაბერების ეშინოდა? იქნებ ეგონა, რომ ამ ქალების სხეულებში შეღწევით მათი ახალგაზრდობის მოპარვა შეიძლებოდა? და რატომ ჩქარობდა? რატომ მოქმედებდა გაშმაგებული ტემპით? ალბათ, ყველაფერი იმ სენის აშკარა პერსპექტივების ბრალი იყო, რომელიც სჭირდა. ალბათ, გრძნობდა, რომ ძალიან მალე ისეთი ვეღარ იქნებოდა, როგორიც ახლა იყო. ზუსტი პასუხი არ ჰქონდა. და რომც ჰქონოდა, რაში გამოადგებოდა? იმ ღამით იგი ბირტეს მამაკაცურ კვნესას უსმენდა და თავს გერჰარდ რიხტერის იმ ნახატზე არტყმევინებდა, რომელიც ბერლინში იყიდა.

არვე სტიოპის ინფიცირებული სპერმის გამოფრქვევა უკვე დასრულებული იყო, როდესაც კართან დაკიდებულმა ზარმა სიბრაზით ამცნო ორივეს, რომ „აფრიკის გემოში" ვიღაც შემოდიოდა. არვე შეეცადა, თავი დაეხსნა, მაგრამ სილვია ოტერსენი გაიკრიჭა და კიდევ უფრო ძლიერად შემოხვია ფეხები. სტიოპმა მკვეთრი მოძრაობით გაითავისუფლა თავი და შარვალი აიწია. სილვია დახლიდან ჩამოსრიალდა, საზაფხულო ქვედაკაბა შეისწორა და მყიდველისკენ გაეშურა. არვე სტიოპმა სასწრაფოდ გადაინაცვლა ორნამენტების თაროსკენ, ოთახს ზურგი აქცია და შარვლის უბის ღილები შეიკრა. ზურგს უკან მამაკაცის ხმა გაისმა, რომელიც ქალს ბოდიშს უხდიდა. დაგვიანების მიზეზად ახალმოსულმა მანქანის გასაჩერებელი ადგილის სიმცირე დაასახელა. სილვიამ მკაცრი ხმით უპასუხა, რომ წინასწარ უნდა დაეჯირა თადარიგი, იმიტომ, რომ საზაფხულო არდადეგები დასრულებული იყო. მერე ქალმა ახალმ-

ოსულს უთხრა, ჩემი და უნდა ვნახო და შეხვედრაზე მაგვიანდებაო, ამიტომაც სწორედ ის უნდა მომსახურებოდა მაღაზიაში შემოსულ მყიდველს.

არვე სტიოპს უკნიდან მამაკაცის ხმა მოესმა.

— რით შემიძლია, დაგეხმაროთ?

რედაქტორი შებრუნდა და ცოცხალ ჩონჩხად ქცეული კაცი დაინახა, რომელსაც არაბუნებრივად დიდი თვალები ჰქონდა და მრგვალი სათვალე ეკეთა. უცნობს ფლანელის პერანგიდან გრძელი კისერი მოუჩანდა. ყარყატივით ყანყრატო აქვსო, გაიფიქრა არვემ.

არვემ გვერდიდან შეხედა უცნობ მამაკაცს და ამ დროს კარისკენ მიმავალი სილვია შენიშნა. ქალის ქვედაკაბის კალთა ოდნავ აჩაჩული იყო. შიშველი მუხლის უკანა მხარეს სილვიას სველი ვერტიკალური ზოლი მოუჩანდა. და უცებ არვე მიხვდა, რომ ამ ქალმა იცოდა, რომ ეს საფრთხობელა — სავარაუდოდ, მისი ქმარი — მოსვლას აპირებდა. სილვიას უნდოდა, ამ კაცს აქტის დროს შემოესწრო.

— ყველაფერი რიგზეა, გმადლობთ. უკვე მომცეს ის, რისთვისაც შემოვედი, — თქვა მან და კარისკენ გაეშურა.

ზოგჯერ არვე სტიოპი ცდილობდა, წარმოედგინა, რა რეაქცია ექნებოდა, თუკი გაიგებდა, რომ რომელიმე მათგანი დააორსულა. როგორ მოიქცეოდა რედაქტორი? აბორტს მოითხოვდა, თუ პირიქით, კატეგორიულად განაცხადებდა, რომ ბავშვი უნდა დაბადებულიყო? დაბეჯითებით მხოლოდ ის იცოდა, რომ ასეთ შემთხვევაში მისი მოთხოვნა აუცილებლად დაჟინებული იქნებოდა. მის ნაცვლად რაიმეს გადაწყვეტის უფლებას არავის მისცემდა.

ბირტე ბეკერმა უთხრა, რომ კონტრაცეპტივები საჭირო არ

იყო, რადგანაც მას შვილოსნობის უნარი არ ჰქონდა. სამი თვისა და ექვსი სქესობრივი აქტის შემდეგ კი აღტაცებით განუცხადა, შვილის გაჩენა შემიძლიაო. არვე მაშინვე მიხვდა, რომ გოგონა დაორსულდა. რედაქტორი პანიკაში ჩავარდა და დაჟინებით მოითხოვა რაიმე ალტერნატიული ვარიანტის გამოძებნა.

— ძალიან კარგი კონტაქტები მაქვს, — თქვა მან, — შვეიცარიაში. ვერავინ გაიგებს.

— საშუალება მომეცა, დედა გავხდე. ექიმმა მითხრა, საოცრებააო, რაც, შესაძლოა, აღარასდროს განმეორდეს.

— ასეთ შემთხვევაში ნურც შენ დამენახვები და ნურც იმ ბავშვებს დამანახვებ, რომლებსაც გააჩენ. გესმის?

— ბავშვს მამა სჭირდება, არვე... და უსაფრთხო გარემო.

— რითაც მე ვერ უზრუნველვყოფ. ნუთუ ვერ ხვდები, რომ საშინელი გენეტიკური დაავადების მატარებელი ვარ?

ბირტე ბეკერი ხვდებოდა. და, გამომდინარე იქიდან, რომ მარტივი ბუნების, მაგრამ სწრაფი გონების გოგო იყო, რომელიც ლოთი მამისა და ფსიქიკური პრობლემების მქონე დედის ოჯახში გაიზარდა და ბავშვობიდან დამოუკიდებლად იღებდა გადაწყვეტილებებს, ისე მოიქცა, როგორც უნდა მოქცეულიყო — თავის შვილს მამა და უსაფრთხო გარემო უშოვა.

ფილიპ ბეკერი ვერც კი იჯერებდა, რომ ეს მზეთუნახავი, რომლის გულის მონადირებასაც ასეთი რუდუნებით ცდილობდა, მოულოდნელად დათანხმდა მის ცოლობას. და გამომდინარე იქიდან, რომ ვერ იჯერებდა, ეჭვი გაუღვივდა. იმ მომენტში, როდესაც ბირტემ აცნობა, ორსულად ვარო, — მხოლოდ ერთი კვირა გასულიყო მას შემდეგ, რაც ბირტე პირველად დანებდა ფილიპს — ეჭვის თესლი მაინც ჯერ კიდევ ჩანასახოვან მდგომარეობაში იყო.

და როდესაც ბირტემ არვეს დაურეკა და უთხრა, რომ იუნასი გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა თავის მამას, სტიოპი გახევდა. ცარიელ სივრცეს გასცქეროდა, ტელეფონის მიმღები კი ჯერ კიდევ ყურთან ჰქონდა მიტანილი. მოგვიანებით ფოტო ითხოვა, რომელიც ბირტემ ფოსტით გაუგზავნა. კიდევ ორიოდე კვირის შემდეგ კი შეთანხმებისამებრ, ბირტე პატარა იუნასთან ერთად ყავახანაში შევიდა. ქალს საქორწინო ბეჭედი ეკეთა თითზე, მეზობელ მაგიდასთან კი არვე იჯდა და ისეთი იერი ჰქონდა, თითქოს გაზეთს კითხულობდა.

იმ ღამით სტიოპს თვალი არ მოუხუჭავს. იგი თავის დაავადებაზე ფიქრობდა.

ბავშვის სამედიცინო შემოწმება ყველასგან მალულად უნდა მომხდარიყო, ამასთან, ეს პროცედურა ისეთ ექიმს უნდა ჩაეტარებინა, რომელსაც საიდუმლოს შენახვა შეეძლო. კანდიდატურას სრულიად შეეფერებოდა კერლინგ-კლუბის ერთ-ერთი რეზიდენტი, პიროვნული სისუსტითა და ქლესა ბუნებით გამორჩეული ფსევდოქირურგი იდარ ვეტლესენი.

არვე ვეტლესენს დაუკავშირდა, რომელიც იმ პერიოდში „მარიენლიუსტში" მუშაობდა. იმ ქლესამ მისი დავალებაც მიიღო, ფულიც და მისივე ხარჯებით ჩაფრინდა ჟენევაში, სადაც ფარის სინდრომის წამყვანი ექსპერტები ყოველწლიურად იკრიბებოდნენ, რათა სასწავლო კურსები ჩაეტარებინათ და ამ საკითხთან დაკავშირებული კვლევების შედეგები წარმოედგინათ.

როდესაც იუნასს პირველი გამოკვლევა ჩაუტარეს, ბავშვი სრულიად ჯანმრთელი იყო, მაგრამ ვეტლესენმა თქვა, რომ სიმპტომები, როგორც წესი, პაციენტის სრულწლოვანების პერიოდში იჩენს ხოლმე თავს. თავად არვე სტიოპმა თავისი ცხოვრების პირველი ორმოცი წელი ისე გაატარა, რომ დაავა-

დების სიმპტომები არ აღენიშნებოდა. სტიოპი დაჟინებით მოითხოვდა, რომ ბიჭს ყოველწლიურად გაევლო სამედიცინო შემოწმება.

ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დაინახა, როგორ მოწვეთავდა მისი სპერმა სილვია ოტერსენის ფეხზე. მაშინ ის ქალი მაღაზიიდან გავიდა და, იმავდროულად, მისი ცხოვრებიდან გაქრა. უბრალოდ ერთმანეთს აღარ უკავშირდებოდნენ, მაგრამ ერთ დღეს სილვიამ არვე სტიოპს დაურეკა. კაცმა უთხრა, სასწრაფო შეხვედრაზე მაგვიანდებაო, მაგრამ სილვიამ მოკლედ აცნობა, რომ მისი სპერმა თურმე მთლიანად არ გადმოღვრილა და ახლა ის ტყუპის დედაა. მისი მეუღლე ბავშვებს თავის შვილებად თვლიდა. როგორც სილვიამ თქვა, ქველმოქმედი ინვესტორი სჭირდებოდა, რომელიც მის მაღაზიას „ფულადი ინექციით" უზრუნველყოფდა და „აფრიკის გემოს" გადაარჩენდა.

— ვფიქრობ, მაგ მაღაზიას საკმარისი ინიექცია გავუკეთე, — თქვა არვე სტიოპმა, რომელიც, როგორც წესი, მოსწრებულ შენიშვნებს აფრქვევდა ხოლმე იმ შემთხვევებში, როდესაც ცუდ ამბებს იგებდა.

— სხვანაირადაც შემიძლია ფულის შოვნა. ავდგები და „ნახე და გაიგე"-ს მივაკითხავ. როგორც ვიცი, მაგ ჟურნალის თანამშრომლებს ძალიან უყვართ ისტორიები იმ ქალების შესახებ, რომლის შვილების მამებიც ცნობილი ადამიანები არიან. ასე არ არის?

— ძალიან არადამაჯერებელი ბლეფი გამოგდის, — თქვა არვე სტიოპმა, — მაგით ძალიან ბევრს დაკარგავ.

— ყველაფერი შეიცვალა, — მიუგო სილვიამ, — თუკი საკმარის ფულს ვიშოვი და როლფისგან მაღაზიის წილს გამოვისყი-

დი, ჩემს მეუღლეს მივატოვებ. ამ „აფრიკის გემოს" პრობლემა ისაა, რომ შეუფერებელ ადგილზეა, მე კი იმ ჟურნალს ამ მაღაზიის ფონზე გადავაღებინებ ფოტოებს და ამით ჩემს სავაჭრო პუნქტს შესაფერის რეკლამას გავუკეთებ. სულელური გამოცემაა, მაგრამ რამხელა ტირაჟი აქვს, იცი?

არვე სტიოპმა იცოდა, რომ მაგ ჟურნალს ყოველი მეექვსე ნორვეგიელი კითხულობდა. პატარა ბრწყინვალე სკანდალის წინააღმდეგი არასდროს ყოფილა, მაგრამ პარტნიორი ქალებისა და შვილების მიმართ უპასუხისმგებლო არამზადის სახელი რეპუტაციას შეულახავდა. სიმართლისთვის მებრძოლი უშიშარი რაინდის სახელი თვალსა და ხელშუა გაქრებოდა, მის ჟურნალს კი, მისთვის დამახასიათებელი პათეტიკური სტატიების გამო, ფარისევლური გამოცემის სახელი მიეკერებოდა... თანაც ეს ქალი მიმზიდველიც კი არ იყო. მოკლედ, არვეს ცუდი ამბავი შეემთხვა. ძალიან ცუდი.

— რა თანხას ითხოვ? — იკითხა მან.

ვიდრე სილვიას შეუთანხმდებოდა, იდარ ვეტლესენს დაურეკა „მარიენლიუსტში" და უთხრა, რომ კიდევ ორი პაციენტი ჰყავდა. გადაწყვიტეს, ამ ბავშვების მიმართაც იგივე ღონისძიებები გაეტარებინათ, რაც იუნასის შემთხვევაში — ტყუპი დები სასამართლო მედიცინის ინსტიტუტში უნდა გაეგზავნათ და მამის დასადგენად დნმ-ის ანალიზი გაეკეთებინათ, რის შემდეგაც საიდუმლო დაავადებების სიმპტომების ძიებას დაიწყებდნენ.

არვე სტიოპმა საუბარი დაასრულა, ტყავის მაღალ სავარძელში გადაწვა და მზეს გახედა, რომელიც ბიუგდიოისა და სნარიოიუას ნახევარკუნძულის ხეების კენწეროებს დანათოდა. იცოდა, რომ ძალიან დამწუხრებული უნდა ყოფილიყო.

მაგრამ არ იყო დამწუხრებული. სიხარულს გრძნობდა. დიახ, თითქმის ბედნიერი იყო.

სწორედ ეს შეგრძნება გაახსენდა პირველად, როდესაც იდარ ვეტლესენმა დაურეკა და უთხრა, რომ გაზეთების მტკიცებით, სოლიჰიოგდაში თავმოკვეთილი ქალი სილვია ოტერსენი იყო.

— ჯერ იუნას ბეკერის დედა გაუჩინარდა, — თქვა ვეტლესენმა, — შემდეგ კი ტყუპის დედა იპოვეს მოკლული. ალბათობის თეორიის სპეციალისტი არა ვარ, მაგრამ პოლიციას უნდა მივმართოთ, არვე. როგორც წესი, თავადვე პოულობენ ხოლმე კავშირს მოვლენებს შორის.

ბოლო წლებში ვეტლესენმა პლასტიკურ ქირურგიას მიჰყო ხელი და ცნობილი ადამიანების გარეგნობის შეცვლით თავბრუდამხვევი კარიერა გაიკეთა, მაგრამ ამის მიუხედავად — ან, შესაძლოა, სწორედ ამის გამოც — არვე სტიოპისათვის ის უბრალოდ არარაობას წარმოადგენდა.

— არა, პოლიციას არ დავუკავშირდებით, — თქვა არვემ.

— არა? დამარწმუნე, რომ გაჩუმება აჯობებს.

— მშვენიერია. მითხარი, რამდენი გინდა.

— ღმერთო ჩემო, არვე! შანტაჟის მოწყობას არ ვცდილობ. უბრალოდ არ შემიძლია...

— რამდენი?

— გეყოფა! გაქვს ალიბი?

— არა მაქვს, მაგრამ ძალიან ბევრი ფული მაქვს. მითხარი, რამდენნიშნიანი თანხა გინდა და დავფიქრდები.

— არვე, თუ არაფერი გაქვს დასამალი...

— როგორ არა მაქვს დასამალი, შე რეგვენო! შენი აზრით, ძალიან მინდა, რომ საზოგადოების თვალში ქალების მკვლელობაში ეჭვმიტანილად გამოვჩნდე? შემხვდი და ამ საკითხზე

ვისაუბროთ.

— შეხვდით? — იკითხა ჰარი ჰოლემ.

არვე სტიოპმა თავი გააქნია. საძინებლის ფანჯარაში დილის რიჟრაჟი გამოჩნდა, მაგრამ ფიორდი ჯერ კიდევ შავი იყო.

— მანამდე მოკვდა, სანამ ერთმანეთს შევხვდებოდით.

— რატომ არ მიამბეთ ეს ყველაფერი მაშინ, როდესაც პირველად გესტუმრეთ?

— განა აშკარა არაა, რატომაც შევიკავე თავი? ისეთი არაფერი ვიცოდი, რაც შეიძლებოდა, ღირებული ყოფილიყო პოლიციისთვის. ჰოდა, რატომ უნდა ჩავრეულიყავი თქვენს საქმეში? არ დაგავიწყდეთ, რომ მე ვფლობ ბრენდს, რომელსაც მოფრთხილება სჭირდება. და ეს ბრენდი ჩემი სახელია. რეალურად, „ლიბერალის" კაპიტალს მხოლოდ მისი სავაჭრო ნიშანი წარმოადგენს.

— როგორც მახსოვს, ადრე თქვით, რომ თქვენი ერთადერთი კაპიტალი თქვენივე პიროვნული პატიოსნებაა.

სტიოპმა უხალისოდ აიჩეჩა მხრები.

— პატიოსნება, სავაჭრო ნიშანი... ერთი და იგივეა.

— ანუ თუკი რაიმე პატიოსნებას ჰგავს, ეს რაღაც აუცილებლად პატიოსნებაა?

სტიოპმა ცივი მზერა ესროლა ჰარის.

— სწორედ ამას ყიდის „ლიბერალი". ადამიანები კმაყოფილები არიან, თუკი გრძნობენ, რომ მათ სიმართლეს ეუბნებიან.

— ჰმ, — თქვა ჰარიმ და საათზე დაიხედა, — და, თქვენი აზრით, მე ახლა კმაყოფილი ვარ?

არვე სტიოპმა არაფერი უპასუხა.

თავი XXVIII

მეოცე დღე. დაავადება

ბიორნ ჰოლმმა ჰარი აკერ-ბრიუგედან პოლიციის სამმართველომდე მიიყვანა.

ინსპექტორმა სველი ტანსაცმელი ჩაიცვა, რის გამოც მისი ნებისმიერი მოძრაობის შედეგად ხელოვნური ტყავის ზედაპირზე ჭყაპუნის ხმა ისმოდა.

— ოცი წუთის წინ „დელტა" მის ბინაში შეიჭრა, — თქვა ბიორნმა, — კართან სამი დარაჯი დატოვეს.

— შინ არ დაბრუნდება, — თქვა ჰარიმ.

სამმართველოს მეშვიდე სართულზე ავიდა და პოლიციის უნიფორმაში გამოეწყო, რომელსაც, როგორც წესი, იმავე კაბინეტში, ტანსაცმლის საკიდზე ინახავდა ხოლმე. ბოლოს ჯეკ ჰალვორსენის დასაფლავების დღეს ეცვა. სარკეში ჩაიხედა და თავის თავს დააკვირდა. პიჯაკი ძალიან დიდი ჰქონდა.

გუნარ ჰაგენს აცნობეს, რაც მოხდა და კომისარი დაუყოვნებლივ გამოემართა განყოფილებისკენ. იგი თავის სამუშაო მაგიდასთან იჯდა და ჰარის მოკლე პატაკს იბარებდა. იმდენად შოკის მომგვრელ ამბავს ისმენდა, რომ ინსპექტორის დაჭმუჭნილი ფორმაც კი არ აღიზიანებდა.

— მაშ „თოვლის კაცი" კატრინ ბრატია, — ნელა გაიმეორა კომისარმა, თითქოს ხმამაღლა გაჟღერებით ეს აზრი უფრო გასაგები ხდებოდა

ჰარიმ თავი დაუქნია.

— და შენ სტიოპის გჯერა?

— დიახ, — თქვა ჰარიმ.

— მისი ნათქვამის დადასტურება თუ შეუძლია ვინმეს?

— ყველა მკვდარია — ბირტე, სილვია, იდარ ვეტლესენი. შეიძლებოდა, ის ყოფილიყო „თოვლის კაცი". სწორედ ამის გარკვევა სურდა კატრინ ბრატს.

— ბრატს? მაგრამ განა შენ არ თქვი, რომ კატრინია „თოვლის კაცი"? რატომ მოიქცეოდა...

— იმის თქმა მინდა, რომ ბრატს სურდა, გაერკვია, რამდენად შეეფერებოდა არვე სტიოპს „თოვლის კაცის" როლი. უნდოდა, განტევების ვაცი ჰყოლოდა. სტიოპის თქმით, როდესაც კატრინს უთხრა, რომ ალიბი არ ჰქონდა, ქალმა წამოიძახა: „კარგი", არვე სტიოპს უთხრა, „თოვლის კაცი" ხარო და დახრჩობა დაუწყო. შემდეგ კი იმ მანქანის ხმა გაიგონა, რომლითაც სადარბაზოს შესასვლელს შევეჯახე, მიხვდა, რომ თითქმის ადგილზე ვიყავი და გაიპარა. სავარაუდოდ, მისი გეგმის მიხედვით, ჩვენ სტიოპი მაშინ უნდა გვეპოვა მისსავე ბინაში, როდესაც უკვე მკვდარი იქნებოდა და ყველაფერს ისეთი სახე მიეცემოდა, თითქოს არვე სტიოპმა თავი ჩამოიხრჩო. და ჩვენ მოვდუნდებოდით, რადგანაც ჩავთვლიდით, რომ დამნაშავე ვიპოვეთ. ზუსტად ასე მოკლა ვეტლესენიც. და იმავეს უპირებდა ფილიპ ბეკერს, როდესაც პროფესორს ვაპატიმრებდით.

— რას? რას უპირებდა...

— ჩახმახი შემართული ჰქონდა და ისე უმიზნებდა ბეკერს. როდესაც მისი სროლის არეში მოვხვდი, ჩემს ზურგს უკან ჩახმახის საწყის პოზიციაში დაბრუნების ხმა გავიგონე.

გუნარ ჰაგენმა თვალები დახუჭა და თითებით საფეთქლები მოისრისა.

— გასაგებია, მაგრამ, ჯერჯერობით, ეს მხოლოდ და მხოლოდ შენი ვერსიაა, ჰარი.

— წერილიც ვიპოვეთ, — თქვა ჰარიმ.

— წერილი?

—“თოვლის კაცის” წერილი. მის სახლში მდგარ კომპიუტერში ვიპოვე. ჯერ კიდევ მაშინაა შექმნილი, სანამ „თოვლის კაცის” არსებობის შესახებ შევიტყობდით. პრინტერში ზუსტად ისეთი ქაღალდი იდო, რომელზეც ჩემს მისამართზე გამოგზავნილი წერილია დაბეჭდილი.

— ოჰ, ღმერთო! — კომისარი იდაყვებით დაენარცხა მაგიდაზე და თავი ხელებში ჩარგო, — და ეს ქალი ჩვენს სტრუქტურებში დავასაქმეთ! იცი, ეს რას ნიშნავს, ჰარი?

— რას და, საყოველთაო სკანდალს. ნდობის შემცირებას მთლიანად პოლიციის მიმართ... და საკადრო წმენდას სტრუქტურის მაღალ ეშელონებში.

ჰაგენმა თითები გაშალა და ჰარის ალმაცერად გახედა.

— გმადლობ ამომწურავი პასუხისათვის.

— არაფრის.

— ოსლოს პოლიციის სამმართველოს უფროსსა და ნორვეგიის პოლიციის უფროსს ვუხმობ. იმავდროულად, მინდა, შენ და ბიორნ ჰოლმმა ყველაფერი საიდუმლოდ შეინახოთ. რას ფიქრობ არვე სტიოპის შესახებ? როგორ გგონია, დაიწყებს ლაყბობას?

— არა მგონია, უფროსო, — ღიმილით თქვა ჰარიმ, — უკვე გაანიავა.

— რა გაანიავა?

— თავისი პატიოსნება.

ათ საათზე ჰარი თავისი კაბინეტის ფანჯარასთან იდგა და უყურებდა, როგორ ეფინებოდა ფერმკრთალი, გაუბედავი სინათლე სახურავებსა და გრიონლანდს, რომელიც კვირა დილით განსაკუთრებულად მშვიდი ჩანდა. ექვს საათზე მეტი გა-

სულიყო მას შემდეგ, რაც კატრინ ბრატი სტიოპის ბინიდან გაუჩინარდა, და ჯერჯერობით სამძებრო სამუშაო უშედეგოდ მიმდინარეობდა. რა თქმა უნდა, არ იყო გამორიცხული, რომ ჯერ კიდევ ოსლოში ყოფილიყო, მაგრამ თუკი წინასწარ მზად იყო სტრატეგიული უკან დახევისათვის, ახლა, წესით, ცხრა მთას იქით უნდა ყოფილიყო გადახვეწილი. ჰარი დარწმუნებული იყო, რომ კატრინი წინასწარ მოემზადა ასეთი სცენარისთვის.და არც იმაში ეპარებოდა ეჭვი, რომ სწორედ ის იყო „თოვლის კაცი".

პირველ რიგში იმიტომ, რომ მას სამხილები ჰქონდა — წერილისა და მკვლელობის მცდელობების სახით. და, ამასთან, ჰარის მოლოდინი გამართლდა — იმის მოლოდინი, რომ დამნაშავე მისი უახლოესი სანაცნობო წრიდან იქნებოდა და იმის შეგრძნება, რომ ვიღაც მის ცხოვრებას ფილტრავდა. გაზეთების ამონარიდებით მორთული კედელი და პატაკები. კატრინმა ისე კარგად გაიცნო ჰარი, რომ მისი მომდევნო ნაბიჯის გამოცნობაც კი შეეძლო. შეეძლო, ჰარი თავის თამაშში გამოეყენებინა. და ახლა კი კატრინი ვირუსად იქცა და მის ძარღვებსა და ტვინში იჯდა.

ვიღაცის ფეხის ხმა მოესმა, მაგრამ არ შებრუნდა.

— მისი მობილურის სიგნალი აღმოვაჩინეთ, — გაისმა სკარეს ხმა, — შვედეთშია.

— მართლა?

— „ტელენორის" ოპერაციების ცენტრში თქვეს, რომ სიგნალები სამხრეთისკენ მიიწევს. ლოკაცია და სიჩქარე ემთხვევა კოპენჰაგენის მატარებლის მოძრაობას, რომელიც რვის ხუთ წუთზე გავიდა ოსლოს ცენტრალური სადგურიდან. ჰელსინბორგის პოლიციელს ველაპარაკე. კატრინის დასაკავებლად ოფიციალური მიმართვა სჭირდებათ. მატარებელი ნახევარ სა

ათში გაჩერდება. როგორ მოვიქცეთ?

ჰარიმ ნელა დაუქნია თავი. თითქოს ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო ფიქრებიდან. ფანჯრისკენ თოლია მოფრინავდა, რომელმაც სულ ბოლო მომენტში აუქცია მინას გვერდი და პარკში მდგარი ხეებისკენ ჩაფრინდა. ალბათ, რაღაც დაინახა. ან გადაიფიქრა. ადამიანებიც ასე იქცევიან. ოსლოს სადგური დილის შვიდ საათზე...

— ჰარი! თუკი უმოქმედოდ ვისხდებით, შესაძლოა, დანიაში...

— სთხოვე ჰაგენს, ჰელსინბორგს დაელაპარაკოს, — თქვა ჰარიმ და ტანსაცმლის საკიდიდან ხელის სწრაფი მოძრაობით ჩამოხსნა პიჯაკი.

სკარე გაოცებით უცქერდა მთავარ ინსპექტორს, რომელიც გრძელი, საქმიანი ნაბიჯით მიჰყვებოდა კორიდორს.

პოლიციის სამმართველოს საწყობში ოფიცერმა ურიომ თავგადაპარსული ინსპექტორი დაინახა და გაოცებით მიაჩერდა.

— ქლორბენზალმალონოდინიტრილი? გაზს გულისხმობ?

— ორი კანისტრა, — თქვა ჰარიმ, — და ერთი ცალი რევოლვერის ტყვიების ყუთი.

ოფიცერი კოჭლობითა და წყევლა-კრულვით მივიდა თაროებთან. ყველამ იცოდა, რომ ეს ჰოლე ნამდვილი არანორმალური იყო, მაგრამ ცრემლსადენი გაზი? ვინმე სხვას რომ ეთხოვა, ურიო მიხვდებოდა, რომ განმცხადებელს ეს ნივთიერება ძმაკაცებთან ერთად დროს ტარებისთვის სჭირდებოდა, მაგრამ ურიოს გაგონილი ჰქონდა, რომ ჰარის ძმაკაცები არ ჰყავდა. ყოველ შემთხვევაში, პოლიციაში.

ურიოს დაბრუნებისას ინსპექტორმა ჩაახველა.

— კრიმინალური განყოფილების თანამშრომელს, კატრინ ბრატს ხომ არ აუღია აქედან რაიმე?

— ბერგენის პოლიციიდან რომ გადმოვიდა, იმ ქალს გულისხმობ? მხოლოდ ის, რაც განაწესით ერგებოდა.

— და რა წერია მაგ განაწესში?

— სამსახურის დატოვებისას ყველა ტიპის იარაღი და გამოუყენებელი ტყვიები უნდა ჩაბარდეს, ახალ სამსახურში კი თანამშრომელმა ახალი რევოლვერი და ტყვიების ორი ყუთი უნდა მოითხოვოს.

— ანუ რევოლვერზე მძიმე არაფერი წაუღია?

გაოცებულმა ურიომ თავი გააქნია.

— გმადლობ, — თქვა ჰოლემ და ტყვიების ყუთი შავ ჩანთაში, მწვანე ცილინდრული კანისტრების გვერდით ჩადო. ლითონის ჭურჭელი, რომელიც ჰარის საწყობიდან გამოჰქონდა, წიწაკის საფუძველზე დამზადებული მყრალი ცრემლსადენი გაზით იყო გაჯერებული. ეს ნაერთი კორსომ და სტაუტონმა 1928 წელს მიიღეს.

ოფიცერმა არ უპასუხა, მაგრამ როდესაც ჰოლემ მიღების განცხადებაზე ხელი მოაწერა, ურიომ ჩაიბურტყუნა:

— მშვიდობიან კვირადღეს გისურვებ.

ჰარი ულევოლის საავადმყოფოს მოსაცდელში იჯდა. გვერდით შავი ჩანთა ედო. გარშემო სპირტის, მოხუცებისა და ნელი სიკვდილის სუნი იდგა. მის წინ ვიღაც ქალი იჯდა, რომელიც ისე აკვირდებოდა პოლიციელს, თითქოს ცდილობდა, მასში ვიღაც ადამიანი ამოეცნო — ის, ვინც იმ მომენტში იქ არ იმყოფებოდა: ადამიანი, რომელსაც იცნობდა, საყვარელი, რომელიც მხოლოდ მის ოცნებებში დარჩა, ან ვაჟი, რომელიც ეგონა, რომ იცნო.

ჰარიმ ამოიოხრა, საათს დახედა და შეეცადა, ჰელსიბორგში მდებარე მატარებლის შტურმი წარმოედგინა. სადგურის უფროსი მატარებლის მძღოლს აძლევს ბრძანებას, რომ ტრანსპორტი მაშინ გააჩეროს, როდესაც სადგურამდე ერთი კილომეტრი იქნება დარჩენილი. შეიარაღებული პოლიციელები ვაგონების ორივე მხარეს დგანან და ძაღლები თან ჰყავთ. საგულდაგულოდ ამოწმებენ ვაგონებს, კუპეებს, ტუალეტებს. მგზავრებს შეიარაღებული პოლიციელების დანახვა აშინებთ. იმიტომ, რომ იდეალურ სკანდინავიაში ხშირად ვერ გახდები ასეთი სურათის მომსწრე. ქალები სამართალდამცავებს აცახცახებული ხელებით უწვდიან პირადობის მოწმობებს. მხარბეჭიანი პოლიციელები, ნერვიულობა და მოლოდინი. მათი მოუთმენლობა, ეჭვი, გაღიზიანება და, საბოლოოდ, მათი სასოწარკვეთილება და უიმედობა იმის გამო, რომ ვერ იპოვეს ის, რასაც ეძებდნენ. ბოლოს კი, თუკი გაუმართლებთ და კომპეტენცია ეყოფათ, ხმამაღალი გინება მას შემდეგ, რაც აღმოჩენილი სიგნალის წყაროს იპოვიან — კატრინ ბრატის მობილურ ტელეფონს ტუალეტის ურნაში.

ჰარის წინ ვიღაცის მოღიმარი სახე გაკრთა.

— შეგიძლიათ, მასთან შეხვიდეთ.

ჰარი მოფრატუნე კლოგებსა და თეთრ შარვალში გამოკვალთულ ენერგიულ თეძოებს მიჰყვა. ქალმა კარის გასაღებ ღილაკს დააჭირა.

— ოღონდ დიდხანს ნუ დარჩებით. დასვენება სჭირდება.

სტოლე ეუნე ერთადგილიანი პალატის საწოლზე იწვა. მრგვალი, ღაჟღაჟა სახე ისე გაუსივდა და გაუფერმკრთალდა, რომ თითქმის ვერ განირჩეოდა ბალიშებისგან. ბავშვივით თხელი თმა სამოცი წლის კაცის შუბლზე ჩამოშლოდა და რომ არა მისი ცოცხალი, მხიარული თვალები, შეიძლება ვინმეს

ეფიქრა, რომ მის წინაშე კრიმინალური განყოფილების საშტატო ფსიქოლოგისა და ჰარის პირადი მრჩევლის გვამი ესვენა.

— ღმერთო, შენ მიშველე! ჰარი! — წამოიძახა სტოლე ეუნემ, — ჩონჩხს დამსგავსებიხარ. ცუდად ხომ არა ხარ?

ჰარის გაღიმებამ მოუწია. ეუნე დაიჯღანა და საწოლზე წამოჯდა.

— ბოდიშს გიხდი, აქამდე რომ ვერ გინახულე, — თქვა ჰარიმ, სკამს დაავლო ხელი და საწოლამდე მიაჩოჩა, — ხომ იცი... ეს საავადმყოფოები... ეს... მოკლედ...

— საავადმყოფო დედაშენს და იმ დროს გახსენებს, როდესაც პატარა ბიჭი იყავი. არა უშავს.

ჰარიმ თავი დაუქნია და ხელებზე დაიხედა.

— კარგად გექცევიან?

— ასეთ კითხვას იმ ადამიანებს უსვამენ, რომლებიც ციხეში არიან, და არა საავადმყოფოში.

ჰარიმ კიდევ ერთხელ დააქნია თავი. სტოლე ეუნემ ამოიოხრა.

— ვიცი, რომ ჩემზე დარდობ, ჰარი, მაგრამ ძალიან კარგად გიცნობ და ვიცი, რომ აქ ჩემს მოსაკითხად არ მოსულხარ. მიდი, მოხსენი გუდას პირი.

— მოიცდის. ამბობენ, რომ ვერ იყავი კარგად.

— კარგად ყოფნა შედარებითი ფენომენია და თუკი ამ შედარებითობას გავითვალისწინებთ, შეიძლება ითქვას, რომ ძალიან კარგად ვარ. გუშინ უნდა გენახე. ანუ იმის თქმა მინდა, რომ გუშინ არ უნდა გენახე.

ჰარი ღიმილით დასცქეროდა თავის ხელებს.

— „თოვლის კაცის" ამბავი გაწუხებს? — იკითხა ეუნემ. ჰარიმ თავი დაუქნია.

— კარგია, რომ მომაკითხე, — თქვა ეუნემ, — თორემ აქ სულ

მთლად გამოვყრუვდი. მიდი, გისმენ.

ჰარიმ ღრმად ჩაისუნთქა და მოკლედ მოჰყვა იმ ყველაფერს, რაც ამ საქმესთან დაკავშირებით მოხდა. ცდილობდა, გვერდი აევლო ზედმეტი, შეუსაბამო ცნობებისთვის და, იმავდროულად, მთავარი შტრიხები არ გამორჩენოდა. ეუნემ სულ რამდენჯერმე შეაწყვეტინა, რათა ფორმალური კითხვები დაესვა. იგი ყურადღებით უსმენდა ჰოლეს და სახეზე აღფრთოვანებანარევი სერიოზულობა აღბეჭდოდა. და როდესაც ჰარიმ დაასრულა სათქმელი, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ავადმყოფი გამოკეთდა — სახეზე ფერი დაუბრუნდა და უფრო წელგამართული იჯდა.

— საინტერესოა, — თქვა სტოლემ, — მაგრამ შენ უკვე იცი, ვინც არის დამნაშავე. მაშ, რატომ მოხვედი ჩემთან?

— გიჟია, არა?

— ყველა გიჟია, ვინც ასეთ დანაშაულებს სჩადის, მაგრამ სამართლებრივი თვალსაზრისით ყოველთვის ასე არ არის.

— რაც უნდა იყოს, მაინც მრჩება რამდენიმე შეკითხვა, — თქვა ჰარიმ.

— ღმერთო, შენ მიშველე! ადამიანებთან დაკავშირებული სულ ორიოდე საკითხია, რომლებიც კითხვებს არ მიჩენს. გამოდის, შენ ჩემზე უკეთესი ფსიქოლოგი ყოფილხარ.

— მხოლოდ ცხრამეტი წლის იყო, როდესაც ორი ქალი და გერტ რაფტო მოკლა ბერგენში. როგორ შეძლო მისნაირმა მანიაკმა პოლიციის აკადემიის ფსიქოლოგიური გამოცდის ჩაბარება და მთელი ამ დროის მანძილზე მუშაობა ისე, რომ მისი გადახრები ვერავინ შენიშნა?

— კარგი შეკითხვაა. ალბათ, კოქტეილის შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

— კოქტეილის შემთხვევასთან?

— ასე უწოდებენ ადამიანს, რომელშიც ყველაფერი ერთმანეთშია არეული; შიზოფრენიით შეპყრობილ ადამიანს, რომელსაც რაღაც ხმები ჩაესმის, მაგრამ მაინც ახერხებს, თავისი ავადმყოფობა გარშემო მყოფებს დაუმალოს. პიროვნების ობსესიურ-კომპულსიური მოშლილობა, რომელიც პარანოიითაა შეზავებული, ადამიანს არასწორ წარმოდგენას უქმნის იმ სივრცესა და სიტუაციაზე, რომელშიც იმყოფება და ილუზიებს უქმნის იმის თაობაზე, როგორ უნდა მოიქცეს, რათა არსებულ რეალობას განერიდოს. გარშემო მყოფები ასეთი ადამიანის ქცევას უბრალოდ ერთგვარ თავშეკავებულობად აფასებენ. შენ მიერ მკვლელობის დროს გამოვლენილი მხეცური მძვინვარება დემენციის ზღვარზე მყოფი ადამიანის დამახასიათებელი თვისებაა, თუმცა ისეთი პაციენტის, რომელსაც საკუთარი სიბრაზის გაკონტროლების უნარი აქვს.

— ჰმ... ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პასუხი არა გაქვს, ხომ?

ეუნეს გაეცინა, მაგრამ მისი სიცილი ხველების თანმდევ კრუნჩხვებში გადაიზარდა.

— ვწუხვარ, ჰარი, — თქვა მან და ამოიგმინა, — ფსიქიკური გადაცდომის შემთხვევების უმრავლესობა სწორედ ასეთი ხასიათისაა. ჩვენ, ფსიქოლოგებმა, მრავალი მარჯანი გავახარეთ, რომელზეც ჩვენი ძროხები არ ბალახობენ. ისინი უბრალოდ კადნიერი, უმადური, უტვინო არსებები არიან. უბრალოდ წარმოიდგინე, რამდენი კვლევა გვაქვს ჩატარებული მათთვის!

— არა, სხვა რაღაც ხდება. როდესაც გერტ რაფტოს გვამს გადავაწყდით, გულწრფელად შეშინდა. ანუ იმის თქმა მინდა, რომ თავს შეშინებულად არ მაჩვენებდა. ჩემი თვალით დავინახე მისი შოკი. მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ სახეზე ვა-

ნათებდი ფარანს, გუგები მაინც გაფართოებული და შავი რჩებოდა.

— ოჰო! ეს კი ნამდვილად საინტერესოა, — ეუნე კიდევ უფრო წამოიწია, — რატომ მიანათე ფარანი? ჯერ კიდევ მაშინ გაეჭვებდა?

ჰარიმ არ უპასუხა.

— შესაძლოა, მართალიც იყო, — თქვა ეუნემ, — არ არის გამორიცხული, რომ არ ახსოვდეს ის მკვლელობები, რომლებიც ჩაიდინა. თუმცა ეს, რა თქმა უნდა, არ არის ტიპური შემთხვევა. როგორც ამბობ, მან დიდი დახმარება გაგიწია საქმის გამოძიებაში და საბოტაჟის მცდელობაც არ ჰქონია. აქედან გამომდინარე, შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ საკუთარ თავზე ჰქონდა ეჭვი და გულწრფელად უნდოდა სიმართლის დადგენა. გსმენია რაიმე სომნამბულიზმის, იმავე ლუნატიზმის შესახებ?

— ვიცი, რომ ადამიანები ზოგჯერ ძილში დადიან, ლაპარაკობენ, ჭამენ, ტანსაცმელს იცვამენ. ზოგჯერ გარეთაც კი გადიან და მძინარეები მართავენ მანქანას.

— მართალია. დირიჟორი ჰარი როსენთალი ძილში დირიჟორობდა და მთელი სიმფონიების ინსტრუმენტების პარტიებს მღეროდა. და ისტორიას სულ ცოტა ხუთი შემთხვევა ახსოვს, როდესაც მკვლელი არ დასაჯეს, რადგანაც სასამართლომ დაადგინა, რომ დამნაშავე პარასომნიაკი იყო, რაც ძილის დარღვევების მქონე ადამიანს ნიშნავს. რამდენიმე წლის წინ კანადაში ერთი კაცი ცხოვრობდა, რომელიც ერთხელ საწოლიდან წამოდგა, ოცი კილომეტრი გაიარა მანქანით, ავტომობილი გააჩერა, სიდედრი, რომელთანაც მშვენიერი ურთიერთობა ჰქონდა, მოკლა, სიმამრი კინაღამ დაახრჩო, ისევ მანქანაში ჩაჯდა, შინ დაბრუნდა და საწოლში ჩაწვა. არ დასაჯეს.

— ანუ იმის თქმა გინდა, რომ შესაძლოა, ძილში მოკლა? ანუ

ისიც ერთ-ერთი პარასომნიაკია?

— წინააღმდეგობრივი დიაგნოზია. მაგრამ წარმოიდგინე ადამიანი, რომელიც რეგულარულად ვარდება ჰიბერნაციის მსგავს მდგომარეობაში და არ შეუძლია, ზუსტად გაიხსენოს, რა ჩაიდინა. ადამიანი, რომელსაც ბუნდოვანი, ფრაგმენტული წარმოდგენა აქვს იმაზე, რა მოხდა. წარმოიდგინე ადამიანი, რომელსაც ისეთი შეგრძნება აქვს, რომ უბრალოდ სიზმარი ნახა.

— ჰმ...

— და დაუშვი შესაძლებლობა, რომ ამ ქალმა გამოძიების მიმდინარეობისას დაიწყო იმის გახსენება, თუ რა ჩაიდინა.

ჰარიმ ნელა დაუქნია თავი.

— და მიხვდა, რომ განტევების ვაცი სჭირდება იმისთვის, რათა გადარჩეს.

— შესაძლოა, — თქვა სტოლე ეუნემ და დაიჯღანა, — მაგრამ ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე, მის ფსიქიკაზე მსჯელობისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ძალიან ბევრი რამ არის შესაძლებელი. საქმე ისაა, რომ ჩვენ ვერ ვხედავთ იმ დარღვევებს, რომელზეც ვლაპარაკობთ, მაგრამ სიმპტომებზე დაყრდნობით უნდა დავასკვნათ, რომ ეს დარღვევები არსებობს.

— ზუსტად ისე, როგორც კედლის სოკოს შემთხვევაში.

— რა?

— რამ შეიძლება გააგიჟოს მაგ ქალის მსგავსი ადამიანი?

ეუნემ ამოიოხრა.

— აბსოლუტურად ყველაფერმა! და არაფერმა! ბუნებამ ან აღზრდამ.

— მოძალადე ლოთმა მამამ?

— დიახ, დიახ, დიახ! შემთხვევების ოთხმოცდაათი პროცენტი სწორედ ამ მიზეზითაა გამოწვეული. დაუმატე ამას დედა,

რომელსაც ფსიქიკური დარღვევები ჰქონდა, და ბავშვობის დროს გადატანილი ფსიქოლოგიური ტრავმა. ეგეც შენი ასი პროცენტი!

— და როგორ ფიქრობ, რამდენად შესაძლებელია, რომ თავის ლოთ მოძალადე მამას გასწორებოდა მაშინ, როდესაც უკვე ჰქონდა ამისათვის საჭირო ძალა?

— ნამდვილად შესაძლებელია. ახლა გამახსენდა ერთი შემთ... — სტოლე ეუნე უცებ გაჩუმდა, შემდეგ კი წინ გადაიხარა და თვალებგაბრწყინებულმა ჩაიჩურჩულა, — ანუ იმას გულისხმობ, რასაც მე ვფიქრობ, რომ გულისხმობ?

ჰარი ჰოლე ისევ თავის ხელებს ათვალიერებდა.

— ბერგენში ყოფნისას ერთმა პოლიციელმა მომცა ფოტოსურათი, რომელიც ძალიან მეცნო. თითქოს მასზე გამოსახულ ადამიანს ვიცნობდი. მხოლოდ ახლა ვხვდები, რატომ. გენეტიკური მსგავსება ყოფილა. გათხოვებამდე კატრინ ბრატი რაფტოს გვარს ატარებდა. გერტ რაფტო მისი მამა იყო.

აეროპორტის ექსპრესმატარებლისკენ მიმავალ გზაზე მყოფ ჰარის სკარემ დაურეკა. აღმოჩნდა, რომ მთავარი გამომძიებელი შეცდა. კატრინის მობილური ტუალეტის ურნაში არ აღმოჩნდა. ტელეფონი ერთ-ერთი სამგზავრო ვაგონის საბარგულში იპოვეს.

ოთხმოცი წუთის შემდეგ ჰარი უკვე ნაცრისფერი ღრუბლების ტალღებში მიცურავდა. ხომალდის მეთაურმა განაცხადა, რომ ბერგენში დაბალი ღრუბელი და წვიმა ელოდათ. „ნულოვანი გარჩევადობა, — გაიფიქრა ჰარიმ, — ანუ მხოლოდ მოწყობილებებს უნდა მივენდოთ".

უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანების ძებნის განყოფილების დეტექტივმა თომას ჰელემ ის ზარი დარეკა, რომლის

გვერდზეც განთავსებულიყო პატარა დაფა წარწერით „ანდრეას, ელი და ტრიუგვე კვალეები.” გარეთა კარი რამდენიმე წამში გაიღო.

— მადლობა ღმერთს, რომ დროზე მოხვედით, — თქვა ჰელეს წინ მდგარმა კაცმა, რომელიც გამომძიებლის მხარს უკან იყურებოდა, — სხვები სად არიან?

— მხოლოდ მე ვარ მოსული. ჯერ კიდევ არაფერი ისმის თქვენი მეუღლისგან?

კაცი, რომელიც, ჰელეს ვარაუდით, ანდრეასი უნდა ყოფილიყო, ანუ ის, ვინც სამმართველოში დარეკა, გაოცებული შესცქეროდა დეტექტივს.

— ხომ გითხარით, რომ დაიკარგა!

— ვიცით, მაგრამ, როგორც წესი, ადამიანები შინ ბრუნდებიან ხოლმე.

— ვინ „ადამიანები”?

თომას ჰელემ ამოიოხრა.

— შეიძლება შემოვიდე, ჰერ კვალე? საშინელი წვიმაა...

— ოჰ, მაპატიეთ! გთხოვთ... — ორმოცდაათი-სამოცი წლის მამაკაცი გვერდით გაიწია და მის უკან გამეფებულ ბინდბუნდში ჰელემ ოცი-ოცდაათი წლის შავგვრემანი კაცი შენიშნა.

***

თომას ჰელემ გადაწყვიტა, შემოსასვლელში ემუშავა. სამმართველოში ხალხი არ ჰყოფნიდათ, კვირადღე იყო და ყველა მორიგე კატრინ ბრატის საძებნელად გაგზავნეს. მათ არავინ ეხმარებოდა. სპეცოპერაცია გასაიდუმლოებული აღმოჩნდა, მაგრამ გავრცელდა ჭორი, რომ ბრატი „თოვლის კაცის” საქმეში იყო გარეული.

— როგორ აღმოაჩინეთ, რომ დაიკარგა? — იკითხა ჰელემ და ჩვენების ჩასაწერად მოემზადა.

— მე და ტრიუგვე ნორდმარკაში ვიყავით წასული კარვებით. ახლახან დავბრუნდით. ორი დღე ბუნებაში მობილური ტელეფონის გარეშე გავატარეთ. მხოლოდ ვთევზაობდით. სახლში არ დაგვხვდა და არც შეტყობინება დაუტოვებია. როგორც გითხარით, სატელეფონო საუბრისას, ჩვენი დაბრუნების მომენტში, სახლის კარი ღია იყო. არადა, ყოველთვის დაკეტილია ხოლმე — მაშინაც კი, როდესაც სახლშია. ჩემი ცოლი ძალიან მშფოთვარე ადამიანია. მისი ყველა პალტო ადგილზეა. ფეხსაცმელებიც. მხოლოდ მისი ფლოსტები არ ჩანს. ასეთ ამინდში...

— ყველას დაურეკეთ, ვისაც იცნობს? მეზობლებსაც?

— რა თქმა უნდა. არავინ იცის, სად არის და რა შეემთხვა.

თომას ჰელემ მამაკაცის ნათქვამი ჩაიწერა. კარგად ნაცნობი გრძნობა დაეუფლა. თითქოს ყველაფერს ხვდებოდა. დაკარგული ცოლი და დედა.

— ამბობთ, რომ თქვენი მეუღლე მშფოთვარე ადამიანია, — თქვა გამომძიებელმა. — მაშ, ვისთვის შეიძლებოდა გაეღო კარი? და ვინ შეიძლებოდა, შემოეშვა სახლში?

დეტექტივმა შენიშნა, რომ მამამ და შვილმა ერთმანეთს გადახედეს.

— არც ისე ბევრი ადამიანი მახსენდება ასეთი, — დაბეჯითებით თქვა მამამ. — ვიღაც ისეთი უნდა ყოფილიყო, ვისაც იცნობდა.

— ან, შესაძლოა, ვიღაც ისეთი, ვისიც არ შეეშინდებოდა, — თქვა ჰელემ, — მაგალითად, ბავშვი ან ქალი.

ანდრეას კვალემ თავი დააქნია.

— ან ვიღაც ისეთი, ვისაც სახლში შემოსვლის საპატიო მიზ-

ეზი ჰქონდა.მაგალითად, ადამიანი, რომელსაც ელექტროენერგიის მრიცხველის ჩვენების ჩაწერა ევალება.

ქმარი ყოყმანობდა.

— არ არის გამორიცხული.

— რაიმე უცნაური ხომ არ შეგინიშნავთ სახლის გარშემო?

— უცნაური? რას გულისხმობთ?

ჰელემ ტუჩი მოიკვნიტა. შეეცადა, მხნეობა მოეკრიბა.

— რაღაც... თოვლის კაცის მსგავსი.

ანდრეას კვალემ თავის ვაჟს გადახედა, რომელმაც სწრაფად გააქნია თავი. ვაჟს სახეზე შიში აღბეჭდოდა.

— მხოლოდ იმისთვის ვიკითხე, რომ გამომერიცხა, — თქვა ჰელემ. ვაჟმა რაღაც თქვა. გაუგებრად ჩაიბუტბუტა.

— რა? — იკითხა ჰელემ.

— აქ თოვლი აღარ დარჩაო.

— რა თქმა უნდა, აღარ დარჩა, — თქვა ჰელემ და ბლოკნოტი პიჯაკის ჯიბეში ჩაიტენა, — საპატრულო მანქანებს დავუკავშირდები და მომხდარს შევატყობინებ. თუკი ამ საღამოს არ გამოჩნდა, ძებნას გავააქტიურებთ. ასეთი შემთხვევების ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი კარგად მთავრდება — დაკარგული ადამიანები შინ ბრუნდებიან ხოლმე. ჩემს სავიზიტო ბარათს დაგიტოვებთ...

ჰელემ იგრძნო, რომ ანდრეას კვალემ მხარზე დაადო ხელი.

— რაღაც მინდა გაჩვენოთ, ოფიცერო.

თომას ჰელე კვალეს გაჰყვა, რომელმაც დერეფნის ბოლოში მდებარე კარი გაიარა და კიბით ჩავიდა სარდაფში. ამის შემდეგ მან ოთახის კარი გააღო, რომელშიც საპნისა და გაფენილი სარეცხის სუნი ტრიალებდა. კუთხეში ტანსაცმლის ძველებური საშრობი იდგა, რომლის გვერდითაც „ელექტროლუ-

ქსის" მარკის ძველი სარეცხი მანქანა მოეთავსებინათ. აგურის იატაკის ცენტრში ტრაპი ჩანდა. იატაკი სველი იყო და წყლის წვეთები კედელსაც ეტყობოდა. თითქოს ვიღაცამ ცოტა ხნის წინ მორწყო აქაურობა იმ მწვანე შლანგით, რომელიც იქვე ეგდო.

მაგრამ თომას ჰელეს ყურადღება, პირველ რიგში, იმან მიიპყრო, რაც საშრობზე ეკიდა. გამომძიებელი ტანსაცმლის ორი სარჭით დამაგრებულ კაბას უმზერდა. უფრო სწორად, იმას, რაც კაბისგან დარჩა. ტანსაცმლისგან მხოლოდ მხრების, ზურგისა და გულმკერდის არე იყო დარჩენილი. კაბის ქვედა ნაწილი მოჭრილი იყო, გადანაჭერზე კი შავი ნამწვი და ბამბის დაგრეხილი ძაფები მოჩანდა.

თავი XXIX

მეოცე დღე. ცრემლსადენი გაზი

ბერგენის ციდან წვიმის წვეთები მოჟონავდა და ნაშუადღევის მოლურჯო მწუხრში ჩაძირულ ქალაქს რეცხავდა. კატერი, რომელიც ჰარიმ იქირავა, უკვე პუდეფიორდის ხიდის ძირში მდებარე ნავმისადგომზე იდგა, როდესაც ჰარის ტაქსი ნავების გამქირავებელი ფირმის ოფისის გვერდით გაჩერდა.

ჰარიმ ოცდაშვიდი ფუტი სიგრძის ძველი ფინური კრუიზერი იქირავა.

— სათევზაოდ მივდივარ, — თქვა ჰარიმ და კატერების გამქირავებელს ზღვის რუკებზე მიუთითა, — მეჩეჩები და რაიმე სხვა სახის უსიამოვნებები ხომ არ მელის გზაზე? ან სხვა მხრივ ხომ არ მირჩევ რაიმეს?

— ფინიოიზე აპირებ გადასვლას, არა? — იკითხა მენავემ, — სინკერიანი და სპინერიანი ანკესი დაგჭირდება, მაგრამ იქ ბევრს ვერაფერს დაიჭერ.

— ვნახოთ, რა გამომივა. ეს როგორ იქოქება?

მოტორიანმა კატერმა, რომელშიც ჰარი იჯდა, ხმაურით მოიტოვა ნურდნესის კონცხი და ჩამოწოლილ ნისლში, პარკის შიშველ ხეებს შორის, ტოტემის სვეტი გამოჩნდა. წვიმის ქვეშ ზღვა მოსწორებულიყო. ციდან წამოსული წვეთები მლაშე წყლის ზედაპირს ეხეთქებოდა და აქაფებდა. ჰარიმ საჭის გვერდით განლაგებული ბერკეტი გადასწია, რის გამოც კატერის ქიმი მეტისმეტად მაღლა აიწია და წონასწორობის შესანარჩუნებლად ჰარი იძულებული გახდა, უკან გადაედგა ნაბიჯი. საბოლოოდ, კატერი დაიქოქა და სწრაფად ამოძრავდა.

თხუთმეტი წუთის შემდეგ ჰარიმ ბერკეტი ადგილზე დააბრუნა და კუნძულს იმ მხრიდან მიადგა, რომელიც რაფტოს სახლიდან არ ჩანდა. კატერი ნაპირთან გააჩერა, ანკესი აიღო და წვიმის ხმას დაუგდო ყური. თევზაობა მისი საქმე არ იყო. სპინერი წყალში ჩაუშვა. მძიმე იყო. კაუჭის ბოლოს რაღაც გამოედო. ჰარიმ ამოიღო და წყალმცენარე მოაშორა. ამის შემდეგ კიდევ ერთხელ შეეცადა სპინერის წყალში ჩაგდებას, მაგრამ კოჭში რაღაც გაიჭედა, სპინერი ანკესის ბოლოდან ოციოდე სანტიმეტრში გაჩერდა და ვერც ქვევით ჩადიოდა და ვერც ზევით. ჰარიმ საათს დახედა. თუკი ძრავის ხმამ ვინმეს ყურადღება მიიპყრო, ახლა ეს ინტერესი უკვე გამქრალი იქნებოდა. ყველაფერი დაბინდებამდე უნდა მოესწრო. ანკესი სკამზე დადო, ჩანთა გახსნა, რევოლვერი ამოიღო, ტყვიების ყუთი გახსნა და იარაღი ბოლომდე დატენა. ჯიბეებში თერმოსის მსგავსი ბალონები ჩაილაგა და ნაპირზე გადავიდა.

ხუთი წუთი დასჭირდა იმისთვის, რომ უდაბური კუნძულის უმაღლესი წერტილისთვის მიეღწია და აქედან ქოხებისკენ დაეშვა, რომლებიც ზამთრის ავდრისგან მეტ-ნაკლებად დაცულ ადგილზე ააგეს. მის წინ რაფტოს ბნელი და არასტუმართმოყვარე ქოხი აღმართულიყო. ოც მეტრში კლდოვან შემაღლებაზე მოკალათდა. აქედან კარგად მოჩანდა ქოხის ყველა კარი და ყველა ფანჯარა.

წვიმის წყალმა დიდი ხნის წინ დაიწყო მისი მწვანე სამხედრო ქურთუკის მხრებიდან ჟონვა. ცრემლსადენი გაზის ერთი კანისტრა ამოიღო და უსაფრთხოების სარჭი მოხსნა. ხუთ წამში ბალონს ზამბარიანი სარქველი მოსძვრებოდა და გაზი ჟონვას დაიწყებდა. ცისტერნა ხელში შემართა, ქოხისკენ გაექანა და ბალონი ფანჯარას ესროლა. მინა წკრიალით ჩაიმსხვრა. ჰარიმ კლდისკენ დაიხია და რევოლვერი ამოიღო. წვიმის ხმის

მიუხედავად, ბალონის შიშინი მაინც ისმოდა და კარგად მოჩანდა ფანჯრიდან, თუ როგორ ივსებოდა ოთახი ნაცრისფერი გაზით.

თუკი იქ იყო, რამდენიმე წამზე მეტხანს ვერ გაძლებდა. ჰარიმ ქოხს დაუმიზნა და დაელოდა.

ორი წუთი ისე გავიდა, არაფერი მომხდარა. კიდევ ორი წუთიც დაელოდა. ამის შემდეგ მეორე ბალონი მოამზადა, იარაღშემართული მიუახლოვდა ქოხის კარს. დაკეტილი აღმოჩნდა. თუმცა განსაკუთრებული სისქით ნამდვილად არ გამოირჩეოდა. ჰარიმ ოთხი ნაბიჯი გადადგა უკან და ისევ ქოხისკენ გაიქცა. კარი ანჯამებიდან ამოვარდა და ჰარი მარჯვენა მხარით შევარდა გაბუღულ ოთახში. გაზმა მაშინვე დაუწვა თვალები. ჰარიმ სუნთქვა შეიკრა და სარდაფის კარს მიუახლოვდა, ასწია, მეორე ბალონს უსაფრთხოების სარჭი მოაძრო და სარდაფში ჩააგდო. ცხვირი და თვალები ეწვოდა, გარეთ გამოვარდა, ტბორი მონახა, ჩაიმუხლა და, თვალებგახელილმა, წყალში ჩაყო თავი. სადამდეც შეძლო, სანამ ცხვირი ქვებს არ მიარტყა. თავი ამოყო და იგივე გაიმეორა. ცხვირი და სასა ჯერ კიდევ უხურდა, მაგრამ თვალები დაეწმინდა. კიდევ ერთხელ შემართა რევოლვერი, ქოხს დაუმიზნა და დაელოდა. კიდევ დაელოდა.

— გამოდი! გამოდი, შე საზიზღარო ქოფაკო! მაგრამ არავინ გამოსულა.

თხუთმეტ წუთში ქოხიდან აღარ იფრქვეოდა გაზი. ჰარი კიდევ ერთხელ შევიდა შენობაში, ჩაახველა და თვალი მოავლო ინტერიერს. ვესტელანდი ნისლით იყო მოცული. ფრენა ავტოპილოტით. ჯანდაბა! ჯანდაბა! ჯანდაბა!

როდესაც კატერთან დაბრუნდა, უკვე საკმაოდ ბნელოდა. ჰარი მიხვდა, რომ უკანა გზაზე ხილვადობა გაძნელდებოდა.

კატერს თოკი მოხსნა, ჩაჯდა და სტარტერს სტაცა ხელი. უცებ თავში გაურბინა აზრმა, რომ დაახლოებით ოცდათექვსმეტი საათი არ უძინია, დილიდან არაფერი უჭამია, სულ მთლად გალუმპული იყო და ამ წყეულ ბერგენში ჩამოსვლამაც ფუჭად ჩაიარა. საკუთარ თავს პირობა მისცა, რომ თუკი ეს ძრავა პირველივე ცდაზე ვერ დაიქოქებოდა, კატერის კორპუსს ოცდათვრამეტმილიმეტრიანი ტყვიით დაცხრილავდა და ნაპირზე დარჩებოდა. ძრავა აგრუხუნდა. ჰარი კინაღამ საკუთარ თავს გამოუტყდა, რომ შერცხვა. ბერკეტის წინ გაწევას აპირებდა, როდესაც ქალი დაინახა.

კატრინი პირდაპირ მის წინ, კატერის ქვედა ნაწილში ჩასასვლელ კიბეზე იდგა, დაუდევრად დაჰყრდნობოდა კარის ჩარჩოს. ნაცრისფერი სვიტერი და შავი კაბა ეცვა.

— ხელები მაღლა! — თქვა მან.

მისი ნათქვამი იმდენად ბავშვურად ჟღერდა, რომ ერთი შეხედვით ხუმრობას ჰგავდა, მაგრამ ჰარისკენ მიმართული რევოლვერი ხუმრობას არ წააგავდა, და არც ის მუქარა, რომელიც ამის შემდეგ გაისმა:

— თუკი ისე არ მოიქცევი, როგორც გიბრძანე, მუცელში გესვრი, ჰარი, რაც ზურგის ნერვებს დაგიზიანებს და დადამბლავდები. ამის შემდეგ ერთ ტყვიას მიიღებ თავში... მაგრამ, მოდი, მუცლით დავიწყოთ.

რევოლვერი ქვევით დაიწია.

ჰარიმ საჭესა და ბერკეტს ხელი გაუშვა და ხელები ასწია.

— უკან დაიხიე, თუ შეიძლება, — თქვა ქალმა.

კიბეზე ამოვიდა და ჰარიმ მხოლოდ ამ წუთში შენიშნა, როგორ უელავდა ქალს თვალები. ეს მზერა ძალიან ჰგავდა იმას, რომელიც ბეკერის დაპატიმრებისას ნახა, და იმ მზერას, რომელიც ბარ „ფენრისში" შეამჩნია, მაგრამ ამჯერად მის მთრთ-

ოლვარე გუგებში ნაპერწკლები ირეოდა. ჰარი უკან იხევდა, სანამ ფეხებით არ იგრძნო, რომ უკვე ძალიან ახლოს იდგა სავარძელთან.

— დაჯექი, — თქვა კატრინმა და ძრავა გათიშა.

ჰარი ანკესს დააჯდა და იგრძნო, რომ მისმა შარვალმა პლასტმასის სავარძლიდან წყალი შეისრუტა.

— როგორ მიპოვე? — იკითხა ქალმა. ჰარიმ მხრები აიჩეჩა.

— კარგი რა, ჰარი! — თქვა მან და იარაღი ისევ ასწია, — დაკმაყოფილე ჩემი ცნობისმოყვარეობა.

— კარგი, — თქვა ჰოლემ და შეეცადა, ქალის ფერმკრთალი, შეშლილი სახე შეესწავლა, მაგრამ ეს სრულიად უცნობი „ტერიტორია" იყო. ამ ქალის სახე არ ეკუთვნოდა იმ კატრინ ბრატს, რომელსაც ჰარი იცნობდა. ჰო, ეგონა, იცნობდა.

— ყველას თავისი ქცევის მოდელი, ერთგვარი სათამაშო გეგმა აქვს, — თქვა ჰარიმ.

— გასაგებია. და ჩემი როგორია?

— შენ ერთ მხარეზე მიუთითებ და სხვა მხარეს გარბიხარ ხოლმე.

— ოჰო!

იმ რევოლვერის სიმძიმე იგრძნო, რომელიც ქურთუკის მარჯვენა ჯიბეში ედო. წამოიწია, ანკესი მოიშორა სკამიდან და ამ დროს მარჯვენა ხელი სავარძელზე ედო.

— „თოვლის კაცის" სახელით მწერ წერილს და რამდენიმე კვირის შემდეგ ოსლოს პოლიციის სამმართველოში გადმოდიხარ. პირველი, რასაც მეუბნები, ისაა, რომ ჰაგენმა შენზე ზრუნვა დამავალა. ჰაგენს მსგავსი არაფერი უთქვამს.

— ჯერჯერობით, ყველაფერი სწორია. განაგრძე.

— სტიოპის ბინის ეზოში, არხში ისვრი პალტოს და საპირისპირო მიმართულებით, სახურავების გავლით გარბიხარ. შენი

ქცევის მოდელს თუ გავითვალისწინებთ, შეიძლებოდა, იმ დასკვნამდე მივსულიყავით, რომ რადგანაც მობილური ტელეფონი აღმოსავლეთისკენ მიმავალ მატარებელში დატოვე, თავად დასავლეთისკენ გქონდა აღებული გეზი.

— ბრავო. და აქ როგორ მოვედი?

— რა თქმა უნდა, თვითმფრინავით არ გიმგზავრია. იცოდი, რომ გარდემუენს იცავდნენ. ჩემი აზრით, ოსლოს ცენტრალურ სადგურში მიხვედი და ტელეფონი მატარებელში დააგდე, ეს რეისის დაწყებამდე გაცილებით ადრე გააკეთე. ამის შემდეგ ავტოსადგურამდე მიირბინე და დასავლეთისკენ მიმავალ ავტობუსში ჩაჯექი. სავარაუდოდ, რამდენიმე ავტობუსი გამოიცვალე.

— ნოტოდენის ექსპრესში ჩავჯექი, — თქვა კატრინმა, — იქიდან ბერგენის ავტობუსს გამოვყევი. ვოსში ჩამოვედი და ტანსაცმელი ვიყიდე. შემდეგ იტრე-არნამდე მიმავალი ავტობუსით ვიმგზავრე, იქიდან კი ადგილობრივი ავტობუსით ჩამოვედი ბერგენში. ზაქარიასის ნავმისადგომში ერთ მეთევზეს მოვურიგდი და აქ მომიყვანა. კარგი ინტუიცია გაქვს, ჰარი.

— არ იყო ძნელი. ჩვენ ძალიან ვგავართ ერთმანეთს. კატრინმა თავი დაუქნია.

— თუკი ასე დარწმუნებული იყავი, რატომ მოხვედი მარტო?

— არა ვარ მარტო. მიულერ-ნილსენი და მისი ხალხი კატერით მოეშურებიან ჩვენკენ.

კატრინს გაეცინა. ჰარიმ ქურთუკის ჯიბისკენ წაიღო ხელი.

— გეთანხმები, ნამდვილად ვგავართ ერთმანეთს, მაგრამ ყოველთვის გჯობნი, როდესაც ტყუილის თქმაა საჭირო.

ჰარიმ ნერწყვი გადაყლაპა. ხელი სულ გაჰყინოდა. არ ჰქონდა იმის იმედი, რომ თითები არ გაუშეშდებოდა.

— ჰო, დარწმუნებული ვარ, ადამიანების მოტყუებას ჩემზე

ადვილად ახერხებ, — თქვა ჰარიმ, — ისევე როგორც მკვლელობას.

— ასე გგონია? ისე გამოიყურები, თითქოს ჩემს მოკვლას აპირებ. შენი ხელი ძალიან სახიფათოდ უახლოვდება მაგ ქურთუკის ჯიბეს. წამოდექი და ქურთუკი გაიხადე. ნელა... და აქ დააგდე.

ჰარიმ გულში შეიგინა, მაგრამ ისე მოიქცა, როგორც ქალმა მოითხოვა. მისი ქურთუკი ხმაურით დავარდა. კატრინი ტანსაცმლის ასაღებად დაიხარა, აიღო და წყალში მოისროლა. ამასთან, ეს ყველაფერი ისე გააკეთა, რომ ჰარისთვის თვალი არ მოუცილებია.

— ისედაც დროა უკვე, ახალი იშოვო, — თქვა ქალმა.

— ჰმ, ისეთი, რომელიც ჩემი სახის ცენტრში დამაგრებულ სტაფილოს მოუხდება? კატრინმა ორჯერ ზედიზედ დაახამხამა თვალები და ჰარიმ შენიშნა, რომ ქალი შეცბა.

— მისმინე, კატრინ, აქ შენს დასახმარებლად ვარ მოსული. დახმარება გჭირდება. ავად ხარ, კატრინ, და მაგ ავადმყოფობამ დაგახოცვინა ის ადამიანები.

კატრინი ნელა აქნევდა თავს, შემდეგ კი ხმელეთისკენ გაიშვირა ხელი.

— ორი საათი ვიჯექი მენავეების სახლში და შენ გელოდებოდი, ჰარი. რადგანაც ვიცოდი, რომ მოხვიდოდი. ყოველთვის პოულობ იმას, რასაც ეძებ. სწორედ ამიტომ აგირჩიე.

— ამირჩიე?

— ჰო, აგირჩიე. შენ უნდა გეპოვა „თოვლის კაცი". ჩემთვის. სწორედ ამიტომ მოგწერე წერილი.

— თვითონ რატომ ვერ იპოვე? შორს წასვლა არც დაგჭირდებოდა.

ქალმა თავი გააქნია.

— ვცდილობდი, ჰარი. დიდხანს ვცდილობდი. ვიცოდი, რომ მარტო ვერ შევძლებდი. შენ უნდა ყოფილიყავი. შენ ერთადერთი ხარ, ვინც სერიული მკვლელის დაჭერა შეძლო. მე ჰარი ჰოლე მჭირდებოდა, — თქვა ქალმა და სევდიანად გაიღიმა, — ბოლო კითხვასაც დაგისვამ, ჰარი. როგორ მიხვდი, რომ მოგატყუე?

ჰარი იმაზე ფიქრობდა, როგორ დამთავრდებოდა ეს ყველაფერი. ტყვიით შუბლში? საჭრელი ელექტრომარყუჟით? ზღვაში გასვლით და დახრჩობით? ნერწყვი გადაყლაპა. წესით, შიშის გრძნობა უნდა დაუფლებოდა. ისე ძალიან უნდა ყოფილიყო შეშინებული, რომ აზროვნების უნარი დაჰკარგოდა. ძირს უნდა დაცემულიყო აცრემლებული და დანდობა ეთხოვა, მაგრამ რატომ არ ხდებოდა ასე, რატომ? სიამაყის ბრალი არ უნდა ყოფილიყო. ცხოვრების მანძილზე რამდენჯერმე მოასწრო სიამაყის ვისკისთან ერთად დალევა და შემდეგ გადმოფურთხება. მისი რაციონალური აზროვნებაც შეიძლებოდა, ყოფილიყო ამის მიზეზი. იცოდა, რომ შიში ვერაფრით დაეხმარებოდა. პირიქით, ეს მხოლოდ შეამოკლებდა მის ცხოვრებას. საბოლოოდ დაასკვნა, რომ ყველაფრის მიზეზი გადაღლილობა იყო. ღრმა, ყოვლისმომცველი გადაქანცულობის გამო მხოლოდ ის უნდოდა, ეს გაწამაწია მალე დასრულებულიყო.

— ყოველთვის ვიცოდი, რომ ყველაფერი დიდი ხნის წინ დაიწყო, — თქვა ჰარიმ და იგრძნო, რომ სიცივეს აღარ გრძნობდა, — წინასწარ დაიგეგმა და ჩემ უკან მდგარი ადამიანი ყოველთვის ახერხებდა, ჩემი ფიქრებისა და აზრების გამოცნობას. არც ისე ბევრი ხალხისგან მომიწია გამორჩევამ, კატრინ, და როდესაც გაზეთის ამონარიდები ვიპოვე შენს ბინაში, დავრწმუნდი, რომ შენ იყავი.

ჰარიმ შენიშნა, რომ ქალი დაბნეულად ახამხამებდა თვალებს და მთავარმა გამომძიებელმა იგრძნო, რომ მისი აზრების ნაკადს, მის მიერ ასე აშკარად დანახულ ლოგიკურ ჯაჭვს ეჭვის ჟანგი უჩნდებოდა. ან იქნებ ეს ეჭვი სულ თან სდევდა? თქორი კოკისპირული წვიმით შეიცვალა. კატერს წყლის წვეთები ეხეთქებოდა. ჰარი კატრინს უცქერდა. ქალს პირი ღია ჰქონდა და თითი სასხლეტზე ედო. ჰოლემ ანკესს დაავლო ხელი და რევოლვერის ლულას მიაჩერდა. აი, ასე უნდა დამთავრებულიყო ეს ისტორია — დასავლეთის სანაპირო წყლებში მცურავ კატერზე, მოწმეებისა და სამხილის გარეშე. გონებაში ოლეგის სახემ გაუელვა. მხოლოდ ოლეგის.

ჰარიმ ანკესი მოუქნია კატრინს. ეს სასოწარკვეთილი ადამიანის უკანასკნელ გაბრძოლებას, ბედის ბორბლის უკუღმა დატრიალების ნერვიულ მცდელობას ჰგავდა. კატრინს ლოყაზე მოხვდა ანკესის რბილი წვერი. იმდენად რბილად შეეხო მის კანს, რომ ქალმა თითქმის ვერ იგრძნო. არც სტკენია და არც წონასწორობა დაუკარგავს. მოგვიანებით, ჰარი ცდილობდა, გაეხსენებინა, რამდენად გამიზნულად მოქმედებდა იმ მომენტში. ანკესის ძაფის ოცსანტიმეტრიანი მონაკვეთი ქალს ისე შემოეხვია თავზე, რომ სპინერი პირდაპირ ღია პირზე და წინა კბილებზე მოხვდა. და როდესაც ჰარიმ ანკესი გამოქაჩა, კაუჭის ბოლომ გააკეთა ის, რისთვისაც იყო შექმნილი. სპინერმა ცოცხალი ორგანიზმის რბილი ქსოვილი იპოვა და კატრინ ბრატს პირის მარჯვენა კუთხეში შეერჭო, ჰარიმ კი იმდენად ძლიერად გამოქაჩა, რომ ქალი უკან გადაიწია და მკვეთრი მოძრაობით მარჯვნივ შეაბრუნა თავი. ერთხანს ჰარის ეგონა, ქალს თავი მოსწყვიტა. ეს ყველაფერი ერთი დაუსრულებელი წამის მანძილზე გრძელდებოდა, რის შემდეგაც ქალის სხეული თავის მოძრაობას მიჰყვა, ჯერ მარჯვნივ შებრუნდა, შემდ-

ეგ კი ჰარისკენ გამოექანა. მისი ტანი ჯერ კიდევ ტრიალებდა, როდესაც ჰარის წინ, კატერის ზედაპირზე დაეცა.

ჰარი მაშინვე მივარდა ქალს, შემოაჯდა და ლავიწის ძვალზე მუხლები დააჭირა, რის გამოც კატრინი ხელებს ვეღარ ამოძრავებდა.

პარალიზებული ხელიდან რევოლვერი გამოჰგლიჯა და ლულა ქალის ერთ-ერთ ნახევრად მოხუჭულ თვალთან მიიტანა. იარაღი მსუბუქი აღმოჩნდა. ლულა კატრინს ქუთუთოში ჩაესო, მაგრამ ქალს თვალები არ დაუხამხამებია. კატრინ ბრატი იკრიჭებოდა. ფართოდ იკრიჭებოდა. ტუჩის კუთხე გამოფატრული ჰქონდა, წვიმა კი მისი ჩასისხლიანებული კბილების მორეცხვას ცდილობდა.

თავი XXX

მეოცე დღე. განტევების ვაცი

როდესაც ჰარი მოტორიანი ნავით დაბრუნდა ქალაქში, პუდეფიორდის ხიდის ქვეშ მდებარე ნავსადგომში თვით კნუტ მიულერ-ნილსენი დახვდა. იგი ორ პოლიციელსა და მორიგე ფსიქიატრთან ერთად ჩავიდა კატერის ქვედა ნაწილში. კატერის საწოლზე ხელბორკილდადებული კატრინ ბრატი იწვა, რომელსაც ფსიქოზის საწინააღმდეგო ტრანკვილიზატორის ინექცია გაუკეთეს და პოლიციის მანქანაში გადაიყვანეს.

მიულერ-ნილსენმა მადლობა გადაუხადა ჰარის იმის გამო, რომ ის საიდუმლოს შენახვას დათანხმდა.

— მოდი, ვეცადოთ, რომ არც მომავალში გავამჟღავნოთ ის, რაც მოხდა, — თქვა მან და წვიმიან ცას ახედა, — თუკი ეს ამბავი გასაჯაროვდება, ოსლო გადაწყვეტს, მართვის სადავეები საკუთარ ხელში აიღოს.

— რა თქმა უნდა, — თავი დაუქნია მიულერ-ნილსენმა.

— ხიერსტი რიოდსმუენი, — გაისმა ხმა, რის გამოც ორივემ უკან მიიხედა, — ფსიქიატრი.

ჰარის ორმოცს გადაცილებული ქალი უყურებდა, რომელსაც ღია, აწეწილი თმა ჰქონდა და ხასხასა წითელი პიჯაკი ეცვა. ხელში სიგარეტი ეჭირა. ერთი შეხედვით, არ აღელვებდა ის, რომ წვიმა მას და მის სიგარეტს ასველებდა.

— გაგიჭირდათ? — ჰკითხა მან.

— არა, — თქვა ჰარიმ და იგრძნო, როგორ ედებოდა კანზე კატრინის რევოლვერი, რომელიც ქამრის ქვეშ გაირჭო.

— რა თქვა?

— არაფერი.

— არაფერი?

— სიტყვაც არ დაუძრავს. რა დიაგნოზი დაუსვით?

— აშკარად ფსიქოზი სჭირს, — ყოყმანით თქვა რიოდსმუენმა, — რაც არ ნიშნავს მაინცდამაინც იმას, რომ გიჟია. ეს უბრალოდ ტვინის რეაქციაა იმ შემთხვევებზე, როდესაც უმართავ მოვლენებთან გვაქვს საქმე. ფაქტობრივად, იგივე ხდება მაშინ, როდესაც ადამიანს მეტისმეტი ტკივილისგან მისდის გული. სავარაუდოდ, საშინელი სტრესი ჰქონდა დიდი ხნის მანძილზე. ასეა ხომ?

ჰარიმ თავი დაუქნია.

— დაუბრუნდება ლაპარაკის უნარი?

— კი, — თქვა რიოდსმუენმა, რომელიც სველ, ჩამქრალ სიგარეტს უკმაყოფილოდ უცქერდა, — თუმცა ვერ გეტყვით, როდის. ამჟამად დასვენება სჭირდება.

— დასვენება? — დაიფრუტუნა მიულერ-ნილსენმა, — ის ხომ სერიული მკვლელია!

— მე კი ფსიქიატრი ვარ, — თქვა რიოდსმუენმა. მან სიგარეტი გადააგდო და გაემართა პატარა წითელი „ჰონდასკენ", რომელიც თავსხვა წვიმაშიც კი მტვრიანი იყო.

— რას აპირებ? — იკითხა მიულერ-ნილსენმა.

— აეროპორტში წავალ და ოსლოს გვიანდელი რეისით გავფრინდები სახლში. — თქვა ჰარიმ.

— რა სისულელეა! მოსიარულე ჩონჩხს ჰგავხარ. ჩვენს სამმართველოს Rica Travel Hotel-თან ხელშეკრულება აქვს გაფორმებული. შეგვიძლია იქ მიგიყვანოთ და მშრალი ტანსაცმელიც მოგაწოდოთ. სხვათა შორის, იმ სასტუმროს რესტორანიც აქვს.

ჰარი სასტუმროში დარეგისტრირდა და ახლა თავისი ვიწ-

რო, ერთადგილიანი ნომრის სააბაზანოს სარკის წინ იდგა. იმაზე ფიქრობდა, რაც მიულერ-ნილსენმა უთხრა. იმაზე, რომ მოსიარულე ჩონჩხს ჰგავდა, და იმაზე, რამდენად ახლოს იყო სიკვდილთან. ნუთუ მართლა ასე ახლოს იყო? იბანავა, ცარიელ რესტორანში ივახშმა, თავის ნომერში დაბრუნდა და შეეცადა, დაეძინა. ვერ დაიძინა. ტელევიზორი ჩართო. ყველა არხზე სისულელეები გადიოდა, NRK2-ის გარდა, რომელიც „მემენტოს" აჩვენებდა. ეს ფილმი ნანახი ჰქონდა. ამბავი პირველპირში იყო მოთხრობილი და ეხებოდა ადამიანს, რომელსაც ტვინი დაუზიანდა და ამის გამო მეხსიერება დაუქვეითდა. ქალი მოკლეს. პროტაგონისტმა მკვლელის სახელი „პოლაროიდს" მიაწერა, რადგანაც იცოდა, რომ დაავიწყდებოდა. ახლა მხოლოდ ის უნდა სცოდნოდა დანამდვილებით, რამდენად სანდო იყო ის, რაც დაწერა. ჰარიმ საბანი მოიშორა. ტელევიზორის ქვევით მდებარე მინიბარს უსაკეტო ყავისფერი კარი ჰქონდა.

თვითმფრინავის ბილეთი უნდა ეყიდა და სახლში უნდა დაბრუნებულიყო.

საწოლიდან წამოდგომას აპირებდა, როდესაც ტელეფონმა დარეკა. რადიატორთან, სკამზე დაკიდებული შარვლის ჯიბეში ჩაყო ხელი. რაკელი რეკავდა. სად ხარო, ჰკითხა ჰარის და უთხრა, შენთან სალაპარაკო მაქვს, ოღონდ შენს ბინაში არა, სადმე საჯარო სივრცეში შემხვდიო.

ჰარი საწოლზე გადაწვა და თვალები დახუჭა.

— იმის სათქმელად უნდა შემხვდე, რომ ერთმანეთს აღარ შევხვდებით? — იკითხა ჰარიმ.

— იმის სათქმელად უნდა შეგხვდე, რომ ერთმანეთს აღარ შევხვდებით, — თქვა ქალმა, — აღარ შემიძლია.

— საკმარისი იქნება, თუკი ამას ტელეფონით მეტყვი, რაკ-

ელ.

— არა. არ იქნება. საკმარისად მტკივნეული არ იქნება.

ჰარიმ ამოიკვნესა. რაკელი მართალი იყო.

გადაწყვიტეს, ერთმანეთს მომდევნო დილის თერთმეტ საათზე შეხვედროდნენ ფრამის მუზეუმში, რომელიც ბიუგდიოის ერთ-ერთ ტურისტულ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენდა და ამიტომ რაკელი და ჰარი გერმანელებისა და იაპონელების დიდ ჯგუფებს შეერეოდნენ. ბერგენში რას აკეთებო, ჰკითხა.

ჰარიმ უთხრა, რომ ეს ინფორმაცია საიდუმლოდ უნდა შეენახა, სანამ გაზეთებში სტატიებს არ წაიკითხავდა ამ ამბის შესახებ, ეს კი რამდენიმე დღეში მოხდებოდა.

საუბარი დაასრულეს. ჰარი იწვა და მინიბარს უყურებდა. „Memento" რევერსიული ქრონოლოგიით გრძელდებოდა. კინაღამ მოკლეს, მის ერთადერთ სიყვარულს მისი ნახვა აღარ სურდა და, როგორც იქნა, თავისი კარიერის ყველაზე ცუდი საქმე დაასრულა. ან იქნებ ვერც დაასრულა? მან არ უპასუხა მიულერ-ნილსენს, როდესაც ჰკითხა, რატომ გადაწყვიტე ბრატის მარტო დაჭერაო. მაგრამ ახლა იცოდა, რატომაც. ეჭვის გამო. ან იმედის. ამის მიზეზი იყო სასოწარკვეთილი იმედი, რომ ამდენი დამთხვევის მიუხედავად, კატრინ ბრატი არ იყო დამნაშავე. და ეს იმედი ჯერ კიდევ ცოცხლობდა. "მიდი, სამი კარგი მიზეზი გაქვს მუცელში დამწყვდეული გახელებული ძაღლების დასარწყულებლად. მაშ, რატომ არ გამოაღებ მინიბარს"? ჰარი საწოლიდან წამოდგა, სააბაზანოში შევიდა, ონკანი მოუშვა და დალია. წყლის ჭავლი სახეს უსველებდა. შემდეგ წელში გაიმართა და სარკეში ჩაიხედა.

„მოსიარულე ჩონჩხივით". რატომ არ დალევს ჩონჩხი?

— იმიტომ, რომ საკმარისად მტკივნეული არ იქნება, — გაიგონა ჰარიმ თავისივე ხმა.

***

გუნარ ჰაგენი დაიღალა. ძალიან დაიღალა. გარშემო მიმოიხედა. თითქმის შუაღამე იყო, ის კი ოსლოს ერთ-ერთი ცენტრალური შენობის ზედა სართულზე, სათათბირო ოთახში იჯდა. აქ ყველაფერი ხასხასა ყავისფერი იყო — გემბანს მიმსგავსებული იატაკი, პროჟექტორის ნათურებით მოჭედილი ჭერი, კედლები, რომლებიც კლუბის თავმჯდომარეების ფერწერული ტილოებით იყო მორთული. სხვადასხვა დროს ეს ოთახი სწორედ იმ პატივცემული გვამების მფლობელობაში იყო. ოთახში მაჰაგონის მაგიდა იდგა, რომელიც ათ კვადრატულ მეტრ ფართობს იკავებდა და ზედ ყავისფერი ტყავის ბიუვარები[36] ეწყო ამ მაგიდასთან მჯდომი თორმეტი კაცისთვის. სამმართველოს უფროსმა ჰაგენი ერთი საათის წინ იხმო. თანაც ამ მისამართზე. აქ წარმოდგენილ ზოგიერთ ადამიანს — მაგალითად, ნორვეგიის პოლიციის უფროსს — კომისარი იცნობდა, ზოგიერთის ფოტო გაზეთებში ჰქონდა ნანახი, მაგრამ აქ შეკრებილი ადამიანების უმრავლესობას პირველად ხედავდა. პოლიციის სამმართველოს უფროსმა დამსწრე საზოგადოებას საქმის უახლესი დეტალები გააცნო. „თოვლის კაცი" პოლიციის თანამშრომელი აღმოჩნდა, წარმოშობით ბერგენელი. ერთხანს იგი გრიონლანდში, სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებაში მუშაობდა. იმ ქალმა პოლიციელებს თვალი აუხვია, მოატყუა და ახლა, როდესაც იგი დააკავეს, შესაძლოა, საყოველთაო სკანდალის მიზეზად ქცეულიყო.

როდესაც სამმართველოს უფროსმა გამოსვლა დაასრულა, დარბაზში სიგარის კვამლივით მძიმე სიჩუმე გამეფდა.

კვამლი მაგიდის კიდიდან მოდიოდა, სადაც ჭაღარა კაცი

---

[36] *სამაგიდო, საშრობფურცლებიანი საქაღალდე ან რვეული*

სავარძელში გადაწოლილიყო. მის სახემდე ვერ აღწევდა სინათლე, ამიტომ მისი ნაკვთების გარჩევა ჭირდა. მან უბრალოდ მსუბუქად ამოიოხრა და გუნარ ჰაგენმა შენიშნა, რომ ყველა მას მისჩერებოდა.

— ძალიან დამთრგუნველი ამბავია, ტორლეიფ, — თქვა ჭაღარა კაცმა, რომელსაც გასაოცრად მაღალი, ქალური ხმა ჰქონდა, — უკიდურესად საზიანო. ნდობა სისტემის მიმართ. ჩვენ მეთაურები ვართ, რაც იმას ნიშნავს, რომ... — მთელი ოთახი სუნთქვაშეკრული უსმენდა კაცს, რომელიც სიგარას აბოლებდა, — ამ ამბავს ზოგიერთის თავი უნდა შეეწიროს. ახლა მხოლოდ იმის გარკვევა მოგვიწევს, ვინ უნდა შეეწიროს.

ნორვეგიის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსმა ჩაახველა.

— გაქვთ ვერსიები?

— არა, — თქვა ჭაღარა კაცმა, — მაგრამ დარწმუნებული ვარ, თქვენ და ტორლეიფს გაქვთ. განაგრძეთ.

— ჩვენი აზრით, არსებითი შეცდომები იქნა დაშვებული დანიშვნისა და სამუშაო პოზიციაზე დამტკიცების ეტაპებზე. ანუ შეცდომები ადამიანურ ფაქტორს უკავშირდება და არა მთლიანად სისტემას. მიმაჩნია, რომ ეს შემთხვევა უშუალოდ მენეჯმენტის პრობლემას არ წარმოადგენს და, აქედან გამომდინარე, გამოვდივართ ინიციატივით, რომ პასუხისმგებლობა და დანაშაული უნდა გაიმიჯნოს. მენეჯმენტი თავის თავზე აიღებს პასუხისმგებლობას და აღიარებს, რომ სუსტია...

— საქმის ძირითად ნაწილზე გადადით, — თქვა ჭაღარა კაცმა, — ვინ არის განტევების ვაცი?

— ინსპექტორი ჰარი ჰოლე, — თქვა პოლიციის სამმართველოს უფროსმა.

კიდევ ერთხელ ჩამოწვა სიჩუმე, იმიტომ, რომ ჭაღარა კაც-

მა კიდევ ერთხელ მოუკიდა სიგარას. რამდენჯერმე გაჩხაკუნდა სანთებელა, სიბნელიდან მოქაჩვის ხმები მოისმა და ისევ გამოჩნდა სიგარის კვამლი.

— არაა ცუდი აზრი, — თქვა ჭაღარა კაცმა, — ჰოლეზე რომ არ იყოს საუბარი, გეტყოდით, რომ განტევების ვაცი უფრო მაღალ ეშელონებში უნდა გეძებნათ. იმიტომ, რომ უფროსი ინსპექტორი არც ისე მსუქანი კრავია იმისთვის, რომ მსხვერპლად შევწიროთ. მართლაც, რომ არა ჰოლე, ალბათ, თქვენ გთხოვდით მსხვერპლის როლის შესრულებას, ტორლეიფ, მაგრამ ჰოლე პროფესიონალია და იმ ტოქშოუს სტუმარიც იყო. იგი პოპულარული ადამიანია, რომელსაც კარგი დეტექტივის რეპუტაცია აქვს. დიახ, სამართლიანი იქნება, მაგრამ ადვილად დაგვემორჩილება?

— ეგ საქმე ჩვენ მოგვანდეთ, — თქვა სამმართველოს უფროსმა, — ასე არ არის, გუნარ?

გუნარ ჰაგენმა ნერწყვი გადაყლაპა. მისი გონება მთლიანად მისი ცოლისკენ იყო მიმართული. იმ მსხვერპლზე, რომელიც იმ ქალმა გაიღო გუნარის კარიერისთვის. როდესაც დაქორწინდნენ, მისმა ცოლმა სწავლას დაანება თავი და იქ მიჰყვებოდა ქმარს, სადაც ჯერ სპეცდანიშნულების უწყება, შემდეგ კი პოლიცია მიავლენდა ხოლმე. ბრძენი, განათლებული ქალი იყო, რომელიც თითქმის ყველაფრით შეესაბამებოდა ჰაგენის დონეს, ზოგიერთ საკითხში კი აღემატებოდა კიდეც.

რჩევის სათხოვნელად სწორედ მას მიმართავდა ხოლმე ჰაგენი როგორც პირადი, ისე სამსახურებრივი გადაწყვეტილებების მიღების წინ, იმიტომ, რომ მისი მეუღლე ყოველთვის კარგ რჩევებს იძლეოდა. და ამის მიუხედავად, ჰაგენი ეჭვობდა, რომ ვერ მიაღწია იმ კარიერულ სიმაღლეს, რომლის იმედიც ჰქონდა ორივეს. თუმცა ახლა ყველაფერი უფრო ვარდი-

სფრად მოჩანდა. მისი კარიერული წინსვლა იღბალზე იყო დამოკიდებული და მას შეცდომა არ უნდა დაეშვა, ეს პირობა კი სირთულით არ გამოირჩეოდა.

— გუნარ! — გაიმეორა სამმართველოს უფროსმა.

ჰაგენი ძალიან დაიღალა. საშინლად გადაიღალა. „ამას შენთვის ვაკეთებ, ძვირფასო, — გაიფიქრა კომისარმა, — შენც ასე მოიქცეოდი".

თავი XXXI

ოცდამეერთე დღე. სამხრეთი პოლუსი

ჰარი და რაკელი ხის გემ „ფრამის” ქიმთან იდგნენ და უყურებდნენ იაპონელ ტურისტებს, რომლებიც თოკებსა თუ ანძებს ფოტოებს უღებდნენ და თან უღიმოდნენ და თავს უქნევდნენ ექსკურსიამძღოლს, რომელიც მათ უხსნიდა, რომ ეს მარტივი ხომალდი ჯერ ფრიტიოფ ნანსენს ემსახურებოდა, რომელმაც 1893 წელს ამაოდ სცადა ჩრდილოეთ პოლუსის დალაშქვრა, შემდეგ კი რუალ ამუნდსენს, რომელმაც 1911 წელს სკოტი დაამარცხა და პირველმა დალაშქრა სამხრეთი პოლუსი.

— საათი დამრჩა შენთან. ტუმბაზე დავტოვე, — თქვა რაკელმა.

— ეგ ძველი ოინია, — თქვა ჰარიმ, — და იმას ნიშნავს, რომ მაგ საათის წასაღებად დაბრუნდები.

ჰარის ექსპონატის ზღუდეზე ედო ხელი, რომელსაც რაკელმა თავისი ხელი დაადო და თავი გააქნია.

— მათიასმა მაჩუქა დაბადების დღეზე.

„რომელიც მე დამავიწყდა”, — გაიფიქრა ჰარიმ.

— უნდა შევხვდე და თუკი მაჯაზე არ დაინახავს, აუცილებლად მოიკითხავს. შენ კი ნამდვილად კარგად იცი, როგორი მატყუარაც ვარ. შეგიძლია...

— ოთხამდე შემოგირბენ და წამოგიღებ.

— გმადლობ. სამსახურში ვიქნები. უბრალოდ კართან, კედელზე მიჭედებულ ჩიტის ბუდეში ჩააგდე. ეგ...

ჰარის მეტის თქმა აღარ სჭირდებოდა. რაკელი სწორედ იქ

ინახავდა ხოლმე სახლის გასაღებს მაშინ, როდესაც ჰარის მოსვლამდე მიდიოდა დასაძინებლად. პოლიციელმა ხელი დაარტყა ზღუდეს:

— არვე სტიოპის აზრით, რუალ ამუნდსენის პრობლემა ის არის, რომ მან გაიმარჯვა. სტიოპი ფიქრობს, რომ საუკეთესო ისტორიები დამარცხებულებზე იწერება.

რაკელმა დუმილით უპასუხა.

— ალბათ, ასეთი მიდგომა ერთგვარი ნუგეში და შვებაა დამარცხებულისთვის, — თქვა ჰარიმ, — გავიდეთ?

გარეთ თოვდა.

— ანუ მორჩა? — იკითხა ქალმა, — მომდევნო შეხვედრამდე?

ჰარიმ წამიერი მზერა ესროლა, რათა დარწმუნებულიყო, რომ რაკელი „თოვლის კაცზე" ელაპარაკებოდა, და არა მათ ურთიერთობაზე.

— ჯერ არ ვიცით, სად არის გვამები, — თქვა ჰარიმ, — დღეს დილით, აეროპორტში წასვლამდე, საკანში მივაკითხე. ხმას არ იღებდა. უბრალოდ სივრცეს გაჰყურებდა, თითქოს ჩვენ გარდა მის ოთახში ვიღაც სხვაც იყო.

— ვინმეს უთხარი, რომ მარტო მიდიოდი ბერგენში? ჰარიმ თავი გააქნია.

— რატომ?

— რა ვიცი, — უპასუხა ჰარიმ, — არ ვიყავი დარწმუნებული, რომ არ ვცდებოდი. მარტო წასვლით კი მშვიდად, სირცხვილის შეგრძნების გარეშე დაბრუნების საშუალება მივიღე.

— მაგიტომ არ მოქცეულხარ ასე, — თქვა რაკელმა.

ჰარიმ კიდევ ერთხელ შეხედა ქალს, რომელიც თავად მასზე გადაღლილი ჩანდა.

— სიმართლე გითხრა, არც კი ვიცი, რატომ მოვიქეცი ასე. იმედი მქონდა, რომ დამნაშავე არა ის, არამედ ვიღაც სხვა აღ-

მოჩნდებოდა.

— იმიტომ, რომ ის ქალი შენ გგავს? იმიტომ, რომ შესაძლოა, თავად შენ ყოფილიყავი დამნაშავე?

კაცს არ ახსოვდა, როდის უთხრა რაკელს, რომ კატრინ ბრატი მას, ჰარი ჰოლეს ჰგავდა.

— ძალიან მარტოსული და შეშინებული ჩანდა, — თქვა ჰარიმ, როდესაც ფანტელები თვალებში ჩაეყარა, — მწუხრის ბინდში დაკარგულს ჰგავდა.

ჯანდაბა! ჯანდაბა! ჯანდაბა! ჰარიმ თვალები დაახამხამა და იგრძნო, რომ ცრემლი სდიოდა. გრძნობდა, როგორ მოებჯინა ბურთი ყელში. სადაცაა ატირდებოდა.

იქნებ ნერვული აშლილობა დაეწყო? სიცივისგან კანკალებდა, როდესაც რაკელის თბილი ხელი კისერზე ეხვეოდა.

— შენ არა ხარ მისნაირი. შენ განსხვავებული ხარ.

— მართლა? — ცალყბად გაიღიმა ჰარიმ და ქალის ხელი მოიშორა.

— შენ უდანაშაულო ხალხს არ ხოცავ, ჰარი.

რაკელმა შესთავაზა, შემიძლია მანქანით გაგიყვანო იქ, სადაც მოისურვებო, მაგრამ კაცმა უარი უთხრა და ავტობუსში ავიდა. ტრანსპორტის ფანჯრიდან თოვლის ფანტელებსა და ფიორდს უყურებდა და თან რაკელის ნათქვამი სიტყვა „უდანაშაულო" ჩაესმოდა. ქალმა თითქოს ხაზი გაუსვა ამ სიტყვას.

ჰარი უკვე სოფიეს-გატეში იყო და სახლის სადარბაზოს კარის გაღებას აპირებდა, როდესაც გაახსენდა, რომ ხსნადი ყავა აღარ ჰქონდა და ორმოცდაათ მეტრში, ქუჩის კუთხეში მდებარე მაღაზია „ნიაზისკენ" გაეშურა.

— დღის ამ მონაკვეთში არ გელოდი აქ, — თქვა ალიმ, როდესაც ჰარიმ ფული გაუწოდა.

— ერთდღიანი შვებულება მაქვს.

— რა საშინელი ამინდია, არა? ამბობენ, მომცდევნო ოცდაოთხ საათში თოვლის სიმაღლე ნახევარ მეტრამდე აიწევსო.

ჰარიმ ყავის ქილა შეათამაშა.

— იმ დღეს სალმა და მუჰამადი შევაშინე ეზოში.

— ჰო, მითხრეს.

— ბოდიშს ვიხდი. თავგზააბნეული ვიყავი იმ დღეს.

— არა უშავს. უბრალოდ მეგონა, ისევ დაიწყე სმა და შევშფოთდი.

ჰარიმ თავი გაიქნია და სუსტად გაიღიმა. მოსწონდა ამ პაკისტანელის პირდაპირობა.

— ძალიან კარგი, — თქვა ალიმ და ჰარის ხურდა დაუთვალა, — როგორ მიდის სარემონტო სამუშაო?

— სარემონტო სამუშაო? — ჰარიმ ხურდა აიღო, — კედლის სოკოს კაცს გულისხმობ?

— კედლის სოკოს კაცი ვინაა?

— აი, ის ტიპი, ობის გამოსავლენად სარდაფებს რომ ამოწმებს. სტურმანია, მგონი, გვარად.

— ობი სარდაფში? — ალის შიში ჩაუდგა თვალებში.

— არ იცოდი? — იკითხა ჰარიმ, — მობინადრეთა კომიტეტის თავმჯდომარე ხარ და ამიტომ მეგონა, პირველ რიგში, შენთან უნდა ელაპარაკა.

ალიმ ნელა გააქნია თავი.

— ალბათ, ბიორნს ელაპარაკა.

— ვინ არის ბიორნი?

— ბიორნ ბიორნსენი. უკვე ცამეტი წელია, რაც ჩვენი სახლის პირველ სართულზე ცხოვრობს, — თქვა ალიმ და ჰარის მკაცრი მზერა ესროლა.

— ჰო, ბიორნი! გამახსენდა, — ისე თქვა ჰარიმ, თითქოს მართლა ხვდებოდა, ვისზე იყო ლაპარაკი.

— აუცილებლად შევამოწმებ, — თქვა ალიმ.

თავის ბინაში შევიდა და ფეხსაცმელი გაიხადა. პირდაპირ საძინებელში გავიდა და დაიძინა. თითქმის არ უძინია ბერგენის სასტუმროში. როგორც კი გაიღვიძა, იგრძნო, რომ პირი გამშრალი ჰქონდა. მუცელი სტკიოდა. წყლის დასალევად წამოდგა და როდესაც შემოსასვლელში გავიდა, მოულოდნელობისგან გახევდა. შემოსვლისას ვერც კი შეამჩნია, რომ კედლები აღარ იყო მოშიშვლებული.

ერთი ოთახიდან მეორეში გადიოდა და კედლებს ათვალიერებდა. „ჯადოქრობაა ნამდვილი". სარემონტო სამუშაო ისეთი ოსტატობით იყო შესრულებული, არც კი ეტყობოდა, რომ მცირე ხნის წინ მოანგრიეს, არც ძველი ნალურსმნალები ეტყობოდა, ხაზებიც ზედმიწევნით სწორად იყო გავლებული. სასტუმრო ოთახის კედელს შეეხო, თითქოს სურდა, დარწმუნებულიყო, რომ არ ეჩვენებოდა.

სასტუმრო ოთახის მაგიდაზე, სავარძლის წინ, ყვითელი ქაღალდი იდო, რომელზეც მოხდენილი და უცნაურად მიმზიდველი კალიგრაფიით ეწერა:

„განადგურდა. თავს აღარ შეგაწყენთ. სტურმანი.

P.S. ერთ-ერთი დაფის გადატანისას ხელი გამეჭრა. როდესაც დაუმუშავებელ ხეს სისხლი არ შორდება, მხოლოდ ერთადერთი გამოსავალი არსებობს — კედელი წითლად უნდა შეიღებოს".

ჰარი სავარძელში ჩაესვენა და ოსტატურად დამუშავებულ კედლებს დააკვირდა. როდესაც სამზარეულოში შევიდა, აღმოაჩინა, რომ ამით საოცრებები არ დასრულებულა. კალენდარი, რომელზეც ის, რაკელი და ოლეგი იყვნენ გამოსახულ-

ნი, სადღაც გამქრალიყო. ცისფერი კაბა აღარ ჩანდა. ჰარიმ ხმამაღლა შეიგინა და გააფთრებით დაიწყო იმ გამოსახულების ძებნა, რომელზეც მისი ცხოვრების უბედნიერესი პერიოდი იყო აღბეჭდილი. ნაგვის ურნები მოქექა და ეზოში პლასტმასის კონტეინერიც შეამოწმა, მაგრამ ვერ იპოვა. კედლის სოკოსთან ერთად ის კალენდარიც გამქრალიყო.

***

ფსიქიატრ ხიერსტი რიოდსმუენს აშკარად განსხვავებული სამუშაო დღე ჰქონდა. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ბერგენის ცაზე მზე გამოჩნდა, რომელიც იმ მომენტში სანდვიკენში მდებარე ჰაუკელანდის საავადმყოფოს ფსიქიატრიული განყოფილების შენობის ფანჯრებში იჭყიტებოდა. რიოდსმუენი ამ განყოფილების დერეფანში მიაბიჯებდა. ამ დეპარტამენტს იმდენჯერ შეუცვალეს სახელი, რომ არც ისე ბევრმა ბერგენელმა იცოდა, რომ ამჟამად განყოფილებას „სანდვიკენი" ერქვა. თუმცა დახურული პალატა მაინც „დახურულ პალატად" რჩებოდა და იმ მომენტს ელოდა, როდესაც ვიღაც ხმას აიმაღლებდა და განაცხადებდა, რომ ასეთი ტერმინოლოგია არასწორი იყო და პაციენტების სტიგმატიზაციას ახდენდა.

რიოდსმუენი შიშით და იმავდროულად, ერთგვარი მოლოდინით იყო განმსჭვალული. უნდა შეხვედროდა პაციენტს, რომელსაც მკაცრად იცავდნენ. პაციენტი, რომლისკენაც ხიერსტი მიეშურებოდა, იყო ერთადერთი ამ განყოფილების ავადმყოფებს შორის, რომელსაც ამხელა ბადრაგი ჰყავდა მიჩენილი. ყოველ შემთხვევაში, ექიმი რიოდსმუენი სხვა შემთხვევე-

ბს ვერ იხსენებდა. პაციენტთან ურთიერთობისას დასაცავი ეთიკური საზღვრები და პროცედურები მან ნორვეგიის კრიმინალური პოლიციის წარმომადგენელთან, ესპენ ლეპსვიკსა და ბერგენის პოლიციის ოფიცერთან, კნუტ მიულერ-ნილსენთან შეათანხმა. პაციენტი ფსიქოზით იყო ავად და ამიტომ, ჯერჯერობით, პოლიციას არ შეეძლო მისი დაკითხვა. ხიერსტი ფსიქიატრი იყო და ძალიან კარგად გამოსდიოდა პაციენტებთან ურთიერთობა, ყოველთვის მათი ინტერესებიდან გამომდინარე ესაუბრებოდა და არ შეეძლო ისეთი დიალოგი გაემართა, რომლის მიზანიც პოლიციის დაკითხვის მიზნებს ემთხვეოდა. ამასთან, პაციენტის პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობაც გასათვალისწინებელი იყო. ხიერსტი რიოდსმუენს თავად უნდა განესაზღვრა, რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლება ყოფილიყო დიალოგის დროს გამჟღავნებული ინფორმაცია პოლიციისთვის და ღირდა თუ არა ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება. ეს ინფორმაცია სასამართლოში ბათილად გამოცხადდებოდა, იმიტომ, რომ ფსიქოზის მდგომარეობაში მყოფი ადამიანისგან იქნებოდა მიღებული. მოკლედ რომ ითქვას, კანონისა და ეთიკის ზღვარზე მოქმედებდნენ და, დიდი ალბათობით, მცირეოდენი გადაცდომაც კი კატასტროფულ შედეგებს მოიტანდა, იმიტომ, რომ მართლმსაჯულება და მედია გამადიდებელი კავშირით დააკვირდებოდა მის ყველა ნაბიჯს.

საკონსულტაციო ოთახის კართან მომვლელი და უნიფორმიანი პოლიციელი იდგნენ. ხიერსტიმ ოფიცერს სამედიცინო ხალათზე მიმაგრებულ ID-ბარათზე მიუთითა და პოლიციელმა კარი გაუღო.

შეთანხმების მიხედვით, მომვლელს ოთახში განვითარებული მოვლენებისთვის უნდა ედევნებინა თვალყური და, საჭირ-

ოების შემთხვევაში, განგაში აეტეხა.

ხიერსტი რიოდსმუენი სკამზე დაჯდა და ყურადღებით დააკვირდა პაციენტს, რომელსაც თმა სახის ორივე მხარეს ჰქონდა გადავარცხნილი, გახლეჩილი პირის კუთხეზე შავი ნაკერი ედო და ფართოდ გახელილ თვალებში ჩამდგარი უსაზღვრო შიშით უყურებდა რაღაც ისეთს, რასაც ხიერსტი ვერ ამჩნევდა. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ამ ტანმორჩილ ქალს რაიმე სახის ხიფათის შექმნა შეეძლო. პირიქით. სუსტი და უმწეო იყო. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ სულის შებერვითაც კი წააქცევდით. სრულიად წარმოუდგენელი იყო, რომ ამ ქალმა მშვიდად დახოცა ადამიანები. მაგრამ მსგავს შემთხვევებში ყოველთვის ასეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა.

— გამარჯობა, — თქვა ფსიქიატრმა, — მე ხიერსტი ვარ.

ექიმს პასუხი არ მიუღია.

— შენი აზრით, რა პრობლემა გაქვს? — ჰკითხა ხიერსტიმ.

ეს კითხვა უშუალოდ იმ სახელმძღვანელოდან იყო აღებული, რომელიც ფსიქოზის დროს გასამართ დიალოგებს ეხებოდა. ამ ფრაზის ალტერნატივა კი ასე ჟღერდა: „შენი აზრით, როგორ შემიძლია, დაგეხმარო”?

პაციენტმა ეს შეკითხვაც უპასუხოდ დატოვა.

— ამ ოთახში არაფერი გემუქრება. არავინ გაწყენინებს. მე არაფერს დაგიშავებ. სრულიად უსაფრთხოდ ხარ.

სახელმძღვანელოს მიხედვით, დამაჯერებელი მტკიცება ფსიქოზით შეპყრობილი პაციენტების გადასარწმუნებლად გამოიყენებოდა. იმიტომ, რომ ფსიქოზი პირველ რიგში უსაზღვრო შიშითაა გამოწვეული. ხიერსტი რიოდსმუენი თავს ბორტგამცილებლად გრძნობდა, რომელიც აფრენის წინ მგზავრებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო პროცედურებს უხსნის. მექანიკური სამუშაო იყო. ჩვეულებრივი რუ

ტინა. ყველაზე მშრალი უდაბნოს თავზე გადაფრენის დროსაც კი უნდა აუხსნა მგზავრებს სამაშველო ჟილეტის გამოყენება. იმიტომ, რომ ამით ადამიანებს ეუბნები იმას, რაც მათ სურთ, რომ გაიგონ. ეუბნები, რომ შეუძლიათ, ეშინოდეთ, მაგრამ თქვენ იზრუნებთ მათზე.

დრო იყო, შეემოწმებინა, რამდენად ადეკვატურად აღიქვამდა რეალობას.

— იცი, რა დღეა დღეს?

სიჩუმე.

— შეხედე საათს, რომელიც აი, ამ კედელზე კიდია. შეგიძლია მითხრა, რომელი საათია?

პასუხის ნაცვლად პაციენტმა უაზროდ გახედა ექიმს.

ხიერსტი დაელოდა. დიდხანს ელოდებოდა. წუთების მაჩვენებელი ისარი ცახცახით ამოძრავდა.

ყველაფერი ამაო იყო.

— მე ახლა უნდა გავიდე, — თქვა ხიერსტიმ, — ვინმე შემოვა და პალატაში გაგიყვანთ. იცოდეთ, აქ სრულიად უსაფრთხოდ ხართ.

ექიმი კარისკენ გაემართა.

— ჰარის უნდა დაველაპარაკო, — თქვა პაციენტმა დაბალი, თითქმის მამაკაცური ხმით.

ხიერსტი შეჩერდა და შემობრუნდა.

— ვინ არის ჰარი?

— ჰარი ჰოლე. სასწრაფოდ უნდა დაველაპარაკო.

ხიერსტი შეეცადა, ვიზუალური კონტაქტი დაემყარებინა, მაგრამ ქალი მაინც ცარიელ სივრცეს გასცქეროდა.

— ვინ არის ჰარი ჰოლე, კატრინ?

— კრიმინალური განყოფილების მთავარი ინსპექტორია ოსლოში. და თუკი მომავალში ჩემი სახელის ხსენებას დააპი-

რებთ, გვარით მომმართეთ, ხიერსტი.

— ანუ ბრატი გიწოდოთ ხოლმე?

— რაფტო.

— გასაგებია. მაგრამ შეგიძლიათ მითხრათ, რა თემაზე უნდა ესაუბროთ ჰარი ჰოლეს? იმისთვის, რათა...

— ვერ ხვდებით. ყველა მოკვდება.

ხიერსტი ნელა ჩამოჯდა სკამზე.

— ვხვდები. და რატომ გგონიათ, რომ ყველა მოკვდება, კატრინ?

როგორც იქნა, ვიზუალური კონტაქტი შედგა და მის თვალებში ხიერსტიმ დაინახა ის, რამაც აგარაკზე დატოვებული "მონოპოლიის" წითელი ბარათები გაახსენა — შენი ყველა სახლი და სასტუმრო დაიწვა.

— ვერავინ ხვდებით, — უპასუხა ქალმა დაბალი, მამაკაცური ხმით, — ვერ ხვდებით, რომ მე არა ვარ.

***

ორ საათზე ჰარიმ რაკელის ხის სახლის გასწვრივ, ტროტუართან გააჩერა მანქანა. აღარ თოვდა და ამიტომ ჰოლემ იფიქრა, რომ არ იქნებოდა გონივრული, თუკი ზედ სახლის კართან დატოვებდა მანქანის საბურავების ანაბეჭდებს. მის ფეხქვეშ ჩუმად და დიდხანს ხრაშუნობდა თოვლი, ჩაბნელებულ ფანჯრებში კი დღის შუქი ირეკლებოდა.

კიბეს აუყვა, სახლის კართან დაკიდებული ჩიტის ბუდე გახსნა და შიგნით საათი ჩადო. შებრუნდა და უკვე იქაურობის დატოვებას აპირებდა, როდესაც მის ზურგს უკან კარი გაიღო.

— ჰარი!

ჰარი შებრუნდა, ნერწყვი გადაყლაპა და შეეცადა, გაეღიმა. მის წინ შიშველი კაცი იდგა, რომელსაც თეძოებზე პირსახოცი შემოეხვია.

— მათიას, — ჩაილაპარაკა ჰოლემ, — შემაშინე. მეგონა, სამსახურში იყავი.

— ბოდიში, — სიცილით თქვა მათიასმა და ხელები მკერდზე დაილაგა, — დღეს ღამის ცვლაში ვმუშაობ. თანამშრომელს გავუცვალე მორიგეობა. შხაპის მიღებას ვაპირებდი და რათაც ხმაური მომესმა. მეგონა, ოლეგი იყო. ზოგჯერ გასაღები ეჭედება ხოლმე კარში.

“ეჭედება, — გაიფიქრა ჰარიმ, — ანუ ოლეგს ის გასაღები აქვს, რომელიც მანამდე მე მქონდა. ოლეგის გასაღები კი მათიასს მისცა. ვერასდროს მიხვდები ქალის ლოგიკას”.

— რით შემიძლია, გემსახურო, ჰარი? — იკითხა მათიასმა და ჰარიმ შენიშნა, რომ მის წინ მდგარ კაცს გადაჯვარედინებული ხელები მკერდზე მაღლა ჰქონდა აწეული. თითქოს რაღაცის დამალვას ცდილობდა.

— არა, — მექანიკურად თქვა ჰარიმ, — შემთხვევით ჩავუარე სახლს და გადავწყვიტე, ოლეგი მენახა, მისთვის რაღაც უნდა მიმეცა.

— რატომ არ დააკაკუნე?

ჰარიმ ნერწყვი გადაყლაპა.

— უცებ გამახსენდა, რომ ჯერ კიდევ სკოლაში იქნებოდა.

— მართლა? არ იცოდი, რომ სახლში არ იყო?

ჰარიმ თავი დაუქნია მათიასს. თითქოს მისი შეკითხვის ლოგიკურობას აღიარებდა. მათიასის მეგობრულ, მხიარულ სახეზე ეჭვის ნატამალიც კი არ ჩანდა. მხოლოდ უცნაურ სიტუაციაში გარკვევის გულწრფელი სურვილი იკითხებოდა.

— თოვლით მივხვდი, — თქვა ჰარიმ.

— თოვლით?

— ჰო. ორი საათის წინ შეწყდა თოვა, მაგრამ ფეხის ანაბეჭდები მაინც არ ჩანს გარშემო.

— ოჰ! დიდებულია! — აღფრთოვანებით წამოიძახა მათიასმა, — ასე უნდა მოახდინოს ადამიანმა დედუქციური მსჯელობის იმპლემენტაცია ყოველდღიურობაში. ეჭვიც აღარ მეპარება, რომ კარგი დეტექტივი ხარ.

ჰარიმ დაძაბულად გაიცინა. მათიასმა ოდნავ ჩამოსწია ხელები და ჰარიმ დაინახა ის, რასაც რაკელმა „მათიასის ფიზიკური უცნაურობა" უწოდა. იქ, სადაც ძუძუსთავები უნდა ჰქონდეს ადამიანს, მათიასს უბრალოდ თეთრი კანი მოუჩანდა.

— გენეტიკური თავისებურებაა, — თქვა მათიასმა, რომელიც ყურადღებით აკვირდებოდა ჰარის მზერას, — არც მამაჩემს ჰქონია. იშვიათი, მაგრამ სრულიად უვნებელი დარღვევაა. და ისედაც, რაში გვჭირდება კაცებს ძუძუსთავები?!

— მართლაც, — თქვა ჰარიმ და იგრძნო, რომ ყურები უხურდა.

— თუ გინდა, დამიტოვე ის, რაც ოლეგს მოუტანე და მე გადავცემ.

ჰარიმ თვალი აარიდა და ინსტინქტურად შეხედა ჩიტის ბუდეს, შემდეგ კი თქვა:

— სხვა დროს მოვუტან, — თქვა მან. ძალიან უნდოდა, იმ მომენტში დამაჯერებელი იერი ჰქონოდა, — აღარ დაგაყოვნებ, შედი საშხაპეში.

— კარგი.

— დროებით.

ჰარი მანქანაში ჩაჯდა, საჭეს ორივე ხელი დაარტყა და ხმამაღლა შეიგინა. თორმეტი წლის ჯიბგირივით მოიქცა, რომელ-

საც ფაქტზე წაასწრეს. პირდაპირ ტყუილი მიახალა მათიასს. იცრუა, იფორთხიალა, მოკლედ, საშინლად მოიქცა.

მანქანა დაქოქა, გადაბმის პედალს მკვეთრად აუშვა ფეხი და ავტომობილი ბიძგებით დაძრა. თითქოს მისი დასჯა სურდა. უნდოდა, არ ეფიქრა იმაზე, რაც ორიოდე წუთის წინ მოხდა. ახლა სულ სხვა საკითხებისთვის უნდა მიეხედა, მაგრამ არ გამოსდიოდა. ოსლოს ცენტრისკენ ჩაუხვია. მის გონებაში ქაოსური ასოციაციები ჩნდებოდა. ლაქებზე, ბინასა და წითელ ძუძუსთავებზე ფიქრობდა, რომლებიც სისხლის ლაქებივით მოჩანდა შიშველ სხეულზე. დაუმუშავებელ ხეზე მისხმული სისხლიც გაახსენდა და რატომღაც კედლის სოკოს კაცის სიტყვებმაც გაუელვა თავში — „მხოლოდ ერთადერთი გამოსავალი არსებობს — კედელი წითლად უნდა შეიღებოს".

კედლის სოკოს კაცმა სისხლი დაღვარა. ჰარიმ თვალები დახუჭა და შეეცადა, ჭრილობა წარმოედგინა. ღრმა ჭრილობა უნდა ყოფილიყო — ისეთი, რომელიც იმდენად სერიოზულ შფოთვასა და არეულობას გამოიწვევდა, რომ... რომ კედლის წითლად შეღებვის აუცილებლობა დადგებოდა.

ჰარიმ მკვეთრად დაამუხრუჭა და ავტომობილის სიგნალის ხმა გაიგონა. უკანა ხედვის სარკეში ჩაიხედა და დაინახა Hiace, რომელიც ახალ თოვლზე გასრიალდა, მის გვერდით დაბუქსავდა და გზა გააგრძელა.

ჰარიმ მანქანის კარი გააღო, გადმოვიდა, მიმოიხედა და აღმოაჩინა, რომ ჰოლმენკოლენვეიენის ძირში, სტადიონთან იდგა. ღრმად ამოისუნთქა და აზრების კოშკი ნამსხვრევებად აქცია. გაანადგურა ის, რათა შეემოწმებინა, მოახერხებდა თუ არა მის თავიდან აგებას. გამოუვიდა. კონსტრუქციის ელემენტების გადაადგილებაც კი არ დასჭირვებია. მთლიანი სურათის ფრაგმენტები იდეალურად ეხამებოდა ერთმანეთს.

გული აუჩქარდა. თუკი ჰარი არ ცდებოდა, ყველა ვერსია თავდაყირა დადგებოდა. ყველაფერი ემთხვეოდა იმას, თუ როგორ გეგმავდა „თოვლის კაცი" თავის ნაბიჯებს, როგორ ემზადებოდა სახლში შესაჭრელად. და გვამები... ეს კი ახსნიდა იმას, თუ რა დაემართა გვამებს. აცახცახებულმა ჰარიმ სიგარეტს მოუკიდა და შეეცადა, იმის რეკონსტრუქცია მოეხდინა, რამაც გონებაში გაუელვა. ქათმის ბუმბული გაშავებული წვერებით.

ჰარის არ სჯეროდა ინსპირაციის, ღვთიური განგებისა და ტელეპათიის, მაგრამ იღბლისა სჯეროდა. არა იმ იღბლის, რომლითაც იბადება ადამიანი, არამედ იმ სისტემატური იღბლის, რომელიც მუყაითობით ეძლევა კაცს და მის ხელში ერთგვარ იარაღს წარმოადგენს. მაგრამ ეს ასეთი იღბალი არ იყო. ეს უბრალოდ ბედნიერი შემთხვევა იყო. არატიპური ბედნიერი შემთხვევა. თუკი მართალი იყო, რა თქმა უნდა. ჰარიმ ძირს დაიხედა და აღმოაჩინა, რომ თოვლში დაყიალობდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მიწაზე ედგა ფეხი — პირდაპირი მნიშვნელობით.

მანქანაში დაბრუნდა, მობილური ტელეფონი ამოიღო და ბიორნ ჰოლმს დაურეკა.

— გისმენ, ჰარი, — გაისმა ნამძინარევი, ძნელად გასარჩევი ცხვირისმიერი ხმა.

— ნამთვრალევი ხარ? — ეჭვით იკითხა ჰარიმ.

— ნეტავ მასე იყოს, — უპასუხა ჰოლმმა, — გავცივდი. ორი საბანი მაფარია და მაინც ვიყინები. ტკივილი მთელ.....

— მისმინე, — შეაწყვეტინა ჰარიმ, — ალბათ, გახსოვს, რომ გთხოვე, ქათმების ტემპერატურა გაგეზომა, რათა განგვესაზღვრა, რამდენი დრო იყო გასული მას შემდეგ, რაც სილვიამ ქათმები დაკლა და ფარდულიდან გამოვიდა.

— კი, მახსოვს.

— და შენ თქვი, რომ ერთი ქათამი დანარჩენ ორზე უფრო თბილი იყო. ბიორნ ჰოლმმა დაიფრუტუნა.

— ჰო. სკარემ ივარაუდა, რომ იმ მესამეს სიცხე ჰქონდა. სავსებით დამაჯერებელი ვერსიაა.

— ჩემი აზრით, ეგ ქათამი მას შემდეგ დაკლეს, რაც სილვია მოკლეს. ანუ, სულ ცოტა, ერთი საათის შემდეგ.

— ასე გგონია? ვინ დაკლა?

— „თოვლის კაცმა".

ჰარიმ გაიგონა, როგორ ხმაურიანად და დიდხანს იხოცავდა ცხვირს ბიორნ ჰოლმი, რომელმაც ბოლოს თქვა:

— ანუ იმის თქმა გინდა, რომ სილვიას ნაჯახი აიღო, უკან დაბრუნდა და...

— არა, ნაჯახი ტყეში დარჩა. უნდა მიმექცია ყურადღება, მაგრამ მაშინ არ ვიცოდი, რომ ის საჭრელი ელექტრომარყუჟები არსებობს. ამიტომ უბრალოდ ნაკლავებს დავცქეროდი.

— და რა აღმოაჩინე?

— გაჭრილი ბუმბული გაშავებული წვერით. ჩემი აზრით, „თოვლის კაცმა" საჭრელი მარყუჟი გამოიყენა.

— ნამდვილად, — თქვა ჰოლმმა, — მაგრამ რისთვის დაკლა ქათამი?

— რათა მთელი კედელი წითლად შეეღება.

— რა?

— იდეა მაქვს, — თქვა ჰარიმ.

— ჯანდაბა! — ჩაიბურტყუნა ბიორნ ჰოლმმა, — მგონი, შენი იდეა იმას ნიშნავს, რომ საწოლიდან უნდა წამოვდგე...

— ჰო, რა ვიცი...

აღმოჩნდა, რომ ამინდმა უბრალოდ სული მოითქვა, რადგ-

ანაც სამი საათისთვის ისევ გათოვდა და ესტლანდს ციდან სქელი, ფუმფულა ფანტელები დაეყარა. ტრასა E16 ბერუმიდან ამონადენი თოვლჭყაპის ნაცრისფერ ჭიქურში იყო გახვეული.

გზის უმაღლეს წერტილში, სოლიჰიოგდაში, ჰარიმ და ჰოლმმა გვერდით გაუხვიეს და ტყის გზას დაადგნენ.

ხუთი წუთის შემდეგ მათ წინ, სახლის ზღურბლთან, როლფ ოტერსენი იდგა.

ჰარიმ შეამჩნია, რომ მის უკან, საცხოვრებელი ოთახის დივანზე, ანე პედერსენი იჯდა.

— კიდევ ერთხელ უნდა დავათვალიეროთ თქვენი ფარდულის იატაკი, — უთხრა ჰარიმ.

როლფ ოტერსენმა ცხვირის წვერამდე ჩამოსრიალებული სათვალე აიწია. ბიორნ ჰოლმმა ბარაქიანი, მკერდისმიერი ხველა ამოუშვა.

— კი ბატონო, — თქვა ოტერსენმა.

ჰარი და ჰოლმი ფარდულისკენ დაიძრნენ, მასპინძელი კი ზღურბლთან იდგა და პოლიციელსა და ექსპერტს გასცქეროდა.

საკლავის კუნძი ისევ იმ ადგილზე იდო, სადაც ბოლოს ნახეს, მაგრამ ქათმების კვალი არ ჩანდა. არც ცოცხლების და არც დახოცილების. კედელზე ბარი იყო აყუდებული. მიწის სათხრელი ბარი იყო და არა თოვლის საყრელი ნიჩაბი. ჰარი იარაღების დაფას მიუახლოვდა. ნაჯახის ადგილზე დარჩენილი სილუეტი მოკლულის სხეულის გარშემო ცარცით შემოვლებულ ზოლს აგონებდა.

— დარწმუნებული ვარ, რომ „თოვლის კაცი” დაბრუნდა და კიდევ ერთი ქათამი დაკლა, რათა მისი სისხლით მოერწყო იატაკი. მხოლოდ ერთი შანსი ჰქონდა — ყველაფერი წითლად უნდა შეეღება.

— უკვე ნათქვამი გაქვს ეგ ყველაფერი, მაგრამ მე მაინც ვერ გავიგე, რას გულისხმობ.

— თუკი ადამიანს წითელი ლაქის მოშორება სურს, ან უნდა გადარეცხოს, ან ამ ლაქის გარშემო ყველაფერი წითლად უნდა შეღებოს. ჩემი აზრით, „თოვლის კაცს" რაღაცის დამალვა სურდა. რაღაც სამხილის.

— რა სამხილის.

— რაღაც წითლის. იმის, რისი მორეცხვაც შეუძლებელი იყო, იმიტომ, რომ დაუმუშავებელი ხე სწრაფად იწოვს სითხეს.

— სისხლს გულისხმობ? ანუ უნდოდა, სისხლის ლაქები სხვა სისხლით დაემალა? ესაა შენი იდეა?

ჰარიმ საკლავის კუნძს გვერდი აუარა, ჩაიმუხლა და იგრძნო, როგორ ჩაერჭო მუცელში კატრინის რევოლვერის სახელური. იატაკზე დაიხედა, რომლის ღრიჭოებიც ჯერ კიდევ ვარდისფრად იყო შეღებილი.

— წამოღებული გაქვს ის სურათები, რომლებიც აქ გადავიღეთ? — იკითხა ჰარიმ, — იმ ადგილებიდან დაიწყე, სადაც ყველაზე მეტი სისხლი ესხა. განსაკუთრებით აქ, კუნძთან გადაღებული ფოტოები მაინტერესებს.

ჰოლმმა ჩანთიდან ფოტოები ამოიღო.

— ზემოდან ქათმის სისხლი ესხა, — თქვა ჰარიმ, — მაგრამ სხვა სისხლიც იყო — ის, რომელმაც იატაკის ღრიჭოებში ჩააღწია და იატაკის ხე გაჟღინთა. ქათმის სისხლს არ უნდა შერეოდა, იმიტომ, რომ ქათმის სისხლი გაცილებით გვიან დაღვარეს. როგორ გგონია, შევძლებთ იმ პირველი სისხლის ნარჩენების ამოფხეკას და შემოწმებას?

ბიორნ ჰოლმმა თვალები დაახამხამა და უხალისოდ იკითხა: — და რა გინდა, რომ გითხრა?

— ერთადერთი პასუხი, რომელიც დამაკმაყოფილებს, არის

„კი”. ჰოლმს პასუხად საშინელი ხველა აუვარდა.

ჰარი საცხოვრებლისკენ გაეშურა. დააკაკუნა. კარი როლფ ოტერსენმა გაუღო.

— ჩემს კოლეგას კიდევ მოუწევს აქ მუშაობა, — თქვა ჰარიმ, — წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, დროდადრო სახლში შემოირბინოს და გათბეს ხოლმე?

— არ ვიქნები წინააღმდეგი, — უხალისოდ თქვა ოტერსენმა, — ამჯერად რას თხრით?

— იმავე კითხვის დასმა მინდოდა თქვენთვისაც, — თქვა ჰარიმ, — თქვენს ბარზე მიწაა მიკრული.

— აჰ, ეს... ღობის ბოძები ჩავყარე მიწაში.

ჰარიმ თოვლით დაფარულ მიწას გახედა, რომელიც ხშირ, ბნელ ტყეს ესაზღვრებოდა. ნეტავ რისი შემოღობვა უნდოდა ოტერსენს? ან რას ემიჯნებოდა? დანამდვილებით შეეძლო იმის თქმა, რომ მასპინძელს შიში გაუკრთა თვალებში.

პოლიციელმა როლფს სასტუმრო ოთახისკენ მიუთითა:

— სტუმრები გყავთ...

და ამ დროს ჰარის მობილურმა დარეკა. სკარე იყო.

— კიდევ ერთი ვიპოვეთ, — თქვა მან.

ჰარი ტყეს მიაჩერდა, გრძნობდა, როგორ ადნებოდა ფანტელები შუბლსა და ღაწვებზე.

— რა „კიდევ ერთი”? — ჩაიბუტბუტა მან, მიუხედავად იმისა, რომ თავისი ტონით სკარემ უკვე გასცა პასუხი ამ შეკითხვას.

— „თოვლის კაცი”.

***

ფსიქოლოგმა ხიერსტი რიოდსმუენმა კნუტ მიულერ-ნილსენს მაშინ დაურეკა, როდესაც კომისარი და კრიმინალური

პოლიციის თანამშრომელი ესპენ ლეპსვიკი პოლიციის სამ-მართველოს შენობას ტოვებდნენ.

— კატრინ ბრატი ალაპარაკდა, — თქვა ქალმა. — ვფიქრობ, საავადმყოფოში უნდა მოხვიდეთ და მოუსმინოთ.

თავი XXXII

ოცდამეერთე დღე. ტანკერები

სკარე ხეებისკენ მიმავალ თოვლიან გზაზე მიაბიჯებდა. მის უკან ჰარი მიიკვლევდა გზას. მალე ბინდდებოდა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ზამთარი ახლოვდებოდა. მათ თავზე ტრიუვანის ტელეანძა ბდღვრიალებდა, მათ ქვემოთ კი — ოსლო. ჰარი აქ სოლიჰიოგდიდან მოვიდა და მანქანა იმ ავტოსადგომზე გაიჩერა, სადაც ყოველ გაზაფხულზე ლემინგებივით იკრიბებოდნენ სკოლადამთავრებულები, რათა მოზრდილი ადამიანებისთვის ჩვეული რიტუალებით დაკავებულიყვნენ. ცეცხლის გარშემო ხტუნავდნენ, ალკოჰოლით იშტერებდნენ თავებს და ველურ ბუნებაში ხორციელ ტკბობას ეძლეოდნენ.

ჰარის გამოსაშვები ბანკეტი განსაკუთრებული პომპეზურობით არ გამოირჩეოდა. იმ დღეს მას სულ ორი კომპანიონი ჰყავდა — ბრიუს სპრინგსტინი და სიმღერა „Independence day", რომელიც მისი ორკასეტიანი მაგნიტოფონიდან იღვრებოდა, როდესაც ის ნორდსტრანდის პლაჟზე, გერმანული ბუნკერის თავზე იდგა.

— ვიღაც სეირნობის მოყვარულმა იპოვა, — თქვა სკარემ.

— და გადაწყვიტა, პოლიციაში დაერეკა და ეთქვა, რომ ტყეში თოვლის კაცი დგას?

— ძაღლს ასეირნებდა და... მოკლედ, თავად ნახავ ყველაფერს.

ღია მინდორზე გავიდნენ. პოლიციელები მაშინვე შენიშნა ვიღაც ახალგაზრდა კაცმა და მათკენ გამოეშურა.

— თომას ჰელე, უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანების

სამძებრო განყოფილებიდან, — თქვა მან, — მოხარული ვარ, ჰოლე.

ჰარიმ გაოცებით შეხედა ახალგაზრდა პოლიციელს, მაგრამ შეამჩნია, რომ ჰელე არ ხუმრობდა.

მის წინ, გორაკზე, ჰარიმ კრიმინალისტების ჯგუფი დაინახა, რომლებიც დანაშაულის ადგილს სწავლობდნენ. ჰელე პოლიციის წითელი კორდონის ქვეშ გაძვრა, ჰარიმ კი ლენტს გადააბიჯა. ბილიკი, რომელზეც უნდა ევლოთ — იმისათვის, რათა დანაშაულის ადგილზე სამხილები არ გაენადგურებინათ — უკვე გვარიანად იყო გათელილი. ექსპერტებმა ჰარისა და სკარეს გამოჩენა შენიშნეს, უხმოდ მოშორდნენ დანაშაულის ადგილს და ახალმოსულებს დააკვირდნენ.

თითქოს ამას ელოდნენ. თითქოს აინტერესებდათ, რა რეაქცია ექნებოდა ამ ორ ადამიანს.

— ფუ, შენი! — შესძახა სკარემ და უკან დაიხია.

ჰარიმ სიცივე იგრძნო თავში. თითქოს სისხლი გაუშრა და მხოლოდ სიცარიელის მომაკვდინებელი შეგრძნება დარჩა.

რაიმე განსაკუთრებული დეტალი არ შეუმჩნევია, ამიტომ არ გასჩენია იმის შეგრძნება, რომ ეს შიშველი ქალი უსასტიკესი წამების მსხვერპლი იყო. ყოველ შემთხვევაში, სილვია ოტერსენსა და გერტ რაფტოს შემთხვევაზე გაცილებით საზარელი სანახაობა დახვდა. მაგრამ ჰარი გააოგნა იმ ცივსისხლიანობამ და სისასტიკემ, რომლითაც ეს სცენა დაიგეგმა, შესრულდა, გამოიძერწა და აიგო. დამნაშავეს გვამი ხის გვერდით, ერთმანეთზე დადგმული ორი დიდი თოვლის ბურთის, დაუმთავრებელი თოვლის კაცის, თავზე წამოესვა. სხეული ხის ვარჯის მხარეს იყო გადახრილი, მაგრამ არ ქანაობდა იმ სქელი მავთულის წყალობით, რომელიც ხის სქელ ტოტზე იყო გამობმული. მავთული მტკიცე მარყუჟით სრულდებოდა, რომ-

ელიც ქალის კისერზე ისე იყო გამობმული, არც მის მხრებს ეხებოდა და არც კისერს — როგორც ლასო, რომელიც იდეალურად გამოება მსხვერპლს. ქალს ხელები ზურგზე ჰქონდა შეკრული. დახურული პირი და დახუჭული თვალები სახეს მშვიდ გამომეტყველებას აძლევდა. სავარაუდოდ, ძილში მოკლეს.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ამ სხეულისთვის ხელი არ უხლიათ. მაგრამ ცხედრის ფერმკრთალ კანზე ნაკერები მოჩანდა. წვრილი, თითქმის შეუმჩნეველი ნემსით იყო ამოკემსილი, მაგრამ ნაკერების ბოლოები შედედებული სისხლისგან იყო გამუქებული. ნაკერების ერთი რიგი მის კორპუსს მიუყვებოდა და ზუსტად მკერდის ქვეშ გადიოდა. მეორე რიგი კისერზე მოჩანდა.

„დიდოსტატის ნამუშევარია, — გაიფიქრა ჰარიმ, — ერთი ნაკერის ნახვრეტიც კი არ მოჩანს, თანაც ზედმიწევნით ზუსტი ხაზებია გავლებული".

— იდიოტურ აბსტრაქტულ ხელოვნების ნიმუშს ჰგავს, — თქვა სკარემ, — რა ჰქვია მაგ მიმდინარეობას?

— ინსტალაციის ხელოვნება, — გაისმა მათ ზურგს უკან.

ჰარიმ თავი ასწია. სიმართლეს ამბობდნენ, მაგრამ აქ რაღაც ისეთიც იყო, რაც იდეალური ქირურგიული ნამუშევრის სტანდარტებს არ შეესაბამებოდა.

— იმ კაცმა გვამი დაანაწევრა და შემდეგ თავიდან ააწყო, — ისეთი ხმით თქვა მან, თითქოს ვინმე ახრჩობდა.

— კაცმა?

— ალბათ, იმიტომ, რომ ტრანსპორტირება გაადვილებოდა, — თქვა ჰელემ, — მგონი, ვიცი, ვინაა ეს ქალი. გუშინ მისმა ქმარმა მისი დაკარგვის შესახებ განაცხადა. ის კაცი გზაშია და მალე მოვა.

— რატომ გგონია, რომ ის ქალია?

— მისმა მეუღლემ იპოვა კაბა, რომელსაც ნამწვის კვალი ეტყობოდა, — თქვა ჰელემ და გვამისკენ გაიშვირა ხელი, — დაახლოებით ამ ნაკერების შესაბამის უბნებზე.

ჰარი შეეცადა, თანაბრად ესუნთქა. ახლა ხვდებოდა, რა უცნაურობაც იგრძნო თავიდანვე. თოვლის კაცი არ იყო დასრულებული. მავთულის ყულფები სახელდახელოდ გაეკეთებინა. არც ისე მკაფიო კუთხეები მოჩანდა იქ, სადაც მავთული მოხრილიყო. ეს ყველაფერი უხეშად, დაუდევრად გაეკეთებინა „ინსტალატორს", თითქოს გუმანით მოქმედებდა და ერთგვარ ესკიზს ქმნიდა — დაუსრულებელი ნამუშევრის საწყის ვარიანტს. და რატომ შეუკრა ხელები ზურგზე? ეს ქალი დიდი ხნის მკვდარი იყო, როდესაც მკვლელმა აქ მოიტანა მისი გვამი. იქნებ ეს ყველაფერი რაიმე უფრო დიდი ინსტალაციის ნაწილი იყო?

ჰარიმ ჩაახველა.

— რატომ აქამდე არ მაცნობეს ამის შესახებ?

— ჩემს უფროსს მოვახსენე, რომელმაც ქალაქის პოლიციის სამმართველოს უფროსს აცნობა, — თქვა ჰელემ, — მხოლოდ ის გვითხრეს, რომ სათანადო ბრძანების მიღებამდე საიდუმლო არ უნდა გაგვემჟღავნებინა. ვიფიქრე, ამ შემთხვევას კავშირი ჰქონდა... — მან კრიმინალისტებს მოავლო თვალი, — იმ ანონიმურ დამნაშავესთან.

— კატრინ ბრატს გულისხმობ? — იკითხა სკარემ.

— მისი სახელი ჩვენთვის უცნობია, — გაისმა მათ უკან.

ყველამ უკან მიიხედა. მათ წინაშე ქალაქის პოლიციის უფროსი იდგა.

სამმართველოს ხელმძღვანელს ფეხები განზე გაედგა, ხელები კი ჯიბეებში ჩაეწყო და ცივი, ცისფერი თვალები ცხედრი-

სთვის მიეპყრო.

— ეს ინსტალაცია საშემოდგომო გამოფენაზე უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

ახალგაზრდა ოფიცრებს თვალები გაუფართოვდათ. პოლიციის უფროსი არც კი შებრუნებულა, ისე მიმართა ჰარის:

— ჰოლე, მინდა პირისპირ დაგელაპარაკოთ.

ლენტის იქით გადავიდნენ.

— საშინელი მდგომარეობაა, — თქვა პოლიციის უფროსმა. ჰარის წინ იდგა და მას მიმართავდა, მაგრამ მისი მზერა თოვლიან მიწას მიეჯაჭვა, — თათბირი გვქონდა. და ამიტომ გადავწყვიტე, პირადად დაგლაპარაკებოდი.

— ვისთან გქონდათ შეხვედრა?

— ამას მნიშვნელობა არა აქვს, ჰარი. მთავარი ისაა, რომ გადაწყვეტილება მივიღეთ.

— რა გადაწყვეტილება?

პოლიციის უფროსმა თოვლში ჩარგო ფეხი და ჰარი შეყოყმანდა. ვერ გადაეწყვიტა, ეთქვა თუ არა ქალაქის პოლიციის ხელმძღვანელისთვის, რომ ასეთი ქცევით ის დანაშაულის ადგილზე არსებულ სამხილებს ანადგურებდა.

— კარგი იქნებოდა, ამ საღამოს უფრო მშვიდ, წყნარ გარემოში განგვეხილა ეს საკითხი, ჰარი, მაგრამ ამ ახალი გვამის აღმოჩენით მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა და გადაუდებელი ვითარება შეიქმნა. რამდენიმე საათში მასმედიასთან მოგვიწევს შეხვედრა და გამომდინარე იქიდან, რომ დრო აღარ გვაქვს, სხვა გზა აღარ გვრჩება — "თოვლის კაცის" სახელი პირდაპირ ეთერში უნდა გაჟღერდეს. რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე პოლიციის ხელმძღვანელობა აიღებს. სწორედ ამისთვის არსებობს ხელმძღვანელობა.

— და რისთვის აკეთებთ ამას, უფროსო?

— ოსლოს პოლიციის რეპუტაციის შენარჩუნებისთვის. ნეხვი გრავიტაციის ძალას ექვემდებარება, ჰარი. რაც უფრო მაღლიდან მოედინება, მით უფრო მეტად აბინძურებს პოლიციის სტრუქტურებს. ქვედა ეშელონების ოფიცრებს შეუძლიათ მიქარონ და მათ ეპატიებათ. მაგრამ თუკი საზოგადოება აღარ იქნება დარწმუნებული, რომ პოლიციას კომპეტენტური პირები მართავენ, თუკი ხალხს არ ეცოდინება, რომ სიტუაციის გაკონტროლების უნარი გვაქვს, დავმარცხდებით. ვფიქრობ, ხვდები, რამხელა რისკის წინაშე ვართ, ჰარი.

— დრო არ ითმენს, უფროსო.

ქალაქის პოლიციის უფროსმა ურბანული ლანდშაფტის თვალიერება დაასრულა და მზერა ჰარიზე გადმოიტანა:

— იცი, რას ნიშნავს კამიკაძე?

ჰარიმ სხეულის სიმძიმე ცალი ფეხიდან მეორეზე გადაიტანა.

— იაპონელი ფანატიკოსები, რომლებიც საკუთარ თვითმფრინავებს ამერიკულ ავიამზიდებს აჯახებდნენ. ასე არ არის?

— მეც ასე მეგონა, მაგრამ გუნარ ჰაგენი ამბობს, რომ თავად იაპონელები ამ სიტყვას არ იყენებდნენ. თურმე ამერიკელი კრიპტოანალიტიკოსები ცდებოდნენ. კამიკაძე იმ ტაიფუნის სახელია, რომელმაც მეცამეტე საუკუნეში იაპონელები გადაარჩინა მონღოლებთან ბრძოლაში. „კამიკაძე” სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც „ღვთიური ქარი”. პოეტურია, არა?

ჰარიმ არ უპასუხა.

— ასეთი ქარი გვჭირდება, — თქვა ქალაქის პოლიციის უფროსმა.

ჰარიმ ნელა დაუქნია თავი. ყველაფერს ხვდებოდა.

— თანამშრომელი გჭირდებათ, რომელიც კატრინ ბრატის

დანიშვნაზე აიღებს პასუხისმგებლობას. იმაზე, რომ დროზე არ იქნა გათავისუფლებული. მოკლედ, თქვენ გჭირდებათ ის, ვინც მთელ ამ ალიაქოთსა და უბედურებაზე აიღებს პასუხისმგებლობას. ასე არ არის?

— არ არის სასიამოვნო, როდესაც ადამიანს ასე სთხოვ, მსხვერპლად მიიტანოს თავი. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მისი თვითშეწირვა შენს გადარჩენას ნიშნავს, მაგრამ ამ დროს უნდა გაიხსენო, რომ რისთვისაც ეს კეთდება, გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ერთი ადამიანი, — თქვა სამმართველოს უფროსმა და ისევ ქალაქს გახედა, — ჭიანჭველების ბუდე, ჰარი. მუყაითობა, ლოიალურობა, საკუთარ თავზე უარის თქმა... სწორედ ჭიანჭველების ბუდე სძენს ამ ყველაფერს მნიშვნელობას.

ჰარიმ ხელი გადაისვა სახეზე. ღალატი. ზურგში ლახვრის ჩაცემა. ლაჩრობა.

შეეცადა, მრისხანება დაეოკებინა. საკუთარ თავს უთხრა, რომ ქალაქის პოლიციის უფროსი არ ცდებოდა. ვიღაც უნდა გაიწიროს და რაც უფრო დაბალ იერარქიულ საფეხურზე იქნება ეს ადამიანი, მით უკეთესი იქნება სისტემისთვის. სამართლიანია. წესით, სწორედ მას უნდა გაეგდო კატრინი მაშინ, როდესაც ეს ამბები დაიწყო.

ჰარი წელში გასწორდა. უცნაური იყო, მაგრამ თითქოს შვება იგრძნო. დიდი ხნის წინ გაუჩნდა იმის მოლოდინი, რომ ყველაფერი ასე დასრულდებოდა. იმდენად დიდი ხნის წინ, რომ ამასობაში შეეგუა კიდეც ასეთ პერსპექტივას. ისე წავიდოდა, როგორც მისი კოლეგები მკვდარი პოლიციელების საზოგადოებიდან — ფანფარებისა და ღირსების მედლების გარეშე, თან მხოლოდ საკუთარ ღირსებასა და იმ ადამიანების პატივისცემას წაიღებდა, რომლებიც მას იცნობდნენ. იმ რამდენიმე

ადამიანის, რომლებმაც კარგად იცოდნენ, რას ნიშნავდა ეს ყველაფერი. ჭიანჭველების ბუდე.

— მესმის, — თქვა ჰარიმ, — და გეთანხმებით. სწორედ თქვენ უნდა მითხრათ, როგორ უნდა მოვიქცე. თუმცა მე მაინც მგონია, რომ პრესკონფერენცია უნდა გადავდოთ, სანამ რაიმე მაინც არ გაირკვევა.

სამმართველოს უფროსმა თავი გააქნია.

— არასწორად გაგიგია ჩემი ნათქვამი, ჰარი.

— საქმეში ახალი მასალები გამოჩნდა...

— ბრიფინგს შენ არ ჩაატარებ.

— ახლა ვამოწმებთ... — ჰარი შეყოვნდა, — რა თქვით, უფროსო?

— თავიდან გადავწყვიტეთ, რომ შენ იქნებოდი, მაგრამ გუნარ ჰაგენმა გადაწყვიტა, ამ საქმეს მარტო გამკლავებოდა. ასე რომ, დანაშაულს ის აღიარებს. ახლა თავის ოფისში ზის და სამსახურიდან წასვლის განცხადებას წერს.

მინდოდა, პრესკონფერენციის დაწყებამდე გცოდნოდა.

— ჰაგენი? — იკითხა ჰარიმ.

— კარგი ჯარისკაცი! — თქვა პოლიციის უფროსმა და ჰარის მხარზე დაადო ხელი, — უნდა წავიდე. პრესკონფერენცია რვა საათზე გაიმართება "გრეიტ ჰოლში". გასაგებია?

ჰარი სამმართველოს უფროსის ზურგს უყურებდა, რომელიც თანდათან იკარგებოდა სივრცეში. ქურთუკის ჯიბიდან გააქტიურებული ტელეფონის ვიბრაცია იგრძნო. ჰარი ეკრანს დააკვირდა და შემდეგ უპასუხა ზარს.

— **Love me tender**, — თქვა ბიორნ ჰოლმმა, — მე ინსტიტუტში ვარ.

— რა ამბები გაქვს?

— იატაკის ფიცარში ადამიანის სისხლი აღმოჩნდა. ამ ლაბ-

ორატორიაში ერთი ქალი მუშაობს, რომელმაც მითხრა, რომ, გავრცელებული მოსაზრების მიუხედავად, სისხლი ნამდვილად არ არის საუკეთესო მასალა დნმ-ის განსაზღვრისთვის. ეჭვი ეპარება, რომ დნმ-ის პროფილისთვის საჭირო უჯრედოვან მასალას იპოვის, მაგრამ სისხლის ჯგუფი შეამოწმა და... აბა, თუ მიხვდები, რა აღმოაჩინა!

ბიორნ ჰოლმი გაჩუმდა, მაგრამ ბოლოს მიხვდა, რომ ჰარი არ აპირებდა „ვის უნდა გახდეს მილიონერის" თამაშს და განაგრძო:

— არსებობს სისხლის ერთი ჯგუფი, რომელიც ადამიანების უმრავლესობას გამორიცხავს. ამ ტიპის სისხლი მხოლოდ ასიდან ორ კაცს აქვს. ბაზაში არსებული მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, ამ ჯგუფის სისხლი მხოლოდ ას ოცდასამ დამნაშავეს აქვს. თუკი კატრინ ბრატს ამ ტიპის სისხლი აქვს, მაშინ შეგვიძლია სავსებით დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რომ სწორედ ის დაიჭრა ფარდულში.

— საგანგებო შტაბში გადაამოწმე. სამმართველოს ბაზაში ყველა ოფიცრის სისხლის ჯგუფია თავმოყრილი.

— მართლა? უყურე შენ! მაშინ ახლავე გადავამოწმებ.

— მაგრამ ნუ გაწბილდები, თუკი აღმოაჩენ, რომ მისი ჯგუფი მეორე უარყოფითი არ არის.

ჰარიმ თავისი კოლეგის უსიტყვო გაოცებას მოუსმინა და მის კომენტარს დაელოდა.

— ღვთის გულისათვის, ამიხსენი, როგორ მიხვდი, რომ მეორე უარყოფითია?

— რამდენად მალე მიაღწევ ანატომიის განყოფილებამდე? იქ შეგხვდები.

უკვე ექვსი საათი იყო და ამიტომ „სანვიკენის" თანამშრომლების დიდი ნაწილი წასულიყო. მხოლოდ ხიერსტი რიოდსმუენის კაბინეტში ენთო შუქი. ფსიქიატრი დაელოდა მიულერ-ნილსენსა და ეპსენ ლეპსვიკს, რომლებმაც ბლოკნოტები გადაშალეს, რის შემდეგაც თავად ექიმმაც გადაშალა თავისი წიგნაკი და დაიწყო:

— კატრინ ბრატმა მითხრა, რომ ყველასა და ყველაფერზე მეტად მამა უყვარდა. ჯერ კიდევ პატარა იყო, როდესაც პრესაში გავრცელდა ცნობა მამამისის შესახებ, მოძალადეაო. ამ ინფორმაციამ კატრინს ტკივილი მიაყენა. იგი შეშინდა და დაიბნა. სკოლაში ჩაგრავდნენ და დასცინოდნენ იმის გამო, რაც პრესაში დაიწერა. ამის შემდეგ ძალიან მალე მისი მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ. კატრინი ცხრამეტი წლის იყო, როდესაც მამამისი დაიკარგა. მის გაუჩინარებასთან ერთად ერთი ქალიც დაიკარგა და ერთი ქალი კი მოკლეს. გამოძიება შეჩერდა, მაგრამ პოლიციაში და მის გარეთ ყველა დარწმუნებული იყო, რომ ქალები კატრინის მამამ დახოცა და შემდეგ თავიც მოიკლა, რადგან იცოდა, რომ ამ ჭაობიდან ვეღარ ამოძვრებოდა. სწორედ მაშინ გადაწყვიტა კატრინმა, პოლიციაში დაეწყო მუშაობა, გამოეძიებინა მკვლელობების საქმეები და მამამისის შებღალული სახელისთვის ჩირქი მოეწმინდა.

ხიერსტი რიოდსმუენმა მის წინ მსხდომ მამაკაცებს ახედა. პოლიციელები არაფერს იწერდნენ — უბრალოდ ისხდნენ და მას უყურებდნენ.

— ასე რომ, იურიდიული ფაკულტეტის დასრულების შემდეგ პოლიციის აკადემიაში ჩააბარა, — განაგრძო რიოდსმუენმა, — საწვრთნელი კურსების შემდეგ ბერგენის პოლიციის კრიმინალურ განყოფილებაში დაიწყო მუშაობა, სადაც ძალიან მალე მამამისის საქმის დეტალების შესწავლა დაიწყო, უმეტესად

არასამუშაო დროს. თუმცა მისი ქცევა შეუმჩნეველი არ დარჩენილა და საბოლოოდ აღკვეთილ იქნა. კატრინი სექსუალური ხასიათის დანაშაულების განყოფილებაში გადავიდა. ასეა?

— სრული სიმართლეა, — თქვა მიულერ-ნილსენმა.

— დარწმუნდა, რომ მამამისის საქმის გამოძიებასთან ახლოსაც არ მიუშვებდნენ და ამიტომ ამ საქმესთან დაკავშირებული შემთხვევების შესწავლა დაიწყო და მთელ ქვეყანაში დაკარგული ადამიანების შესახებ დაწერილი პატაკების შესწავლისას საინტერესო აღმოჩენა გააკეთა. კერძოდ, მამამისის გაუჩინარებიდან ერთი წლის შემდეგ კიდევ დაიკარგა რამდენიმე ქალი, რომელთა დაკარგვის დეტალებიც რამდენადმე ჰგავდა ონი ჰეტლანის გაუჩინარების გარემოებებს, — ხიერსტი რიოდსმუენმა ბლოკნოტის ფურცელი გადაშალა, — თუმცა წარმატების მისაღწევად მას დახმარება სჭირდებოდა და იცოდა, რომ ბერგენში ის ამ დახმარებას ვერ მიიღებდა. ამიტომ გადაწყვიტა, საქმის გამოძიებაში ისეთი ადამიანი ჩაერთო, რომელსაც სერიული მკვლელების დევნის გამოცდილება ჰქონდა. თუმცა არავის უნდა სცოდნოდა, რომ ამ წამოწყების უკან ის, რაფტოს ქალიშვილი იდგა.

კრიმინალური პოლიციის ოფიცერმა ესპენ ლეპსვიკმა ნელა გააქნია თავი. ხიერსტი კი აგრძელებდა:

— მან ბევრი დეტექტივი შეისწავლა და არჩევანი ოსლოს პოლიციის სამმართველოს კრიმინალური განყოფილების მთავარ ინსპექტორზე, ჰარი ჰოლეზე შეაჩერა. კატრინმა ჰარის წერილი მისწერა, რომელსაც ხელმოწერის ნაცვლად მისტიკური მეტსახელი, „თოვლის კაცი" მიაწერა. ამ გზით კატრინს სურდა, დეტექტივი გაეღიზიანებინა, რადგანაც სიტყვები „თოვლის კაცი" გაუჩინარების შემთხვევების ზოგიერთი მოწმის ჩვენებებში ფიგურირებდა.

გარდა ამისა, „თოვლის კაცი” მამამისის იმ ჩანაწერებშიც იყო ნახსენები, რომლებიც ულრიკეს მთაზე მომხდარ მკვლელობას ეხებოდა. როდესაც ოსლოს პოლიციის სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებამ თავისუფალი ვაკანსიის შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა და რელიზში აღნიშნა, რომ უპირატესობა ქალებს მიენიჭებოდა, კატრინმა გადაწყვიტა, ბედი ეცადა. იგი გასაუბრებაზე დაიბარეს. მისი თქმით, ფაქტობრივად, ჯერ კიდევ მანამდე მიიღეს სამსახურში, ვიდრე ინტერვიუერის წინ დაჯდებოდა.

რიოდსმუენი დადუმდა, მაგრამ მამაკაცებს არაფერი უთქვამთ და ამიტომ განაგრძო:

— კატრინმა თავიდანვე დაიჭირა თადარიგი და ჰოლეს თავი დაამახსოვრა, რის შედეგადაც იგი საგამოძიებო ჯგუფში აიყვანეს. გამომდინარე იმ ინფორმაციიდან, რომელსაც კატრინი ფლობდა ჰოლესა და ამ საქმის შესახებ, იგი ადვილად ახერხებდა მთავარი გამომძიებლისთვის თავისი აზრის თავს მოხვევას. საბოლოოდ ჰოლეს ბერგენსა და მამამისის გაუჩინარებაზე მიანიშნა და მისი დახმარებით იპოვა მამა. საყინულეში. ფინიოიზე.

ხიერსტიმ სათვალე მოიხსნა.

— არ არის საჭირო წარმოსახვის განსაკუთრებული უნარი იმისთვის, რათა მიხვდეთ, რომ ასეთი გამოცდილების მიღება სათანადო ფსიქოლოგიური რეაქციების საფუძველია. სტრესი კიდევ უფრო ძლიერდებოდა, როდესაც სამჯერ ჩათვალა, რომ დამნაშავეს ნიღაბი ჩამოეხსნა. თავიდან იდარ ვეტლესენი, შემდეგ... ეე... — მან თავის ბლოკნოტს ჩახედა, — ფილიპ ბეკერი, ბოლოს კი არვე სტიოპი. ყოველ ჯერზე მხოლოდ იმ დასკვნამდე მიდიოდა, რომ არასწორად მიიტანა ეჭვი. შეეცადა, სტიოპისგან აღიარება მიეღო, მაგრამ როდესაც მიხვდა, რომ

არვე სტიოპი არ იყო ის კაცი, რომელსაც ეძებდა, თავი დაანებ-ბა, და გაიქცა, როდესაც გაიგონა, რომ კოლეგები უახლოვდე-ბოდნენ. კატრინის თქმით, მას არ სურდა, გაეჩერებინათ მა-ნამ, სანამ თავის მისიას არ აღასრულებდა. მას დამნაშავე უნ-და გამოეაშკარავებინა. ჩემი აზრით, შეგვიძლია დანამდვი-ლებით ვთქვათ, რომ ბრატი ნამდვილად ფსიქოზით იყო შეპ-ყრობილი. იგი ფინიოიში დაბრუნდა. დარწმუნებული იყო, რომ ჰოლე მოაგნებდა და, ფაქტობრივად, არც შემცდარა. რო-დესაც ჰოლე გამოჩნდა, კატრინმა ის განაიარაღა, რათა იძუ-ლებული გაეხადა, მოესმინა მისი ინსტრუქციები გამოძიების სამოქმედო გეგმაზე.

— განაიარაღა? — თქვა მიულერ-ნილსენმა, — ანუ იმის თქმა უნდა, რომ წინააღმდეგობის გარეშე დანებდა?

— ამბობს, რომ ის ჭრილობა, რომელიც ტუჩის კუთხეში აქვს, ჰარი ჰოლემ მიაყენა, როდესაც მთავარმა გამომძიე-ბელმა გადაწყვიტა, წინააღმდეგობა გაეწია ქალისთვის.

— და, თქვენი აზრით, ფსიქოზის დიაგნოზის მქონე პაციენტს უნდა დავუჯეროთ? — იკითხა ლეპსვიკმა.

— ფსიქოზმა გადაუარა, — მკაფიოდ თქვა რიოდსმუენმა, — რამდენიმე დღე კიდევ დააკვირდებიან, რის შემდეგაც ისევ თქვენ დაგიბრუნდებათ, მაგრამ საკითხავი ახლა ისაა, მაინც მიიჩნევთ თუ არა ეჭვმიტანილად.

ბოლო რეპლიკა ერთხანს უპასუხოდ იყო, ბოლოს კი ესპენ ლეპსვიკი გადაიწია მაგიდის თავზე და იკითხა:

— ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ, თქვენი აზრით, კატრინ ბრატი სიმართლეს ამბობს?

— ეს საკითხი ჩემი კომპეტენციის ფარგლებს სცდება და ამიტომ ვერაფერს გეტყვით, — თქვა რიოდსმუენმა და ბლოკ-ნოტი დახურა.

— მაშინ, რას მიპასუხებდით, თქვენი არაპროფესიონალური აზრი რომ მეკითხა?

რიოდსმუენს წამიერმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე.

— ვფიქრობ, უნდა გჯეროდეთ იმის, რისიც ახლა გჯერათ, ინსპექტორო.

***

ბიორნ ჰოლმმა სასამართლო მედიცინის ინსტიტუტიდან მეზობლად მდებარე ანატომიის განყოფილებამდე გზა ფეხით გაიარა და უკვე ამ დაწესებულების ავტოსადგომზე ელოდებოდა ჰარის, როდესაც ტრიუვანიდან ჩამოსულმა ინსპექტორმა მის შორიახლოს გააჩერა მანქანა. ჰოლმის გვერდით მწვანე უნიფორმაში გამოწყობილი საყურიანი სანიტარი იდგა — ის, ვისაც გვამი გაჰქონდა შენობიდან იმ დღეს, როდესაც აქ ჰარი მოვიდა.

— ლუნ-ჰელგესენი დღეს აქ არ არის, — თქვა ჰოლმმა.

— იქნებ შიგნით შესვლისა და კაბინეტების დათვალიერების საშუალება მოგვცე? — ჰკითხა ჰარიმ სანიტარს.

— უფლება არა გვაქვს, ვაჩვენოთ... — წამოიწყო მწვანეუნიფორმიანმა, მაგრამ ჰარიმ შეაწყვეტინა:

— რა გქვია?

— კაი რობიოლე.

— კეთილი, რობიოლე, — თქვა ჰარიმ და პოლიციელის მოწმობა აჩვენა, — მე გაძლევ უფლებას.

რობიოლემ მხრები აიჩეჩა და კარი გააღო.

— გაგიმართლათ, რომ გადამაწყდით. ხუთი საათის შემდეგ აქაურობა ცარიელია ხოლმე.

— არადა, მეგონა, ამ დაწესებულების თანამშრომლები ზეგანაკვეთურ საქმესაც ასრულებდით.

რობიოლემ თავი გააქნია.

— სარდაფში, სადაც ამდენი დაბრედილია? გვირჩევნია, დღის საათებში ვიმუშაოთ, — გაიღიმა სანიტარმა, თუმცა სახეზე ეტყობოდა, რომ სულ არ ეღიმებოდა, — რისი ნახვა გსურთ?

— უახლესი გვამების, — თქვა ჰარიმ.

სანიტარმა საკეტი გახსნა და ორი კარის გავლის შემდეგ შევიდნენ მოკაფელებულ ოთახში, რომელშიც რვა რეზერვუარი იდგა ორ რიგად. მათ შორის ვიწრო გასასვლელი იყო. თითოეული რეზერვუარი მეტალის სარქვლით იხურებოდა.

— შეგიძლიათ, ნახოთ, — თქვა რობიოლემ, — თითო რეზერვუარში ოთხი გვამია. ცისტერნები ალკოჰოლითაა სავსე.

— დიდებულია, — თქვა ჰოლმმა, რომელიც ცდილობდა, არ ესუნთქა.

ძნელი იყო იმის გარკვევა, მართლა ვერ მიხვდა ჰოლმის ნათქვამის აზრს თუ უბრალოდ იხუმრა, მაგრამ ექსპერტს ასეთი ფრაზით უპასუხა:

— ორმოცგრადუსიანია, ყოველგვარი დანამატის გარეშე.

— ანუ მთლიანობაში ოცდათორმეტი გამოდის. სულ ესაა?

— სულ დაახლოებით ორმოცი გვამი გვაქვს, მაგრამ ეს ცხედრები სულ ახალია. როგორც წესი, ერთი წელი მაინც დევს აქ, ვიდრე მათ გამოყენებას დავიწყებთ.

— როგორ შემოგაქვთ ხოლმე?

— დამკრძალავი ბიუროდან მოგვაქვს მანქანით. ზოგიერთს ჩვენ თვითონ ვპოულობთ.

— და ავტოსადგომიდან შემოგაქვთ?

— ჰო.

— ამის შემდეგ რა ხდება?

— რა ხდება? როგორ გითხრა... ბალზამირებას ვუკეთებთ. მენჯის ძვალთან ვუჭრით კანს და ფიქსატორის ინექციას ვუკეთებთ. ბალზამირების ფიქსატორის წყალობით გვამი არ იხრწნება. ამის შემდეგ მეტალის ჟეტონებს ვაკეთებთ, რომლებზეც ის ნომერი აღიბეჭდება, რომელიც საბუთებშია მითითებული.

— რომელ საბუთებში?

— გვამს რომ მოჰყვება. ოფისში ფორმდება. ერთ ჟეტონს ფეხზე ვაბამთ, ერთს — ხელის თითზე და კიდევ ერთს — ყურზე. გვამების ორგანოების რეგისტრირებასაც ვცდილობთ, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ნაწილებად იჭრება. იმიტომ, რომ როდესაც კონკრეტული გვამის კრემაციის საჭიროება დადგება, მისი ყველა ნაწილი დაიწვას.

— ხშირად ამოწმებთ, რამდენად შეესაბამება თითოეული ცხედარი საბუთებს?

— ვამოწმებთ? — თქვა სანიტარმა და თავი მოიქექა, — მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი გვამის ტრანსპორტირებაა საჭირო. გვამების უმრავლესობა აქ, ოსლოშია თავმოყრილი, ამიტომ ტრომსოს, ტრონდჰეიმისა და ბერგენის უნივერსიტეტებს ჩვენ უზრუნველვყოფთ.

— ანუ შეიძლება აქ მალულად იდოს იმ ადამიანის ცხედარი, რომელიც აქ არ უნდა იყოს?

— არა, არა. ყველამ ნებით უსახსოვრა თავისი გვამი ინსტიტუტს, ეს მათ ანდერძებშიც არის მითითებული.

— სწორედ ეს მიჩენს შეკითხვებს, — თქვა ჰარიმ და ერთ-ერთი რეზერვუარის წინ ჩაიმუხლა.

— რა თქვით?

— მისმინე, რობიოლე, ახლა ჰიპოთეტურ კითხვას დაგისვამ და მინდა, კარგად დაფიქრდე, სანამ მიპასუხებ.

სანიტარმა სწრაფად დაუქნია თავი. ჰარი წამოდგა.

— არის თუ არა შესაძლებელი, რომ ამ დაწესებულებაში შემოსვლის უფლების მქონე რომელიმე პირმა აქ ავტოსადგომიდან შემოიტანოს ცხედრები, ფიქციურნომრებიანი ჟეტონები გაუკეთოს, ცხედარი ერთ-ერთ რეზერვუარში მოათავსოს და ეგონოს, რომ, შედარებით მაღალი ალბათობით, მის ამ ქმედებას ვერავინ შეიტყობს?

კაი რობიოლე ყოყმანობდა. კიდევ ერთხელ მოიქექა თავი და თითი საყურეების ასხმას ჩამოუსვა.

ჰარიმ სხეულის წონა მეორე ფეხზე გადაიტანა, ჰოლმი კი ნახევრად გაღებული პირით უყურებდა სანიტარს.

— რეალურად, — თქვა რობიოლემ, — ნამდვილად არ არის გამორიცხული, რომ ასეთი რამ მოხდეს.

— არ არის გამორიცხული?

რობიოლემ თავი გააქნია და წამიერი სიცილი აღმოხდა.

— არა. სულაც არა. სავსებით შესაძლებელია.

— ასეთ შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა დავათვალიერო ეს რეზერვუარები. რობიოლემ ტანმაღალ პოლიციელს ახედა:

— აქ? ახლა?

— შეგიძლია მარცხენა რეზერვუარით დაიწყო. აი, იმით, უკან რომ დგას.

— ჯერ უნდა დავრეკო ნებართვის მისაღებად.

— თუკი გინდა, მკვლელობის გამოძიება გაგვიჯანჯლო, ასე მოიქეცი.

— მკვლელობის? — რობიოლემ ცალი თვალი მოხუჭა.

— გსმენია რამე „თოვლის კაცის" შესახებ?

რობიოლემ თვალები დაახამხამა. შემდეგ შებრუნდა, ჯაჭ-

ვებიან ამწეს მიუახლოვდა, რეზერვუარში დატანებულ ნახვრეტებს ორი სქელი კაუჭი გამოსდო და მართვის პულტზე სათანადო ღილაკს დააჭირა თითი. ჯაჭვმა ხმაურით დაიწყო მაღლა აწევა. რეზერვუარის თავსახური ზევით აიწია. ჰარი და ჰოლმი გაფაციცებით ადევნებდნენ ამ პროცესს თვალს. სახურავის მეორე მხარეს, მეტალის ორი ჰორიზონტალურ დაფას შორის, ერთი ვერტიკალური დაფა იყო მიმაგრებული. ცენტრალურ ნაწილში თეთრი, შიშველი ბიჭების გვამები მოჩანდა. თითოეული ცხედარი ფერმკრთალ თოჯინას ჰგავდა და ამ შთაბეჭდილებას აძლიერებდა ოთხკუთხედი ჭრილობა მენჯის ძვალთან, რომელიც რეზერვუარში ყველა გვამს ეტყობოდა. როდესაც გვამებით სავსე დაფა თეძოს სიმაღლეზე ამოვიდა, სანიტარმა გაჩერების ღილაკს დააჭირა თითი. ამის შემდეგ თეთრი კაფელით გაწყობილ ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა, რომლის დროსაც სამივეს ესმოდა ალკოჰოლის წვეთების ექოს ხმა.

— საკმარისია?

— არა, — თქვა ჰარიმ, — შემდეგი.

სანიტარმა პროცედურა გაიმეორა და მეზობელი რეზერვუარიდან კიდევ ოთხი გვამი ამოიზარდა.

ჰარიმ თავი გააქნია.

მესამე კვარტეტის დანახვაზე ჰარიმ უკან დაიხია. რობიოლემ იფიქრა, რომ ჰარის შეეშინდა და კმაყოფილებისგან გაიბადრა.

— ეს რა არის? — იკითხა ჰარიმ და უთავო ქალზე მიუთითა.

— ალბათ, ასეთ მდგომარეობაში დაგვიბრუნა რომელიმე უნივერსიტეტმა, — თქვა რობიოლემ, — ჩვენი გვამები, როგორც წესი, მთლიანადაა წარმოდგენილი.

ჰარი დაიხარა და გვამს შეეხო. ცივი და არაბუნებრივად მკ-

ვრივი იყო, რისი მიზეზიც ბალზამირების ფიქსატორის კონსისტენცია უნდა ყოფილიყო. ჭრილობაზე დაადო ხელი, რომელიც სრიალა და მკრთალი აღმოჩნდა.

— რბილ ქსოვილზე სამუშაოდ სკალპელს ვიყენებთ, ძვლებს კი თხელკბილა ხერხით ვჭრით.

— ჰმ...

ჰარი ქალის გვამის თავზე დაიხარა, მარჯვენა ხელს სწვდა და წამოსწია.

— რას აკეთებ? — დაიყვირა რობიოლემ.

— ზურგზე ეტყობა რაიმე? — ჰკითხა ჰარიმ ჰოლმს, რომელიც გვამის მეორე მხარეს იდგა.

ჰოლმმა თავი დაუქნია.

— ტატუს. დროშას ჰგავს.

— რომელ დროშას?

— წარმოდგენა არა მაქვს. მწვანე, ყვითელი და წითელი. შუაში პენტაგრამა ჩანს.

— ეთიოპიის დროშა ყოფილა, — თქვა ჰარიმ და გვამს ხელი გაუშვა. გვამმა უწინდელი მდგომარეობა დაიბრუნა, — ამ ქალს არ შემოუწირავს თავისი სხეული, გარეშე პირმა შემოგვწირა. თუ შეიძლება ასე ითქვას. ეს სილვია ოტერსენია.

კაი რობიოლემ რამდენჯერმე დაახამხამა თვალები — თითქოს იმედი ჰქონდა, თუკი საკმარისად ბევრჯერ დავახამხამებ, რაიმე გაქრებაო.

ჰარიმ მხარზე დაადო ხელი.

— დაუკავშირდი ვინმეს, ვისაც საბუთებზე მიუწვდება ხელი და ყველა გვამი გადაამოწმე. ახლავე. მე კი წასასვლელი ვარ.

— რა ხდება? სიმართლე გითხრა, ვერაფერს ვხვდები.

— შეეცადე, მიხვდე, — თქვა ჰარიმ, — დაივიწყე ყველაფერი, რაც გეგონა, რომ იცოდი, და სცადე.

— კარგი, მაგრამ რა ხდება?

— შენს კითხვას ორი პასუხი აქვს, — თქვა ჰარიმ, — ერთი ისაა, რომ „თოვლის კაცს” ვუახლოვდებით.

— და მეორე?

— არ ვიცი.

ნაწილი

მეხუთე

თავი XXXIII

1980 წლის 5 ნოემბერი.
თოვლის კაცი

იმ დღეს თოვლი მოვიდა. დილის თერთმეტ საათზე უფერული ციდან უზარმაზარი ფანტელები წამოვიდა და რუმერიკეს მინდვრები, ბაღები და გაზონები დაიპყრო.

მათიასი დედამისის „ტოიოტა კოროლაში" იჯდა, რომელიც კოლოვეიენშიმდებარე სახლის წინ იყო გაჩერებული. წარმოდგენაც არ ჰქონდა, რას აკეთებდა ამ სახლში დედამისი, რომელმაც უთხრა, რომ მალე დაბრუნდებოდა. მაგრამ უკვე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც დედა ამ სახლში შევიდა. გასაღები მანქანის ამნთებში დატოვა და რადიოში გოგონების ახალი ჯგუფის, „დოლის" სიმღერა „Under snш" ისმოდა. ბიჭმა მანქანის კარი გამოაღო და ეზოში გადავიდა. თოვლის გამო მთელ უბანში არაბუნებრივი სიჩუმე იდგა. მათიასი დაიხარა, თოვლი აიღო და გუნდა გააკეთა.

დღეს მისმა ე. წ. თანაკლასელებმა, VII A კლასის მოსწავლეებმა, თოვლის გუნდები დააყარეს და თან „უდვრილო მათიასს" ეძახდნენ. სძულდა საშუალო სკოლა და არ მოსწონდა, ცამეტი წლის რომ იყო. ფიზკულტურის პირველივე გაკვეთილზე შეამჩნიეს, რომ მათიასს ძუძუსთავები არ ჰქონდა. როგორც ექიმმა თქვა, ძუძუსთავების უქონლობა მემკვიდრეობით გადადიოდა და მათიასს მასშტაბური სამედიცინო შემოწმება ჩაუტარეს. მშობლებმა უთხრეს, რომ არც დედას და მამას ჰქონიათ ძუძუსთავები. დედის მამა მაშინ გარდაცვლილა, როდესაც დედა ჯერ კიდევ ბავშვი იყო, მაგრამ მათიასი ბებიამისის

ერთ-ერთ ფოტოალბომში ბაბუის სურათს წააწყდა. ფოტო მკის დროს გადაეღოთ. ბაბუას მხოლოდ აჭიმებით დამაგრებული შარვალი ეცვა, შიშველ მკერდზე კი ძუძუსთავები ეტყობოდა.

მათიასმა კიდევ უფრო ძლიერად შეკრა გუნდა. უნდოდა, ვინმესთვის ესროლა. ძლიერად. იმდენად ძლიერად, რომ მტკივნეული ყოფილიყო. მაგრამ გარშემო არავინ ჩანდა. ვერავის ესროდა. ბიჭმა თავისი გუნდა ავტოფარეხის გვერდით დადო და თოვლში აგორავა. თოვლის კრისტალები ერთმანეთს ეწებებოდა.

მათიასმა გუნდა იმდენ ხანს აგორავა გაზონზე, რომ უკვე ჭიპამდე სწვდებოდა. გუნდა მიგორავდა და ყავისფერი ბალახის კვალს ტოვებდა. ბიჭი მაინც აგრძელებდა თოვლის ბურთის გორებას. გუნდა იმდენად დამძიმდა, რომ მათიასი ვეღარ აგორავებდა. ამის შემდეგ კიდევ ერთი ბურთის გორება დაიწყო. ისიც კარგა დიდი გამოუვიდა, მაგრამ პირველზე მომცრო. ბიჭმა მეორე ბურთი ასწია და პირველზე დაადგა. ამის შემდეგ თავი გააკეთა, აძვრა თავის ქმნილებაზე და თავი მეორე ბურთს დაადგა. თოვლის კაცი სახლის ერთ-ერთ ფანჯარას შეჰყურებდა, საიდანაც ხმები გამოდიოდა. მათიასმა ვაშლის ხეს რამდენიმე ტოტი მოატეხა, კიბესთან დაყრილი კენჭებიდან რამდენიმე აიღო, ისევ აძვრა თოვლის კაცზე და ქანდაკებას თვალები და მოღიმარი პირი გაუკეთა. მერე თოვლის კაცის კისერზე აძვრა, ფანჯარას გაუსწორდა და ოთახში შეიხედა.

კარგად განათებულ ოთახში შიშველი კაცი იდგა. თვალები დახუჭული ჰქონდა და თეძოებს წინ და უკან აქანავებდა. თითქოს ცეკვავდა. მის წინ საწოლი იდგა, საიდანაც ვიღაცის გადაშლილი ფეხები წამოზრდილიყო. მათიასმა ვერ დაინახა სა-

წოლზე მწოლიარე ადამიანი, მაგრამ მიხვდა, რომ ამ კაცის წინ სარა იწვა. დედამისი. ეს კაცი და დედა წერაობდნენ.

მათიასმა ფეხები მოუჭირა თოვლის კაცს და საზარდულის არეში სიცივე იგრძნო. სუნთქვა ეკვროდა. თითქოს კისერზე ლითონის მავთული ჰქონდა წაჭერილი.

კაცის თეძოები სულ უფრო გამალებით ეხეთქებოდა დედის სხეულს. მათიასმა უცნობის შიშველ მკერდს შეხედა და თოში ჯერ მუცელზე გადაუვიდა, შემდეგ უფრო ზევით და ბოლოს თავში აუვარდა. კაცი ქალს ასოს ურჭობდა. „ზუსტად ისე, როგორც ჟურნალებშია". ცოტა ხანში ეს კაცი დედამისის სხეულში გაასხამს სპერმას. და თან ძუძუსთავები არა აქვს. უცებ კაცი გაჩერდა. თვალები გაახილა და მათიასს შეხედა.

მათიასმა თოვლის კაცის კისერს ფეხები მოაშორა, ჩამოსრიალდა, მოიკუნტა და თაგვივით გაისუსა. ელოდებოდა. ტვინი ერეოდა. ჭკვიანი ბიჭი იყო. ყველა ეუბნებოდა, გონიერი ხარო. თავისი ასაკის ბავშვებს არა ჰგავს, მაგრამ განსაკუთრებული გონებრივი მონაცემებით გამოირჩევაო, ამბობდნენ მისი მასწავლებლები. ამიტომ გარკვეული დროის შემდეგ აზრები მოიკრიბა და გონებაში ისე დაალაგა ყველაფერი, როგორც თავსატეხის ნაწილები. საერთოდ ხშირად აწყობდა ხოლმე თავსატეხებს. თუმცა მიღებული სურათი აუტანელი იყო მისთვის. ასეთი რამ უბრალოდ წარმოუდგენელი იყო! მაგრამ სიმართლეს ჰგავდა.

მათიასი გაჭირვებით სუნთქავდა. ესმოდა, როგორ ეხუთებოდა სული.

ახლა უკვე ყველაფერი იცოდა. ყველაფერი დაემთხვა. მიხვდა, რატომ ექცეოდა დედა მამას ასე გულგრილად. გაახსენდა საუბრები, რომლებიც, როგორც უფროსებს ეგონათ, მათიასს არ ესმოდა. ის კი განუწყვეტლივ ისმენდა მამამისის ხვეწ-

ნა-მუდარას. „უნდა დარჩე. ჩემ გამო არა — მათიასის გამო. ის ხომ ჩვენი საერთო შვილია! განა ასე არ არის?!” და ამ დროს დედა მწარედ იცინოდა ხოლმე. ბაბუამისის ფოტოსურათი, რომელიც ფოტოალბომში ნახა. და დედამისის ტყუილები. რა თქმა უნდა, მათიასმა არ დაიჯერა, როდესაც მისმა კლასელმა სტიანმა თქვა, „უდვრილო მათიასის” დედას საყვარელი ჰყავს, რომელიც ფერდობზე ცხოვრობს. მამიდაჩემმა მითხრაო. მათიასმა არ დაიჯერა, იმიტომ, რომ სტიანი სხვა ბავშვებივით სულელი იყო და არაფერი ესმოდა. მაშინაც ვერაფერს მიხვდა, როდესაც ორი დღის შემდეგ თავისი კატა სკოლის ფლაგშტოკის წვერზე იპოვა.

მამამ არაფერი იცოდა. მათიასი მთელი არსებით გრძნობდა, რომ მამას იგი... თავისად მიაჩნდა. და მას სიმართლე არ უნდა გაეგო. არასდროს. იმიტომ, რომ სიმართლე მოკლავდა. უმჯობესი იქნებოდა, თუკი თვითონ მოკვდებოდა. დიახ. სწორედ ეს უნდოდა. უნდოდა, მოშორებოდა დედას, სტიანს, სკოლას... ყველაფერს. წამოდგა, თოვლის კაცს ფეხი დაარტყა და მანქანისკენ გაიქცა. თან წაიყოლებდა. ეს ქალიც უნდა მომკვდარიყო.

როდესაც დედა დაბრუნდა და კარი გამოაღო, უკვე ორმოცი წუთი გასულიყო მას შემდეგ, რაც იმ სახლში შევიდა.

— რამე მოხდა? — იკითხა მან.

— ჰო, — მიუგო მათიასმა და უკანა სავარძელზე ისე დაჯდა, რომ დედამისს საქარე მინის სარკეში კარგად დაენახა, — დავინახე.

— რას გულისხმობ? — იკითხა დედამ, გასაღები ამნთებში შეარჭო და გადაატრიალა.

— თოვლის კაცს...

— როგორ გამოიყურებოდა ეგ შენი თოვლის კაცი?

ავტომობილი ღმუილით დაიქოქა და ქალმა იმდენად სწრაფად აუშვა ფეხი გადაბმის პედლიდან, რომ მათიასს კინაღამ დომკრატი გაუვარდა ხელიდან.

— მამა გველოდება, — თქვა სარამ, — სწრაფად უნდა წავიდეთ.

დედამ რადიო ჩართო და ბოლო ხმაზე აუწია. ახალი ამბების გამოშვების წამყვანი საპრეზიდენტო არჩევნებსა და რონალდ რეიგანზე ლაპარაკობდა. ქალმა კიდევ აუწია ხმას. გორაკის ფერდობი გადაიარეს და მთავარ გზაზე გავიდნენ, რომელიც მდინარეს მიუყვებოდა. მათ წინ თოვლიდან სწორი ყვითელი ზოლი გამოჩნდა.

— მალე დავიხოცებით, — თქვა მათიასმა.

— რა თქვი?

— მალე დავიხოცებით.

ქალი რადიომიმღებს მისწვდა და ჩაუწია. ბიჭი მოემზადა. სავარძლებს შორის გადაიხარა და ხელი ასწია.

— მალე დავიხოცებით, — ჩაიჩურჩულა მან. და ჩაარტყა.

როდესაც დომკრატი დედამისის კეფას შეეხო, მათიასმა ტკაცუნის ხმა გაიგონა. კიდევ ერთხელ ჩაარტყა. და კიდევ. დედა ხმას არ იღებდა. მიუხედავად იმისა, რომ პედლიდან ჩამოუცურდა ფეხი და მანქანა შეხტა. ალბათ, ტვინის ის ნაწილი დაუზიანდა, რომელიც ადამიანის მეტყველებაზეა პასუხისმგებელიო, გაიფიქრა მათიასმა. მეოთხე დარტყმისას იგრძნო, რომ დომკრატი რაღაც რბილს მოხვდა. მანქანას სიჩქარე ემატებოდა, მაგრამ მათიასმა იცოდა, რომ დედამისმა გონება დაკარგა. „ტოიოტა კოროლამ" გზატკეცილი გადაჭრა და მინდორზე გაგორდა. თოვლი აბრკოლებდა მანქანას, მაგრამ ავტომობილი მაინც მიგორავდა. ამის შემდეგ კი „კოროლა" წყალში ჩავარდა და განიერ, შავ მდინარეში დაიწყო ლივლი-

ვი. ერთხანს დინების მიმართულებით მიცურავდა, შემდეგ კი ადგილზე დატრიალდა. კარების ღრიჭოებიდან და ძარიდან წყალი შემოდიოდა. სახელურებიდან და ფანჯრებიდანაც ჩამოდიოდა წყალი. და ისინი ისევ ნელა გაცურდნენ დინების მიმართულებით. ბიჭმა ავტომაგისტრალზე მიმავალი მანქანა დაინახა და ხელი დაუქნია, მაგრამ, სავარაუდოდ, ვერ შეამჩნიეს.

„ტოიოტაში" წყლის დონე მატულობდა. და უცებ მათიასმა დედამისის ხმა გაიგონა. ქალი რაღაცას ლუღლუღებდა. ბიჭი უყურებდა იმ ღრმა ჭრილობებს, რომლებიც ქალს გასისხლიანებული თმის ქვეშ მოუჩანდა. უსაფრთხოების ღვედი ეკეთა და მაინც ახერხებდა მოძრაობას. წყლის დონემ სწრაფად დაიწყო მატება. მათიასს უკვე მუხლებამდე სწვდებოდა. იგრძნო, რომ პანიკაში ვარდებოდა. არ უნდოდა სიკვდილი. „ოღონდ ახლა არა! ოღონდ ასე არა!" დომკრატი გვერდითა ფანჯარას მიახეთქა. მინა ჩაიმსხვრა და წყალი შხუილით შემოიჭრა სალონში. ბიჭი სავარძელზე ახტა და ფანჯრის ზედა ნაწილში, წლის ნაკადის ზემოთ არსებულ სივრცეში გაძვრა. ერთი ფეხი კარის ფანჯრის ჩარჩოში მოჰყვა.

იმისათვის, რათა გათავისუფლებულიყო, გაჭედილი ტერფი რამდენჯერმე დაატრიალა და საბოლოოდ ფეხსაცმელი გასძვრა. მათიასი გათავისუფლდა და ნაპირისკენ გაცურა. დაინახა, რომ ავტომაგისტრალზე მანქანა გაჩერდა. ავტომობილიდან ორი ადამიანი გადმოვიდა, თოვლიან მინდორზე გადავიდა და მდინარისკენ გამოემართა.

მათიასი კარგად ცურავდა. და საერთოდაც, ბევრი რამ გამოსდიოდა კარგად. ვიღაც კაცი ჩამოხტა წყალში და ბიჭი ნაპირზე გაიყვანა. მათიასი თოვლზე ჩამოჯდა. შეეძლო, ფეხზეც მდგარიყო, მაგრამ იფიქრა, ასე უფრო დამაჯერებელი იქნებ-

აო. თვალები დახუჭა და გაიგონა, როგორ იკითხა ვიღაცამ აღელვებული ხმით, კიდევ ხომ არ იყო ვინმე მანქანაშიო. მათიასმა ნელა გააქნია თავი.

— დარწმუნებული ხარ? — იკითხა იმავე ადამიანმა.

მოგვიანებით პოლიციელებმა დაასკვნეს, რომ ავტოკატასტროფა მოყინული გზის გამო მოხდა, წყალში ჩაძირული ქალის თავზე აღმოჩენილი დაზიანებები კი იმით ახსნეს, რომ ავტომობილი წყლის მასაში შეიჭრა. ის, რომ ბიჭმა რამდენჯერმე გააქნია თავი შეკითხვაზე, იყო თუ არა მის გარდა ვინმე მანქანაში,სამართალდამცავებმა, უბრალოდ, ავტოკატასტროფის შედეგად მიღებული შოკით ახსნეს. იგივე ახსნა მოუძებნეს იმ სიტყვებს, რომლებიც მათიასმა ამის შემდეგ თქვა:

— არავინ. მხოლოდ მე. მარტო ვარ.

— არავინ, მხოლოდ მე, — გაიმეორა მათიასმა ექვსი წლის შემდეგ, — მარტო ვარ.

— გმადლობთ, — თქვა ბიჭმა, რომელიც მის წინ იდგა და თავის ლანგარს იმ მაგიდაზე დებდა, რომელიც მათიასმა აირჩია. გარეთ წვიმა ბერგენის სამედიცინო სასწავლებლის სტუდენტებისთვის მისასალმებელ მარშს უკრავდა. რიტმულ მარშს, რომელიც მხოლოდ გაზაფხულზე დასრულდებოდა.

— შენც ახალი ხარ, არა? — იკითხა უცნობმა. მათიასი მის დანას უყურებდა. ბიჭი სქელ ვენურ შნიცელს ჭრიდა.

— იოსტლანდური აქცენტი გაქვს, — თქვა ბიჭმა, — არ გინდოდა ოსლოში გესწავლა?

— ოსლოში ჩასვლის სურვილიც კი არა მაქვს.

— რატომ?

— არავის ვიცნობ იმ ქალაქში.

— აქ ვის იცნობ?

— არავის.

— არც მე. რა გქვია?

— მათიასი. ლუნ-ჰელგესენი. შენ?

— იდარ ვეტლესენი. ნამყოფი ხარ ულრიკენზე?

— არა.

მაგრამ მათიასი ნამყოფი იყო ულრიკენზე. ფლიოიუენსა და სანდვიკსფიელეტზეც. იმ ვიწრო გასასვლელებშიც, თევზის ბაზრისკენ რომ მიემართება, და ტორგალმენინგის მოედანზეც. აკვარიუმში პინგვინები და ზღვის ლომები ნახა; ვესელსტიუენში ლუდი დალია და იმ ზედმეტად დაფასებულ ახალ ჯგუფსაც მოუსმინა, რომელიც გარაჟში უკრავდა. ბრანის სტადიონზე „ბრანის" საშინაო მატჩს დაესწრო და საკუთარი თვალით იხილა, როგორ დამარცხდა ადგილობრივი კლუბი. მოკლედ, ყველგან იყო ნამყოფი, სადაც შეიძლება სტუდენტი წავიდეს კურსელებთან ერთად, მაგრამ მათიასმა ეს ადგილები მარტომ მოიარა. იდართან ერთად კიდევ ერთხელ დაათვალიერა ეს ღირსშესანიშნაობები და თავი ისე მოჰქონდა, თითქოს პირველად ხედავდა ამ ყველაფერს.

მათიასი მალევე მიხვდა, რომ იდარი სოციალური ტკიპა ბრძანდებოდა და იმისათვის, რათა საბოლოოდ მოეპოვებინა იდარის კეთილგანწყობა, ისე მოაჩვენა თავი, თითქოს უხაროდა, რომ გაიცნო.

— რატომ ჩააბარე სამედიცინოზე? — ჰკითხა იდარმა მათიასს, როდესაც გადაწყვიტა, მეჯლისის წინ თავის მეგობართან ესაუბრა. სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტების ყოველწლიური საშემოდგომო მეჯლისი ერთი ტრადიციული ბერგენული სახელის მქონე სტუდენტის ბინაში ეწყობოდა.

იდარმა მეჯლისზე ორი ლამაზი ბერგენელი გოგონა დაპატიჟა, რომლებსაც შავი კაბები ეცვათ და მაღალი ვარცხნილობები ჰქონდათ. გოგონები წინ იხრებოდნენ, რათა გაეგონათ

ის, რაზე საუბრობდა ეს ორი ყმაწვილი.

— მინდა სამყარო უფრო უკეთესი გავხადო, — თქვა მათიასმა და თავისი ნელთბილი „ჰანზა” მოსვა, — შენ?

— მინდა ფული ვიშოვო, — თქვა იდარმა და გოგონებს გადახედა. ერთი მათგანი მათიასს მიუჯდა გვერდით.

— შევამჩნიე, რომ სისხლის დონორის ემბლემას ატარებ, — თქვა მან, — რომელი ჯგუფის სისხლი გაქვს?

— მეორე უარყოფითი. შენ რითი ხარ დაკავებული?

— მოდი, ამაზე ნუ ვისაუბრებთ. მეორე უარყოფითი? ძალიან იშვიათი ჯგუფია, არა?

— კი. საიდან იცი?

— მედდის კურსებს გავდივარ.

— გასაგებია, — თქვა მათიასმა, — რომელ კურსზე ხარ?

— მესამეზე.

— გიფიქრია იმაზე, რა მიმართულებით გსურს სპეციალიზ...

— მოდი, ნუ ვისაუბრებთ ამაზე, — თქვა გოგონამ და პატარა თბილი ხელი ბარძაყზე დაადო.

ეს ფრაზა ხუთი საათის შემდეგაც გაიმეორა, როდესაც მის ქვეშ იწვა მისსავე საწოლში.

— პირველი ხარ, ვისთანაც დავწექი, — თქვა მათიასმა. გოგონამ გაიღიმა.

— რამეს ხომ არ მიწუნებ?

— რაო? — წამოიძახა აღშფოთებულმა ყმაწვილმა, — არა! გოგონამ გაიცინა.

— კარგი ბიჭი ხარ, სიმპათიური და აზრიანი. ისე... რა სჭირს ამ ორს?

გოგონამ მკერდზე უჩქმიტა.

მათიასმა იგრძნო, რომ სულში რაღაც შავი ჩაესახა. რაღაც შემაძრწუნებელი, შავი და მშვენიერი.

— დაბადებიდან ასე მაქვს, — თქვა ყმაწვილმა.

— დაავადებაა რამე?

— ამ თავისებურებას რეინოს ფენომენი და სკლეროდერმია ახლავს თან.

— რა?

— მემკვიდრეობით გადამდები დაავადებაა, რომელიც სხეულის შემაერთებელი ქსოვილის გამაგრებას იწვევს.

— საშიშია? — იკითხა გოგონამ და მკერდზე ფრთხილად დაადო თითი.

მათიასს გაეღიმა და ერექციის დაწყება იგრძნო.

— რეინოს ფენომენი იმას ნიშნავს, რომ პაციენტს ხელისა და ფეხის თითები უცივდება და უთეთრდება, სკლეროდერმა კი...

— ეგ რაღას იწვევს?

— გამაგრებული შემაერთებელი ქსოვილი კანს ამკვრივებს. მთელი სხეული გლუვი ხდება და ნაოჭებიც ქრება.

— განა ეს კარგი არაა?

მათიასმა იგრძნო, რომ გოგონას ხელი ქვევით მიიწევდა.

— მკვრივი კანი სახის კუნთების მოძრაობას აფერხებს. მიმიკები გიქრება და პაციენტის სახე ნიღაბს ემსგავსება.

გოგონამ მათიასის პენისს პატარა, თბილი ხელი ჩაავლო.

— ხელის მტევნები და, დროთა განმავლობაში მკლავებიც, მოხრილი აქვს და ვერ ასწორებს, ბოლოს კი სიარულის უნარსაც კარგავს. შეიძლება ითქვას, რომ საკუთარი კანი გუდავს.

გოგონას სუნთქვა შეეკრა და სწრაფად ჩაიჩურჩულა.

— რა საშინელებაა!

— საუკეთესო გამოსავალია თვითმკვლელობა მანამ, სანამ დაავადება მოგიღებს ბოლოს. შეგიძლია, საწოლის კიდესთან დაწვე? მინდა, ფეხზე მდგარმა ვცადო.

— აი, თურმე რატომ გადაწყვიტე სამედიცინოზე ჩაბარება. გინდა, გამოსავალი იპოვო და გამოჯანმრთელდე.

— მხოლოდ ერთი სურვილი მაქვს, — თქვა მათიასმა და საწოლის კიდესთან დადგა. მისი ერეგირებული პენისი ჰაერში ტრიალებდა, — მინდა, ვიცოდე, როდის უნდა მოვკვდე.

ახალგამომცხვარი ექიმი მათიას ლუნ-ჰელგესენი ბერგენის ჰაუკელანდის საავადმყოფოს ნევროლოგიის დეპარტამენტში დიდი პოპულარულობით სარგებლობდა. კოლეგებიც და პაციენტებიც ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ იგი კომპეტენტურობით, აზრიანობით და, რაც მთავარია, ყურადღებიანობით გამოირჩეოდა. ეს უკანასკნელი თვისება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, იმიტომ, რომ სხვადასხვა ტიპის, მეტწილად გენეტიკური გზით გადამდები დაავადებების მქონე პაციენტებს იღებდა, რომელთა გამოჯანმრთელებაც, ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელი იყო. ასეთი დაავადებების მქონე ადამიანებისთვის ექიმებს მხოლოდ დროებითი შვების მინიჭება შეეძლოთ. და იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ექიმები პაციენტებს სკლეროდერმიის დიაგნოზს უსვამდნენ, მაშინვე ამ კეთილგანწყობილ ახალგაზრდა ექიმთან გზავნიდნენ, რომელიც თანდათანობით იმუნოლოგიაში სპეციალიზდებოდა. ჯერ კიდევ ადრეული შემოდგომა იყო, როდესაც მას ლაილა ოსენი და მისი მეუღლე ეწვივნენ და თან ქალიშვილიც მოიყვანეს. გოგონას სახსრები გაშეშებოდა და საშინელ ტკივილს განიცდიდა. თავიდან მათიასმა იფიქრა, რომ ეს ბეხტერევის დაავადება იყო. როგორც ლაილა ოსენმა და მისმა მეუღლემ უთხრეს, ორივე გენეტიკურად მიდრეკილი იყო რევმატიული დაავადებებისკენ, ამიტომ მათიასმა ცოლ-ქმარსა და მათ ქალიშვილს სისხლის ნიმუშები აუღო.

როდესაც ანალიზების შედეგები მოვიდა, მათიასი თავის სამუშაო მაგიდასთან იჯდა. მან სამჯერ წაიკითხა ის, რაც ლაბორატორიული შემოწმებით დადგინდა. და ის საზიზღარი, შავი და მშვენიერი შეგრძნება კიდევ ერთხელ დაეუფლა. ტესტს უარყოფითი პასუხი ჰქონდა. სამედიცინო თვალსაზრისითაც, იმიტომ, რომ ბეხტერევის დაავადება არაფერ შუაში იყო. და ოჯახის კეთილდღეობის თვალსაზრისითაც, იმიტომ, რომ ჰერ ოსენიც არაფერ შუაში იყო. ის არ აღმოჩნდა მამა. და მათიასმა იცოდა, რომ იმ კაცმა არ იცოდა. მაგრამ ქალმა იცოდა. ლაილა ოსენმა იცოდა. მან დაინახა ქალის სახე, როდესაც ექიმმა ოჯახის სამივე წევრისგან სისხლის ნიმუშები მოითხოვა. ნეტავ ახლა თუ უწვებოდა იმ კაცს! როგორ გამოიყურებოდა ის ტიპი? ფართოგაზონიან სახლში ცხოვრობდა? რა საიდუმლო დეფექტები ჰქონდა? და როგორ და როდის მიხვდებოდა მისი ქალიშვილი, რომ ეს მატყუარა ბოზი მანამდე დამალავდა სიმართლეს, სანამ შეეძლო?

მათიასმა დაიხედა და აღმოაჩინა, რომ წყლის ჭიქა გადმოეგდო. უბეზე დიდი, სველი ლაქა დაეტყო, რომელიც კიდევ მეტად იზრდებოდა. მუცელში სიცივე იგრძნო, რომელიც თანდათან ზევით იწევდა.

ლაილა ოსენს დაურეკა და ანალიზების პასუხები გააცნო. სამედიცინო შედეგები. ქალმა მადლობა გადაუხადა, ხმამაღლა ამოიოხრა და ამით მათი საუბარი დასრულდა. მათიასი დიდხანს უყურებდა ტელეფონს. ღმერთო, როგორ სძულდა ეს ქალი! ის ღამე თავის საცხოვრებელ ოთახში გაატარა. კვლევების შემდეგ აქ რჩებოდა ხოლმე. ვიწრო ლეიბზე იწვა და ვერაფრით ახერხებდა დაძინებას.

შეეცადა, რაიმე წაეკითხა, მაგრამ კითხვისას ნაწერი გაურბოდა. მასტურბირება სცადა, რაც, როგორც წესი, ღლიდა იმი-

სთვის, რომ ჩასძინებოდა, მაგრამ კონცენტრირებას ვერ ახერხებდა. ფეხის ცერი კიდევ ერთხელ გაუთეთრდა.

მხოლოდ იმისთვის დაირჭო ნემსი, რათა განესაზღვრა, ჯერ კიდევ შერჩენილი ჰქონდა მგრძნობელობა თუ არა. ბოლოს კი საბანი გადაიფარა და ატირდა. მხოლოდ მაშინ გაჩერდა, როდესაც გარიჟრაჟმა ღამის ცა ნაცრისფრად შეღება.

მათიასი ჩვეულებრივი ნევროლოგიური დარღვევების მქონე ავადმყოფებსაც მკურნალობდა და მისი ერთ-ერთი ასეთი პაციენტი ბერგენის პოლიციის თანამშრომელი იყო. შემოწმების შემდეგ შუახნის პოლიციელი წამოდგა და ტანსაცმელი ჩაიცვა. დაუბანელი ტანის სიმყრალე და ალკოჰოლის სუნით გაჯერებული ამონასუნთქი მთლიანობაში აუტანელ ნაერთს ქმნიდა.

— აბა, რა მჭირს? — ისე შეუღრინა პოლიციელმა მათიასს, როგორც თავის ერთ-ერთ ხელქვეითს.

— ნევროპათიის საწყისი სტადიაა, — თქვა მათიასმა, — ფეხის ნერვული დაბოლოებები დაზიანებული გაქვთ. სწორედ ამიტომ შეგიმცირდათ მგრძნობელობა ფეხებზე.

— შენი აზრით, მაგიტომ დავდივარ წყეული ლოთივით?

— ლოთი ხართ, რაფტო?

პოლიციელმა პერანგის ღილების შეკვრა შეწყვიტა და კისერზე სიწითლე მოედო, რომელიც თანდათან ზევით მიიწევდა, როგორც ვერცხლისწყლის სვეტი — თერმომეტრში.

— რა სისულელეებს ყბედობ, შე ცხვირმოუხოცავო რეგვენო?!

— როგორც წესი, ჭარბი ალკოჰოლი პოლინევროპათიას იწვევს. თუკი დალევას გააგრძელებთ, არაა გამორიცხული, თავის ტვინის სერიოზული დაზიანება მიიღოთ. გსმენიათ რა -

მე კორსაკოვის შესახებ? არა? იმედია, არც შეიტყობთ, იმიტომ, რომ თუკი მის სახელს გაიგონებთ, სავარაუდოდ, საუბარი იქნება ძალიან უსიამოვნო სინდრომზე, რომელსაც სახელი მისი გვარის მიხედვით ეწოდა. არ ვიცი, რა პასუხს სცემთ ხოლმე საკუთარ თავს, როდესაც სარკეში იხედებით და კითხულობთ, ხართ თუ არა ლოთი, მაგრამ ვფიქრობ, მომდევნო ჯერზე დამატებითი კითხვაც უნდა დაუსვათ საკუთარ თავს, რომელიც ასე უნდა ჟღერდეს: რა მინდა — ახლავე სიკვდილი თუ გარკვეული დრო?

გერტ რაფტომ ყურადღებით შეათვალიერა ექიმის ხალათში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი, ხმადაბლა შეიგინა და ოთახიდან გავიდა. გასვლის წინ პოლიციელმა ძლიერად მოიჯახუნა კარი.

რაფტომ ოთხი კვირის შემდეგ დარეკა. მათიასს სთხოვა, მოდი და მნახეო.

— ხვალ შემომიარეთ, — თქვა მათიასმა.

— არ შემიძლია. სასწრაფო საქმეა.

— ჰოდა, მაშინ სასწრაფოს დაურეკეთ.

— მისმინე, ლუნ-ჰელგესენ, სამი დღეა, უმოძრაოდ ვგდივარ ლოგინში. შენ ერთადერთი ხარ, ვინც პირდაპირ მკითხა, ვარ თუ არა ლოთი. კი, ლოთი ვარ. და არა, არ მინდა სიკვდილი. ჯერ არა.

გერტ რაფტოს ბინაში ნაგვის, ლუდის ცარიელი ბოთლებისა და თავად რაფტოს სუნი ტრიალებდა. თუმცა საკვების ნარჩენების სიმყრალე არ იგრძნობოდა, იმიტომ, რომ სახლში საერთოდ არ იყო საჭმელი.

— ეს ვიტამინ B1-ის შემავსებელია, — თქვა მათიასმა და შპრიცი სინათლეს მიუშვირა, — რომელიც ფეხზე დაგაყენებთ.

— გმადლობ, — თქვა რაფტომ. პაციენტს ხუთ წუთში ჩაეძი-

ნა.მათიასმა ბინა მოიარა. რაფტოს სამუშაო მაგიდაზე ფოტო შენიშნა. სურათზე თავად პოლიციელი იყო გამოსახული, რომელსაც მხრებზე შავთმიანი გოგონა ეჯდა. სამუშაო მაგიდის ზემოთ, კედელზე, ფოტოები გაეკრა, რომლებიც, სავარაუდოდ, მკვლელობის ადგილებზე გადაეღოთ. ბევრი ფოტო იყო. მათიასი სურათებს მიაჩერდა, შემდეგ კი რამდენიმე ჩამოხსნა და უფრო ყურადღებით შეისწავლა დეტალები. ღმერთო, რა დაუდევრები იყვნენ ეს მკვლელები! განსაკუთრებული არაპროფესიონალიზმი ეტყობოდა იმ გვამებს, რომლებსაც როგორც ბასრი, ისე ბლაგვი საგნებით ჰქონდა მიყენებული ჭრილობები. უჯრები გამოაღო და სხვა ფოტოების ძებნა დაიწყო. პატაკები, შენიშვნები და რამდენიმე ძვირად ღირებული ნივთი იპოვა — ბეჭდები, ქალის საათები, ყელსაბამები. აქვე იყო ამონარიდები გაზეთებიდან. მათიასი ამ ამონაჭრების კითხვას შეუდგა. თითოეულ ნაგლეჯზე გერტ რაფტოს სახელი ფიგურირებდა. ხშირად მისივე ციტატა იყო მოყვანილი პრესკონფერენციიდან, რომელშიც იგი მკვლელების სიშტერესა და მათი დაკავების მეთოდებზე ლაპარაკობდა. აშკარა იყო, რაფტოს ყველა მათგანი დაჭერილი ჰყავდა. ყველა, ვისთანაც ჰქონია შეხება.

ექვსი საათის შემდეგ, როდესაც გერტ რაფტომ გაიღვიძა, მათიასი ჯერ კიდევ მასთან იყო. ექიმი საწოლთან იჯდა და მუხლებზე სხვადასხვა მკვლელობის თაობაზე დაწერილი ორი პატაკი ედო.

— მითხარით, — თქვა ჰარიმ, — როგორ უნდა ჩაიდინოს ადამიანმა მკვლელობა ისე, რომ ვერ დაიჭირონ?

— ჩემს იურისდიქციას უნდა განერიდოს, — თქვა მან და მიმოიხედა. რაიმე სასმელს ეძებდა, — თუკი საქმის გამოძიებას კარგი დეტექტივი მოეკიდა, მკვლელი ყველა შემთხვევაში გა-

ნწირულია.

— და თუკი მაინც სურს მკვლელს, კარგი დეტექტივის იურისდიქციის ზონაში ჩაიდინოს დანაშაული?

— მე რომ დამნაშავე ვიყო, დეტექტივს დავუახლოვდებოდი, — თქვა გერტ რაფტომ, — შემდეგ მკვლელობას ჩავიდენდი და ბოლოს გამომძიებელსაც მოვკლავდი.

— რა უცნაურია, — თქვა მათიასმა, — მეც ეგ გავიფიქრე.

მომდევნო კვირებში მათიასმა სულ რამდენჯერმე დაურეკა რაფტოს შინ.პოლიციელი მალე გამოჯანმრთელდა და დიდხანს ესაუბრებოდა თავის ექიმს დაავადების, ცხოვრების წესისა და სიკვდილის შესახებ. რაფტო თავისი ცხოვრების ორ სიყვარულზეც ელაპარაკებოდა — თავის ქალიშვილ კატრინზე, რომელსაც ასევე ძალიან უყვარდა მამა, და პატარა ქოხზე ფინიოიში, რომელიც ის ადგილი იყო, სადაც სულის სიმშვიდეს პოულობდა. მაგრამ, უმრავლეს შემთხვევაში, ისინი იმ მკვლელობებზე საუბრობდნენ, რომლებიც რაფტოს ჰქონდა გახსნილი. მის გამარჯვებებზე. მათიასი აქებებდა, ეუბნებოდა, რომ ალკოჰოლის დამარცხება შესაძლებელი იყო და ის კიდევ მრავალ გამარჯვებას იზეიმებდა, თუკი ბოთლისგან შორს დაიჭერდა თავს.

და როდესაც ბერგენში გვიანი შემოდგომა დადგა თავისი კიდევ უფრო მოკლე დღეებითა და უფრო ხანგრძლივი წვიმებით, მათიასს უკვე მზად ჰქონდა გეგმა.

ერთ დილას მან ლაილა ოსენს დაურეკა.

მათიასმა ლაილას თავისი სახელი უხსენა და იმის ახსნას შეუდგა, რატომ დარეკა მასთან. ქალი ჩუმად უსმენდა. მისი ქალიშვილის სისხლის ნიმუშის ანალიზისას დამატებითი გარემოებები გამოვლინდა და აღმოჩნდა, რომ ბასტიან ოსენი ბავ-

შვის ბიოლოგიური მამა არ იყო, და მათიასს ნამდვილი მამის სისხლის ნიმუში სჭირდებოდა. ეს კი ნამდვილად ნიშნავდა იმას, რომ გოგონა და ბასტიანი სიმართლეს გაიგებდნენ. მათიასმა ლაილას ჰკითხა, თუ რამდენად ხვდებოდა ის შექმნილი მდგომარეობის არსს.

მათიასმა მოიცადა, რომ ქალს მისი ნათქვამი გაეაზრებინა, შემდეგ კი უთხრა, თუკი საიდუმლოს შენახვა გსურთ, არაოფიციალური ანალიზების გაკეთებაც შესაძლებელიაო.

— არაოფიციალური? — აპათიურად იკითხა ლაილამ.

— როგორც ექიმს, ეთიკური ნორმების დაცვა მიწევს და ამ ნორმების მიხედვით, პაციენტებთან — ამ შემთხვევაში, თქვენს ქალიშვილთან — ურთიერთობისას სრული გულახდილობა მმართებს. მაგრამ მე სინდრომებს ვიკვლევ და ამიტომ თქვენი შემთხვევით ძალიან ვარ დაინტერესებული, თუკი შეძლებთ, დღეს ნაშუადღევს სხვებისგან ფარულად შემხვდეთ...

— დიახ, — უპასუხა აკანკალებულმა ლაილამ.

— ძალიან კარგი. საღამოს ბოლო საბაგირო ვაგონში ჩაჯექით და ულრიკენის მწვერვალზე დამელოდეთ. იქ არავინ შეგვაწუხებს და უკან ფეხით ჩამოვისეირნებთ. იმედია, ხვდებით, რომ ძალიან დიდ რისკზე მივდივარ. გთხოვთ, ნურავის აცნობებთ, რომ ჩემთან შეხვედრას აპირებთ.

— რა თქმა უნდა! ჩემი იმედი გქონდეთ.

ქალმა საუბარი დაასრულა და ტელეფონი გათიშა, მაგრამ მათიასს მაინც ხელში ეჭირა მიმღები. ბოლოს ნაცრისფერი პლასტმასის მოწყობილობას ჩურჩულით ჩასძახა:

— და რატომ უნდა ჰქონდეს ვინმეს შენი იმედი, შე პატარა ბოზო?

ლაილა ოსენი თოვლზე იწვა და კისერზე სკალპელი ჰქონ-

და მიბჯენილი, როდესაც აღიარა, რომ მათი შეხვედრის შესახებ თავის დაქალს უამბო. მან და მისმა დაქალმა დიდი ხნით ადრე გადაწყვიტეს, რომ საღამოს ერთად გაატარებდნენ და ამიტომ იძულებული გახდა, საიდუმლო გაემხილა, მაგრამ მან მხოლოდ სახელი ახსენა, მათიასის ვინაობა და შეხვედრის მიზანი კი არ გაუმხელია.

— საერთოდ რატომ უხსენე?

— მისი გაღიზიანება მინდოდა, — დაიხრიალა ლაილამ, — ძალიან ცნობისმოყვარეა. მათიასმა კიდევ უფრო მჭიდროდ მიაბჯინა სკალპელი და ლაილამ თავისი დაქალის სახელი და მისამართი უთხრა. და ამის შემდეგ სამუდამოდ დადუმდა.

ორი დღის შემდეგ მათიასმა ლაილა ოსენის მკვლელობისა და ონი ჰეტლანისა და გერტ რაფტოს გაუჩინარების შესახებ დაწერილი სტატია წაიკითხა და არაერთგვაროვანი გრძნობები გაუჩნდა. პირველ რიგში იმიტომ, რომ უკმაყოფილო იყო ლაილა ოსენის მკვლელობით. მოვლენები ისე არ განვითარდა, როგორც სურდა. პანიკისა და მძვინვარების გამო სულ მთლად დაკარგა თვითკონტროლის უნარი, ამიტომ მის მიერ შესრულებული საქმე აკურატულობით ნამდვილად არ გამოირჩეოდა. ბევრი რამის გაწმენდამ მოუწია და ბევრი რამ ახსენებდა რაფტოს ბინაში გაკრულ ფოტოებს. ამასთან, ძალიან ცოტა დრო ჰქონდა შურისძიებით ტკბობისთვის.

ონი ჰეტლანის მკვლელობა კიდევ უფრო უხეიროდ გამოუვიდა. მისი განზრახვა ნამდვილი კატასტროფით დასრულდა. ორჯერ მივიდა მისი სახლის კართან და ზარის დარეკვა სცადა, მაგრამ ორივეჯერ გაეცალა იქაურობას, მესამედ კი მიხვდა, რომ დააგვიანა. კართან გერტ რაფტო იდგა. პოლიციელის წასვლის შემდეგ მათიასი ონის კართან მივიდა, ზარი დარეკა

და ქალს რაფტოს თანაშემწედ გაეცნო. ონიმ სახლში შეიპატიჟა, მაგრამ არ უთხრა, რაზე ესაუბრა გამომძიებელს,იმიტომ, რომ რაფტოს საიდუმლოს შენახვის პირობა მისცა. ონიმ მხოლოდ მაშინ დაიწყო ლაპარაკი, როდესაც მათიასმა სკალპელი დაუსვა ხელზე.

ქალის ნათქვამით მათიასმა დაასკვნა, რომ რაფტოს გადაეწყვიტა, დამოუკიდებლად გამოეძიებინა ეს საქმე. დეტექტივი შელახული რეპუტაციის რეაბილიტაციას აპირებდა. სულელი!

თუმცა ონი ჰეტლანის გვამის მოშორების საქმე თითქმის უნაკლოდ შეასრულა. ცოტა ხმაური, ცოტა სისხლი და საშხაპეში დანაწევრებული გვამი, რომლის დაჭრის პროცესი საკმაოდ სუფთად და სწრაფად წარიმართა. სხეულის ნაწილები ცელოფანის პარკებში ჩააწყო, რომლებიც, თავის მხრივ, დიდ ზურგჩანთასა და საკვოიაჟში ჩადო, რომელიც თან ჰქონდა წამოღებული. რაფტოს სახლში გამართულ შეხვედრებზე მათიასმა შეიტყო, რომ მკვლელობის ადგილზე პოლიცია პირველად შორიახლოს მდგარ მანქანებსა და ტაქსის რეგისტრირებულ მარშრუტებს ამოწმებდა. ამიტომ სახლისკენ მიმავალი გზა ფეხით გაიარა.

იდეალური მკვლელობისთვის გერტ რაფტოს ინსტრუქციის ბოლო ნაწილის შესრულება რჩებოდა მხოლოდ. მათიასს დეტექტივი უნდა მოეკლა. რაც უნდა გასაკვირი იყოს, ეს მკვლელობა საუკეთესო იყო იმ სამ ჰომიციდს[37] შორის, რომელიც იმ პერიოდში ჩაიდინა. უცნაური იყო, იმიტომ, რომ მათიასი არაფერს გრძნობდა რაფტოს მიმართ. არ გრძნობდა იმ ზიზღს, რომელსაც ლაილა ოსენის მიმართ განიცდიდა. ასე რომ, პირველად შეძლო მიახლოებოდა იმ ესთეტიკურ იდეალს, რომელიც წარმოიდგინა. საკუთრივ აქტი შეიგრძნო, რომელიც ზუს-

[37] *ერთი ადამიანის მიერ მეორის შემთხვევით ან განზრახ მკვლელობა*

ტად ისეთი საზარელი და ტრაგიკული გამოდგა, როგორიც წარმოედგინა. ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე ეგონა. მოგვიანებით ხშირად ჩაესმოდა რაფტოს ყვირილი, რომელიც უკაცრიელი კუნძულის ველებზე ექოდ იღვრებოდა. მაგრამ ეს არ იყო ყველაზე დიდი უცნაურობა. სახლისკენ მიმავალ გზაზე უცებ აღმოაჩინა, რომ ფეხები აღარ ჰქონდა გათეთრებული. ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს მისი კიდურების ეტაპობრივი მოყინვა შეყოვნდა. თითქოს დნებოდა.

ოთხი წლის შემდეგ, როდესაც მათიასმა კიდევ ოთხი ქალი მოკლა და მიხვდა, რომ ყველა მკვლელობა დედამისის მოკვლის ამბის ინსცენირებას ჰგავდა, დაასკვნა, გავგიჟდიო.

უფრო სწორად, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სერიოზული ფსიქოლოგიური დარღვევები ჰქონდა. ყველა სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ამ თემას ეხებოდა, ცალსახად მიანიშნებდა იმაზე, რომ მისი ვარაუდი სინამდვილეს შეესაბამებოდა. მკვლელობის რიტუალური ხასიათი, ის, რომ ეს რიტუალები ყოველთვის პირველი თოვლის მოსვლის დღეს სრულდებოდა, ის, რომ თოვლის კაცს აკეთებდა და, რა თქმა უნდა, ის, რომ მისი სადიზმი სულ უფრო იზრდებოდა.

მაგრამ ეს აზრი ქალების ხოცვაში არ უშლიდა ხელს. იმიტომ, რომ არც ისე ბევრი დრო რჩებოდა. სულ უფრო ხშირად ახსენებდა თავს რეინოს ფენომენი. და უკვე სკლეროდერმიის პირველ სიმპტომებსაც გრძნობდა — პერიოდულად სახე უშეშდებოდა. საბოლოოდ, ამ დარღვევის გამო სოლისებური ცხვირი და კობრის მსგავსად დანაოჭებული პირი ექნებოდა. სწორედ ასეთი გარეგნობით გამოირჩეოდნენ ის პაციენტები, რომლებსაც ამ დაავადების გვიანდელი სტადია უვითარდებოდათ.

მათიასი ოსლოში გადავიდა, რათა სადოქტორო დისერტაცია დაესრულებინა იმუნოლოგიასა და ტვინის არხების შესახებ. ამ კვლევის ჩასატარებლად მას გევსტადში მდებარე ანატომიის დეპარტამენტში უნდა გაევლო პრაქტიკა. კვლევის პარალელურად იგი „მარიენლიუსტშიც" მუშაობდა, სადაც იდარ ვეტლესენიც იყო დასაქმებული. ვეტლესენმა მას რეკომენდაცია გაუწია. ღამით მათიასი სასწრაფო დახმარების სამსახურის ღამის ცვლაშიც მუშაობდა, იმიტომ, რომ უძილობა აწუხებდა.

მსხვერპლის პოვნა დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. თავიდან იმ პაციენტებს ჩაჰკირკიტებდა, რომელთა სისხლის ნიმუშებიც მრავალი მახასიათებლის საფუძველზე ადგენდა მამობას. ამის შემდეგ სასამართლო მედიცინის ინსტიტუტის მამობის დამდგენი განყოფილების მიერ ჩატარებული ტესტების შედეგები ჩაუვარდა ხელში. იდარი, რომელსაც მკურნალი ექიმის კვალობაზე ნამდვილად შეზღუდული კომპეტენცია ჰქონდა, უსიტყვოდ იღებდა მის რჩევებს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გენეტიკურ დაავადებებსა და სინდრომებს ეხებოდა. და იმ შემთხვევაში, თუკი პაციენტები ახალგაზრდები იყვნენ, მათიასი ყოველთვის ერთსა და იმავეს ურჩევდა:

— პირველ კონსულტაციაზე ორივე მშობელი დაიბარე და თითოეულ მათგანს ნერწყვისა და ლორწოს ნაცხი აუღე. უთხარი, რომ ეს უბრალოდ ბაქტერიული მიკროფლორის შესამოწმებლადაა საჭირო და ნიმუშები მამობის დამდგენ განყოფილებაში გაგზავნე, რათა ვიცოდეთ, რამდენად ზუსტი საწყისი წერტილიდან ვიწყებთ მუშაობას.

და იდარი, ის იდიოტი, ზუსტად ისე აკეთებდა ყველაფერს, როგორც მეგობარი და კოლეგა ურჩევდა. მათიასს მალე პატარა კრებული გაუჩნდა, რომელშიც შეყვანილი ჰყავდა ყველა

ქალი, რომელთა შვილებიც, ასე ვთქვათ, სხვისი დროშით დაცურავდნენ. ყველაზე კარგი კი ის იყო, რომ ამ ქალებს მასთან კავშირი საერთოდ არ ჰქონდათ, იმიტომ, რომ თითოეული მათგანის ნაცხის ნიმუშებს იდარის სახელი ეწერა.

მათი მახეში გაბმის მეთოდი არაფრით განსხვავდებოდა იმ ალგორითმისგან, რომლითაც მან ლაილა ოსენი მოკლა. სატელეფონო ზარი და შეთანხმება ყველასთვის უცნობ ადგილზე შეხვედრის შესახებ. მხოლოდ ერთხელ მოეცარა ხელი, როდესაც მისი პოტენციური მსხვერპლი მასთან ტელეფონით საუბრის შემდეგ პირდაპირ თავის ქმართან მივიდა და ყველაფერი უთხრა. თუმცა ამის შემდეგ ის ოჯახი დაინგრა და, ამდენად, ის ქალიც დაისაჯა.

მათიასი დიდხანს ფიქრობდა, თუ როგორ უნდა დაემალა გვამები. ონი ჰეტლანის შემთხვევაში გამოყენებული მეთოდი არ ვარგოდა. მაშინ მან ნაწილ-ნაწილ დაადნო სხეული მარილმჟავაში, რომელიც თავის აბაზანაში ჰქონდა ჩასხმული.

ეს იყო რთული, ჯანმრთელობისთვის სახიფათო და სარისკო პროცესი, რომელიც სამი კვირა გრძელდებოდა, და მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც გამოსავალი იპოვა — ანატომიის ინსტიტუტის პროზექტურის რეზერვუარები. მარტივი და გენიალური გამოსავალი იყო. ისევე, როგორც ელექტრომარყუჟი.

პირველად ამ იარაღის შესახებ პროფესიულ სამედიცინო ჟურნალში წაიკითხა. ვიღაც ფრანგი წერდა, რომ ამ ვეტერინარულ იარაღს ისეთი ცხედრების დამუშავებისას იყენებდა, რომლებიც უკვე ხრწნას იწყებდა. იმიტომ, რომ ასეთი მარყუჟი ერთნაირად ეფექტიანი იყო როგორც რბილი, ლპობადი ქსოვილების, ისე ძვლების დამუშავებისთვის. გარდა ამისა, ამ ინსტრუმენტის ღირსება ისიც იყო, რომ მისი გამოყენება მრავა-

ლჯერ შეიძლებოდა და თანაც დაავადების გავრცელების რისკის გარეშე. მათიასი მაშინვე მიხვდა, რომ თუკი ელექტრომარყუჟს მსხვერპლის გვამის დანაწევრებისთვის გამოიყენებდა, ცხედრების ტრანსპორტირების პრობლემა თავისით მოგვარდებოდა. იგი მწარმოებლებს დაუკავშირდა და მცირე ხნის შემდეგ რუანში ჩაფრინდა, სადაც ერთ ნისლიან დილით ერთ შეთეთრებულ ფარდულში აჩვენეს ინსტრუმენტი და ჩიქორთული ინგლისურით აუხსნეს მისი მოხმარების წესები. მარყუჟს მარტივი სახელური ჰქონდა, რომელიც ბანანს ჰგავდა. გასახურებელი მავთულის ორივე ბოლო ამ სახელურში იყო ჩამაგრებული და, ამასთან, მარყუჟის სიგრძის შეცვლაც შეიძლებოდა. სპეციალური ღილაკით ირთვებოდა ელემენტი, რომლის საშუალებითაც რამდენიმე წამში მავთული გათეთრებამდე ხურდებოდა. მათიასი აღფრთოვანებული იყო. ამ ინსტრუმენტს მხოლოდ გვამების დასანაწევრებლად არ გამოიყენებდა. მათიასს გულიანად გაეცინა, როდესაც უთხრეს, რა ღირდა იარაღი. მარყუჟი თვითმფრინავის ბილეთებზე იაფი დაუჯდა. ამასთან, შენაძენს ელემენტებიც მოჰყვა კომპლექტში. ხოლო, როდესაც გამოქვეყნდა შვედი სოციოლოგების კვლევა, რომელმაც აჩვენა, რომ ბავშვების 15-20 პროცენტი არაოფიციალური კავშირის შედეგად იყო დაბადებული, ის მამაკაცები, რომლებსაც ისინი მამებად თვლიდნენ, სინამდვილეში მათი მამები არ იყვნენ, მიხვდა, რომ მარტო არ იყო. რომ მხოლოდ ის არ მოკვდებოდა სასტიკი ადრეული სიკვდილით, რომლის მიზეზიც დედა იყო. დედა, რომელიც დამპალი გენების მქონე კაცთან დაბოზაობდა. მაგრამ წმენდისა და დაავადებასთან ბრძოლის საქმეში ის მარტო უნდა ყოფილიყო. ამ ჯვაროსნულ ლაშქრობაში ვერავინ დაეხმარებოდა. არ იყო დარწმუნებული, რომ ყველა მადლობას ეტყოდა ან პატივს მი-

აგებდა. მაგრამ ის კი დანამდვილებით იცოდა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ყველას ემახსოვრებოდა მისი სახელი. იმიტომ, რომ ერთ მშვენიერ დღეს იპოვა ის, რაც მისი საუკეთესო ქმნილება, ხმლის უკანასკნელი მოქნევა და სამარადჟამო დიდების საფუძველი უნდა გამხდარიყო.

ყველაფერი კი სრულიად შემთხვევით დაიწყო.

ტელევიზორში პოლიციელი ჰარი ჰოლე ნახა, რომელიც ინტერვიუს იძლეოდა იმის შესახებ, თუ როგორ დაიჭირა ვიღაც ავსტრალიელი სერიული მკვლელი.

მათიასმა მაშინვე გერტ რაფტოს სიტყვები გაიხსენა — „ჩემს იურისდიქციას უნდა განერიდოს". ის სასიამოვნო შეგრძნებაც გაახსენდა, რომელიც მდევრის მოკვლისას დაეუფლა. მაშინ ყოვლისშემძლე მბრძანებლად იგრძნო თავი. გერტ რაფტოს მოკვლის შემდეგ მსგავსი შეგრძნება აღარ განუცდია, ეს ჰოლე კი თავისი დიდებითა და სახელით რაფტოს წააგავდა. მასავით დაუდევრად ეცვა და მისნაირი მსოფლმხედველობა ჰქონდა.

ამის მიუხედავად, იგი დაივიწყებდა ჰარი ჰოლეს, რომ არა „მარიენლიუსტის" ერთი გინეკოლოგი, რომელმაც ერთხელ თქვა, ის ცნობილი პოლიციელი, რომელიც იმ დღეს ტელევიზორში გამოჩნდა, ალკოჰოლიკი და ფსიქოპათიაო, მისი გერლფრენდის ვაჟი კი გაბრიელას პაციენტი ყოფილა. ბიჭს ოლეგი ჰქვია და კარგი ბავშვიაო, თქვა გინეკოლოგმა. — მაგრამ გაიზრდება და ისიც ალკოჰოლიკი გახდება, — თქვა გინეკოლოგმა, — ლოთობა გენეტიკური დაავადებაა.

— ჰოლე მამამისი არ არის, — თქვა გაბრიელამ. — საინტერესო ისაა, რომ ოლეგის მამად რეგისტრირებულია ვიღაც მოსკოველი პროფესორი, თუ რაღაც მსგავსი წოდების მქონე კაცი, რომელიც ასევე ლოთია.

— ჰეი, ჰეი, ეს სად გაგონილა?! — სიცილით დაიყვირა იდარ ვეტლესენმა, — პაციენტების პირადი მონაცემების კონფიდენციალურობის პრინციპს ნუ ივიწყებთ, ხალხო!

ლანჩი გრძელდებოდა, მაგრამ მათიასს გაბრიელას ნათქვამი არ ავიწყდებოდა.

„ოლეგის მამად რეგისტრირებულია".

ამიტომ ლანჩის შემდეგ მათიასმა პედიატრი მის კაბინეტამდე მიაცილა და ოთახის კარი შიგნიდან ჩაკეტა.

— შეიძლება, რაღაც გკითხო, გაბრიელა?

— რა თქმა უნდა! — უთხრა პედიატრმა და სახეზე სასიამოვნო მოლოდინის ალმური მოეკიდა. იცოდა, რომ ამ ქალს მოსწონდა. გაბრიელას აზრით, მათიასი სიმპათიური, მეგობრული, სასაცილო და კარგი მოსაუბრე იყო. რამდენჯერმე არაპირდაპირაც მიანიშნა, რომ წინააღმდეგი არ იყო, მასთან რომანტიკული ურთიერთობა დაეწყო, მაგრამ მათიასი იყო უარს.

— ალბათ, იცი, რომ კვლევებისთვის ჩვენი კლინიკის პაციენტების სისხლის ნიმუშების გამოყენების უფლება მაქვს, — თქვა მათიასმა, — და შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ იმ ბიჭის ნიმუშში რაღაც საინტერესოს გადავაწყდი. თქვენ ვისზეც ამბობდით, იმას ვგულისხმობ, ჰოლეს გერლფრენდის შვილს.

— როგორც ვხვდები, მათი ურთიერთობა უკვე დასრულდა.

— რას ამბობ! სისხლის ნიმუშში რაღაც შევნიშნე და მაინტერესებდა, რაიმე გენეტიკური ხომ არ...

მათიასს მოეჩვენა, რომ ქალს სახეზე იმედგაცრუება დაეტყო. თავად მათიასი კი მშვენიერ გუნებაზე ჩანდა, იმიტომ, რომ იმან, რაც გაბრიელამ უთხრა, აღაფრთოვანა და გაახარა.

— გმადლობ, — უთხრა ქალს და სკამიდან წამოფრინდა. გრძნობდა, როგორ მუშაობდა მისი გული და როგორ აწვდიდა მაცოცხლებელ სისხლს სხვადასხვა ორგანოს. აღტაცებისგან

დაფრინავდა. სიამოვნებისგან ისეთი ცეცხლი მოსდებოდა, როგორც საჭრელ ელექტრომარყუჟს. იცოდა, რომ ეს დასაწყისი იყო. დასასრულის დასაწყისი.

აგვისტოს ერთ მწველ დღეს ჰოლმენკოლენის სამეზობლო ზაფხულის წვეულებას ატარებდა. ასოციაციის პავილიონის წინ, გაზონზე, მოზრდილები შეკრებილიყვნენ, ქოლგების ქვეშ კემპინგისთვის განკუთვნილ სკამებზე ისხდნენ და თეთრ ღვინოს წრუპავდნენ. ბავშვების ნაწილი მათ შორის დარბოდა, დანარჩენები კი სილაში თამაშობდნენ ფეხბურთს. მიუხედავად იმისა, რომ ქალს უზარმაზარი სათვალე ეკეთა, რომელიც სახეს უფარავდა, მათიასმა მაშინვე იცნო იმ ფოტოს წყალობით, რომელიც ქალის დამქირავებლის ვებგვერდიდან გადმოიწერა. ქალი მარტო იდგა. მათიასი მიუახლოვდა და მრუდე ღიმილით იკითხა, რა მოხდება, თქვენ გვერდით რომ დავდგე, ისე, თითქოს ნაცნობები ვართო. უკვე იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო ასეთ შემთხვევებში, იმიტომ, რომ „უდვრილო მათიასი" აღარ იყო.

ქალმა სათვალე ჩამოიწია და კაცი ყურადღებით შეათვალიერა. მათიასი მიხვდა, რომ რაკელის ფოტო რეალობას არ შეესაბამებოდა. მოსალოდნელზე გაცილებით ლამაზი ქალი აღმოჩნდა, იმდენად ლამაზი, რომ კაცმა იფიქრა, ჩემი გეგმა A არ გამოდგებაო. არ იყო გამორიცხული, ქალი სულ არ დაინტერესებულიყო მათიასით, იმიტომ, რომ რაკელისთანა ქალებს ყოველთვის ბევრი ვარიანტი აქვთ ხოლმე ასარჩევად და, ამასთან, მარტოხელა დედის სტატუსი მათთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს. მათიასს, რა თქმა უნდა, ჰქონდა გეგმა B, რომელიც იმავე შედეგს მოიტანდა, რასაც A, მაგრამ იმ მეორე გეგმის გამოყენება ექიმს ასეთ კმაყოფილებას ვერ მო-

ჰგვრიდა.

— მომიტევეთ, ზედმეტად მორცხვი ვარ, — თქვა მან და მეგობრულად და, იმავდროულად, უხერხულად ასწია პლასტმასის ჭიქა, — მეგობარმა დამპატიჟა, რომელიც ამ რაიონში ცხოვრობს, თავად კი ჯერ არ მოსულა. სხვები კი, როგორც ვხვდები, მშვენივრად იცნობენ ერთმანეთს. გპირდებით — როგორც კი ჩემი მეგობარი გამოჩნდება, მაშინვე დაგანებებთ თავს.

ქალმა გაიცინა. კაცს მისი სიცილი მოეწონა. იცოდა, რომ კრიტიკული პირველი სამი წამი მისი გამარჯვებით დასრულდა.

— ქვევით ვიღაც ბიჭმა ბრწყინვალე გოლი გაიტანა, — თქვა მათიასმა, — ძალიან გგავთ. დარწმუნებული ვარ, თქვენი ნათესავია.

— მართლა? ოლეგი იქნებოდა, ჩემი ვაჟი.

ქალმა სიხარულის დამალვა შეძლო, მაგრამ მათიასი, რომელსაც თავისი საექიმო პრაქტიკის მანძილზე მრავალ პაციენტთან მოუწია ურთიერთობამ, დარწმუნებული იყო, რომ ნებისმიერი ქალის გულის მოგება შეიძლება მისი შვილის შექებით.

—კარგი წვეულებაა, — თქვა მან, — მეზობლებიც მომწონს.

— სხვა ადამიანების მეზობლების წვეულებები მოგწონთ?

— ჩემი მეგობრები ღელავენ ჩემ გამო. ფიქრობენ, რომ ძალიან ბევრ დროს ვატარებ მარტო, — თქვა მათიასმა, — ამიტომ ცდილობენ, გამამხნევონ. თუნდაც საკუთარი წარმატებული მეზობლებით, — თქვა მან და პლასტმასის ჭიქიდან მოსვა, — და ოჯახში დაყენებული ძალიან ტკბილი ღვინით. რა გქვიათ?

— რაკელი. ფაუკე.

— გამარჯობა, რაკელ. მე მათიასი ვარ.

ხელი ჩამოართვა. პატარა, თბილი ხელი.

— არაფერს სვამთ, — თქვა მან, — ნება მომეცით, მოგემსახუროთ. შინ დაწურულ ტკბილ ღვინოს ხომ მიირთმევთ?

დაბრუნდა, ქალს ჭიქა გადააწოდა, თავისი პეიჯერი ამოიღო და სერიოზული სახით დახედა.

— ძალიან მინდა დავრჩე და უკეთესად გაგიცნოთ, რაკელ, მაგრამ სასწრაფო დახმარების სამსახური კადრების სიმცირეს უჩივის და სასწრაფოდ სჭირდება დამატებითი ძალები. ასე რომ, სუპერმენის ფორმას ჩავიცვამ და ქალაქის გადასარჩენად გავეშურები.

— სამწუხაროა, — თქვა ქალმა.

— ასე გგონიათ? მხოლოდ რამდენიმე საათით დაგტოვებთ. დიდხანს აპირებთ აქ დარჩენას?

— არ ვიცი. ოლეგზეა დამოკიდებული.

— კეთილი. მაშ, მომავალ შეხვედრამდე. ყველა შემთხვევაში, მინდა, იცოდეთ, რომ მიხარია თქვენი გაცნობა.

კიდევ ერთხელ ჩამოართვა ხელი და წავიდა. იცოდა, რომ პირველი რაუნდი მოიგო.

მათიასი ტორსჰოვში, თავის ბინაში დაბრუნდა და საინტერესო სტატია წაიკითხა თვინის არხების შესახებ. რვა საათზე ისევ წვეულებაზე მივიდა. რაკელი ერთ- ერთი ქოლგის ქვეშ იჯდა და დიდი თეთრი ქუდი ეხურა. მათიასი გვერდით მიუჯდა. ქალმა გაუღიმა.

— ვინმე გადაარჩინეთ? — იკითხა მან.

— ძირითადად, ნაფხაჭნებისა და ნაკაწრების მკურნალობა მიწევს ხოლმე, — თქვა მათიასმა. — ბრმა ნაწლავის შეტევის რამდენიმე შემთხვევაც უნდა აღინიშნოს. ყველაზე დასამახსოვრებელი კი პატარა ბიჭი იყო, რომელმაც ლიმონათის ბოთლი შეიტენა ცხვირში. დედამისს ვუთხარი, თქვენი ვაჟი

ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდაა იმისთვის, რომ „კოკა” იყნოსოს-მეთქი. სამწუხაროდ, ასეთ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს იუმორის გრძნობა ღალატობთ ხოლმე.

ქალმა გაიცინა. იმდენად სასიამოვნო, ლაღი სიცილი ჰქონდა, რომ მათიასმა ერთი პირობა გაიფიქრა, ნეტავ შემეძლოს ამ ქალთან გულწრფელი ურთიერთობა მქონდესო.

მათიასი დიდხანს ამჩნევდა, როგორ უმკვრივდებოდა კანი, მაგრამ 2014 წლის შემოდგომაზე ისეთი სიმპტომები შენიშნა, რომლებიც დაავადების ახალი სტადიის დაწყებას მოასწავებდა. მალე სახე გაუშეშდებოდა და უმოძრაო გაუხდებოდა. მათიასს ასეთი ცხოვრება არ უნდოდა. მისი გეგმის მიხედვით, წლის მსხვერპლად ელი კვალე უნდა ქცეულიყო, შემდეგ წლებში კი იმ ორ ბოზს — ბირტე ბეკერსა და სილვია ოტერსენს გაუსწორდებოდა. შესაძლოა, პოლიციელები ამ ბოლო ორი მსხვერპლის გამაერთიანებელ მექალთანეზე, არვე სტიოპზეც გასულიყვნენ, რაც ამ თამაშს დამატებით ფერებს შემატებდა. მაგრამ გეგმები ჩაეფუშა. ოდესღაც საკუთარ თავს პირობა მისცა, რომ იმ დღეს, როდესაც ტკივილს იგრძნობდა, გააქტიურდებოდა და უკანასკნელად მოიქნევდა კუდს. ტკივილი იგრძნო და ამიტომ გადაწყვიტა, სამივე მოეკლა, „სუპერფინალში” კი მის მიზანს რაკელი და ჰარი ჰოლე წარმოადგენდნენ.

აქამდე ფარულად მუშაობდა, ახლა კი მისი ცხოვრების მთავარი ნაშრომი უნდა გამოეფინა. და ამისთვის მათიასს აშკარა სამხილები უნდა დაეტოვებინა და მაძებრებისთვის ამ მკვლელობებს შორის არსებული კავშირები უნდა დაენახვებინა. უფრო დიდი სურათი უნდა მიეცა მათთვის.

პირველ მსხვერპლად ბირტე შეარჩია. გადაწყვიტეს, ერთმანეთს ბირტესთან შეხვედროდნენ — საღამოს, როდესაც მი-

სი ქმარი ბერგენში გაემგზავრებოდა და იუნასის ჯანმრთელობაზე ესაუბრათ. მათიასი ზუსტად დათქმულ დროს მივიდა. ქალმა მისი პალტო აიღო და შებრუნდა, რათა კარადაში დაეკიდა. ასეთ შემთხვევებში ექიმი იშვიათად მიმართავდა იმპროვიზაციას, მაგრამ იმ მომენტში ვარდისფერი შარფი დაინახა, რომელიც ხის ლურსმანზე ეკიდა. აიღო შარფი, ორად გადაკეცა, ქალს უკნიდან მიეპარა და კისერზე შემოუჭირა. ბირტე ტანმორჩილი ქალი იყო, ამიტომ მათიასმა ადვილად აიყვანა ხელში და სარკის წინ დააყენა, რათა მსხვერპლის თვალებს დაჰკვირვებოდა. გადმოკარკლული თვალებით ბირტე იმ თევზს ჰგავდა, რომელმაც სულ ახლახან ამოყვინთა ღრმა წყლიდან.

გვამი მანქანაში ჩადო და ბაღში შევიდა, სადაც წინაღამეს თოვლის კაცი დადგა. მათიასმა თოვლის კაცს მკერდში ჩაუდო მობილური ტელეფონი, რის შემდეგაც თავის ქმნილებას ტანზე გაჩენილი ღრმული თოვლით ამოუვსო და კისერზე შარფი მოახვია. ნაშუაღამევს ანატომიის დეპარტამენტის ავტოსადგომზე მივიდა, ბირტეს ბალზამირების ფიქსატორის ინიექცია გაუკეთა, ლითონის ჟეტონები გამოუჭედა, შეაბა და გვამი ერთ-ერთი რეზერვუარის თავისუფალ კიდეზე მოათავსა.

შემდეგ სილვიას ჯერი დადგა. დაურეკა, უკვე ტრადიციად ქცეული დიალოგი გაუმართა და შეხვედრა დაუნიშნა. ერთმანეთს ტყეში, ჰოლმენკოლენის ტრამპლინის უკან უნდა შეხვედროდნენ — ამ ადგილზე, რომელიც მას მანამდეც გამოუყენებია. მაგრამ ამჯერად იქ ხალხი იყო, მათიასი კი რისკს ვერ გაწევდა. სილვიას უთხრა, რომ იდარ ვეტლესენი კონკრეტულად ფარის სინდრომის მკურნალი ექიმი არ იყო და ამიტომ კიდევ ერთხელ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. გეგმით, სილვიას ეგონა, რომ ექიმს მომდევნო საღამოს უნდა დაერეკა

— როდესაც ქალი მარტო იქნებოდა შინ. მეორე საღამოს მათიასი ოტერსენების სახლში მივიდა, ქალი ფარდულში იპოვა და მიზანში ამოიღო. მაგრამ მოულოდნელად კინაღამ ყველაფერი უკუღმა დატრიალდა.

გადარეულმა ქალმა ნაჯახი მოუქნია, ფერდში მოარტყა, პიჯაკი და პერანგი გაუხია და არტერია გაუკაწრა, რის გამოც ფარდულის იატაკი მისი სისხლით შეიღება. „სისხლის ჯგუფი: მეორე უარყოფითი. ორი შემთხვევა ასიდან".

სწორედ ამიტომ დაბრუნდა ფარდულში მას შემდეგ, რაც სილვია ოტერსენის მოკვლის შემდეგ მის გვამს თავი მოჰკვეთა და თოვლის კაცის ტანზე დაამაგრა. მათიასმა კიდევ ერთი ქათამი დაკლა და ფრინველის სისხლი საკუთარ სისხლს გადაასხა ზემოდან.

მძიმე ოცდაოთხი საათი გადაიტანა, მაგრამ უცნაური ის იყო, რომ იმ ღამით ტკივილი არ უგრძნია, მეორე დღეს კი მკვლელობის შესახებ დაწერილი სტატია წაიკითხა და საზეიმო განწყობა დაეუფლა. „თოვლის კაცი". უყურე შენ! როგორი სახელი დაურქმევიათ! ეს სახელი დიდხანს ემახსოვრებათ". აქამდე ვერც კი წარმოედგინა, რომ ქაღალდზე დაბეჭდილ რამდენიმე ასო-ნიშანს ძალაუფლებისა და გავლენის მინიჭების უნარი შესწევდა. თითქმის ნანობდა იმას, რომ აქამდე მალულად მოქმედებდა. არადა, ეს ისეთი მარტივი იყო! ძალიან ბევრს ფიქრობდა, თუ რამდენად მართალი იყო გერტ რაფტო, როდესაც ამბობდა, კარგი დეტექტივი ყოველთვის იპოვის მკვლელსო. მათიასი ეთანხმებოდა მის ნათქვამს, მაგრამ ექიმი ჰარი ჰოლეს შეხვდა. გატანჯული პოლიციელის სახეზე მხოლოდ ფრუსტრაცია შენიშნა. ჰოლეს ისეთი ადამიანის სახე ჰქონდა, რომელიც ვერაფერს ხვდება.

მაგრამ, სანამ მათიასი ბოლო სვლებისთვის ემზადებოდა, მოულოდნელი სიახლე დაატყდა თავს იდარ ვეტლესენის სახით, რომელმაც დაურეკა და უთხრა, რომ ჰოლემ მის კვალს მიაგნო, არვე სტიოპის შესახებ კითხვები დაუსვა და მიანიშნა, რომ დანაშაულის თანამონაწილედ მიაჩნდა. როგორც ვეტლესენმა უთხრა, თავადაც ეფიქრა იმაზე, რომ ორივე მსხვერპლი მისი კლიენტი იყო. არადა, თავად იდარისა და არვეს გარდა, მათიასი ერთადერთი იყო, რომელმაც ამ ბავშვების მამების ვინაობა იცოდა, იმიტომ, რომ სწორედ ის ეხმარებოდა იდარს დიაგნოზების დასმაში.

რა თქმა უნდა, იდარი ძალიან აღელვებული იყო, მაგრამ, საბედნიეროდ, მათიასმა მისი დამშვიდება შეძლო. უთხრა, კრინტი არ დაძრა და სადმე უსაფრთხო ადგილზე შემხვდიო — იქ, სადაც ვერავინ შენიშნავდა.

ამ ფრაზის წარმოთქმისას მათიასმა კინაღამ გადაიხარხარა. მისი ნათქვამი აბსოლუტურად იდენტური იყო იმისა, რასაც იმ ქალებს ეუბნებოდა, რომლებსაც მოკვლას უპირებდა.

იდარმა ასეთ ადგილად კერლინგის კლუბი მიიჩნია. მათიასმა საუბარი დაასრულა და ფიქრებში ჩაიძირა. და უცებ მიხვდა, რომ შეეძლო იდარი „თოვლის კაცად" გამოეყვანა საზოგადოების თვალში და ამით დრო მოეგო.

მომდევნო ერთი საათი იდარის თვითმკვლელობის ინსცენირების დეტალების შემუშავებას დაუთმო. და მიუხედავად იმისა, რომ მისი მეგობარი მრავალი მიზეზის გამოც იმსახურებდა პატივისცემას, ეს პროცესი განსაკუთრებულად, უცნაურად მასტიმულირებელი და მართლაც შთამაგონებელი აღმოჩნდა. იმიტომ, რომ დიდი პროექტის შემუშავებას შეუდგა. უკანასკნელი თოვლის კაცი წარმოიდგინა. ქალი თოვლის კაცის მხრებზე უნდა მჯდარიყო, როგორც თავად ის იჯდა დიდი

ხნის წინ — პირველი თოვლის დღეს. ბარძაყები უნდა მოჰყინოდა და მზერა ფანჯრისკენ უნდა ჰქონოდა მიმართული. ქალს ღალატი უნდა დაენახა — კაცი, რომელიც მას სიკვდილს მოუტანდა: ჰარი ჰოლე. თვალები დახუჭა და წარმოიდგინა მისი მსხვერპლის თავზე წამოცმული მარყუჟი, რომელიც ისე ბრწყინავდა და ანათებდა, როგორც ყალბი შარავანდედი.

თავი XXXIV

ოცდამეერთე დღე.
სირენები

ჰარიმ ანატომიის ინსტიტუტის ავტოსადგომამდე მიაღწია, მანქანაში ჩაჯდა, თვალები დახუჭა და შეეცადა, გონება მოეკრიბა. პირველ რიგში ის უნდა გაერკვია, სად იმყოფებოდა მათიასი.

უკვე მოესწრო მათიასის ნომრის წაშლა, ამიტომ ცნობათა ბიუროში დარეკა და სასურველი ნომერი და მისამართი მოითხოვა. ტელეფონზე 1881 აკრიფა და იგრძნო, რომ მღელვარებისგან სუნთქვა გაუხშირდა. შეეცადა, დამშვიდებულიყო.

— გამარჯობა, ჰარი, — მათიასი ხმადაბლა ლაპარაკობდა, მაგრამ სასიამოვნოდ გაოცებული ადამიანის ხმა ჰქონდა.

— ბოდიში, თავს რომ გაბეზრებ, — უთხრა ჰარიმ.

— არა უშავს...

— სად ხარ?

— სახლში. ახლა ვაპირებ რაკელსა და ოლეგთან ჩასვლას.

— მშვენიერია. გთხოვ, ოლეგს გადაეცი, რაც მივუტანე.

მცირე ხნით სიჩუმემ დაისადგურა. ჰარიმ ყბები ერთმანეთს ისე მიაბჯინა, რომ კინაღამ კბილები მოსტყდა.

— რა თქმა უნდა, — თქვა მათიასმა, — მაგრამ ოლეგი ახლა შინ არის, ასე რომ, შეგიძლია თავად...

— რაკელი, — შეაწყვეტინა ჰარიმ, — ჩვენ... არ მინდა, დღეს შევხვდე. შეიძლება, წუთით შენთან შემოვიარო?

მორიგი პაუზა. ჰარიმ, ფაქტობრივად, ყურში ჩაიტენა ტელ-

ეფონი. თითქოს იმის გაგება სურდა, რაზე ფიქრობდა მისი თანამოსაუბრე, მაგრამ მხოლოდ სუნთქვა და მშვიდი მუსიკა ესმოდა — იაპონური მინიმალისტური „გლოკენშპოლის" მსგავსი რამ. წარმოიდგინა, რომ მათიასი ასეთივე მინიმალისტური სტილის ბინაში იმყოფებოდა. სავარაუდოდ, პატარა, მაგრამ გულდასმით დაწკრიალებულ ბინაში ცხოვრობდა. ახლა სადა, ცისფერი პერანგი ეცვა, ჭრილობაზე კი ახალი დოლბანდი ჰქონდა შემოხვეული. მაშინ, რაკელის სახლის კარის ზღურბლზე მდგარი მათიასი ძუძუსთავების უქონლობაზე ნამდვილად არ ფიქრობდა. მკერდზე იმიტომ იდებდა ხელს, რომ ნაჯახით მიღებული ჭრილობა დაემალა.

— რა თქმა უნდა, — თქვა მათიასმა.

ჰარი ვერ ხვდებოდა, რამდენად ბუნებრივად ჟღერდა მისი ხმა. მუსიკის ხმა აღარ ისმოდა.

— გმადლობ, — თქვა ჰარიმ, — მალე მოვალ, მაგრამ პირობა მომეცი, რომ დამელოდები.

— გპირდები, — თქვა მათიასმა, — მაგრამ, ჰარი...

— ბატონო, — ჰარიმ ღრმად ჩაისუნთქა.

— ჩემი მისამართი იცი?

— რაკელმა მითხრა.

ჰარიმ გულში შეიგინა. რატომ არ უთხრა, რომ მისი მისამართი ცნობათა ბიუროში მისცეს? საეჭვო არაფერი იყო ამაში.

— მართლა? — იკითხა მათიასმა.

— ჰო.

— კარგი, — თქვა მათიასმა, — ზარის დარეკვა საჭირო არ არის. პირდაპირ შემოდი. კარი ღიაა.

ჰარიმ დაასრულა საუბარი და ტელეფონს დააცქერდა. ვერ ხვდებოდა, რატომ, მაგრამ აშკარად გრძნობდა, რომ ძალიან ცოტა დრო რჩებოდა — სასწრაფოდ უნდა ემოქმედა და ყველა-

ფერი მანამდე უნდა მოესწრო, ვიდრე დაბნელდებოდა. ეტყობა, საკუთარი წარმოსახვისვე ტყვედ იქცა. ასეთი შიში მაშინ გეუფლება კაცს, როდესაც სიბნელეში ბებიაშენის ფერმას ვეღარ პოულობ. კიდევ ერთი ნომერი აკრიფა.

— დიახ, — უპასუხა ჰაგენმა უღიმღამო, უსიცოცხლო ხმით.

„ასეთი ხმა იმ ადამიანებს აქვთ, რომლებიც გადადგომის განცხადებას წერენ", — გაიფიქრა ჰარიმ.

— შეეშვით ოფისის საქმეებს, — თქვა ჰარიმ, — მთავარი სამმართველოს უფროსს დაურეკეთ. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების სანქცია მჭირდება. მკვლელობებში ეჭვმიტანილი ამჟამად ტორსჰოვშია, ოსენგატას 12-ში...

— ჰარი...

— მისმინეთ — სილვია ოტერსენის გვამი ანატომიის ინსტიტუტშია. „თოვლის კაცი" კატრინა არ არის, გესმით?

ერთხანს სიჩუმემ დაისადგურა.

— არა, — გულწრფელად უპასუხა ბოლოს ჰაგენმა.

—„თოვლის კაცი" ამ ინსტიტუტის თანამშრომელი მათიას ლუნ-ჰელგესენია.

— ლუნ-ჰელგესენი? ჯანდაბა! ეს ხომ ის კაცია...

— დიახ, ის ექიმი, რომელიც ძალიან დაგვეხმარა, რომ ყურადღება იდარ ვეტლესენისთვის მიგვეპყრო.

ჰაგენი უცებ გამოცოცხლდა.

— მთავარი სამმართველოს უფროსი აუცილებლად მკითხავს, შეიარაღებული იქნება თუ არა ეგ კაცი იმ მომენტში, როდესაც მის დაპატიმრებას შევეცდებით.

— როგორც ვიცით, ადამიანების დასახოცად ცეცხლსასროლ იარაღს არ იყენებდა, — თქვა ჰარიმ.

ჰაგენს რამდენიმე წამი დასჭირდა, მიმხვდარიყო, რომ ჰარის ნათქვამი სარკაზმით იყო გაჯერებული.

— ახლავე დავურეკავ, — თქვა მან ბოლოს.

ჰარიმ საუბრის დასრულების ღილაკს დააჭირა, გასაღები მანქანის ჩამრთველში გადაატრიალა და თან მაგნუს სკარეს ნომერი აკრიფა.

მანქანა ზუსტად მაშინ დაიქოქა, როდესაც მაგნუსმა უპასუხა.

— ისევ ტრიუვანში ხარ? — იკითხა ჰარიმ.

— კი. რა ხდება? — თქვა სკარემ.

— მოჰკიდე ყველას ხელი, სასწრაფოდ ჩაჯექი მანქანაში და ოსენგატასა და ფუკტსის გზაჯვარედინზე მოდი. იმ ნაბიჭვრის ასაყვანად მივდივართ.

— აჰ! ყინული დაიძრა, არა?

— ჰო, — თქვა ჰარიმ და იმდენად ძლიერად დააჭირა ფეხი აქსელერატორს, რომ საბურავებს თითქოს კივილი აღმოხდათ.

ჰარის იუნასი გაახსენდა. თვითონაც არ იცოდა, რატომ, მაგრამ იმ მომენტში სწორედ იუნასი გაახსენდა.

ჰარის მიერ საგანგებო შტაბის საშუალებით გამოძახებული ექვსი საპატრულო მანქანისგან ერთი უკვე იდგა ოსენგატასთან, როდესაც ჰარიმ სტოროდან ვოგტს- გატეზე ჩაუხვია. მანქანა ტროტუარზე გააჩერა, გადმოხტა და საპატრულო მანქანისკენ გაემართა. მათ ფანჯარა ჩამოსწიეს. ჰარიმ რაცია მოითხოვა. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მიმღები მიაწოდეს.

— ციმციმა გამორთეთ, — თქვა ჰარიმ და მბრუნავ ლურჯ სინათლეზე მიუთითა, შემდეგ კი რაციის სალაპარაკო ღილაკს დააჭირა თითი და მისკენ მომავალი საპატრულო მანქანების ეკიპაჟებს უბრძანა, სირენები დანიშნულების ადგილზე მოსვ-

ლამდე გაცილებით ადრე გამოერთოთ.

ოთხი წუთის შემდეგ ექვსივე მანქანა გზაჯვარედინზე იდგა. პოლიციელები, რომელთა შორისაც სკარე და კრიმინალური განყოფილების ოფიცერი ულა ლიც იყვნენ, ჰარის მანქანის გარშემო შეჯგუფდნენ. მანქანაში თავად ჰოლე იჯდა,

მუხლებზე ქალაქის რუკა ედო და კოლეგებს გეგმის დეტალებს უხსნიდა.

— ლი, შენს განკარგულებაში სამი მანქანა იქნება. გაქცევის ყველა შესაძლო გზა გადაკეტე. აქ, აქ და აქ.

ლი რუკის თავზე გადმოიხარა და თავი დააქნია. ჰარი სკარეს მიუბრუნდა.

— სად არის დარაჯი?

სკარემ ტელეფონი ასწია.

— ახლახან ველაპარაკე. გზაშია და თან მთავარი კარის გასაღები მოაქვს.

— კარგი. ექვსი კაცი წაიყვანე და შესასვლელსა და სახანძრო კიბესთან განლაგდით. თუ მოახერხებთ, სახურავიც დაიკავეთ. დაზღვევა მჭირდება, გასაგებია? „დელტას" მანქანა მოვიდა?

— აქ არის, — მანქანაში მყოფმა ორმა ოფიცერმა, რომლებიც ძალიან ჰგავდნენ იმ თანამშრომლებს, რომლებიც გარეთ იდგნენ, ჰარის მიანიშნა, რომ „დელტას" თანამშრომლები ამ ორგანიზაციისთვის სტანდარტული მანქანებით

გამოცხადდნენ. „დელტა", სპეცდანიშნულების რაზმი, ასეთი ტიპის ოპერაციებისთვის იწვრთნებოდა.

— მინდა, ახლავე სადარბაზოს შესასვლელის წინ დადგეთ. შეიარაღებულები ხართ?

ოფიცრებმა თავები დააქნიეს. ზოგიერთი მათგანი MP5-ის მოდელის ავტომატით იყო შეიარაღებული. ავტომატები მანქა-

ნის საბარგულიდან აიღეს. სპეცრაზმის დანარჩენ წევრებს ხელთ ტაბელური რევოლვერები ჰქონდათ, რაც ნორვეგიის პოლიციის უფროსის განმარტებით, ფისკალური პოლიტიკის ნაწილი იყო.

— დარაჯმა მითხრა, ლუნ-ჰელგესენი მესამე სართულზე ცხოვრობსო, — თქვა სკარემ და მობილური ტელეფონი ჯიბეში ჩაიდო, — თითო სართულზე მხოლოდ ერთი ბინაა. სახურავზე გასასვლელი არ არის. სახანძრო კიბეზე მოსახვედრად მეოთხე სართულზე უნდა ავიდეს და დაკეტილი სხვენი გააღოს.

— მშვენიერია, — თქვა ჰარიმ, — ორი კაცი გაგზავნე სხვენში. უბრძანე, სახანძრო კიბით ავიდნენ და იქ დაელოდონ.

— კარგი.

ჰარიმ ის ორი პოლიციელი იხმო, რომლებიც გზაჯვარედინზე სხვებზე ადრე გამოცხადდნენ. ერთი მათგანი მოწიფული მამაკაცი იყო, მეორე კი — მუწუკებიანი ღლაპი. მათ სკარესთან ადრეც უმუშავიათ. ნაცვლად იმისა, ოსენგატას 12-ისკენ წასულიყვნენ, ქუჩა გადაკვეთეს და მოპირდაპირე სახლისკენ გაემართნენ.

მესამე სართულზე მცხოვრები სტიგსონების ორი მცირეწლოვანი ვაჟი გაოცებით უყურებდა ფორმებში გამოწყობილ კაცებს, მათი მამას კი ჰარი ესაუბრებოდა.

მთავარი დეტექტივი სტიგსონს უხსნიდა, რატომ იყო საჭირო მათი ბინის საცეცხლე წერტილად გამოყენება. ჰარი სასტუმრო ოთახში შევიდა, დივანი ფანჯარას მოაშორა და ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მდებარე ბინას დააკვირდა.

— სასტუმრო ოთახში სინათლე ანთია, — თქვა მან.

— ოთახში ვიღაც ზის, — თქვა ჭარმაგმა ოფიცერმა, რომელიც მის უკან დამდგარიყო.

— ამბობენ, როდესაც ორმოცდაათი წლის ხდები, მხედველ-

ობა ოცდაათი პროცენტით გიუარესდებაო, — თქვა ჰარიმ.

— ბრმა არა ვარ. დიდ სავარძელზე მისი თავის ზედა ნაწილი ჩანს, სახელურზე კი მკლავი ასვენია.

ჰარიმ თვალი მოჭუტა. ჯანდაბა! ნუთუ უკვე სათვალე სჭირდებოდა? მაგრამ თუკი ამ ბებერმა კაცმა თქვა, რომ ვიღაც დაინახა, ესე იგი, მართლა ვიღაც შენიშნა.

— აქ დარჩი და თუკი ამოძრავდება, რაციით დამიკავშირდი. კარგი?

— კარგი, — თქვა ასაკოვანმა პოლიციელმა და გაიღიმა. ჰარიმ ღლაპი თან წაიყვანა.

— ვინ არის იმ ბინაში? — იკითხა ახალგაზრდა ოფიცერმა. ხმამაღლა ლაპარაკობდა, იმიტომ, რომ მის ხმას კიბეზე დარტყმული ფეხის ხმა ახშობდა.

— გსმენია რამე „თოვლის კაცის" შესახებ?

— ფუ, შენი!

გზა გადაირბინეს და საპირისპირო კორპუსს მიაშურეს. დარაჯი და სკარე, ხუთ პოლიციელთან ერთად, სადარბაზოს შესასვლელში იდგნენ და ოპერაციის დაწყებას ელოდებოდნენ.

— ბინების გასაღებები არა მაქვს, — თქვა დარაჯმა, — მხოლოდ სადარბაზოს გაღება შემიძლია.

— არა უშავს, — თქვა ჰარიმ, — ყველა მზადაა? რაც შეიძლება უხმაუროდ უნდა ვიმოქმედოთ. გასაგებია? „დელტა", ჩემთან ერთად იმოქმედებთ...

ჰარიმ კატრინის „სმით ენდ უესონი" ამოიღო და დარაჯს ანიშნა. სადარბაზოს კარის ღრიჭოში გასაღები გადატრიალდა.ჰარი, ავტომატებით შეიარაღებულ სპეცრაზმელებთან ერთად, უხმაუროდ შეიჭრა სადარბაზოში. პოლიციელები სწრაფად მოქმედებდნენ და დროის მოსაგებად ერთდროულად სამ-სამ საფეხურს ახტებოდნენ.

მესამე სართულზე შეჩერდნენ. მათ წინაშე ლურჯი კარი აღმართულიყო, რომელსაც მაიდენტიფიცირებელი ნიშნები არ ჰქონდა. ერთ-ერთმა ოფიცერმა კარს ყური მიადო, ჰარის შეხედა და თავი გააქნია. ჰარიმ პირთან მიიტანა რაცია, რომელსაც ოპერაციის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე მინიმუმამდე ჩაუწია ხმა.

— ალფა ვარ... — ჰარის მეტსახელები არ გაუნაწილებია და ვერც გვარებს იხსენებდა, — მივმართავ დივნის გვერდით, ფანჯარასთან არსებულ პოსტს. ობიექტი ხომ არ ამოძრავდა?

ღილაკს თითი აუშვა, რასაც ხმადაბალი ტკაცუნი მოჰყვა. მხოლოდ ამის შემდეგ გაისმა ადამიანის ხმა:

— ჯერ კიდევ სავარძელში ზის.

— როჯერ, შევდივართ.

ოფიცერმა თავი დაუქნია და ძალაყინი ამოიღო, მეორემ კი ამასობაში უკან დაიხია და დამნაშავესთან შესახვედრად მოემზადა.

ჰარის ეს ტექნიკა მანამდეც ჰქონდა ნანახი. ერთი კაცი კარს ამტვრევს, მეორე კი სწრაფად შედის ოთახში. რა თქმა უნდა, კარი ძალაყინის გარეშეც შეიძლება გაიღოს, მაგრამ ეს ნივთი დამთრგუნველ ხმაურს იწვევს და, ამასთან, სწრაფად შეჭრის ეფექტი იმდენად ძლიერია, რომ ობიექტი, როგორც წესი, იბნევა და ათიდან ცხრა შემთხვევაში სავარძელში, დივანზე ან საწოლზე ხევდება და ადგილიდან ვეღარ იძვრის ხოლმე.

მაგრამ ჰარიმ ხელი ასწია და კოლეგებს თავშეკავებისკენ მოუწოდა, შემდეგ კი კარის სახელურს ჩაეჭიდა და მიაწვა.

მათიასს ტყუილი არ უთქვამს. კარი ღია იყო.

კარი უხმაუროდ გაიღო. ჰარიმ მკერდზე მიიდო თითი იმის ნიშნად, რომ იგი თავად შევიდოდა პირველი.

ჰარის ეგონა, მათიასის ბინის ინტერიერი მინიმალისტურ სტილში იქნებოდა გადაწყვეტილი. მაგრამ ბინა მინიმალისტური არ აღმოჩნდა. მისი საცხოვრებელი უბრალოდ ცარიელი იყო. შემოსასვლელში ერთი წყვილი ფეხსაცმელიც კი არ იდო. არც ავეჯი ჩანდა და არც სურათები.

სასტუმრო ოთახის კარი ღია იყო. ღრიჭოდან სავარძელი და სახელურზე დადებული მკლავი მოჩანდა. ჰარიმ სუნთქვა შეიკრა, ორი დიდი ნაბიჯი გადადგა, რევოლვერი ორი ხელით დაიჭირა და კარს ფეხი ჰკრა.

იგრძნო, როგორ დაიძაბა მისი ორი კოლეგა, რომლებიც მის გვერდით იდგნენ. და ჩუმი ჩურჩული გაიგონა:

— ღმერთო ჩემო...

სავარძლის თავზე დიდი, ჩახჩახა ჭაღი ეკიდა. ჭაღის შუქი სავარძელზე მოთავსებულ ფიგურას ეფინებოდა. უცნობი პირდაპირ ჰარის მისჩერებოდა. სტარნგულაციისგან დაზიანებული კისერი, ფერმკრთალი, მშვენიერი სახე და შავი თმა ჰქონდა. უნდოდა, ადგილიდან დაძრულიყო, მაგრამ ქალის მოჭიქული თვალები ამის საშუალებას არ აძლევდა. საყვედურით სავსე თვალები, რომლებიც იმაში სდებდნენ ბრალს, რაც არ გაუკეთებია. არაფერი იცოდა, მაგრამ უნდა ემოქმედა. უნდა აღეკვეთა ის, რაც ხდებოდა. უნდა გადაერჩინა.

მისმა სითეთრემ სიკვდილის პირას მისული დედის სახე გაახსენა.

— დანარჩენი ოთახებიც შეამოწმეთ, — ავადმყოფის ხმით თქვა ჰარიმ და რევოლვერი ჩამოსწია.

ბარბაცით მიუახლოვდა გვამს და მაჯა გაუსინჯა. გარდაცვლილს მარმარილოსავით გაყინული და უსიცოცხლო ხელი ჰქონდა, მაგრამ ჰარი სუსტი პულსის მსგავს ბიძგებს გრძნობდა. რაღაც მომენტში გაიფიქრა, რომ ქალი სინამდვილეში ცო-

ცხალი იყო და უბრალოდ მკვდარს დაამსგავსეს, მაგრამ შემდეგ ქვევით დაიხედა და მიხვდა, რომ საათი წიკწიკებდა.

— აქ სხვა არავინაა, — მოესმა ზურგს უკან მდგარი ერთ-ერთი ოფიცრის ხმა, შემდეგ კი ხველების ხმა გაიგონა, — იცანი?

— კი, — თქვა ჰარიმ და საათის ციფერბლატს თითით შეეხო. ზუსტად ის საათი იყო, რომელიც რამდენიმე საათის წინ ჰარის ეჭირა ხელში. საათი, რომელიც მის საძინებელში დატოვეს. საათი, რომელიც ჩიტის ბუდეში უნდა მოეთავსებინა, რადგანაც ის საღამო რაკელსა და მათიასს ერთად უნდა გაეტარებინათ. წვეულებაზე. წვეულებაზე, რომელზეც მათ ერთიანობას იზეიმებდნენ.

კიდევ ერთხელ შეხედა მის თვალებს. საყვედურით სავსე თვალებს.

„ჰო, — გაიფიქრა ჰარიმ, — ყოველმხრივ დამნაშავე ვარ".

სკარე შემოვიდა, ჰარის უკან დადგა და ქალის გვამს დააკვირდა. მის გვერდით „დელტას" ორი ოფიცერი იდგა.

— დაახრჩვეს? — იკითხა მაგნუსმა.

ჰარიმ არ უპასუხა. არც კი განძრეულა. ცისფერი კაბის ერთი ბრეტელი ჩამოვარდა.

— ცოტა უცნაურია დეკემბერში ზაფხულის კაბით სიარული, — როყიოდ თქვა სკარემ, რომელსაც უბრალოდ სურდა, სიჩუმე დაერღვია.

— არადა, ის ხშირად იცვამს, — თქვა ჰარიმ. მისი ხმა თითქოს სხვა სამყაროდან ისმოდა.

— ვინ „ის"?

— რაკელი.

პოლიციელი შეკრთა. ჰარის ყოფილი სატრფო ოდესღაც პოლიციაში მუშაობდა. სწორედ მაშინ ნახა სკარემ ის ქალი.

— ეს... ეს... რაკელია? კი მაგრამ...

— მისი კაბაა, — თქვა ჰარიმ, — და მისი საათი. რაკელის მსგავსადაა გამოწყობილი, მაგრამ ქალი, რომელიც აქ ზის, ბირტე ბეკერია.

სკარე მდუმარედ შესცქეროდა გარდაცვლილს. ასეთი გვამი მანამდე არ ენახა. ბირტე ბეკერის ცხედარი ცარცივით თეთრი და გასივებული იყო.

— წავედით, — მიმართა მან სპეცრაზმელებს და სკარეს მიუბრუნდა, — აქ დარჩი. ექსპერტ-კრიმინალისტებს დაურეკე და უთხარი, რომ სამუშაო გამოუჩნდათ.

— შენ რას აპირებ?

— ცეკვას, — უპასუხა ჰარიმ.

სამმა მამაკაცმა ხმაურით ჩაირბინა კიბე და ბინაში სიჩუმემ დაისადგურა. თუმცა რამდენიმე წამის შემდეგ სკარეს მანქანის დაქოქვისა და ვოგტს-გატეს ასფალტზე აწივლებული საბურავების ხმა მოესმა.

მოძრავი ლურჯი შუქი გზას ანათებდა. ჰარი მძღოლის გვერდითა სავარძელში იჯდა. ტელეფონზე რეკავდა, მაგრამ მის ზარს არ პასუხობდნენ. მანქანის სარკეზე ბიკინის ტიპის საცვლებში გამოწყობილი ორი პატარა ქალის ფიგურა მოჩანდა, რომლებიც სირენების ხმაზე ცეკვავდნენ. პოლიციის მანქანა კი სხვა მანქანებს ასწრებდა და მესამე სატრანსპორტო რგოლზე მიქროდა.

„გევედრები, რაკელ, მიპასუხე".

ჰარიმ ლითონის მოცეკვავეებს გახედა და გაიფიქრა, რომ თავადაც ამ ქალებს ჰგავდა — ისიც სხვის დაკრულზე ცეკვავდა. კომიკურ ფიგურას დაემსგავსა, რომელიც ყოველთვის ორი ნაბიჯით ჩამორჩება თავის ანტაგონისტს. ყოველთვის აგვიანებს საჭირო კარის გაღებას და ამიტომაც დასცინის მაყურებე-

ლი.

ჰარის ნერვული შეტევა დაეწყო.

— ჯანდაბა! ჯანდაბა! ჯანდაბა! — დაიღრიალა მან და ტელეფონი საქარე მინას ესროლა. მობილური მანქანის პანელზე ჩამოსრიალდა და ძირს დავარდა.

მძღოლმა და მეორე ოფიცერმა უკანა ხედვის სარკეში გადახედეს ერთმანეთს.

— სირენა გამორთე, — თქვა ჰარიმ.

სიჩუმე ჩამოვარდა.

უცებ ჰარის ყურადღება მიიპყრო ხმამ, რომელიც ქვემოდან მოდიოდა. მაშინვე ტელეფონს დასწვდა.

— ჰეი! — დაიყვირა მან. — ჰეი! სახლში ხარ, რაკელ?

— რა თქმა უნდა. სახლის ტელეფონით გირეკავ, — მისი ხმა იყო. მსუბუქი, მშვიდი ხმა. — რამე მოხდა?

— ოლეგიც სახლშია?

— კი, — უპასუხა ქალმა, — აქვე ზის, სამზარეულოში და საჭმელს ჭამს. მათიასს ველოდებით. რა ხდება, ჰარი?

— ყურადღებით მომისმინე, რაკელ. გესმის ჩემი?

— მაშინებ, ჰარი. რა გჭირს?

— კარზე უსაფრთხოების ჯაჭვი გააბი.

— რატომ? დაკეტილია და...

— უსაფრთხოების ჯაჭვი გააბი, რაკელ! — დაიყვირა მათიასმა.

— კარგი, კარგი!

ჰარიმ გაიგონა, როგორ მიმართა რაკელმა ოლეგს, რის შემდეგაც სკამის გაჩოჩებისა და სირბილის ხმა მოესმა და დამშვიდდა.

— ახლა კი მომიყევი, რა მოხდა, ჰარი.

— მოგიყვები, მაგრამ ჯერ პირობა მომეცი, რომ მათიასს სა-

ხლში არ შემოუშვებ. არავითარ შემთხვევაში.

— მათიასს? მთვრალი ხარ, ჰარი? ან რა უფლება გაქვს...

— მათიასი სახიფათო კაცია, რაკელ. პოლიციის მანქანაში ვზივარ და ჩემთან ერთად აქ კიდევ ორი პოლიციელი ზის. შენკენ მოვეშურებით. დანარჩენს მაშინ მოგიყვები, როდესაც გნახავ. მაგრამ გევედრები, ფანჯარას არ მოაცილო თვალი. ხედავ რაიმეს?

ქალი ერთხანს შეყოვნდა. ჰარი დუმდა. არაფერს ამბობდა. უბრალოდ ელოდებოდა. იმიტომ, რომ უცებ აშკარად იგრძნო, რომ ქალი მას ენდობოდა, მისი იმედი ჰქონდა და ყოველთვის ასე იყო. ნიუდალენის გვირაბს მიუახლოვდნენ. გზის ნაპირზე ნაცრისფერი თოვლი იდო. ქალის ხმა გაისმა:

— ვერაფერს ვხედავ, მაგრამ მე ხომ არ ვიცი, რას უნდა ვეძებდე!

— თოვლის კაცს ხომ ვერ ხედავ?

სიჩუმე ჩამოვარდა. ჰარი მიხვდა, რომ რაკელი ცოტა ხანში ყველაფერს მიხვდებოდა.

— არ თქვა, რომ ეს სიმართლეა, ჰარი, — ჩაიჩურჩულა ქალმა, — მითხარი, რომ ეს სიზმარია.

ჰარიმ თვალები დახუჭა და მის წინაშე სავარძელში მჯდარი ბირტე ბეკერის გამოსახულება გაკრთა. მართალი იყო რაკელი. ეს ყველაფერი სიზმარს ჰგავდა.

— შენი საათი ჩიტის ბუდეში ჩავდე, — თქვა მან.

— მაგრამ იქ არ დამხვდა... — ერთხანს დადუმდა და ბოლოს ამოიკვნესა, — ო, ღმერთო!

თავი XXXV

დღე ოცდამეერთე. ურჩხული

სამზარეულოდან რაკელს იმ სამი მხარის დანახვა შეეძლო, რომლითაც სახლთან მიახლოება შეიძლებოდა. სახლის უკან ვიწრო, მაგრამ ღრმა არხი გაედინებოდა და მისი გადალახვა სრულიად შეუძლებელი იყო. განსაკუთრებით თოვლიან ამინდში. რაკელმა ყველა ფანჯარა მოიარა და საკეტები შეამოწმა. მამამისმა ეს სახლი ომის შემდგომ ააშენა. ძალიან მაღლა გაჭრა ფანჯრები და თითოეულ მათგანს გისოსები დაუყენა. მამა დაუძლეველი, ირაციონალური შიშით იყო შეპყრობილი. ერთხელ ლენინგრადთან ბუნკერში რუსი ჯარისკაცი შევარდა და მისი მძინარე თანამებრძოლები დახოცა. მამა იმიტომ გადარჩა, რომ კართან იწვა და ღრმა ძილით ეძინა. გამოღვიძებისას შენიშნა, რომ მისი საბანი ვაზნებით იყო სავსე. იმ ღამის შემდეგ მშვიდი ძილით აღარ დაუძინია. ასე ამბობდა მამა. რაკელი ვერ იტანდა ამ გისოსებს. ამ მომენტამდე.

— შეიძლება, ჩემს ოთახში ავიდე? — იკითხა ოლეგმა, რომელმაც სამზარეულოს დიდ მაგიდას რამდენჯერმე მიარტყა ფეხი.

— არა, — თქვა რაკელმა, — აქ მოგიწევს დარჩენა.

— რა დააშავა მათიასმა?

— ჰარი მოვა და ყველაფერს აგვიხსნის. დარწმუნებული ხარ, რომ უსაფრთხოების ჯაჭვი სწორად გააბი?

— კი. ნეტავ მამიკო იყოს აქ.

— მამიკო? — რაკელს პირველად ესმოდა ეს სიტყვა ოლეგისგან. თუ არ ჩავთვლით ორიოდე წლის წინანდელ რამ დენიმე შემთხვევას, როდესაც ამ სიტყვით ჰარი მოიხსენია, —რუ-

სეთში მცხოვრებ მამაშენს გულისხმობ?

— ეგ არ არის მამიკო.

ბიჭმა ისეთი დარწმუნებით წარმოთქვა ეს სიტყვები, რომ ქალს გააჟრჟოლა.

— სარდაფის კარი! — დაიყვირა რაკელმა.

— რა?

— მათიასს სარდაფის გასაღებიც აქვს. როგორ მოვიქცეთ?

— მარტივად, — თქვა ოლეგმა და წყლის ჭიქა გამოცალა, — კარის სახელურის ქვეშ ბაღის სკამი მიაყუდე. მაგ სკამების სიმაღლე ზუსტად შეესაბამება კარის სახელურის მდებარეობას. გამორიცხულია, ვინმემ გააღოს.

— გიცდია ოდესმე? — იკითხა ქალმა და უკან გადაიწია.

— ჰარიმ სცადა ერთხელ. ომობანას ვთამაშობდით და...

— აქ დაჯექი, — თქვა ქალმა, თავად კი დერეფანში გავიდა და სარდაფის კარისკენ გაემართა.

— მოიცა.

რაკელი გაჩერდა.

— ნანახი მაქვს, როგორ მოაწყო ეგ ოინი ჰარიმ, — თქვა ოლეგმა და ფეხზე წამოდგა.

— აქ დარჩი, დე.

ქალმა ბიჭს შეხედა. ღმერთო, როგორ გაზრდილა ამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში! მალე სიმაღლეშიც გაასწრებს! და ამ მუქ თვალებში ბავშვურობა ადგილს უთმობდა ახალგაზრდულ გამბედაობას. რაკელი უკვე ხვდებოდა, რომ დროთა განმავლობაში ეს გამბედაობა სიმამაცედ ჩამოყალიბდებოდა.

ქალი ყოყმანობდა.

— გთხოვ, მომეცი უფლება, მე გავაკეთო, — თქვა ოლეგმა.

ბიჭის ხმაში თხოვნის ინტონაცია იგრძნობოდა. და რაკელ-

მა იცოდა, რომ ეს ოლეგისთვის მნიშვნელოვანი იყო, იმიტომ, რომ მის ზრდას, შიშების დაძლევასა და ზრდასრული ადამიანების რიტუალებთან ზიარებას უკავშირდებოდა. ოლეგს სურდა, მამამისს დამსგავსებოდა. და მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვის მიიჩნევდა მამად.

— კარგი, მაგრამ სწრაფად... — ჩაიჩურჩულა ქალმა. ოლეგი გაიქცა. და უცებ რაკელმა იგრძნო, რომ სიჩუმეს ძალიან სუსტი ხმა არღვევდა. თავიდან ეგონა, ქუჩიდან შემოდიოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ ხმაურის წყარო სადღაც უკან იყო. შებრუნდა, მაგრამ ვერაფერი დაინახა. სამზარეულო ცარიელი იყო. ისევ ჩაესმა ეს ხმა. საათის წიკწიკს ჰგავდა, ან მაგიდაზე თითების კაკუნს. მაგიდა. რაკელი მიაჩერდა. სწორედ აქედან მოდიოდა ხმა. მაგიდას წყლის წვეთები ეცემოდა. ნელა ასწია თავი და ჭერს დააკვირდა. თეთრი პანელის შუაში მუქი წრე მოჩანდა და მის შუაგულში მოელვარე წვეთი ეკიდა, რომელიც ჩამოვარდა და მაგიდას დაეცა. რაკელმა თავისი თვალით დაინახა, რაც მოხდა, მაგრამ წვეთის დაცემის ხმის გაგონებისას მაინც შეხტა. თითქოს ვიღაცამ მოულოდნელად ჩაარტყა თავში.

ღმერთო, სააბაზანოდან უნდა იყოს. ნუთუ ამჯერადაც დაავიწყდა შხაპის გამორთვა? სახლში შემოსვლის შემდეგ მეორე სართულზე არ ასულა, მაშინვე საჭმლის მომზადებას შეუდგა. ასე რომ, შესაძლოა, წყლის დენა დილიდან არ შეწყვეტილა. და ეს მაინცდამაინც ახლა უნდა მომხდარიყო, ამ გაწამაწიაში!

შემოსასვლელში გავიდა, კიბეზე აირბინა და სააბაზანოსკენ გაემართა. შხაპის ხმა არ ისმოდა. კარი გააღო. იატაკი მშრალი დახვდა. წყალი არ იყო მოშვებული. სააბაზანოდან გა

მოვიდა, კარი გამოიხურა და რამდენიმე წამით შედგა. მეზობლად მდებარე საძინებელ ოთახს შეხედა. ნელა მიუახლოვდა. კარის სახელურს შეეხო. ყოყმანობდა. ისევ მანქანების ხმას უსმენდა. ამის შემდეგ კი კარი გამოაღო და ოთახში შეიხედა. უნდოდა, ეყვირა, მაგრამ ინსტინქტურად გრძნობდა, რომ ხმა არ უნდა ამოეღო. მშვიდად უნდა ყოფილიყო. ძალიან მშვიდად.

— ჯანდაბა! ჯანდაბა! ჯანდაბა! — დაიყვირა ჰარიმ და ისე ძლიერად დაარტყა ხელი მანქანის ინსტრუმენტების პანელს, რომ საჭესთან განთავსებული მოწყობილობები ააზანზარა, — რა ხდება?

გვირაბთან მოძრაობა შეფერხდა და ამის გამო კიდევ ორ ძვირფას წუთს კარგავდა.

შეფერხების მიზეზი პოლიციის რაციით განმარტეს:

— მესამე სატრანსპორტო რგოლზე, ტიოსენთან მდებარე გვირაბის ბოლოს, დასავლეთისკენ მიმავალ გზაზე ავარია დაფიქსირდა. არავინ დაშავებულა. ევაკუატორი უკვე გზაშია.

ჰარიმ მექანიკურად დააჭირა ხელი მიკროფონს.

— იცით, ვინ მოაწყო ეგ ავარია?

— ვიცით, რომ ინციდენტში ორი მანქანა მონაწილეობდა. ორივეს საზაფხულო საბურავები ეკეთა, — გაისმა რადიოს ცხვირისმიერი ხმა. ჰარიმ ლაკონიური განმარტება მიიღო.

— ნოემბრის თოვლი ყოველთვის ქაოსს თესავს, — თქვა მის უკან მჯდარმა ოფიცერმა.

ჰარიმ არ უპასუხა. პანელზე ათამაშებდა თითებს და ალტერნატიულ

ვარიანტებზე ფიქრობდა. მათ წინაც ძალიან ბევრი მანქანა იდგა და მათ უკანაც. მათ მანქანას მთელი მსოფლიოს ლურჯი

ციმციმები და სირენებიც კი ვერ გაატარებდა. შეეძლო, გადამ-ხტარიყო და გვირაბის ბოლომდე სირბილით მისულიყო. შე-საძლებელი იყო რაციით მოეთხოვა, რომ თავისუფალ გზაზე საპატრულო მანქანა დაეხვედრებინათ, მაგრამ ამ შემთხვევა-ში თითქმის ორი კილომეტრის გავლა მოუწევდა ფეხით.

მანქანაში სიჩუმე გამეფებულიყო. მხოლოდ ერთ ადგილზე გაჩერებული მანქანების ძრავების ყრუ ღმუილი ისმოდა. მათ წინ მდგარი ფურგონი ერთი მეტრით წაიწია და პოლიციის მან-ქანაც მას მიჰყვა, მაგრამ კინაღამ შეეჯახა. თითქოს ეშინოდა, თუკი უფრო სწრაფად არ ივლიდა, ჰარი კიდევ ერთხელ აფეთ-ქდებოდა. მკვეთრი დამუხრუჭების გამო უკანა ხედვის სარკის ქვეშ დაკიდებული ლითონის მოცეკვავეები ერთმანეთს შე-ეჯახნენ და სიჩუმეში მათი ჟღარუნის ხმა გაისმა.

ჰარის კიდევ ერთხელ გაახსენდა იუნასი. რატომ? რატომ ფიქრობდა იუნასზე მაშინ, როდესაც მათიასს ესაუბრებოდა ტელეფონით? რაღაც ხმა... ტელეფონში მათიასის ფონად რა-ღაც ხმა ისმოდა.

ჰარი მოცეკვავეებს დააცქერდა და უცებ გონება გაუნათდა. მიხვდა, რატომაც გაახსენდა იუნასი. მიხვდა, რა ხმაც ესმოდა. და გააცნობიერა, რომ დროის დაკარგვა არ შეიძლებოდა. ან, აღარც ღირს აჩქარება, იმიტომ, რომ უკვე გვიანია. ჰარი შე-ეცადა, არც კი ეფიქრა ამ პერსპექტივაზე.

***

ოლეგი სწრაფად მიაბიჯებდა სარდაფში. არც მარცხნივ იყურებოდა, არც მარჯვნივ. იცოდა, რომ კედლებზე გამოსული მარილი კითხვის ნიშნებს ჰგავდა. შეეცადა, იმ საქმეს ჩაგული-

სყურებოდა, რაც უნდა შეესრულებინა და სხვა არაფერზე ეფიქრა. ჰარიმ უთხრა, რომ ყოველთვის ასე უნდა მოქცეულიყო. ჰარიმ უთხრა, რომ მთავარი იყო ის ერთადერთი ურჩხული დაემარცხებინა, რომელიც სინამდვილეში არსებობდა. ის ურჩხული ოლეგის გონებაში არსებობდა და მის გასანადგურებლად ბევრი უნდა ეშრომა. რაც შეიძლება ხშირად უნდა ეომა მაგ ურჩხულთან. შეტაკების შემდეგ შინ უნდა დაბრუნებულიყო, იარები უნდა მოეშუშებინა და ისევ ბრძოლის ველზე დაბრუნებულიყო. ოლეგიც ზუსტად ასე იქცეოდა. სარდაფში ჩადიოდა. ხშირად. და მარტო. სხვა გამოსავალი არც ჰქონდა — ციგურები სიცივეში უნდა შეენახა.

ბაღის სკამი აიღო და იატაკზე გაათრია, რათა სიჩუმე დაერღვია. სარდაფის კარი შეამოწმა, დარწმუნდა, რომ დაკეტილი იყო და კარს სკამი მიადგა. სახელურის შესამოწმებლად გამოძრავებას შეეცადა. ვერ აამოძრავა. მორჩა. მაგრამ უცებ ერთ ადგილზე გახევდა. რა ხმაა? სარდაფის კარზე დატანებულ პატარა ფანჯარაში გაიხედა. თავიდან ვერ იშორებდა იმ აზრს, რომ გარეთ ვიღაც იდგა. უნდოდა, გაქცეულიყო, მაგრამ საკუთარი თავი აიძულა, დარჩენილიყო და შეეცადა, საზარელი ფიქრები თავიდან ამოეგდო და რაიმე კარგზე ეფიქრა. „სახლში ვარ, — გაიფიქრა მან, — აქაც ისევე უსაფრთხოდ ვარ, როგორც ზედა სართულებზე".

ამოისუნთქა. გული ბასის დრამივით უცემდა. ოლეგმა კიდევ ერთხელ გაიხედა ფანჯარაში და საკუთარი სახე დაინახა. მაგრამ სხვა სახეც დაინახა. მრუდე სახე, რომელიც მისი არ იყო. და ხელებიც დაინახა. ურჩხულის შემართული ხელები.

შეშინებულმა ოლეგმა უკან დაიხია. რაღაცას გამოედო და იგრძნო, რომ ვიღაცამ სახესა და პირზე შემოხვია ხელები. ოლეგს უნდოდა, ეყვირა, მაგრამ ვერ შეძლო. უნდოდა, ეყვი-

რა, რომ ნამდვილი ურჩხული არა მის თავში, არამედ აქ იყო, მის წინაშე. უნდოდა, ეყვირა, რომ ის და დედა სიკვდილისთვის იყვნენ განწირულნი.

— სახლშია, — თქვა ჰარიმ.

ოფიცრები ვერ მიხვდნენ, რა იგულისხმა მთავარმა დეტექტივმა, რომელმაც მობილურ ტელეფონზე ზარის გამეორების ღილაკს დააჭირა.

— მეგონა, იაპონური მუსიკა მესმოდა, მაგრამ სინამდვილეში ლითონის ჯოხებისგან გაკეთებული საჩხრიალოს ხმა იყო. ასეთი ნივთი იუნასს უკიდია ოთახში. და ოლეგსაც აქვს. მთელი ამ დროის მანძილზე იქ იყო. თვითონვე მითხრა. ასე არ გამოდის?

— რას გულისხმობ? — იკითხა მის უკან მჯდარმა ოფიცერმა.

— სახლში ვარო, მითხრა. და, რა თქმა უნდა, ჰოლმენკოლვეიენის სახლი იგულისხმა. ისიც თქვა, რომ რაკელსა და ოლეგთან აპირებდა მისვლას. უნდა მივმხვდარიყავი. ყოველ შემთხვევაში, ტორსჰოვზე ადრე ჰოლმენკოლვეიენში უნდა გამხსენებოდა. ჰოლმენკოლვეიენში იმყოფებოდა. სახლის მეორე სართულზე. და ქვევით აპირებდა ჩასვლას. ქალი და ბავშვი სახლიდან უნდა გამოვიყვანოთ. რაც შეიძლება მალე. მიპასუხე, ეშმაკმა დალახვროს!

— შეიძლება არ ესმის...

— სახლში ოთხი ტელეფონი დგას. უბრალოდ მათიასმა სატელეფონო კაბელი გადაჭრა. როგორმე იქ უნდა მოვხვდე.

— შეგვიძლია, სხვა საპატრულო მანქანა გავგზავნოთ, — თქვა მძღოლმა.

— არა, — თქვა ჰარიმ, — აზრი აღარ აქვს. უკვე დაიჭირა. მხოლოდ ერთი იმედიღა გვრჩება. მე.

— შენ?

— ჰო. მისი გეგმის ნაწილი ვარ.

— ანუ იმის თქმა გინდა, რომ მის გეგმაში არ შედიხარ?

— არა. შევდივარ. მე მელოდება.

გაჩერებულ მანქანებს შორის მოტოციკლის ხმა გაისმა. პოლიციელებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ანუ შენ სჭირდები.

— ჰო, მე, — უპასუხა ჰარიმ და უკანა ხედვის სარკეში ჩაიხედა. მოტოციკლს უყურებდა. სხვა პასუხს ვერ გასცემდა, იმიტომ, რომ თუკი „თოვლის კაცს" ჰარი სჭირდებოდა, ოლეგსა და რაკელს შანსი რჩებოდათ.

--

ოლეგმა იგრძნო, როგორ შეეხო კისერზე ცივი ფოლადი. მთელი ძალით ცდილობდა, ამ ურჩხულის კლანჭებისგან დაეხსნა თავი.

— ეს სკალპელია, ოლეგ, — თქვა ურჩხულმა, რომელსაც მათიასის ხმა ჰქონდა, — ადამიანების გასაჭრელად ვიყენებთ ხოლმე. ვერც კი წარმოიდგენ, რა მარტივად მოსახმარი ნივთია.

ურჩხულმა უბრძანა, პირი გააღეო და ოლეგს ჭუჭყიანი ტილო ჩასთხარა პირში. მერე უბრძანა, იატაკზე დაწოლილიყო და ხელები ზურგზე დაელაგებინა. ბიჭი შეეცადა, წინააღმდეგობა გაეწია და უცებ ყურთან ფოლადის ხმა გაიგონა. იგრძნო, როგორ წამოუვიდა თბილი სისხლი, რომელიც მხარზე და მაისურის საყელოზე გადავიდა. ცემენტის ცივ იატაკზე პირქვე დაემხო. ურჩხული ზემოდან დააჯდა. ოლეგის სახესთან წითელი ყუთი დავარდა. წარწერა წაიკითხა. პლასტმასის თხელი საბელები აღმოჩნდა. აი, ისეთი, კაბელებსა და სათამაშოებს რომ აბამენ ხოლმე. ძალიან გამაღიზიანებელი შესაკვრელი

იყო, იმიტომ, რომ შეგეძლო, ბოლომდე მოგეჭირა, მაგრამ მისი მობოშება შეუძლებელი იყო. იგრძნო, რომ ბასრი პლასტმასა მაჯებსა და კოჭებში ჩაერჭო.

ამის შემდეგ ურჩხულმა წამოაყენა და ისევ ჰკრა ხელი. ოლეგი დავარდა, მაგრამ ტკივილი არ უგრძნია, რაღაცის ტკაცუნი მოესმა. ზემოთ აიხედა. ოლეგი საყინულეში იწვა. გრძნობდა, როგორ უწვავდა მკლავებსა და სახეს ყინულის ის ნატეხები, რომლებიც საყინულის კედლებს სძვრებოდა და პირდაპირ მას ეცემოდა. ურჩხულს თავი გვერდზე გადაეხარა და ისე დასცქეროდა ზემოდან.

— ნახვამდის, — თქვა მან, — ერთმანეთს მეორე მხარეს შევხვდებით.

საყინულის სახურავი ჩამოიწია და სრული სიბნელე ჩამოწვა. ოლეგმა გასაღების გადატრიალებისა და სწრაფი ნაბიჯის ხმა გაიგონა. ფეხის ხმა თანდათან მიწყდა. შეეცადა, ენა აეწია და პირში ჩატენილი ჩვრის უკან მოეთავსებინა. უნდა მოეშორებინა ეს ნაჭერი. უნდა ესუნთქა. ჰაერი უნდა მიეღო.

--

რაკელს სუნთქვა შეეკრა. საძინებელში იდგა და გრძნობდა, რომ ის, რასაც ხედავდა, სრული სიგიჟე იყო. სიგიჟე, რომლის გამოც სახე გაუშეშდა, ყბა ჩამოუვარდა და თვალები გაუფართოვდა.

საწოლი და დანარჩენი ავეჯი კედლისკენ იყო გაწეული, იატაკზე კი ბევრი წყალი ესხა, რომელიც ცახცახებდა, როდესაც სამზარეულოს მაგიდას მორიგი წვეთი ესხმებოდა, მაგრამ რაკელს ეს არ შეუნიშნავს. იგი უზარმაზარ თოვლის კაცს უყურებდა, რომელიც ოთახის ცენტრში იდგა.

თოვლის ქანდაკების თავზე წამოცმული ქუდი ჭერს ეხებოდა. რაკელმა ამოისუნთქა და ჟანგბადმა ტვინამდე მიაღწია.

სველი ბეწვისა და ხის სუნი ეცა და გაიგონა, როგორ წვეთავდა ნადნობი წყალი. თოვლის კაცი სიცივეს ასხივებდა, მაგრამ რაკელს კანზე ხორკლი სულ სხვა მიზეზით გაუჩნდა. მან ადამიანის სხეულის სითბო იგრძნო. მათიასი მის უკან იდგა.

— ლამაზია, არა? — თქვა კაცმა, — პირადად შენთვის გავაკეთე.

— მათიას...

— ჩუ! — თქვა მათიასმა და თითქმის ნაზი მოძრაობით სწვდა კისერში. რაკელმა დაიხედა და დაინახა, რომ კაცს სკალპელი ეჭირა, — ნურაფერს იტყვი, ჩემო სიყვარულო. ბევრი საქმე გვაქვს. და ცოტა დრო.

— რატომ? რატომ?

— დღეს ჩვენი დღეა, რაკელ. ცხოვრების დარჩენილი ნაწილი წარმოუდგენლად ხანმოკლეა. ასე რომ, მოდი, აღვნიშნოთ და ახსნა-განმარტებებისთვის დრო არ დავკარგოთ. გთხოვ, ზურგზე დაილაგე ხელები.

რაკელი ისე მოიქცა, როგორც უბრძანეს. ოლეგის ამოსვლის ხმა არ გაუგია.

„ალბათ, ჯერ კიდევ სარდაფშია. თუკი აქ დავაყოვნებ მათიასს, ოლეგს გაქცევის საშუალება მიეცემა".

— მინდა ვიცოდე, რატომ, — თქვა რაკელმა, თავისი ხმა გაიგონა და მიხვდა, რომ ემოციების შეკავება უჭირდა. მიხვდა, რომ მათიასმა ხელებზე რაღაც თხელი ლენტი მოუჭირა. კისერზე მისი ცხელი სუნთქვა იგრძნო. ტუჩები. ენა. რაკელმა კრიჭა შეკრა. იმიტომ, რომ თუკი დაიყვირებდა, მათიასი, ალბათ, გაჩერდებოდა. რაკელს კი სურდა, მათიასი არ გაჩერებულიყო. ქალს დროის გაყვანა უნდოდა. კაცის ენა მის ყურზე სრიალებდა. ბოლოს მსუბუქად უკბინა.

— ის ბიჭი კი, რომელიც შენი ბოზობის შედეგად იშვა, საყი-

ნულეშია, — ჩაიჩურჩულა მათიასმა.

— ოლეგი? — თქვა ქალმა და იგრძნო, რომ თვითკონტროლის უნარს კარგავდა.

— დამშვიდდი, ძვირფასო, სიცივე არ მოკლავს.

— ა-არ მოკლავს?

— ბოზის შვილი მანამდე დაიხრჩობა, ვიდრე მისი სხეული სათანადო ტემპერატურამდე გაცივდება. მარტივი მათემატიკაა.

— მათემა...

— დიდი ხნის წინ გამოვთვალე. ყველაფერი დათვლილია.

--

მოტოციკლმა ჰოლმენკოლვეიენის ბნელ, ქარიან გზებზე აუხვია. ღმუილით ჩაუქროლა სახლებს. ის ბინადრები, რომლებიც ფანჯარაში იხედებოდნენ, საყვედურით აქნევდნენ თავებს. თოვლიან გზაზე მხოლოდ გიჟები დაქრიან ასეთი სიჩქარით. მართვის მოწმობა უნდა წაართვა ასეთ მძღოლს! მაგრამ მძღოლს მოტოციკლის მართვის მოწმობა საერთოდ არ ჰქონდა.

როდესაც ხის შავ სახლს მიუახლოვდა, კიდევ უფრო გაზარდა სიჩქარე, მაგრამ მკვეთრ მოსახვევში ახალი თოვლი ეყარა. ჰარი მოსრიალდა და მოტოციკლმა სიჩქარე დაკარგა. სიჩქარის აკრეფა აღარც უცდია. მაშინვე გადმოხტა მოტოციკლიდან, რომელიც ფერდობზე დაგორდა და ვიდრე ხის ვარჯს შეეჯახებოდა, ნაძვის რამდენიმე ტოტს გამოედო.

ჰარის კი ამასობაში უკვე ავლილი ჰქონდა კიბის ნახევარი. თოვლზე ერთი ნაკვალევიც კი არ მოჩანდა. სახლიდან არავინ გამოსულა და არც შიგნით შესულა ვინმე. რევოლვერი ამოიღო და ფრთხილად ჩამოსწია სახელური.

კარი არ იყო ჩაკეტილი. დაპირებისამებრ, მხოლოდ ჯაჭვი გაებათ. დერეფანში შევიდა და პირველ რიგში, მისი ყურადღება სარდაფის ღია კარმა მიიპყრო.

კაკუნის ხმა ისმოდა. სამზარეულოდან უნდა ყოფილიყო. ჰარი ჯერ შეყოყმანდა, შემდეგ კი სარდაფისკენ გაემართა.

რევოლვერი წინ გაიშვირა და სარდაფის კიბეს გვერდული ნაბიჯებით ჩაუყვა. ბოლო საფეხური ჩაიარა და შეჩერდა, რათა მისი თვალები სიბნელეს შესჩვეოდა.

სიჩუმეს ყური დაუგდო. ისეთი შეგრძნება დაეუფლა, რომ მთელ ოთახს სუნთქვა შეეკრა. შეამჩნია, რომ კარის სახელურის ქვეშ სკამი იყო აყუდებული. ოლეგი. სარდაფის დანარჩენ ნაწილსაც მოავლო თვალი და უკვე პირველ სართულზე აპირებდა დაბრუნებას, როდესაც საყინულის გვერდით, იატაკზე რაღაც მუქი ლაქა შენიშნა. წყალი? მიუახლოვდა. სავარაუდოდ, საყინულიდან დაიღვარა.

შეეცადა, საზარელი აზრები უკუეგდო და საყინულის თავსახურს ეცა. დაკეტილი დახვდა. გასაღები სახურავში დაეტოვებინათ. როგორ წესი, რაკელი საყინულეს არ კეტავდა ხოლმე. მის გონებაში ფინიოის საზარელმა სცენებმა გაიელვა, მაგრამ არ შეყოვნებულა. სწრაფად გადაატრიალა გასაღები და სახურავი ასწია.

ჰარიმ მოელვარე ლითონი დაინახა და მაშინვე იგრძნო ტკივილი. სახეზე რაღაც დაუსვეს. დანა? უკან გადავარდა და ჭუჭყიანი სარეცხის ორ კალათს შორის დაეცა. საყინულიდან ადამიანი ამოვიდა, რომელიც სწრაფი და მარდი ნაბიჯით მიუახლოვდა ჰარის.

— პოლიცია! — დაიყვირა ჰარიმ და იარაღი შემართა, — არ გაინძრე. ფიგურა გახევდა. ცალი ხელი მაღლა ჰქონდა აღმართული.

— ჰ-ჰარი?

— ოლეგ?

ჰარიმ რევოლვერი დაუშვა და მის ხელში ჩქაროსნული ციგურები დაინახა.

— მე... მეგონა, მათიასი დაბრუნდა.

ჰარი ფეხზე წამოდგა.

— სად არის მათიასი?

— არ ვიცი, მალე შევხვდებით ერთმანეთსო, მითხრა და ვიფიქრე...

— ციგურებს რაღა უნდოდა მანდ? — ჰარიმ რკინის გემო იგრძნო და იარაზე დაისვა ხელი, საიდანაც სისხლი მოთქრიალებდა.

— საყინულეში იყო, — თქვა ოლეგმა და ეშმაკურად გაიღიმა, — ხშირად ვიღებდი შენიშვნებს იმის გამო, რომ ციგურებს კიბეზე ვინახავდი, ამიტომ გადავწყვიტე, მუხუდოს ქვეშ დამემალა. დარწმუნებული ვიყავი, დედა ვერ იპოვიდა, იმიტომ, რომ, როგორც იცი, ჩვენ მუხუდოს არ ვჭამთ.

ბიჭი ჰარის გაჰყვა, რომელიც უკვე კიბეზე ადიოდა.

— საბედნიეროდ, პირები არც ისე დიდი ხნის წინ ავულესე, ასე რომ, საბელების გადაჭრა მოვახერხე. საკეტის შიგნიდან გატეხა შეუძლებელი აღმოჩნდა, მაგრამ ჰაერისთვის საყინულის ძირში ორიოდე ნახვრეტი გავაკეთე. თან ნათურა ჩავტეხე, სარდაფში დაბრუნებისას შუქი რომ არ დაენახა.

— და შენი სხეულის სითბომ ყინული დაადნო, ნადნობი კი ნახვრეტებიდან გადმოიღვარა, — თქვა ჰარიმ.

სარდაფში ამოვიდნენ და ჰარიმ ოლეგს სახლიდან გასასვლელისკენ უბიძგა, კარი გამოაღო და ხელი გაიშვირა.

— მეზობლების სახლიდან გამოსულ შუქს ხედავ? იქით გაიქეცი და დამელოდე, სანამ შენს წასაყვანად მოვალ. კარგი?

— არა, — მტკიცედ თქვა ოლეგმა, — დედა...

— ჩუ! მისმინე. დედაშენს ყველაზე მეტად იმ შემთხვევაში დაეხმარები, თუკი აქაურობას მოშორდები.

— მინდა, ვიპოვო!

ჰარიმ ოლეგს მხრებში წაავლო ხელები და მანამდე უჭერდა, ვიდრე ბიჭის თვალებში ტკივილის ცრემლი არ გაჩნდა.

— როდესაც გეუბნები, რომ უნდა გაიქცე, უნდა გაიქცე, სულელო ბავშვო!

ხმადაბლა ლაპარაკობდა, მაგრამ იმდენად მძვინვარედ, რომ ოლეგმა გაოცებით დაახამხამა თვალები და ცრემლები თვალებიდან ლოყებზე გადმოუგორდა. ამის შემდეგ ბიჭი შებრუნდა, კარიდან გავარდა და თოვლსა და სიბნელეში შთაინთქა.

ჰარიმ რაციას სტაცა ხელი და მიკროფონის ღილაკს დააჭირა.

— ჰარი ვარ. შორს ხართ?

— სტადიონზე ვართ, — გაისმა გუნარ ჰაგენის ხმა.

— შიგნით შევედი, — თქვა ჰარიმ, — მანქანები სახლის წინ გააჩერეთ, მაგრამ სანამ არ გეტყვით, არ შემოხვიდეთ.

— როჯერ!

— საუბრის დასასრული.

ჰარი სამზარეულოსკენ გაემართა, საიდანაც ჯერ კიდევ მოისმოდა კაკუნის ხმა. კართან მივიდა და დაინახა ბათქაშთან შერევის გამო ამღვრეული წყალი, რომელიც პირდაპირ ჭერიდან მოჟონავდა და სამზარეულოს მაგიდას გამაყრუებელი ხმით ეხეთქებოდა.

მეორე სართულზე ასასვლელი კიბე ჰარიმ ოთხი გრძელი ნაბიჯით აიარა. ფეხაკრეფით მიუახლოვდა საძინებელს და ნერწყვი გადაყლაპა. სახელურს დააკვირდა. გარედან პოლი-

ციის სირენების ხმა ისმოდა. ჭრილობიდან სისხლის წვეთი გადმოიღვარა და თითქმის უხმაუროდ დაეცა პარკეტზე. გრძნობდა, როგორ აწვებოდა სისხლი საფეთქლებში. იმასაც გრძნობდა, რომ აქ, ამ ადგილზე უნდა დასრულებულიყო ყველაფერი. და იყო ამაში რაღაც ლოგიკური. რამდენჯერ მდგარა ასე ამ საძინებლის კართან, გარიჟრაჟზე, იმ ღამის შემდეგ, როდესაც პირობა დადო, რომ სახლში დროზე მოვიდოდა ხოლმე. ბევრჯერ მდგარა აქ სინდისის ქენჯნით შეწუხებული. იცოდა, რომ რაკელი ოთახში იყო და უკვე ეძინა. იცოდა, რომ კარი აუცილებლად დაიჭრიალებდა, მაგრამ სახელურს მაინც სწევდა. ისიც იცოდა, რომ რაკელს გაეღვიძებოდა, მძინარე თვალებით მიაჩერდებოდა და ამ მზერით შეეცდებოდა მის დასჯას, ვიდრე ჰარი თავისი საბნის ქვეშ არ შეძვრებოდა, ქალის სხეულს ჩაეკონებოდა და მისი სხეულის ძალას იგრძნობდა. რაკელს კმაყოფილების გამომხატველი კვნესა აღმოხდებოდა, მაგრამ მაინც ძილ-ბურანში იქნებოდა მანამ, სანამ ჰარი უფრო მძლავრად არ მიიზიდავდა და კბენას არ დაუწყებდა. ჰარი მისი მსახური იქნებოდა, სანამ ქალი ზედ ეჯდებოდა. და მაშინ ქალი უარს ამბობდა მძინარე მზეთუნახავის როლზე, კრუტუნებდა და კრუსუნებდა, ერთდროულად თავაშვებულიც იყო და შეურაცხყოფილიც.

სახელურს მოეჭიდა და მისი ბრტყელი, კუთხოვანი ფორმა ეცნო. ძალიან ფრთხილად დააწვა და ნაცნობ ჭრიალს დაელოდა, მაგრამ კარი არ ახმაურდა. რაღაც უცნაური ხდებოდა. კარი ძნელად იღებოდა. „ზამბარები დაჭიმეს?“

ფრთხილად დააბრუნა სახელური საწყის მდგომარეობაში და გასაღებისთვის განკუთვნილ ნახვრეტში გაიხედა. არაფერი ჩანდა.

— რაკელ, — დაიყვირა მან, — აქა ხარ?

არავინ უპასუხა. ყური კარს მიადო. მოეჩვენა, რომ რაღაცის კაწვრის ხმა მოესმა, მაგრამ არ იყო დარწმუნებული. კიდევ ერთხელ ჩაეჭიდა სახელურს და შეანჯღრია, მაგრამ ბოლოს გადაიფიქრა. მეზობლად მდებარე სააბაზანოში შევიდა, ფანჯარა გააღო და თავი გარეთ გაყო. საძინებლის რკინის გისოსებს შორის შუქი იღვრებოდა. ჰარი ფანჯრის ჩარჩოს კიდეზე დადგა, ფეხის კუნთები დაჭიმა და შეეცადა, საძინებლის ფანჯარას მისწვდენოდა. ცდილობდა, ხის მორებს მოსჭიდებოდა. თოვლი პირდაპირ სახეში სცემდა, ღაწვებზე ადნებოდა და მისი იარიდან მოთქრიალე სისხლში ირეოდა. მის ფეხქვეშ ფანჯრის ჩარჩო ჩაიზნიქა. „საცაა ჩატყდება". მისი ხელი ხუთფეხა ობობასავით მოძრაობდა. ხელჩასაჭიდს ეძებდა. დაძაბულობისგან მუცლის კუნთები სტკიოდა. ქვევით დაიხედა. იცოდა, თუ დავარდებოდა, თოვლის თხელი ფენის ქვეშ ასფალტი ელოდა.

თითის წვერებით რაღაც ცივს მისწვდა. გარე გისოსები აღმოჩნდა.ჯერ ორი თითი შეყო რიკულებს შორის, შემდეგ მთლიანად ხელი და ბოლოს მეორე ხელიც გისოსებს ჩასჭიდა და ზედ დაეკიდა. ზედმეტი წონით რომ არ დაეტვირთა რკინის კონსტრუქცია, ფეხები სახლის კედლებს მიაბჯინა. უკვე შეეძლო, საძინებელში შეეხედა. ტვინი უარს ამბობდა იმის აღქმაზე, რაც დაინახა. იცოდა, რომ მის წინაშე ორიგინალური ნაწარმოები იყო — შედევრი, რომლის ესკიზიც უკვე ნანახი ჰქონდა.

რაკელის ფართოდ გახელილი თვალები შავ ფოსოებს ჰგავდა. მუქი წითელი კაბა ეცვა. კამპარის ფერის... კოშელინის ფერის. რაკელს ძალიან მაღლა ჰქონდა აწეული თავი. თითქოს მაღალი ღობის იქით სურდა გადახედვა. ქალი მას უყურებდა. მხრები უკან გადაეწია. ჰარი მიხვდა, რომ ქალს ხე-

ლები ჰქონდა შეკრული. ლოყები ისე ჰქონდა გამობერილი, თითქოს პირში ჩვარი ან წინდა ჩაეტენათ. უზარმაზარი თოვლის კაცის მხრებზე იჯდა. შიშველი ფეხები თოვლის ქანდაკების მკერდთან ეხებოდა ერთმანეთს. ფეხის კუნთები დაძაბოდა. რაკელი არ უნდა ჩამოვარდნილიყო, იმიტომ, რომ კისერზე მავთული ჰქონდა გამობმული, მაგრამ არა ისეთი, როგორიც ელი კვალეს შეაბეს. რაკელის თავთან გახურებისგან გათეთრებული მავთულის მარყუჟი მოჩანდა. პლასტმასის შავი სახელურიდან, რომელსაც მარყუჟის ორი ბოლო უერთდებოდა, ჭერში დატანილ კაუჭამდე გაჭიმული თასმა მთელი ოთახის სიგრძეზე გაშლილიყო, მისი მეორე ბოლო კი კარზე იყო მიბმული. წვრილი, მაგრამ მტკიცე თასმა იყო. ჰარიმ სწორედ ამიტომ არ ჩამოსწია საძინებლის კარი ბოლომდე. ოთახის კარი რომ გაეღო ან ბოლომდე ჩამოეწია კარის სახელური, გათეთრებამდე გაცხელებული მარყუჟი რაკელს თავს მოაჭრიდა.

რაკელი ჰარის თვალს არ აცილებდა. გაშეშებულ სახეზე სიბრაზე და უსაზღვრო შიში აღბეჭდოდა. მარყუჟი ძალიან ვიწრო იყო და ამიტომ თავიდან ვერ მოეშორებინა. სულ ოდნავ მაინც რომ ჩამოეწია თავი, კანი მის თავზე ჩამოცმულ გაფიცხებულ ყულფს მიედებოდა, რომელიც თითქმის ვერტიკალურად ეკიდა.

ქალმა ჯერ ჰარის შეხედა, შემდეგ იატაკს და ბოლოს ისევ ჰარის გახედა. ჰოლე მიხვდა, რისი თქმაც სურდა რაკელს — ნაცრისფერი თოვლის გუნდა წყალში ცურავდა. თოვლის კაცი სწრაფად დნებოდა.

ჰარი დაიძაბა და მთელი ძალით შეეცადა, გისოსები გაეწია, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ოდნავაც კი ვერ გაღუნა. რიკულები მტკიცედ იყო ჩადგმული.

ქალი შეირხა.

— გამაგრდი, — დაიყვირა ჰარიმ, — ახლავე მანდ გავჩნდები.

იტყუებოდა. ამ კონსტრუქციას რკინის ძალაყინით ვერ დაღუნავდა. დრო აღარ ჰქონდა. „ეშმაკსაც წაუღია მამამისი და მისი ჩადგმული გისოსები!" უკვე ხელები უბუჟდებოდა. პოლიციის სირენის ხმა გაიგონა. სახლთან მანქანა გაჩერდა. ჰარიმ უკან მიიხედა და „დელტას" მანქანა დაინახა. ეზოში უზარმაზარი შეჯავშნული „ლენდ როვერი" იდგა. მგზავრის სავარძლიდან მწვანე უნიფორმაში გამოწყობილი მამაკაცი გადმოვიდა. საბარგული გახსნა და რაცია ამოიღო. ჰარის რაცია აშიშხინდა.

— ჰეი, — დაიყვირა ჰარიმ.

ეზოში მდგარმა ადამიანმა გაოცებით აიხედა ზევით.

— აქა ვარ, უფროსო.

გუნარ ჰაგენი მანქანიდან გადმოვიდა და ამ დროს ეზოს ციმციმებჩართული საპატრულო მანქანაც მოადგა.

— დავიწყოთ შტურმი? — ამოსძახა ჰაგენმა.

— არა! — უპასუხა ჰარიმ, — უბრალოდ დაელოდეთ. უნდა მოვიფიქროთ.

ჰარიმ ცივ გისოსებს მიადო თავი. საშინელ ტკივილს გრძნობდა. ელექტრომარყუჟს გამომრთველიც უნდა ჰქონდეს, რომელიც, სავარაუდოდ, სახელურზე უნდა ჰქონოდა. „შეიძლება მინის ჩამსხვრევა, ოთახში გრძელი ჯოხის შეყოფა და.. თუ გაგვიმართლებს..." მაგრამ როგორ უნდა დაეჭირა გამორთვის ღილაკისთვის ხელი ისე, რომ მთელი ეს კონსტრუქცია არ შერხეულიყო. ჰარი შეეცადა, არ ეფიქრა კანის თხელ ფენაზე, რომელიც საძილე არტერიას ფარავს. იგრძნო, რომ პანიკის ზღვარზე იყო მისული.

„კარით შესვლა რომ ვცადოთ? ოღონდ გაღების გარეშე. ამ-

ისათვის ხერხია საჭირო”.

— მეზობლებს ხერხი გამოართვით, — დაიყვირა ჰოლემ.

ჰარიმ ფეხის ხმა გაიგონა. ვიღაც გარბოდა. საძინებლიდანაც მოესმა რაღაც.

ოთახში შეიხედა და პირკატა ეცა — თოვლის კაცის მარჯვენა ნაწილი მთლიანად ჩამოშლილიყო. ქანდაკება დნებოდა. რაკელი ლარივით დაიჭიმა. წონასწორობის დაცვას და ცრემლის ფორმის გახურებული ყულფის შეხების თავიდან არიდებას ცდილობდა.

— ჰაგენ, — დაიყვირა ჰარიმ და საკუთარ ხმაში ისტერიკის ნოტები შენიშნა, — საპატრულო მანქანის საბარგულში ბაგირი დევს. გადმომიგდეთ და „ლენდ როვერი” მოაყენეთ კედელთან.

ჰარიმ ზმუილის ხმა გაიგონა. „ლენდ როვერი” დაიქოქა. ვიღაცამ საბარგული გააღო.

— დაიჭირე!

ჰარიმ ერთი ხელი გაუშვა გისოსებს და შებრუნდა. ბაგირის ერთი ბოლო უკვე მისკენ მოფრინავდა. თავისუფალი ხელი გაიქნია და დაიჭირა. ბაგირის მეორე ბოლო მძიმედ დაეცა მიწაზე.

— ბუქსირის ბრჯენზე მიაბით.

ბაგირის იმ ბოლოს, რომელიც თავად ეჭირა, ჩამკეტი ფიქსატორი ჰქონდა მიბმული, რომელიც ელვის სისწრაფით ჩამოაცვა ფანჯრის გისოსების ცენტრში რიკულს. „ხელბორკილებით ვარჯიშს უკვალოდ არ ჩაუვლია”.

— მიდი, — დაიყვირა მან.

ჰარი ორივე ხელით ჩაეჭიდა სახურავის განაკიდს, დაეკიდა, თავი აიზიდა და როდესაც მანქანის ძრავის ხმა გაიგონა, უკვე სახურავზე იყო. პირქვე იწვა კრამიტზე. თვალები დახუჭ-

ული ჰქონდა. ძრავის ხმა ესმოდა. ლითონის ბადის ჯოხების წკრიალიც გაიგონა. სულ უფრო ძლიერდებოდა ეს ხმა. „ჰა, მიდი!"

ჰარიმ იცოდა, რომ სინამდვილეში დრო იმაზე უფრო ნელა გადიოდა, ვიდრე ეგონა, მაგრამ საკმარისად ნელა მაინც არ გადიოდა. უცებ — როდესაც უკვე გისოსების დაცემის ხმას ელოდა — გაიგონა, როგორ იქცა „ლენდ როვერის" ძრავის ჩვეულებრივი ხმა უცნაურ ყმუილად. ჯანდაბა! მანქანა უიმედოდ ბუქსაობდა თოვლში.

გაიფიქრა, მხოლოდ ლოცვაღა დამრჩენიაო. მაგრამ იცოდა, რომ ღმერთს უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი ჰქონდა. წილი ნაყარი იყო და იმ ბილეთის ყიდვა ახლა მხოლოდ შავ ბაზარზე შეიძლებოდა. მაგრამ ჰარის სული არ იყო მზად იმისთვის, რომ რაკელის გარეშე ეცხოვრა. რკინის ჯოხებისგან შემდგარი უზარმაზარი, მძიმე კონსტრუქცია ასფალტზე დაეცა.

ჰარიმ ეს ხმა გაიგონა. შემდეგ ისიც მოესმა, როგორ დუმდებოდა „ლენდ როვერი" უცებ სრული სიჩუმე ჩამოვარდა, რასაც ყრუ გრუხუნი მოჰყვა, რაც იმას ნიშნავდა, რომ რამდენიმე ჯოხი მანქანის სახურავს დაეცა.

ჰარი ფეხზე წამოვარდა. ეზოსგან ზურგშექცევით, სახურავის კიდეზე იდგა და იმაზე ფიქრობდა, რამდენად ნელა გადიოდა დრო. ამის შემდეგ კი დაიხარა, სახურავის კიდეებს ორივე ხელით ჩაეჭიდა და გადახტა. გაიჭიმა და ფანჯრისკენ გაფრინდა. ფეხები წინ შემართა. იმ მომენტში, როდესაც მისი ფეხსაცმლის ქუსლებმა ძველი ფანჯრის მინა ჩაამსხვრიეს, ჰარიმ ხელები ჩამოუშვა. ჯანდაბა! მან ხომ იცოდა, სადაც უნდა გადამხტარიყო — ეზოში, მინისკბილებიან ფანჯარაში თუ საძინებელში.

გრუხუნის ხმა გაისმა და უცებ ყველაფერი გაშავდა.

ჰარი თითქოს უბრალო ვაკუუმში იმყოფებოდა — ვერაფერს გრძნობდა, არაფერი ახსოვდა და თავადაც არაფერს წარმოადგენდა.და როდესაც კიდევ ერთხელ დაინახა შუქი, მიხვდა, რომ უკან დაბრუნება უნდოდა. ტკივილი მთელ სხეულს მოედო. იგი ზურგით იწვა გაყინულ წყალში, ალბათ, მოკვდა. ჰარიმ ზევით აიხედა და ანგელოზი დაინახა, რომელსაც სისხლივით წითელი კაბა ეცვა და შარავანდედი ამშვენებდა. თანდათანობით სმენადობაც დაუბრუნდა, მოქმედებისთვის საჭირო ძალაც იგრძნო და სუნთქვაც აღუდგა. და უცებ დაინახა პანიკისგან დაგრეხილი სახე და ღია პირი, რომლიდანაც პატარა ყვითელი ბურთი მოჩანდა. ქალის ფეხები მთელი ძალით ეტმასნებოდა თოვლის კაცს. უბრალოდ, თვალების დახუჭვა უნდოდა, მაგრამ ისევ გაისმა ჩუმი კვნესის მსგავსი ხმა. თოვლი დნებოდა.

მოგვიანებით ჰარი ვერც კი იხსენებდა, რა მოხდა. მხოლოდ საშინელი სიმყრალე ახსოვდა, რომელსაც მარყუჟით დამწვარი კანი გამოსცემდა.

ჰარი იმ მომენტში წამოდგა, როდესაც თოვლის კაცი დაინგრა. რაკელი უკვე ვარდებოდა. ჰარიმ მარჯვენა ხელი ასწია, მარცხენა კი ქალს შემოხვია თეძოებზე და შეეცადა, შეემაგრებინა. ხვდებოდა, რომ უკვე გვიანი იყო. დამწვარი ხორცის სუნი დადგა. სახეზე სისხლი გადმოესხა. მაღლა აიხედა. მარჯვენა ხელი გათეთრებამდე გახურებულ მარყუჟსა და ქალის კისერს შორის ჰქონდა მოთავსებული. რაკელის კისერი ჰარის ხელის მტევანს ებჯინებოდა და მარყუჟი თითების რბილ ქსოვილს ისე კვეთდა, როგორც კვერცხის საჭრელი დანა — მაგრად მოხარშულ კვერცხს. მარყუჟი მისი ხელის თითებს ბოლომდე გაჭრიდა და რაკელის კისერზე გადავიდოდა. ტკივილი იგრძნო. თავიდან ყრუ, დაგვიანებული, სუსტი ტკივილი იგრძნო, შემდეგ

კი მტკიცე ფოლადმა კრიტიკულ ნიშნულს მიაღწია. ცდილობდა, წელში გამართულიყო. მარჯვენა ხელი უნდა გაეთავისუფლებინა. სისხლის გამო ვეღარაფერს ხედავდა. რაკელი მაღლა ასწია, მხარზე დაისვა და ხელი კიდევ უფრო ზევით შემართა. თითებით შეეხო ქალის კანსა და ხშირ თმას. გახურებული მარყუჟი თითებს უწვავდა, მაგრამ მაინც მისწვდა სახელურს. ღილაკს შეეხო და მარჯვნივ გასწია. თუმცა მაშინვე აუშვა ხელი, იმიტომ, რომ მარყუჟი დავიწროვდა. სხვა ღილაკი იპოვა და დააჭირა. ხმა მიწყდა, შუქმა ციმციმი დაიწყო და ჰარი მიხვდა, რომ ცოტა ხანში კიდევ ერთხელ დაკარგავდა გონებას. „ისუნთქე", — მიმართა საკუთარ თავს. მთავარი ჟანგბადია. ტვინს სჭირდება ჟანგბადი", — მაგრამ მუხლი მაინც ეკვეთებოდა. თეთრი მარყუჟი ჯერ გაწითლდა, შემდეგ კი თანდათან გაშავდა.

უკნიდან ფეხსაცმელების ქუსლებით დაფშვნილი მინის ხმა მოესმა.

— გვიჭირავს, — თქვა ვიღაცამ.

ჰარი მუხლებით დაეცა თოვლის ნარჩენებით სავსე, გასისხლიანებულ წყალში, რომელშიც გამოუყენებელი საბელები ეყარა. მისი ტვინი მომენტალურად ითიშებოდა და შემდეგ ისევ აქტიურდებოდა. თითქმის დამჯდარი აკუმულატორივით.

მის ზურგს უკან ვიღაცამ რაღაც თქვა. ჰარიმ მხოლოდ ფრაზის ნაწილი გაიგონა. ჩაისუნთქა და ამოიკვნესა:

— რა?

— ცოცხალია, — გაიმეორა ქალმა.

ნორმალური სმენა დაუბრუნდა. მხედველობაც. შებრუნდა. შავებში ჩაცმულმა ორმა კაცმა რაკელი საწოლზე დააწვინა და საბელები მოხსნა. ჰარიმ არწყია. ორი ღებინების შემდეგ ყველაფერი, რაც მის კუჭში იყო, გარეთ გამოიდევნა. წყალში მო-

ტივტივე ნარწყევს დახედა და იგრძნო, რომ ძალიან ეცინებოდა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს თითიც სხვა ყველაფერთან ერთად ამოანთხია. მარჯვენა ხელი ასწია და თითის გასისხლიანებულ ნარჩენს დახედა. წყალში მისი თითი ტივტივებდა.

— ოლეგ...

რაკელის ხმა იყო.

ჰარიმ ერთი პლასტმასის საბელი აიღო და შუათითის ნარჩენზე მოიჭირა. რამდენადაც შეეძლო, მჭიდროდ. მავთულმა საჩვენებელი თითის რბილი ქსოვილები გაუჭრა, მაგრამ ძვალი არ დაზიანებულა. ჰარიმ ამ თითზეც წაიჭირა საბელი.

ამის შემდეგ საწოლთან მივიდა, რაკელს საბანი დააფარა და მის გვერდით დაჯდა, ქალს შოკისგან გაფართოებული და გაშავებული თვალები ჰქონდა. კისრის ორივე მხარე სისხლით ჰქონდა მოსვრილი — იმ ადგილებში, სადაც კანს მარყუჟი შეეხო. ჰარიმ ქალის ხელს მარცხენა, ჯანსაღი ხელი მოჰკიდა.

— ოლეგი, — გაიმეორა რაკელმა.

— კარგადაა, — თქვა ჰარიმ. რაკელმა ხელი მოუჭირა, — მეზობლებთანაა. ყველაფერი დასრულდა.

ჰარიმ შეამჩნია, რომ ქალი მზერის ფოკუსირებას ცდილობდა.

— დარწმუნებული ხარ? — ძლივს გასაგონად თქვა რაკელმა.

— დარწმუნებული ვარ.

— მადლობა ღმერთს.

რაკელს ქვითინი წასკდა, შემდეგ კი სახეზე ხელები აიფარა და ატირდა.

ჰარიმ დაშავებულ ხელზე დაიხედა. უბრალოდ შეუჩერდა სისხლდენა თუ სისხლი აღარ დარჩა ორგანიზმში?

— სად არის მათიასი? — მშვიდად იკითხა ჰარიმ. ქალმა თავი ასწია და შეხედა.

— ხომ დამპირდი, რომ...

— სად წავიდა, რაკელ?

— არ ვიცი.

— რამე თქვა წასვლის წინ?

ქალმა ხელი მოუჭირა.

— არ წახვიდე, ჰარი. დარწმუნებული ვარ, სხვასაც შეუძლია...

— რა გითხრა, სანამ წავიდოდა?

ქალი შეკრთა. ჰარი მიხვდა, რომ ხმას აუწია.

— თქვა, რომ ყველაფერი დასრულებულია და ახლა ამ საქმის დასკვნით ნაწილზე გადადის, — თქვა მან და მის მუქ თვალებში ისევ გამოჩნდა ცრემლები, — და რომ ეს დასასრული სიცოცხლისთვის პატივის მიგება იქნება.

—„სიცოცხლისთვის პატივის მიგება?“ ასეთი ფორმულირება მოუძებნა სათქმელს?

ქალმა თავი დაუქნია. ჰარიმ ხელი გაითავისუფლა, წამოდგა და ფანჯარას მიუახლოვდა. ცა მოწმენდილიყო და აღარ თოვდა. მან განათებულ მონუმენტს შეხედა, რომელიც ოსლოს თითქმის ყველა წერტილიდან მოჩანს, ტრამპლინს, რომელიც ღამის წყვდიადში თეთრ მძიმეს ჰგავდა. ან წერტილს.

ამის შემდეგ ჰარი კიდევ ერთხელ მიუახლოვდა საწოლს, დაიხარა და რაკელს შუბლზე აკოცა.

— სად მიდიხარ? — იკითხა ქალმა.

ჰარიმ გასისხლიანებული ხელი ასწია და გაიღიმა.

— ექიმს მივაკითხავ.

ოთახიდან გამოვიდა. წვალებით ჩაათავა კიბე და ცივი, თეთრი წყვდიადით მოცულ ეზოში გავიდა, მაგრამ გულისრევ-

ამ და თავბრუსხვევამ მაინც არ გადაუარა.

„ლენდ როვერის" გვერდით ჰაგენი იდგა და ტელეფონზე ლაპარაკობდა.

როდესაც ჰარიმ იკითხა, ვინმე ხომ არ გამიყვანს მანქანითო, კომისარმა საუბარი შეწყვიტა და თავი დაუქნია.

ჰარი უკანა სავარძელზე დაჯდა. გაახსენდა, რომ რაკელმა ღმერთს შესწირა მადლობა. რა თქმა უნდა, არ იცოდა, რომ მის მადლობას სხვა იმსახურებდა. და არც ის იცოდა, რომ მყიდველი შემოთავაზებას დათანხმდა და ახლა ანგარიშსწორების დრო იყო.

— ქალაქის ცენტრში ჩავიდეთ? — იკითხა მძღოლმა.

ჰარიმ თავი გააქნია და თითი ზევით აიშვირა. მისი მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი უცნაურად მარტოდ მოჩანდა ცერათითსა და არათითს შორის.

თავი XXXVI

ოცდამეერთე დღე. კოშკი

რაკელის სახლიდან ჰოლმენკოლვეიენის ტრამპლინამდე მისვლას სამი წუთი დასჭირდა. გვირაბი გაიარეს და სუვენირების მაღაზიებს შორის გაჩერდნენ. სასრიალო ბილიკი ტრიბუნებს შორის გაშეშებულ თეთრ, გაყინულ ჩანჩქერს ჰგავდა, რომელიც ასი მეტრით ქვემოთ, მოსწორებული მოედნით მთავრდებოდა.

— საიდან იცი, რომ აქ არის? — იკითხა ჰაგენმა.

— თავად მითხრა, — უპასუხა ჰარიმ, — ერთხელ საციგურაო მოედნის ტრიბუნებზე ჯდომისას მითხრა, როდესაც ჩემი ცხოვრების მთავარი ამოცანა შესრულდება და თავს უიმედო ავადმყოფად ვიგრძნობ, აქ მოვალ და აქედან გადავხტებიო, — თქვა ჰარიმ და ღამის სიბნელის ფონზე მოკაშკაშე ტრამპლინზე, განათებულ კოშკურასა და სწრაფ ასასვლელებზე მიუთითა.

— გადარეული, — ჩაიჩურჩულა გუნარ ჰაგენმა და თვალების მოწკურვით დააკვირდა კოშკის თავზე მდებარე ჩაბნელებულ ფანჯრებს.

— ხელბორკილებს მათხოვებ? — ჰკითხა ჰარიმ მის გვერდით მჯდარ მძღოლს.

— რად გინდა, ხომ გაქვს აგერ? — იკითხა ჰაგენმა და ჰარის მარჯვენა ხელზე მიანიშნა, რომელზეც უფროს გამომძიებელს ერთ-ერთი სამაჯური ეკეთა. მეორე სამაჯური, რომელიც პირველს ჯაჭვით უერთდებოდა, ნახევრად გახსნილი ეკიდა ჰაერში.

— ორი წყვილი მჭირდება,—თქვა ჰარიმ და მძღოლს მისი ხე-

ლბორკილები გამოართვა, — დამეხმარეთ, თუ შეიძლება. შესაკრავად რამდენიმე თითი არ მყოფნის.

ჰაგენმა თავი გააქნია და ჰარის ბორკილი მეორე ხელზე შეაბა.

— არ მომწონს, მარტო წასვლა რომ გადაგიწყვეტია. მაშინებ.

— იქ არც ისე დიდი ადგილია იმისთვის, რომ ყველანი დავეტიოთ. ამასთან, მე, ალბათ, დამელაპარაკება კიდეც. გარდა ამისა, ესეც თან მაქვს, — თქვა ჰარიმ და კატრინის რევოლვერი ამოიღო.

— ყველაფრის მიუხედავად, ჰარი... მართლა მეშინია.

ჰოლემ უფროსს ხანმოკლე მზერა ესროლა, შებრუნდა და კარი მეორე, დაუზიანებელი ხელით გააღო.

პოლიციის ოფიცერმა ჰარი თხილამურების მუზეუმის შესასვლელამდე მიაცილა. კოშკის ლიფტში მოსახვედრად სწორედ ეს ადგილი უნდა გადაელახა, თან ძალაყინი წამოიღეს, ფანჯრის ჩამსხვრევასა და შიგნით შეღწევას ცდილობდნენ, მაგრამ როდესაც უფრო ახლოს აღმოჩნდნენ, ფარნის შუქი იმ მინის ნამსხვრევებზე გადაიტეხა, რომლებიც ბილეთების სალაროების განყოფილების იატაკზე დაიყარა. მუზეუმის შიგნიდან ყრუდ მოისმოდა სიგნალიზაციის ხმები.

— ყოველ შემთხვევაში, ახლა უკვე ვიცით, რომ ობიექტი ადგილზეა, — თქვა ჰარიმ და რევოლვერი შარვლის ქამარში გაიჩხირა, — როდესაც კიდევ ერთი საპატრულო მანქანა მოვა, უკანა გასასვლელზე ორი დარაჯი დააყენე.

ჰარიმ ფარანი აიღო და მუზეუმის ბნელ სივრცეში შეაბიჯა. იგი ნორვეგიელი მოთხილამურეების ფოტოებისა და პოსტერების, ნორვეგიის დროშის, ნორვეგიული თხილამურის საპოხის, ნორვეგიის მეფეებისა და კრონპრინცესების გარემოში

მოხვდა. აქვე იყო ტექსტები, სადაც აღნიშნული იყო, თუ რა კარგ ერს წარმოადგენდნენ ნორვეგიელები. და, უცებ, ჰარი მიხვდა, რატომ ვერ იტანდა ამ მუზეუმს.

ლიფტი შენობის უკანა მხარეს მდებარეობდა. პატარა, ვიწრო ლიფტი აღმოჩნდა. ჰარიმ იგრძნო, რომ ცივმა ოფლმა დაასხა. ლიფტის გვერდით ფოლადის კიბე მოჩანდა.

რვა საფეხურის ავლის შემდეგ ინანა, რომ ამ კიბეზე ასვლა გადაწყვიტა. ისევ სუსტად იგრძნო თავი და თან გულისრევის შეგრძნება დაუბრუნდა. თავი ვერ შეიკავა და გადაარწყია. რკინის კიბეზე დადგმული ფეხის ხმა მთელ კოშკს სწვდებოდა, მაჯებზე ჩამოკონწიალებული ხელბორკილები კი მოაჯირზე ჟღრიალებდა. როგორც წესი, ასეთ შემთხვევებში სისხლში ადრენალინის დონე მატულობს ხოლმე და სხეული საბრძოლოდ მომართული ხდება, მაგრამ, როგორც ჩანს, ჰარი ისე გადაიღალა და დასუსტდა, რომ მასზე სტიმულები არ მოქმედებდა ან, ალბათ, უბრალოდ იცოდა, რომ ყველაფერი დასრულდა. თამაშის შედეგი ყველასთვის აშკარა იყო.

ჰარი მაინც წინ მიიწევდა. საფეხურებზე ადგამდა ფეხებს და არც კი ფიქრობდა იმაზე, რომ ძალიან ხმაურობდა. იცოდა, რომ მათიასმა დიდი ხნის წინ გაიგო.

კიბე პირდაპირ ბნელ ფანჩატურზე გადიოდა. ჰარიმ ფარანი გამორთო. როგორც კი იატაკს ასცდა, მაშინვე იგრძნო ცივი ჰაერის ქროლა. ფანჩატურს მთვარის მკრთალი სინათლე ეცემოდა. ეს იყო თექვსმეტი კვადრატული მეტრი ფართობის მქონე შემინული კონსტრუქცია, რომელსაც ფოლადის მოაჯირი ჰქონდა. სწორედ ამ მოაჯირებს ეყრდნობოდნენ აღფრთოვანებული ტურისტები, რომლებიც შიშისგან ყვიროდნენ და ოსლოსა და მისი მიმდებარე ტერიტორიების ხედებით ტკბებოდნენ, ან უბრალოდ იმ შეგრძნებაზე ფიქრობდნენ, რომელიც

ადამიანებს აქედან თხილამურებით დაშვების დროს ეუფლებათ ხოლმე. შესაძლოა, ვინმე იმაზეც ფიქრობდა, როგორი განცდა აქვს ადამიანს, რომელიც კოშკიდან ვერტიკალურად ეცემა, სახლებისკენ მიფრინავს და შორეული ხეების კენწეროებს ეკიდება.

ჰარი ზევით ავიდა და შეტრიალდა ადამიანის სილუეტისკენ, რომლის გარჩევაც თითქმის შეუძლებელი იყო ქალაქის შუქის ანარეკლის გამო. ფიგურა დიდი ღია ფანჯრის კიდეზე იჯდა. თურმე სწორედ ეს ღია ფანჯარა ყოფილა სიცივის მიზეზი.

— ლამაზია, არა? — თითქმის ხალისიანად თქვა მათიასმა.

— გეთანხმები, თუკი ხედს გულისხმობ.

— ხედს არ ვგულისხმობ, ჰარი.

მათიასის ცალი ფეხი ფანჯრის გარეთა მხარეს ეკიდა. ჰარი კიბესთან იდგა.

— ვინ მოკლა ის ქალი, ჰარი, შენ თუ „თოვლის კაცმა"?

— შენ როგორ გგონია?

— ჩემი აზრით, შენ მოკალი. შენ ხომ ჭკვიანი ბიჭი ხარ. მე ყველაფერი გავთვალე. საზიზღარი შეგრძნებაა, არა? ასეთ შემთხვევაში ძნელია სილამაზეზე მოახდინო კონცენტრაცია. იმ შემთხვევებს ვგულისხმობ, როდესაც ადამიანი იმას კლავს, ვინც ყველაზე მეტად უყვარს.

— ისე... — თქვა ჰარიმ და კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა მათიასს, — არა მგონია, ამ საკითხისა რაიმე გაგეგებოდეს.

— ასე გგონია? — მათიასმა ფანჯრის ჩარჩოს მიადო თავი და გაიცინა, — ამქვეყნად ყველაზე და ყველაფერზე მეტად ის ქალი მიყვარდა, რომელიც პირველად მოვკალი.

— მაშ, რატომ მოიქეცი ასე?

ჰარიმ აუტანელი ტკივილი იგრძნო, როდესაც მარჯვენა ხელი უკან წაიღო და იარაღს სტაცა ხელი.

— იმიტომ, რომ დედაჩემი მატყუარა და ბოზი იყო, — თქვა მათიასმა.

ჰარიმ ხელის რკალისებური მოძრაობა გააკეთა და რევოლვერი შემართა.

— ჩამოდი მაქედან, მათიას. ხელები ასწიე და ისე ჩამოდი. მათიასი გაოცებული შესცქეროდა.

— იცი, რომ არსებობს ოცპროცენტიანი ალბათობა იმისა, რომ დედაშენიც ბოზი იყო? ოცპროცენტიანი ალბათობა იმისა, რომ ბოზის შვილი ხარ? აბა, რას იტყვი ამაზე?

— მე უკვე გითხარი ჩემი სათქმელი, მათიას.

— ნება მიბოძე, მარტივად აგიხსნა ყველაფერი, ჰარი. პირველ რიგში, მინდა იცოდე, რომ უარს ვამბობ შენი ბრძანების შესრულებაზე. ამასთან, შეგიძლია თქვა, რომ ჩემს ხელებს ვერ ხედავდი და, ამდენად, არ იყო გამორიცხული, რომ შეიარაღებული ვიყავი. ამიტომ შეგიძლია, მესროლო, ჰარი.

— ჩამოდი.

— რაკელი ბოზი იყო, ჰარი, ოლეგი კი ბოზის ვაჟია. მადლობა უნდა მითხრა, რომ მისი მოკვლის საშუალება მოგეცი.

ჰარიმ რევოლვერი მარცხენა ხელში გადაიტანა. ხელბორკილების თავისუფალი სამაჯურები ერთმანეთს შეეჯახა და აწკარუნდა.

— იფიქრე ამაზე, ჰარი. თუკი დამაპატიმრებ, არაჯანსაღი ფსიქიკის მქონე ადამიანად გამომაცხადებენ, რომელიმე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გამომკეტავენ რამდენიმე წლით და შემდეგ გამომიშვებენ. ახლავე მომკალი.

— შენ სიკვდილი გინდა, — თქვა ჰარიმ და მათიასს მიუახლოვდა, — იმიტომ, რომ მალე ისედაც გაგანადგურებს სკლეროდერმა.

მათიასმა ფანჯრის ჩარჩოს მიარტყა ხელი.

— ყოჩაღ, ჰარი. თურმე გადაგიმოწმებია ის, რაც ჩემს სისხლში მოხვედრილი ანტისხეულების შესახებ გითხარი.

— იდარს ვკითხე და ამის შემდეგ სკლეროდერმის თვისებები შევისწავლე. თუკი ადამიანს ასეთი სენი სჭირს, სიხარულით დათანხმდება სხვანაირ სიკვდილს. მაგალითად, ეფექტიან სიკვდილს, რომელიც შენს ამ ეგრეთ წოდებულ „სიცოცხლის საქმეს" დააგვირგვინებს.

— შენს ნათქვამში ზიზღი იგრძნობა, მაგრამ ოდესმე შენც მიხვდები.

— რას მივხვდები?

— იმას, რომ ორივე ერთ საქმეს ვაკეთებთ, ჰარი. დაავადებებს ვებრძვით, მაგრამ ჩემი და შენი დაავადებების შედარებაც არ შეიძლება. ყველა გამარჯვება დროებითია. ასე რომ, ეს უბრალოდ ბრძოლაა, რაც ჩვენი ცხოვრების მთავარ საქმეს წარმოადგენს. და ჩემი ბრძოლა აქ მთავრდება. არ გინდა, მესროლო, ჰარი?

პოლიციელმა და ექიმმა თვალებში ჩახედეს ერთმანეთს. ამის შემდეგ ჰარიმ რევოლვერი დაატრიალა და მათიასს გადააწოდა.

— აი, შენ თვითონ გაიხვრიტე თავი, შე ნაბიჭვარო!

მათიასმა შუბლი შეიჭმუხნა. ჰარიმ ექიმის მზერაში ყოყმანი და ეჭვი შეამჩნია, რომელიც ბოლოს ღიმილში გადაიზარდა.

— როგორც მეტყვი, — თქვა მათიასმა, ხელი გამოიშვირა, რევოლვერი აიღო და შავ, მბრწყინავ იარაღს ხელი გადაუსვა, — დიდი შეცდომა დაუშვი, მეგობარო, — თქვა მან და ჰარის რევოლვერი დაუმიზნა, — შენ მსუქან წერტილად იქცევი, ჰარი, იმის გარანტიად, რომ ხალხს დავამახსოვრდები.

ჰარიმ შავ ლულას შეხედა. ჩახმახს უკვე წამოწეული ჰქონდა პატარა, უშნო თავი. თითქოს დრო შეჩერდა და ყველაფერ-

მა ტრიალი დაიწყო. მათიასმა მიზანი გაისწორა. ჰარიმაც გაისწორა და მარჯვენა ხელი მოიქნია. ხელბორკილი დაბალი ხმით აღმუვლდა ჰაერში, როდესაც მათიასმა სასხლეტს გამოჰკრა თითი.

რევოლვერის ტკაცუნი და მეტალის ხელბორკილის ცემის ხმა ერთდროულად გაისმა.

— რაკელი გადარჩა, — თქვა ჰარიმ, — მიზანს ვერ მიაღწიე, შენ ეშმაკისეულო ნაბიჭვარო.

ჰარიმ დაინახა, რომ მათიასს თვალები გაუფართოვდა. შემდეგ დაუვიწროვდა. შეამჩნია, რომ ლუნ-ჰელგესენი რევოლვერს მიაჩერდა. რევოლვერს, რომელმაც არ გაისროლა, ამის შემდეგ კი მათიასმა იმ ხელბორკილს დახედა, რომელიც მის მაჯას შემოვლებოდა. ფაქტობრივად, ჰარის გადაება.

— უბრალოდ... უბრალოდ ტყვიები ამოგიღია!

ჰარიმ თავი გააქნია.

— კატრინ ბრატს არასდროს ჩაუდვია ტყვიები თავის რევოლვერში.

მათიასმა ჰარის ახედა და უკან გადაიწია.

— კარგი, რა!

და გადახტა.

ჰარი უნებლიეთ გადაიხარა წინ და კინაღამ წონასწორობა დაკარგა. შეეცადა, რამესთვის ჩაევლო ხელი, მაგრამ მათიასი მეტისმეტად მძიმე აღმოჩნდა, ჰარიმ კი იმდღევანდელი თავგადასავლების შემდეგ ბევრი სისხლი დაკარგა და ძალაც გამოელია. ჰარი ღმუოდა, მაგრამ უკვე უნებლიეთ ლითონის ჩარჩოში ძვრებოდა. მათიასის წონა ჯერ ფანჯრისკენ, შემდეგ კი უფსკრულისკენ მიათრევდა. და ვიდრე თავისუფალ მარცხენა ხელს გააქნევდა, გონებაში საკუთარმა გამოსახულებამ გაუელვა. მოეჩვენა, რომ ხედავდა, როგორ იჯდა ჩიკაგოში,

„კარბინ-გრინის” ერთ-ერთ ბინძურ ოთახში მდგარ სავარძელ ში. ჰარიმ მეტალის ჟღარუნის ხმა გაიგონა, შემდეგ კი ღამის წყვდიადში გადაეშვა. თამაში დასრულებული იყო.

--

გუნარ ჰაგენი ტრამპლინს გასცქეროდა, მაგრამ მორიგად გახშირებული თოვლის ფანტელები ძალიან უშლიდა ხელს.

— ჰარი, — ჩასძახა რაციას, — გესმის ჩემი?

მიკროფონის ღილაკს ხელი აუშვა, მაგრამ პასუხი მაინც არ მიუღია. ეთერში მხოლოდ შხუილის ხმა ისმოდა.

ტრამპლინის გვერდით მდებარე ავტოსადგომზე უკვე ოთხი საპატრულო მანქანა იდგა. მანქანებიდან გადმომხტარი პოლიციელები ძალიან აღელდნენ, როდესაც რამდენიმე წამის შემდეგ ყვირილის ხმა გაიგონეს.

— ჩამოვარდნენ, — დაიძახა ჰაგენის გვერდით მდგარმა სერჟანტმა, — გეფიცებით, კარგად დავინახე, როგორ გადმოეშვა ორი ადამიანი კოშკის ზედა ნაწილიდან.

სასოწარკვეთილმა გუნარ ჰაგენმა თავი ჩაქინდრა. ვერ ხვდებოდა, რატომ და რა მხრივ, მაგრამ სიტუაციის აბსურდულობის მიუხედავად, ამ ყველაფერში რაღაც უცნაური ლოგიკა დაინახა. სწორედ ასე უნდა დასრულებულიყო ეს საქმე. ამ ამბის ბოლო აკორდი ერთგვარი კოსმოსური წონასწორობის განმსაზღვრელად ესახებოდა.

სისულელეა! სრული სისულელეა!

ქარბუქის გამო კომისარს არ ესმოდა სირენების მოთქმა, რომელთა ხმაც მოტირალი ქალების გოდებას ჰგავდა. პოლიციის მანქანები უკვე მოდიოდნენ. და მან იცოდა, რომ ეს ხმა ლეშიჭამიებსაც მოიზიდავდა — მედიის სვავებს, ჭორიკანა მეზობლებსა და სისხლს მოწყურებულ უფროსობას. ისინი მოვი-

დოდნენ, რათა ამ ყველაფრისგან სანუკვარი ლუკმა გამოეგ
ლიჯათ. ამ საღამოს მათ ორი უგემრიელესი კერძი ელოდათ — საზიზღარი „თოვლის კაცი" და საზიზღარი პოლიციელი.

— ქვემოთ უნდა იყვნენ, — დაიყვირა ჰაგენმა, — სახლის სახურავები შეამოწმეთ?

ჰაგენი ელოდა, მაგრამ გულში იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ ახსნიდა ამ თვითშემოქმედებას და იმას, რომ ჰარი მარტო გაუშვა. მიუხედავად იმისა, რომ კომისარს ჰარიზე მაღალი წოდება ჰქონდა, ის ჰოლესთვის ხელმძღვანელი არასდროს ყოფილა. როგორ ახსნას ეს? ამაშიც იყო თავისებური ლოგიკა და ჰაგენს არ ადარდებდა, ჩასწვდებოდნენ ამ კანონზომიერებას თუ არა.

— რა მოხდა?

ჰაგენი შებრუნდა. მის წინ მაგნუს სკარე იდგა.

— ჰარი ჩამოვარდა, — თქვა ჰაგენმა და კოშკისკენ მიუთითა. ამჟამად გვამებს ეძებენ.

— გვამებს? ჰარის გვამს? შანსი არა აქვთ.

„შანსი არა აქვთ?"

ჰაგენი სკარეს მიუბრუნდა. მაგნუსი ყურადღებით აკვირდებოდა კოშკს.

— არადა, მეგონა, უკვე კარგად იცნობდით მაგ ბიჭს, ჰაგენ. რაციაში გაისმა:

— აქ არ არიან.

სკარე ჰაგენს მიუბრუნდა და თვალებში ჩახედა. ბოლოს მაგნუსმა ისე აიჩეჩა მხრები, თითქოს ამბობდა, ხომ გეუბნებოდითო.

— ჰეი, — უყვირა ჰაგენმა „ლენდ როვერის" მძღოლს და ციმციმაზე მიუთითა, — აანთე, სულ ზევით მიმართე და ვინმემ ბინოკლი მათხოვეთ.

რამდენიმე წამში ღამის სიბნელე შუქმა გაკვეთა.

— ჩანს რამე? — იკითხა სკარემ.

— თოვლი, — თქვა ჰაგენმა და ბინოკლი თვალებთან მიიტანა, — ქვევით, უფრო ქვევით მიანათე. შეჩერდი! მოიცადე... ღმერთო ჩემო!

— რა ხდება?

— ეშმაკმა დალახვროს!

და უცებ ქარბუქმა მიმართულება შეიცვალა და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს გიგანტური სასცენო ფარდა გაიხსნა. ჰაგენმა პოლიციელების შეძახილები გაიგონა. ზევით ორი ადამიანი მოჩანდა. იმ ფიგურებივით ეკიდნენ, რომლებსაც უკანა ხედვის სარკეებზე ამაგრებენ ხოლმე. ის, ვინც უფრო ქვემოთ ეკიდა, ტრიუმფალური ჟესტით სწევდა ხელს, მეორეს კი ისე გაეშვირა ხელები განზე, თითქოს ჯვარზე გაეკრათ. არც ერთს არ ეტყობოდა სიცოცხლის ნიშანწყალი.

ბინოკლის საშუალებით ჰაგენმა დაინახა ხელბორკილები, რომელთა საშუალებითაც ჰარი ფანჩატურის მოაჯირის შიდა მხარეს ეჭიდებოდა.

როდესაც ჰარი გონზე მოვიდა, დაკარგული ადამიანების სამძებრო განყოფილების ახალგაზრდა ოფიცერი თომას ჰელე ადგა თავზე. ჰოლე და ლუნ-ჰელგესენი ოთხმა პოლიციელმა ამოათრიეს ფანჩატურში. მოგვიანებით ჰელე ხშირად იხსენებდა ჰარის გამაოგნებელ რეაქციას გონზე მოსვლის შემდეგ:

— არანორმალურის მზერა ჰქონდა. რამდენჯერმე იკითხა, ცოცხალია ლუნ-ჰელგესენიო. თითქოს ეშინოდა, რომ „თოვლის კაცი” მოკვდებოდა. თითქოს იმ მანიაკის სიკვდილზე უა-

რესი ვერაფერი მოხდებოდა. როდესაც ვუთხარი, ცოცხალია და სასწრაფო დახმარების სამსახურის მანქანით მიჰყავთ ქალაქში-მეთქი, მხოლოდ ის თქვა, რომ ლუნ-ჰელგესენისთვის თასმები და ქამარი წაერთმიათ, რათა თვითმკვლელობა არ ეცადა. გსმენიათ ოდესმე მსგავსი რამე? კაცს კინაღამ ყოფილი სატრფო მოუკლა იმ მხეცმა, ეს კიდევ მასზე ზრუნავს!

თავი XXXVII

ოცდამეორე დღე. მამიკო

იუნასს კართან შებმული ჩხრიალა მილების ხმა მოესმა, მაგრამ მაინც შეეცადა, დაეძინა. მაგრამ შემდეგ რაღაც მოგუდული ხმები გაიგონა და თვალები გაახილა. მის ოთახში ვიღაც იყო. მამიკო აღმოჩნდა. მისი საწოლის კიდეზე იჯდა, ის ყრუ ბგერები კი მისი ტირილის ხმა ყოფილა.

იუნასი საწოლზე წამოჯდა, მამის მხარს ხელი მიადო და იგრძნო, რომ მამა ცახცახებდა. ეუცნაურა. მანამდე არასდროს შეუნიშნავს, რომ მამამისს ასეთი ვიწრო მხარ-ბეჭი ჰქონდა.

— იპოვეს... იპოვეს, — ქვითინით თქვა მან, — დედიკოს...

— ვიცი, — თქვა იუნასმა, — დამესიზმრა.

მამა გაოცებისგან შექანდა. ფარდებს შორის მთვარის შუქი იპარებოდა და ეს სინათლე საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რათა იუნასს მამის ღაწვებზე ცრემლი დაენახა.

— მხოლოდ შენ და მე დავრჩით, მამიკო, — თქვა ბიჭმა.

მამამ პირი გააღო. ერთხელ. მეორედ. მაგრამ ვერაფერი თქვა. შემდეგ ხელები გაშალა, იუნასს შემოეხვია და მაგრად ჩაეხუტა. იუნასმა მამის კისერს მიადო თავი. ატირებული მამიკოს ცხელი ცრემლი ბიჭს პირდაპირ ყიფლიბანდზე ეცემოდა.

— იცი, რას გეტყვი, იუნას? — ჩაიჩურჩულა აცრემლებულმა მამამ, — მე შენ ძალიან მიყვარხარ. შენ ყველაზე ძვირფასი ხარ, რაც გამაჩნია. ჩემი ბიჭი ხარ. გესმის? ჩემი ბიჭი. და ყოველთვის ასე იქნება. გადავიტანთ ამ უბედურებას. ხომ ასეა? როგორ ფიქრობ?

— კი, მამიკო, — ჩაიჩურჩულა იუნასმა, — გადავიტანთ. შენ და მე.

თავი XXXVIII

2004 წლის დეკემბერი. გედები

დეკემბერი დამდგარიყო და საავადმყოფოს ფანჯრებიდან ნაცრისფერი ცა და შიშველი, ყავისფერი მინდვრები მოჩანდა. ავტომაგისტრალის მშრალ ასფალტზე ზამთრის საბურავების ჭრიალის ხმა ისმოდა, საფეხმავლო ხიდზე კი სწრაფი ნაბიჯით მიმოდიოდნენ ქვეითები, რომლებსაც სახეები პალტოების საყელოებში ჩაერგოთ. მაგრამ აქ, შენობის კედლებს შორის, ადამიანები უფრო ახლოს იყვნენ და პალატის მაგიდაზე შობის მარხვის მეორე კვირის აღსანიშნავად ორი სანთელი ენთო.

ჰარი კართან გაჩერდა. სტოლე ეუნე საწოლის საზურგეზე გადაწოლილიყო. სავარაუდოდ, ჰარის გამოჩენამდე სულ ცოტა ხნის წინ რაღაც სახალისო უთხრა კრიმინალური განყოფილების უფროსს, ბეატე ლიონს, რომელიც იცინოდა. ქალს კალთაში ეჯდა წითელლოყება, პირღია ბავშვი, რომელიც დიდი მრგვალი თვალებით უყურებდა ჰარის.

— ძმაკაც! — დაიხუვლა სტოლემ, როდესაც პოლიციელი შენიშნა.

ჰარი პალატაში შევიდა, ოთახში მყოფებს თავი დაუკრა, ბეატეს გადაეხვია და ეუნეს ხელი ჩამოართვა.

— უკეთესად გამოიყურები, — უთხრა ინსპექტორმა.

— შობამდე გაგწერთო, მეუბნებიან, — თქვა ეუნემ, თან ჰარის ხელი გადმოატრიალა და დააკვირდა, — ვიღაცას მეგობრულად დაუკაწრავხარ. რა მოხდა?

ჰარიმ სტოლეს მისი მარჯვენა ხელის უკეთესად დათვალი-

ერების საშუალება მისცა.

— შუათითი ვერ შემინარჩუნეს, მხოლოდ საჩვენებელი თითის მყესების მიკერება შეძლეს. ნერვული დაბოლოებები თვეში ერთი მილიმეტრის სიჩქარით მეზრდება და თანდათან მიხორცდება, მაგრამ ექიმმა თქვა, რომ ერთ მხარეს ქრონიკული პარალიზი მექნება.

— მაღალი ფასი გადაგიხდია.

— სულაც არა. პატარა ლუდის ფასი გადავიხადე. ეუნემ თავი დაუქნია.

— სასამართლო სხდომები თუ დაინიშნა? — იკითხა ბეატემ და წამოდგა, რათა ბავშვი ეტლში ჩაესვა.

— არა, — უპასუხა ჰარიმ, რომელიც ექსპერტ-კრიმინალისტის დახვეწილი მოძრაობებით ტკბებოდა.

— დაცვა ცდილობს, სასამართლომ ლუნ-ჰელგესენი შეურაცხადად აღიაროს, — თქვა ეუნემ. ფსიქიკური დაავადებების მქონე ადამიანების აღსანიშნავად ყოველთვის სიტყვა „შეურაცხადს" იყენებდა, რომელიც კარგა ხანია აღარ იხმარებოდა და, მისი აზრით, არა მხოლოდ დელიკატურ, არამედ პოეტურ ფორმულირებას წარმოადგენდა, — და, რა თქმა უნდა, მიზანს მიაღწევს. სხვა შემთხვევაში დაცვის ექსპერტებს ჩემზე უარეს ფსიქოლოგებად ჩავთვლი.

— კი, მაგრამ ყველა შემთხვევაში სამუდამო პატიმრობა ელის, — თქვა მან და ბავშვის გადასაფარებლის დაუთოება დაიწყო.

— ასეთი სიცოცხლე გინდ გქონია, გინდ არა, — დაიგრუხუნა ეუნემ და ტუმბადან ჭიქა აიღო. — რაც უფრო მემატება ასაკი, მით მეტად ვრწმუნდები, რომ ბოროტება ბოროტებაა. და მნიშვნელობა არა აქვს, მენტალური დაავადება აწუხებს ბოროტმოქმედს თუ არა. თითოეული ჩვენგანი მეტ-ნაკლებად, მაგრ-

ამ მაინც მიდრეკილია ბოროტებისკენ, მაგრამ ეს ვერ გაგვამართლებს. ღვთის გულისათვის!

თითოეული ჩვენგანს აქვს პიროვნული დარღვევები და მხოლოდ ჩვენი ქმედებები განსაზღვრავს, რამდენად ავად ვართ. კანონის წინაშე ყველა თანასწორიაო, ვამბობთ, მაგრამ ამ ნათქვამს აზრი არა აქვს, იმიტომ, რომ თანასწორი არავინაა. შავი ჭირის დროს იმ მეზღვაურებს, რომლებიც დაახველებდნენ, მაშინვე ზღვაში აგდებდნენ. რა თქმა უნდა, ისინი თანასწორები იყვნენ. სამართლიანობა კი ბლაგვი დანაა როგორც ფილოსოფიური, ისე სამართლებრივი მნიშვნელობით. ერთადერთი, რაც გაგვაჩნია, კარგი, ან არც ისე კარგი, სამედიცინო პერსპექტივებია, მეგობრებო.

— და, მიუხედავად ამისა, — თქვა ჰარიმ და თავისი შუათითის შეხვეულ ნარჩენს დააკვირდა, — ამ შემთხვევაში, ცხოვრების ბოლომდე აღარ შეიცვლება.

— რა?

— არასახარბიელო სამედიცინო პერსპექტივები.

ოთახში სიჩუმე ჩამოწვა.

— გითხარით, რომ თითის პროთეზის გაკეთება შემომთავაზეს? — თქვა ჰარიმ და მარჯვენა ხელი გააქნია, — მაგრამ ჩემი ხელი ისეთი მომწონს, როგორიც არის. ოთხთითა ხელი. ისეთი, როგორიც მულტფილმების პერსონაჟებს აქვთ.

— იმ თითს რა ბედი ეწია?

— შევეცადე ანატომიის ინსტიტუტისთვის შემეწირა, მაგრამ არ დაინტერესდნენ. ამიტომ ბალზამირებას ჩავუტარებ და სამუშაო მაგიდაზე დავდებ — ისე, როგორც ჰაგენს უდევს იაპონელის ნეკა თითი. ვფიქრობ, მარჯვენა ხელის შუათითისგან მშვენიერი სუვენირი გამოვა.

ჰარის ნათქვამზე ორივეს გაეცინა.

— ოლეგი და რაკელი როგორ არიან?

— უცნაურია, მაგრამ კარგად, — თქვა ჰარიმ, — ბედს არ ეპუებიან.

— და კატრინ ბრატი?

— უკეთესად. გასულ კვირას მოვინახულე. თებერვალში დაუბრუნდება სამსახურს, ბერგენის სექსუალური დანაშაულების განყოფილებაში.

— მართლა? და მრისხანების შემოტევისას ხალხს სროლას არ დაუწყებს?

— არა. ყველაფერი ისე არ არის, როგორც მე წარმომედგინა. დაპატიმრებისას ცარიელი რევოლვერი ეჭირა თურმე. აი, ამიტომ აჭერდა ასე თამამად სასხლეტს და მე კი ამ დროს ჩახმახის ხმა გავიგონე. უნდა მივმხვდარიყავი.

— როგორ?

— როგორ და... როდესაც ერთი პოლიციური სამმართველოდან მეორეში გადადიხარ, საკუთარ რევოლვერს აბარებ და ახალ სამსახურში იღებ ახალ იარაღს ტყვიების ორ ყუთთან ერთად. მე კი კატრინის მაგიდაში ტყვიების ორი გაუხსნელი ყუთი ვიპოვე.

ერთხანს ისევ დადუმდნენ.

— კარგია, რომ გამოჯანმრთელდა, — თქვა ბეატემ.

— ჰო, — ჰარიმ და გაიფიქრა, რომ ყველაფერი მართლაც თავის ადგილს დაუბრუნდა. იგი ბერგენში ესტუმრა კატრინს, დედამისის სახლში. ჰარის ვიზიტამდე კატრინმა კარგა გრძელ დისტანციაზე ირბინა სანდვიკენის მთაზე და შხაპი მიიღო. კატრინი ჯერ კიდევ სველი თმით იჯდა. ლოყები ასწითლებოდა. დედამ ჩაი შემოიტანა. კატრინი კი უყვებოდა, როგორ გახდა მამამისის საქმე მისი ცხოვრების აზრი და მოუბოდიშა ჰარის, რომ თავის საქმეში ჩაითრია. თუმცა ჰოლეს კატრინის თვალ-

ებში სინანულის ნატამალიც კი არ დაუნახავს.

— ჩემმა ფსიქიატრმა მითხრა, რომ ჩვეულებრივ ადამიანზე რამდენიმე ნაჭდევით უფრო ექსცენტრიკული ვარ, — თქვა კატრინმა, გაიცინა და მხრები აიჩეჩა, — მაგრამ ახლა ყველაფერი დასრულდა. ეს საქმე ბავშვობიდან თან მდევდა. ახლა მისი სახელი აღარ არის შებღალული და უკვე შემიძლია ჩემი ცხოვრებით ვიცხოვრო.

— შენს ცხოვრებაში სექსუალური დანაშაულების განყოფილების საბუთების გადატან-გადმოტანას გულისხმობ?

— აქედან დავიწყებ და მერე ვნახოთ. უმაღლესი რანგის პოლიტიკოსებიც კი ბრუნდებიან ხოლმე.

ამის შემდეგ კატრინმა ფანჯარას გახედა, საიდანაც ფიორდი მოჩანდა. ალბათ, ფინიოისკენ იხედებოდა. და როდესაც ქალს დაემშვიდობა, ჰარიმ ზუსტად იცოდა, რომ კატრინის ტკივილი არ გამქრალა და არც გაქრებოდა ოდესმე.

თავის ხელს დახედა. ეუნე მართალი იყო, თუკი ყველა ბავშვი იდეალური სასწაული იყო, სიცოცხლე, ძირითადად, დეგენერაციის პროცესს წარმოადგენდა. კართან მდგარმა მედდამ ჩაახველა.

— ნემსების დროა, ეუნე.

— გთხოვთ, დამანებეთ თავი, თუ შეიძლება.

— აქ არავის ანებებენ თავს.

სტოლე ეუნემ ამოიოხრა და მედდას მიმართა:

— მითხარით, გეთაყვა, რა უფრო ცუდია — მოკლა ადამიანი, რომელსაც სიცოცხლე სწყურია, თუ აცოცხლო ის, ვისაც სიკვდილი აქვს გადაწყვეტილი?

ბეატემ, მედდამ და სტოლემ გაიცინეს, მაგრამ ვერავინ შეამჩნია ჰარი, რომელიც თავის სკამზე იჯდა და იკრუნჩხებოდა.

ჰარიმ ფეხით აიარა ის ციცაბო ფერდობი, რომელიც ჰოსპი-

ტალსა და სოგნსვანის ტბას ყოფდა. ბევრი ხალხი არ შეხვედრია, მხოლოდ ის ადამიანები იყვნენ,რომლებსაც კვირადღის სეირნობა ტრადიციად აქვთ დამკვიდრებული. ისინი, ჩვეულებისამებრ, საპატიო წრეს ურტყამდნენ ტბას. რაკელი საგზაო მოძრაობის შემზღუდავ ნიშანთან ელოდებოდა.

ერთმანეთს გადაეხვივნენ და მდუმარედ გაუყვნენ ბილიკს. სუსხიანი დღე იყო, ღია ცისფერ ცაზე სუსტი მზე ბდღვრიალებდა. მათ ქუსლებქვეშ ხმელი ფოთლები იხლიჩებოდა და ტყდებოდა.

— ძილში დავდიოდი, — თქვა ჰარიმ.

— მართლა?

— ჰო. და, მგონი, პირველად არ დამემართა ასე.

— ყოველთვის კონცენტრირებული ვერ იქნები, — თქვა ქალმა.

— არა, არა, — ჰარიმ თავი გააქნია, — პირდაპირი მნიშვნელობით. როგორც ჩანს, ღამით ავდექი და ბინაში დავბოდიალებდი. ღმერთმა იცის, რას ვეძებდი.

— როგორ მიხვდი?

— ღამით, მას შემდეგ, რაც საავადმყოფოდან დავბრუნდი, სამზარეულოში ვიყავი და იატაკს ვუყურებდი. სველი ნაფეხურები შევნიშნე და უცებ აღმოვაჩინე, რომ საერთოდ არაფერი მეცვა რეზინის ჩექმების გარდა. შუაღამე იყო და ხელში ჩაქუჩი მეჭირა.

რაკელმა გაიღიმა და ქვემოთ დაიხედა. ერთი ნაბიჯით შეყოვნდა, რათა მას და ჰარის ერთად, მწყობრი ნაბიჯით ევლოთ.

— ერთ დროს მეც მაწუხებდა ლუნატიზმი. ზუსტად მას შემდეგ დამეწყო, რაც დავორსულდი.

— ეუნემ მითხრა, რომ მოზრდილები სტრესის დროს იწყებ-

ენ ხოლმე ძილში სიარულს.

წყლის ნაპირთან შედგნენ და ორ გედს დააკვირდნენ, რომლებიც წყლის ნაცრისფერ ზედაპირზე უხმაუროდ ტივტივებდნენ.

— თავიდანვე ვიცოდი, ვინ იყო ოლეგის მამა, — თქვა რაკელმა, — მაგრამ როდესაც მას უთხრეს, რომ ოსლოელი გერლფრენდი ორსულად იყო, არ ვიცოდი, რომ მე და მას შვილი გვეყოლებოდა.

ჰარიმ ღრმად ჩაისუნთქა ცივი ჰაერი. ყინვამ ცხვირი დაუწვა. ჰაერს ზამთრის გემო ჰქონდა. თვალები დახუჭა, სახე მზეს მიუშვირა და რაკელის მოსასმენად მოემზადა.

— მაგრამ როდესაც აღმოვაჩინე, მას უკვე მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება და მოსკოვიდან ოსლოში ჩამოვიდა. მეც მქონდა არჩევანი — მოსკოვში უნდა მეპოვა ბავშვისთვის მამა, რომელსაც ეყვარებოდა ჩემი ბავშვი და ისე მოეპყრობოდა, როგორც საკუთარს, სანამ დარწმუნებული იქნებოდა, რომ მისი შვილი იყო. აბსურდულად ჩანდა ყველაფერი. კარგად იცი, რა დამოკიდებულებაც მაქვს ტყუილის მიმართ. თუკი ვინმე მეტყოდა, რომ ოდესმე მე — კონკრეტულად მე — მთელ ჩემს დარჩენილ ცხოვრებას ტყუილზე ავაგებდი, გააფთრებით გავაპროტესტებდი ამ ნათქვამს. როდესაც ახალგაზრდა ხარ, გგონია, ყველაფერი მარტივია. არაფერი იცი იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ზოგჯერ აუცილებლად უნდა მიიღო. და ჩემი მიზანი მხოლოდ საკუთარი თავის გათვალისწინება რომ ყოფილიყო, იოლად მივიღებდი გადაწყვეტილებას. მაგრამ ამ შემთხვევაში ბევრი რამ უნდა გამეთვალისწინებინა, არა მხოლოდ ის, რომ ფიოდორს ცხოვრებას დავუნგრევდი და მის ოჯახს შეურაცხვყოფდი. იმაზეც ვფიქრობდი, რამდენად მზად ვიყავი, ცხოვრება დამენგრია იმ კაცისთვის, რომელიც ოსლო-

ში გაემგზავრა. იმ კაცისთვის და მისი ოჯახისთვის. ამის შემდეგ კი ოლეგზეც უნდა მეფიქრა, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის.

— მესმის, — თქვა ჰარიმ.

— არა, — მიუგო რაკელმა, — შენ არ გესმის, რატომ არ მოგიყევი ეს ყველაფერი მანამდე. შენ ეს ყველაფერი არ გეხებოდა. ალბათ, გგონია, მინდოდა, იმაზე უკეთესად გამოვჩენილიყავი, ვიდრე სინამდვილეში ვარ...

— მე ასე არ ვთვლი, — თქვა ჰარიმ, — არა მგონია, იმაზე უკეთესი ადამიანი იყო, ვიდრე სინამდვილეში ხარ.

რაკელმა მხარზე დაადო თავი.

— გჯერა იმის, რასაც გედებზე ამბობენ? — იკითხა ქალმა, — ამბობენ, სიკვდილამდე პარტნიორის ერთგულები არიანო.

— მჯერა, რომ გედები დადებულ პირობებს ასრულებენ, — თქვა ჰარიმ.

— რა პირობებს დებენ გედები?

— სავარაუდოდ, პირობებს საერთოდ არ დებენ.

— ანუ ახლა საკუთარ თავზე ლაპარაკობ, არა? იცი, მაშინ უფრო მომწონდი, როდესაც პირობებს დებდი და შემდეგ არღვევდი.

— გინდა, რომ რაიმეს დაგპირდე? რაკელმა თავი გააქნია.

გზა განაგრძეს. ქალმა ჰარის ხელკავი გაუყარა.

— ვისურვებდი, ყველაფერი თავიდან დაგვეწყო, — თქვა მან და ამოიოხრა, — თითქოს არაფერი მომხდარა.

— ვიცი.

— და კიდევ ის იცი, რომ არაფერი გამოგვივა.

ჰარი მიხვდა, რომ რაკელს გადაწყვეტილი ჰქონდა, ეს ფრაზა მტკიცებითი კილოთი ეთქვა, მაგრამ მის ნათქვამში ძალიან პატარა კითხვის ნიშანიც იგრძნობოდა.

— მინდა, აქედან წავიდე, — თქვა ჰარიმ.

— მართლა? სად აპირებ?

— არ ვიცი. არ მეძებო. განსაკუთრებით — ჩრდილოეთ აფრიკაში.

— ჩრდილოეთ აფრიკაში?

— მარტი ფელდმანის ფრაზაა ერთ-ერთი ფილმიდან. უნდა გაიქცეს, მაგრამ ისე, რომ იპოვონ.

— გასაგებია.

მათ გვერდით რაღაცის ჩრდილი აღიმართა, რომელიც მათ გასცდა და მონაცრისფრო-მოყვითალო ტყის თავზე გამოჩნდა. ზევით აიხედეს. ერთ-ერთი გედი იყო.

— როგორ დასრულდა ის ფილმი? — იკითხა რაკელმა, — იპოვეს ერთმანეთი?

— რა თქმა უნდა.

— როდის დაბრუნდები?

— არასდროს, — მიუგო ჰარიმ, — არასდროს დავბრუნდები.

ტიოიუენის მაღალსართულიანი კორპუსის ცივ სარდაფში მობინადრეთაკომიტეტის ორი წარმომადგენელი იდგა და კომბინეზონში გამოწყობილ კაცს უყურებდა, რომელსაც არაბუნებრივად სქელი ლინზების მქონე სათვალე ეკეთა. ეს კაცი ლაპარაკობდა და პირიდან თაბაშირის მტვერივით თეთრ ორთქლს უშვებდა.

— კედლის სოკოს ასეთი თვისება აქვს — ვერასდროს ამჩნევ... კაცი გაჩუმდა და შუათითით შუბლზე ჩამოყრილი თმა

გაისწორა.

— მაგრამ ის არსებობს.